


ცნობილი ამერიკელი მწერალი პერმან მელეილი (1819—1891) მრავალი წლის განმავლობაში იყო მეზღვაურად. 1842 წლიდან მსახურობდა ვეშაპოსანადირო გემზე, რომელიც წყნარი ოკეანის წყლებში დაცურავდა. წელიწად-ნახევრის შემდეგ ვერ აიტანა კაპიტნის სასტიკი მოპყრობა და, როცა მარკიზის ერთ-ერთი კუნძულის ნავსადგურში იდგნენ, გემიდან გაიქცა. იგი ტყვედ ჩაუვარდა ადგილობრივ მკვიდრთ, რომლებიც კუნძულის ნაყოფიერ ველზე ცხოვრობდნენ. ეს შემთხვევა და ტაიპის ტომის ხალხთან ცხოვრების ნაამბობი დაედო საფუძვლად რომანს „ტაიპი“.

რომანი „ომუ“, რომელიც პირველად 1847 წელს გამოქვეყნდა, მოგვითხრობს მისი პირველი წიგნის „ტაიპის“ გმირის თავგადასავალს. მას შემდეგ, რაც რომანის გმირი ინგლისის სანდალზე აღმოჩნდა, მან სხვა მატროსებთან ერთად უარი თქვა ნაოსნობის გაგრძელებაზე, რის გამოც ტაიტისზე გადმოსვეს. წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ტაიტისა და მისი მეზობელი კუნძულების ცხოვრების აღწერას. აქ გადმოცემულია ინგლისელ მისიონერთა მბრძანებლობა, ფრანგების თავაშვებული ქცევა ასლასან დაპყრობილ ამსანაგობის კუნძულებზე. კუნძულებში, მართალია, ევროპული ცივილიზაციის დამღუპველ გავლენას განიცდიან, მაგრამ მათ ვერ კიდევ არ დაუკარგავთ მთლად ძველი პატიოსნება, გულწრფელობა და სტუმართმოყვარეობა. ავტორის — მუამბოსე-რომანტიკოსისა და თავისი დროის ბურჟუაზიული კულტურის მოწინააღმდეგის — სიმპათია ალალმართალი კუნძულებების მსარეზეა,

თ ა რ გ მ ა ნ ი ბივი ციცქიშვილისა



ჟანიკი

თ ა ვ ი

ექვსი თვეა ზღვაში ვართ მრავალმა კვირამ განვლო მას შემდეგ, რაც სურსათ-სანოვაგის მარაგი გამოგველია. ერთი ცალი კარტოფილიც აღარა გვაქვს, იამსის ნაყოფზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვაი რომ ჩვენი გემის კიჩოსა და შუა ბანის დამამშვენებელი ბანანის კუნწულებიც სადღაც გაქრა! აღარაფერი შემოგერჩა, კახაჯისა და ორცხობილის გარდა.

რამოდენა ხმაურს ტეხენ ხოლმე ოფიცერთა კაიუტის მეზღვაურები ატლანტის ოკეანის ორკვირიანი გადაცურვის გამო, რა ამაღლეებლად ჰყვებიან საზღვაო გზის გაჭირვებასა და ათასგვარ ხიფათზე! მთელი მათი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ, მართალია, დღე მიირთმევდნენ ჩინებულ საუზმეს, სადილს, ყბედობდნენ, თამაშობდნენ ვისტს, სვამდნენ შამპანურს, მაგრამ შემდეგ წითელი ხისა და ნეკერჩხლის კაიუტებში იყვნენ გამომწყვდეული და ათი საათის განშავლობაში ეძინათ. არაფერი არ აშფოთებდათ, გარდა იმ „ბედასლი მატროსებისა, რომლებიც მათ თავზე ღრიალებდნენ და ფეხებს აბრაგუნებდნენ“... საინტერესოა, რას იტყოდნენ, ჩვენს ადგილას რომ ყოფილიყვნენ და ექვსი თვე ღია ზღვაში გაეტარებინათ?..

ნეტაე ერთი ხასხასა ბალახი დაგეანახვა, აყალო მიწის საამო ოხშივარი გვასუნთქა! ნუთუ ჩვენს ირგვლივ სულ არ არის სიმწვანე? არის, როგორ არა, — ქიმის შიდა მხარე მწვანედაა

შეღებელი. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა საძაგელი ფერია! ქერ-
ქიც კი, რომელიც ჩვენ მიერ საწვავად გამოყენებულ შემას ეკ-
რა, კაპიტნის ღორმა შემოდრღნა და ჩახეთქა; მაგრამ ეს იმდენ-
ად დიდი ხნის წინათ მოხდა, რომ ღორიც აღარ არის ამქვეყ-
ნად.

საქათმეს მხოლოდ ერთი ბინადარი შემორჩა — ოდესღაც
მხიარული მამალი. პოდა, ისიც მთელი დღეების განმავლობაში
დგას ცალ ფეხზე. აღმაცერად დასცქერის ბრუალა ხორბალსა
და მარილიან წყალს, წინ რომ უდგას ჯამით. უთუოდ თავის ამ-
ხანაგებს დასტირის. მაგრამ დარდისთვის დიდი დრო აღარ დარ-
ჩენია. მუნგომ, ჩვენმა შავმა მზარეულმა, გუშინ გამანდო, რომ
საბრალო პედროს ბედი გადაწყვეტილია. მის დაუძღურებულ
სხეულს მომავალ კვირას სუფრაზე მიართმევენ კაპიტანს და
დაღამებამდე ჩვეულებრივი ცერემონიალით იქნება დაკრძალუ-
ლი ამ ღირსეული ადამიანის ყილეტქვეშ. ხოლო მატროსები
ამბობენ, კაპიტანი მანამდე არ წარმართავს გემს ნაპირისაკენ,
სანამ მარაგიდან ცოცხალი ხორცის ერთი კერძი მაინც აქვს
შემორჩენილიო. მე ავი არა მსურს შენთვის, ჩემო პედრო, მაგ-
რამ რაკი სიკვდილი გაქვს მისჯილი და რაკი შენი სიკვდილი
ჩვენი განთავისუფლების ნიშანი შეიძლება გახდეს, რატომაც
არ უნდა ვთქვა სიმართლე? — მე მინდა ახლავე წაგაძრონ თავი!

საწყალი ძველი ხომალდი! რა უბადრუკად გამოიყურება!
მცხუნვარე მზისაგან დამწვარი საღებავი ამოიბურცა და დასკ-
და. ნეტავ ერთი დაგანახვით ის წყალმცენარეები, რომლებსაც
იგი დაათრევს, ან კიდევ ნიჟარები, კიჩოზე რომ მიჰკვრიან;
ყოველთვის, როცა ტალღაზე აღიმართება, გამოაჩენს ხოლმე
იგი სპილენძის შემონაკერს, რომელიც სულ მთლად დაკბილუ-
ლია.

ვაშა, ბიჭებო! გადაწყდა: მომავალ კვირას მარკიზის კუნძუ-
ლებისაკენ ავიღებთ გეზს! — რა საოცარ წარმოდგენებს იწვევს
მარტოოდენ სახელწოდებაც კი! კაციჭამიათა ნადიმები, ქოქო-
სის პალმის ჭალები, მარჯნის რიფები, ტატუირებული ბელა-
დები, შიშველი ქალწულნი, ბამბუკის ტაძრები... პურის ხეებით
მოფენილი მზიური ველები, ცისფრად მოელვარე წყალში მო-
ქანავე კანოები, საშინელი კერპების მიერ დაცული უღრანი
ტყეები, წარმართული ადათ-წესები, ადამიანის მსხვერპლად შე-
წირვა...

ასეთი იყო ერთმანეთზე უცნაურად გადახლართული წარმოდგენები, მთელი ჩვენი ნაოსნობის მანძილზე რომ არ მშორდებოდა. მე სულით და გულით მეწადა მომენახულებინა კუნძულები, რომლებსაც ესოდენ აღფრთოვანებით აღწერდნენ ძველი მოგზაურნი.

ჯგუფი კუნძულებისა, საითაც ახლა მივემართებოდით, თუმცა იგი მიეკუთვნება ევროპელთა მიერ ყველაზე ადრეულ აღმოჩენებს სამხრეთ ოკეანეში (1595), ჯერ კიდევ ისეთივე ველური და უკულტურო ადამიანებითაა დასახლებული, როგორც წინათ იყო. მისიონერები, რომლებიც აქ უმაღლესი დავალებებით იყვნენ გამოგზავნილი, მიაღგნენ ამ წარმტაც ნაპირებს, მაგრამ მალე მიატოვეს და კვლავ ქეისა და ხის კერპებს მიანდვეს ისინი.

ძალიან საინტერესოა ვითარება, რომელშიც ეს კუნძულები აღმოაჩინეს. მენდანის სანაოსნო გზაზე, როცა იგი ოქროთი მდიდარ ქვეყანას ეძებდა, ეს კუნძულები ჯადოსნური ხილვასავით ამოიწვერენ, და წუთით ესპანელებმა ირწმუნეს, რომ მათი ოცნება ახდა. მარკიზ დე მენდოსას, პერუს იმდროინდელი ვიცე-კოროლის, პატივსაცემად, რომლის მფარველობითაც სანაოსნოდ გაემართნენ მეზღვაურები, მათ თავიანთი პატრონის ტიტულის აღმნიშვნელი სახელი დაარქვეს კუნძულებს, ხოლო იქიდან დაბრუნებულებმა იმდენად გაურკვეველი ანგარიში მიაწოდეს მსოფლიოს მათ სილამაზეზე, რამდენადაც დიდებული იყო იგი. მაგრამ ამ კუნძულების ამბავი, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე არავის შეუშფოთებია, მალე ყველას მიავიწყდა. მხოლოდ მცირე ხნის წინათ გახდა ცნობილი ზოგი რამ. თითქმის ყოველ ორმოცდაათ წელიწადში რომელიმე მამაცი მოგზაური დაარღვევს ხოლმე მათ მყუდროებას და, უჩვეულო სანახაობით განცვიფრებული, მოისურვებს საკუთარ დამსახურებად ჩათვალოს ეს აღმოჩენა.

ამ უკანასკნელ წლებში ამერიკისა და ინგლისის გემები, რომლებმაც წყნარ ოკეანეში ვეშაპების ჭერას მიჰყვეს ხელი, შემთხვევით, სურსათ-სანოვაგის უკმარისობის გამო შედიოდნენ დასამხრის ნავსაყუდელში, რომელიც ერთ-ერთი ამ კუნძულის ახლოს მდებარეობდა. მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა წინაშე შიში, რაც გამოიწვეული იყო იმ საშინელი ბედით, მრავალ თეთრკანიანს რომ ხვდა წილად, აიძულებდა რაზმის წევრებს,

მორიდებოდნენ მოსახლეობასთან ურთიერთობას, ეს კი საშუალებას ართმევდა მათ უფრო ზუსტი წარმოდგენა ჰქონოდათ ადგილობრივ მკვიდროთა ადამ-წესებზე.

არასდროს დამავიწყდება ის თვრამეტი თუ ოცი დღე, რომელთა განმავლობაშიც ხორშაკ ქარს ნელ-ნელა მივყავდით კუნძულებისაკენ. ჩვენ კაშალოტს მივდევდით და მივემართებოდით დაახლოებით 20° გალაპაგოსის კუნძულების დასავლეთით. მთელი საქმე, რომელიც დაგვრჩენოდა მას შემდეგ, რაც ჩვენი კურსი გაირკვა, იმაში მდგომარეობდა, რომ იალქნები ხომალდზე განივად დაგვემაგრებინა და ქარის მიმართულებით გვევლო. გვარიანმა ძველმა ხომალდმა და განუწყვეტლივ მქროლავმა ქარმა კი დანარჩენი თვითონ გააკეთეს. მესაჭვს, რომელიც მარჯვედ მისჯდომოდა რუმპელს, შეეძლო რამდენიმე საათით წათეულიმა. დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგული „დოლი“ თავისი გზით მიდიოდა და იმათ მსგავსად, ვინც კარგად ასრულებს საქმეს, უკეთუ თვითონ არის თავისი თავის ბატონ-პატრონი, — ზღვის გამოცდილი მორბედივით მიიწევდა წინ.

რა მშვენიერი დღეები იყო, რა ზანტად მიიზღაზნებოდა დრო, სანამ ასე მივცურავდით ტალღებში!

ცის უნაზეს ლაჟვარდს ჰორიზონტზე ქობად შემოვლებოდა ვიწრო ზოლი გამჭვირვალე მკრთალი ღრუბლებისა, რომლებიც არც მოხაზულობას იცვლიდნენ, არც ფერს. ოკეანის გრძელი ტალღები სევედისმომგვრელი ხმაურით გვივლიდნენ გვერდს, და მსუბუქი ჭავლი ბრწყინავდა მზეზე. დროდადრო ხომალდის ცხვირის ქვეშიდან ჰაერში ამოსხმარტალდებოდნენ დამფრთხალი თევზები და ისევ ვერცხლისწყლის ნაკადივით თვალისდახამხამებაში ეშვებოდნენ წყალში. შორს ვეშაპის მალლაატყორცნილი შადრევანი მოჩანდა, ახლოს კი მოხეტიალე ზვიგენს — ზღვათა საზარელ მეკობრეს — ამოეყურეუმელავა და ბოროტი თვალეებით გვიმზერდა. ზოგჯერ ზღვის სიღრმეთა რომელიდაც ურჩხული ჩვენი მიახლოებისთანავე ნელ-ნელა ჩაეშვებოდა ცისფერ ტალღებში და თვალს მიეფარებოდა. მაგრამ ყველაზე საოცარი იყო სამარისებური დუმილი, რომელიც ცასა და წყალში გამეფებულიყო. არსაიდან არ ისმოდა ხმა, მხოლოდ კუდმაკრატელას უეცარი შეჭყვივლება და წყალსაკვეთით გაპობილი წყლის შხუილი თუ არღვევდა სიჩუმეს.

მიწას რომ ვუახლოვდებოდით, მე სიხარულით მივესალმე

უამრავი ზღვის ფრინველის გამოჩენას. მალე მიწასთან სიახლოვის სხვა ნიშნებიც აშკარა გახდა; ეს იყო იმაზე მცირე ხნით აღრე, როცა მარსიდან მხიარულად გვაუწყეს: „მიწა!“. ეს სიტყვა წარმოთქმული იყო იმ განსაკუთრებული გაჭიანურებით, რაც ესოდენ უყვართ მეზღვაურებს.

კაპიტანი, რომელმაც სასწრაფოდ დატოვა კაიუტა და გემბანზე გამოვიდა, ჭოგრიტში იყურებოდა და თან მხიარულად გაჰყვიროდა. შტურმანი კიდეე უფრო ზმამალლა კითხულობდა: „რომელ მხარესაა?“ შავმა მზარეულმა გაბურძენილი თავი გამოჰყო სამზარეულოდან, ძაღლმა ბოტსვენმა კი ბრაშპილს! მიასურა და გაცხარებული ყეფა გააბა. მიწა! აგერ ისიც! ოდნავ შესამჩნევი უსწორმასწორო ლურჯი ზოლი, რომლითაც ნუკუჰივის გოლიათი მწვერვალებია შემოქობილი.

ნუკუჰივა — ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი და ერთადერთი კუნძული მარკიზის კუნძულებს შორის, რომელსაც მიადგებიან ზოლმე გემები. ეს კუნძული 20 მილის სიგრძისაა და სიგანეც დაახლოებით ამდენივე აქვს. მის შეჭრილ-შემოჭრილ ნაპირებზე სამი კარგი ნავსადგურია, რომელთაგან ყველაზე დიდსა და დასამხრისს ადგილობრივი მკვიდრნი „ტაიოჰეს“ ეძახიან. სხვადასხვა ტომებს შორის, სხვა ყურეების ნაპირებზე რომ სახლობენ, აგრეთვე ყველა მოგზაურისათვის იგი ცნობილია სახელით, რომელიც თვით კუნძულს ჰქვია. ესაა ნუკუჰივა.

ყურე ნუკუჰივა სწორედ ის ადგილი იყო, სადაც კაპიტანმა ლუზის ჩაშვება განიზრახა. მზის ჩასვლისას ნისლით შებურვილი მთები შევამჩნიეთ, დილით კი უკვე კუნძულს მივადექით. ყურე, რომელსაც ჩვენ ვეძებდით, მის შორეულ მხარეს იყო. გემი ნაპირს მიჰყვებოდა. ჩვენ გაცეკეროდით აყვავებულ ველებს, ღრმა ხეობებს, ჩანჩქერებს, ატეხილ ჭალებს, რომლებიც აქა-იქ წამომართულ კლდოვან კონცხებს დაეფარათ და რომელთა შემდეგ თანდათანობით ჩნდებოდა ახალ-ახალი საოცარი სილამაზე.

შუადღისას ფრთხილად შემოვუარეთ კონცხს და შევედით ნუკუჰივის ყურეში. ენა ვერ აწერს იქაურობის სილამაზეს...

¹ ბრაშპილი — ლითონის ან სის ოწინარი გემის ცხვირზე, რომლას მეშვეობითაც წყლიდან ამოაქვთ ღუსა და სხე.

მაგრამ, სამწუხაროდ, იმ წუთას არ შემეძლო დავმტკბარი-
ყავი სილამაზით...

მე ვხედავდი მხოლოდ სამფეროვან ფრანგულ ალმებს, რომ-
ლებიც ექვსი გემის კინოებზე ფრიალებდა. ხომალდთა შავი
კორპუსები და აქეთ-იქით ჩამწკრივებული ყალფზე შემდგარი
ზარბაზნები მათ სამხედრო ხასიათს ააშკარაებდნენ. ისინი იმ-
ყოფებოდნენ აქ, ამ მშვენიერ ნაესადგურში, სადაც ნაპირზე აღ-
მართული ბორცვებიც კი თითქოს კიცხავდნენ მათი შესახედა-
ობის სისასტიკეს. ჩემთვის არაფერი არ შეიძლებოდა ყოფილი-
ყო ამ გემებზე უსიამო. მალე გავიგეთ, თუ რას მოეყვანა აქ ისი-
ნი: იმ დროს, რომელსაც მე აღვწერ, კუნძულთა მთელი წყება
ფრანგი ხალხის სახელით დაპყრობილი ჰქონდა ადმირალ დე
პეტი-ტუარს.

სანამ ჩვენ ნელ-ნელა მივიწვევდით წინ, უამრავი კანოე მო-
შორდა ნაპირს და ჩვენკენ გამოემართა. სულ მალე მთელი
ფლოტილიის შუაგულში აღმოვჩნდით. ნავებში მსხდარი ველუ-
რები ცდილობდნენ ჩვენი ხომალდის ქიმს მოახლოებოდნენ და
თან ერთმანეთს ჰკრავდნენ ხელს. აქამდე არასოდეს გამიგონია
ასეთი უცნაური წამოძახილები, არც ხელის ასეთი გაცხარებუ-
ლი მოძრაობა მინახავს. კაცი იფიქრებდა, რომ კუნძულის
მკვიდრნი მზად იყვნენ ყელში სწვდომოდნენ ურთიერთს, მაშინ
როცა ისინი მხოლოდ მეგობრულად აშორიშორებდნენ თავიანთ
მიჯრილ ნავებს.

აქა-იქ მოჩანდა კანოეებს შორას მიმოფანტული ქოქოსის
ურიცხვი კაკალი, რომლებიც წყალზე ტივტივებდნენ და ტალ-
ლებს აჰყვებ-დაჰყვებოდნენ. ეს კაკლები რაღაც გაურკვეველი
ხერხით თანდათან უახლოვდებოდნენ ჩვენს გემს. როცა, ცნო-
ბისმოყვარეობით აღვსილი, ქიმს დავეყრდენი და გულისყურით
დავუწყვე თვალიერება, რათა გამომეცნო მათი იღუმალი მოძრა-
ობა, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ჯგუფმა, რომელსაც და-
ნარჩენები შორს ჩამოეტოვებინა. მათ შუაგულში მოცურავდა
რაღაცა, რომელიც ქოქოსის კაკალს მივამგვანე, თუმცა ასე უჩ-
ვეულო კაკალი აქამდე არასოდეს მენახა. ძალიან უცნაურად
ტრიალებდა და ცეკვავდა სხვა კაკლებს შორის, და როცა ახ-
ლოს მოცურდა, ვიფიქრე, საოცრად ჰგავს-მეთქი ერთ-ერთი ვე-
ლურის გაპარსულ ყავისფერ თავს. სწორედ ამ დროს შევნიშნე
წყვილი თვალი და მალე დავრწმუნდი, რომ ის, რაც ქოქოსის

კაკალი მეგონა, კუნძულის მკვიდრის თავი იყო. ქოქოსის კაკ-
ლები ქერქის ბოჭკოებით იყვნენ გადაბმული ერთმანეთზე და
ქმნიდნენ ყელსაბამს, რომელიც პატრონს თავზე ჩამოეცვა და
ასე მოაქანებდა ტალღებზე.

მე ცოტა არ იყოს გამიკვირდა, როცა შევამჩნიე, რომ ადგი-
ლობრივ მცხოვრებთა შორის, რომლებიც გარს გვეხვეოდნენ,
არც ერთი ქალი არ იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ
„ტაბუს“ კანონთა ძალით მთელი კუნძულის ქალებს სასტიკად
ეკრძალებოდათ კანონითი ცურვა: მათ ნაპირზე გამოთრეულ კა-
ნოეში ჩაჯდომისთვისაც კი სიკვდილი ემუქრებოდათ. როცა
ჩვენ დაახლოებით ერთ-ნახევარი მილით მიუახლოვდით ნა-
პირს, ზოგიერთმა კუნძულელმა, რომლებმაც როგორღაც მოა-
ხერხეს ჩვენს გემბანზე ამოსვლა, თვალი მიგვაპყრობინა გემის
წინ წყალში უცნაურ მოძრაობაზე. მომეჩვენა, რომ ეს იყო ქა-
რავანი თევზებისა, რომლებიც წყლის ზედაპირზე ფართქალებ-
დნენ, მაგრამ ჩვენმა ახალმა მეგობრებმა დაგვარწმუნეს, რომ
ესენი იყვნენ ახალგაზრდა ქალიშვილები, რომლებიც ცურვით
უახლოვდებოდნენ გემს, რათა ჩვენ მოგვსაღმებოდნენ. როცა
ისინი ახლოს მოცურდნენ, დავინახე წყალში მოლივლივე მათი
ტანი, მარჯვენა ხელი, რომელშიც ტაპის¹ სარტყლები ეპყრათ,
წყალზე გაშლილი გრძელი შავი თმა, და მომეჩვენა, რომ ჩვენ
წინ წყლის ფერიები იყვნენ.

„ღოლი“ თავის შეუწუხებლად ჩაიგდეს ტყვედ. ჩვენ აღარა-
ფერი დაგვრჩენოდა, გარდა იმისა, რომ დავნებებოდი მანამ-
დე, სანამ გემი ნაესადგურში დარჩებოდა. საღამოს, ღუზის ჩა-
შვების შემდეგ, გემბანი ფარნებით გავანათეთ, და ყვაელებით
მორთულმა და ჭრელკაბიანი ქალების მიმზიდველმა ბრბომ ბა-
ლი გამართა. ადგილობრივ ქალებს გატაცებით უყვართ ცეკვა
და თავიანთი ველური გრაციით და ცეკვის მთელი სტილით
სჯობიან ყველას, ვინც კი ოდესმე მინახავს.

¹ ტაპა — ქსოვილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ამსაღებენ.

მარკიზის კუნძულებზე 1842 წლის ზაფხულში ჩავედით. ფრანგები ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე კვირის წინათ დაუფლენ მათ. კოლონიზატორებმა ყველაზე მნიშვნელოვანი კუნძულები მოინახულეს და სხვადასხვა ადგილას ხუთასამდე ჯარისკაცი გადასხეს. ეს უკანასკნელნი სიმაგრეებს აშენებდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან თავდასაცავად, მათი გამოლაშქრება კი ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო. კუნძულის მკვიდრნი შიშითა და ზიზლით უყურებდნენ ამ ადამიანებს, რომლებმაც თავხედურად დაიპყრეს მათი კუნძულები, სმაგდათ ისინი, მაგრამ მათ აღშფოთებას ანულებდა შიში მცურავი ბატარაების მიმართ, რომლებსაც ხახადაფრენილი ზარბაზნები ციხე-სიმაგრეებისა და რედუტებისაკენ კი არ მიეშვირათ, არამედ ქოქოსის ჭალებში მიყუჟული ათობით ბამბუკის ქონმახისაკენ. აღმირალი დე პეტი-ტუარი უდავოდ მამაცი და კეთილგონიერი მეომარია! ოთხი შეიარაღებული ფრეგატი და სამი კორვეტი მოუყვანია, რათა შიშის ზარი დასცეს და მონობის უღელი დაადგას ერთ მუჭა შიშველ ადამიანებს! სამოცი ცხრაგირვანქიანი ზარბაზანი! წაშოულია ქოქოსის პალმის რტოებისაგან ნაგები ქოხების დასანგრევად; არც კონგრეივის შუშხუნებს² დაიშურებს, რათა კანოეების სადგომი ფარდულები ცეცხლს მისცეს!

ნუკუპივაში ასამდე ჯარისკაცი გადმოსხეს. ისინი ძველი იალქნებისა და სათადარიგო სტენგებისაგან გაკეთებულ კარვებში დაბინავდნენ რედუტის შუაგულში, რომელსაც გარს თხრილი ეკრა და რამდენიმე ცხრაგირვანქიანი ზარბაზანი იცავდა. ერთი დღის შემდეგ ეს ჯარები საბრძოლო წესით გაეშურნენ ერთ-ერთი მახლობელი შემადლებული ადგილისაკენ და იქ, ადგილობრივ მკვიდრთაგან გარშემორტყმულები, ოთხი საათის განმავლობაში გადიოდნენ ათასნაირ სამხედრო ვარჯიშს. კუნძულები ველური აღტაცებით შეჰყურებდნენ სამხედრო დათვალიერებას და ასეთივე ველური ზიზლით შესცქეროდნენ მის მონაწილეებს. ასე უზადოდ ალბათ ძველი გეარ-

1 ძველებური ზარბაზნები ერთმანეთისაგან განირჩეოდა ჭურეების ყალიბით, რომლებიც წონით იზომებოდა. ცხრაგირვანქიანი ზარბაზანი ცხრაგირვანქიან ჭურეებს ისროდა და საშუალო ზომისად ითვლებოდა.

2 შუშხუნები, რომლებსაც სამხედრო საქმეში იყენებდნენ; გამოიგონა ინგლისელმა ინჟინერმა კონგრეივმა (1772—1828).

დიაც კი არ გამოიყურებოდა ელისეს ველეებზე გამართულ სა-
ზაფხულო დათვალიერებაზე. ოქროთი მოსირმულ მუნდირებში
გამოწყობილი პოლკის ოფიცრები თითქოსდა ახლახან ამომ-
ხტარიყვნენ პარიზული ყუთებიდან, რათა თავიანთი ტანისამო-
სით განეცვიფრებინათ კუნძულის მკვიდრნი.

ჩვენი ჩასვლის დღეებში ჯერ კიდევ არ იყო განელეხული
უცხოელების იქ ყოფნით გამოწვეული სენსაცია. ადგილობრივი
მკვიდრნი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ბანაკის ირგვლივ და გა-
ფაციცებით ადვენებდნენ თვალს ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა.
სამჭედლოს, რომელიც ზღვისპირა ჭალაში იყო გამართული,
იმდენი ხალხი მიეზიდა, რომ გუშაგებს დიდი სიბეჯითე მარ-
თებდათ, რათა ცნობისმოყვარენი ისეთ მანძილზე შეეკავებინათ,
რომ მომუშავეებს თავ-თავიანთი საქმის კეთება შესძლებოდათ.

მაგრამ არაფერს არ გამოუწვევია ისეთი აღტაცება, როგო-
რიც გამოიწვია ესკადრის ერთ-ერთი ზომალდით „აქილევისით“
ვალპარაისოდან ჩამოყვანილმა ცხენმა. ლამაზი პირუტყვი ნა-
პირზე გადმოიყვანეს და სიმაგრის გალავნის შიგნით ქოხში მო-
ათავსეს. ერთხელ საუცხოოდ შეკაზმული ცხენი ქოხიდან გამო-
იყვანეს, რომელიდაც ოფიცერი ზურგზე მოახტა და რაც ძალი
და ღონე ჰქონდა გააჭენა სანაპიროს მაგრად მოტყეპნილ ქვიშა-
ზე. ამ ამბავს კუნძულელები, რა თქმა უნდა, ხმამაღალი მისა-
სალმებელი შეძახილებით შეხვდნენ და „დიდი ძაღლი“ ერთ-
სულოვნად ჩათვალეს ყველაზე უჩვეულო ზოოლოგიურ სახეო-
ბად, რომელიც ოდესმე ენახათ.

სამი დღეც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩვენი გემი ნუ-
კუპივის ნავსადგურში იდგა, რომ მე გადავწყვიტე მიმეტოვებინ-
ა იგი. თუ რამდენად მრავალრიცხოვანი და საფუძვლიანი იყო
მოსაზრებანი, რომლებმაც ამ გადაწყვეტილებამდე მიმიყვანეს,
ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მე ვამჯობინე სიცოცხლე საფრ-
თხეში ჩამეგდო და ადგილობრივ მკვიდრთა შორის დავრჩენი-
ლიყავი, ოღონდ კი „დოლიზე“ ნაოსნობისათვის თავი დამედ-
წია. მოკლედ, მეზღვაურულად რომ ვთქვათ, გადავწყვიტე „ავ-
თესილიყავი“.

როცა „დოლიზე“ სამსახურს ვიწყებდი, ხელი მოვაწერე
ხელშეკრულებას, რომლითაც, ასე ვთქვათ, დამიქირავეს და გარ-
კვეული მოვალეობანიც დამაკისრეს მთელი ნაოსნობის განმავ-
ლობაში. მაგრამ ყოველგვარ გარიგებაში, თუკი ერთი მხარე არ

ასრულებს იმას, რაც შეთანხმების ძალით ევალება, განა ამით ძეგორე მხარეც არ თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან? ვინ იტყვის, რომ ეს ასე არ არის?

საკითხის პრინციპულად გადაწყვეტის შემდეგ, ნება მიბოძეთ ეს გადაწყვეტილება მიუყენო იმ კერძო შემთხვევასაც, რომელზედაც ვლაპარაკობ. ხელშეკრულების არა მარტო ნაგულისხმევი, არამედ დათქმული პირობები მრავალჯერ დარღვეულა იმ გემზე, რომელზედაც მე ვმსახურობდი. მოპყრობა უხეში იყო, ავადმყოფებს დანაშაულებრივი დაუდევრობით ექცეოდნენ, სურსათს მეტისმეტად ძუნწად იძლეოდნენ, ნაოსნობა უაზროდ ჭიანურდებოდა. ყოველივე ამ ბოროტმოქმედების მიზეზი კაპიტანი გახლდათ: ძნელი იყო ეფიქრა კაცს, რომ იგი რამეს გამოასწორებდა ანდა სხვაგვარად მოიქცეოდა. ყოველგვარ საჩივარსა და რჩევა-დარიგებაზე ერთი მზა პასუხი ჰქონდა: მისი წვეტიანი ხელჯოხი დაბეჯითებით და წარმატებით ადუმებდა უკმაყოფილო ადამიანს. ვისთვის უნდა გვეთხოვა შეეღა? კანონიცა და სამართალიც ჰორნის კონცხის იქით დავტოვეთ, თანაც, სამწუხაროდ, ჩვენი რაზმი, მცირე გამონაკლისის გარდა, შედგებოდა ლაჩარი არამზადებისაგან, რომლებიც გამუდმებით ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს და მხოლოდ იმ მოთმინებაში იჩენდნენ ერთსულოვნებას, რომლითაც კაპიტნის უსაზღვრო სისასტიკეს იტანდნენ. უგუნურება იქნებოდა, რომ ორ-სამ კაცს გვეცადა დანარჩენების მხარდაჭერის გარეშე გავგეწია წინააღმდეგობა იმ თვითნებობისათვის, რაც გემზე სუფევდა. ამით მხოლოდ იმას მივალწევდით, რომ „საზომადლო ფიცრების მფლობელის“ რისხვა დაგვატყდებოდა და ჩვენს ამხანაგებსაც უფრო სასტიკ დღეში ჩავაგდებდით.

ბოლოს და ბოლოს ყოველივე ამას შევეურიგდებოდით, რომ მალე განთავისუფლების იმედი გვექონოდა. მაგრამ ვინ იცის რა მწარე ხვედრი გველოდა სამყაროს ამ ნაწილში? ჰორნის კონცხის გადაღმა ნაოსნობა მეტად ხანგრძლივი იყო; ხშირად ოთხ-ხუთ წელსაც ჭიანურდებოდა და ამის გამო ანდაზურ თქმადაც კი იქცა.

ამრიგად, მოვხვდი თუ არა ნაპირზე, გადაწყვიტე მიმეტოვებინა „დოლი“. რა თქმა უნდა, ძნელია გმირობად ჩაუთვალო კაცს იმისგან გაქცევა, ვინც მას ავი საქმე გაუგეთა და შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ სხვანაირად როგორ დამედწია თავი?

სსკა გამოსავალს ვერ ესედავდა. ეს რომ ვადავწყვიტე, ღაღიწყე კუნძულისა და მის მკვიდრთა შესახებ ცნობების შეგროვება, რომ ამის მიხედვით შემდეგინა გაქცევის გეგმა.

ნუკუჰივის ყურე ნალისებური ფორმისაა. მისი გარშემოწერილობა დაახლოებით ცხრა მილს უდრის. ზღვიდან თქვენ მას უახლოვდებით ვიწრო შესასვლელით ორ პატარა კუნძულს შორის, რომლებიც კონუსისებურად არიან აღმართული, დაახლოებით ხუთასი ფუტის სიმაღლეზე.

ზღვიდან ნაპირი ყოველი მხრიდან თანაბრადაა ამოწვერილი მწვანე ფერდობებად, რომლებიც შეუმჩნევლად იქცევიან დიდებულ მთებად. მათი ცისფერი მოხაზულობა ხურავს თვალსაწიერს. ისედაც მშვენიერ ნაპირს კი კიდევ უფრო ალამაზებს ღრმა და რომანტიკული ხეობები, რომლებიც, ეტყობა, სხვადასხვა რადიუსით არიან დამორებული საერთო ცენტრს და რომელთა ზედა მოხაზულობა მთების ჩრდილში იკარგება. ხეებში რბიან ანკარა ნაკადულები, რომლებიც ხან მოიხრიალებენ, ხან დიდრონ ჩანჩქერებად მოქუხან, ბოლოს კი მშვიდად მიედინებიან და ზღვას ერთვიან. ადგილობრივ მოსახლეთა ქოხები ყვითელი ლერწმისაგანაა წნული, თავს პალმის ბოლოწვეტა ფოთლები ჰხურავთ. ქოხები უწესრიგოდაა მიმოფანტული ქოქიოსის ხეების ჩრდილოვან ტოტებქვეშ.

კუნძულის ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილია მრავალრიცხოვანი ყურეებით, რომელთა პირას გადაშლილია თვალუწვდენი აყვავებული ველები. ეს ველები დასახლებულია სხვადასხვა ტომებით, რომლებიც თუმცა ერთი საერთო ენის მონათესავე კილოკავებზე მეტყველებენ, სჯულითაც ერთნი არიან და ადათწესებითაც, მაგრამ უხსოვარი დროიდან მტრობენ და ეომებიან ერთმანეთს. მათ შორის აღმართული მთები, ორი ან სამი ათასი ფუტის სიმაღლისა ზღვის დონიდან, საზღვრავენ ტერიტორიას ყოველი მოშულარი ტომისას, რომლებიც არასოდეს არ გადალახვენ ხოლმე მათ, თუ არა საომარი თუ ყაჩაღური თავდასხმისას. ნუკუჰივას ეკვრის მისგან მთაგრესილით გამოყოფილი თვალწარმტაცი გაპარის ველი; მისი მცხოვრებნი ყველაზე უფრო მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან ნუკუჰივის მოსახლეობასთან. გაპარის ველის იქით მდებარეობს დიდებული ველი, სადაც ცხოვრობენ ტაიპები, სხვა ტომთა დაუძინებელი მტერნი. ეს მეომარი ტომი, როგორც ჩანს, შიშის ზარს სცემს კუნძულის

სხვა მკვიდრთ. თვით სახელიც აშინებს მათ: სიტყვა „ტაიპი“ მარკიზის კუნძულების მცხოვრებთა კილოკავზე ნიშნავს ადამიანის ხორცის მოყვარულს. ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ ეს სახელწოდება მაინცდამაინც მათ შეერქვათ, რადგანაც კუნძულთა მთელი წყების მკვიდრნი, მისიონერთა აღწერას თუ მივყვებით, მოურჯულებელი კაციჭამიები არიან.

ტაიპებს ყველა კუნძულის მოსახლეობაში აქვთ გავარდნილი სახელი. ნუკუპივის მცხოვრებთ ხშირად უამბნიათ ჩვენი სახომალლო რაზმისათვის მათ საზარელ საგმირო საქმეებზე და უჩვენებიათ ნაჭრილობევეები, რომლებიც მათთან შეტაკების შემდეგ ჰქონდათ დარჩენილი. და როცა ისინი ნაპირზე იდგნენ, რომელიმე თავისიანზე მიგვითითებდნენ და ტაიპი არისო, გვეუბნებოდნენ შესაშინებლად, მაგრამ ძალიან უკვირდათ, რომ ჩვენ ამ საშინელი სახელის გაგონებაზე თავის საშველად არ გავრბოდით. თავშესაქცევი საყურებელი იყო, როგორი სერიოზულობით ამბობდნენ უარს საკუთარ კაციჭამიურ მიდრეკილებებზე, ხოლო თავიანთ მტრებს — ტაიპებს — როგორც მოურჯულებელ კაციჭამიებს, ისე აღწერდნენ.

არასოდეს დამაიწყდება, ერთმა ჩვენმა რაზმელმა ჭაბუკმა რომ შენიშნა ნუკუპივის ყურეში შესვლისას. სანამ ჩვენ ვიდექით და ამწვანებულ კონცხებს გავყურებდით, ნედმა მუხანათურ ველზე მიგვითითა და შესძახა:

— აი, იქ ცხოვრობენ ტაიპები! ო, როგორ შეჭამანდს მოამზადებენ ჩვენგან ეს სისხლმოწყურებული კაციჭამიები, რომ მოგვეპრიანოს და ნაპირს მივადგეთ! მაგრამ ისინი ამბობენ, მეზღვაურების ხორცი არ გვიყვარსო, ძალიან მლაშეაო. ჰა, ბიჭებო, როგორ გუნებაზე დადგებით, ნაპირზე რომ გადაგსხან?

ამ სიტყვებზე შევკრთი. რას ვიფიქრებდი, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ მართლა ჩავეარდებოდი ტყვედ სწორედ ამ ველზე!

როცა საბოლოოდ გადაეწყვიტე გემიდან გავპარულიყავი და შევაგროვე ნუკუპივის ყურის შესახებ ყველა ცნობა, რომელიც კი შემეძლო მიმეღო ასეთ ყოფაში, დიდი სიფრთხილით დავიწყე გაქცევის გეგმის შემუშავება. იმის ფიქრი, რომ შემიპყრობდნენ და სასირცხოდ დამაბრუნებდნენ ხომალდზე, ისე აუტანელი იყო ჩემთვის, რომ ფიცი დავედ არ ავჩქარებულყავი და მოუფიქრებელი ნაბიჯი არ გადამეღა.

ვიცი, რომ კაპიტანი დიდი ხალისით არ შეხვდებოდა რაზმის ერთ-ერთი საუკეთესო მატროსის დაკარგვას; დარწმუნებული ვიყავი, თუ გავიპარებოდი, მამობრივი ზრუნვა სულ მაღე აიძულებდა მას ჭრელი ჩითის მარაგი გადმოელო და ჯილდოდ შეპირებოდა იმას, ვინც მე დამიჭერდა. მას ისიც შეეძლო, რომ ჩემი თავი ერთ მუშკეტად შეეფასებინა, მაშინ კი, უეჭველია, დიდებული ჯილდოთი წაქეზებული მთელი მოსახლეობა დაუყოვნებლივ შეუდგებოდა ჩემს კვალზე წაწვალს.

როდესაც დავადგინე, რომ კუნძულის მკვიდრნი სიფრთხილის გამო ველის შორეულ ნაწილში ცხოვრობდნენ და მთებში ხეტიალს უფრთხოდნენ, ვიფიქრე, მთებში შეუმჩნეველად გასიზენა რომ მომახერხებინა, თავისუფლად შევძლებ იქ დარჩენას, სანამ ხომალდი ნავსადგურიდან გავა-მეთქი. ამას ჩემი მაღალი პოზიციიდან დავინახავდი. ჩემი პირველი ამოცანა იყო დროებით ხომალდის გასვლამდე დავმალულიყავი; მერე ადგილობრივ მოსახლეობასთან მეცხოვრა კუნძულზე მანამ, სანამ არ მომწყინდებოდა, და პირველი შესაძლებლობისთანავე მიმეტოვებინა კუნძული.

გადაწვევითე ამხანაგთაგან არავისთვის გამენდო ჩემი გეგმა და არავითარ შემთხვევაში არ მეთხოვა ვინმესათვის, რომ გავეცილებინე. მაგრამ ერთ ღამეს, როცა გემბანზე ვიყავი და გონებაში ვადგენდი გაქცევის გეგმას, დავინახე ტობი — ჭაბუკი ჩვენი რაზმიდან, რომელიც, კიმზე იდაყუდაყრდნობილი, ფიქრს მისცემოდა. ტობის ადრეც არაერთხელ მიუპყრია ჩემი ყურადღება. ის იყო გამრჯე, გულისხმიერი ჭაბუკი, საოცრად მამაცი და გულწრფელი. მე არაერთხელ მიხსნია იგი დაბრკოლებისაგან, რომელშიც ხასიათის ამ თვისების გამო ხვდებოდა ხოლმე. არ ვიცი, ამ მიზეზით იყო ეს თუ ჩვენი გრძნობების ნათესაობის გამო, მაგრამ ყოველთვის კი ცდილობდა ჩემთან ყოფილიყო. მრავალჯერ ემდგარვართ ერთად საგუშაგოზე, ვკლავდით რა დამქანცველ დროს ლაქლაქში, სიმღერებსა და სხვადასხვა ამბის თხრობაში, რასაც მოსდევდა ჩვენი საერთო მძიმე ხედრის წყევლა და კრულვა.

ტობი გახლდათ შუა ტანის, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა კაცი. ეცვა მატროსის ლურჯი ხალათი და ტილის შარვალი. სიმარჯვითა და სიმკვირცხლით ყველას გეჯობდა. ისედაც შავგვრემანი, ტროპიკულ მზეს კიდევ უფრო გაეშავებინა. ხუჭუჭა შავი

თმა ბოხოხივით ედგა თავზე და მის შავ თვალებს კიდევ მეტ წრდილს ჰყენდა. ეს იყო საოცრად კუშტი ალამიანი, თავნება, მოუსვენარი და მელანქოლიური, დროდადრო თითქოს პირქუშიც.

ტობი რომ შეენიშნე ქიმზე იდაყვდაყრდნობილი და ფიქრში წასული, იმწამსვე გამიელვა აზრმა, ალბათ ისიც იმასვე ფიქრობს, რასაც მე-მეთქი. და თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ იგი ერთადერთი იყო ჩვენი მატროსებიდან, რომელიც თანამზრახველად შემეძლო ამერჩია... ან კი რატომ არ უნდა მყავდეს ამხანაგი, რომელიც გაიზიარებს ჩემს ჭირსა და ვარამს და ტვირთს შემიმსუბუქებს? იქნებ დიდხანს მომიხდეს მთებში მალვა? მაშინ ხომ ამხანაგი ხსნა იქნება ჩემთვის!

ამ ფიქრმა სწრაფად გამიელვა გონებაში, და გამიკვირდა, რატომ ადრე ვერ მოვისაზრე. მაგრამ არც ახლა იყო გვიან. ტობის მხარზე ხელი დავკარი და ფიქრებიდან გამოვარკვიერამდენიმე სიტყვამაც კი იკმარა, რომ გაგვეგო ერთმანეთისათვის: იგი მზად იყო მონაწილეობა მიეღო ჩემ მიერ წამოწყებულ საქმეში. ერთი საათის განმავლობაში მოვაგვარეთ ყოველგვარი წინასწარი საქმე და შევიმუშავეთ მოქმედების გეგმა. მერე ჩვენი კავშირი მეგობრული ხელისჩამორთმევით განვამტკიცეთ და, ეჭვი რომ არაყის აეღო, ჩვენ-ჩვენი საწოლებისაკენ გავემართეთ, რათა უკანასკნელი ღამე გაგვეტარებინა „დოლიზე“.

მეორე დღეს დილაადრიან ვახტი შტირბორტიდან შკანცებთან იქნა შეკრებილი და კაიუტის შესასვლელთან მდგარმა ჩვენმა ღირსეულმა კაპიტანმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

— ახლა, ბიჭებო, როცა ჩვენ უკვე დავამთავრეთ ჩვენი ექვსთვიანი ნაოსნობა და შევასრულეთ ყველა სამუშაო, ვფიქრობ, ნაპირზე ჩასვლა მოგიხდებათ. ასეც იქნება. მე გათავისუფლებთ დღევანდელი გუშაგობისაგან. გიშვებთ, რადგან ვიცი, რომ თქვენ, როგორც ძველი კანონირები, დრტვინეას დაიწყებთ, რომ არ გაგათავისუფლოთ. მაგრამ ყოველ თქვენგანს, რომლისთვისაც სიცოცხლე ძვირფასია, უურჩევ გემზე დარჩეს და ხელში არ ჩაუვარდეს იმ სისხლმოწყურებულ კაციჭამიებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ბიჭებო, რომ თუ ნაპირზე ჩახვალთ, ცუდ ამბავს გადაყრებით და თავსაც წააგებთ! თუ იმ ტატურიგბულმა უქნარებმა თავიანთი ველის სიღრმეში შეგიტყუეს, დამიჯერეთ, მათგან ვერავინ დაგიხსნით. ბევრი თეთრკანიანი ჩასუ-

ლა ამ ნაპირზე, მაგრამ შემდეგ ისინი აღარავის უნახავს. ორი-
ოდ წლის წინ აქ მოვიდა გემი „დილო“, რომელმაც თავისი მე-
ვახტეები ჩაგზავნა ნაპირზე. მათი ამბავი ერთი კვირის მანძილ-
ზე ვერავინ გაიგო. ადგილობრივი მკვიდრნი კი იფიცებოდნენ,
ჩვენ არაფერი ვიცითო. მხოლოდ სამი მატროსი დაბრუნდა გემ-
ზე — თანაც ერთი სამუდამოდ დასახინრებული იყო: წყეულ
წარმართებს უშველებელი რაღაც დაეხატათ მისთვის სახეზე.

თუმცა თქვენთან ლაპარაკი წყლის ნაყვია! სულ ერთია, მა-
ინც ჩახვალთ! მაგრამ თუ კუნძულელებმა თქვენი ზორცისაგან
რაგუ მოამზადეს, თქვენ თავს დააბრალეთ! თქვენ შეგიძლიათ
თავი აარიდოთ მათ, თუ ფრანგების ბანაკთან ახლოს იქნებით
და გემზე მზის ჩასვლამდე დაბრუნდებით. ეს მაინც დაიხსომეთ
კარგად, თუ ჩემს დანარჩენ ნათქვამს დაივიწყებთ. აბა, გასწით!
ცოცხლად!.. ათი წუთის შემდეგ ბარკასს ჩავეუშვებ წყალში...
შეგიძლიათ წახვიდეთ!

სხვადასხვაგვარი იყო გრძნობები, რომლებიც შტირბორტ-
ვახტის მატროსებს ეხატებოდათ სახეზე, როცა ისინი კაპიტნის
რჩევა-დარიგებას ისმენდნენ, მაგრამ როგორც კი კაპიტანმა
სიტყვა დაასრულა, ყველამ ერთბაშად გასწია წინაერდოსაკენ
და ნაპირზე ჩასასვლელად იწყეს მზადება. ამასთანავე, კაპიტნის
სიტყვა მაინცდამაინც ზომიერი გამოთქმებით არ განუსჯიათ.
ერთმა მატროსმა შეიკურთხა და წამოიძახა:

— ვერავითარი ზღაპრებით ვერ დამტყუებ თავისუფლებას,
ბებერო! ყოველი კენჭი რომ მოგუზგუზე ნაკვერჩხალი იყოს და
ყოველი ტოტი — შამფური, კაციჭამიები კი ჩემს შესაწუვად
იყვნენ მზად, სულ ერთია მაინც გადავალ ნაპირზე!

ეს განცხადება ყველას გვეჭაშნიკა და გადავწყვიტეთ, რომ,
მიუხედავად კაპიტნის ჩხავილისა, ერთი კარგი დრო გავგეიტა-
რებინა ნაპირზე.

მაგრამ მე და ტობის ჩვენი ჩანაფიქრი გექონდა, და როცა
ირგვლივ გახურებული ქეიფი იყო, დრო ვისელთეთ: ყველა-
ფერზე დაწვრილებით მოვილაპარაკეთ და მზადება დავამოა-
რეთ. ჩვენი ამოცანა იყო რაც შეიძლება მალე გავქეუულიყავით
მთებში, და გადავწყვიტეთ ზედმეტი ტვირთი არ აგვეკიდა
ზურგზე. ამიტომ, სანამ დანარჩენები იმის ცდაში იყვნენ, რომ
ნაპირზე მორთულ-მოკაზმულები სჩვენებოდნენ მნახველებს,
ჩვენ იმით დავემყოფილდით, რომ ჩავეიცვით ტილოს ახალი

შარვალი, სასიარულოდ მოხერხებული ფეხსაცმელი, ჰავრის უხეში ქურთუკები, დაეიხურეთ ჭილის ფართოფარფლებიანი ქუდეები. ეს იყო მთელი ჩვენი მორთულობა.

ერთი საათის შემდეგ ნება დაგვრთეს ბარკასში ჩავმსხდარი-ყავით. წინაერდოზე ცოტა ხანს შევეყოვნდი და, როცა გემბანზე ასვლა დავაპირე, თვალში მეცა პურიანი კალათა და თეფში, რომელზედაც ჩვენი ნაუცბათევი საუზმის ნარჩენები ეწყო.

აქამდე სულ არ მიფიქრია საგზაზე, რადგანაც ვვარაუდობდი, რომ, სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავით, ყველგან წავაწყდებოდით ტროპიკულ ხილს. მაგრამ ახლა გულმა არ გამიძლო, ამ ნარჩენებიდან რამე არ წამომეღო. მე მივევარდი ორცხობილას ნამტვრეებს და ორი პეშვი ჩავეყარე გულისჯიბეში. აქვე მქონდა წინასწარ შენახული რამდენიმე გირვანქა თამბაქო და რამდენიმე იარღი ბამბის ქსოვილი, — საგნები, რომლებითაც განზრახული მქონდა ადგილობრივ მოსახლეთა მოსყიდვა, როგორც კი მათ შორის მოვხვდებოდი.

შვეინახე თუ არა ორცხობილას ნატეხები, ერთბაშად თორმეტმა კაცმა დაიძახა ჩემი სახელი. მე გემბანზე ავხტი და დავინახე ნავში მსხდარი ამხანაგები, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ მოშორებოდნენ გემს. მე ქიმიდან ვისკუპე, ნავში ჩავხტი და ოფიცრისათვის განკუთვნილ ადგილას დავეჯექი. მეზოფეებმა მარჯვედ მოუსვეს ნიჩბები, და ბარკასი ნაპირისაკენ გაემართა.

თ ა ვ ი 3

მაშინ კუნძულზე წვიმიანი ამინდები იდგა, და დილით ცა ისეთ ღვართქაფს გვიქადდა, რომლის მსგავსიც ხშირია წელიწადის ამ დროს. მოვშორდით თუ არა ნაპირს, მსხვილმა წვეთებმა ბუყბუყით დაიწყეს წყლის ზედაპირზე ხტუნვა, ხოლო როცა ისევ მივაღექით, კოკისპირული წვიმა დაუშვა. ჩვენ თავი შევაფარეთ კანოეს სადგომ უზარმაზარ ფარდულს, რომელიც ნაპირთან იდგა, და დაველოდეთ, როდის ჩადგებოდა მძვინვარე ქარიშხალი.

თუმცა ქარიშხალს ბოლო არ უჩანდა. წვიმის მონოტონური ხმაური, ჩვენს თავზე რომ გაისმოდა, ძილს ჰგვრიდა დად სამ-

ხედრო კანოეებში მიწოლილ ადამიანებს და მცირე ხნის ლაქ-
ლაქის შემდეგ ყველას ჩაეძინა.

მე და ტობიც ამას ველოდით. ჩვენ დრო ვიხელთეთ: ფარდუ-
ლიდან გამოვძვერით და დავიმაღლეთ უშეკლებელ ჭალაში, რომ-
ლის პირასაც ეს ფარდული იდგა. ათი წუთის ჩქარი სიარულის
შემდეგ მივალწიეთ მოტიტვლებულ ადგილს, საიდანაც ღვართ-
ქაფში მკრთალად მოჩანდა მთის მოხაზულობა; სწორედ ამ
მთის წვერზე ვაპირებდით ასვლას.

ისევ გადაუღებლად წვიმდა. როგორც ჩანს, კოკისპირულმა
წვიმამ ქოხებში შერეკა კუნძულის მკვიდრნი; ამან გვიხსნა მათ-
თან შემთხვევით შეხვედრისაგან. ვალუმპული ქურთუკებისა და
იმ ნივთების სიმძიმე, რომლებიც მათ ქვეშ გვექონდა შენახული,
ძალიან გვიშლიდა სიარულს. მაგრამ გაჩერებაზე ფიქრიც კი არ
შეიძლებოდა, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ
კუნძულელებს გადაეყროდით.

მას შემდეგ, რაც ფარდულიდან გამოვედით, მხოლოდ ერთი-
ორჯერ თუ გადაუღლაპარაკეთ ერთმანეთს. ერთხელაც რომ გავე-
დით მოტიტვლებულ ადგილზე და კიდევ დავინახეთ ჩვენს წინ
აღმართული მთა, ტობის ხელი მოვკიდეთ, მთის ფერდობზე მი-
ვუთითე და ჩუმად ვუთხარი:

— ახლა კი, ტობი, ნურც ხმას ამოვიღებთ და ნურც უკან
მივიხედავთ, ვიდრე იმ მთის წვერზე არ ავაღთ. ნულარ დავა-
ყოვნებთ. სანამ შეგვიძლია, ვიაროთ. შენ უფრო ტანმსუბუქი
და მკვირცხლი ხარ, ამიტომ წინ გამიძეხი, მე კი უკან მოგ-
ყვები.

— აგრე იყოს, ძმაო, — მითხრა ტობიმ, — ჩენი თამაში სის-
წრაფეს ითხოვს. ოღონდ ერთმანეთს ნუ მოვშორდებით.

ეს რომ თქვა, ახალგაზრდა ირემივით გადაეველო ნაკადულს
და წინ გაეშურა.

გრძელი და მძიმე იყო გზა. ფორთხვა-ფორთხვით მივძვრე-
ბოდით ციცაბო კალთაზე და ბოლოს როგორც იქნა მივალწიეთ
დათქმულ მწვერვალს. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ქედის აყო-
ლებით გვევლო, სადაც შეიძლებოდა ველის მცხოვრებთ შევე-
ნიშნეთ, ჩვენ ერთი მიმართულება გვექონდა აღებული და მაღალ
ბალახში მიეფორთხავდით. ერთი საათის შემდეგ, რაც გადაად-
გილების ამ უსიამო საშუალებას მოვანდომეთ, ფეხზე წამოვდე-
ქით და მამაცურად განვაგრძეთ გზა მთის თხემის გასწვრივ.

წუთის დაკარგვაც არ გვინდოდა; ამიტომ სწრაფად გავრბოდით ქედის გასწვრივ, როცა კი ამის საშუალებას იძლეოდა ნი-
ალაგი, სანამ არ მივაწყდით ციცაბო კლდეს. ჯერ მოგვეჩვენა,
რომ იგი სერიოზული დაბრკოლება იყო, მაგრამ ხანგრძლი-
ვი და ძნელი ცოცვის შემდეგ, რითაც ცოტა არ იყოს საფრთხე-
ში ვიგდებდით თავს, როგორც იქნა ამ კლდესაც თავზე მოვექე-
ციით და წინანდებურად მოვეკურცხლეთ.

ნაპირი დილაადრიან დაეტოვეთ და განუწყვეტელი, ზოგ-
ჯერ მძიმე და სახიფათო სვლის შემდეგ, რომლის განმავლობა-
შიც ზღვისკენ ერთხელაც არ მიგვიხედავს, მზის ჩასვლისას
კუნძულის ყველაზე მაღალ მთაზე აღმოვჩნდით. მთას თავზე წა-
მოხუროდა უზარმაზარი კლდე. ეს იყო ბაზალტის ლოდები,
რომლებსაც ხვიარა მცენარეები გადმოჰკიდებოდა. ჩვენ სამი
ათას ფუტზე უფრო მაღლა ვიქნებოდით ზღვის დონიდან, და
ამ სიმაღლიდან დიდებული სანახაობა იშლებოდა.

ნუკუპივის განმარტოებულ ყურეს, რომელსაც საფრანგეთის
ესკადრის ზომალდები შესეოდნენ, ეკვროდა ღრმა ხეობებით და-
ღარული მწვანე ფერდობები. ამ ფერდობებში ალაგ-ალაგ შეჭ-
რილიყო ხასხასა ველები. ეს იყო ყველაზე მომხიბლავი პეიზა-
ჟი, რომელიც ოდესმე მინახავს. ას წელიწადს რომ ვიცოცხლო
კიდევ, არასოდეს დამავიწყდება აღტაცება, რომელიც მაშინ გან-
ვიცაადე.

მე მინდოდა ქედსიქითა მიდამოსათვის გადამეველო თვალი.
მე და ტობის გვეგონა, მთის წვერზე რომ შევდგებოდით, ჩვენს
თვალწინ გადაიშლებოდა გაპარისა და ტაიპის ყურეები, მაგრამ
იპედი გაგვიცრუვდა. ველისაკენ დაშვებული ფერდობის ნაც-
ვლად ისევ იმ მაღლობის გაგრძელებას წავაწყდით, რომელსაც
კვეთდნენ ქედები და ხნარცვები, რომლებიც, თუ თვალმა არ
მიმტყუნა, ხშირი ტყით უნდა ყოფილიყო დაფარული. თუმცა,
ხეებს შორის არ შეგხვედრია არც ერთი ისეთი მცენარე, რომ-
ლის ნაყოფზეც ესოდენ ვამყარებდით იმედს.

ამ უსიამო აღმოჩენამ სულ მთლად ჩაკვიფრება გვემეძინა:
საჭმლისათვის მთიდან ნუკუპივაში ხომ არ ჩავალთ! რა ვქნათ?
„დოლის“ ათ ღლეს მაინც ექნება ჩაშვებული ღუზა, — რით უნ-
და გავიტანოთ თავი ამ ხნის განმავლობაში? მე მწარედ ვნანობ-
დი, რომ ასე წინდაუხედავად მოვიქეცი და ორცხობილები არ
მოვიმარაგე. დანადვლიანებულმა, გავიხსენე ის ორიოდ პეშივი

ორცხობილა, რომელიც გულის ჯიბეში ჩაიყარე, და მინდოდა გამეგო, რა დღეში იყო იგი. ტობის შევთაუაზე ერთად გაგვეჩხ-რიკა ჩვენ-ჩვენი ჯიბეები. ბალახზე დავსხედით. ტობიმ პირველ-მა ამოალაგა თავისი მარაგი: გირვანქა თამბაქო, რომელიც ორ-ცხობილას ნამცეცებით იყო დაფარული, ოთხი თუ ხუთი იარღი მოხატული ჩითი, რომელსაც ალაგ-ალაგ თამბაქოს ყვითელი ლაქები აჩნდა, და, ბოლოს, რაღაც რბილი, წებოვანი და უფე-რული, რაც ერთი ხეირიანი პეშვიც არ გამოვიდა და ერთხანს ვერც მივხვდით რა იყო. ეს გახლდათ პურის ნამცეცებისა და თამბაქოს ნაჭრების ნარევი, რომელიც ოფლსა და წვიმას დაეს-ველებინა და ცომს დამსგავსებოდა. სხვა დროს ამას საჭმელად არ მივიჩნევდი, მაგრამ ახლა ამ ნარევს უძვირფასეს განძად ვთვლიდი და შევეცადე განსაკუთრებული სიფრთხილით დამე-დო ერთ დიდ ფოთოლზე, რომელიც მახლობელ ბუჩქზე მოვ-წყვიტე. ტობიმ მითხრა, რომ ამ დილით გულის ჯიბეში ჩაიღო ორი ორცხობილა, იქნებ გზაში მომშივდეს და ლოღნას დაუ-წყებო.

იმის მიხედვით, თუ რა ყოფაში იყო ამხანაგის სურსათი, შე-იძლებოდა გვეფიქრა, რომ არც ჩემი იქნებოდა ბედნიერ დღეში. რამდენიმე ნაჭერი პური, რამდენიმე იარღი თეთრი ქსოვილი და რამდენიმე გირვანქა საუკეთესო ხარისხის თამბაქოს შეკვრა შეადგენდა მთელ ჩემ სარჩო-საბადებელს.

მე დავარწმუნე ჩემი თანამგზავრი, რომ პურის ეს მცირე მარაგი ექვს თანაბარ ნაწილად უნდა გაგვეყო და თითოეული ნა-წილი იქნებოდა დღიური სარჩო. აბრეშუმის ყელსახვევი მო-ვიხსენი, დანით ექვსად გაეჭვარი და ყოველ მათგანში შევახვიე თითო ნაწილი. თითოეული ულუფა ერთ სუფრის კოვზზე დაე-ტეოდა. ეს ყველაფერი ერთად შევკარი, ტობის ჩავაბარე და პი-რობა ჩამოვართვი, რომ ცდუნებას არ აპყვებოდა. გადავწყვიტეთ დღეს აღარაფერი გვეჭამა, რადგან დილას ვისაუზმეთ.

ზეზე წამოვხტით და იქაურობა მოვათვალეირეთ, რათა თავ-შესაფარი გვეპოვა: ცა ბნელსა და ავღრიან ღამეს გვიქადდა. ბოლოს როგორც იქნა მივაღექით ერთ პატარა ღარტაფს, საკ-მაოდ ფართოს, განმარტოებულსა და როგორც გვეგონა, წვიმისა და ქარისაგან დაცულს.

დაუყოვნებლივ შევეუდექით ირგვლივ მოფანტული ტოტების შეგროვებას, რათა ღამისათვის კარავი აგვეშენებინა. დაღამე-

ბამდე დარჩენილი რამდენიმე წუთი გამოვიყენეთ იმისათვის, რომ ჩვენი ქობი ლარტაფის ნაპრალებში ამოსული, ფართოფოთლიანი ბალახით დაგვეხურა. შემდეგ შიგ შევძვერიით და დაღლილ-დაქანცულები დასასვენებლად მივწვიქით.

ნუთუ ოდესმე დამავიწყდება ეს საშინელი ღამე? საწყალ ტობის სიტყვა ვერ ამოვათქმევინე. ჩემთვის ერთადერთი ნუგეში იყო მისი ხმის გავონება, მაგრამ ის დამბლადაცემულივით მოკრუნჩხული მღუმარედ იწვა მთელ ღამეს და კანკალებდა. ისეთი თავსხმა იყო, რომ ჩვენი უბადრუკი ფარდული სასაცილო ხუხულას ჰგავდა. ამაოდ ვცდილობდი დაემალოდი ნიაღვარს: ერთ მხარეს რომ დავიფარავდით, მეორე მხარე უთუოდ წვიმისათვის უნდა გექონოდა მიშვერილი; წყალი ყოველთვის პოულობდა ღიად დარჩენილ ადგილებს და გვასველებდა.

ცხადია, როგორც კი განთიადის მსგავსი მკრთალი ციალი მეცა თვალში, მაშინვე გამეღვიძა. ამხანაგს ხელში ვწედი და ვაუწყე, მზე ამოდის-მეთქი. საწყალმა ტობიმ თავი წამოსწია და მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ ხრინწიანი ხმით მითხრა:

— როგორც ჩანს, ძმაო, ჩემი საანძე ფარნები ჩაქრა: თვალღიას უფრო ბნელად მეჩვენება აქაურობა, ვიდრე თვალდახუჭულს.

— სისულელეა! — წამოვიძახე მე, — შენ ჯერ კიდევ არ გაგღვიძებია.

— არ გაგღვიძებიაო! — შეჰყვირა გაშმაგებულმა ტობიმ. — არ გამღვიძებია! შენ გინდა დამარწმუნო, რომ მეძინა, არა? იმის ფიქრი, რომ ადამიანს შეუძლია ასეთ ჭენჭყოში დაიძინოს — შეურაცხყოფაა და მეტი არაფერი!

სანამ ამ ახსნა-განმარტებაში ვიყავით, სინათლემ ცოტა იმატა, და გამოვძვერიით ჩვენი ბუნაგიდან. წვიმამ გადაიღო, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი სველი იყო. დიდი ვაი-ვაგლახით გავიხადეთ ტანისამოსი, რაც შეგვეძლო, გავწურეთ და ახლა იმაზე დავიწყეთ ფიქრი, რომ ამდენი ხნის ნამარხულევით როგორმე გავვეხსნილებინა, რადგან უკვე ოცდაოთხ საათს გაევლო მას შემდეგ, რაც ვჭამეთ. თავდაპირველად დღიური ულუფა შუაზე გავყავით, მერე ერთი ნაწილი შევახვიეთ, რათა საღამოს ცოტა გვევახშმა, დანარჩენი კი შეძლებისდაგვარად სწორად გავყავით და წილი ვყარეთ, ვის აერჩია პირველს. ჩემი წილხვედრი შემეძლო თითის წვერზე მომეთავსებინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვეცა-

დეთ ათი წუთი მაინც გასულიყო, სანამ უკანასკნელ ნამცეცს გადაველაპავდით. მერე ტობის ვუთხარი: კუნძულზე წანწალსა და გამუღმებით საფრთხეში ყოფნას ისა სჯობია, სანამ ვინმე შევკამხნევს, აქ, ამ ადგილას დავრჩეთ, ვიდრე საჭმელი გვეყოფა, ერთი კარგი ქიოხი ავიშენოთ და ზედმიწევნით ფრთხილად ვიმოქმედოთ-მეთქი. ამხანაგი ყველაფერზე დამთანხმდა.

ბუნქებში ერთი-ორი საათის ყოფნის შემდეგ უღონობა ვიგრძენი, რაც ცუდად გატარებულ ღამეს მივაწერე. ხან მაცლებდა, ხან მაცხელებდა, ცალი ფეხი კი ისე გამისივდა, რომ ვიფიქრე, ალბათ რომელიმე შხამიანმა ქვეწარმავალმა მიკბინა-მეთქი. ციებ-ცხელებამ თანდათან უფრო დამრია ხელი. ებორგავდი, ხან ერთ გვერდზე გადავბრუნდებოდი, ხან მეორეზე. არ მინდოდა ჩემს ახლოს ჩაძინებული ამხანაგი გამეღვიპებინა და ამიტომ ფორთხვით გაეშორდი ტობის ორი თუ სამი იარდით. შემთხვევით ბუნქის ტოტს შევახე ხელი, გვერდზე გადაეწიე, და ჩემს თვალწინ გადაიშალა სანახაობა, რომელიც აქამდე ისევე მკაფიოდ მახსოვს, როგორც პირველად აღმებეჭვდა გონებაში. სამოთხე რომ მეხილა, არა მგონია უფრო მოვეხიბლე და მოვეჯადოებინე.

განცვიფრებულმა, როგორც კი გონს მოვედი, მაშინვე სასწრაფოდ გავადვიძე ტობი და ჩემი აღმოჩენა ვაუწყე. ორივენი გავემართეთ ფლატისაკენ. ჩემი ამხანაგიც ისევე განცვიფრდა, როგორც მე.

ახლა საკითხავი ის იყო, თუ რომელი ველი იყო გადაშლილი ჩვენ წინ. ტობი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ეს გაპართა ადგილსამყოფელი იყო, მე კი ჩემსაზე ვიდექი და ვამბობდი, ეს ადგილი გაპართა მტრებით, მძვინვარე ტაიპებით არის-მეთქი დასახლებული. მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ ვიყავი ამაში დარწმუნებული, მაგრამ ტობის წინადადება — ახლავე ჩავსულიყავით ველზე და მის ბინადართ ვსტუმრებოდი — სარისკოდ მეჩვენა და გადაეწყვიტე წინააღმდეგობა გამეწია.

გაპართა ტომი არა მარტო მშვიდობიან დამოკიდებულებაში იყო ნუკუჰივასთან, არამედ, როგორც უკვე ვთქვი, ზედმიწევნით მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მის მცხოვრებლებთან. გარდა ამისა, ისინი სიკეთითა და კაცთმოყვარეობით იყვნენ განთქმული. ამიტომ შეიძლებოდა იმედი გვექონოდა, რომ გულთბილად მიგვიღებდნენ და თავშესაფარს არ დაიშურებდნენ, სანამ მათ ტერიტორიაზე დარჩენა მოგვიხდებოდა.

მეორე მხრივ ტაიპის გახსენებაც კი შიშის ზარს მცემდა, იმის ფიქრი, რომ ჩემი ნებით ჩავეარდნოდი ტყვედ ამ ველურებს, უგუნურებად მიმაჩნდა, ზოლო წინადადება — ჩავსულიყავით ველზე, სადაც ღმერთმა უწყის რომელი ტომი სახლობდა, — უაზრობად.

მაგრამ ჩემს ამხანაგს არ შეეძლო წინ აღდგომოდა ცდუნებებს, რომლებიც ესახებოდა საჭმლისა და სხვა სიამეთა სახით, ველზე რომ შეიძლებოდა წაეწყდომოდით, და ამიტომ სულ სხვა აზრისა გახლდათ ამ საკითხზე. ვერავითარმა მტკიცებამ ვერ შეურყია რწმენა. როცა ეუმტკიცებდი, რომ ჩვენ არ შეგვეძლო იმედი გვექონოდა რამის, როცა აუუწერდი იმ საშინელ ზეედრს, რომელსაც გადავეყრებოდით, თუ ახლა ავჩქარდებოდით და ველზე ჩავიდოდით, ამის პასუხად ტობი ჩამომითვლიდა ყველა უბედურებას, რომელიც მოგველოდა, თუ ამ ადგილიდან ფეხს არ მოვიცივლიდით.

— რა ვქნათ ახლა? — ვკითხე მე.

— ველზე უნდა ჩავიდეთ, — მიპასუხა ტობიმ. — სხვა რა დავერჩენია? ჩვენ ზომ ორიენი შიმშილით დაეიზოცებით უეჭველად, თუ აქ დავრჩით... რაც შეესება შენს ყოველგვარ შიშს ტაიპების წინაშე, ეს ყველაფერი ზომ სისულელეა! შეუძლებელია ასეთი წარმტაცი ადგილების ბინადარნი კაციჭამიები იყვნენ. ჯობს რისკი გავწიოთ და ქვემოთ ჩავიდეთ, ვიდრე ამ სველ, მიწურუებულ ადგილას შიმშილით დაეიზოცოთ!

— კი მაგრამ, ვინ გავვიყვანს აქედან, — ვკითხე მე, — კიდევ რომ გადავწყვიტოთ ველზე ჩასვლა? როგორ ჩავცოცდეთ ამ უფსკრულში ისე, რომ თავი მთელი შეგვრჩეს?

— ჰოო, მაგაზე არ მიფიქრია, — თქვა ტობიმ.

მან თავი ჩაჰკიდა და რამდენსამე წუთს ფიქრობდა. უეცრად წამოხტა, თვალეში რაღაც უჩვეულო შუქი ჩაუდგა, — სასიხარულო აზრმა გაუელვა.

— დიახ! — შესძახა ტობიმ, — ყველა წყარო თუ ნაკადული ერთი მიმართულებით მიედინება და, სანამ ზღვას შეუერთდებოდნენ, აუცილებლად ველა უნდა გაიარონ. ჩვენც რომელსამე ნაკადულს უნდა ჩაეყვით, და თუმცა ახლა გვეჩვენება, რომ იგი სხვა მიმართულებით მიდის, ადრე თუ გვიან მაინც ველზე ჩავვიყვანს. ახლავე გავემართოთ, წამო, თავიდან მოიშორე ყვე-

ლა ეგ სულელური ფიქრი ტაიბთა ტომზე და გაუმარჯოს ბედ-
ნიერ გაპარის ველს.

— გატყობ, ჩემო ძმაო, ძალიან გინდა, რომ ეს გაპარი
იყოს, — თავის ქნევით შეენიშნე მე.

— აბა, წავიდეთ! — შესძახა ტობიმ და წინ გაიჭრა. — ეს გა-
პარია და სხვა არაფერი! ასეთი დიდებული ველი ჰურის ხე-
ებით, ქოქოსის პალმის ჭალებითა და გუავის ბუჩქებით სხვა
არაფერი შეიძლება იყოს! ნუღარ აყოვნებ: ამ ხეთა ყველა ნაყო-
ფის სახელს ვფიცავ, ერთი სული მაქვს, როდის გაეუსინჯავ
გემოს! წამო, წამო და ყურადღებას ნუ მიაქცევ კლდის ნამ-
სხვრევებს, ადექ და გსიდან ჩამოიცილე ისინი, როგორც მე
ვშურები ამას, ხვალ კი, ძმაო, დაიხსომე ჩემი სიტყვა, ქერის
ორმოში ჩავეარდებით. წინ!

იგი შესულილივით თავაწყვეტილი ჩაჰყვა ხევს და სულ გა-
დაავიწყდა, რომ ჩემი მტკივანი ფეხის პატრონი ვერ მივყე-
ბოდი.

ჩემი მოგზაურობა, თავდაპირველად შედარებით იოლი,
თანდათან უფრო ძნელი ხდებოდა. ნაკადულის კალაპოტი ზემო-
დან ჩამოცვენილი კლდეთა ნამსხვრევებით იყო სავსე; ისინი
მრავალ დაბრკოლებას უქმნიდნენ ჩქარ დინებას და დროდადრო
აიძულებდნენ ჩანჩქერებად გადმოდენილიყო. ხევის ვიწრო ად-
გილებში იძულებული ვიყავით წყალში გვევლო ანდა წაქცეულ
ხეებქვეშ გვეძრომიოდა, რომელთაც ფესვები მაღლა აეშვირათ.
ხან კლდის შვერილებს ვეჭიდებოდით და ისე ჩავდიოდით ძირს,
ხან კი ფორთხვით ჩავდევდით ნაკადულს, ისე რომ მის დინებას
ვეღარც კი ვუძალიანდებოდით. ორჯერ ისეთი დაბრკოლება
აღიმართა ჩვენს წინაშე, რომ თავდაპირველად დაუძლეველი
გვეჩვენა. ეს იყო უზარმაზარი უფსკრული, სადაც ჩაქუსდა მდი-
ნარე, რომელსაც ჩვენ უნდა ჩავყოლოდით. მე თითქმის იმედი
გადამიწყდა, რომ აქაურობას ცოცხალი დავაღწევდი თავს. აუ-
ტანელი გზის გამო ქანცი მქონდა გაწყვეტილი, ციებ-ცხელებამ
ხომ სულ გამტანჯა; ცალკე ფეხის ტკივილი არ მასვენებდა და
ცალკე შიმშილი მკლავდა.

მაგრამ ტობი დაუღალავად მიიწევდა წინ, თავბრუდამხვევი
სიმაღლეებიდან ეშუებოდა, ხან რაღაც უცნაურ მცენარეთა ფეს-
ვებს ებლაუჭებოდა და, როგორც ბაგირებს, ისე ჩასდევდა, ხან
კი პირდაპირ ბუჩქებისა და ხეების ტოტებზე ხტებოდა. ბოლოს,

როცა უკანასკნელი ფლატე ჩავიარეთ, ღამის გასათევი ქოხისათვის ადგილი შევარჩიეთ, ტოტები და ფოთლები მოვაგროვეთ და იქვე დავსხედით, რათა ვახშმად განკუთვნილი ულუფა შეგვეჭამა.

მეორე დილას, სისუსტისა და შიმშილის მიუხედავად, ისევ განვაგრძეთ ძნელი და სახიფათო გზა. თავს იმით ვინუგეშებდით, რომ მალე კვლავ ვიხილავდით მშვენიერ ველს. მე აღარ მოგიყვებით, რამდენჯერმე ბეწვზე როგორ გადავრჩით სიკვდილს, როგორ გადავლახეთ ყველა სიძნელე, სანამ ველამდე ჩავალწევდით. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დიდი ჯაფისა და ფათერაკების შემდეგ ორივენი ცოცხალნი და უვნებელნი ვიდექით იმ ველის თავში, რომელიც ერთი დღით ადრე ასე უეცრად გადაიშალა ჩვენს თვალწინ, სწორედ იმ ფრიალო კლდეების ძირას, რომელთა მწვერვალებიდანაც პირველად დავინახეთ იგი.

თ ა ვ ი 4

ტაიპი თუ გაპარი? მძვინვარე კაცაჭამიათა ხელში საშინელა სიკვდილი თუ კეთილი ტომის ადამიანთაგან გულითადი მასპინძლობა? რა მოგველის ამ ორში? მაგრამ ამის განსჯა ახლა გვიანდა იყო.

ველის ნაწილი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, სრულიად უკაცრიელი ჩანდა. თითქმის გაუვალი შამბნარი ჩასდევდა აქეთიქით მდინარის კალაპოტს.

ბოლოს, გადაწყვიტეთ ღრმად შევსულიყავით ჭალაში. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარეთ, ტყის პირას პურის ხის ღორთქო ყლორტს წაეაწყედით; ხასხასა მწვანე იყო, კანგამძვრალი. სიტყვა არ მითქვამს, ისე გაუწოდე ტობის, რომელიც ადამიანთა სიახლოვის ამ უტყუარი საბუთის დანახვაზე მაშინვე შედგა.

ინტრიგის ქსელი თანდათან იხლართებოდა... ცოტა მოშორებით ეგდო ასეთივე ყლორტების მთელი კონა, რომელიც თასმასავით წვრილი ქერქით იყო შეკრული. შესაძლოა, რომელიღაც ადგილობრივმა მკვიდრმა დააგდო, ჩვენი დანახვით შეშინებულმა, და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, რათა თვისტომთათვის ემცნო ჩვენი მოახლოება? ვინ არიან ეს ადამიანები?

ტაიპები თუ გაპარები? უკან დახვევა უკვე გვიან იყო, და ჩვენ კვლავ განვაგრძეთ გზა. ტობი წინ მიდიოდა, თან ყურადღებით იხედებოდა ტყის სიღრმეში, სანამ გველნაკბენივით არ უკუიქცა. მან ჩაიმუხლა, ცალი ხელით თავისთან მიხმო, მეორით ფოთლები აქეთ-იქით გადასწია და რაღაცას მიაშტერდა. სწრაფად მიუუახლოვდი და დავინახე ორი ადამიანი, რომლებსაც ნაწილობრივ ფარავდა ხშირი ფოთლები, ისინი უძრავად იდგნენ, ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულნი. ეტყობა, აღრევე შეგვნიშნეს... და ღრმად შევიდნენ ტყეში, რომ ჩვენ არ შეგვხვედროდნენ.

მე იმწამსვე მივიღე გადაწყვეტალება. ჩემი ჯოხი გადავაგდე, გემიდან წამოღებული ფუთა გავხსენი და იქიდან ბამბის ქსოვილი ამოვიღე. ცალ ხელში ქსოვილი დავიჭირე, მეორეში ბუნჩუხე მოტეხილი ტოტი და ტობისაც ვუბრძანე ჩემთვის მოებაძა. ბარდებში გავძვერი და უკუიქეული ადამიანებისაკენ გავემართე, თან ტოტს ვიქნევდი მშვიდობის ნიშნად.

ესენი იყვნენ ჭაბუკი და ქალიშვილი, ტანწერილი, ჩამოსხმულნი და სრულიად შიშველი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხის ქერკის თხელ სარტყელს, რომელზედაც პურის ხის მოწითალო ფოთლები ეკიდა. ჭაბუკს ცალი ხელი ქალიშვილისთვის შემოეხვია კისერზე, მეორე კი ხელში ჩაეჭიდა; ასე იდგნენ გვერდიგვერდ, ოდნავ თავწახრილნი, და ყურს უკვებდნენ ჩვენი ნაბიჯების სუსტ ხმას.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით, სულ უფრო და უფრო დღეავდნენ. შემეშინდა, ვაითუ გაიქცნენ-მეთქი, გავჩერდი და ხელით ვანიშნე ახლოს მოსულიყვნენ და საჩუქრები გამოერთმიათ. იუარეს. მაშინ მათ ენაზე წარმოვთქვი რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ვიცოდი, თან იმდენად როდი ველოდი, რომ გამიგებდნენ, რამდენადაც მსურდა მეჩვენებინა, ციდან არ ჩამოვფრენილვართ-მეთქი. ამან, ეტყობა, ცოტაოდენი რწმენა ჩაუნერგა მათ. მე კიდევ უფრო მიუუახლოვდი, ქსოვილი და ტოტი წინ გავიწოდე. ორივემ უკან დაიხია. ბოლოს, ისე ახლოს მიგვიშვეს, რომ შემემძლო მხრებზე გადამეგდო მათთვის ქსოვილი და მიმეხვედრებინა, რომ საჩუქრად ვაძლევდი, თან ხელის ათასნაირი მოძრაობით ვცდილობდი შემეგნებინებინა, რომ ჩვენ დიდი პატივისცემა გვქონდა მათდამი.

შეშინებული წყვილი მანამდე იდგა გარინდული, სანამ მცდილობდით გავვეგებინებინა, თუ რა გვსურდა. ამასობაში

ტობიმ მთელი რიგი პანტომიმისკური ილუსტრაცია გააკეთა. თითქმის ყურებადღე აღებდა პირს, ხახაში იყოფდა თითს, კბილებს აკრაჭუნებდა და თვალებს ისე ატრიალებდა, რომ მგონი, საწყლებმა იფიქრეს, ესენი ნამდვილად კაციჭამიები არიან და სადილად შესანსვლას გვიპირებენო. როცა, ბოლოს და ბოლოს, გაიგეს, რა გვინდოდა, გვანიშნეს, რომ თანახმა იყვნენ დაგვხმარებოდნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს საშინელმა წვიმამ დასცხო, და ჩვენ ვთხოვეთ სადმე გადახურულში წავეყვანეთ. ისინი დაგვეთანხმნენ ამ თხოვნის შესრულებაზე, მაგრამ, წინ რომ მიგვიძღოდნენ, წამდაუწუმ იხედებოდნენ უკან, თვალს ადევნებდნენ ჩვენს ყოველ მოძრაობას და გამოხედვასაც კი, რითაც აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ უნდობლობას ჩვენდამი.

— ტაიპები არიან თუ გაპარები? — ვკითხე ტობის, სანამ მათ მივეყვებოდით.

— რა თქმა უნდა, გაპარები, — მიპასუხა დამაჯერებელი ტონით, რათა არ გაემხილა, რომ თვითონაც ეჭვობდა.

— მალე გავიგებთ! — შევძახე მე.

და იმ წამსვე გავემართე ჩვენი გამცილებლებისაკენ, თან კითხვით წარმოვთქვი ეს სახელები, ხეობაზე მივუთითე და შევეცადე სასწრაფოდ დამედგინა პასუხი. მათაც გაიმეორეს ჩემი ნათქვამი, ოღონდ ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე, ასე რომ მე სულ მთლად დავიბენი... მაშინ კითხვის სახით ერთმანეთს გვერდით დაუყენე ორი სიტყვა: „გაპარი“ და „მოტარკი“, რაც ნიშნავს კარგს. ადგილობრივმა მკვიდრებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს და არავითარი გაკვირება არ გამოუხატავეთ; მაგრამ კითხვა რომ გაუშეორეთ, მცირეოდენი მოთათბირების შემდეგ დადებითად გვიპასუხეს. ტობი აღფრთოვანებული იყო, განსაკუთრებით — როცა ახალგაზრდა ველურებმა დიდი გულმოდგინებით გაიმეორეს თავიანთი პასუხი, თითქოსდა უნდოდით შთაეგონებინათ ჩვენთვის, რომ გაპარებთან შეგვეძლო სრულიად უშიშრად გვეგრძნო თავი.

ისინი წინ გაეშურნენ, ჩვენც მივეყვით და მანამდე მივეღვდით, სანამ უეცრად წამოძახილი არ აღმოხდათ, რაზედაც ჭალიდან რამდენიმე ხმა გამოუპასუხათ. შემდეგ გავედით ერთ ტრიალ მინდორზე, რომლის ბოლოს შევნიშნეთ გრძელი დაბალი ქოხი. ქოხის წინ რამდენიმე ქალიშვილი იდგა. დაგვინახეს თუ

არა, ფაენისაგან დამფრთხალი ნიმფებივით წივილ-კივილით გაექანენ ბარდებისაკენ.

რამდენიმე წამის შემდეგ ყვირილი მთელ ხეობას მოედო და ჩემკენ ყოველი მხრიდან მორბოდნენ ადგილობრივი მკვიდრნი.

დამპყრობთა არმია რომ დასხმოდა თავს მათ მიწებს, ალბათ ამაზე მეტად არ აბობოქრდებოდნენ. მალე ისინი მჭიდროდ შემოგვერტყნენ. კუნძულებს საშინლად სურდათ შეეპებათ ჩვენთვის, რის გამოც ფეხის გადადგმაც ვერ მოვახერხეთ. მათი ნაწილი შემოერთდა ჩვენს ახალგაზრდა გამცილებლებს, რომლებიც რაღაცას სხაპასხუპით უხსნიდნენ: ეტყობა, დაწერილებით უყვებოდნენ ჩვენთან შეხვედრის ამბავს. ბოლოს მივაღვიძეთ ბამბუკის დიდ და ლამაზ ნაგებობას; გვანიშნეს შევსულიყავით. დაღლილები, იატაკზე გაგებულ ჭილოფზე დაეშვიტნენ.

ერთი წუთის შემდეგ პატარა შენობაში ხალხის ტევა არ იყო. ვინც შიგ ვერ შემოვიდა, ლერწმის ხლართებიდან გვიჭვრეტდნენ. იმ ადგილას, სადაც ჩვენ მოვიკალათეთ, ფეხმორთხმით იჯდა რვა თუ ცხრა კეთილშობილი სახის მამაკაცი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა — ბელადები, რომლებიც დაჟინებით, მრისხანედ შემოგვეკეროდნენ. ერთი მათგანი, ეტყობა, წოდებით ყველაზე უფროსი, ზუსტად ჩემ წინ იჯდა. კრიჭაშეკრული და პირმოლუშული მომშტერებოდა. აქამდე არასოდეს არ გამომიცდია ასეთი უცნაური და დაჟინებული მხერა. მე მინდოდა მისი ყურადღება მიმეპყრო და ჩემდამი კეთილად განმეწყო, რისთვისაც უბიდან მცირეოდენი თამბაქო ამოვიღე და გავუწოდებ. მან არ გამომართვა და მანიშნა ყველაფერი ერთად დამეღაგებინა.

ნუკუჭივისა და ტაიორის ველურებთან წინანდელი ურთიერთობისას ვამჩნევდი, რომ ყოველი მათგანი მზად იყო ათასგვარი სამსახური გაეწია, თუკი თამბაქოთი გაუმამსპინძლებოდი. მტრული განწყობილების ნიშნად ხომ არ მითხრა ბელადმა უარი? „ტაიპები“ არიან თუ „გაპარები“? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს. მე ზეზე წამოვსტი, რადგან სწორედ ამ დროს იგივე კითხვა წარმოთქვა უცნაურმა არსებამ, რომელიც ჩემ წინ იჯდა. ტობისაკენ მივბრუნდი და მბჟუტავი სანათის შუქზე შევნიშნე მისი გაფითრებული სახე. ერთ წუთს ვღუმიდი და, არ ვიცი, რამ მიკარნახა, მივეუბნე:

— ტაიპები.

პირმოღუშულმა ქანდაკებამ დასტურის ნიშნად თავი დააქ-
ნია და წარმოთქვა:

— მოტარკები!

— მოტარკები, — დაუყოვნებლივ ეუპასუხე მე, — ტაიპები,
მოტარკები. ეს რა გარდაქმნაა! ჩვენს ირგვლივ მსხდარი შავი
არსებები ფეხზე წამოხტნენ. ისინი გატაცებით უკრავდნენ ტაშს
და კვლავ და კვლავ ისროდნენ უცნაურ სიტყვებს, რომელთა
წარმოთქმამ, როგორც ჩანს, ყველაფერი მოაგვარა.

ბოლოს, ბელადი დაშოშმინდა და რამდენიმე წუთის შემ-
დეგ ისევე მშვიდად იყო, როგორც ამ საბედისწერო შეკითხვამ-
დე. მან გულზე ხელი დაიდო და მითხრა, „მეჭვეი“ მქვიაო, მე-
რე კი ჩემი სახელის გაგება ისურვა. მე ერთ წუთს შევყოყმან-
დი, ვიფიქრე, ალბათ გაუძნელდება-მეთქი ჩემი ნამდვილი სახე-
ლის წარმოთქმა, და ვუთხარი, ტომი მქვია-მეთქი. მაგრამ ნე-
ტავი არ მეთქვა! ბელადმა ვერა და ვერ წარმოთქვა ეს სიტყვა.
ხან „ტომოს“ ამბობდა, ხან „ტომას“, ხან „ტომის“, მოკლედ
ყველაფერს, „ტომს“ გარდა. რაკი მაინცდამაინც სურდა ჩემი
სახელი ზედმეტი მარცვლით შეელამაზებინა, მეც „ტომოზე“
დაეთანხმდი, და ამ სახელით გავატარე კუნძულზე დღეები. იგი-
ვე პროცედურა გაიარა ტობიმ, ოღონდ მისი მქლერი სახელი
უფრო ადვილად შეითვისეს.

სახელთა გაცვლა ამ უბრალო ადამიანებთან მეგობრობის
დამყარებას უდრის. ჩვენ ვიცოდით ეს და ამიტომ კმაყოფილი
ვიყავით, რომ ეს სწორედ ასე მოხდა.

როცა ბრბო დაიშალა, მეჭვეის მიუებრუნდი და მივახვედრე,
რომ ჭამა და ძილი გვინდოდა. მზრუნველმა ბელადმა რამდენი-
მე სიტყვა უთხრა ერთ-ერთ მკვიდრს; ის გაუჩინარდა და რამ-
დენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა. ხელში ეჭირა კვახისაგან გა-
კეთებული სასმისი და ორი თუ სამი ქოქოსის კაკალი, რომ-
ლებსაც უკვე გაცლილი ჰქონდა კანი. მე და ტობიმ იმწამსვე
მოვიყუდეთ „კათხები“ და სულმოუთქმელად დავცალეთ. მერე
რალაც საჭმელი მოგვიტანეს კვახის ჭურჭლით. ძალიან კი მშვი-
ოდა, მაგრამ მაინც შევფიქრიანდი, რადგან არ ვიცოდი როგორ
გადამეშვა პირში. ეს კერძი, რომელსაც პოი-პოის ეძახიან, პუ-
რის ხის ნაყოფისაგან მზადდება და შესახედავად ხის წებოს წა-
აგავს; ყვითელი ფერისაა და მწკლარტე გემო აქვს. მე ღუმი-
ლით შევათვალიერე, მერე ხელი ჩავყავი შიგ და ამოვწიე. თი-

თებზე გრძელ-გრძელი ძაფი ამომყვა. ადგილობრივი მკვიდრნი ცას ეწიენ სიხარულით. პოი-პოის მასა ისე სქელი იყო, რომ, როცა პირთან მივიტანე, მთელი კვახის ჭურჭელი ამყვა ჭილოფიდან. ამ მოუხეშავმა მოძრაობამ — ტობიმაც ავივე გაიმეორა — იქვე მდგარ ველურთა თავშეუკავებელი ხარხარი გამოიწვია.

როცა მათი მხიარულება მიწყდა, მეჭევინ სალოკი თითი ჩაყო კერძში, რამდენჯერმე სწრაფად შეატრიალ-შემოატრიალა და ამოიღო. შემდეგ პოი-პოი რომ უკან არ ჩავარდნოდა ჯამში, სხვა ილეთი მოიშველია და პირთან მიიტანა. ეს ყველაფერი აშკარად ჩვენს განსასწავლად გააკეთა, ასე რომ მე კვლავ შევუდექი ჭამას, თანაც საკმაოდ წარუმატებლად ვხმარობდი ნაჩვენებ ხერხს.

მერე მოგვიტანეს კიდევ რამდენიმე კერძი; ზოგი მათგანი პირდაპირ განსაცვიფრებელი იყო. ჩვენ დავამთავრეთ ბანკეტი, კიდევ ორი ნორჩი ქოქოსი გამოვწრუპეთ, რის შემდეგაც გავაბოლეთ ხელით ნაკეთი ჩიბუხი, რომელიც ირგვლივ ჩამოატარეს.

მთელი ვასშმის განმავლობაში რაღაც დაძაბული ცნობის-მოყვარეობით გვათვალისწინებდნენ ველურები, ჩვენს ყოველ მოძრაობას აკვირდებოდნენ. მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა წვიმისაგან გალუმპული ტანისამოსის გახდა დავიწყეთ. ისინი აკვირდებოდნენ ჩვენი სხეულის კანის სითეთრეს და, ეტყობა, ვერაფრით ვერ შეეთანხმებინათ იგი ჩვენი შავგვრემანი სახეებისათვის. ეკვატორის მცხუნვარე მზის ქვეშ ექვსი თვის ყოფნისას რომ გავვრუჯოდა. ისე ჰკიდებდნენ ხელს ჩვენს კანს, როგორც ვაჭარი სინჯავს ხოლმე საუცხოო თხელ ატლასის ნაჭერს, ზოგჯერ კი ყნოსავდნენ კიდევ.

ჩვენ გარშემო შემოკრებილმა ხალხმა თანდათანობით დამლა იწყო, და შუალამისათვის მხოლოდ სახლის პატრონთა წინაშე აღმოვჩნდით. მათ ახალი ჭილოფები დაგვირიგეს, ტაპების ნაჭრებიც დაგვახურეს, მერე კი სანათები ჩააჭრეს და თვითონაც ჩვენს გვერდით მოთავსდნენ. ერთმანეთს შორის ხანმოკლე გადალაპარაკების შემდეგ მათ ღრმად ჩაეძინათ.

ათასნაირი აზრები მიტრიალებდა თავში და მთელ ღამეს მოსვენებას არ მაძლევდა. განაწამები ტობი ჩემ გვერდით იწვა და გულისძილით ეძინა, მე კი ფეხის ტკივილი არ მაძინებდა

3. ჰერმან მელვილი

და გონებაში ვარჩევდი ჩვენი მდგომარეობის ყველაზე საშინელ შედეგებს. ტაიპები არიან თუ გაპარები? შევკრთი, როცა შევიგრიბენი, რომ საეჭვო აღარაფერი რჩებოდა. რას გვიმზადებდა საზარელი ბედი? ცხადია, ჯერჯერობით ჩვენთვის არავითარი ვნება არ მოუყენებიათ, პირიქით, სტუმართმოყვრულადაც კი მიგვიღეს. მაგრამ განა შეიძლება ენლო ადგილობრივი მკვიდრის ცვალებად ვნებებს, რომლებიც მის სულს დაუფლებიან?!

ამ საშინელი ფიქრებით აღვზნებულმა, მხოლოდ გამთენიის ხანს ჩავთვლიმე. ძილში საზარელ სიზმრებს ვხედავდი. უეცრად გამეღვიძა და წამოვხტი. ირგვლივ კუნძულელები იდგნენ და თავზე დამცქეროდნენ. ნათელი დღე იდგა: სახლი სავსე იყო ყმაწვილი ქალებითა და ქალიშვილებით, რომლებიც რაღაც ჯადოსნურად იყვნენ მორთული ყვავილებით.

მოგვიანებით, როცა მათი რიცხვი ძალიან შემცირდა, სახლში შემოაბაჯა ჩინებულმა მეომარმა. დაბალ შემოსასვლელში ოდნავ დახარა თავი, რომელზედაც ფრთებით გაწყობილი ქუდი ეხურა. შთამაგონებელი შესახედაობა ჰქონდა. ტროპიკულ ფრინველთა ოდნავ მოხრილი ბრწყინვალე გრძელი ფრთები მაღალ ნახევარწრედ ედგა თავს, ხოლო ამ ფრთების ბოლოები ოქროს მძივების ნახევარმთვარით იყო დამაგრებული, რომელიც შუბლზე შემოკვროდა. გარეული ღორის ეშვებისაგან გაკეთებული რამდენიმე უზარმაზარი ყელსაბაში ეკიდა. ეშვები სპილოს ძვალივით იყო დამუშავებული და ისე იყო ასხმული, რომ ყველაზე გრძელები-ფართო მკერდამდე სწვდებოდა. ყურის ნახვრეტებში კაშალოტის ფაქიზად გამოთლილი ორი კბილი ჰქონდა გაყრილი. მეომარს წელზე მუქი წითელი ტაპის მძიმე ნაჭრები ერტყა, რომლებზედაც წინ და უკან ჩამოშვებული წნული ფოჩები ეკიდა. მის შესამოსელს ავსებდა ადამიანის თმებისაგან გაკეთებული რგოლები და სამაჯურები. მარჯვენა ხელში ეჭირა ხის ხელშუბი, თითქმის თხუთმეტი ფუტის სიგრძის ნახევარნიჩაბი, რომელსაც ერთი ბოლო წამახული ჰქონდა, მეორე კი ნიჩბის პირივით გლუვი. სარტყელზე ეკიდა მდიდრულად მორთული წითლად შეღებილი ლერწმის ჩიბუხი, რომლის ირგვლივ თხელი ტაპის პანაწინა ალმები ფრიალებდა. მაგრამ ამ ბრწყინვალე კუნძულის მკვიდრის გარეგნობაში ყველაზე შესამჩნევი იყო ტატუ, რომლითაც მთელი ტანი ჰქონდა დაფარული. ტატუ სახეზეც ჰქონდა, ოღონდ ძალიან უბრალო. კეფიდან დაშვებული

ორი ფართო ზოლი ჯვარედინად ჰკვეთდა ორივე თვალს, ისე რომ ქუთუთოებსაც ეხებოდა, შემდეგ კი ყურების ძირას ჩადი-
ოდა, სადაც უერთდებოდა სწორხაზოვან ზოლს, რომელიც ტუ-
ჩების გასწვრივ მიემართებოდა და სამკუთხედის ფუძეს
ქმნიდა.

ეს მეომარი შემოვიდა თუ არა სახლში, ჩვენგან მოშორებით
დაჯდა. ყურადღებით რომ შევათვალიერე, გავიფიქრე, სადღაც
მინახავს-მეთქი. როგორც კი ჩემკენ მოიხედა და კვლავ დავი-
ნახე მისი უჩვეულო მორთულობა და უცნაური მზერაც შევამ-
ჩნიე, რომელიც წინა დღით ჰქონდა ჩემკენ მოპყრობილი, მიუ-
ხედავად მისი გარეგნობის რამდენადმე შეცვლისა, მაინც ვიცა-
ნი კეთილშობილი მეჭევი. ჩემს მიმართვაზე მაშინვე მიპასუხა
და მხურვალედ მომესალმა, როგორც ჩანს, ცოტა როდი ახა-
რებდა ეფექტი, რომელიც მისმა კოსტიუმმა მოახდინა ჩემს

მცირე ხნის საუბრის შემდეგ, რასაც ენის უცოდინარობა
აძნელებდა (ეს, ეტყობა, აწუხებდა ბელადს), მან შენიშნა, რომ
ფეხი გასივებული მქონდა. მომიახლოვდა, გულდასმით შეათვა-
ლიერა ფეხი, მერე კი იქვე მდგარი ბიჭი გაგზავნა რაღაც დავა-
ლებით. რამდენიმე წუთის შემდეგ ყმაწვილმა ერთი ხნიერი აღ-
გილობრივი მკვიდრი მოიყვანა. მოხუცს მოტყვეპილი თავი ქო-
ქოსის კაკალივით უპრიალეებდა, შევერცხლილი წვერი წელამდე
სწვდებოდა. თავზე შემოვლებული ჰქონდა ომუს ხის ფოთლების
წნული, რომელიც წარბებამდე ჩამოფხატოდა, ეტყობა, მზისაგან
უფარავდა სუსტ თვალებს. ცალი ხელით გრძელსა და წვრილ
ჯოხს დაყრდნობოდა, ჯადოქრის კვერთხს რომ წააგავდა, მეორე
ხელში კი ქოქოსის პალმის მწვანე ფოთლებისაგან მოწნული
მარაო ეჭირა. წელში მოხრილს, ტაპის მოფრიალე მოსასხამი
ჰქონდა მხარზე დამაგრებული, რაც დარბაისლურ შესახედაო-
ბას აძლევდა.

მეჭევი მიესალმა მოხუცს, მიუთითა ჩვენ შორის დამჯდარი-
ყო, შემდეგ კი სთხოვა ჩემი მტკივანი ფეხი გაესინჯა. გულმოღ-
ვინე გასინჯვის შემდეგ მკურნალი შეუდგა თავის საქმეს. რო-
გორც ჩანს, ფიქრობდა, რომ ავადმყოფობას ყოველგვარი
მგრძნობელობა წაერთმია ფეხისთვის; ამიტომ ისე მაგრად და-
მიწყო ჩქმეტა და ცემა, რომ ტკივილისაგან შევეყვირე. ვიფიქრე,
ასეთი ჩქმეტა და ცემა-ტყემა მეც ხომ შემიძლია-მეთქი, და შე-
ვეცადე არ დავთანხმებოდი მკურნალობის ამგვარ ხერხზე. მაგ-

რამ ძველი ექიმბაშის ბრჭყალებიდან დაძრომა იოლი საქმე რო-
დი იყო; ისე მაგრად ჩაეჭიდა ხელი ჩემი უბედური ფეხისათვის,
თითქოს დიდი ხანია ცდილობდა მის დაპატრონებას, რაღაც
ლოცვებს ბუტბუტებდა და თან თავის საქმეს განაგრძობდა. ისე
გამეტებით მირტყამდა ფეხზე, რომ მეგონა ტკივილისაგან გავ-
გიჟდებოდი. მეჭევი კი, იმავე განზრახვით, რითაც ღელას უჭი-
რავს ხოლმე დანტისტის საყარძელში მჯდარი მოფხარკალე ბავ-
შვი, თავისი ღონიერი ხელით მაკავებდა და ამ ბოროტმოქმედს
აქეზებდა განეგრძო ჩემი წამება.

ტკივილისა და ბრაზისაგან თითქმის ჭკუაზე შემცდარი,
მთელი სახლის გასაგონად ვღრიალებდი, ტობი კი რაც შეეძლო
ანიშნებდა, რომ როგორმე დაესრულებინათ ჩემი წამება. ტობის
ხვეწნას დაუგდო ყური ამ მწვალებელმა თუ ღონე აღარ შერჩა —
ვერ გეტყვით, მაგრამ ბოლოს როგორც იქნა შეწყვიტა მკურნა-
ლობა, და იმავე წუთს ბელადმაც გამიშვა ხელი. მე თითქმის
ღონემიხდვილი დავეარდი გულადმა. ჩემმა ექიმმა, ამ ვარჯიში-
საგან ქანცის გაწყვეტის შემდეგ სული რომ მოითქვა, თითქოს
გადატანილი ტანჯვა-წამების ჯილდოდ, კისერზე დაკიდებული
ჩანთიდან რაღაც ბალახ-ბულახი ამოიღო, წყალში დაასველა და
ანთებიან ადგილზე დამადო. იგი დამყურებდა ფეხზე და, არ ვი-
ცი, ლოცვას წარმოთქვამდა ჩურჩულით თუ, მისი წარმოდგე-
ნით, ჩემს კანჭში დაბუდებულ ავ სულთან ჰქონდა იდუმალი
საუბარი. ბოლოს ფეხი ფოთლებით შემიხვია და თავი და-
მანება.

მეჭევი წამოდგა და წასვლა დააპირა. წასვლის წინ მბრძა-
ნებლური კილოთი ელაპარაკა რომელიღაც მკვიდრს, რომელ-
საც კორი-კორის ეძახდა. რამდენადაც გავიგე მისი ლაპარაკი-
დან, ჩემი მოვლა-პატრონობა მას დააეალა.

ბოლოს მეჭევი წავიდა, მას ექიმიც გაჰყვა და მზის ჩასვლი-
სას ჩვენთან იყო მხოლოდ ათი თუ თორმეტი მკვიდრი, ესენი
შეადგენდნენ იმ ოჯახს, რომლის წევრებიც გახლდით ახლა მე
და ტობი. მე გაუნძრევლად ვიწექი, რადგან მეშინოდა, ისევ არ
გამღიზიანებოდა ფეხი, და ჩვენი სახლის აღნაგობას ვათვალი-
ერებდი. ის მიწაზე კი არა, დიდი ქვებისაგან აშენებულ დაახ-
ლოებით რვა ფუტის სიმაღლის საძირკველზე იდგა. წინა მხა-
რეს დატოვებული იყო ვიწრო ზოლი, სადაც სახლი ქვებამდე
არ იყო დასული (ამას ადგილობრივი მკვიდრნი პაი-პაის უწო-

დებდნენ); ეს ადგილი ლერწმის წნულით იყო შევსებული და აივნის მაგივრობას სწევდა. სახლის კედლები მსხვილი ბამბუკისაგან იყო ნაგები, რომლებიც ვერტიკალურად იდგა და ღირეებით იყო შეკრული. ღირეები ქერქის თასმებით დაემაგრებინათ. ნაგებობის უკანა მხარე, რომელიც ქოქოსის პალმის ოხელი ფოთლებით ჩაწნული მისივე შტოებისაგან გაეკეთებინათ, ვერტიკალიდან ოდნავ გადახრილი იყო და ოციოდ ფუტით მაღლდებოდა ქვის საძირკვლიდან; დამრეცი სახურავი პალმის გრძელი, წვეტიანი ფოთლებისაგან იყო დაგებული, ციცაბოდ ეშვებოდა და ხუთიოდ ფუტი ამორებდა მიწას. სახურავის ლავგარდანიდან სახლის წინა მხარეს ფოჩების მსგავსი საკიდურები იყო ჩამოშვებული. ფასადი ტანწერწეტა ლერწმისგან გაეკეთებინათ ხელოვნური წნულის მსგავსად; მას ამშვენებდა ჭრელ-ჭრელი ნასკვები, რომლებიც ფასადის ამა თუ იმ ნაწილს ამაგრებდა.

ეს ლამაზი ნაგებობა სიგრძით თითქმის თორმეტ იარდზე იყო გადაჭიმული, მაშინ როცა სიგანით თორმეტ ფუტსაც არ აღწევდა. სახლის წინა კედლის ჭრილში რომ გასულიყავით, ძალიან უნდა დაგეხარათ თავი. თვით ოთახში ორი გრძელი, პრიალაღეროიანი ქოქოსის პალმა იყო, რომლებიც მთელ საცხოვრებელს გასდევდა; ერთი მათგანი ზედ უკანა კედელზე იყო მიდებული, მეორე კი პარალელურად მიჰყვებოდა ასე ორი იარდის მანძილზე; მათ შორის ადგილი ლამაზი ჭილოფებით იყო მოფენილი. ეს ადგილი წარმოადგენდა ადგილობრივ მკვიდრთა საერთო საწოლსა და განსასვენებელს, აღმოსავლეთის ქვეყნების დივანთა მსგავსს. აქ ეძინათ ღამით და ღლის უმეტეს ნაწილსაც ნებევრობაში ატარებდნენ.

სახურავქვეშ უხეშ ტაპაში გამოკრული რამდენიმე დიდი ფუთა ეკიდა; იქ ინახავდნენ საზეიმო თუ სხვა ტანსაცმელს. კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო შუბები, ხელშუბები და კუნძულელთა სხვა იარაღი. გარეთ, სახლის წინა მოედანზე, იყო პატარა ფარდული, რომელსაც საკუჭნაოდ იყენებდნენ. შიგ სხვადასხვა საყოველღეო საგნებს ინახავდნენ. სახლიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ქოქოსის შტოებისაგან ნაგები დიდი ფარდული იდგა, სადაც, ჩვეულებრივ, „პოი-პოისა“ და სხვა კერძებს ამზადებდნენ.

იმ ოჯახის უფროსი, სადაც ასე მოულოდნელად მოცხვდით მე და ტობი, კორი-კორი იყო. შესახედავად ოცდახუთიოდ წლისა თუ იქნებოდა; სიმაღლით ექვსი ფუტი იყო, ტანადი და ჩასკვნილი, გარეგნობა კი უცნაური ჰქონდა. თავი პირწმინდად გადაეპარსა, მხოლოდ კეფაზე დაეტოვებინა დოლარის სიდიდის ორი მრგვალი ადგილი, სადაც საოცრად გრძელი თმა ორ კვანძად შეეკრა. ეს კვანძები რქიან არსებას ამსგავსებდა მას. წვერულვაში, რომელიც თითქმის სულ ამოგლეჯილი ჰქონდა, ალაგ-ალაგ ეკიდა პატარ-პატარა ფიჩქვებით ზედა ტუჩსა და ნიკაპზე.

კორი-კორი, როგორც ჩანს, მოწადინებული იყო როგორმე გაელამაზებინა თავისი სახე და ამიტომ საჭიროდ ჩაეთვალა გაეკლო მასზე ტატუს სამი ფართო ზოლი, რომლებიც განურჩევლად კვეთდნენ ყველაფერს, რაც გზად ხვდებოდათ: ერთი მათგანი თვალებს გასდევდა, მეორე ცხვირის გავლით კვეთდა სახეს, მესამე ტუჩების გასწვრივ გადიოდა — ყურიდან ყურამდემისი სამზოლშემოვლებული ფიზიონომია მუდამ მაგონებდა იმ უბედურ არამზადათა სახეებს, რომლებსაც საპატიმროს რკინის ცხაურებს იქით ვხედავდით; ხოლო ტანი, ფრინველების, თევზებისა და რაღაც გაურკვეველ არსებათა ურიცხვი გამოსახულებით რომ ჰქონდა დაფარული, ბუნების ისტორიის სურათების კრებულს მოაგონებდა კაცს.

კორი-კორისთან ერთად ცხოვრობდნენ მისი მშობლები: ძალიან მოხუცი, ნახევრად შეშლილი მამა, რომელსაც უკვე ხელი აეღო სოფლის ცხოვრებაში მონაწილეობაზე და მთელ დღეებს შინ ან სადმე ახლომახლო ატარებდა, და კორი-კორის დედა, გულკეთილი ტაინორი, ჯერ კიდევ მკვირცხლი, მოფუსფუსე დედაბერი, ნიადაგ საოჯახო საქმეებით რომ იყო დატვირთული. მათთანვე ცხოვრობდა სამი ახალგაზრდა კაცი — ნამდვილი უსაქმურები, რომლებიც ქალიშვილებთან ღლაბუცობდნენ, „არვას“ სვამდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ თავისნაირ დარდიმანდებთან ერთად. სახლის მუდმივ მცხოვრებთა შორის იყო რამდენიმე ლამაზი ქალიშვილი, რომლებიც უმთავრესად მაღალი ხარისხის ტაპის ქსოვით იყვნენ გართული: მაგრამ ისინი ხშირად გარბოდნენ შინიდან თავის მეგობარ ქალიშვილებთან ერთი-ორი საათით, საანცოდ და სალაქლაქოდ.

ამ ქალიშვილებს შორის უნდა გამოვარჩიო მშვენიერი ფაია-ვეი, ჩემთვის მეტად საყვარელი ქალიშვილი. მისი მსუბუქი, მოქნილი ტანი ქალის გრაციისა და სილამაზის ჭკმშარიტი განსახიერება იყო. წეთისხილისფერი კანი, სახის სწორი ოვალი, მისი ყოველი ნაკვთი ახარებდა თვალსა და გულს, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაღიმებისას ტუჩები გაეპობოდა და ქათქათა კბილები გამოუჩნდებოდა. არათანაბრად გაყოფილი წაბლისფერი თმა კულულებად ეშვებოდა მხრებსა და გულმკერდზე. რომ ჩაფიქრდებოდა მაშინ მის საოცრად ლურჯ თვალთა სიღრმე მშვიდი და შეუღწეველი იყო; მაგრამ რაიმე გრძნობით გაცისკროვნებული, ისინი ვარსკვლავებით უციმციმებდა. ფაიავეის რბილი და ნაზი ხელები ჰქონდა, რადგან ტაიპის ტომის ქალიშვილები, ქალებისაგან განსხვავებით, სრულიად განთავისუფლებული არიან მძიმე და უხეშ სამუშაოთაგან.

ქალიშვილების ტატუირება იშვიათია. ამიტომ ფაიავეი, ისევე როგორც დანარჩენი ქალიშვილები, უფრო ნაკლებ ტატუირებული იყო, ვიდრე ხნიერი ქალები. მორთულობა შედგებოდა სამი ქინძისთავისოდენა წერტილისაგან, რომლებიც ტუჩის თავზე ეხატათ, და მხარზე გავლებული ორი პარალელური ხაზისაგან, რომლებიც სამი სანტიმეტრით იყო დაშორებული ერთმანეთს და სიგრძით ცხრა სანტიმეტრს შეადგენდა, ამ ხაზებს შორის ადგილი კი წვრილად დასაზული პატარ-პატარა ფიგურებით იყო შევსებული. ფაიავეისა და სხვა ქალიშვილების საშინაო ტანისამოსი შედგებოდა ხის ქერქისაგან გაკეთებული სარტყლისაგან, რომელზედაც ფოთლები ან ტაპის ნაჭერი ეკიდა. ჭალაში სეირნობისას ანდა თავისი მეგობარი ქალიშვილების მონახულებისას ისინი თეთრი ტაპის ტუნიკითი იმოსებოდნენ, რომლებიც მკერდიდან ეშვებოდა და მუხლებამდე სწვდებოდათ. ხოლო როცა მზისგულზე დიდხანს ყოფნა უხდებოდათ, ისინი იმავე ქსოვილისაგან შეკერილი მოსასხამებით იცავდნენ თავს მზის სხივებისაგან.

ფაიავეისა და მის მეგობრებსაც, ჩვენი ქალებისა არ იყოს, სხვადასხვა სამკაულებით მორთვა უყვარდათ; სამკაულები ეკეთათ ყურებზეც, ყელზეც, ხელის მტევნებზეც. მაგრამ მათი სამკაულები ყვაეილები იყო. ზოგჯერ ისინა წვრილ-წვრილი ყვაეილების ყელსაბამებს იკიდებდნენ, რომელთა მძივები ლალის თვლებივით ჰქონდათ ასხმული ტაპის ძაფზე, ანდა ყურის ბი-

ბილოში ირჭობდნენ თეთრ კოკორს, რომლის ნაზი ფურცლები ბურთულასავით იყო შეკრული და ნამდვილ მარგალიტს ჰგავდა. კუნძულელ ქალიშვილებს გაგიჟებით უყვარდათ ყვავილები და არასდროს ბეზრდებოდათ ყვავილებით თავის შემკობა.

როცა მეჰევი ჩვენი სახლიდან გავიდა, კორი-კორი დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მან საჭმელი მოგვიტანა და, რადგან ჩემი მოვლა ჰქონდა მინდობილი, დაიჟინა, რომ საკუთარი ხელით ეჭმია. მე, რა თქმა უნდა, სასტიკად ვიუარე, მაგრამ წინააღმდეგობა ამოვ გამოდგა და ბოლოს დაეთანხმდი. ტობის კი ნება დართეს როგორც სურდა, ისე ეჭამა.

ნავახშმევს კორი-კორიმ დასაძინებლად ჭილოფი დამიგო, მიბრძანა დავწოლილიყავი და ტაპის დიდი მოსასხამი დამახურა. თან აღერსიანად შემომცქეროდა და რაღაც სიტყვებს წამოიძახებდა ზოლმე, რომლებიდანაც ასეთი აზრი გამოვიტანე: „კარგად ხომ ჭამე? მაშ კარგად დაიძინე!“ მაგრამ წაქეზება არ მჭირდებოდა: წინა ღამეების უძილო, ვცდილობდი რაც შეიძლება მალე გამომეყენებინა ეს შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ ფეხის ტკივილი რამდენადმე გამიყურდა.

დილით რომ გამეღვიძა, დავინახე, ერთ მხარეს კორი-კორი მეწვა, მეორე მხარეს კი ტობი. თავს ბევრად უფრო მხნედ ვგრძნობდი და მაშინვე დავეყვი კორი-კორის წინადადებას, რომ წავსულიყავი პირის დასაბანად, თუმცა მეშინოდა, რომ სიარული ტკივილს მომაყენებდა. მაგრამ კორი-კორიმ გამათავისუფლა ამ შიშისაგან: იგი ისე დაიკუნა, გეგონებოდა მტვირთავია და ჩემოდანს იკიდებსო, და ველური წამოძახილებითა და ხელის მოძრაობით მიმახვედრა, რომ ზურგზე უნდა შევჯდომოდი, ის კი მიმიყვანდა ნაკადულთან, რომელიც, ეტყობა, სახლს ჩაუდიოდა.

პარმალზე ჩვენი გამოჩენისთანავე სახლის წინ მაყურებელთა მთელი ბრბო შეიკრიბა. ისინი თვალს გვადევნებდნენ და გატაცებით ლაპარაკობდნენ. როგორც კი ერთგულ ჭაბუკს კისერზე მოვხვიე ხელები და მანაც წამომიყვანა, ბრბო, რომელიც უმთავრესად ქალიშვილებისა და ბავშვებისაგან შედგებოდა, ყვირილითა და ხტუნვა-ხტუნვით აკვედვენა. ნაკადულს რომ მიადწია, კორი-კორიმ ფონი მოძებნა და შუა წყალში რომ შევიდა, — ერთ ბრტყელ შავ ქვაზე ჩამომსვა, რომელიც რამდენიმე დუიმიით იყო აცილებული წყალს. არც აქ დავუტოვებივარ მარ-

ტო, დაბანაში მესმარებოდა, წყალში მაჭყუმპალავებდა, ისევე როგორც ძიბა აჭყუმპალავებს ხოლმე აბაზანაში პატარა ბავშუს.

იმავე დღეს, ნასადილევს, მეჰევიმ ერთხელ კიდევ მოგვინახულა. კეთილშობილი კუნძულელი, ეტყობა, კვლავ კარგ გუნებაზე იყო, და ისევ ისე გულითადად მეპყრობოდა, როგორც ადრე. ჩვენთან დაახლოებით ერთი საათი დაჰყო, მერე ჭილოვიდან წამოდგა, გვანიშნა, რომ წასვლას აპირებდა, მე და ტობის შემოგვთავაზა, გამომყევითო. მე ჩემს ფეხზე მივუთითე, მაგრამ მეჰევიმ ამის პასუხად კორი-კორიზე მანიშნა, და მეც დავეთანხმე. ერთგულ მსახურს ზურგზე შევაჯექი და ზღვის პაპასავით ამხედრებული გავყევი ბელადს.

ველის შარავზას დავადექით. რაღაც მანძილი რომ გავიარეთ, კორი-კორის უკვე სუნთქვა ეკვროდა მძიმე ტვირთქვეშ. მე ჩამოვქევეითდი და, მეჰევის გრძელ შუბზე დაყრდნობილმა, თვითონ განვაგრძე სვლა. ვძლევდი მრავალ დაბრკოლებას: გვერდს ვუვლიდი გზაზე ჩამოშვებულ კლდის ნამსხვრევებს, დიდის ვაი-ვაგლახით ვძვრებოდი ხრამებს შორის ვიწრო გასასვლელებში.

ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა: საკმაო სიმაღლეზე რომ ავედით, დანიშნულ ადგილსაც მივალწიეთ. აქ იყო ველის წმიდა ჭალები — სადღესასწაულო და რელიგიური წესების აღსასრულებელი ადგილები. წმიდა პურის ხეთა ჩრდილქვეშ საზეიმო ბინდბუნდი იდგა, თითქოს ტაძარში ვყოფილიყავით. წარმართთა საშინელი ღვთაებები დაჰპატრონებოდნენ აქაურობას და ყოველ საგანს თავის ლოცვას უთქვამდნენ თითქოს. ამ საზარელ ჩრდილთა სიღრმეში აღმართულიყო წარმართთა სალოცაეები, რომლებიც, ტოტებით შებურვილი, თითქმის არც კი ჩანდა. ისინი აგებული იყო უზარმაზარი შავი პრიალა ლოდებისაგან, რომლებიც ერთიმეორეზე დაეწყით უცემენ-ტოდ და სიმაღლით თორმეტ-თხუთმეტ მეტრს აღწევდა. მასზე დაფუძნებული იყო ლერწმის ღობეშემოვლებული ღია ტაძარი. ღობის შიგნით ეყარა შეწირულებათა დამპალი ნარჩენები, პურის ხისა და ქოქოსის პალმის ნაყოფები.

შუაგულ ტყეში მდებარეობდა წმიდათა წმიდა ადგილი „ჰულა-ჰულა“, სადაც ამ ტომის ხალხი ფანტასტიკურ რელიგიურ წესებს აღასრულებდა. „ჰულა-ჰულა“ — ესაა ქვით ნაგები ვრცელი მოგრძო შემადლება, რომლის თავსა და ბოლოში საკურ-

თხელებია აღმართული. საკურთხეველებს ხის უსახურ კერპთა მთელი წყება იცავდა. დანარჩენ ორ მხარეს ჩამწკრივებული იყო ბამბუკის ყარდულები, რომლებსაც ოთხკუთხა შესასვლელი ჰქონდა დატანებული. შუაგულში მდგარი დიდი ხეების ირგვლივ ასეული ფიტარნაგები იყო, რომლებსაც რამდენიმე ფუტი აშორებდა მიწას. ფიტარნაგებს ლერწმის მოაჯირები ერტყა. აქ იდგნენ და ქადაგებდნენ ხოლმე ქურუმები.

ამ წმიდათა წმიდა ადგილს უმკაცრესი ტაბუ ჰქონდა დადებული, რათა ვინმეს არ შეეხებოდა. ყოველ ქალს, რომელიც მკრეხელურად ზადასცდებოდა მის წმიდა ზღურბლს ანდა თუნდაც ფესს დაადგამდა მიწას, მასზე დაცემული ჩრდილისაგან რომ წმიდად ქცეულიყო, იმწამსვე სიკვდილი ელოდა.

შორიასლი მოჩანდა საკმაოდ დიდი ნაგებობა — ქურუმთა და ღვთისმსახურთა ბინა. მის მეზობლად მდებარეობდა მეორე შესანიშნავი შენობა, რომელიც ჩვეულებისამებრ ქვის საძირკველზე იყო აგებული და სიგრძით ორასი ფუტი მაინც იქნებოდა, თუმცა სიგანით ოც ფუტსაც არ აღემატებოდა. ამ ნაგებობის მთელი ფასადი მთლად ღია იყო და თავიდან ბოლომდე ჩასდევდა ვიწრო ტერასა, რომელიც ლელქაშებით შეერაგვათ. შენობაში მთელი იატაკი მოფენილი იყო ჭილოფებით, რომლებიც ქოქოსის პალმებს შორის ეგო.

სწორედ ამ შენობისაკენ წაგვიყვანა მეჰვეიმ. მანამდე ჩვენ მოგვეყვებოდა კუნძულელთა ბრბო — როგორც ქალები, ისე მამაკაცები. მაგრამ როგორც კი სახლს მიუეახლოვდით, ქალები გამოეყვნენ ბრბოს, გვერდზე გადგნენ და გავვატარეს. ულმოებელი ტაბუ ამ შენობაზეც ვრცელდებოდა და ქალთა იქ ყოფნით წაბილწვისაგან იცავდა მას.

სახლში შესული, გავოცდი, ბამბუკის კედელზე მიყუდებული ექვსი მუშკეტი რომ დაეინახე. მათს ღულებზე ეკიდა თითო პარკი ფალია. მუშკეტების ახლოს, სამხედრო გემების კაიუტის ტიხრის დამამშვენებელი ქორდიკების მსგავსად, ეკიდა მრავალი სხვადასხვა შუბი, ნიჩაბი და კომბალი.

— ეტყობა, ამათი არსენალია, — ვუთხარი ტობის.

შენობას რომ ჩაუვარეთ, პირდაპირ განგვაკვიფრა ოთხი თუ ხუთი ბერიკაცის სიმახინჯემ. მათ დაჩანჩანაკებულ ნაკვთებზე დროუამსა და ტატუს, როგორც ჩანს, სულ მთლად წაეშალა ადამიანური თვისებები. კუნძულის მეომრები ტატუირებას მხო-

ლოდ მაშინ ანებებენ თავს, როცა ახალგაზრდობაში მათს სხეულზე გაკეთებული ყველა ნახატი ერთმანეთს შეერწყმის, ეს კი მხოლოდ განსაკუთრებული ხანდაზმულობის შემთხვევებში ხდება. ამიტომ იყო, რომ ჩვენ წინ მსხდარ ბერიკაცთა სხეულს ის მკრქალი მწვანე ფერი დაჰკრავდა, რასაც ტატუ იძენს ხოლმე დროთა განმავლობაში. ამას ემატებოდა საშინელი ქერცლოვანი კანი, რაც ამ უცნაურ შეფერილობასთან ერთად მათი სხეულის ნაკვთებს მწვანე მარმარილოს მტერიან ნიმუშებს ამგვანებდა. ალაგ-ალაგ კანი სქელ-სქელ ნაოჭებად ეკიდათ, ისე როგორც მარტორქას ჰკიდია ფერდებზე ტყავი. თავი სულ მთლად გამელოტებოდათ და უწვერულვაშო სახე უამრავი ნაოჭით ჰქონდა დაღარული. მაგრამ ყველაზე შესამჩნევ თავისებურებას წარმოადგენდა ფეხები: თითები საზღვაო კომპასის ხაზებივით იყვნენ დაშორებული ერთმანეთს და სამყაროს ყველა მხარეს უჩვენებდნენ მსახველს. ეს, ეტყობა, იმიტომ, რომ არსებობის თითქმის ასი წლის განმავლობაში თითები არასოდეს ყოფილან შებოჭილი ფეხსაცმლით და, ასე რომ გაურბოდნენ ახლო მესობლობას, სიბერეში კიდევ უფრო დაშორდნენ ურთიერთს.

ამ საზიზღარ არსებებს, ეტყობა, სულ მთლად დაეკარგათ მოძრაობის უნარი და, ფეხმორთხმულნი, გაქცევებულებივით იხზდნენ იატაკზე. ისინი თითქმის არ გვაქცევდნენ ყურადღებას, მგონი, კარგად ვერც კი გრძნობდნენ ჩვენს იქ ყოფნას, სანამ მეჭევი ჭილოფზე დაგვსხამდა, ხოლო კორი-კორი რაღაც აბდაუბდას რატრატებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა ბიჭი, რომელმაც ხის ჯამით პოი-პოი შემოიტანა. ჭამის დროს კვლავ იძულებული გავხდი დაეყოლოდი ჩემი დაულალავი მსახურის მზრუნველურ წინადადებებს. ამას მოჰყვა სხვა საჭმელები. მეჭევი სტუმართმოყვარული ჟინიანობით გვაიძულებდა გვეჭამა და საამისოდ თვითონაც ღირსეულ მაგალითს იძლეოდა.

ლხინი რომ დამთავრდა, ჩიბუხი გააჩაღეს და ჩამოატარეს. ხან ერთი სწევდა, ხან მეორე. მისი ძილისმომგვრელი მოქმედების, სიჩუმისა და მოახლოებული ღამის ჩამუქებული ჩრდილების გავლენით მე და ტობის რული მოგვერია. ბელადმა და კორი-კორიმაც ჩვენს გვერდით ჩაიძინეს.

შუალამისას რაღაც შფოთიანმა სიზმარმა გამომადვიძა. ჭილოფიდან წამოვდექი და დავინახე, რომ მე და ტობი მარტონი

დავრჩენილიყავით. ტობის ჯერ კიდევ ეძინა, ჩვენი თანა მგზავრები კი წასულიყვნენ. ერთადერთი ხმა არღვევდა სიჩუმეს ეს იყო შორიახლო მწილარე ბერიკაცთა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა, მათ გარდა, რამდენადაც შევიტყვე, სახლში არავინ იყო.

ახლა კი ცუდად არის-მეთქი საქმე, ვიფიქრე და ტობი გავალვიძე. ჩურჩულით დავიწყეთ საუბარი კუნძულის მკვიდრთა მოულოდნელი წასვლის მიზეზზე. უცებ შუაგულ ჭალაში ცეცხლის ალი ავარდა, წამიერად გაანათა მახლობელი ხეები და შემდეგ კი უარეს სიბნელეში გახვია ჩვენი ადგილსამყოფელი.

სანამ ამ სანახაობას ვუცქეროდით, ცეცხლის წინ მოძრაობა დაიწყო შავმა ლანდებმა. ისინი ავი სულებივით დახტოდნენ კოცონის ირგვლივ.

ამის შემყურეს, შიში შემეპარა და ამხანაგს ეუთხარი:

— რას ნიშნავს ეს, ტობი?

— არაფერია, — მიპასუხა მან, — მგონი, ცეცხლს აჩალებენ.

— ცეცხლი! — წამოვიძახე მე, და გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა. — რათ უნდათ ცეცხლი?

— რათა და ჩვენს შესახრაკად. მაშ რისთვისღა შეიძლება ატეხონ კაციჭამიებმა ასეთი ალიაქოთი, თუ არა ამისათვის?

— გეყოფა ხუმრობა, ტობი! აბა რადროს ეგაა!

— ხუმრობა კი არა და! — სად გაგიგონია ჩემი ხუმრობა? არა, როგორ გგონია, რისთვის გეკვებავენ ეს ეშმაკები მთელი ამ სამი დღის განმავლობაში, თუ არა ამისათვის, რაზედაც შენ ლაპარაკის გეშინია? შეხედე ერთი კორი-კორის! განა ის არ გატენის პირში ამ საძაგელ ფაფებს, ისევე როგორც ღორებს ასუქებენ დასაკლავად? დამშვიდებული ბრძანდებოდე, ამ მშვენიერ ღამეს შეგესანსლავენ ორივეს. აი, ცეცხლიც მზადაა, რომელზედაც უნდა შეგეხრაკონ...

— აი ხომ გითხარი! უკვე მოდიან ჩვენს წასაყვანად! — წამოიძახა მან ერთი წუთის შემდეგ, როცა განათებულ ფონზე ოთხი კუნძულელი აილანდა, საფესურებს ამოჰყენენ და ჩვენკენ გამოემართნენ.

ისინი ჩუმად, ფეხაკრეფით შემოვიდნენ და სიბნელეში გაუჩინარდნენ, თითქოს რომელიმე ჩვენგანს უნდა დახტომოდნენ თავზე და შიშობდნენ დროზე ადრე არ შევეშუოთებინეთ. ო, რა შემადრწუნებელი იყო ფიქრი, რომელმაც იმ წუთას თავში გა-

მიეღვა! შუბლზე ცივი ოფლი დამასხა, შიშისაგან ენა ჩამივარდა და დაველოდე, რა მოხდებოდა შემდეგ.

უეცრად სიჩუმე ჩემთვის კარგად ცნობილმა მეპევის ხმამ დაარღვია. მისმა ალერსიანმა კილომ იმწამსვე გამიფანტა შიში.

— ტომო, ტობი, კაი-კაი (ჭამა)! — მოგემართა მან.

— კაი-კაი! მაშ ასე, ხომ? — უთხრა მოღუშულმა ტობიმ. — კეთილი, ჯერ შეგეხრაკე, ვინდა? — დაუმატა მან, როცა გამოჩნდა კიდევ ერთი ველური, რომელსაც, ოხშივარზე ეტყობოდა, ხის დიდი გობით ხორცი მოჰქონდა. ველურმა მეპევის ფეხით დადგა ჭურჭელი.

— ჰოო, მგონი, შემწვარი ბავშვია! მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც არ მინდა! მე ხომ სულელი ვიქნები, რომ ამ შუალამისას თავი გავადვიძებინო იმისთვის, რომ კარგად გამომაძღონ, რათა შემდეგ სისხლმოწყურებულ კაციჭამიათა ნუგბარი ლუკმა გავხდე! არა, მშვენივრად ვხედავ, რა ჩიტებიც არიან. ისა სჯობია, შიმშილით მოკვდე, გაძევალტყავდე. მერე ადგნენ და მიმირთვან, თუ ნებავთ! ერთ ნაჭერსაც არ ახლო პირი, რასაც გაძლევენ! ვინ იცის, რა არის!

— გაესინჯავ და გავიგებ, — ვუთხარი მე და ღეჭვა დაუწყე ხორცის ნაჭერს, რომელიც კორი-კორიმ ჩამიღო პირში. — ჩინებული რამაა! ხბოს ხორცს წააგავს.

— ეს შემწვარი ბავშვია, კაპიტან კუკის სულის ცხონებამ! — წამოიძახა უჩვეულოდ აღზნებულმა ტობიმ. — ხბოს ხორციო! ერთი ხბო მაინც თუ ვნახეთ კუნძულზე იმ დღიდან, რაც ნაპირს მოვადექით? დამიჯერე, რომელიღაც გაპარის ლემით გაქვს გამოტენილი პირი!

მართლაც, საიდან უნდა ეშოვათ ეს ხორცი? გადავწყვიტე, რაც არ უნდა დამჯდომოდა, გამეგო ეს. მეპევის მივუბრუნდი და ვუთხარი, რომ მინდოდა სანათი მოეტანათ. სანათის შუქზე ყურადღებით შევათვალიერე გობი, მაგრამ, ჩვეულებრივი გოჭის ხორცის გარდა, ვერაფერი ვნახე.

— პუარკი, — შესძახა კორი-კორიმ და მხიარულად დახედა გობს.

იმ დღიდან სამუდამოდ დამამახსოვრდა, რომ ასე ჰქვია ღორს ტაიპის ენაზე.

ახალ-ახალ მსიაბეჭდილებებში სრულიად შეუძისხველად გა-
ვიდა კვირა. კუნძულის მკვიდრნი გაურკვეველი მიზეზების გა-
მო თანდათან უფრო მეტი ყურადღებით გვექცეოდნენ. მათ მოჰყ-
რობაში ოდნავი სინჯიც კი არ ერია. რა თქმა უნდა, ვფიქრობდი
მე, ისინი ასე არ მოიქცეოდნენ, რომ ჩვენთვის ცუდი უნდოდეთ-
მეთქი. მაგრამ რა საჭიროა ასეთი ზედმიწევნითი მზრუნველო-
ბა? რას მოელიან ჩვენგან სამაგიეროდ? ვარდა ამისა, მიუხედა-
ვად ჩვენდამი კეთილი დამოკიდებულებისა, მე საკმაოდ კარგად
ვიცნობდი კუნძულელთა ცვალებად გუნებას და ამიტომ არ შე-
მეძლო არ მეგრძნო სიკვდილის მუქარა, რომელსაც ამ კარგ
მოპყრობაში ვვკრეტდი, და არ მეოცნება ველიდან გაქცევაზე.
მაგრამ აქედან წასვლაზე ოცნება განუზორციელებელი იყო —
მე ისევ ვკოჭლობდი. ჩემი ფიქხის მდვიმარეობა, მიუხედავად
ათასნაირი აქაური წამლებისა, თანდათან უარესდებოდა, და ეს
სერიოზულად მაშფოთებდა. მით უფრო ვწუსდი, რომ არ მეს-
მოდა ავადმყოფობის არც მიზეზი და არც ხასიათი. მე უკვე დავ-
კარგე გამოჯანმრთელების ყოველგვარი იმედი და ახლა ყველა-
ზე შავი ფიქრები დამეპატრონა. არც ჩემი ამხანაგის ნუგეშის-
ცემას, არც კორი-კორის გელისამაჩუყებელ ზრუნვას, თვით
ფაიავის ალერსიან ყურადღებასაც კი არ შეეძლო გაეფანტა ჩე-
მი სასოწარკვეთა.

ერთ დილას, როცა ნაღვლიან ფიქრებში გართული ვიწევი
ჭილოფზე, ტობი, რომელიც ერთი საათის წინ წავიდა სადღაც,
უცებ სასწრაფოდ დაბრუნდა და დიდი სიხარულით მითხრა, რომ
ახლა კი დრო იყო გამეხიარულებულიყავი და დაემშვიდებული-
ყავი: ის ფიქრობდა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ქცევა ნავების
ნაპირთან მოახლოებას მოასწავებდა.

ამ ამბავმა მაგიერად იმოქმედა ჩემზე. დგებოდა ჩვენი ხსნის
წუთები! ჭილოფიდან წამოვხტი და თვითონაც მალე დაერწმუნ-
დი, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ჩვენამდე აღწევდა შეძახი-
ლები — „ბოტი! ბოტი!“ (ნაეები, ნაეები!), ჯერ შორეული და
ძლივს გასაგონი, შემდეგ კი მოახლოებული და უფრო ხმაძაღა-
ლი. ბილოს ეს სიტყვები აიტაცა ვიღაცამ, ჩემს მახლობლად
რომ ამძერაღიყო ქოქოსის პალმაზე. შეძახილები ახლა მეზო-
ბელ ჭალაში გაისმა და მერე თანდათან მიწყდა: ასე მიაღწია

ნაპირიდან მიღებულმა ცნობამ ველის ყველაზე შორეულ ადგილებამდე. ეს იყო ადგილობრივ მცხოვრებთა ხმოვანი ტელეგრაფი; მისი მეშვეობით რაიმე ცნობა რამდენიმე წუთში აღწევდა ზღვიდან შორეულ ბინებამდე — რვა-ცხრა მილის მანძილზე მაინც. ახლა ტელეგრაფი განუწყვეტლივ მოქმედებდა: ერთი ცნობა რაღაც უჩვეულო სისწრაფით მისდევდა მეორეს.

ყოველ ახალ ცნობას კუნძულელები დიდი ინტერესით ხვდებოდნენ და გაორკეცებული ენერგიით კრეფდნენ ხეებზე ნაყოფს მოსალოდნელი მუშტრებისათვის მისაყიდად. ზოგი ქოქოსის კაკლებს ფცქვნიდა, ზოგი პურის ხეზე ასულიყო და ნაყოფებს ძირს უყრიდა ამხანაგებს, რომლებიც აგროვებდნენ მათ. ზოგიერთნი თითების სწრაფი მოძრაობით ფოთლებისაგან კალათებს წნავდნენ ნაირ-ნაირი ნაყოფის ჩასაწყობად.

ამ დროს სხვა სამზადისშიც იყო ხალხი. იქ ტანმალალი მეომარი იდგა და ძველი ტაპის ნაჭრით წმენდდა შუბს ან წელზე ფოთლების ქამარს ირტყამდა, აგერ ქალიშვილი ირთებოდა ყვავილებით. და ისევე, როგორც იციან სამყაროს სხვადასხვა კუთხეში სიჩქარისა და დაბნეულობის დროს, ბევრნი შეუსვენებლივ დაფუსფუსებდნენ და ყველგან ყოფდნენ ცხირს, არც თვითონ აკეთებდნენ რამეს და სხვებსაც ხელს უშლიდნენ.

აქამდე არასოდეს გვინახავს კუნძულელები ასე მოფუსფუსენი და აღზნებულნი, და ეს, უეჭველია, ადასტურებდა, რომ დღევანდელის მსგავსი ამბავი იშვიათად ხდებოდა. როცა მე გავიფიქრე, თუ რამდენი ხანი გავიდოდა კიდევ, სანამ კვლავ მოგვეცემოდა გაქცევის შემთხვევა, საშინლად დამწყდა გული, რომ არ შემეძლო მესარგებლა ამ პირველი შესაძლებლობით.

იქიდან, რის გაგებაც შეგვეძლო, ცხადი იყო, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ძალიან ცდილობდნენ ნავებს დროზე და შესაფერისად მომზადებული შეხვედროდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დასუსტებული ვიყავი და ვკოჭლობდი კიდევ, მაინც წავიდოდი აქედან ტობისთან ერთად, მაგრამ კორი-კორიმ არათუ უარი თქვა ჩემს წაყვანაზე, არამედ სასტიკი წინააღმდეგობაც კი გამიწია სახლიდან წასვლაზე. ჩვენი გეგმებით არც სხვა კუნძულელები დარჩენილან კმაყოფილი; ეტყობა, დამწუხრდნენ და გაოცდნენ კიდევ ჩემი გადაწყვეტილებით. ამკარად ვხედავდი: ჩემს მსახურს გადაწყვეტილი ჰქონდა ხელი შეეშალა ჩემი სურვილის განხორციელებისათვის, თუმცა ცდილობდა არ გაემჟღავ-

ნებინა ეს. მე მომეჩვენა, რომ ამ შემთხვევაში (და ეს შემდგომაც ხშირად მომხდარა!) იგი ვილაციის ბრძანებას ასრულებდა.

ტობიმ, რომელმაც გადაწყვიტა გააყოლოდა კუნძულებს, როგორც კი ისინი მოემზადებოდნენ წასასვლელად, და რომელსაც ამის გამო არ გამოუშყდავებია ისეთი ღელვა, როგორც მე გამოეამყდავნე, ახლა განმიცხადა, რომ ჩემი იმედი — დროზე მიმელწია ნაპირისათვის და მესარგებლა იმ შესაძლებლობით, რაც იქ შეიძლებოდა მომცემოდა, — განუხორციელებელი იყო.

— ნუთუ ვერ ხედავ, რომ თვით აქაურებსაც ეშინიათ დაგვიანებისა? განა შენ მიუსწრებ იმათ? თვითონაც გავიქცეოდი წინ, მაგრამ მეშინია, რომ მეტიმეტი აჩქარება ეჭვს აღუძრავთ და განთავისუფლების ყოველგვარ იმედს დაგვაკარგვინებს. თუ შეეცდები მშვიდად და გულგრილად მოაჩვენო თავი, ეჭვს გაუფანტავ და უთუოდ დამრთავენ ნებას, რომ ნაპირზე გაეყვე, რადგან იფიქრებენ, რომ ამას მხოლოდ ცნობისმოყვარეობით ჩაედევარ. თუ ნავებამდე მივალწიე, შევატყობინებ მდგომარეობას, რომელშიც შენ დაგტოვე, და მაშინ იქნებ როგორმე შეეძლოთ გაქცევა.

მე არ შემეძლო არ დაეთანხმებოდი მის მტკიცებას, და რადგან კუნძულებებმა უკვე დაამთავრეს სამზადისი, უდიდესი ინტერესით ვადევნებდი თვალს, როგორ შეხვდებოდნენ ტობის განზრახვას. გაიგეს თუ არა, რომ დარჩენას ვაპირებდი, უარი არ უთქვამთ ამ წინადადებაზე, პირიქით, სიხარულითაც კი მიიღეს. მათმა უცნაურმა ქცევამ ძალიან გამაკვირვა და კიდევ უფრო მეტი იღუპალება შესძინა შემდგომ ამბებს.

კუნძულებები ზღვისკენ მიიჩქაროდნენ. მე მაგრად ჩამოვართვი ხელი ტობის და მზისგან დასაცავად ჩემი ჩალის ქუდი გავატანე, რადგანაც თავისი დაკარგა. მან პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ მოსცილდებოდნენ თუ არა ნავები ნაპირს, მაშინვე დაბრუნდებოდა, და რამდენიმე წუთის შემდეგ მოსახვევში მიიმალა.

მალე ჩაიარეს კუნძულის დანარჩენმა მკვიდრებმაც, და წინ მიმავალთა ხმები შორეთში მიწყდა. ველის ნაწილი, სადაც ჩენი სახლი იდგა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ყველას მიეტოვებინოს. იქ დარჩნენ მხოლოდ კორი-კორი, ძალზე მოხუცებული მამამისი და რამდენიმე დაჩანჩაკებული ბერიკაცი.

მზის ჩასვლისას კუნძულებებმა ნაპირიდან დაბრუნება იწყეს, და მე ვცადე მათ შორის გამერჩია ჩემი ამხანაგი, მაგ-

რამ ისინი ახლო-ახლო მოსდევდნენ ერთმანეთს, და მე ვერ დავინახე იგი. მაინც ვფიქრობდი, მალე დაბრუნდება-მეთქი, და მოთქინებით ეელოდი, როდის გამოინდებოდა მშვენიერ ფაიაკე-ისტან ერთად. ბოლოს დავინახე მოსუცი ტაინორი; მას მოჰყვებოდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც მის სახლში ცხოვრობდნენ. მაგრამ ჩემი ამხანაგი მათთან არ იყო. ეს ავის-მომასწავებლად მეჩვენა, და შევეცადე, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, გამეგო მისი დაგვიანების მიზეზი.

ეტყობა, ჩემმა ამეგარმა კითხვებმა დააბნია კუნძულის მკვიდრნი. ისინი სხვადასხვაგვარ ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ: ერთი მეუბნებოდა, ტობი მალე მოვაო, მეორე — არ ვიცი სად არისო, მესამე კი საშინლად ლანძღავდა ტობის და მარწმუნებდა, რომ იგი გაიპარა და აღარასოდეს დაბრუნდებოდა. მაშინ მომეჩვენა, რომ ისინი ცდილობდნენ სიმართლე დაემალათ ჩემთვის, რადგან შიშობდნენ, ვაითუ ეს საშინელი უბედურება ვერ გადაიტანოსო.

მე შიშით გავიფიქრე, ალბათ ტობის რაღაც უბედურება შემთხვა-მეთქა. ახალგაზრდა ფაიაკეი მოექცენე და შევეცადე როგორმე გამეგო სიმართლე.

ამ ნაზმა არსებამ კარგა ხანია მიიპყრო ჩემი ყურადღება არა მარტო უებრო სილამაზით, არამედ განსაკუთრებული გამგებია-ნობით და ადამიანურობითაც. მის მოპყრობაში, მეტადრე მაშინ, როცა ჭილოფზე ვიწეკი და ფეხის ტკივილისაგან ვიტანჯებოდი, გამოსჭვიოდა ალერსი, რომელიც არ შეიძლებოდა არ მეგრძნო ან არ შემემჩნია. როცა კი არ უნდა შემოსულიყო სახლში, მის სახეზე მუდამ ვკითხულობდი ჩემდამი დიდ თანაგრძნობას. მომიახლოვდებოდა, თანაგრძნობის ნიშნად ხელს ასწევდა, დიდრონ შუქმფინარ თვალებს მომაპყრობდა და ალერსით ჩურჩულებდა: „აჲ-ა! აჲ-ა! ტომო!“ — და დაღვრემილი მომიჯდებოდა გვერდით.

ასეთი კეთილი სახით მევლინებოდა ფაიაკეი. მჯეროდა რა მისი წმინდა გულისა და გამგებიანობისა, ტობის გაუჩინარებით შუშფოთებულმა, სწორედ მას მიემართე.

ჩემმა კითხვებმა აშკარად დააღონა ფაიაკეი. იგი აქეთ-იქით ავლებდა თვალს, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, ეტყობა, არ იცოდა რა ეპასუხა. ბოლოს, ჩემს დაჟინებულ თხოვნას დაჰყვა და გამაგებინა, რომ ტობი წავიდა ერთ-ერთი ნავით, რომე-

ლიც ნაპირს მოადგა, მაგრამ კუნძულებს დაჰპირდა, რომ სამ დღეში დაბრუნდებოდა.

ამის გავონებაზე გავამტყუნე ტობი, რომელმაც ასე ვერაგულად მიმატოვა. მაგრამ შემდეგ, როცა ცოტა დავმშვიდდი, შემრცხვა, რომ მის საქციელში ეჭვი შემეპარა. თავს ვიმშვიდებდი ფიქრით, რომ ნუკუპივის იქით აღარ წავიდოდა, რათა ჩემი განთავისუფლება დაესქარებინა. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობდი მე, როგორც კი მოვმჯობინდები, ჩვენს გაქცევას ხელს აღარაფერი შეუშლის-მეთქი.

ამით ვინუგეშე თავი და დასაძინებლად დავწექი. ამ ღამეს გაცილებით მხნედ ვიყავი, ვიდრე წინა ღამეებში.

მეორე დღემ ისე გაიარა, რომ კუნძულის მკვიდრთ არც უხსენებიათ ტობი. ეტყობა, ერიდებოდნენ მასზე ლაპარაკს. ამან რამდენადმე დამაეჭვა. მაგრამ როცა დაღამდა, ჩემს თავს მივულოცე, რომ უკვე მეორე დღე გავიდა და ხვალ ტობი კვლავ ჩემთან იქნებოდა.

მაგრამ შემდეგი დღეც ასევე მოვიდა და წავიდა, ჩემი ამხანაგი კი არ ჩანდა. ალბათ სამ დღეს იმ დღიდან ანგარიშობს, როდესაც წავიდა-მეთქი, — ვფიქრე. მაგრამ ამ მტანჯველმა დღემაც უმისოდ გაიარა. არც მაშინ დამიკარგავს იმედი: ალბათ რამემ შეაფერხა, შესაძლოა, ნუკუპივისკენ გემის გასვლას დაელოდა და ერთ-ორ დღეში მაინც ენახავ-მეთქი.

მაგრამ დღე დღეს მისდევდა, და თანდათან სასოწარკვეთა მეუფლებოდა. ბოლოს იმედი დავკარგე.

„ჰო, — ვფიქრობდი მე, — ის გაიქცა და სულაც არ ნაღვლობს იმაზე, რომ მის ამხანაგს უბედურება შეიძლება შეემთხვეს. სულელი ვიყავი, როცა მეგონა, კიდეც იფიქრებდა ველზე დაბრუნებას ის, ვინც ერთხელ როგორღაც მოახერხა თავი დაეღწია აქაურობისათვის. იგი წავიდა და დამავლო, რათა მარტომ მარტომ გადავლახო ყველა ფათერაკი, რომლებიც ირგვლივ მაკრავს“. მაგრამ ზოგჯერ თავში მომივიდოდა ხოლმე ფიქრი, რომ ვერაგმა კუნძულებმა თავიდან მოიცილეს იგი, და ამით აიხსნება დაბნეულობაც, რომელსაც ისინი განიცდიან ჩემი შეკითხვების გამო, და არეულ-დარეული პასუხებიც. იქნებ სხვა ტომის ხალხმა ჩააგდო ხელში? ანდა — რაც კიდე უარესია — ის ხვედრი ერგო, რომლის გაფიქრებაც ძრწოლას მგვრიდა. საგონებელში

ჩაუარდნილი ვიტანჯებოდი: ტიობის ამბავი არ აღწევდა ჩემამდე. იგი წავიდა, რომ არასოდეს აღარ დაბრუნდეს.

მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო ტიობის ხვედრი, მისა წასვლის შემდეგ კუნძულები კიდევ მეტ ყურადღებას იჩენდნენ ჩემდამი, კიდევ უფრო კეთილ განწყობილებას ამჟღავნებდნენ და ისეთი პატივისცემით მეპყრობოდნენ, თითქოს ცათ მოვლენილი ვყოფილიყავი.

დღე დღეს მისდევდა და ამ მოპყრობაში არავითარი შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. თანდათან კვირის დღეთა თანმიმდევრობაც დაუკარგე და შეუმჩნეველად დამეუფლა აპათია, რაც ჩვეულებრივ მოსდევს ხოლმე სასოწარკვეთის პირველსავე წუთს. იარა თანდათან მიშუშდებოდა, სიმსივნე დამიცხრა, ტკივილი თითქმის გამიყურდა და ყველა საფუძველი იყო მქონოდა იმედი, რომ ამდენი ხნის მტანჯველი აუადმყოფობისაგან განვიკურნებოდი.

ხოლო მანამდე, სანამ აუადმყოფობა ჯერ კიდევ არ მქონდა მოშორებული და ამის გამო შინიდან არ გამოვდიოდი, კუნძულები ყოველმხრივ ცდილობდნენ გავერთე და თანდათან ჩავვითრიე თავიანთი ცხოვრების ჭირ-ვარაპში. მე ვამაყოფდი იმით, რომ ორჯერ მომიხდა სამსახური გამეწია მათთვის იმ ზოგიერთი ნივთის თუ იარაღის წყალობით, რომლებიც გემიდან მქონდა წამოღებული და რომლის ხმარებაც მათ არ იცოდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ნემსი და სამართებელი.

ერთხელ ნივთების ფუთა გაუხსენი. კუნძულის მკვიდრთა ისე დაუწყეს ცქერა, გეგონებოდა მათ წინაშე ძვირფასეულობით სავსე ზარდახშა ყოფილიყოს. ის, რომ ფუთას ბალიშად ვხმარობდი, მათ დაუშვებლად მიიჩნიეს, და დაჟინებით მთხოვდნენ, რომ ამ საგანძურს თვალისჩინივით გაეფრთხილებოდი. ამიტომ ფუთას თოკი მოაბეს, რომლის მეორე ბოლო სახურავის კოჭს გადააელეს და ასე აიტანეს ჭერამდე, სადაც ეკიდა ზედ ჩემი ჭილოფის თავზე. საჭიროების შემთხვევაში მე ადვილად შემეძლო ჩამომეღო ჩემი ნივთები: საკმარისი იყო თოკის ქვედა ბოლო შემეხსნა და ფუთა ძირს ჩამომეშვა. ეს ძალიან იოლი იყო და მე ათასნაირად ვცდილობდი ამეხსნა კუნძულის მკვიდრთათვის, როგორ ვაფასებდი მათს გამომგონებლობას. ფუთაში მქონდა სამართებელი, ნემსებისა და ძაფის მარაგი, თამბაქოს ნარჩენები და რამდენიმე იარაღი ჭრელი ჩითი.

ტობის გაუწინარებიდან მცირე ხნის შემდეგ. როცა ჩემთვის უკვე ნათელი გახდა, რომ, თუ აქედან ოდესმე მეწერა თავის დაღწევა, ყოველ შემთხვევაში მალე მაინც ვერ გავიღოდი, — შეკუდები ჩემი გარდერობის დათვალიერებას, რომელიც პერანგისა და შარვლისაგან შედგებოდა. ვიფიქრე, თუ ამათ არ გაუფრთხილდი, ჩემს ცივილიზებულ მოძმეთა წინაშე მეტად საკვალლო მდგომარეობაში აღმოვჩნდები-მეთქი. გადავწყვიტე მატროსის კოსტიუმი გამეხადა და დროებით შეემენახა, ჯერ-ჯერობით კი ტაიპის ველის მცხოვრებთა მოდის მიხედვით ჩამეცვა, ოღონდ მათი ჩვეულებრივი სამოსი ჩემი გემოვნებით რამდენამდე შემეცვალა.

ერთხელ ლაბადა გამეხა. მინდოდა კუნძულებებისათვის შეჩვენებინა, რა ადვილი იყო მისი დაკერება. სხვენიდან ჩამოვუშვი ჩემი ფუთა, იქიდან ნემსი და ძაფი ამოვიღე და დაკერებას შეკუდები. ისინი აღტაცებითა და გაოცებით ადევნებდნენ თვალს აქამდე უნახავ საქმიანობას. უცებ მოხუცმა მარჯვიომ შუბლში იტკიცა ხელი, კუთხისკენ გაიქცა, იქიდან ჭუჭყიანი, დაგლეჯილ-გახუნებული ჩითის ნაჭერი გამოათრია — ეტყობა, ნაპირზე გადაეცვალა რაღაცაში — და შემეხვეწა, ჩემი ხელოვნება იმაზე-დაც გამომეყენებინა.

მე სიამოვნებით დავთანხმდი, თუმცა ჩემს მოუქნელ თითებს არასოდეს გაუკერიათ ასეთი უშველებელი გახეული ადგილები. როცა დაკერებას მოვრჩი, ბერიკაცი მამაშვილურად გაღამეხვია, მერე სარტყელი მოიხსნა, ჩითი შემოირტყა, საყურეები გაიკეთა, შუბს ხელი დასტაცა და სახლიდან გავარდა.

სანამ ველზე ვცხოვრობდი, თითქმის არასოდეს მიხმარია სამართებელი, მაგრამ ეს პატარა ნივთი ტაიპების დიდ განცვიფრებას იწვევდა. ნარმონიმ, ადგილობრივ მკვიდრთა ცნობილმა გმირმა, რომელიც განსაკუთრებით აქცევდა ყურადღებას თავის გარეგნობას, და ტატუც ყველაზე გულმოადვინედ ჰქონდა გაკეთებული, მთხოვა სამართებელი გამეხვა მის უკვე გაპარსულ პირზე.

ველურები, ჩვეულებრივ, ზვიგენის კბილით იპარსავენ პირს, თუმცა, ჩემი აზრით, ის ისევე ნაკლებადაა გამოსადეგი საპარსად, როგორც ცალთითა ფიწალი — თივის ასაღებად. რასაკვირველია, ნარმონიმაც უმალ შეაფასა ჩემი სამართებლის უპირატესობა თავის ჩვეულებრივ იარაღთან შედარებით. მაგრამ მე

აუხსენი, რომ სამართებლის აუღესაჲად მის თხოვნას ვერ შეკასრულებდი. ჩემი აზრი რომ გაძეგებინებინა, მე რამდენჯერმე დავისი ხელზე სიბრტყით სამართებელი. ნარმონი მაშინვე მიმიხვდა, გარეთ გავარდა და ერთი წუთის შემდეგ წისქვილის ქვისოდენა ლოდი შოათრია. მაგრამ ამ გამოუჩარხავ ქვაზე სამართებელი კი არ გაიღესებოდა, სულ მთლად დაიმტკერეოდა. სხვა გზა არ იყო, იძულებული შევიქენი გაუღესაჲი სამართებლით გაძეპარსა მისთვის პირი. საწყალი ნარმონი წამებისაგან იკრუნხებოდა, მაგრამ, ჩემს სიმარჯვეში დარწმუნებული, ნამდვილ მოწამესავით იტანდა ტკივილს. ჩლუნგი სამართებლით სულ მთლად დაეუღიჯნე სახე. მაგრამ ნარმონი კმაყოფილი იყო ჩემი სამსახურით და არც მე ვცდილვარ გადაქერწმუნებინა.

თ ა ვ ი 7

როგორც კი იძენად მოემჯობინდი, რომ ველზე ხეტიალი შემეძლო, ნელ-ნელა მივხედე იმ სიამოვნებათ, რომლებსაც ამდენ ხანს მოკლებული ვიყავი. დადიოდი აღმა-დაღმა, ყველანი სტუმართმოყვარულად მხვდებოდნენ, საუცხოო ხილით მიმასპინძლდებოდნენ. მე შემსახურებოდნენ კუნძულები შავთვალა ქალიშვილები, ზრუნეასა და ყურადღებას არ მაკლებდა ერთგული კორი-კორი.

რა თქმა უნდა, ჩემი მოგზაურობა ასე თუ ისე შეზღუდული იყო: მაგალითად, აკრძალული მქონდა ზღვაზე ჩასვლა, და ორისაში წარუმატებელი ცდის შემდეგ ამგვარ სეირნობას თავი დავანებე. უამრავი კუნძულები მახლდა ყველგან, და ახლა ერთი წუთიც არ მახსოვს, რომ მარტოკას გამეტარებინოს. ამიტომ ზღვაზე ჩასვლის იმედი აღარ მქონდა.

მიუხედავად ციკაბო კალთები, რომლებიც ველს შემორტყმოდნენ იმ ადგილას, სადაც კორი-კორის სახლი იდგა, გაქცევის ყოველგვარ იმედს მისპობდნენ მაშინაც კი, თუ კუნძულის მკვიდრთა ფხიზელ თვალს გამოეპარებოდი. მაგრამ ახლა ისეთი ფიქრები იშვიათად თუ მეწვეოდნენ ხოლმე: არსებულით კმაყოფილდებოდი და ეცდილობდი უსიამო აზრები თავიდან გამოქედენა.

ვუტკეროდი ამწვანებულ ველს, სადაც ცოცხლად ვიყავი დამარხული, ამ ველზე ქონგურებივით შემოვლებულ მაღალი მთი-

ბის მწვერვალებს და თავს ძალას ვატანდი მეფიქრა, რომ აღ-
თქმულ მიწაზე ვიყავი, რომ ამ მწვერვალთა გაღალმა იყო სამყა-
რო, აღსავსე ზრუნვითა და ამაოებით.

ერთხელ ხეტიალში კვლავ მივადექი წმიდა ჭალებს, რომ-
ლებიც შუაგზაზე მდებარეობდა. კორი-კორიმ შემიმთავაზა, მე-
ჩვეი აქ ცხოვრობს და ვინახულოთო. შუადღისას მექვეისა და
ტომის სხვა ბელადებთან ერთად ჭილოფზე წამოვწექი და წაე-
თელიმე. უეცრად რაღაც ველურმა შეძახილებმა გამომადვიდა.
ზეზე წამოვხტი და დავინახე, ადგილობრივი მკვიდრნი შუბებს
სტაცებდნენ ხელს და სადღაც მიეშურებოდნენ. მექვეიმ კედელ-
ზე მიყუდებულ ექვს მუშკეტს წამოავლო ხელი და ჭალაში გა-
უჩინარდა. ადგილობრივ მცხოვრებთა ყოველ მოქმედებას თან
ახლდა მძვინვარე შეძახილები, რომელთა შორის გაეარჩიე ორი
სიტყვა: „გაპარ! გაპარ!“

კუნძულელები ჭალიდან გაპარის ველისაკენ გარბოდნენ.
უცებ მახლობელი ბორცვებიდან მომესმა მუშკეტის ბათქი და
ხმები. ჭალაში ქალები შეგროვილიყვნენ და საზარლად კიოდ-
ნენ. როგორც ცნობილია, ყველა ქვეყნის დედაკაცებს სჩვევიათ
ხმაური დეღვა-შფოთვისას, ამას, ეტყობა, იმიტომ აკეთებენ,
რომ თვითონ თავი დაიმშვიდონ და სხვები ააღელვონ. ახლა მათ
ისეთი აუტანელი ხმაური ატეხეს, ისე გაუთავებლად ყვირიდ-
ნენ, რომ მეზობელი მთებიდან მუშკეტების ბათქსაც ვერ გაეი-
გონებდი.

როცა ქალების დეღვა ცოტა შენედა, გატაცებით დაუწყე
ლოდინი, რა მოხდებოდა შემდეგ. კვლავ გავარდა თოფი და ბორ-
ცვებიდან კვლავ მოისმა საპასუხო კივილი. კვლავ ჩამოვარდა
სიმშვიდე და ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ ვიფიქრე, მეომარ-
მა არმიებმა დროებით შეწყვიტეს-მეთქი ერთმანეთის მტრობა.

მესამედაც გავარდა თოფი, რასაც კვლავ მოჰყვა კივილი.
ამის შემდეგ ორი საათის განმავლობაში არაფერი ისმოდა, გარ-
და ბორცვებიდან მოღწეული ცალკეული შეძახილებისა, რომ-
ლებიც ტყეში გზადაბნეული ბიჭუნების ძახილს უფრო
ჰგავდა.

ამ ხნის განმავლობაში ვიდექი სახლის ჰარმალზე, რომელიც
სწორედ გაპარის მთას გაჰყურებდა; ჩემთან იყვნენ მხოლოდ კო-
რი-კორი და ძალზე მოხუცი მკვიდრნი, რომლებზეც უკვე მო-
გახსენეთ. ისინი არასოდეს დგებოდნენ თავიანთი ჭილოფები-

დან და, ეტყობა, ბაიბურშიც არ იყვნენ, რაოდენ უჩვეულო ამბავი ხდებოდა ახლა.

მაგრამ კორი-კორის მიაჩნდა, რომ ჩვენ დიადი მოვლენების ცენტრში ვიმყოფებოდით, და დიდი გულმოდგინებით ცდილობდა შეეგნებინებინა ჩემთვის მათი დიდმნიშვნელოვნება. ჩვენამდე მოღწეულ ყოველ ხმას თავისებურად აფასებდა. ხელების ათასნაირი მოძრაობით მიჩვენებდა, როგორ სჯიდნენ ახლა საშინელი ტაიპები თავზედ მტერს.

ყოველ ხუთ წუთში წამოიძახებდა ხოლმე მეჰევის სახელს, რათა გამეგო, რომ ამ ბელადის წინამძღოლობით მისი ტომის მეომრები ძალისა და მამაცობის სასწაულებს ახდენდნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მუშკეტის მხოლოდ ოთხი გასროლა რომ გავიგონე, ვიფიქრე, ალბათ ტომის მკვიდრნი ისევე ხმარობდნენ ამ იარაღს, როგორც სულთანი სოლიმანი უშენდა თავის მძიმე არტილერიას ალყაშემორტყმულ ბიზანტიასმეთქი, რადგან მუშკეტის გატენასა და გასროლას ერთ საათს უნდებოდნენ. ბოლოს, როცა უკვე მთებიდან ჩვენამდე არავითარი ხმები აღარ აღწევდა, დავასკეენი, რომ წამება დასრულდა.

ასეც აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოიბრინა შიკრიკმა, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა, და გვაუწყა თავისი დიდი თანამემამულეების მიერ მიღწეული დიდი გამარჯვება.

— ლაჩრები გაიქცნენ! ლაჩრები გაიქცნენ!

კორი-კორი აღტაცებული იყო. მისი მჭკვერმეტყველური მისალმების მიხედვით მივხვდი, რომ ასეც ელოდა, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც ცეცხლის შთანთქმელთა ჯარი, მისთვის სრულიად ამაო იქნებოდა ჩვენი ველის უძლეველ გმირთა წინააღმდეგ ლაშქრობა. ეს, რა თქმა უნდა, მეც დავიჯერე და დიდი ინტერესით ველოდი გამარჯვებულთა დაბრუნებას, თან ვშიშობდი, რომ ეს გამარჯვება უდანაკარგოდ არ ჩაივლიდა.

მაგრამ შევცდი. მეჰევის სამხედრო მოქმედების დროს დაეზოგა თავისი ძალები და მეომართა ტყუილუბრალო თავგანწირვას მორიდებოდა. გამარჯვებულთა დანაკლისს შეადგენდა მხოლოდ სალოკი თითი და ცერის ფრჩხილი (რომელიც მისმა პატრონმა არ დატოვა ბრძოლის ველზე). გარდა ამისა, ერთ-ერთ ბელადს სისხლი სდიოდა თეძოდან. რა ზარალი განიცადა მტერმა, ვერ გავიგე, მაგრამ, ვფიქრობ, გაპარებმა შეძლეს თან წავლეთ თავისიანთა გვამები.

ასეთი იყო, რამდენადაც შემეძლო განმესაჯა, ბრძოლის პე-
დი, და რადგან ადგილობრივი მკვიდრნი ამას უჩვეულო და სა-
ოცარ მოვლენად თვლიდნენ, ვიფიქრე, რომ კუნძულელთა მეომ-
რები საერთოდ ერიდებოდნენ დიდ სისხლისღვრას. შემდგომ
შევიტყვე, როგორ დაწყებულყო შეტაკება. შეემჩნიათ, რომ
რამდენიმე გაპარი მტრული განზრახვით დაძრწოდა მთის იმ
კალთაზე, რომელიც ტაიპის ტომს ეკუთვნოდა. ტაიპებმა განგა-
ში ატეხეს და კარგა ხნის წინააღმდეგობის შემდეგ საზღვრის
იქით გადარეკეს.

მაგრამ რატომ არ ვანაგრძო გაპარების წინააღმდეგ ომი
უშიშარმა მეჭვიმ? რატომ არ გადავიდა მტრის ტერიტორიაზე
და ნადავლის სახით არ წამოიღო რაიმე მსხვერპლი კანიბალუ-
რი ვართობისათვის, რომლითაც, როგორც გამეგონა, მთავრდე-
ბოდა ჩვეულებრივ ყოველგვარი განზრახვა? ბოლოს და ბოლოს,
უკვე შემეძლო მერწმუნა, რომ ამგვარ ნადიმებს, შესაძლოა, იხ-
დიდნენ, მაგრამ ძალიან იშვიათად. ეს ამბავი ორ-სამ დღეს სა-
ერთო მსჯელობის საგანი იყო; მერე აღვზნება თანდათან დაცხ-
რა და ველი ჩვეულმა სიმშვიდემ მოიცვა.

თუმცა მალე ახალმა ამბავმა დაარღვია ჩემი არსებობის
ერთფეროვნება.

ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა მე ნიადაგ გულისხმიერ
ფაიავეის სიმპათიისა და მადლიერების ნიშნად კაბა შევუკერე
ჩითისაგან, რომელიც ტობიმ გემიდან წამოიღო. უნდა გითხ-
რათ, რომ ამ კაბაში გამოწყობილი ფაიავეი ბალეტის მოცეკვა-
ვს ჰკავდა.

ნასადილევს სახლში ვიწეკი და ფაიავეისთან ყოფნით ვერ-
თობოდი, რომ ძლიერი ხმაური შემომესმა. მაგრამ მე უკვე შეჩ-
ვეული გახლდით ველურ შეძახილებს, რომლებიც დროდადრო
გაისმოდა ხოლმე ველზე, და ამიტომ ყურადღება არ მიმიქცე-
ვია, სანამ მოხუცმა მარჭიომ, კორი-კორის მამამ, რაღაც უც-
ნაურად აღვზნებულმა არ მოირბინა ჩემთან:

— მარნუ პეი (მარნუ მოვიდა)! — მაუწყა მან.

ბერიკაცი აშკარად მოელოდა, რომ ეს ამბავი ძლიერ შთა-
ბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე: ერთხანს იდგა და დაჟინებით
შემომცქეროდა, უნდოდა გაეგო, როგორ მივიღებდი მის ნათ-
ქვამს. მაგრამ რომ არ გაენძრეულვარ, ისევე სწრაფად გავარდა
ბინიდან, როგორც შემოვიდა.

„მარნუ, მარნუ... — ვფიქრობდი მე. — აქამდე არასოდეს გამი-
გონია ეს სახელი. ეს აურზაურიც, ამათ რომ ატეხეს, რამდენ-
ნადმე სხვაგვარია...“

მოახლოებულ ადგილობრივ მკვიდრთა ხმაური თანდათან
ძლიერდებოდა. „მარნუ!, მარნუ!“ — ამ სახელს იმეორებდა ყველა.

მე ვიფიქრე, ალბათ რომელიმე მეომარმა, რომელთან შეხ-
ვედრის ბედნიერებაც არ მქონდა აქამდე, მოისურვა პატივი დამ-
ლოს-მეთქი. ასეთი პატივმოყვარე გაეხდი იმ განსაკუთრებული
ყურადღების გამო, რომლითაც ირგვლივ მყოფნი მეპყრობოდნენ.
მარნუს ამ დაუდევრობის გამო განვიზრახე ცივად მიმელო იგი.
მე მომიახლოვდა ბრბო, რომელსაც მოჰყავდა ადამიანის შოდგ-
მის ყველაზე განსაცვიფრებელი წარმომადგენელი, რომელიც კი
მენახა ჩემს დღეში.

უცხო ქვეყნის მკვიდრი ოცდახუთ წელზე მეტი ხნისა არ
იქნებოდა. შუა ტანისა იყო; ოდნავ მაღალიც რომ ყოფილიყო,
მისი ტანის უზადო პროპორციულობა დაირღვეოდა. შესანიშნა-
ვი აღნაგობისა გახლდათ. სახის სწორი ნაკეთები, დაწეების
მოხაზულობა პოლინეზიელ აპოლონად ხდიდა მას. მართლაც,
სახის ოვალი და ნაკეთების სისწორე ანტიკურ თავს მოაგონებ-
დნენ მნახველს. მაგრამ ხელოვნების ნაწარმოების მარმარილო-
სებრ სიმშვიდეს ემატებოდა გამომეტყველების ის სითბო და
სიცოცხლე, რაც სამხრეთის ოკეანის კუნძულებს აქვთ მხო-
ლოდ. შავი თმა წვრილ-წვრილ კულულებად ჩამოშვებოდა სა-
ფეთქლებსა და კისერზე. ეს კულულები სულ ერთთავად უთრ-
თოდა ლაპარაკის დროს. ლოყები ქალსავით ნაზი ჰქონდა, სახე-
ზე ერთ ტატუსაც ვერ უპოვიდით, თუმცა მთელი ტანი ფანტას-
ტიკური ფიგურებით ჰქონდა მოხატული. ექვსიოდ სანტიმეტრის
სიგანის თეთრი ტაპის მსუბუქ ქამარზე წინ და უკან ფონები
ეკიდა. სულ ეს იყო ყარბის სამოსი.

ის ახლოვდებოდა. კუნძულებით გარშემორტყმულს, ცალ
ხელში დახვეული ლაბადა ეკავა, მეორეში — მდიდრულად მო-
ხატული შუბი. ისე ეჭირა თავი, როგორც მოგზაურს, რომელ-
მაც იცის, რომ დასასვენებლად მოხერხებულ ადგილს უახლოვ-
დება. წამდაუწუმ მიუბრუნდებოდა ხოლმე ხან ერთსა და ხან
მეორე თანამგზავრს, ეტყობა, მოსწრებულ პასუხს სცემდა ყო-
ველ კითხვაზე, და ისინიც თავს ვერ იკავებდნენ და ხარხარებ-
დნენ.

მე განმაცვიფრა ამ კაცის ქცევამ და თავისებურმა შესახედლობამ, რაც სულაც არ ჰგავდა პირწმინდად გაპარსულ ადგილობრივ მკვიდრთა გარეგნობას, სახეები ტატუთი რომ ჰქონდათ აჭრელებული. მის შემოსვლასე უნებურად წამოვდექი და ჩემს გვერდით დაჯდომა შეეთავაზე. მაგრამ უცხოელმა არათუ ჩემი თავაზიანობა, ჩემი იქ ყოფნაც არ ცნო ყურადღების ღირსად, გვერდი ამიარა, არც კი შემომხედა, ისე ჩამოჯდა საწოლის ბოლოს, რომელიც მთელ ბინას გასდევდა.

მისმა ქცევამ განმაცვიფრა და აღმაშფოთა. ადგილობრივ მცხოვრებთა მოპყრობის გამო მუდამ ცნობისმოყვარეობისა და პატივისცემას მოველოდი ყოველი ახალშეხვედრილისაგან. მაგრამ უცხოელის უცნაურმა ქცევამ სურვილი აღმიძრა გამეგო, ვინ იყო ეს შესანიშნავი პიროვნება, საყოველთაო ყურადღება რომ მიიპყრო.

ტაინიარმა პოი-პოით სავსე კვახი დაუდგა, და სტუმარი შეექცა კერძს. ადგილობრივ მკვიდრთა მისდამი განსაკუთრებული ერთგულება და ჩემს მიმართ ზიზღი რომ შევნიშნე, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, „ტომოს დიდების მზე ჩაესვენა. რაც უფრო ჩქარა დატოვებს იგი ამ ველს, მით უკეთესი“. ასეთი იყო ჩემი გრძნობები იმ წუთას, და მათ მხარს უჭერდა პრინციპი, რომელიც ახასიათებს ყველა გმირული ბუნების პიროვნებას, — ან ჰუდინგის კაი მოზრდილი ნაჭერი უნდა დაითრიო, ანდა სულ უჰუდინგოდ დარჩე.

მარნუს უკვე აღარ შიოდა. მან რამდენჯერმე გააბოლა ჩიბუხი, რაღაც ამბის მოყოლა დაიწყო და საბოლოოდ მიიპყრო მსმენელთა ყურადღება. ენა კარგად არ მესმოდა, მაგრამ მთხრობელის ხელების მკვირცხლი მოძრაობით და სახის გამომეტყველების მიხედვით (ეს მოძრაობა და ცვალებადი გამომეტყველება როგორც სარკეში, ისე აისახებოდა მსმენელებში) ვხვდებოდი, რაზე ლაპარაკობდა და რა ენებების აღძვრას ცდილობდა მათში. „ნუკუპივა“, „ფრანი“ (ფრანგები), და ზოგიერთი სხვა სიტყვის ხშირი ხმარებით, რომელთა მნიშვნელობაც ვიცოდი, მივხვდი, რომ იგი მეზობელ ყურეებში ახლახან მომხდარ ამბებს ჰყეებოდა. დაწერილებით ლაპარაკობდა ფრანგების თავდასხმაზე, ადგილობრივ მკვიდრთა შევიწროებაზე, სხვადასხვა ნავსადგურში შესვლაზე; მერე წამოხტა, წინ წაიხარა და საშინელი წველა-კრულვა გაუგზავნა ფრანგებს. ტაიპებს მოუწოდებდა

წინააღმდეგობა გაეწიათ, მოაგონებდა, რომ აქამდე მათი სახელის ხსენებაც კი კმარიდა, რომ ფრანგებს ვერ გაეხედათ თავდასხმა, და დაცინვით ლაპარაკობდა, რა მხალეები არიან ფრანგები, რომლებიც ვერ ბედავენ ზარბაზნები დაუშინონ ამ ველის ტანშიშველ მეომრებს.

მაგრამ მე ვერ მივმხვდარიყავი, საიდან იცოდა ყოველივე ეს, თუკი თვითონაც ნუკუპივიდან არ იყო მოსული ახლახან. უკანასკნელი ვარაუდის სისწორეს ისიც ადასტურებდა, რომ მარნუ მტვერში იყო ამოგანგლული. მაგრამ თუ იქაურია, მაშ რატომღა შეხვდნენ ასე გულითადად ტაიპები? მისმა ნაამბობმა განსაცვიფრებელი ეფექტი მოახდინა; ყველა მსმენელი ერთბაშად წამოხტა ზეზე, თვალანთებულნი შეჰყურებდნენ, თითქოს წინასწარმეტყველის შთამაგონებელ ხმას ისმენნო.

ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. ეტყობა, მართლა ვერ ამჩნევდა ჩემს იქ ყოფნას. საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, ვერა და ვერ ამეხსნა მისი უცნაური ქცევა. ვხედავდი, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებზე დიდი გავლენა ჰქონდა, რომ განსაკუთრებული უნარის პატრონი იყო, რომ ადგილობრივ მკვიდრებზე მეტი იცოდა. შიში შემეპარა, ვაითუ ამა თუ იმ მიზეზის გამო ამითვალწუნოს და ეს გავლენა ჩემს წინააღმდეგ გამოიყენოს-მეთქი.

უეჭველია, ველის მკვიდრი არ იყო. მაგრამ საიდან შეიძლებაოდა ყოფილიყო მოსული? ტაიპები მტრის ტომებით იყვნენ გარშემორტყმული და როგორ შეიძლებოდა, რომ იგი, ერთერთი მათგანის მკვიდრი, ასე გულითადად მიეღოთ? რით აიხსნება მისი უჩვეულო გარეგნობა? ყველაფერი გაუგებარი იყო და მოუთმენლად ველოდი, როდის გამომჟღავნდებოდა საიდუმლო.

ბოლოს, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით მივხვდი, რომ შემჩნეული ვყავი, თუმცა ძალიან გაურბოდი ჩემი სახელის ხსენებას და ჩემკენაც კი არ იყურებოდა. უცებ ჭილოფიდან წამოღვა, ჩემთვის არც ახლა შემოუხედავს, ისე განაგრძო საუბარი და დაახლოებით ერთი იარდის მოშორებით დაჯდა. განცვიფრებისაგან გონს არც კი ვიყავი მოსული, რომ უეცრად მომიბრუნდა და სრულიად მშვიდად, მზიარულად გამომიწოდა მარჯვენა ხელი. მე, რა თქმა უნდა, მივიღე ეს მეგობრული გამოწვევა. შევხენ თუ არა ერთმანეთს ჩვენი ხელები, იგი დაიხარა და, თითქოს მღერისო, ინგლისურად გამომელაპარაკა.

— როგორ ცხოვრობ? დიდი ხანია აქა ხარ? მოგწონს აქაურობა?

ერთდროულად სამი შუბი რომ ეტყორცნათ გაპარებს, ისე არ გაეშეშდებოდი, როგორც ამ უბრალო კითხვებზე დამემართა. წუთით თითქოს ენა ჩამივარდა, მერე კი ავითონაც არ მახსოვს, რა ვუპასუხე. მაგრამ გონს მოვედი თუ არა, თავში გამიელვა, რომ ამ კაცისაგან შეიძლებოდა გამეგო ტობის ამსავი, რასაც აქამდე — როგორც ვეჭვობდი — ადგილობრივი მკვიდრნი მიმაღავენენ. ამიტომ მაშინვე ვკითხე ჩემი გაუჩინარებული ამხანაგის შესახებ, მაგრამ ამასზე არაფერი იცოდა. მაშინ ვკითხე, საიდან მოხვედი-მეთქი. ნუკუპივიდანო, მითხრა. გაკვირვება რომ გამოვხატე, ერთხანს მიყურა, თითქოს ჩემს გაოგნებაზე ეცინებო, და მერე წამოიძახა:

— მე ტაბუ მიცავს, მე ნუკუპივას მივეშურები, ტაიორი, ტაიპი, ყველა უნდა მოვიარო, ხელს ვერაფერს მახლებს — ტაბუ მაქვს დადებული.

ეს განმარტება სრულიად გაუგებარი იქნებოდა ჩემთვის, რომ არ მომგონებოდა ადგილობრივ მკვიდრთა უცნაური ადათის ამბავი, რომელიც ოდესღაც გამეგონა. თუმცა კუნძულზე სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, რომელთა შორის მტრობა მათს ყოველგვარ ურთიერთობას გამორიცხავს, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა მტრული ტომის ორი კაცი ერთმანეთს უშეგობრდება, და მაშინ — გარკვეულ ფარგლებში — თითოეული მათგანი უფლებამოსილია დაუსჯელად გაემართოს მეგობრის ქვეყანაში, სადაც სხვაგვარ ვითარებაში მტრად მიიჩნევენ.

მე ვკითხე, სად და როგორ ისწავლე-მეთქი ინგლისური ენა. თავდაპირველად რატომღაც გაურბოდა ამ კითხვაზე პასუხს, მაგრამ მერე მითხრა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში წაეყვანა ერთი სავაჭრო გემის კაპიტანს, რომელთანაც სამი წელი დაეყო, ერთხანს სიდნეიშიც ეცხოვრა, ავსტრალიაში.

მარნუს უნდოდა გაეგო, როგორ აღმოეჩნდი ტაიპის ველზე... სანამ იმას ვუყვებოდი, თუ რა ვითარებაში მოევლით აქ მე და ტობი, იგი აშკარად ინტერესით მისმენდა. მაგრამ როგორც კი ჩემი ამხანაგის გაქცევაზე დავიწყე ლაპარაკი, შეეცადა სხვა რამეზე ჩამოეგლო სიტყვა. ეტყობა, ყველაფერს, რაც ტობისთან იყო დაკავშირებული, მართლაც უნდობლობა და მოუსვენრობა უნდა აღეძრა ჩემში. მე არ მჯეროდა მარნუს ნათქვამი, თითქოს

ტობისა არაფერი იცოდა, და ახლა მასშიც შემეპარა ეჭვი. ამ ეჭვმა გამიცხოველა იმ ხვედრის საშინელი წინაგრძნობა, რაც ზე მელოდა.

ამგვარმა ფიქრებმა ისე შემიპყრო, რომ სულით და გულით მომინდა უცხოელის მფარველობის ქვეშ, მისი შემწეობით დაგბრუნებულიყავი ნუკუპივაში. მაგრამ როგორც კი ამაზე გადავუკარი სიტყვა, კატეგორიულად განმიცხადა, ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან ტაიპები არამც და არამც არ გამოგიშვებენო. თუმცა მისი ნათქვამი ჩემს ვარაუდს ადასტურებდა, მაგრამ ტყვეობიდან თავდაღწევის სურვილი თანდათან უფრო მიძლიერდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტყვეობა რამდენადმე სასიამოვნოც იყო.

როცა შევეცადე გამეგო მისგან მიზეზები, რომელთა გამო ტყვეობაში მამყოფებდნენ კუნძულები, მარნუმ ისეთივე იდუმალეობით აღსავსე ტონით დამიწყო ლაპარაკი, როგორც მაშინ, როცა ჩემი ამხანაგის ამბავს ვეკითხებოდი. მაგრამ ეს ტონი, რომელიც ყველაზე საშინელ წინაგრძნობას აღმიძრავდა, კვლავ ახალ-ახალი ცდისაკენ მიბიძგებდა. მე დავაფიცე ადგილობრივ მკვიდრთა წინაშე გამოქომაგებოდა და ცდილიყო დაეყოლიებინა, რათა გავეთავისუფლებინე. როგორც ეტყობა, ყოველმხრივ წინააღმდეგი იყო ამისა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რომ აღარ მოვეშვი, დამითმო და მიმართა კიდეც ზოგიერთ ბელადს, რომლებიც დანარჩენ ხალხთან ერთად თვალს არ გვაშორებდნენ საუბრისას. მაგრამ მის გამოქომაგებას მძვინვარე წინააღმდეგობით შეხვდნენ, რაც ჩვენდამი მომართულ ბრაზიან გამოხედვაში, ხელების მოძრაობასა და ცხარე სიტყვებში გამოიხატა. მარნუმ, ეტყობა, მოინანია გადადგმული ნაბიჯი, შეეცადა ბრბო დაემშვიდებინა და რამდენიმე წუთის შემდეგ ყვირილი და ხმაური, რითაც მის წინადადებას შეხვდნენ, მიწყდა.

ბევრი ფიქრი არ იყო საჭირო ამაში დასარწმუნებლად, რომ მარნუს ეს ჩარევა სწრაფად არ მიეცემოდა დავიწყებას. ძალიან გამიჭირდა დამეთრგუნა გრძნობები, მაგრამ მაინც გულითადი საუბარი გავუბიძგე, რათა ცული შთაბეჭდილება არ დარჩენოდა ჩემზე. მაგრამ განრისხებული ბელადი არც ისე იოლად მშვიდდებოდა ხოლმე. მან მკაცრი გამოხედვით უარყო ჩემი ცდა (ეს გამოხედვა ჯერ კიდეც პირველი დღეებიდანვე დამამახსოვ-

რდა) და შეეცადა მიეღო თავისი ქცევით გამოეხატა უკმაყოფილება და წყენა.

მარნე მომშორდა და სახლის ერთი ბოლოდან მეორეში გადავიდა. აშკარად სურდა როგორმე მიეღწია იმისათვის, რომ სქმდამი ღმობიერება გამოეჩინათ, და ათასნაირი ხუმრობით არიობდა ბრბოს; მაგრამ არც მის ცდას ჰქონდა ძველებური წარმატება. იგი ღირსეულად წამოდგა და წასვლა დააპირა. არავის დანანებია, როცა ლაბადა აიღო, შუბს დასწვდა და გასასვლელი-საკენ გაემართა. გამომშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია მღუმარე ბრბოს, მერე კი სინანულით და თანაც საყვედურით გადმოშედა. თვალი გაეაყოლე მიმავალს და მანამ შეეცქეროდი, სანამ ჭალის სიბნელეში არ გაუჩინარდა, სოლო შემდეგ შავი ფიქრების ამარა დაერჩი.

თ ა ვ ი 8

არაფერია ისე ერთფეროვანი, როგორც ტაიპის ველზე ცხოვრება: ერთმანეთს მისდევენ მშვიდი, უსაქმურად და უზრუნველად გატარებული დღეები. კუნძულელებისათვის, რომლებიც დიდი სიბრძნით არ ბრწყინავენ, ერთი დღის ისტორია მთელი სიცოცხლის ისტორიაა.

დაეწყით დილიდან. ჩვენ არც ისე ადრე ვდგებოდით: მზე უკვე ოქროს ისრებს ტყორცნიდა გაპარის მთის მწვერვალს, როცა ტაპის საბანს გადავიტოვეთ, გრძელ ტუნიკზე ქამარს შემოვირტყამდი და ფაიავეის, კორი-კორისა და დანარჩენ მკვიდრებთან ერთად გამოვიდოდი სახლიდან. ყველანი მდინარისაკენ მივეშურებოდით. აქ ვხედებოდით ველის ჩვენი ნაწილის უკლებლივ ყველა მცხოვრებს და მათთან ერთად ებანაობდით. დილის სუფთა ჰაერი და ცივი წყალი სიმჩნევს მატებდა სულსა და სხეულს. იქ ნახევარ საათს ვრჩებოდით და, ბოლოს, უკან ებრუნდებოდით. მე და ფაიავეი ზოგჯერ ხელიხელნაკიდებული მოვდიოდით, გული საგზე გვქონდა უსაზღვრო სიკეთით მთელი ქვეყნისა და განსაკუთრებით ერთმანეთის მიმართ: კორი-კორი ოხუნჯობდა. ზოგი ჩვენი თანამგზავრი ქოქოსის პალმასთან ჩავლისას შედგებოდა ხოლმე, რათა საუხმისათვის ნაყოფი მოეკრიფა. ტაინორი და მარჰეიო გზადაგზა შეშას კრეფდნენ ცეცხლის გასაჩაღებლად.

ამისათვის საჭიროა სანახევროდ გამოფუტურობული შეშის ნაჭერი, დაახლოებით ექვსი ფუტი სიგრძისა და სამიოდღეში დიამეტრისა, და ასე ერთი ფუტი სიგრძისა და სიგანის ხის სულ პატარა ნაჭერი. მე ვუყურებდი, როგორ ანალებდა კორი-კორი ცეცხლს. შეშის დიდ ნაჭერს თავს ჩამოადებინებდა რაიმე საგანზე, როგორც ბიჭუნა ხის ცხენს, ისე გადააჯდებოდა ზედ, ორსავე ხელში პატარა შეშის ნაჭერს დაიკაებდა და წამახული წვერით უსვამდა ზემოთ-ქვემოთ რამდენიმე დღეის სიგრძეზე. სულ მალე ხეში გაჩნდებოდა ხოლმე ღარი, რომელიც ერთ მხარეს პატარა ორმოთი მთავრდებოდა, სადაც ხახუნის შედეგად წარმოქმნილი ხის მტკერი გროვდებოდა.

კორი-კორი თავდაპირველად ზანტად მუშაობს, მაგრამ შემდეგ თანდათან უჩქარებს ტემპს, ფიცხდება და გაცხარებით უსვამს შეშის ნაჭერს აბოლებულ ღარში. იგი მიზანს უახლოვდება, ცახცახებს, ქშინავს, მეტისმეტი დამახვისაგან თვალები გაღმოვარდნაზე აქვს. ეს ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი: ყველაფერი წყალში ჩაეყრება, თუ ხელების მოძრაობის სინქარე არ ეყო იქამდე, სანამ ნაპერწკალი არ გამოკრთება. უეცრად ჩერდება და ერთბაშად ხევდება. ისე უჭირავს ხის ნაჭერი, რომელიც ღარის ბოლოსათვის მიუბჯენია, იქ, სადაც დაგროვილი ხის მტკერია. ერთი წამიც, და, აი კვამლის წვრილი სპირალი აეარდა ჰაერში. ხის მტკერს ცეცხლი ედება, და კორა-კორი, სულს რომ ძლივს ითქვამს, ცხენიდან ჩამოდის.

ჩვენი დილის საუზმე სწრაფად მზადდება. კუნძულელები საუზმობისას საკმაო ზომიერებას იჩენენ. შუადღის საუზმისათვის ინახავენ მადას. მეც მორიდებულად შევექცეოდი მწიფე ქოქოსის კაკლის წვენიტ შეზავებულ პოი-პოის, რომელსაც საგანგებოდ ამზადებდნენ ჩემთვის და სინით მომართმევდნენ ხოლმე; ამ დროს კორი-კორის თითი კოვზის მაგივრობას მიწევდა. პურის ხის გამომცხვარი ნაყოფის ნაჭერი, ქოქოსის კაკლისაგან შემზადებული საუზმე, ორი-სამი ბანანი, ანტილის გარგარი ან კიდევ რომელიმე გემრიელი და მაწიერი ნაყოფი მრავალფეროვანს ხდიდა ჩვენს ყოველდღიურ საკვებს, რასაც აუცილებლად ვაყოლებდით ნორჩი ქოქოსის კაკლის გამჭვირვალე წვენს.

ამ უბრალო საუზმეს რომ მიირთმევდნენ, მარჰეიოს სახლის ბინადარნი უზრუნველი რომაელებივით ჯგუფ-ჯგუფად მიწვე-

ბოდნენ ხოლმე ჭილოფებით მოყენილ დივანებზე და მასლაათობდნენ, რაც დიდად უწყობდა ხელს საჭმლის მიწელებას.

საუზმის შემდეგ ჩიბუხს ვაჩალებდით. მე საკუთარი ჩიბუხი მქონდა — კეთილშობილი მექევის ნაჩუქარი. კუნძულელებს, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში ორჯერ-სამჯერ თუ გააბოლებდნენ ჩიბუხს და თან მორიგეობით გადასცემდნენ ერთმანეთს; მუდამ უკვირდით, რომ მე ამასობაში ოთხ ან ხუთ ჩიბუხს ვწვედი ბოლომდე.

ჩიბუხი რომ ჩამოტარდებოდა, ხალხი დაშლას იწყებდა. მარკეიო გასწევდა პატარა ქოხისაკენ, რომელსაც აშენებდა. ტაინორი თავის ტაპის ნაჭრებს ათვალეირებდა ან ჭილოფებს ქსოვდა ბალახისაგან. ქალიშვილები ირთვებოდნენ და იკაზმებოდნენ: ნელსაცხებლებს ისევამდნენ, თმას ივარცხნიდნენ ანდა ძვირფასეულობის თვალეირებით იქცევდნენ თავს, ერთმანეთს ადარებდნენ გარეული ღორის ეშვებისაგან ან ვეშაპის კბილებისაგან გაკეთებულ სამშვენისებს. ჭაბუკები და მეომრები იღებდნენ შუბებს, ნიჩბებს, კეტებს, კანოეს მოწყობილობას და ნიჟარის ან კაჟის წამახული წვერით კვეთდნენ მათზე ათასნაირ გამოსახულებებს, რომლებსაც ხის კანის ფოჩებით ან ადამიანის სიმებით ამკობდნენ. ზოგიერთები, ისაუზმებდნენ თუ არა, კვლავ ჭილოფებზე დაეყრებოდნენ და წინა ღამის საქმეს აგრძელებდნენ, თითქოს მთელი კვირის განმავლობაში არ მოეხუჭათ თვალი. სხვები ჭალისაკენ მიეშურებოდნენ, რათა შინ ათასნაირი საჭიროებისათვის გამოსადეგი ნაყოფები, ხის ქერქი და ფოთლები შეეგროვებინათ. ზოგჯერ ქალიშვილები ყვავილებზე მიდიოდნენ ტყეში ანდა კვახები თუ ქოქოსის კაკლის ნაჭურჭები ნაპქონდათ წყალზე წვრილი კენჭებით გასაპრიალებლად.

რაც მართალია, მართალია, ამ უცოდველ ადამიანებს საქმე არ ელევათ. ძნელიც კია ჩამოთვალოს კაცმა მათი საქმიანობა თუ, უფრო სწორად, გართობა.

ველის მკვიდრთა არსებობას, როგორც ჩანს, ვერავითარი მძიმე შრომა ვერ აყენებდა ჩრდილს; ისინი მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობასა და ფუფუნებაზე ზრუნავდნენ.

ამ საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ქსოვილის „ტაპის“ დამზადება. ის ხომ მთელი პოლინეზიის არქიპელაგზეა ცნობილი თავისი ნაირ-ნაირი სახეობებით. თავდაპირველი მუშაობა რომელიღაც ხის

ლორთქო რტოების შეგროვებაში გამოიხატება. ეს ხე ყველგან ხარობს ამ კუნძულებზე. რტოებს მწვანე კანს აცლიან და რჩება სიფრიფუნა ბოჭკოვანი ნივთიერება, რომელიც მჭიდროდ ეკვრის რტოს. იგი ფაქიზად უნდა შემოვაცალოთ. როცა ბოჭკოებს საკმარაო რაოდენობით დააგროვებენ, მათ ახვევენ ფართო ფოთლებში, რომლებსაც ადვილობრივი მცხოვრებნი როგორც შესახვევ ქაღალდს, ისე იყენებენ, და სიმტკიცისათვის თოკით კრავენ, მერე ამ შეკრულას მდინარის ფსკერზე ათავსებენ და ზედ ქვას ადებენ, რომ წყალმა არ წააღებოს, და იქ ტოვებენ. ორი-სამი დღის შემდეგ ამოიღებენ და გასაშრობად გამოაქეთ. ასე ხდება რამდენჯერმე.

როცა ნივთიერება ხრწნას იწყებს, ის უკვე მზადაა შემდგომი დამუშავებისათვის. ცალკეულ ზოლებს წყებებად აფენენ რომელიმე გლუვ ზედაპირზე, სადაც ტკეპნიან, არც მაინცდამაინც მაგრად, ხის მომცრო ჩაქუჩით. ჩაქუჩებს ეკალ-მუხის მსგავსი მაგარი და მძიმე ხისაგან აკეთებენ. სეირნობისას ხშირად ჩემს ყურადღებას იპყრობდა ამ ჩაქუჩის ხმა. ჩაქუჩი ყოველი დარტყმისას წკრიალა ხმას გამოსცემდა. ეს ხმა საკმარად მუსიკალური იყო და დიდ მანძილზე ისმოდა... როცა ერთდროულად რამდენიმე ასეთი ჩაქუჩი მოქმედებს, ხმა მართლაც რომ მომხიბლავია. ჩაქუჩის ცემის შემდეგ ამ მასას კარგად აურევენ და კვლავ წყალში ალბობენ, შემდეგ კი იქიდან აძრობენ ნებისმიერი სისქის ძაფს, გეგონება ჩაქუჩით ჭედენო. ამ ძაფისაგან იქსოვება საჭირო სისქის ნაჭერი.

როცა სამუშაოს ყველა ეს საფეხური გაელილია, ახალდამზადებულ ტაპას ბალახზე აფენენ გასაშრობად და გასათეთრებლად. სულ მალე იგი თვალისმომჭრელად ქათქათა ხდება.

ზოგჯერ დამზადების პირველსავე საფეხურებზე ნაჭერს მცენარეული წვენებით ღებავენ; ჩვეულებრივ ყავისფერი და ბაცი ყვითელი ფერები ჭარბობს ხოლმე, მაგრამ ტაიპის ტომის უბრალო გემოვნების ხალხი ბუნებრივ, ესე იგი, თეთრ ფერს ამჯობინებს.

დილას სხვადასხვაგვარად ვატარებდი. ხან ტყუილუბრალოდ დაეხეტებოდი სახლიდან სახლში, დარწმუნებული, რომ, სადაც არ უნდა მივსულიყავი, ყველგან გულითადად მიმიღებდნენ; ხან ჭალიდან ჭალაში გადავდიოდი, ერთი ჩრდილოვანი ადგილიდან მეორეში. ამ დროს მუდამ თან მახლდა კორი-კორი, ფა-

იავეი და ახალგაზრდა ზარმაცთა მთელი ბრბო. სეირნობა რომ მოძებნრდებოდა, ერთ-ერთი მუდმივი მოპატიუის შემოთავაზებულ წინადადებას დაეყვებოდი და რომელიმე სტუმართმოყვარულ ოჯახში ჭილოფზე წამოვსკუბდებოდი ხოლმე; იქ თვალს ვადევნებდი ოჯახურ ცხოვრებასა და მუშაობას და თვითონაც კი ვმონაწილეობდი მათში. როცა რაიმე საქმის გაკეთების სურვილს გამოვთქვამდი, კუნძულელთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ჩემთან და ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ ჩემთვის რამე ესწავლებინათ. მე მალე გავიწაფე ტაპის დამზადებაში, შემეძლო ბალახისაგან ლაბადები მომეწნა, ერთხელ კი ისე მოვაჩუქურთმე ხელშუბის ტარი, რომ მისი პატრონი ალბათ დღემდე ინახავს როგორც ჩემს საუკეთესო ნახელავს.

შუადღისას ჩვენი სახლიდან წასულები შინ ბრუნდებოდნენ და როცა მზე ზენიტზე იდგა, ველზე ჩამიჩუმსაც ვერ გაიგონებდიო — ყველას გულისძილით ეძინა.

შუადღის ძილი საათ-ნახევარს, ხშირად მეტ ხანსაც გრძელდებოდა. ზარმაცები თავიანთი ჭილოფებიდან ადგებოდნენ თუ არა, მაშინვე ჩიბუხს ეცემოდნენ, მერე კი სადილის კეთებას შეუდგებოდნენ ხოლმე.

მე, ისევე როგორც ის მუქთახორა ჯენტლმენები, რომლებიც საუზმეს შინ მიირთმევდნენ, სადილს კი კლუბში, შუადღის შემდგომ დროს თითქმის მუდამ ტაის სახლში ვატარებდი. ეს გახლდათ „უცოლოთა კლუბი“, სადაც ყოველთვის სიხარულით მსვდებოდნენ და გულუხვად მიმასპინძლდებოდნენ ყველა იმ საჭმლით, რაც საკუჭნაოებში ინახებოდა. მეჭვეის სხვა ნუგბარ საჭმელებთან ერთად შემწვარი ღორის ხორციც ჰქონდა ხოლმე შემონახული ჩემთვის, რაც გამორჩევით მიყვარდა.

სადილის შემდეგ დროის უმეტეს ნაწილს ტაის სახლში ვატარებდი; მზის ჩასვლისას კი ან ნავით ესეირნობდი ტბაზე და საღამოს სიგრილით ვტკებოდი, ანდა მდინარეში ვბანაობდი ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად, რომლებიც ამ დროს მუდამ აქ იკრიბებოდნენ. როცა ღამის ბინდი ჩაქუფრდებოდა, მარჰეიოს სახლის ბინადარნი ერთ ჭერქვეშ იკრიბებოდნენ; ანთებდნენ ლამპრებს, მასლაათობდნენ ან მღეროდნენ.

მონხუცი მარჰეიოს სახლში ერთი უცნაური წეს-ჩვეულება იყო დამკვიდრებული, რაც ხშირად მაოცებდა. ყოველღამ, სანამ

დასაძინებლად დაწებდნენ, ყველანი ერთად ჩაცუცქდებოდნენ ჭილოფზე და ჩუმად, ერთყეროვნად, გულსაკლავად, ღიღინებდნენ, რასაც თან ახლდა საკრავის ხმა. ეს საკრავი გახლდათ ორი ნახევრად გამოფუტურობული ჯოხი, რომლებსაც ერთმანეთს ურტყავდნენ; ეს ინსტრუმენტი ყოველ მომღერალს ეჭირა. სიმღერა ორ საათს, ზოგჯერ კი მეტ ხანსაც გრძელდებოდა. ბინდბუნდში მწოლარეს, არ შეშეძლო არ მეცქირა მათთვის, თუმცა ეს სანახაობა უხალისო ფიქრებს მგვრიდა. ლამპართა მოციმციმე ალი აშუქებდა ადამიანთა უცნაურ მოხაზულობას, მათ ირგვლივ ჩამოწოლილ სიბნელეს კი ვერ ფანტავდა.

ზოგჯერ ცოტას წაეთვლემდი, მაგრამ ეს ნაღვლიანი გალობა გამოძაღვიძებდა ხოლმე უეცრად. და ჩემი მზერა იმწამსვე წერდებოდა სახლის შუაგულში მსხდარ ადამიანებზე. მათს ტატიკირებულ შიშველ ტანსა და გადაპარსულ თავებს რომ მოეკრავდი თვალს, ასე მეგონა ავ სულთა ბრბოში მოხვდი-მეთქი.

რა იყო ამ ადათის მნიშვნელობა და მიზანი — გასართობად სრულდებოდა იგი თუ რელიგიურ წესს, საოჯახო ლოცვას წარმოადგენდა, ვერა და ვერ გავიგე.

ბგერები, რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრნი წარმოთქვამდნენ ამ დროს, ძალიან უცნაური გახლდათ; ჩემი ყურით რომ არ გამეგონა, ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ეს უჩვეულო ბგერები შეიძლებოდა ადამიანურ არსებებს წარმოეთქვათ. და თუმცა კუნძულელებს ძალიან უყვართ სიმღერა, მათ, მე შგონი, სულ მცირე წარმოდგენაც კი არა აქვთ მასზე, ყოველ შემთხვევაში იმ სიმღერაზე, რაც ევროპელებმა იციან.

არასოდეს დამაფიწყებდა, მეჰევის თანდასწრებით რომ შეეასრულე პირველად ერთი მელოდია. ეს იყო შაირი ჯაგრისების გამყიდველ ბავარიელზე. მამაცი ბელადი და მთელი მისი ამაღა ისე გაკვირვებული მიყურებდნენ, თითქოს ისეთი ზებუნებრივი ნიჭი გამომეკლინოს, რომელიც ზეცას არ გაემეტებინა მათთვის. მეჰევი მოხიბლული იყო სიმღერით, მინამღერმა ხომ სულ მთლად მოაჯადოვა. მისი დაუინებითი თხოვნით კიდევ რამდენჯერმე ვიმღერე. უნდა გენახათ რა ამაოდ ცდილობდა დაემახსოვრებინა ჰანგი და სიტყვები. დიდებულ კუნძულელს ეგონა, რომ სახის რაღაცნაირად ღამანჭვით შეძლებდა გაემეორებინა ჰანგი, მაგრამ არც ამით გამოიუვიდა რამე. ბოლოს ყოველგვარ ცდაზე უარი თქვა და თავი იმით ინუეგეშა, რომ ბარე ორმოცდა-

ათჯერ მოისმინა ჩემი სიმღერა. იმ დღიდან კარის მომღერალი გავხდი, და მას შემდეგ მუდამ მასრულებინებდნენ ჩემს მოკა-
ლუობას.

ხშირად მთვარის შუქზე ქალიშვილები გამოდიოდნენ ხოლ-
მე სახლის წინ და ცეკვავდნენ. მათი მოძრაობა მკვეთრი იყო
და ძალუმი. ცეკვაში სხეულის ყველა ნაკვთი მონაწილეობდა:
მარტო ფეხები და ხელები კი არა, ხელის მტევნებიც, თითებიც,
თითქოს თვალებიც უცეკვავდათ სახეზე. ქალიშვილები მოქნილ
ტანს არხევდნენ, თავს ზრიდნენ, შიშველ ხელებს აქნევდნენ,
დაგოგმანობდნენ, ტრიალებდნენ, ვნების აღმძვრელად როკავ-
დნენ.

ქალიშვილები ყვავილებისა და მოკლე ქვედატანის ამარა იყ-
ვნენ, და როცა ცეკვის დაწყებისას კოპწიაობდნენ, შავგვრემან
სილფიდეებს ჰგავდნენ, ასაფრენად გამზადებულთ.

თუ რაიმე დღესასწაული არ ჰქონდათ, ჩვენი სახლის ბინა-
დარნი, მოსაღამოვდებოდა თუ არა, თავიანთ ჭილოფებს მია-
შურებდნენ; მაგრამ მთელი ღამით როდი მიდიოდნენ: ცოტას
წაიძინებდნენ, კვლავ წამოდგებოდნენ, ლამპარს აანთებდნენ და
მესამედ და უკანასკნელად შეექცეოდნენ საჭმელს. მერე კი მიე-
ცემოდნენ ძილს, რაც მარკიზის კუნძულების მცხოვრებთათვის
თითქოს რაღაც წმიდათა წმიდა მოვალეობაა, რამდენადაც თავი-
ანთი დროის მეტ ნაწილს ისინი ძილში ატარებენ.

თუმცა ველის მცხოვრებთ ერთი საყვარელი საქმიანობაც
ჰქონდათ; მას მშვიდ ძილსაც კი სწირავდნენ მსხვერპლად. ეს
ყო თევზაობა. ჩემი იქ ყოფნისას ახალგაზრდობა ოთხჯერ შე-
იკრიბა მთვარის ცხრომისას და სათევზაოდ გაემართა. კუნძუ-
ლელები იშვიათად ანკესაობენ და თითქმის ყოველთვის ბადით
იჭერენ თევზს. დიდი ბადე აქვთ, ხის ქერქის ბოჭკოებისაგან
ნაქსოვი. რაკი მებადურები, ჩვეულებრივ, ორ დღე-ღამეს არ
ბრუნდებოდნენ შინ, ვიფიქრე, ალბათ ღია ზღვაში გადიან-მეთქი
სათევზაოდ.

მათი იქ არყოფნის განმავლობაში მთელი მოსახლეობა აღ-
გზნებული იყო და თევზის გარდა არაფერზე არ ლაპარაკობდა.
როცა მებადურთა დაბრუნების დრო მოატანდა, უკვე მოქმედე-
ბას იწყებდა ხმოვანი ტელეგრაფი. აღამიანები მთელ ველს მო-
ედებოდნენ, აღიოდნენ დიდ ლოდებზე, ძვრებოდნენ ხეებზე, აღ-
ტაცებით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს და წინასწარ ტკებოდნენ

მომავალი გემრიელი სასმელ-საჭმლით. მოვიდოდა თუ არა ცნობა, მოახლოვდნენო, ყველანი ნაპირისაკენ გარბოდნენ; მხოლოდ ზოგიერთები რჩებოდნენ ტაის სახლში, რათა შესაფერისად მომზადებულიყვნენ თევზის მისაღებად. თევზს პირდაპირ წმიდა ჭალაში ეზიდებოდნენ ფოთლებისაგან გაკეთებულ უზარმაზარ შეკრულებად, რომლებიც ჯოხებზე იყო ჩამოკიდებული და ორი-ორი კუნძულელს მოჰქონდა.

ერთხელ, მეთევზეების დაბრუნების დროს ტაის სახლში ვიყავი და ინტერესით ვადევნებდი თვალს ამ სანახაობას. თევზის ყველა შეკრულა რომ მოიტანეს, სახლის აივანზე დაალაგეს და გახსნეს. ძალიან წერილი თევზი იყო, ქაშაყზე დიდი არც ერთი არ იქნებოდა, თანაც სხვადასხვა ფერისა. მთელი მარაგის დაახლოებით მერვედი ნაწილი ტაის სახლის საჭიროებას ხმარდებოდა ხოლმე, დანარჩენს კი პატარ-პატარა შეკრულებად ყოფდნენ და ყველას უწილადებდნენ, ველის თვით შიორეულ მცხოვრებთაც კი. როცა შეკრულები დანიშნულ ადგილს მიაღწევდა, მათაც ხსნიდნენ და თანაბრად უნაწილებდნენ ყველა ოჯახს. სანამ გაყოფა დამთავრდებოდა, თევზს უმკაცრესი ტაბუ ელო. თევზს მიუკერძოებლად ანაწილებდნენ, და ყოველი კაცი, ქალი თუ ბავშვი ამ ყველასათვის საყვარელი საჭმლის თანაბარ წილს ღებულობდა.

ერთხელ, მახსოვს, მეზადურთა ჯგუფი შუალამით დაბრუნდა, მაგრამ კუნძულელთა მიუთმენლობამ ეს წინააღმდეგობაც გადალახა.

იმ დამეს კორი-კორიმ გამაღვიძა და რაღაცნაირი აღტაცებით მაუწყა:

— თევზი მოიტანეს!

ღრმა ძილში ვიყავი და ამიტომ ვერ მივხვდი, რატომ არ შეიძლებოდა ამაღამვე არ ეხარებინა ეს ამბავი. გაბრაზებულმა კინალამ გავარტყი ჩემს ერთგულ მეგობარს, მაგრამ თავი შევიკავე და ცოტა ხნის შემდეგ წყნარად წამოვდექი. სახლიდან რომ გავედი, ძალიან დამაინტერესა მოძრავმა ილუმინაციამ.

ტაის სახლიდან გაგზავნილი შიკრიკები ჭალის ბუჩქებს მოსდებოდნენ. ყოველ მათგანს წინ მიუძლოდა ბავშვი, რომელსაც ქოქოსის პალმის რტოების ჩირაღდანი ეჭირა. ამ ჩირაღდნებს დროდადრო ცვლიდნენ გზისპირას დაყრილი რტოებით. ბრდღიალა ჩირაღდნები, მათი გაელევა ბარდებში, ალგზნებულ

მალემსობოლთა ველური შეძახილები, რითაც თავიანთ მოახლოებას ამცნობდნენ ხალხს, მათი შიშველი ტანის უცნაური შესახედაობა ტყის განათებულ ფონზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

როცა მოხუცმა მარტვიომ თავისი სასლის კუთვნილი წილი მიიღო, მთელი იჯახი დაუყოვნებლივ შეუდგა შუალამის ბანკეტისათვის მზადებას. გოგრები პირთამდე აავსეს პოი-პოით, პურის ხის მწვანე ნაყოფები გამოაცხვეს და ბანანის ხის უზარმაზარ ფოთლებზე დააწყვეს.

ვახშმობის დროს ანთეს ურიცხვი ლამპარი, რომლებიც ქალიშვილებს ეჭირათ. ეს ლამპრები საკმაოდ ეშმაკურად იყო მომზადებული. ერთი ხე არის ველზე, კაკლებს ისხამს. ტაიპები „არმორს“ ეძახიან; ძალიან ჰკავს ჩვენებურ წაბლს. კაკალს ტეხენ, გულს აცლიან და ქოქოსის პალმისაგან მიღებულ გრძელ მოქნილ ბოჭკოზე ასხამენ. ზოგიერთი ასეთი ლამპარი რვა-ათი მეტრის სიგრძისაა; რადგან ისინი ძალიან მოქნილია, ერთ ბოლოს მოამრგვალევენ, მეორეს კი ცეცხლს უკიდებენ. კაკალს ციმციმა მოლურჯო ალი აქვს, ზეთი, რასაც იგი შეიცავს, ათი წუთის განმავლობაში იწვის. ერთი კაკალი რომ დაიწვება, მეორეს მოედება ცეცხლი, ხოლო ფერფლი საამისოდ განკუთვნილ კაკლის ნაჭუჭში ცვივა. ამ პრიმიტიულ სანთელს გამუდმებული ყურადღება სჭირდება და არასოდეს არ უნდა გაუშვას ხელი ღამქერმა. ტაიპის ველის მცხოვრებნი თევზს ისე ჭამენ, როგორც ცივილიზებული ადამიანი ბოლოკს ჭამს. ჭამენ უმად, ქერცლებიან, ფხებიან-ლაცხებიანად და გამოუშიგნავად. თევზს კუდში ხელს წააყლებენ, თავს კი პირში უკრავენ და თვალის დახამხამებაში შეახრამუნებენ: კაცი იფიქრებს, მთელ-მთელს სანსლავენო.

როცა თევზის შთანთქმის ეს ხერხი პირველად ვნახე, უნდა ვითხრათ, ღვაბენი. ზიზლით შევეყურებდი მონადიმე ველურებს და დაჟინებით ვამბობდი უარს მათთან შეერთებაზე, მიუხედავად მათი მრავალგზისი მიპატიჟებისა. მხოლოდ ფაიავეიმ შემარიგა რამდენადმე ამ ჩვეულებას; იგი ისე ფაქიზად შეექცეოდა თავის წილ ვერცხლისფერ თევზებს, გეგონებოდათ ბისკვიტს მიირთმევსო.

რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობ, იმ ქვეყნის ქული უნდა დაიხუროო. კარგი ანღაზაა. ამიტომ, რაკი ტაიპის ველზე ვცხოვ-

რობდი, მზად ვიყავი ისევე მოვქცეულიყავი, როგორც ჭეშმარი-
ტი კუნძულელი. ამიტომ მეც მათსავით ვჭამდი პოი-პოის, ისე-
თივე უბრალო ტანისამოსით დაედოდი, როგორითაც ისინი,
ევწებოდი საერთო საწოლზე, მათი ადათ-წესების შესაბამისად
ვაკეთებდი ყველაფერს... მაგრამ ყოველგვარ საზღვარს გადაეა-
ბიჯე, როცა უმი თევზის გასინჯვა გადავწყვიტე. თევზი ძალიან
ნაზი და პატარა იყო, და რამდენიმე სასინჯი ლუკმის შემდეგ
მეც ისევე დაუწყვე სანსვლა, მაგრამ თავდაპირველად მაინც ვარ-
ჩევდი დანით.

თ ა ვ ი 9

ერთხელ, ნასადილევს, როცა გადავწყვიტე ჩვეულებისამებრ
გამეტარებინა დრო წმიდა ჭალაში, შევამჩნიე, რომ იქ რაღაც
დღესასწაულისათვის ემზადებოდნენ, რაც რომელიმე დიდი რეს-
ტორნის მზარეულთა ფუსფუსს წააგადა. ხალხი გარბი-გამორ-
ბოდა, ზოგი რას აკეთებდა, ზოგი რას: ერთნი უშველებელ გა-
მოგულულ ბამბუკებს მიათრევდნენ წყალზე, მეორენი მძვინვარე
ღორებს დასდევდნენ ბუჩქებში და დაჭერას უპირებდნენ, სხვები
ისხდნენ და უზარმაზარ ხის გობებზე მოთაესებულ პოი-პოის
ურევდნენ. ამ გაცხოველებულ ფუსფუსს რომ ვადევნებდი
თვალს, უეცრად მეზობელი ჭალიდან უცნაური ღრიალი შემო-
მესმა. იქით გავემართე და დავინახე ველურთა მთელი ბრბო. ვე-
ლურებს უზარმაზარი ღორი ჰყავდათ გაკავებული. ერთი მათგა-
ნი ლამობდა კეტი ჩაერთყა თავში. მსხვერპლი ფხარკალებდა,
კაცი ვერა და ვერ ასვედრებდა, მაგრამ, აქოშინებული, კვლავ
განაგრძობდა თავის საქმეს. ბოლოს, ამდენი დარტყმის შემდეგ,
რაც სავსებით საკმარისი იყო ხარების მთელი ჯოგისათვის თა-
ვის გასააბობად, მან ერთხელ კიდევ მაგრად მოიქნია კეტი, დას-
ცხო, და ღორი უსულოდ დაეცა მის წინ.

ღორის ხორცი მთავარი საკვები არ არის მარკიზის კუნ-
ძულთა ნცბოვრებთათვის; ამიტომ მაინცდამაინც არ ზრუნავენ
მათს მოშენებაზე. ღორებს არ ეკრძალებათ ჭალაში სუნსული.
აქ ისინი მეტწილად ქოქოსის ხიდან წამოცვენილი კაკლებით
იკვებებიან. მაგრამ მშვიერი პირუტყვი მხოლოდ უჩვეულო ჯა-
ფით ახერხებს კანისა და ნაჭუჭის შემოცლას და ნაყოფის გუ-

ლამდე დასვლას. მე ხშირად ვერთობოდი იმის ცქერით, თუ რა საშინლად მრისხანებდნენ ღორები ამ ჯიუტი ნაყოფის გაღრ-
ლნის ამოო ცდის შემდეგ. ისინი გამძვინვარებული ჩიჩქნიდნენ
მიწას ქოქოსის კაკლის ქვეშ, მერე ნაყოფს ღინვს გაჰკრავდნენ,
წინ გაიგდებდნენ და გაეკიდებოდნენ, შემდეგ ჩერდებოდნენ და
კვლავ იწყებდნენ ღრუნას. მერე ისევ გაჰკრავდნენ ღინვს და
მანამ მისდევდნენ, სანამ კაკალი სადმე არ შეგორდებოდა, მაშინ
კი ჩერდებოდნენ და ფიქრობდნენ, ნეტავ სად გაქრა კაკალიო.

სანამ ღორი სისხლისგან დაიცლებოდა, კუნძულელებმა შო-
რიახლო გაჩადებული ცეცხლისაკენ გააქანეს. ოთხმა კაცმა ფე-
ხებში ჩაავლო ხელი და სწრაფად გააქან-გამოაქანეს ცეცხლის
აღზე. გარუჯვის შემდეგ გამოშიგნეს, შიგნულობა ცალკე გა-
დაარსიეს, ხორცი კი წყალში გარეცხეს. მერე მიწაზე დააგეს
დიდი მწვანე ზეწარი, რომელიც პალმის გრძელი, სქელი ფოთ-
ლებისაგან იყო გაკეთებული და ბამბუკის პატარა ქინძისთავე-
ბით დამაგრებული, შიგ ფაქისად შეახვიეს ხორცი და წაიღეს
საგანგებოდ მომზადებული ღუმელისაკენ, სადაც იგი გავარვა-
რებულ ქვებზე დადეს, ფოთლების სქელი ფენა გადააფარეს და
გულდასმით მიაყარეს მიწა.

ტაის კარ-მიდამოში დიდი გამოცოცხლება იყო. უამრავ ღუ-
მელში მზადდებოდა ღორის ხორცი და პოი-პოი. ეს მიწამიყრი-
ლი ღუმელები ჭიანჭველების ურიცხვ დიდ ბუდეებს ჰგავდა.
კუნძულელები გაცხარებით მუშაობდნენ. ისინი ქვასანაყებით
ხელში ამზადებდნენ პოი-პოის, ამ დროს კი დანარჩენები პურის
ხის მწვანე ნაყოფსა და ქოქოსის კაკლებს კრეფდნენ მახლობელ
ჭალაში. მაგრამ უმრავლესობა, ეტყობა, მძიმე შრომაში ამხანა-
გების გასამხნეებლად, არაფერს არ აკეთებდა, მხოლოდ შეუს-
ვენებლივ გაიძახოდნენ რაღაც მხიარულ სიტყვებს.

ასეთია ამ ხალხის თავისებურება: როცა რაიმე საქმით არი-
ან გართულნი, საოცარ ხმაურს ტეხენ. იმდენად იშვიათად უხ-
დებათ გარჯა, ყოველგვარი მუშაობისას ფიქრობენ, რომ მათი
ღირსეული ქცევა ყველასთვის შესამჩნევი უნდა იყოს. თუ, მა-
გალითად, რაღაც მანძილზე გადასატანია ქვა, რომელსაც ორი
ღონიერი მამაკაცი მოერევა, მის გარშემო მთელი ბრბო იყრის
თავს და დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ სწევენ მას. ყოვე-
ლი მათგანი ხენეშითა და ქოშინით ცდილობს ხელი შეაშვე-
ლოს და ისე მიათრევს, თითქოს ზეადამიანურ შრომას ეწევაო.

ასეთ დღეში რომ ვხედავდი მათ, მუდამ მაგონდებოდა შავი ჭიანჭველები, რომლებიც მკედარი ბუზის ფეხს მიათარევენ თავიანთი ბულისაკენ.

კარგა ხანს რომ ვუყურე ამ სამზადისს, ტაის სახლში შევედი, საიდანაც მექევი თვალს აღევნებდა მუშაობას და ბრძანებებს იძლეოდა. ბელადი, ეტყობა, უჩვეულოდ კარგ გუნებაზე იყო. მან ამიხსნა, რომ ხეალ მთელ წმიდა ჭალაში და განსაკუთრებით ტაის სახლში არაჩვეულებრივი ამბავი უნდა მომხდარიყო, და შთამაგონა, რომ მეც აუცილებლად უნდა მიმეღო მონაწილეობა. მაგრამ რაიმე მოვლენის ხსოვნის აღსანიშნავად იხდიდნენ ნადიმს თუ ვინმეს პატივსაცემად, მაინც ვერ გავიგე, თუმიცა მექევი კი ცდილობდა განეპარტა ჩემთვის.

რიცა ტაის სახლიდან გამოვდიოდით, ჩემმა მუღმივმა თანამგზავრმა კორი-კორიმ რომ დაინახა ცნობისმოყვარეობა ვერ დავიკმაყოფილე, სცადა — ასევე ამაოდ — აეხსნა ჩემთვის დღესასწაულის მნიშვნელობა. ამ განზრახვით მთელი ჭალა შემომატარა, სხვადასხვა საგნები დამათვალისებრებინა და შეეცადა აეხსნა მათი დანიშნულება მაგრამ ისეთი აუწერელი კილოკავით ლაპარაკობდა, რომ მისი მოსმენა თითქმის ფიზიკურ ტკივილს მაყენებდა.

განსაკუთრებით განმაცვიფრა შესანიშნავმა პირამიდამ, რომელსაც ფუძე სამი იარღი ჰქონდა, სიმაღლე კი ათიოდ ფუტი. სულ ახლახან იყო აშენებული, თანაც ძალიან შესამჩნევ ადგილას. იგი ძირითადად შედგებოდა დიდი ამოხაპული გოგრებისა და ქიქოსის კაკლების ნაჭუჭებისაგან და თავის ქალებისაგან აგებულ კენოტაფს მოგაგონებდათ. ჩემმა ჩინერონემ შემამჩნია გაკვირება, რომლითაც ადგილობრივი ხელოვნების ამ ძეგლს ვუცქეროდი, და მაშინვე ითავა ჩემი განათლების მძიმე ამოცანა, მაგრამ ამაოდ: ეს ძეგლი დღემდე იღუმალებითაა მოცული ჩემთვის.

მეორე დღეს საკმაოდ გვიან ავდექი. დავინახე, რომ კორი-კორის ოჯახი ჯერ კიდევ დღესასწაულის სამზადისში იყო. მარჯეიო ორ მრგვალ ბუჩქად იყენებდა გრძელ ჭადარა თმას, ირგვლივ შემოპარსულ კინკრიხოზე რომ ჰქონდა ამოსული. კისერზე მთავარი სამკაულის სახით ეკიდა ერთმანეთზე გადაბმული ჩემი ძველი ფეხსაცმელები. დიდი ხნის მძიმე მოგზაურობის შემდეგ ეს ფეხსაცმელები პირველსავე დღეს მივყარე ამ

სახლის ერთ-ერთ კუთხეში, სადაც დიდხანს ეყარა ადგილობრივ მკვიდრთა მოწიწებით გარემოცული. ასეთი გრძნობით ეკიდებოდნენ ისინი ჩემსა და ტობის ყოველ ნივთს. ბოლოს მოხუცმა მეომარმა ერთგვარი მოკრძალებით მთხოვა, მომეცი ეგ ფეხსაცმელიო. მე გამიკვირდა მისი თხოვნა, მაგრამ, რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. კიდევ უფრო გავკვირდი, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ თითქმის ჭკუაზე შეშლილი ბერიკაცი გამომეცხადა და თავს იწონებდა იმ სამკაულით, რომელიც ფეხსაცმელებისაგან გაეკეთებინა და გულზე ეკიდა. და აი კვლავ გამოიტანა იგი სადღესასწაულოდ.

ახალგაზრდობა უკვე ამთავრებდა მორთვა-მოკაზმვას, და მე დიდხანს ვტკბებოდი ხელოვნებით, რომლითაც ფაიავეი და მისი მეგობარი ქალიშვილები იმკობდნენ ყვავილებით გრძელ ნაწნაეებს.

უნდა შევნიშნო, რომ ამ ტომის ქალიშვილები და ახალგაზრდა ქალები მეტისმეტად დიდ დროს უთმობენ კანის მოვლას. ბევრ მათგანს კანი ისევე თეთრი აქვს, როგორც გერმანული ტომის რომელიმე ქალიშვილს. ისინი ამას ნაწილობრივ ხელოვნურად აღწევენ, ნაწილობრივ კი უბრალოდ იმით, რომ სულ არ გამოდიან მზეზე. მათთან დიდი გასაგალი აქვს „ჰაპის“ ფესვების წვენი, რაც უხვად მოიპოვება ველზე. ამ წვენს ქალები ყოველდღიურად ისვამენ. წვენმა რომ საჭირო გავლენა მოახდინოს, წაცხების შემდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში უნდა იყოს კანზე. საცხი ღია მწვანე ფერისაა; ამიტომ ქალების სახესა და ტანსაც ასეთივე ელფერი დაჰკრავს.

სანგრძლივი სამზადისის შემდეგ ქალიშვილები საუცხოოდ შეიმოსენ. მათ მთავარ სამკაულს შეადგენდა მშვენიერი თეთრი ყვავილების ყელსაბამები. ეს ყვავილები ღეროებისაგან მოეშორებინათ და ტაპის ბოჭკოებზე აეკვათ მჭიდროდ. ასეთივე სამკაული ეკეთათ ყურებზე, თავიც ამ ყვავილთა გირლანდებით ჰქონდათ შეკული. ზოგ მათგანს თეთრი ტაპის მოკლე ტუნიკებზე ამავე ქსოვილის მოსასხამი მოეგდო. ამ მოსასხამის ნაკეციები მხართან იყრიდა თავს, მერე დაბლა ეშვებოდა და ტანს ლამაზად ჰბურავდა.

ბოლოს, ჩემი სახლის ბინადარნი წმიდა ჭალისაკენ გაემართნენ, ხოლო მე და კორი-კორი ჩამოვრჩით. ჩემს მეგობარსაც იქით მიუწევდა გული და ღელავდა, ასე რომ ვზოზინობდი. მეც

ანგარიში გაეუწიე მის მოთხოვნას. ტაის სახლის გზას დაეადექით. ჭალაში მიმოფანტულ ქოხებს რომ ჩაეუარეთ, შეკამპნინი, რომ მათი ბინადარი იქ აღარ იყვნენ.

როცა მიეუახლოვდით კლდეს, რომელიც დღესასწაულის ადგილს ეფარებოდა, ჩემს ყურამდე მოაღწია შეძახილებმა. ეს იმას მოასწავებდა, რომ შეკრებილნი ბევრი იყვნენ. კორი-კორი, სანამ მაღლობზე ავიდოდა, წუთით შეღვა იმ კოპწია კაცივით, რომელიც საცეკვაო დარბაზში შესვლამდე ცოტა ხანს შეჩერდება ხოლმე, და ტანსაცმელი შეისწორა. ამ დროს თავში გამიელვა აზრმა, რომ მეც კი უნდა გამოვწყობილიყავი ცოტა უკეთ. მაგრამ რაკი სადღესასწაულო ტანისამოსი არ გამაჩნდა, ღწელი იყო რაიმე მორთულობა გამოიმეკებნა. მიუხედავად ამისა, მაინც მინდოდა ველურთა ყურადღება მიმექცია. ვიცოდი, რომ ყველაზე უფრო გაახარებდათ, თუ მათებურად გამოვეწყობოდი, და ამიტომ ტაპის გრძელი საგარეო სამოსი გავიხადე და მოკლე ტუნუკის ამარა დავრჩი, რომელიც მუხლებამდე მწვდებოდა.

ჩემმა საზრიანმა მსახურმა სავსებით მოიწონა ხარკი, რასაც ვუხდიდი მისი ტომის ადათ-წესებს, და გულმოდგინედ დამიწყო ამ ერთადერთი სამოსის ნაკეცების გასწორება. სანამ ამ საქმით იყო გართული, დავინახე ქალიშვილები, რომლებიც იქვე ახლოს ყვავილებში ჩაფლული ისხდნენ ბალახზე და გირლანდებს წნავდნენ. მე ვთხოვე, თქვენი ნახელავი მომიტანეთ-მეთქი. მცირე ხნის შემდეგ თორმეტი გირლანდი მომართვეს, — რომელიც გინდათ აირჩიეთო. ერთი მათგანი თავზე დავიდგი გვირგვინად, რამდენიმე სხვა კი წელზე შემოვირტყი. ამ საქმეს რომ მოვრჩი, დინჯი, ღირსეული ნაბიჯით ავედი კლდეზე, როგორც ყველასაგან აღიარებული ულამაზესი მამაკაცი.

ეტყობა, ველის მთელ მოსახლეობას მოეყარა თავი ამ ჭალაში. შორით მოჩანდა ტაის სახლის გრძელი ფასადი. აივანზე ფანტასტიკურ ტანისამოსში გამოწყობილი ხალხი გამოფენილიყო. სახლსა და ჩვენ შორის მთელი სივრცე ეკავათ ქალებსა და ქალიშვილებს, რომლებიც, უცნაურად მოსილნი, ცეკვავდნენ და ხტოდნენ. ისინი მისალმების შეძახილებით შემომეგებნენ. ბევრი მათგანი ცეკვა-სიმღერით მომიახლოვდა. ეტყობა, ჩემი ჩამულობის შეცვლამ აღაფრთოვანა ისინი, გარს შემომეხვივნენ და ტაის სახლისაკენ წამიყვანეს. მაგრამ, მიეუახლოვდით თუ

არა სახლს, ნაბიჯს უკლეს, გზა დამითმეს და ხალხით გაჭვდი-
ლი მენობისაკენ გამატარეს.

აივანზე ასულმა, დავინასე, რომ ლხინი უკვე გაეჩაღებინათ.

რა დიდებული ლხინი იყო! გრაფი უორიკი¹ კი, რომელიც ძროხის ხორციითა და მაგარი ლუდით მასპინძლობდა თავის ერთგულთ, ძუნწზე ძუნწი გამოჩნდებოდა კეთილშობილ მეჭევისთან შედარებით. ტაის სახლისწინა მოედანზე ჩამწკრივებული იყო კანოეს მაგვარი ოც-ოცი ფუტის სიგრძის გობები, რომლებიც ახლად მომზადებული პოი-პოით აევსოთ და მზისგან დასაცავად ბანანის ფართო ფოთლებით დაეფარათ. ერთმანეთის გვერდით ზვინებად იდგა ჰურის ხის გამომცხვარი ნაყოფები, არსენალის ეზოში დაწყობილ ჭურევებს რომ წააგავდა. სახლის საძირკვლის ქვების ნაპრალებში გარჭობილი იყო ტოტები, რომლებიც სადღესასწაულოდ დახოცილი ღორის ხორცის შეხვეული ნაჭრებით მოეჩრდილათ. უამრავი გრძელი და მძიმე ბამბუკი იყო მიყუდებული მოედნის მოაჯირზე. თითოეულ მათგანში ოთხ-ოთხი გალონი² წყალი ესხა; თავი ფოთლებით ჰქონდათ დაცული.

თვით შენობაშიც უჩვეულო რამ ხდებოდა. ჭილოფის უზარმაზარ ლოგინზე, პარალელურად ჩამწკრივებულ ქოქოსის პალმების ღეროებს შორის რომ ეგო და მთელ შენობას გასდევდა, ბელადთა და მეოპართა მთელი ლაშქარი ჩამომსხდარიყო. ჭამდნენ და სვამდნენ, სწევდნენ ქოქოსის პატარა კაკლებისაგან გაკეთებულ უზარმაზარ ჩიბუხებს, რომლებიც მიმზიდველად იყო მოჩუქურთმებული. ჩიბუხები ხელიდან ხელში გადადიოდა, ყოველი მწვეველი ორჯერ-სამჯერ გააბოლებდა და მერე გვერდით მჯდომს გადასცემდა.

მაგრამ თამბაქო ტაის სახლში მყოფი ყველა ადამიანისათვის როდი იყო საკმაოდ აღმგზნები საშუალება. ამიტომ ისინი „არკას“ ეწაფებოდნენ, — ეს სასმელი უფრო აკმაყოფილებდათ.

„არკა“ სამხრეთის ოკეანის კუნძულებზე მეტად გავრცე-

¹ რიჩარდ ნეილ გრაფ უორიკი (გარდ. 1471 წ.) თვალსაჩინო როლს ასრულებდა წითელი და თეთრი ვარდის ომში. ისტორიაში მეტსახელად „მეფეთა შემკმნელს“ უწოდებენ, რადგან მონაწილეობა მიიღო რიჩარდ ორკელის, ედუარდ IV და პენრი VI ტახტზე დასმაში.

² ფსეიერი და თხევადი სხეულების მოცულობის ინგლისური საზომი; შეიცავს დაახლ. 7,4 ლ.

ღებულის მცენარის ფესვია. მისგან გამოწურული წვენი ადამიანს ჯერ ალაგზნებს, შემდეგ კი თენთავს და აძინებს. ველზე ამ სახმელს ასე ამზადებენ: ექვსიოდ ჭაბუკი შემოუსხდება ცარიელ ხის გობს. თითოეულ მათგანს მომარაგებული აქვს „არვის“ წვრილ-წვრილად დამტვრეული ფესვები. ჩამოატარებენ წყლით სავსე ქოქოსის კაკლის ნაჭუჭს. ჭაბუკები პირში იგუებენ წყალს. მთელი სამუშაო იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მათგანი „არვის“ კარგად დაღეჭილ ფესვებს წყალთან ერთად გამოაპურტყებს საამისოდ მომზადებულ ჯამში. როცა ამგვარად საკმარის რაოდენობის მასა მოგროვდება, წყალში გააზავენ და მარჯვენა სალოკი თითით მოურევენ. სასმელი მზადაა.

მეჭვეის ძალიან მოეწონა ჩემი ასალი ტანისამოსი და გულთადად მომესალმა. მას ჩემთვის შემოენახა ერთი საუცხოო კერძი, რომელიც, იცოდა, ძალიან მიყვარდა, შეერჩია სამი თუ ოთხი ქოქოსის ნორჩი კაკალი, პურის ხის რამდენიმე გამომცხვარი ნაყოფი და ბანანების მშვენიერი კუნწულა.

ეს ნაირ-ნაირი საჭმელები ჩემს წინ დააწყვეს, მაგრამ კორი-კორის ეცოტავა და ფოთლებში გახვეული ღორის ხორციც დაუმატა.

ღდესასწაულის მეორე დღე კიდევ უფრო ხმაურიანად ჩატარდა. დილით რაღაც გრუხუნმა გამოძღვიდა. წამოიხტი და დავინახე, რომ მთელი სახლი წამოშლილიყო და სადღაც მიეშურებოდა. მინდოდა გამეგო, რა უცნაური ამბავი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ახალი ხმაურის მიზეზი, აგრეთვე ის იარაღებიც შენახა, რომლებიც ასეთ ხმაურს გამოსცემდნენ, და როგორც კი ადგილობრივი მკვიდრნი წმიდა ჭალისაკენ გაემართნენ, მეც მათ გავეყვი.

გაშლილი სივრცე, რომელიც ტაის სახლიდან კლდემდე გადაჭიმულიყო, საიდანაც შენობისაკენ ჩადიოდა გზა, და თვით შენობა ქალებს ეკავათ, ისინი ცეკვავდნენ და გაჰყვიროდნენ.

განსაკუთრებით განმაცვიფრა ოთხი თუ ხუთი დედაბრის შესახებაობამ: სულ მთლად შიშველნი, უღონოდ ხელბჩამოშვებულნი, საოცრად გაჯგიმულიყვნენ და შეუსვენებლივ ხტოდნენ, ისევე როგორც წყალში პერპენდიკულარულად ჩაშვებული ჯოხი ხტება მალლა. ისინი სერიოზული გამომეტყველებით განაგრძობდნენ ამ მოძრაობას და წუთითაც არ ჩერდებოდნენ. ეტყობა, არავის ყურადღებას არ იპყრობდნენ, მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, თვალბდაჭყეტილი დაუწყე ცქერა.

მინდოდა ამ უცნაური გართობის მნიშვნელობა გამეგო და კორი-კორის მიემართე კითხვით. ბრძენმა ტაიპიმ იმწამსვე გან-
მიმარტა. მაგრამ მისგან მხოლოდ ის შეეიტყვე, რომ ჩემ წინ
მოხტუნავე ადამიანები იყვნენ უბედური ქერივები, რომელთაც
„პრაავალი მთვარის წინათ“ დაღუპოდათ ბრძოლაში ქმრები. ყო-
ველ დღესასწაულზე ისინი უცნაური ცეკვით იუწყებოდნენ თა-
ვიანთ მწუხარებას.

დანადგლიანებული ქალები დაეტოვეთ და ჰულა-ჰულას დი-
დი ტაძრისკენ გაეშარათ. ველის მთელ მამაკაცებს მოეყარათ
თავი ამ ვრცელ ოთხკუთხედში. მართლაც შესანიშნავი სანახა-
ობა იყო. შუაგულში მილიაეებულ ჩარდახს ქვეშ წამოწოლი-
ლიყვნენ მთავარი ბელადები და მეომარნი; დანარჩენი ხალხი
თავისუფლად იწვა უშეველებელ ხეებქვეშ. უზარმაზარ საკურ-
თხეელებთან, ნაგებობის ორსავე მხარეს, იღვა ჰურის ზის ნა-
ყოფებით სავსე კალათები, ეწყო ტაპის დიდრონი შეკრულები,
მწიფე ბანანის კუნწულები, ანტილის გარგარის ასხმულები და
შემწვარი ღორის ხორცი; ეს ყველაფერი მოეთავსებინათ დიდ
ფიცრებზე, რომლებიც ზღაპრულად მოერთოთ ნორჩი ფოთლე-
ბით. უსახურ კერბთა მწკრივების წინ გროვად ეწყო უხეშად
დამზადებული იარაღები. საკურთხეველთა ირგვლივ აღმართუ-
ლი ლატანების წვეროებზე ფოთლებისაგან მოწნული კალათე-
ბით ეკიდა სხვადასხვა ნაყოფი. ლატანების ძირას ორ პარალე-
ლურ რიგად ჩაემწკრივებინათ ბარე თხუთმეტი ფუტის სიმაღ-
ლის უზარმაზარი დოლები, რომლებიც დიდრონი გამოგულუ-
ლი ხეებისაგან გაეკეთებინათ. დოლებს ზეიგენის ტყავი ჰქონდა
გადაკრული, მათი კედლები კი ოსტატურად იყო მოხატული
უცნაური ფიგურებით. ამ ინსტრუმენტთა გვერდით გაემართათ
ფიცარნაგი; ზედ ჭაბუკები იდგნენ: სწორედ ისინი უბრაგუნებ-
დნენ ხელისგულებს დოლებს, რომელთა საშინელმა ხმიანობამ
გამაღვიძა დილაადრიან. მუსიკოსები რამდენიმე წუთის განმავ-
ლობაში უკრავდნენ დოლს, მერე ძირს ჩამოხტებოდნენ და
ხალხს შეერეოდნენ, საიდანაც იმწამსვე გამოდიოდნენ მათი შემ-
ცვლელები.

ოთხკუთხედის შუაგულში მიწაში იყო ჩარჭობილი ასამდე
წერილი კანგატლილი სარი; მათი წვერები მოფრიალვ თეთრი
ტაპით მოერთოთ. სარები წერილი ლერწმით იყო შემოწნული.
მე შევეცადე გამეგო, რა დანიშნულება ჰქონდა ამ უცნაურ მორ-
თულობას, მაგრამ ამაოდ.

ამ სანახაობას კიდევ უფრო უცნაურს ხდიდნენ ბერიკაცები, რომლებიც მორთხმით ისხდნენ ხეთა ირგვლივ შემოვლებულ ფიცარნაგებზე. ეს პატივსაცემი ადამიანები — ვგონებ, ქურუმები — გაუთავებელივ ღიღინებდნენ რალაც ერთფეროვან ჰანგზე, რასაც თითქმის ახშობდა დოლის ბრაგუნის. თითოეულ მათგანს მარჯვენა ხელში ეპყრა ბალახისაგან დაწნული მარაო, რომელსაც მძიმე, მიმზიდველად მოჩუქურთმებული ტარი ჰქონდა. ბერიკაცები გამუდმებით იქნევდნენ მარაოებს.

მაგრამ, ეტყობა, არც მედოლეებს აქცევდა ყურადღებას ვინმე და არც ქურუმებს. ამ უშველებელ ბრბოში ყველა რალაცით იყო გართული: ზოგი ყბედობდა, ზოგი იცინოდა, „არეას“ სვამდნენ ან საჭმელს შეექცეოდნენ. და მე ვიფიქრე, რა კარგად იგრძნობს თავს ყველა, მედოლეებმა რომ დოლის ბრაგუნს თავი ანებონ, ქურუმებმა კი ეს გაუთავებელი გალობა შეწყვიტონ-მეთქი: ესენიც გადაურჩებიან ამ ჯაფას და სხვებიც დაასვენებენ-მეთქი ცოტათი ყურებს. ასე გაუმართლებლად და ზედმეტად მეჩვენებოდა ყოველივე.

ამაოდ ვეკითხებოდი კორი-კორის და სხვა მკვიდრთ მომხდარ უცნაურობათა შესახებ. ისე უაზრო იყო მათი ყოველი ახსნა-განმარტება, ისე იქნევდნენ ხელებს, რომ სულ მთლად გადამიწყდა იმედი რამის გაგებისა. მთელი დღის განმავლობაში ბრაგაბრუვი გაჰქონდათ დოლებს, დუდუნებდნენ ქურუმები, ღზინობდა და ყაყანებდა ხალხი მზის ჩასვლამდე. საღამოს ბრბო დაიშალა და წმიდა ჭალაში სიბნელემ და მყუდროებამ დაისადგურა. მეორე დღეს უცნაური ზეიმი კვლავ განახლდა და დაღამებამდე არ შეწყვეტილა.

თუმცა ამაოდ შევეცადე გამეგო ამ დღესასწაულის მნიშვნელობა, მაგრამ ერთი კი ნათელი გახდა ჩემთვის: იგი ძირითადად რელიგიური ხასიათისა იყო. მაშასადამე, სრულიად არ შეესაბამება პოლინეზიური ადათ-წესების იმ საშინელ აღწერას, რამაც ჩვენამდე მოაღწია მისიონერების მონათხრობსა თუ ანგარიშებში. ამ ანგარიშებს უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანის ყოველდღიური მსხვერპლშეწირვა წითლად ღებავს საკურთხეველს, თითქოს ეს უღმობლობა ჩვეულებრივი ამბავია და თითქოს უმეტარი წარმართნი თავიანთი უხეში ცრურწმენის გამო უკიდურეს სისაძაგლეს სჩადიან.

მაგრამ გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ იმ ხნის განმავ-

ლობაში, რაც ტაიპის ველზე ვიყავი, არასოდეს შევხვედრივარ თითქოსდა დადასტურებულ ამ სისაძაგლეს. რაიმე ამის მსგავსი რომ მომხდარიყო მარკიზის კუნძულებზე, უთუოდ მოაღწევდა ჩემს ყურამდე, რადგან ოთხ თვეს ვცხოვრობდი იმ ტომის ხალხთან, რომელიც მთელ სამხრეთ ოკეანეში ყველაზე მძვინვარე ხალხის სახელით იყო ცნობილი.

თუმცა კუნძულებთან რელიგიური მსოფლმხედველობა ჩემთვის იდუმალებით იყო მოცული, მაგრამ მათი ყოველდღიური წეს-ჩვეულებანი არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დამრჩენოდა. მე ხშირად ჩაკუელიდი ხოლმე პატარა ტაძრებს, წმიდა ჭალის ჩრდილს რომ შეფარებოდნენ, და ვხედავდი ღმერთებისადმი მიძღვნილ შესაწირავს: ობმოკიდებულ ნაყოფებს, საკურთხეველზე რომ იყო მოფანტული ანდა ნახევრად დამჭკნარი კალათებით ეკიდა გამოჩორკნილ უცნაურ გამოსახულებათა შორის. ვესწრებოდი მათ დღესასწაულებს, რამდენიმე დღის განმავლობაში ვუცქეროდი სახედამანჭულ კერპებს, ჰულა-ჰულას საკურთხეველებზე რომ იყვნენ ჩამწკრივებული, და ხშირად ვხედებოდი იმათ, ვინც ქურუმთა მოვალეობას ასრულებდა. მაგრამ ტაძრები მეტწილად გავერანებული ჩანდა, დღესასწაული სამხიარულოდ გამოსული ტომის უბრალო თავყრილობა გახლდათ, კერპები ისეთივე უძლურნი და უწყინარნი იყვნენ, როგორც ამ ქვეყნად არსებული ყველა ჯირკი, ქურუმები კი მხიარულების მოთავეებს წარმოადგენდნენ ველზე.

ერთმა შემთხვევამ თვალნათლივ დამანახვა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი მაინცდამაინც დიდი პატივით არ ეპყრობოდნენ თავიანთ უბადრუკ ღეთაებებს. ერთხელ, კორი-კორისთან ერთად რომ ვსეირნობდი ჭალაში, დავინახე მეტად თავშესაქცევი კერპი; სიმაღლით ექვსი ფუტი იქნებოდა. ეტყობა, თავდაპირველად ქვის საძირკველზე იდგა, აწ ნახევრად დანგრეული ბამბუკის ტაძრის საჩრდილობელში, ახლა კი დაუდევრად მიეყუდებინათ ქეებზე. ეს იყო გამოჩორკნილი ჯირკი, რომელიც წარმოადგენდა პირველყოფილი შიშველი ადამიანის გამოსახულებას; ხელი თავზე შემოედო, პირი დაეფინა და დაჯდარკული ფეხები მოერთხა. იგი ნახევრად დამლილი იყო. წელს ქვემოთ ხავერდოვან ხავსს დაეფარა, დაფჩენილი პირიდან ბალახები ამოწვეროდა, ცხვირი მოსძრობოდა. ხის კერპს თავი ისეთ დღეში ჰქონდა,

რომ იფიქრებდით, თაყვანისმცემელთა უყურადღებობით სასო-
წარკვეთილს, ირგვლივ მდგარ ხეებზე უსიამოვნებიაო.

მიუუახლოვდი, რათა თაყვანისცემის ეს უცნაური საგანი და-
მეთვალღერებინა, მაგრამ ორ-სამ ნაბიჯზე ახლოს არ მივსულ-
ვარ, რადგან არ მინდოდა ჩემი მსახურის რწმენა შექმებოდა.
შემამჩნია თუ არა დაინტერესება, კორი-კორი კედელზე მისვე-
ნებულ კერპთან მიიჭრა, ხელი სტაცა და შეეცადა ფეხზე დაე-
ყენებინა. მაგრამ ღვთაებას საბოლოოდ დაჰკარგოდა ღვიმის
უნარი. სანამ კორი-კორი ცდილობდა ჯოხზე დაებჯინა, ურ-
ჩხულმა ზღართანი მოადინა და ალბათ კისერი მოსტყდებოდა,
რომ დაკუზულ კორი-კორის არ დასცემოდა ზურგზე. ასე გა-
ცეცხლებული არასოდეს მინახავს ეს ალაღმართალი ჭაბუკი.
იგი ზეზე წამოხტა, ხელი დააელო ჯოხს და დასცხო საცოდავ
კერპს. დროდადრო ჩერდებოდა, რათა თავისი აღშფოთება გამო-
ეთქვა. ცოტა რომ დამშვიდდა, ყოველგვარი პატივის გარეშე
შეატრიალ-შემოატრიალა კერპი ჩემს დასანახად. დარწმუნებუ-
ლი ვიყავი, რომ მე თვითონ არასოდეს არ ვიკადრებდი ასე და-
უღვევრად მოუპყრობოდი ღმერთებს, და ამიტომაც დიდად გან-
მაცვიფრა კორი-კორის ბიწიერებამ.

რელიგიის საკითხებს ტაიპის ტომის ხალხი უბრალოდ ეკი-
დებოდა. თავიანთ უცნაურ წეს-ჩვეულებათა აღსრულებაში ისი-
ნი, როგორც ჩანს, ბევრეუ გართობას ხედავენ. ბოლოს და ბო-
ლოს, იმასაც კი ვფიქრობ, რომ მათ არც იციან მტკიცედ, რას
წარმოადგენს რელიგია.

თ ა ვ ი 10

დღესასწაულის განმავლობაში არაერთხელ შემინიშნაეს,
რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ზედმიწევნით უბრალოდ იქცე-
ოდნენ, თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი პირობითობისაგან და
მდგომარეობითაც რამდენადმე თანასწორი ადგილი ეკავათ.
ეტყობა, არავის არ ენიჭებოდა უპირატესობა. ბელადებსა და
სხვა კუნძულელთა შორისაც უმნიშვნელო განსხვავება იყო.
მაგრამ ამავე დროს შევამჩნიე, რომ ბელადის სურვილი, თუნ-
დაც იგი ჩვეულებრივი კილოთი ყოფილიყო გამოთქმული, ისე-
ვე უყოყმანოდ სრულდებოდა, როგორც ყველაზე მტკიცე ბრძა-
ნ. ჰერმან მელვილი

ნება. თუ რაოდენ შორს ვრცელდებოდა ტომის ბელადთა ავტორიტეტი, ამის განსჯას არ შეეუძლები, მაგრამ ეს კი ცხადია: ყველაფერი, რაც ველზე ყოფნისას ვნახე, მაიძულებს ვამტკიცო, რომ მათი ძალაუფლება ცხივრების საერთო მსვლელობის მიმართ ფრიად შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, ყველანი სიამოვნებითა და ხალისით გამოხატავდნენ მათდამი პატივისცემას.

სოციალური ურთიერთობანი მარკიზის კუნძულებზე სრულიად ეწინააღმდეგება ტაიტისა და ჰაეაის კუნძულებზე არსებულ ურთიერთობებს. იქ მეფისა და ბელადების ძალაუფლება ბევრად უფრო დესპოტიურია, ვიდრე მტარვალთა ძალაუფლება ცივილიზებულ ქვეყნებში. ტაიტის კუნძულზე სიკვდილი ემუქრება იმ ხელქვეითს, ვინც გაბედავს უნებართვოდ გაიაროს მეფის სასლის სიახლოვეს ანდა ვინც სათანადოდ არ გამოხატავს პატივისცემას სამეფო კერძისადმი, რომელსაც გვერდით გაატარებენ.

მე არ ვიცი, განსხვავდებოდნენ თუ არა ბელადები ერთმანეთისაგან ძალაუფლებით ან ჰქონდა თუ არა რომელიმე მათგანს უპირატესობა. დღესასწაულამდე ისიც კი არ იყო ჩემთვის საკლებით ნათელი, თუ რა თანამდებობა ეჭირა მექვეის. მაგრამ იმ მნიშვნელოვანმა როლმა, რასაც იგი ამ შემთხვევაში ასრულებდა, ღამარწმუნა, რომ მასზე უმაღლესი მაინც არავინ იყო ველის მცხოვრებთა შორის. ლხინმა შეჰყარა ყველა მეომარი, რომლებიც ოდესმე მენახა, ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. მათ შორის მექვეის აშკარა უპირატესობა ემჩნეოდა. საოცარი ტანისამოსი და დიდებული შესახედაობა, როგორც ჩანს, ყველა დანარჩენზე მაღლა აყენებდა. ფრთების ჩაფხუტში ყველაზე მაღალი ჩანდა. თუმცა ფრთები სხვებსაც ეკეთათ თავზე, მაგრამ მექვეის ჩაფხუტის სიმშვენიერე ყველას ჩრდილავდა.

მექვეი ნამდვილად პირველი იყო ბელადთა შორის — ბელადი თავისი ტომისა, მეუფე ველისა. ამ ტომის სოციალურ ურთიერთობათა უბრალოება ყველაზე კარგად იმით დასტურდება, რომ ველზე რაბუნენიმე კვირა გაეატარე, მექვეის ყოველდღიურად ვხვდებოდი და დღესასწაულამდე არაფერი ვიცოდი მის ხელმწიფურ წოდებაზე. მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად დავინახე ყველაფერი: თურმე ტაის სახლი სასახლე ყოფილა, მექვეი კი მეფე. როგორც სახლი, ისე მისი პატრონი ძალიან უბრალო-

ნი და პატრიარქალურნი არიან; იქ სულაც არ სრულდებოდა ის საზეიმო ცერემონიები, რომლებიც ჩვეულებრივ თან ახლავს სამეფო ტახტს.

მე უკვე ვთქვი, ბელადები მეტად ღმობიერად ეპყრობიან-მეთქი თავიანთ ტომს. რაიმე კანონი, რომელითაც შეიძლება დადგენილი ყოფილიყო ცხოვრების საერთო წესი, რაც თავის მხრივ დაიცავდა საერთო კეთილდღეობას — რამდენადაც შემოიძლია დავეყრდნო ჩემს დაკვირვებებს — არ არსებობდა. წარმოიდგინეთ, სრულიადაც არა, თუ არ ჩავთვლით მისტიკურ „ტაბუს“. იმ ხნის განმავლობაში, რაც ტაიპზე დავეყვი, არასოდეს არ გაუსამართლებიათ ვინმე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის. ეტყობა, იქ არ იყო არც სასამართლო, არც კანონები, არც საზოგადოდ იუსტიცია. იქ არ არსებობდა მუნიციპალური პოლიცია მაწანწალათა და ბოროტმოქმედთა დასათრგუნავად. ერთი სიტყვით, ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობის ნათელი მიზნის განსახორციელებლად — ესე იგი, საზოგადოების მხარდასაჭერად და დასაცავად — ტაიპის ტომი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა. მიუხედავად ამისა, ცხოვრება იქ ისე მშვიდად და აუღელვებლად მიედინებოდა, როგორც არსად.

კუნძულებს არ აღელვებდათ მოუსვენარი ფიქრები ქურდობასა და მკვლელობაზე. თითოეული საკუთარი პალმის ჩრდილქვეშ ისვენებდა ან საკუთარი პურის ხის ქვეშ იჯდა, არც არავინ ჩაგრავდა, არც არავინ სდევნიდა. ველის მცხოვრებთ არ იცოდნენ რა იყო ციხე-კოშკები და არც მათ შემცვლელად იყენებდნენ რამეს. და მაინც იქ არ იყო საერთო საკუთრება. აი ეს გრძელი შუბი, ასე ფაქიზად გამოჭედილი და მოპრიანებული, უორმუნს ეკუთვნის; იგი ბევრად უფრო ღამაზია იმაზე, რასაც ესოდენ აფასებს მოხუცი მარჰეიო. მიუხედავად ამისა, ეს შუბი ვნახე ჭალაში, ქაქოსის პალმის ძირას მიგდებული; იქვე იპოვეს კიდევ, როცა ძებნა დაუწყეს. აგერ ვეშაპის კბილი, სულ მთლად რომ დაუფარავს მიმზიდველ ნუქურთმას, კარლუნას ეკუთვნის; ყველაზე ძვირფასია ქალიშვილის სამკაულებს შორის. ეტყობა, მისი აზრით იგი ღალზე გაცილებით ძვირფასია. და მაინც ეს სამკაული თოკზე ჰკიდია ქალიშვილის სახლში, რომლის კარი ყურთამდე ღიაა, — მისი ყველა ბინადარი საბანაოდ წასულა.

გემის უნახე კორი-კორი; გრძელი ჯოხი ეჭირა, რიოაც ხეს ნაყოფს აყრევინებდა ყველაზე მაღალი ტოტებიდან. მერე ნაყოფები პალმის ფოთლების კალათით მოიტანა სახლში. დღეს კვდავ კუნძულელს, რომელიც, ვიცი, ველის შორეულ ნაწილში ცხოვრობს. ისიც აქ მოსულა და იმასვე აკეთებს. მდინარის ციკაბო ნაპირებზე ბანანის ხეები სარობს. ხშირად მინასავს, როგორი ხალისით ახვავებდნენ მის ოქროსფერ ნაყოფს ახალგაზრდები, შემდეგ კი ველის ყველა მცხოვრებს უნაწილებდნენ, თან ყიჟინითა და ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდნენ გზაზე. არც ერთ ბებერ კურკაწონიას არ ჰქონია ჰურის ხეების ამდენი ჭალები ან განთქმული ბანანის ჩაყვითლებული კუნწულები. რა თქმა უნდა, ზოგიერთი კუნძულელი სხვებზე მდიდარია. მაგალითად, მარჰეიოს სახლის სახურავის კოჭები ტაპაში შეხვეულ უშველებელ შეკრულებს ჩამოედუნავს. მარჰეიოს სახლის იატაკი შვიდ ფუნად დალაგებული ჭილოფებითაა მოფენილი. ტაინორს ბამბუკის ბუფეტის — თუ შეიძლება ასე ითქვას — თაროებზე ლამაზად ჩამოუწყვეია კვახები და ხის სინები. რუარუგას სახლი კი, ჩვენს მახლობელ ჭალაში რომ დგას, არც ისე კარგადაა მოწყობილი. იქ მხოლოდ სამი უბრალო შეკრულა ჰქონია ჭერზე; მხოლოდ ორ ფენადაა დაგებული ჭილოფები, არც კვახები და სინებია მაინცდამაინც ბევრი და არც ისე ლამაზადაა გამოთლილ-მოჩუქერილებული. მართალია, რუარუგას სახლი მდიდრულად ვერ არის მოწყობილი, მაგრამ სამაგიეროდ ისევე მოხერხებულია, როგორც მარჰეიოსი. მე მგონია, თუ იგი მოისურვებს მეტოქეობა გაუწიოს მეზობელს, დიდი გარჯა არ დასჭირდება ამისათვის.

ტაიპის მცხოვრებთ ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდათ, რაც უფრო მაცვიფრებდა. ეს იყო ერთსულოვნება, ყოველგვარ ვითარებაში რომ ამჟღავნებდნენ. იშვიათად თუ ჰქონდათ რამეზე სხვადასხვა თვალსაზრისი. ყველანი ერთნაირად ფიქრობდნენ და იქცეოდნენ. ეს ერთსულოვნება ყველა საქმეში იჩენდა თავს: ყველაფერს შეთანხმებულად და მეგობრულად აკეთებდნენ.

ერთხელ მე და კორი-კორიმ ჩვეულებისამებრ მოვინახულეთ ტაის სახლი. შინ დაბრუნებისას ჭალის ერთ-ერთი ნაკაფი გამოვიარეთ, სადაც, როგორც ჩემი მსახურისაგან შევიტყვე, იმ დღეს ბამბუკის სახლი უნდა აეშენებინათ. ასამდე კაცი ეზიდებოდა მასალას: ზოგს გვერდით ბოძები მოჰქონდა, ზოგნი პალ-

მის ფოთლებს აგროვებდნენ სახურავისათვის. ყოველ მათგანს თავისი წვლილი შეჰქონდა მუშაობაში. სახლი მზის ჩასვლას უკვე აშენებული იყო.

არც ერთი ქალი არ მონაწილეობდა ამ მუშაობაში. და თუ ქალის პატივისცემა, როგორც ფილოსოფიოსები ამტკიცებენ, ხალხის სულიერი კულტურის მაჩვენებელია, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ ტაიპის ტომი ყველაზე სრულყოფილია მსოფლიოში. ტაიპის ქალებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ აკრძალვას—ტაბუს. იმ პირობების საწინააღმდეგოდ, რომლებშიც ჩაყენებულია ქალი მრავალ უკულტურო ხალხში, სადაც სწორედ ქალს ეკისრება მთელი მძიმე სამუშაო, ტაიპის ქალები და ქალიშვილები თავისუფალი არიან შრომისაგან. მსუბუქი საოჯახო სამუშაო, ტაიპის გამოყვანა, ჭილოფის ქსოვა თუ ჭურჭლის მოპირკეთება გახლავთ მათი მოვალეობა. მაგრამ ეს იოლი და სახალისო საქმეც კი იშვიათად იზიდავდა ქალიშვილებს. ისინი ზიზღით უყურებდნენ ყოველგვარ სასარგებლო შრომას. ჭირვეული ლამაზმანებივით დაეხეტებოდნენ ჭალებში, ბანაობდნენ ნაკადულებში, ცეკვავენ, ხუმრობდნენ და მხიარულად, უზრუნველად ატარებდნენ დროს.

კუნძულზე მთელი ცხოვრების განმავლობაში არ მოვსწრებივარ არათუ ჩხუბს, არამედ უბრალო კამათსაც კი. ადგილობრივი მცხოვრებნი მტკიცე სიყვარულით შედუღებულ ერთ ოჯახს შეადგენდნენ. ყველანი დაძმურად ეპყრობოდნენ ერთმანეთს და დასადგენი იყო ვისა და ვის აკავშირებდა ერთმანეთთან სისხლის ნათესაობა.

ზეიმის მეორე დღეს კორი-კორიმ, ეტყობა, გადაწყვიტა გაეცნო ჩემთვის ადგილობრივი ყოფის ყველა თავისებურება. მან ყურადღება მიმაქცევინა იმაზე, რომ ქალთა უმრავლესობას, განსაკუთრებით ხნიერთ, მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი ძალზე გულმოდგინედ ჰქონდა ტატუირებული, მაშინ როცა სხეულის დანარჩენი ნაწილები მოუხატავი იყო, გარდა წვრილ-წვრილი წერტილებისა ტუჩზე და უმნიშვნელო ნახატისა მხარზე, როგორც ფაიავეის და სხვა ქალიშვილებს ჰქონდათ. მოხატული ხელ-ფეხი, კორი-კორის თქმით, გაოხოვილი ქალის განმასხვავებელი ნიშანი იყო. ეს უდრის ოქროს მრგვალ ბეჭედს, ჩვენი ქალები რომ ატარებენ.

კუნძულებს შორის არსებობს მრავალქორწინების სისტემა, მაგრამ მხოლოდ მრავალქორწინების სახით. ეს იმით აიხსნება, რომ მამაკაცები ძალიან სჭარბობენ ქალებს. თავდაპირველად ქალიშვილს ეარშიყება რომელიმე ჭაბუკი, მეტწილად მასთან ერთ ჭერქვეშ მცხოვრები¹. ქალიშვილი ცოლად მიჰყვება მას. ამასთან არ სრულდება არავითარი წესი, და ეს არც ითვლება ფორმალურ ქორწინებად. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, მოდის ახალი საქმრო, ბევრად უფრო მოწიფული, და ქალიშვილიც და ჭაბუკიც თავის სახლში მიჰყავს. რომელიმე მხრიდან ღალატის შემთხვევა ძალზე იშვიათია. მამაკაცს არა ჰყავს ერთ ცოლზე მეტი, ქალს კი ორ ქმარზე მეტი; ზოგჯერ ქალს სამი ქმარიც კი ჰყავს, ოღონდ იშვიათად. ასეა თუ ისე, განქორწინების შემთხვევები მაინც არსებობს. მაგრამ მათ არ მოსდევს რაიმე განსაკუთრებული უბედურება, თუნდაც იმიტომ, რომ ცოლი, რომელსაც ცუდად ეყვრობიან, ანდა ქმარი, რომელიც თავისი ცოლის მონამორჩილია, ვალდებული არ არიან სასამართლოში შეიტანონ განცხადება განქორწინების თაობაზე.

როგორც ეტყობა, ტაიპის ტომის მკვიდრთ არათუ ქორწინების, არამედ დაკრძალვის წესებზეც არ გააჩნიათ. ამას დაბეჯიჯთებით ვერ ვიტყვი, მაგრამ იმ ხნის განმავლობაში, რაც მათთან ერთად ვცხოვრობდი, არასდროს ვყოფილვარ დამარხვის მოწმე. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ტაიპები ამ შემთხვევაში არ განსხვავდებიან კუნძულის დანარჩენ მცხოვრებთაგან. მაგრამ ერთხელ კი შევესწარი ნუკუპივაში დაკრძალვას. განთიადისას ერთ სახლში, ზღვის ნაპირას, ჭაბუკი მოკვდა. იმ დღეს ნაპირზე გამგზავნეს და ენახე როგორ ემზადებოდნენ დაკრძალვისათვის. თეთრ ქათქათა ტაპაში ფაქიზად შეხვეული ცხედარი ქოქოსის პალმის რტოებით დახურულ ღია ფარდულში ესვენა ბამბუკის საკაცეზე, რომელიც ექვსი ფუტის სიმაღლის კვარცხლბეკზე იდგა. კვარცხლბეკი კი მსხვილი ლერწმის ვერტიკალურად ჩარჭობილი ღეროებისაგან იყო გაკეთებული. ორი მჭმუნვარე დედაკაცი უჯდა აქეთ-იქით. გულსაკლავად მოთქვამდნენ და თან დიდრონ თეთრ მარაოებს იქნევდნენ. მეზობელ სახლში ხალხმრავალი საზოგადოება შეკრებილიყო. იქ სხვადასხვა კერპი მოემზადებინათ მოსულთა პატივისცემად. ქელები

¹ მარკისის კუნძულებზე ერთ სახლში ცხოვრობს არა ერთი, არამედ რამდენიმე ოჯახი.

შუადღისას დაიწყო და მითხრეს, კიდევ ორ დღეს გასტანსო. ცხედართან მჯდარი ძაპით მოსილი ორი ქალის გარდა, თითქოს ყველანი საკმაოდ მხიარულ გუნებაზე იყვნენ. ადგილობრივი სამკაულებით მორთული ქალიშვილები ცეკვაუდნენ, ბერიკაცები მღეროდნენ, მეომარნი ლაყობდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ, ორივე სქესის ახალგაზრდები ისე იღვინდნენ, გეგონება ქორწილში არიანო.

მაგრამ ერთხელ, როცა კორი-კორისთან ერთად კარგა შორ მანძილზე გავისიერნე, წავაწყდი ჩემთვის მეტად საინტერესო ფაქტს, რომელიც დაკრძალვის სსვაგვარი წესის არსებობას მოწმობდა. ჩვენ ვიმყოფებოდით ერთ მივარდნილ ადგილას, მდინარის პირას, რომელსაც აქეთ-იქით ხშირი პალმები ჩასდევდა. იქ ვნახე მკვდარი ბელადის საფლავი. ისევე როგორც სხვა შენობათა უმრავლესობა, ეს მავზოლეუმიც ქვის მომაღლო საძირკველზე იყო დადგმული, რის გამოც იგი შორიდან მოჩანდა. თეთრად შეფეთილი პალმების მსუბუქი ჩარდახი ისე ეხურა თავზე, რომ ბუნებრივი გეგონებოდათ. მხოლოდ ახლოს მისვლისას შევაძინე, რომ იგი კაცზე ოდნავ მაღალ ბამბუკის ოთხ წვრილ სვეტს ეყრდნობოდა. კვარცხლბეკს რამდენიმე იარდის მანძილზე ერტყა ცარიელი მოედანი, რომელიც შემოღობილი იყო პალმის ოთხი ღეროთი, კუთხეებში დადებულ ქვებზე რომ გაედოთ. ეს ადგილი წმიდად იყო მიჩნეული. ღობის შიგნით მაღალი სარის წვერზე ეკიდა თეთრი ტაპის იდუმალი სახვევი — დაურღვეველი ტაბუს ნიშანი. ამ წმიდა ადგილს, როგორც ჩანს, არავენ ბლალავდა. სამარის სიჩუმე, მყუდროება და მარტოობა მშვენიერი იყო და გულშიჩამწვდომი.

საიდანაც არ უნდა მიახლოებოდით ამ მღუმარე ადგილს, ყოველი მხრიდან ჩანდა მკვდარი ბელადი, რომელიც ქვის საძირკველიდან რამდენიმე დუიმიტ შემაღლებულ მსუბუქ ჩარჩოში ჩასმულ კანოეში იჯდა. კანოე შვიდი ფუტი სიგრძისა იქნებოდა; მუქ ფერად შეღებილი კარგი ხისაგან იყო დამზადებული, ლამაზად გამოყვანილი და ბრწყინვალე ნიჟარებით მოოჭვილი. მეომარს — არ ვიცი რისგან იყო გამოქანდაკებული — მოხდენილად ჰქონდა მოვლებული ყავისფერი ტაპის მძიმე მოსასხამი, რომლიდანაც მხოლოდ ხელები და თავი მოუჩანდა, ოსტატურად რომ იყო გამოთლილი ხისაგან. თავზე რკალურად ედგა ფრთების მშვენიერი გვირგვინი. საიდანლაც მონახები

მსუბუქი ნიავე თრთოლვით არხევდა ფრთებს ბელადის თავზე. სასურავის კიდებიდან ჩამოშვებულ პალმის გრძელ ფოთლებში მოიხანდა ნიჩაბი, რომელიც ორივე ხელში ეყრა მეომარს. ბელადი წინ წახრილიყო, თავი დაელუნა და ისე უსვამდა ნიჩაბს, თითქოს ცდილობდა სწრაფად გაელია გზა. მეომრის პირისპირ, კანოეს ცხვირზე, იღო მოპრიალებული თავის ქალა, რომელიც ჩაცვენილი თვალებით უცქეროდა მას. ეს თავის ქალა, კანოეს მიმართულების საწინააღმდეგოდ რომ შებრუნებულიყო, თითქოს დასცინოდა მოუთმენელ მეომარს.

კორი-კორიმ ამიხსნა, რომ ბელადი მიემართებოდა ნეტარების სამყაროში — პოლინეზიურ სამოთხეში, სადაც პურის ხეები წამდაუწუმ აფენენ მიწაზე მწიფე ნაყოფს და სადაც აურაცხელი ქოქოსის კაკლები და ბანანის კუნწულებია. აქ ისინი ისვენებენ ჭილოფებზე, რომლებიც ბევრად უფრო ნაზია, ვიდრე ტაპის ჭილოფები, და ყოველდღე იბანენ მხურვალე ტანს ქოქოსის ზეთის მდინარეებში. ამ ბედნიერ ქვეყანაში მრავალი ლამაზი ფრთა, ღორის ეშვი და ვეშაპის კბილია, ბევრად უფრო ლამაზი, ვიდრე თეთრკანიანთა ბრწყინვალე სამშვენისები და ჭრელ-ჭრელი ქსოვილები.

— საამური ადგილია, — მეუბნებოდა კორი-კორი, მაგრამ, ეტყობა, ფიქრობდა, ტაპის ბევრად მაინც ვერ სჯობიაო.

— მაშ, გინდა მეომრის გზით იარო? — ვკითხე მე.

— ო, არა! — კორი-კორის იქ ერჩია, სადაც იყო, თუმცა მაინც ფიქრობდა, რომ ოდესმე თვითონაც გაემართებოდა იმ მხარეს თავისი კანოეთი.

როცა ველზე ხეტიალისას ბელადის სამარის შორიახლო აღმოვჩნდებოდი, მუდამ გადავუხვევდი ხოლმე მის სანახავად. თვითონაც არ ვიცი, მაგრამ ეს ადგილი რაღაც განსაკუთრებით მომხიბლავი მენივნებოდა. ღობეზე იდაყვდაყრდნობილი შევცქეროდი უცნაურ გამოსახულებას, ფრთების თრთოლვას, რომელსაც პალმის კენწეროებში მონავარდუ ნიავე დასთამაშებდა, კუნძულელთა ფანტაზიას მივეცემოდი და თითქოს მწამდა, რომ ეს პირმოღუშული მეომარი ზეცისაკენ მიიწევდა, ხოლო უკან გამობრუნებისას წარმატებასა და სასიამოვნო მოგზაურობას ვუსურვებდი.

ერთხელ, კორი-კორისთან ერთად რომ დავეხეტებოდი ველად, ჩემი ყურთასმენა მიიპყრო ხშირი ბუნჩებიდან მოდენილმა უცნაურმა ხმაურმა. ბუნჩებში შევალწიე, და პირველად შევესწარი კუნძულელთა ტატუირების პრიცესს.

თავდაპირველად დავინახე მიწაზე გულაღმა მწოლარე კაცი. მიუხედავად გულგრილობისა, რის გამოხატეასაც ცდილობდა, აშკარა იყო, რომ საშინლად იტანჯებოდა. მის თავზე დახრილიყო მისი მწვალებელი, რომელიც ქვის მთლელივით მუშაობდა ჩაქუჩითა და საჭრისით. ცალ ხელში ზვიგენის კბილიანი მოკლე და წვრილი ჯოხი ეჭირა, რომლის ზედა ბოლოს ხის მომცრო ჩაქუნს ურტყამდა და კანს ჩხვლევდა. ამნაირად გაკეთებულ ნასვრეტებს ავსებდა მღებავი ნივთიერებით, რომელშიც თავის იარაღს აწებდა. მის ახლოს ხსნარით სავსე ქოქოსის კაკლის ნაჭუჭი იდგა.

ტატუირებისათვის საჭირო საღებავი „არმორის“ დამწვარი კაკლისაგან მზადდება. მის ფერფლს ადგილობრივი მკვიდრნი ლამპრებში აგროვებენ და მცენარეული წვენებით აზავენ.

იქვე, ჭუჭყიანი ტაპის ნაჭერზე, ძელისა თუ ხის მრავალი უცნაური შავი იარაღი ეწყო. ზოგი მათგანი ფანქარივით წვერწამასული იყო და უკანასკნელი შტრიხების ან სხეულის ყველაზე ნაზი ნაკეთების მოსახატად იხმარებოდა, ისევე როგორც ამ შემთხვევაში. სხვა იარაღები ხერხივით იყო დაკბილული და უფრო უხეში სამუშაოსათვის გამოიყენებოდა. ზოგი მათგანის ბოლოს სხვადასხვა გამოსახულება ამკობდა: საკმარისი იყო მისი შეხება და ჩაქუნის დარტყმა, რომ ტანზე წარუშლელი კვალი დარჩენილიყო.

ამჯერად ოსტატი დამოუკიდებელ სურათს არ ხატავდა: მისი კლიენტი საკმაოდ ხნიერი კაცი გახლდათ, მისი ტატუ რამდენადმე გაუფერულებულიყო და განახლებას ითხოვდა; ამიტომ საჭირო იყო მხოლოდ გაემეორებინა ტაპის ძველი სკოლის ერთ-ერთი ოსტატის ნამუშევარი. ახლა მუშაობა მიმდინარეობდა ქუთუთობებზე, სადაც გასწვრივი ხაზი, იმის მსგავსი, კორი-კორის რომ ეხატა, მსხვერპლის სახეს კვეთდა.

მიუხედავად დიდი თავშეკავებისა, ამ უბედური კაცის პირისა ხის კუნთების კრუნჩხვა და თრთოლვა აუწერელ ტანჯვაზე

მეტყველებდა. მაგრამ ოსტატი პოლკის ექიმიხათვის ჩვეული უსულგულობით განაგრძობდა მუშაობას, რასაც ფეხის ბაკუნითა და ველური ღრიალით აცოცხლებდა.

ისე იყო ვატაცებული თავისი სამუშაოთი, რომ ჩვენი მისვლა მანამდე ვერ შეამჩნია, სანამ ამ პროცედურის კარგა ხანს ყურების შემდეგ არ მივიპქიე მისი ყურადღება. დამინახა თუ არა, ეტყობა, იფიქრა, ჩემს ხელოვნებას საჭიროებსო, და ალტაცებით მოიჭრა ჩემთან. სულით და გულით უნდოდა შესდგომოდა თავის სამუშაოს. მაგრამ როგორც კი ავუხსენი, რომ განზრახვას ვერ მიმიხვდა, უსაზღვროდ შეწუხდა. ცოტა რომ მოიხიქა სული, გადაწყვიტა არ დაეჯერებინა ჩემი მტკიცება. ხელი დაავლო იარაღებს და სახიფათო მანძილზე დამიწყო სახის წინ ქნევა, თან თავის სამუშაოს წარმოსახავდა და ხმამაღლა გამოთქვამდა თავისი ნახატების სილამაზით გამოწვეულ ალტაცებას.

მე შემეშინდა, თუ ამ არამზადამ თავისი განზრახვა შეასრულა, სამუდამოდ დამასახინრებს-მეთქი, და ვცდილობდი თავიდან მომეშორებინა. მაგრამ მოლალატედ ქცეული კორი-კორი გვერდით მდგა და მეზვეწებოდა დავყოლოდი მის ნებას. მეორედაც რომ ვუთხარი უარი, საშინლად დალონდა, რადგან თავისი ოსტატობის გამოვლინების ასეთი შესანიშნავი შემთხვევა ეცლებოდა ხელიდან. მას ჭეშმარიტი მხატვრის აღმაფრენას ანიჭებდა სურვილი — თავისი ნასატები ალებეჭდა ჩემს თეთრ კანზე: კვლავ და კვლავ მაშტერდებოდა სახეში და ყოველი შემოხედვით ადასტურებდა თავისი პატიემოყვარების ძალის ზრდას. უკვე აღარ ვიცოდი, სადამდე შეიძლებოდა მისულიყო მისი ქცევა, და შევეცადე მისი ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა; სასოწარკვეთით გავუწოდე ხელი და შევეთავაზე საქმეს შესდგომოდა. მან აღშფოთებით უარყო ასეთი კომპრომისი და ისევ შემომიტია. როცა საჩვენებელი თითი გამიტარ-გამომიტარა სახეზე და იმ პარალელური ზოლების საზღვრებიც მომიხაზა, რომლებიც ჩემს პირისახეზე უნდა შემოეთარებინა, მე მომეჩვენა, რომ ცოცხალს მამრობდნენ ტყავს. შიშისა და აღშფოთებისაგან არ ვიცოდი რა მექნა. ბოლოს როგორც იქნა ხელიდან დაუუსხლტი და შინისკენ მოკეპურცხლუე. თავქუდმოგლეჯილი გაერბოდი. უკან იარაღებით ხელში მომდევდა დაუმორჩილებე-

ლი ოსტატი. ბოლოს და ბოლოს კორი-კორი ჩაერია საქმეში და დაიყოლია, რომ აღარ გამოიმდევნებოდა.

ამ შემთხვევამ თვალი ამიხილა და მოსალოდნელი ხიფათი დამანახვა. უკვე ვეღარასოდეს გაგებდავდი ეჩვენებოდი ჩემს თანამემამულეებს, კიდევ რომ მომცემოდა ამის საშუალება.

შიში კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა მეჭყვიმ და სხვა ბელადებმა სურვილი გამოთქვეს, რათა ჩემთვის ტატუ გაეკეთებინათ. მეფის ნებასურვილი პირველად მაუწყეს ოსტატ კარკისთან შემთხვევით შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ. ღმერთო ჩემო! რა წყევლა-კრულვას ვუთვლიდი კარკის! მან, უეჭველია, მთელი შეთქმულება მოაწყო ჩემი და ჩემი სახის წინააღმდეგ და მანამ არ დამშვიდდებოდა, სანამ ვერაგულ განზრახვას სისრულეში არ მოიყვანდა. რამდენჯერმე შევხვდი ველის სხვადასხვა ადგილას, მაგრამ სადაც არ უნდა ვენახე, დამედევნებოდა ხოლმე თავისი ჩაქუჩითა და საჭრისით და პირისახის წინ მიქნევდა ამ იარაღებს, თითქმის მზად იყო მაშინვე შესდგომოდა მუშაობას.

როცა მეფემ პირველად მაუწყა თავისი სურვილი, მე ვუთხარი, რაოდენ ზიზღს მგვრიდა ეს საქმე, და ახსნა-განმარტებისას ისე ავღელდი, რომ გაოგნებული შემომამტერდა. როგორც ჩანს, მისი უდიდებულესობის შეგნებამდე ვერ აღწევდა ეს აზრი, თუ როგორ შეიძლებოდა ჭკუათამყოფელ კაცს უარი ეთქვა ასეთ დამამშვენებელ ოპერაციაზე.

მალე მან კვლავ სცადა დავეყოლიებინე და, ისევე უარი რომ ვუთხარი, რამდენადმე უკმაყოფილებაც კი გამოთქვა ჩემი სიჯიუტის გამო. მესამედ რომ შეეცადა ჩემს დარწმუნებას, დავინახე: თუ რაიმე ზომებს არ მივიღებდი, სამუდამოდ დავსახინრდებოდი. მთელი გამბედაობა მოვიკრიბე და დავეთანხმე, ორსავე ხელზე გავიკეთებ-მეთქი ტატუს — მტევნებიდან მხრებამდე. მისი უდიდებულესობა ძალიან ნანსიამოვნები დარჩა ჩემი წინადადებით, და ის იყო ვულოცავდი ჩემს თავს ამ გამოსავლის პოვნას, რომ მაცნობა, ცხადია, პირველად პირისახე საჭიროებს ამ ოპერაციასო. მე კინაღამ სულ მთლად წამერთვა სასო.

დასამშვიდებლად არჩევანი შემომთავაზეს. მე შემეძლო ჩემი პირისახისთვის ამერჩია სამი პორიზონტალური ზოლი, ისევე როგორც ჩემს მსახურს ჰქონდა; ან პირისახის გადამკვეთი რამდენიმე ირიბი ხაზი; ანდა, თუკი მე, როგორც მეფის ჭეშმა-

რიტი რჩეული, სანიმუშოდ აეირჩევდი მისი უდიდებულესობის მოხატულობას, შემემლო მასონური ნიშნის მსგავსი მისტიკური სამკუთხედით დამკმშეენებინა პირისახე. მაგრამ ამ სამა მოხატულობიდან ყველაზე უარი განეცხადე, თუმცა მეფე სერიოზულად მარწმუნებდა, რომ არჩევეანი თავისუფალი იყო. ბოლოს, ჩემს დაუძლეველ ზიზღში რომ დარწმუნდა, აღარ ჩამცივებია.

მაგრამ სხვა მკვიდრთაგან თავის დაღწევა ასე ადვილი როდი იყო. იშვიათად გაივლიდა დღე, რომ გულისგამაწყალებელი თხოვნით არ მოეებზრებინათ თავი. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ამგვარი არსებობა რაღაც უმძიმეს ტვირთად მექცა. რაც ადრე მსიამოვნებდა, ახლა აღარაფიფარ ნუგეშს არ მგვრიდა, და წინანდელი სურვილი — გაექცეოდი აქაურობას — ახალი ძალით დამიბრუნდა.

მალე ჩემთვის ცნობილი გახდა ფაქტები, რომლებმაც კიდევ უფრო დამიკარგა მოსვენება. მე მივხვდი, რომ ტატუირების მთელი სისტემა რელიგიას უკავშირდებოდა. აშკარად დავრწმუნდი, რომ ამით მათ სურდათ თავიანთ რწმენაზე მოვექციე.

ბელადების მოხატულობას ისინი ყველაზე მეტი გულმოდგინებით ეკიდებოდნენ, ხოლო ზოგიერთი უბრალო მკვიდრი, ეტყობა, სრულიად განურჩევლად იყო შეთხუპნული შინაური მხატვრის ფუნჯით. მახსოვს ერთი ჭაბუკი, რომელიც ძალიან ამაყობდა იმით, რომ ზურგზე საკერებლის მსგავსი რაღაც ეხატა. მე კი ეს მოხატულობა ბეჭებშუა ჩამგდარ ესპანურ ბუზს მაგონებდა.

თუმცა კი დავრწმუნდი, რომ ტატუირება რელიგიურ ცრურწმენას წარმოადგენდა, მაგრამ ვერა და ვერ დავადგინე მისი კავშირი ამ ხალხის კერპთაყვანისმცემლობასთან. იგი ისევე აუხსნელი რჩებოდა ჩემთვის, როგორც „ტაბუს“ კიდევ უფრო რთული და მნიშვნელოვანი სისტემა.

პოლინეზიის კუნძულების მცხოვრებთა უმრავლესობის რელიგიურ წეს-ჩვეულებებს შორის შესამჩნევი მსგავსებაა, თითქმის იგივეობაც კი, და ყველგან არსებობს ეს იღუმალი ტაბუ, რომელიც ხან დიდი და ხან მცირე შეზღუდვებით სარგებლობს. სისტემა ისე უცნაური და რთულია, რომ ის ადამიანებიც კი, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ წყნარი ოკეანის კუნძულებზე და შესწავლილი ჰქონდათ ადგილობრივი ენა, ვერ იძლეოდნენ ამის დამაკმაყოფილებელ ახსნას. ტაიპის ველ-

ზე ცხოვრებისას მუდამ თვალს ვადევნებდი ამ ყოვლისშემძლე ძალის მოქმედებას, მაგრამ მისი არაფერი გამეგებოდა. ეს მოქმედება ფართოდ იყო გავრცელებული და იჭრებოდა ცხოვრების როგორც მთავარ, ისე უმნიშვნელო გამოვლინებებში. ერთი სიტყვით, ველური მუდმივად ასრულებს ტაბუს წესებს, რომლებიც წარმართავენ და კონტროლს უწევენ მის ყოველ ქცევას.

ველზე ცხოვრების პირველი დღეებიდანვე დღე-ღამეში ორმოცდაათჯერ მაინც მხვდებოდა ეს სასწაულმოქმედი სიტყვა „ტაბუ“, რომელსაც ყოველ წუთს ჩამახოდნენ ყურში, როგორც კი უნებლიეთ დაეარღვევი მის წესებს. ველზე ჩემი გადმოსვლის მეორე დღეს ცოტა თამბაქო მივაწოდე ტობის, ისე რომ ჩვენს შუა მჯდარ ერთ-ერთ ადგილობრივ მკვიდრს გადავატარე თავზე. ეს უკანასკნელი გველნაკბენივით წამოხტა, დანარჩენებმა კი ისე საშინლად შეჰყვირეს: „ტაბუ!“, რომ მე აღარასოდეს გამომივლენია ასეთი სულელური ქცევა, მით უმეტეს, რომ ეს არც არისტოკრატიული წესებით არის მიღებული. მაგრამ ყოველთვის ადვილი როდი იყო მიმხვდარიყავი, სად არღვევი „ტაბუს“ წესს. იყო შემთხვევები, როცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წესრიგისაკენ მომიწოდებდნენ, მე კი ვერა და ვერ მივმხვდარიყავი, რა დანაშაული მქონდა ჩადენილი.

ერთხელ ველის რომელიღაც განმარტოებულ ადგილას დავეხეტებოდი. რაღაც მანძილიდან მუსიკალური ხმები მომესმა. ბილიკს ჩაყვავი და, რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, მივაღეჭი სახლს, სადაც ექვსიოდე ქალიშვილი ტაპის დამზადებით იყო გართული. მე ხშირად ეუყურებდი მათ მუშაობას და დამზადების სხვადასხვა საფეხურებზედაც მჭერია ხელში ბოჭკოები. ამჯერად ქალიშვილები ძალიან დაძაბულად მუშაობდნენ. ერთი შემომხედეს, მხიარულად გამოემელაპარაკნენ და კვლავ შეუდგნენ საქმეს. ერთხანს დუმილით შევცქეროდი, მერე უნებურად დაეწვი რამდენსამე სველ ბოქოს, რომლებიც ირგვლივ იყო მოფენილი, და ქნკვა დაეუწყე. ამ მუშაობით გართულს, უეცრად ჩამესმა ქალიშვილების ყურისწამლები ისტერიული კივილი. ზეზე წამოვხტი და დაეინახე, რომ ირგვლივ შემომრტყმოდნენ ქალიშვილები, რომლებსაც ხელსაქმისთვის თავი მიენებებინათ. თვალებდაჭყეტილი მომშტერებოდნენ და შიშით იშვერდნენ ჩემკენ ხელებს.

ვიფიქრე, ალბათ ხელებში რომელიმე შხამიანი ქვეწარმავა-

ლი მყავს-მეთქი, და ფრთხილად დაუწყე ბოჭკოებს სინჯვა. მაგრამ ქალიშვილებმა ახლა უფრო იყვირეს. მათმა წივილ-კივილმა და ხელების შეშინებულმა საესაქმა ძალიან შემაშუოთია: ტაპა ძირს დაეკადე და სახლიდან გამოსვლა დაეპაირე. ყვირილი იმწუთას შეწყდა. ერთმა ქალიშვილმა ხელი მომიკიდა, ხელიდან ახლახან გაგდებული ბოჭკოების ნავლეჯები დამანახვა და ყურში ჩამსურჩულა საბედისწერო სიტყვა „ტაბუ“.

შემდგომში გავიგე, რომ თურმე ისინი ამზადებენ განსაკუთრებული სახის ტაპას, რომელიც ქალთა თავსაბურავებად იყო გათვალისწინებული, რის გამოც მუშაობის ყველა სტადიაში უმკაცრესი ტაბუს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და მამაკაცებს შეხება ეკრძალებოდათ.

ხშირად ჭალაში სეირნობისას მინახავს ფოთლების გირლანდებით დამშვენებული პურის ხე და ქოქისის პალმა. გირლანდა რალაც განსაკუთრებული წესით პქონდა შემოვლებული ხეს. ეს ტაბუს ნიშანი იყო. თვით ხე, ნაყოფები და მიწაზე დაფენილი ჩრდილიც კი — ყველაფერი წმიდად ითვლებოდა მის გამო.

ჩიბუხი, რომელიც მეფემ მაჩუქა, ადგილობრივ მკვიდრთა თვალში წმიდათა წმიდად იქცა, და მე არ შემეძლო ვინმესთვის მომეწვეინებინა იგი. მისი თავი თურქული ჩალმის მსგავსად იყო შეკრული ბალახით.

ტაბუს წესების ყველა ჭირვეული გამოვლინების ჩამოთვლა უაზრო იქნებოდა. შავი ძაღლი, გარკვეული ასაკის ბავშვი, ფეხმძიძე ქალი, იმ ასაკის ჭაბუკები, როცა მათი პირისახის ტატუირება ხდება, ველის ზოვიერთი ნაწილი წყალდიდობის დროს — ყოველივე ერთნაირად არის შეზღუდული ტაბუს კანონით.

მაგრამ მე მიახლოებითაც არ შემეძლია მივუთითო, რა ძალა ადებს ამა თუ იმ მოვლენას ტაბუს. როცა ვფიქრობ ადგილობრივ მკვიდრთა შორის უმნიშვნელო უთანასწორობაზე, მეფისა და ბელადთა ძალზე შეზღუდულ და არაარსებით უპირატესობაზე, ქურუმთა თავისუფალ და გაურკვეველ მოვალეობაზე — სულ მთლად ვიბნევი და აღარ ვიცი, სად ვეძებო ის ავტორიტეტი, რომელიც ამ ყოვლადმღიერ წესებს არეგულირებს. დღეს რალაცას ადებენ ტაბუს, ხვალ ხსნიან, სხვა შემთხვევაში ტაბუს მოქმედება მუდმივია. ზოგჯერ მისი შეზღუდვები მხოლოდ ერთ პიროვნებას ეხება, ზოგჯერ მთელ ოჯახს, ზოგჯერ მთელ ტომს;

ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ერთი კუნძულის სხვადასხვა ტომზე კი არა, კუნძულთა მთელი ჯგუფის მცხოვრებლებზეც ვრცელდება. ასეთია, მაგალითად, წესი, რომელიც კანოეში ჩაჯდომას უკრძალავს ქალებს. ასეთი წესი ყველა ჩრდილო მარკიზის კუნძულებზეა გავრცელებული.

თვით სიტყვა „ტაბუს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ მას შეილთან ურთიერთობაში ხმარობს მამა, როცა იგი ამა თუ იმ ქცევას უკრძალავს მამობრივი უფლებით. ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება კუნძულელთა ადამ-ჩვევებს, თავისთავადაც რომ არ იყოს აკრძალული, აღინიშნება იმავე სიტყვით — „ტაბუს“.

თ ა ვ 0 12

მას შემდეგ, რაც ოსტატ კარკის გადავეყარე, ჩემი საქმე უკან-უკან წავიდა. დღე არ გავიდოდა, რომ რომელიმე ადგილობრივი მკვიდრი არ ამდევნებოდა. სულ იმის თხოვნაში იყვნენ, რომ საშინელი ტატუ გამეკეთებინა. მათ ჩაციებას გაშაშა, მაგებამდე მიყვადი, რადგან ვგრძნობდი, რომ იოლად შეეძლოთ თავიანთი ყოველგვარი სურვილის შესრულება. მიუხედავად ამისა, ისევე კარგად მეპყრობოდნენ, როგორც წინათ: ფაიავეი ისეთივე გულკეთილი და ყურადღებიანი იყო, კორი-კორი ისეთივე ერთგული. მეჭევიც ისეთივე ღმობიერი და მოწყალე.

რამდენადაც შეეძელი გამოთვლა, უკვე მეოთხე თვე იყო ცხობრობდი ველზე; კიდევ უფრო ძლიერ ვგრძნობდი, რა ვიწრო ჩარჩოებში მოექცა ჩემი ცხოვრება, და უკიდურესად მიმძიქვდა ტყვის მდგომარეობაში ყოფნა. არ იყო ადამიანი, რომელთანაც შეემძლო თავისუფლად მელაპარაკა, ფიქრები გამეზიარებინა, ჩემს გაჭირვებაზე შემეჩვილა. ათასჯერ მიფიქრია, რა ადვილად შეუურიგდები ბედს, რომ ტობი ახლაც ჩემთან იყოს-მეთქი. სრული მარტოობის შეგრძნება საშინელი რამ იყო. და მაინც, მიუხედავად მწუხარებისა, რაც შეემძლო ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მშვიდად და მხიარულად ვჩვენებოდი სხვებს, რადგან კარგად ვიცოდი, ჩემი უკმაყოფილებისა და გაქცევის სურვილის გამჟღავნებით მხოლოდ გავიუარესებდი საქმეს.

ჩემი მეტად მძიმე გუნება-განწყობილების პერიოდში ავადმყოფობა, რომელიც წინათ მტანჯავდა და მერე თითქმის გამი-

არა, ახლა ისევ შემთხვევითაა და თანაც უწინდებური ძალით. ამ ზეღმეტა გართულებამ ხომ სულ სასოწარკვეთილებაში ჩაბაგ-დო; ავადმყოფობის შებრუნება ადასტურებდა, რომ უწამლოდ გამოჯანსაღებაზე ფიქრი ამო იყო, სწორედ ამ მთების იქით, რომლებიც გარს მერტყა, შეიძლებოდა მეპოვა აუცილებელი სა-ეკიმო დახმარება, მაგრამ, მიუხედავად სიახლოვისა, ეს ჩემთვის მიუწვდომელი იყო!

ამ საცოდავ მდგომარეობაში მყოფი, ვგრძნობდი, რომ სრუ-ლიად დამოკიდებული ვიყავი იმ არსებათა მოწყალებაზე, რო-მელთა ხელშეწყობა ვიყავი ჩავარდნილი და ეს კიდევ უფრო აძლი-ერებდა ჩემს მწუსარებას.

ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც გული დამიმძიმა.

მე უკვე ვიამბეთ, რომ კორი-კორის სახლის სხვენის კოჭზე ტაპაში გახვეული სხვადასხვა შეკრულა ეკიდა. ბევრი მათგანი არაერთხელ მინახავს ადგილობრივ მკვიდრთა ხელში, და მათი შიგთავსი ჩემი თანდასწრებით ისინჯებოდა ხოლმე. მაგრამ მათ შორის იყო სამი პაკეტი, რომლებიც ჩემი საწოლის თავზე ეკი-და, და რომელთა თავისებური შესახედაობა ხშირად მიღვიძებ-და ცნობისმოყვარეობას. რამდენჯერმე ვთხოვე კორი-კორის, ეჩვენებინა, რა იყო შიგ, მაგრამ ჩემი მსახური, რომელიც თით-ქმის ყოველთვის მისრულებდა სურვილს, მუდამ უარზე იდგა.

ერთხელ ჩვეულებრივზე ადრე დავბრუნდი ტაის სახლიდან. ჩემმა მოსვლამ აშკარად დააბნია თანამობინადრენი. ყველანი ერთად დამსხდარიყვნენ ჭილოფზე. სახურავიდან იატაკამდე ჩა-მოსული თოკების დანახვაზე მივხვდი, რომ იდუმალი შეკრუ-ლები რაღაც მიზნით ჩამოვლოთ და ათვალისწინებდნენ. აშკარა დაბნეულობამ, რაც მათ გამოამჟღავნეს ჩემს მისვლაზე, ცუდი წინათგრძნობა აღმიძრა და მომინდა გამეგო ის საიდუმლო, რო-მელსაც აქამდე ასე ძრწოლვით ინახავდნენ. კორი-კორი ცდი-ლობდა არ შევეშვი, მაგრამ არ შევეპუე და წრის შუაგულში აღმოვჩნდი. სანამ იქ მსხდომნი მოასწრებდნენ იმის დამალვას, რაც წინ ედოთ, მე დავინახე სამი კაცის თავი.

ერთი მათგანი უკეთ დავინახე. ის კარგად იყო შენახული და, რამდენადაც შევნიშნე, თითქოს შებოლილიც იყო, რაც მას გამომშრალი მუმიის შესახედაობას აძლევდა. ორი გრძელი ნაწ-ნაეი ბლუჯად ჰქონდა შეკრული კინკრიხოზე. ჩაცვნილი თვა-ლები კიდევ უფრო საზარლად მოუჩანდა გამხდარ ტუჩებს შუა

ამოწვევრილი ქათქათა კბილების გვერდით, ხოლო თვალის ფოსოები, სადაფის ნიჟარების ოვალურ ნატეხებს რომ დაეფარა, კიდევ უფრო ამახინჯებდა თავს. ორი თავი, ეტყობა, კუნძულელისა იყო, ხოლო მესამე — ჩემდა საუბედუროდ — თეთრკანიანი-სა. სანქაროდ კი დამიმალეს, მაგრამ ერთი შეხედვაც კმაროდა, რომ ამაში დაერწმუნებულყავი.

ღმერთო ჩემო! შეკრულების საიდუმლოს გამოცნობით, შესაძლოა, ჩემი ამხანაგის ბედის საიდუმლოც გამომეცნო. მე მინდოდა ტაპის ნატრები ამეგლიჯა და დამედასტურებინა ეჭვები, რომლებიც გულს მიღრღნიდა. მაგრამ სანამ თავზარდაცეპული გონს მოვიდოდი, საბედისწერო შეკრულები უკვე ჩემს თავზე ეკიდა. ადგილობრივი მკვიდრნი ხმაურით ირეოდნენ ჩემს გარშემო და ცდილობდნენ დავერწმუნებინე, რომ ჩემ შიერ ახლახან ნახული თაევები გაპარის ტომის იმ სამი მეომრისა იყო, რომლებიც ბრძოლაში იყვნენ მოკლული. ამ აშკარა სიცრუემ კიდევ უფრო შემაშფოთა და მბოლოდ მას შემდეგ დავმშვიდდი ცოტა, როცა გამახსენდა, ეს შეკრულები მანამდე ვნახე, სანამ ტობი გაუჩინარდებოდა.

თუმცა ტობის დალუპვის შესახებ საშინელი ფიქრები გამეფანტა, მაგრამ ნახულმა კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე დამაყენა. მთლად მაინც არ მჯეროდა ტაიპების გამულმებული მტკიცება, თითქოს ისინი არასოდეს არ ჭამდნენ ადამიანის ხორცს, მაგრამ რადგანაც ველზე ხანგრძლივი ყოფნისას ერთხელაც ვერ წავაწყდი ამის საწინააღმდეგო სურათს, ვიმედოვნებდი, რომ ეს იშვიათად ხდებოდა, და რომ თავიდან ამშორდებოდა საშინელება — ვყოფილიყავი ამ იშვიათი შემთხვევის მიწმე. მაგრამ ვაი რომ ეს იქელი არ გამიმართლდა.

ყოველთვის მიკვირდა, რომ კაციჭამიათა ტომების შესახებ ცნობებს იშვიათად გვაწვდიან ამ საძაგელი ჩვეულების მნახველები. ამგვარ საშინელ ცნობებს მუდამ საფუძვლად უდევს ან მეორე პირთა ნაამბობი, ანდა თვით იმ ველურთა აღიარება, რომელთაც ცივილიზაციის რაღაც საფეხურამდე მიულწევიათ. პოლინეზიელებმა იციან, რომ თეთრკანიანებს სძულთ ეს ჩვეულება, რის გამოც მუდამ უარყოფენ მის არსებობას და საოცარი გულმოდგინებით ცდილობენ წაშალონ კაციჭამიების ყოველგვარი კვალი.

შეკრულების საიდუმლოს ამოცნობის შემდეგ ერთი კვირა

იყო გასული, როცა შემთხვევით მოეხვედი ტაის სახლში. უეცრად მოიქსმა ხმები, როდღებიც ახალ სამხედრო საშიშროებას ამცნობდნენ ხალხს. ადგილობრივი მცხოვრებნი იარაღს დასწედნენ და განმეორებით შემოსეულ გააარებს დახვდნენ. ახლაც იგივე გამეორდა, რაც წინათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბრძოლის განსაჯლობაში მთების მხრიდან მუშკეტის ორმოცდაათამდე გასროლა შემომქსმა. ბრძოლის დამთავრებიდან ერთი-ორი საათი იქნებოდა გასული, რომ მთელ ველს მოედო გამარჯვებულთა მოახლოების მასწავლებელი ხმამაღალი სიმღერა.

მე აიენის მოაჯირზე დაყრდნობილი ვიდექი კორი-კორის გვერდით და ველოდი, როდის გამოჩნდებოდნენ მეომრები, როცა კუნძულელთა ხალხმრავალი ბრბო ველური ყიჟინით გამოვიდა მახლობელი ჭალიდან. ბრბოს შუაგულში ერთიმეორის მიყოლებით მოახიჯებდა ოთხი კაცი. ისინი რვა-ათი ნაბიჯით იყვნენ დაშორებული ურთიერთს. მხარზე ჰქონდათ გადებული სარები, რომლებზედაც ეკიდა ვიწრო და ვრძელი შეკრულები. ისინი გახვეული იყო ახალმოკრეფილ პალმის ფართო ფოთლებში, რომლებიც ბამბუკის ანატკერებით მიემაგრებინათ ერთმანეთზე. ამ მწვანე საფარველს აქა-იქ აჩნდა სისხლის ლაქები. ასეთივე ლაქები აჩნდათ შიშველ ტანზე მეომრებს, ამ საზარელ ტვირთს რომ ეზიდებოდნენ. პირველ მეომარს ღრმა ჭრილობით ჰქონდა დასახინჩრებული თავი, რომელზედაც სისხლი შეხმობოდა. ადგილობრივი მკვიდრი წელში წყდებოდა მძიმე ტვირთისაგან. ტატუთი მოხატული ტანი სისხლითა და მტკრით დაჭფაროდა; დაწითლებულ თვალებს მოუსვენრად აცეცებდა, რაც მის მძიმე ტანჯვაზე მეტყველებდა. მაგრამ კაცი როგორღაც ადგინებული იყო და მაინც საკმაოდ სწრაფად მიიწევდა წინ, ირგვლივ მყოფნი კი ცდილობდნენ ყიჟინით გაემხნევიებინათ. დანარჩენ მეომრებს მკლავები და გულმკერდი დაფარული ჰქონდათ ჭრილობებით, რომლებსაც ამაყად უჩვენებდნენ ყველას.

ამ ოთხ კაცს ყველაზე უფრო გამოეჩინა თავი უკანასკნელ შეტაკებაში, და ისინი ღირსი გამბდარიყვნენ თავიანთი მტრების გვამები წაელთ ტაის სახლში. ასეთი დასკენა გამოვიტანე როგორც საკუთარი თვალთ დანახულიდან, ისე კორი-კორის განმარტებიდან.

მეჰევი ხელმწიფურად მოახიჯებდა ამ გმირებს შორის. ცალ ხელში მუშკეტი ეჭირა, რომელზედაც თოფის წამლის პატარა

პარკი ეკილა, მეორეში კა სელშუბი, რომელსაც გამარჯვებულის იერით ასვალიერებდა. ეს შუბი ერთი სახელგანთქმული გაპარი შემორისათვის წაერთმია, ლანრულად უკუქცეულს მთის მწვერვალზე რომ წამოსწვოდა.

სახლამდე მცირე მანძილია იყო დარჩენილი, რომ თავში დაჭრილმა შემომარმა ორჯერ-სამჯერ წაიფორხილა და უმწვოდ დაეცა მიწაზე. მის სარს მეორე მხედარი დასწვდა და მხარზე გაიღო.

კუნძულელთა მღელვარე ბრბო, რომელსაც მოკლულთა გვამები მოჰქონდა და თან მეფეს არ შორდებოდა, გამარჯვების ყიჟინითა და იარაღის ქნევით უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც შე ვიდექი. როცა ბრბო ტაის სახლს მოუახლოვდა, შევეცადე ყურადღებით შემთვალაიერებინა. მაგრამ განერდნენ თუ არა მომავალნი, ჩემმა მსახურმა, ერთი წუთის წინ რომ მიმატოვა, სელი მომკიდა და მთხოვა შინ დაებრუნებულიყავი. მე უარი ეუთხარი, მაგრამ, ჩემიდა გასაოცრად, მან ისევ გამიმეორათხოვნა — თანაც უჩვეულო დაჟინებით. მე მაინც უარზე ვიდექი და მიხლოდა გავცლოდი, რომ უეტრად მხარზე ვილაცის მძიმე ხელი ვიგრძენი, უკან მოვიხედე და თვალში მეცა მოუ-მოუს, ცალოვალა ბელადის, უხარმაზარი სახე. იგი ბრბოს ჩამორჩენოდა და აივანზე ამოსულიყო. ლოყაში შუბი მოხვედროდა და ჭრილობა კიდევ უფრო საშინელ გამომეტყველებას აძლედა მის ისედაც მახინჯ ტატეირებულ სახეს. შემომარმა უსიტყვოდ, მბრძანებლურად მიმითითა სახლისაკენ, ხოლო კორი-კორიმ შურვი მომიშვირა, რათა შევედომოდი.

მე ზურგზე შეჯდომაზე უარი ვთქვი, ისე კი იქაურობას გავეცალე და ნელა გავუყევი მოედანს, თან მიკვირდა, რატომ მომექცნენ ასე. მცირე ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ალბათ კუნძულელები რაიმე საშინელი წესის აღსრულებას აპირებენ და ჩემი იქ ყოფნა ზედმეტად მიაჩნიათ-მეთქი. აივანი დავტოვე და წავედი. კორი-კორი მხარში მყავდა ამომდგარი. ამჯერად იგი აღარ თანამიგრძნობდა კოჭლობის გამო და მხოლოდ ჩქარობდა როგორმე გავეყვანე აქედან. ხალხი მჭიდროდ შემორტყმოდა ტაის. მათ შუა გავიარე და შიშითა და ცნობისმოყვარეობით გადავხედე სამ შეკრულას, რომლებიც უკვე მიწაზე დაედოთ. თუმცა ეჭვი არ მეპარებოდა, რა იყო შიგ, მაგრამ სქელმა საფარმა მაინც ხელი შემიშალა გამერჩია მათში ადამიანის სხეულის მოხაზულობანი.

მეორე დღეს, დილით, მზის ამოსვლისთანავე გამაღვიძა იმავე გრუხუნმა, რაც დღესასწაულის მეორე დღეს გავიგონე. ამან დამარწმუნა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი მეორე, ჩემი ფიქრით, საშინელი დღესასწაულის გადახდას აპირებდნენ.

სახლის ყველა ბინადარი, კორი-კორისა და მის მოხუცთა გარდა, საუკეთესო ტანსაცმელში გამოიქცაო და წმიდა ჭალისაკენ გაემართა.

ჩემი ეჭვის შესამოწმებლად კორი-კორის ვთხოვე გაგვეხირონა, როგორც ამას დილდობით ვაკეთებდით ხოლმე, თუმცა იმედი არ მქონდა, რომ დამეთანხმებოდა. კორი-კორიმ ცივი უარი მითხრა. როცა ხელმეორედ ვთხოვე, აშკარად გადაწყვიტა ხელი შეეშალა, და რომ გადაეფიქრებინა ჩემთვის იქ წასვლა, შემომთავაზა, მდინარეზე ჩაეიდეთო. მეტი რა გზა იყო, უნდა დაეთანხმებოდი, და ჩვენ საბანაოდ წავედით.

სახლში რომ დავბრუნდით, გამოკვირდა: ჩვენი სახლის ბინადარნი, ყველანი უკლებლივ, მოსულიყვნენ და ჩვეულებისამებრ ისხდნენ ჭილოფებზე, თუმცა ჭალიდან ჯერ კიდევ მოისმოდა ღოღების ბრაგაბრუვი.

ის დღე კორი-კორისა და ფაიავეისთან ხეტიალში დავაღამე. ადგილი, სადაც ჩვენ დაეხეტებოდით, ყველაზე უფრო იყო დაშორებული ტაის სახლს. გავიხედავდი თუ არა წმიდა ჭალისაკენ, ჩემი მსახური იმწამსვე წამოიძახებდა: „ტაბუ!, ტაბუ!“, თუმცა შენობა სულ მთლად დაფარული იყო ხეებით და ერთი მილი გვაშორებდა მისგან.

მრავალ სახლში, სადაც შევიდოდით, ეხედავდი, რომ ბინადარნი ან ჭილოფებზე წამოწოლილიყვნენ და ისვენებდნენ, ანდა რაიმე საშინაო საქმეს აკეთებდნენ. მაგრამ მათ შორის არ იყო არც ერთი ბელადი ან მეომარი. როცა ზოგ მათგანს ვკითხავდი, „ჰულა-ჰულას“ ტაძარში რატომ არა ხართ-მეთქი, ისინი ერთსა და იმავეს მიპასუხებდნენ: ლხინი ჩვენთვის კი არა, მთავარი ბელადების მეჭევის, ნარმონის, მოუ-მოუს, კოლორის, უომონუსა და კალოუსთვის არის დანიშნულიო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ადასტურებდა, რომ ჩემი ეჭვი ლხინისა და დღესასწაულის შესახებ უსაფუძვლო არ იყო. ნუკუპივაში ყოფნისას ხშირად გამიგონია, რომ კაციჭამიათა ლხინში მთელი ტომი კი არა, მხოლოდ ბელადები და ქურუმები მო-

ნაწილებდნენ. ის, რაც ახლა გავიგე, ემთხვევა იმ ცნობებს, რაც წინათ მქონდა მოსმენილი.

დოლების ბრავაბრუგი მთელ დღეს გრძელდებოდა და ენით აუწერელ შიშს მგვრიდა. მეორე დღეს ამ თავაწყვეტილი მხიარულების ნიშნები რომ აღარ გამიგონია, ვიფიქრე, მსეცური ღზინი ალბათ უკვე დამთავრდა-მეთქი.

აუადმყოფური ცნობისმოყვარეობის გრძნობამ და სურვილმა გამეგო, ხომ არ იყო ტაიში რაიმე აშკარა ნიშანი იმისა, რაც იქ ხდებოდა, მაიძულა კვლავ მეთხოვა კორი-კორისათვის იქით გასეირნება. პასუხად მან ჯერ ამომავალ მზეზე მიმითითა, მერე კი ზენიტზე და ამით განმიცხადა, რომ ვიზიტი შუადღემდე უნდა გადაგვედო. დათქმულმა დრომ რომ მოატანა, წმიდა ჭალისაკენ გავემართეთ. როგორც კი მის საზღვრებს გადავაბიჯეთ, შიშით დავიწყე თვალების ცეცება; მინდოდა რაიმე კვალი მეპოვა იმ ღზინისა, რომელიც წელან მიმდინარეობდა. მაგრამ, ეტყობა, ყველაფერი უწინდებურად იყო. ტაის სახლს რომ მივადექით, დავინახეთ მეკევი და რამდენიმე ბელადი, რომლებიც ჭილოფზე ისხდნენ. მეკევიმ, როგორც ყოველთვის, მეგობრულად მიმიღო. სიტყვაც კი არ გადაუკრავს ამას წინათ მომხდარი ამბების შესახებ, და მეც გასაგებია რატომ მოვერიდე ამაზე ლაპარაკს.

რამდენიმე ხნის შემდეგ იქაურობა დაეჭოვე. აივანი გავიარე და სანამ ძირს ჩამოვდგამდი ფეხს, დავინახე პატარა კანოეს მსგავსი საკმაოდ დიდი ხის ჭურჭელი, რომელსაც ხისავე თავსახური ეხურა. მას ერტყა ასე ერთი ფუტის სიმაღლის ბამბუკის მოაჯირი. რაკი ჭურჭელი აქ ჩემი არყოფნის დროს დაედგათ, იმწამსვე დავასკენი, რომ იგი რაღაცით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული წელანდელ ღზინთან. ცნობისმოყვარეობა ვერ დაუძლიე და გვერდით გავლისას ოდნავ ავწიე თავსახური. სწორედ ამ დროს ბელადებმა შეჰყვირეს: „ტაბუ! ტაბუ!“.

მაგრამ ერთი შეხედვაც კმაროდა: მე დავინახე ადამიანის ძელები, ჯერაც ახალი და ნამიანი, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა ხორცის ნაჭრები.

ჩემ წინ მიმავალი კორი-კორი ბელადების შეძახილზე მობრუნდა. ეტყობა, მანაც შენიშნა სახეზე შიში, ჩემკენ გამოიქცა, კანოეზე მიმითითა და შესძახა: „პუარკი! პუარკი!“ მე ისე მოვაჩვენე თავი, თითქოს მჯეროდა, რომ ძელები ღორისა იყო, და, რამდენჯერმე წარმოვთქვი მისი სიტყვები, ვითომ ვეთანხმე-

ბოდი. დანარჩენი მკვიდრნიც, რომლებიც ჩემი ქცევით მოტყუვდნენ თუ თავიანთი უკმაყოფილების დაფარვას ცდილობდნენ, აღარ დაინტერესებულან მომხდარი ამბით. მე საჩქარიოდ დავეტოვე ტაი...

მთელ ღამეს არ მიძინია: ვფიქრობდი იმ საშინელ მდგომარეობაზე, რომელშიც ჩავევარდი. უკანასკნელი საზარელი საიდუმლო უკვე ამოხსნილია! როგორ ვუშველი თავს? როგორ გავიქცე აქედან? ერთადერთი იმედიღა შემომრჩა, რომ ფრანგები აღარ გადადებდნენ ამ ყურეში შემოსვლას. ხოლო თუ ისინი თავიანთი ჯარის ნაწილს დატოვებდნენ ველზე, ადგილობრივი მკვიდრნი დიდხანს ვეღარ დაუძალავდნენ მათ ჩემს თავს. მაგრამ რა საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ ამ სასიხარულო დღის დადგომამდე არ მომიღებდნენ ბოლოს?

აღწერილი ამბიდან ათიოდე დღე იქნებოდა გავლილი, როცა ნასადილევს, სახლში მჯდარმა, გავიგონე მისალმების შეძახილები:

— მარნუ მოვიდა, მარნუ!

ამ ცნობამ ძალიან გამახარა. მე კვლავ შევძლებ ჩემს მშობლიურ ენაზე ლაპარაკს! გარდა ამისა კადავწყვიტე, რომ რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, მასთან ერთად შემემუშავებინა ჩემი ხსნის გეგმა, თუნდაც იგი ყველაზე სარისკო ყოფილიყო.

მარნუ რომ მომიახლოვდა, შიშით გავიხსენე, რა სამწუსარიოდ დასრულდა ჩვენი პირველი საუბარი. სახლში რომ შემოვიდა, გულის ფანცქალით დაუწყვე თვალთვალი, თუ როგორ შეხვდებოდნენ მას სახლის ბინადარნი. საბედნიეროდ, სიხარულით მქონდა გაცისკროვნებული სახე. აღერსიანად გამომელაპარაკა, გვერდით მომიჯდა და მხოლოდ პერე დაუწყო საუბარი შემოკრებილ მკვიდრთ. მაგრამ ამჯერად, ეტყობა, რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა ვერ მოეტანა. მე ვკითხე, საიდან მოხვედით-მეთქი. პუიარკიდან, ჩემი მშობლიური ველიდან, დღესვე უნდა დაუბრუნდე უკანო, მიპასუხა.

თავში გაძიელვა ფიქრმა, რომ თუ მისი მფარველობით იმ ველამდე მივალწვედი, იქიდან ნავით ადვილად ჩავიდოდი ნუკუპივამდე. აღფრთოვანებულმა იმ შესაძლებლობით, რასაც ეს გეგმა იძლეოდა, რამდენიმე სიტყვით მოვუთხრე მოგზაურს მის შესახებ და ვკითხე, როგორ მოვექცეულიყავი, რომ რაც შეიძლება უკეთ შემესრულებინა იგი. კინალამ გული გამისკდა, როცა დამ-

ტყრეული ინგლისურით მიპასუხა, მაგაზე ტყუილად ფიქრობო.

— ესენი არ გაგიშვებენ, — მითხრა მან. — შენ ტაბუ ხარ. რატომ არ გინდა დარჩე? რამდენიც გინდა, იმდენ ხანს გპინავს, საჭმელ-სასმელი ბლომადა გაქვს, ქალიშვილებიც ბევრია. ო, ტაიპი ძალიან კარგი ადგილია. თუ არ მოგწონს, რალაზე მოხვედი? არ გაგიგონია ტაიპის შესახებ? ყველა თეთრკანიანს ესინია ტაიპის, თეთრკანიანები აქ არ მოდიან.

ამ სიტყვებმა უსაზღვროდ დამამწუხრა. და როცა ისევ მოვუყევი ველზე ჩემი ჩამოსვლის ამბავს, აუწერე ის ფიზიკური ტანჯვა-წამება, რაც მანამდე გადავიტანე, და შეეცაღე თანაგრძნობით გამსჭვალულიყო ჩემდამი, ვეღარ მოითმინა და აღელვებულმა შესძახა:

— მორჩა, მეტს აღარ მოგისმენს ესენი მალე, სულ მალე გაშმაგლებიან და ორივეს მოგკლავენ! ვერ ხედავ, რომ არ სურთ გელაპარაკო? ხომ ხედავ? მალე, სულ მალე აღარ შეგკვიძლება ფიქრი, ყველაფერი კარგად იქნება, მოგკლავენ, შეგჭამენ და შენს თავს ჩამოჰკიდებენ იქ, სადაც გაპარის თავი ჰკიდია! ყური მივდე: მე მალე, მალე წავალ. შენ ივალს აყოლებ გზას, რომლითაც მე მივდივარ, მერე კი ერთ ღამეს ყველას სძინავს, სძინავს, შენ გარბიხარ, შენ მიდიხარ ჰუიარკაში! მე ვეიტყვი პუიარკელ ხალხს, და ისინი აღარაფერს გიშავებენ! აბა! მერე კანონითი მიმყავხარ ნუკუპივაში, და შენ აღარ გამორბიხარ გეიიდან!

ეს რომ თქვა, მარნუ წამოხტა, ჩემთან ლაპარაკს თავი ანება და ახლახან შემოსულ რამდენიმე ბელადთან გააბა საუბარი.

ასე უეცრად შეწყვეტილი ლაპარაკის განახლების ცდა უაზრობა იქნებოდა. მარნუ, ეტყობა, მაინცდამაინც არ იყო განწყობილი იმისათვის, რომ ჩემი გულისთვის თავი გაეწირა. მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული გეგმა განუხორციელებელი არ მყენა და გადავწყვიტე რაც შეიძლება ჩქარა განმეხორციელებინა იგი.

ამიტომ, როცა მარნუ წასასვლელად წამოდგა, ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად გავაცილე, რადგან განზრახული მქონდა კარგად შემემჩნია გზა, რომლითაც ველიდან გავიდოდა. სახლიდან გასვლისას ხელში მწვდა, ყურადღებით შემომხედა და წამოიძახა:

— ახლა ხომ იცი — შენ აკეთებ, რაც გითხარი, აკეთებ კარგად! შენ ისე არ აკეთებ, გესმის? — მაშინ შენ კედები!

მერე გამოთხოვების ნიშნად შუბი დაუქნია ხალხს, ხეობისაკენ მიმავალ ბალიკს გაჰყუა და ძალე თვალს მიეფარა.

ახლა უკვე მქონდა გაქცევის გეგმა, მაგრამ როგორ შემოიქმედა? მე შელამ თან მახლდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. მარტოს, ერთი სახლიდან მეორეში გადასვლაც არ შეიძებლო. ძილის დროს ოდნავი მოძრაობაც კი, ეტყობა, შეუმინეველი არ რჩებოდათ იმათ, ვინც ჩემთან ერთად იწვა. ამ დაბრკოლებათა მიუხედავად, გადავწყვიტე დაუყოვნებლივ მეცადა გაქცევა. მაგრამ ორი საათით ადრე მაინც უნდა გავპარულიყავი მანამდე, სანამ ადგილობრივი მკვიდრნი შეამჩნევდნენ, რომ გავიქეცი. რაიმე ამაღელვებელი ცნობა ისე სწრაფად ვრცელდებოდა ველის მცხოვრებთა შორის, ისე კარგად იცნობდნენ ჭალების ბილიკებს, რომ მე, გზის უცოდინარ და დასუსტებულ კაცს, აუცილებლად უნდა მქონოდა მარაგად ეს ორი საათი. მხოლოდ ღამით შეიძლებოდა მქონოდა ჩემი განზრახვას შესრულების იმედი და თანაც უდიდესი სიფრთხილის მეოხებით.

კორი-კორის სახლში წულ კელელში დატანებული დაბალი და ვიწრო ხერელიდან შედიოდნენ. როგორც კი სახლის ბინადარნი დასასვენებლად წვებოდნენ, ეს შესასვლელი იკეტებოდა მძიმე ფართით, რომელიც ხის ქერქით ოსტატურად შეკრული თორმეტი ფიცრისაგან შედგებოდა. თუ რომელიმე ბინადარი გავიდოდა სახლიდან, ამ ხელოვნური კარის გაწევით გამოწვეული ხმაური ყველას აღვიძებდა.

მე შემდეგნაირად გადავწყვიტე ამ დაბრკოლების გადალახვა. ღამით უშიშრად ავდგები, ფიცარს გადავწევ და სახლიდან გავალ, ეთომდა აივნის კუთხეში მდგარი კვახის ჭურჭლიდან წყლის დასალევად. შინ შემობრუნებულს, განგებ დავტოვებ შესასვლელს ღიას. იმედია, უსრუნველობა ხელს შეუშლის კუნძულელებს გამოასწორონ ჩემი დაუღვერობით გამოწვეული შეცდომა. მე დავბრუნდები ჩემს ჭილოფზე, მოთმინებით მოვიცდი ცოტას, სანამ დაიძინებდნენ, მერე ჩუმად გამოვალ გარეთ და დაკადები პუიარკის გზას.

მარნუს წასვლის მეორე ღამეს შევეუდექი გეგმის შესრულებას, შუაღამემ რომ მოატანა, ავდექი და კარი გავწიე. ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორც მოველოდი, ზეზე წამოხტნენ. ვიღამ იკითხა:

— სად მიდიხარ, ტომო?

— წყალი, — მოკლედ მიუხედავად მე და კვახის ჭურჭელს დაეწვდი.

ჩემი პასუხის გაგონებაზე ისინი კვლავ დაწვნენ, მე კი ერთი წუთის შემდეგ დაებრუნდი ჩემს ჭილოფზე და თრთოლვით დაველოდე ცდის შედეგებს.

ველურებმა ერთხანს იტრიალეს, მერე კი, ეტყობა, ჩაიძინეს. ჩამოვარდნილმა სინუმემ ისე გამახარა, რომ კვლავ დავაპირე წამოდგომა. მაგრამ უცებ გაისმა ჩუმი შარიშური. ჩემსა და კარს შუა შავი ლანდი გაძვრა. კარი ისევ დაიკეტა. კაცი ჭილოფზე დაწვა. ეს მეხის დაცემა იყო ჩემთვის. მაგრამ რადგან სახლიდან გასვლის განმეორებით ცდას შეიძლებოდა დაეჭვებინა ადგილობრივი მკვიდრნი, იძულებული გავხდი მეორე ღამისათვის გადამელო იგი. ამის შემდეგ რამდენჯერმე გაეიმეორე ერთი და იგივე მანევრი, მაგრამ ასევე მცირე წარმატებით. ვინაიდან ღამლობით ჩემი ადგომის საბაბად მუდამ წყურვილს ვასახელებდი, კორი-კორი, ეჭვით თუ ჩემი სიამოვნების სურვილით შეჰყრობილი, ყოველ საღამოს მიდგამდა ხოლმე სასთუმალთან წყლით სავსე კვახს.

ასეთ არახელსაყრელ პირობებშიც კი კვლავ განვაახლე ჩემი ცდა, მაგრამ როცა ამას ვაკეთებდი, ჩემი მსახურიც ჩემთან ერთად ღებოდა, თითქოს ცდილობდა ერთი წუთითაც არ მივეტოვებინე უმეტვეალყურეოდ.

თ ა მ ი 13

მარნუს ვიზიტის შემდეგ ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ დიდის ვაივაგლახით დავდიოდი, მაშინაც კი, როცა მსარში მეღვაკორი-კორი, რომელსაც უწინდებურად დავყავდი მდინარეზე.

სათობით ვიჯექი ჭილოფზე და როცა ჩემს ირგვლივ მყოფნი უზრუნველად თვლემდნენ, მე რული არ მეკარებოდა და ვფიქრობდი ბედზე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ჩანს, უკვე ამაო იყო. გაუნელებელი სევდა მტანჯავდა, როცა ვფიქრობდი საყვარელ მეგობრებზე, რომლებიც ათეული კილომეტრებით იყვნენ დაშორებული კუნძულს, სადაც მე ვიყავი დატყვევებული, როცა ვფიქრობდი საშინელ ხვედრზე, რომელიც სამუდამოდ ამოუცნობი იყო მათთვის, და როცა წარმოვიდგინდი

ხოლმე, რომ მათ კიდევ ექნებოდათ ჩემი დაბრუნების იმედი, მაშინ როცა უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებოდი.

მე სამუდამოდ დამამახსოვრდა იმ საზარელ დღეთა ყოველი წვრილმანი. ჩემი თხოვნის თანახმად, ჭილოფებს მუდამ კარის წინ მიგებდნენ. მის შორიახლო იდგა ქოხი, რომელსაც მოხუცი მარჰეიო აშენებდა. მე სიამოვნებით ვადევნებდი თვალს ამ ძველი მეომრის ყოველ მოძრაობას. იჯდა ჩრდილში და ნელა, აუჩქარებლად მუშაობდა: ხან ქოქოსის პალმის ფოთლებს წნავდა, ხან კი ხის ქერქის დამახულ ბოჭკოებს ახვევდა. ხშირად, ნაღვლიან თვალებს რომ მივაპყრობდი, სამუშაოს გვერდებზე გადადებდა, ხელს აწევდა და ამით გამოხატავდა ღრმა თანავგრძნობას. მერე, მთვლემარე მკვიდრნი რომ არ შეეშფოთებინა, ფეხაკრეფით მიამიახლოვდებოდა, მარაოს გამომართმევდა, ახლოს დამიჯდებოდა და მინიავებდა, თან თვალს არ მაშორებდა.

ეროხელ, შუადღისას — სამი კვირა იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც მარნუმ მეორედ მოგვინახულა, და ალბათ ოთხი თვე, რაც ველზე ვცხოვრობდი — ჩვენს სახლში უეცრად შემოვიდა ცალთივალა ბელადი მოუ-მოუ. ის დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ტობი მოვიდა.

ვერ აგიწერთ, როგორ ამადლევა ამ ცნობამ! სულ აღარ მიგრძნია ის ტკივილი, რომელიც აქამდე მტანჯავდა, ზეზე წამოვხტი და მოუუნსე კორი-კორის, რომელსაც შორიახლო ემინა. შეშფოთებული მკვიდრნი ჭილოფებიდან წამოიჭრნენ. ახალი ამბავი ყველამ იმწამსვე შეიტყო. ორიოდ წუთის შემდეგ მოვაჯექი კორი-კორის და კუნძულელთა მღელვარე ბრბოს თანხლებით გავემართე ტაის სახლისაკენ.

ჩემთან ერთად მომავალი მოუ-მოუს ნათქვამიდან შევიტყვე, რომ ჩემი დაკარგული ამხანაგი მოვიდა ნავით, რომელიც ეს-ეს იყო მოადგა ნაპირს. ადგილობრივ მცხოვრებთ ვთხოვე, ზღვის ნაპირას ჩამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრეს და სამეფო სახლისაკენ განაგრძეს გზა. მიუვახლოვდით თუ არა სახლს, მეჰევი და რამდენიმე ბელადი გამოვიდნენ აივანზე და ხმამაღლა მოითხოვეს, რომ შიგ შეესულიყავით.

ახლოს რომ მივედით, შევეცადე ამეხსნა, რომ ტობის შესახებ ვერად მინდოდა ზღვაზე ჩასვლა. მეფემ ამაზე უარი განაცხადა და კორი-კორის უბრძანა სახლში შევეყვანე. რამდენიმე წუთის

შემდეგ უკვე ტაის სახლის შუაგულში ვიყავი. გარს მერტყა მოყაყანე ბრბო, რომელიც ახალ ამბაზე მსჯელობდა. ტობის სახელს ხშირად ახსენებდნენ. ეტყობა, კუნძულები კიდევ ეჭვობდნენ, რომ იგი ჩამოვიდა, და ნაპირიდან მოსულ ყოველ ახალ ცნობაზე უფრო და უფრო ღელავდნენ.

მე აღარ შემეძლო ამბის უცოდინარობის ატანა და მეპევის შევებეწეწე ზღვაზე გავეშვი. ჩამოვიდა თუ არა ჩემი ამხანაგი, არ ვიცოდი, მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ ჩემი ბედი ძალე უნდა გადაწყვეტილიყო. ბევრი ვებეწეწე. დაჟინებით შემომცქეროდა თვალებში. ბოლოს უღიმღამოდ დაჰყვა ჩემს თხოვნას და გამიშვა.

ასე ორმოცდაათი კაცის თანხლებით განვაგრძე შეწყვეტილი მოგზაურობა. ვაივლიდა თუ არა რამდენიმე წუთი, ახალ-ახალ ზურგზე ვინაცვლებდი და სულ ვაჩქარებდი ჩემს მტვირთავებს. სანამ ასე დაჟინებით მივიწვედი წინ, მიღებული ცნობის სიმართლეში ერთხელაც არ დავეჭვებულვარ. მხოლოდ ერთს ვგრძნობდი: საშუალება მეძლეოდა გავთავისუფლებულიყავი, — საკმარისი იყო მხოლოდ კუნძულელთა დაჟინებული წინააღმდეგობის გადალახვა.

რადგან ველზე ყოფნის მთელ მანძილზე აკრძალული მქონდა ზღვაზე ჩასვლა, ამიტომ მასზე ფიქრისას მუდამ მესახებოდა გაქცევის იმედი. ტობისაც ხომ მხოლოდ ზღვით შეეძლო გაქცეულიყო, თუკი მან განზრახ მიმატოვა. აშკარა იყო, რომ ყურეში ნავი შემოვიდა, და მე თითქმის ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ამ ნავით ჩემი ამხანაგი იყო მოსული. ყოველთვის, როცა რაიმე შემადლებაზე ავდიოდი, გაფაციცებით ვავლებდი თვალს აქეთ-იქით, ეგებ სადმე დავინახო-მეთქი.

კუნძულელთა გაცხარებული ხელების ქნევისა და შემახილების მიხედვით ვხვდებოდი, რომ არც ისინი იყვნენ ჩემზე ნაკლებ ალელვებული. ჩვენ ჩქარი ნაბიჯით მივიწვედით წინ. წამდაუწუმ ვხრიდით თავს, რომ დახრილ ტოტებს არ წამოვდებოდით.

ასე გავიარეთ ოთხი თუ ხუთი მილი, როცა ოციოდ ადგილობრივ მცხოვრებს შევხვდით. ჩემს მხლებლებსა და მათ შორის გაცხოველებული თათბირი გაიმართა. მე მოუთმენლად ვარწმუნებდი იმ კაცს, რომელსაც მივყავდი: დანარჩენებს ნუ დაველოდებით, განვაგრძოთ-მეთქი გზა.

უცებ კორი-კორიმ მოირბინა და სამი საბედისწერო სიტყვით გაძიფანტა მთელი იმედები:

— ტობი არ ჩამოსულა.

არ ვიცი, როგორ შევძელი ამ წუთის გადატანა. ეს ცნობა სავსებით მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის, მაგრამ იმედი მქონდა, ყურემდე მაინც მივალწევ-მეთქი. ახლა კი იმწამსვე მივხვდი, როგორ შეტრიალდა საქმე. კუნძულები მხოლოდ იმიტომ დაჰყვნენ ჩემს თხოვნას, რომ დაკარგულ ამხანაგს შევხვედროდი. რაკი გაიგეს, რომ არ ჩამოსულა, რა თქმა უნდა, უკან დამაბრუნებენ.

ჩემი ვარაუდი მართალი გამოდგა. მიუხედავად წინააღმდეგობისა, მათ შორიახლო მდგარ სახლში მიმიყვანეს და იქ ჭილოფზე დამსვეს. მალე ზოგიერთი ჩემი მხლებელი ზღვისკენ გაეპარათა.

ისინი, ვინც ჩვენთან დარჩა, — მათ შორის იყვნენ მეხვევი, მოუ-მოუ, კორი-კორი და ტაინორი, — სახლის წინ იღვნენ და როგორც ჩანს, წასულებს ელოდებოდნენ.

ამან დამარწმუნა, რომ ყოველ შემთხვევაში ვილაც უცხოელები, შესაძლოა, მათში ჩემი თანამემამულეებიც ერივნენ, ამათუ იმ მიზეზის გამო შემოსულიყვნენ ყურეში. მათი სიახლოვის ფიქრით განაწამებს, ფეხის ტკივილი აღარ გამხსენებია, ზეზე წამოვხტი და კარისაკენ გავიწიე, ისე რომ ყურადღებაც არ მიმიქცევია კუნძულელთა რწმუნებისათვის: ყურეში არავითარი ნაეები არ არისო. გზა მაშინვე გადამიღობა რამდენიმე ადგილობრივმა მკვიდრმა, რომლებმაც მიბრძანეს, ახლავე დაებრუნებულყავი ჩემს ადგილას. მათმა მძვინვარე გამოხედვამ ნათლად დამარწმუნა, რომ ძალით ვერაფერს გაეხდებოდი და მათი მოღობა მხოლოდ ხვეწნა-მუდარით შეიძლებოდა.

მე მივუბრუნდი მოუ-მოუს და, ისე რომ ნამდვილი განზრახვა არ გამიძღვანებია, გადავწყვიტე ამეხსნა, ვითომ კვლავაც მჯეროდა ტობის ნაპირზე დაბრუნება, და ვთხოვე გავეშვი მის შესახვედრად. მე ყური არ მითხოვებია მოუ-მოუს ათასნაირი რწმუნებისათვის, რომ ჩემი ამხანაგი იქ არ იყო, ჩემს თხოვნას კი ხელის მრავლისმეტყველი მოძრაობით ვადასტურებდი, რასაც ცალთვალა ბელადმა ველარ გაუძლო. ეტყობა, ისე მიყურებდა, როგორც ჭირვეულ ბავშვს, რომლის წინააღმდეგობის გაწევისათვის ძალა არ ჰყოფნიდა. მან რამდენიმე სიტყვა უთხრა

თვისტომთ, რომლებიც წამსვე მოშორდნენ კარს, და მე სასწრაფოდ გასიყვლი სახლიდან.

აქეთ-იქით ვიხედებოდი და კორი-კორის ვეძებდი, მაგრამ ჩემი მსახური, რომელსაც წინათ არასოდეს მიეუტოვებოვარ, სადღაც გაშქრალისყო.

მე აღარ დავახანე, რადგან ყოველი წამი ჩემთვის შეიძლება ბოლო ძვირფასი ყოფილიყო, ერთ მხარბეჭიან ჭაბუკთან მივედი და ვთხოვე ზურგზე შევესვი. ჩემდა გასაოცრად, ბრაზიანად მოთხრა უარი. მეორესაც ვთხოვე, მაგრამ ამ თხოვნასაც იგივე შედეგი მოჰყვა. შესამე თხოვნაც ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა, და მე მიუხვდი, რაზე ამყარებდა იმედს მოუ-მოუ, როცა ჩემს თხოვნას დაჰყვა, და რატომ იქცეოდნენ ასე უცნაურად დანარჩენი მკვიდრებიც. ცხადია, ბელადი ზღვაზე იმ იმედით მიშვებდა, რომ იქ ჩასვლას მაინც ვერ შევძლებდი.

სასოწარკვეთილმა იმით, რომ ისინი ამა თუ იმ საბაბით უარს იტყოდნენ ჩემს გაშვებაზე, მთელი ნებისყოფა მოვიკრიბე, ფეხის ტკივილი დავძლიე, კელელზე მიფუდებულ შუბს ხელი ვსტაცე და მასზე დაყრდნობილი დაუდევქი ბილიკს. ჩემდა გასაოცრად, მარტო გამიშვეს. ყველანი სახლის წინ დარჩნენ და საუბარი გააბეს. საუბარი ყოველ წუთს სულ უფრო და უფრო ცხარდებოდა და ხმამაღალი ხდებოდა. გამეხარდა, როცა შევნიშნე, რომ რაღაცაზე ვერ თანხმდებოდნენ, რომ ისინი ორ ჯგუფად გაიყვნენ, და რომ მათი კამათიდან რაიმე ჩემთვის ხელსაყრელი შეიძლებოდა გამოიეტანა.

ასი იარდიც არ მექნებოდა გავლილი, რომ კვლავ შემომეხვივნენ კუნძულელები, რომელთაც, ვეცნობა, გადაეწყვიტათ გამოიყოლოდნენ. კამათით გაცეცხლებულნი, თითქოს შხად იყვნენ ერთმანეთს წასისხუბებოდნენ. ამ გაწამაწიაში მომიხსლოდა მოხუცი მარკიო. არასდროს დამავიწყდება მისი კეთილი სახე. მხარზე ხელი დამადო და გრძნობით წარმოთქვა ორად ორი ინგლისური სიტყვა, რომლებიც მე ვასწავლე: „სახლი“ და „დედა“. მაშინვე მიუხვდი, რასაც გულისხმობდა, და შევეცადე მადლობა გადამიხადა მისთვის. ფაიჯევი და კორი-კორი ვვერდით მოჰყვებოდნენ და ორივენი მწარედ ტიროდნენ. მოხუცმა მეორედ უბრძანა თავის ვაჟს, ზურგზე შევესვი, და ბოლოს როგორც იქნა დაითანხმა. ცალივალა ბელადი წინააღმდეგი იყო ამისა, მაგრამ ამ დროს კვლავ ვიღაცა ჩაერია საქმეში, რომელიც მომეჩვენა, მისივე მომხრეებიდან.

ჩვენ წინ მივიწეველით. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ამალეღვა ნაპირზე მიმსკლარი ტალღების ხმაურმა, ო, რა ღიღბულია ოკეანე, მისი ბუბუნი, რა ალტაცებით მივესალმე მას!

როცა ჭალებსა და ზღვას შორის მდებარე ტრიალ მინდორს მივალწიეთ, პირველი, რაც თვალში მომხვდა, ვეშაპზე სანადირო კანჯო იყო. კინოთი მიებრუნებინათ ნაპირისაკენ და სულ რამდენიმე მეტრი აშორებდა მისგან. ხუთი კუნძულები იჯდა შიგ, ჩიოთის მოკლე ტუნიკები ეცვათ. მე მომეჩვენა, რომ სწორედ ამ წუთას უნდა მოსწყვეტიდნენ ნაპირს, და რომ, ყველა ცდის მიუხედავად, ძალიან დავიგვიანე. თითქოს გული გამიჩერდა... მაგრამ, კიდევ რომ შეეხედე, დაერწმუნდი, რომ ადგილობრივი მკვიდრნი უბრალოდ აკაეებდნენ ნავს, რომ ტალღებს არ გაეტაცათ. შემდეგ წუთს გავიგონე ჩემი სახელი, რომელიც ვილაცამ დაიძახა ბრბოდან.

ძახალზე რომ მივიხედე, დაეინახე ტანმალალი კარაკოი, ერთ-ერთი ჰაეაელი კუნძულ ოაჰუდან, რომელიც ხშირად იყო ცემ „დოლიზე“, სანამ იგი ნუკუჰივაში იდგა. მონადირის მწვანე კურტაკი ეცვა, დაღებმოიქროვილი, ერთ ფრანგ ოფიცერს რომ ეჩუქებინა მისიოვის. ადრე სულ ამ კურტაკში ვხედავდი ხოლმე. უცებ გამახსენდა, რომ ამ კაცს ბევრჯერ უთქვამს ჩემიოვის, ტაბუს მეოხებით კუნძულის ყველა ველზე შემიძლია ყოფნაო.

კარაკოი ხედ წყლის პირას იდგა. ბამბის ქსოვილი ჰქონდა გადაკიდებული მარჯვენა ხელზე, რომელშიც თოფის წამლით სავსე ტილოს პარკები ეჭირა; მარცხენა ხელში მუშკეტი ეპყრა, რომელსაც, ეტყობა, ირველივ მღვარ ბელადებს სთავაზობდა. მაგრამ ისინი აღშფოთებით ამბობდნენ უარს მის ძღვენზე და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ კარაკოი ნავში დაბრუნებულიყო.

მაგრამ კარაკოი ადგილიდან არ იძროდა. მის ხელის მოძრაობაზე მივხვდი, რომ იგი ჩემზე ლაპარაკობდა. ხმამალა დაეუძახე და ვთხოვე ჩემთან მოსულიყო, მაგრამ დამტვრეული ინგლისურით მიპასუხა, კუნძულები შუბებით განგმირვას მიქადიან, ერთი ნაბიჯითაც რომ მოგიახლოვდეთ. მე კვლავ წინ მივიწევედი, კუნძულებით გარშემორტყმული; ზოგი ხელებში მწვდებოდა და ცდილობდა შევეჩერებინე, ზოგი შუბებით მემუქრებოდნენ. მაგრამ მაინც ვხედავდი, რომ ძალიან ბევრნი, რომლებიც თითქმის მტრულად იყვნენ ჩემდამი განწყობილნი, რაღაც გაუბედავად და დაპსეულად მიცქეროდნენ.

კარაკომდე ოცდაათი ოდეს ნაბიჯილა მრჩებოდა, როცა კუნძულელებმა შემდგომი სვლის საშუალება აღარ მომცეს და მაიძულეს მიწაზე დავმჯდარიყავი. ისინი ხელებში მწვდნენ და მაგრად გამიკავეს. ხმაურმა და არევ-დარევამ უფრო იმატა, და მე დავინახე რამდენიმე ქურუმი, რომლებიც, ეტყობა, არწმუნებდნენ მოუ-მოუსა და სხვა ბელადებს წინ აღდგომოდნენ ჩემს გამგზავრებას. ზოლო კარაკოი კვლავ ცდილობდა რამე გაეხერხებინა ჩემთვის. ის მტკიცედ იხილავდა საქმეს ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად და ცდილობდა როგორმე დაეყოლიებინა ისინი: ქსოვილსა და თოფის წამალს აჩვენებდა, მუშკეტის ჩახმახს აჩხაკუნებდა. მაგრამ ყველაფერი, რასაც ის ამბობდა და აკეთებდა, ეტყობა, კიდევ უფრო აღელვებდა კუნძულელებს, რომლებიც მზად იყვნენ ზღვაში გადაეგდოთ იგი.

კარაკოის მიერ ჩემს გამოსახსნელად შეთავაზებული ნივთები ადგილობრივ მკვიდრთ მეტად ძვირად უღირდათ, მაგრამ მაინც აღშფოთებით ამბობდნენ უარს! თითქმის სასოწარკვეთილმა უკანასკნელად გავიბრძოლე, კუნძულელებს ხელიდან დაეუსხლტი, ფეხზე წამოვხტი და კარაკოის მივაშურე.

კუნძულელებმა ისევ გამაკავეს, საშინელი ხმაური ატეხეს და ისეთი მუქარით დაიწყეს ხელების ქნევა, რომ შეშინებული კარაკოი წყალში შევიდა. იგი მკერდამდე იდგა წყალში და ლამობდა განრისხებული მკვიდრნი დაეშოშმინებინა. ბოლოს, როცა მათი დარწმუნების იმედი გადაუწყდა და შეეშინდა, ვაითუ რამე მიეწონო, თავის ამხანაგებს გასძახა ნაღვი მოეახლოებინათ და ზედ აეყვანათ.

ამ დაძაბულ წუთს, როცა თითქმის ყველა იმედი გადაწყვეტილი მქონდა, იმ კუნძულელებს შორის, რომლებმაც ნაპირზე გამომაცილეს, კვლავ გაცხარებული დავა დაიწყე და ბოლოს საქმე მუსტიკრივამდე მივიდა. მათ თვალი მომაშორეს. ჩემთან დარჩნენ მხოლოდ მარკეიო, კორი-კორი და ჩემი საწყალი ფაიავეი, რომელიც ხელს არ მიშვებდა და ტიროდა. მე ვიგრძენი, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა: ან ახლა, ან არასოდეს. ხელის გულები ერთმანეთს მივადე, მუდარით შევხედე მარკეიოს და დაცარიელებული ნაპირისაკენ გავიქეცი.

ცრემლი ჩასდგომოდა თვალებში მოხუცს, მაგრამ არც მას და არც კორი-კორის არ უცდიათ შევეჩერებინე. მე კარაკოის მივაშურე, იგი აღელვებული ადევნებდა თვალს ჩემს ყოველ მოძ-

რაობას. მენიხებებმა რაც შეიძლებოდა მოუახლოეს ნავი ნაპირს. უკანასკნელად გადავხვიე ფაიავეის, რომელმაც ჩემთან მოიბინა. ერთი წუთიც, და მე უკვე კანჯოში ვიყავი — მრთელი და უვნებელი — კარაკოის გვერდით, რომელმაც წამსვე უბრძანა მენიხებებს ნაპირს მოშორებოდნენ.

მარპეიო, კორი-კორი და მრავალი ქალი ცურვით მაცილებდნენ. მე გადავწყვიტე მადლობა გადამეხადა. ავიღე და ჩემს გამოსასყიდად მოტანილი ნივთები დავურიგე მათ. კორი-კორის მუშკეიტ გაეუწოდე, მოხუც მარპეიოს ქსოვილის ნაჭერი გადავუგდე, თან საწყალ ფაიავეიზე ვანიშნე, რომელიც წყალს მოსცილებოდა, კვანზე ჩამომჯდარიყო და დაღვრემილი ტიროდა. ნივთების ამ განაწილებას სულ ათიოდ წამი მოუნდა, მაგრამ სანამ იგი დაძთავრდებოდა, კანჯო, უკვე მთელი სიჩქარით მიცურავდა.

ჩემი წასვლა არ შეიძლებოდა გამოჰპარვოდათ ადგილობრივ მკვიდრთ, მაგრამ მათ მაინც არ შეუწყვეტიათ დავა და მხოლოდ იქნინ, როცა კანჯო უკვე ორმოცდაათი მეტრით იყო დაშორებული ნაპირს, მოუ-მოუ და კიდევ ექვსი თუ შეიდი მეომარი ზღვას მოაწყდნენ და ხელშუბები გვესროლეს. ზოგმა ხელშუბმა სულ ახლოს გაგვიქროლა, მოხედრით კი არც ერთი არ მოგეხედრია. მეხოფეები მამაცურად უსვამდნენ ნიხებებს. კანჯოს სელას ძალიან აფერხებდა ჰირქარი, მაგრამ მალე მაინც ისეთი მანძილით დავშორდით ნაპირს, რომ შუბები უკვე ვეღარ აღწევდნენ ჩვენამდე.

მე ვხედავდი, რომ საჭესთან მჯდარი კარაკოი ხშირ-ხშირად გახედავდა ხოლმე ყურის ბილოს აღმართულ კონცხს, რომლისთვისაც უნდა შემოგვევლო.

კუნძულელები, ეტყობა, დაიბნენ და თავდაპირველად არ იცოდნენ რა ექნათ. მაგრამ შემდეგ განრისხებულმა ბელადმა ხელის მოძრაობით ანიშნა, როგორ მოქცეულიყვნენ, მან ხმა-მალლა გასძახა თავის ამხანაგებს, თან კონცხისაკენ გაიშვირა შუბი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იქით გაექანა; რამდენივე კაცია გაჰყვა ბელადს. როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდათ კონცხიდან გამოეცურათ და გზა გადაეჭრათ ჩვენთვის. ქარი ყოველ წუთს ძლიერდებოდა და პირდაპირ სახეში გვეცემდა. ზღვას სიმშვიდე დაჰკარგოდა, ბობოქრობდა და ნიხების მოსმა ჰირდა. ჩვენ იმედი გვექონდა, რომ კონცხთან იმაზე ადრე გავივლი-

დით, სანამ კუნძულები მოიჭრებოდნენ, მაგრამ როცა იქამდე ასიოდ მეტრი გვექონდა დარჩენილი, დაუღალავმა ადგილობრივმა მკვიდრებმა უკვე წყალში ისკუპეს, და ჩვენ შევევძინდა, ვაითუ ისევ მათ ხელში აღმოვჩნდეთო. ახლა საქმე ის იყო, ვინ ვის აჯობებდა. ჩვენები რაც შეეძლოთ უსვამდნენ ნიჩბებს, მაგრამ მცურაეთა ჯგუფმა საშინელი სისწრაფით გადმოჭრა ტალღები.

მენიჩბეებმა დანები ამოიღეს და კბილებით დაიჭირეს, მე კი ბარჯს დაწვდი. ვიცოდით, რომ, თუ დაგვიჭერდნენ, იმ მანერს მიმართავდნენ, რაც ხშირად დამღუპველი გამომდგარა ბევრი მეზღვაურისათვის ამ ოკეანეში. ისინი ნიჩბებს ჩაეჭიდებოდნენ, ნავის კიჩოს სწვდებოდნენ და ნავს გადააბრუნებდნენ; მაშინ კი ველარ დავაღწევდით თავს.

რამდენიმე წამის შემდეგ მოუ-მოუს თავი შევნიშნე. ამ ვებერთელა კუნძულელს შუბი კბილებით ეჭირა და ისეთი ძალით მოაპობდა წყალს, რომ იგი ქაფდებოდა. მოუ-მოუ ყველასე ახლოს იყო ჩვენთან, წუთიც, და ნიჩაბს სწვდებოდა. ფიქრის დრო აღარ იყო. შიში დავძლიე, ბარჯი დაეუმიზნე და ეტყორცნე. მარცხენა მხარში მოვარტყი. მან წყალში ჩაიყურყუმელაეა, მერე ისევ ამოყვინთა ნავის უკან... არასოდეს დამავიწყდება მისი გააფთრებული სახე!

დანარჩენმა ვეღურებმა ვერ მოაღწიეს ჩვენამდე. კონცხს მშვიდობით შემოვუარეთ და თავისუფლად ამოვისუნთქეთ. სწორედ ამ დროს ძალ-ღონე გამომელია და გონმიხდილი გადაკვსვენე კარაკოის ხელებზე...

ჩემი მოულოდნელი გაქცევის ამბავი არც ისე რთულია. ავსტრალიის ერთი გემის კაპიტანი მოადგა ნუკუპივას, რათა თავისი რაზმი შეეცხო, მაგრამ ვერც ერთი შესაფერისი კაცი ვერ ნახა. გემი უკვე წასასვლელად მზად იყო, როცა მის ქიმზე გამოჩნდა კარაკოი. მან უამბო საგონებელში ჩავარდნილ კაპიტანს, რომ მეზობელ ყურე ტაიპში კუნძულებებს ერთი ამერიკელი მატროსი შეეპყროთ. კარაკოიმ წინადადება მისცა კაპიტანს, ტყვეს გავათავისუფლებ, თუ მის გამოსასყიდად ადგილობრივ მკვიდრთათვის რაიმე ნივთებს გამატანთო.

კარაკოის ჩემი იქ ყოფნის ამბავი გაეგო ძარნუსაგან, რომელსაც არსებითად უნდა ვუმადლოდე ჩემს განთავისუფლებას. წინადადება მიღებულ იქნა. კარაკოიმ ხუთი კაცი წამოიყვანა ნუკუპივიდან და კვლავ დაბრუნდა გემზე, რომელიც რამდენიმე

საათის შემდეგ ტაიპის ყურეს მოადგა და ზედ მისავალთან ჩა-
უშვა ღუზა. ვეშაპზე სანადირო კანჯო, რომელსაც კარაკოი
პართავდა, ნაპირისაკენ გაეშურა, თვით გემი კი მას დაელოდა.

დანარჩენ ამბავს, რაც ამას მოჰყვა, უკვე მოგიყევით. მხო-
ლოდ რამდენიმე სიტყვა დამრჩა სათქმელი. როცა „ჯულიას“
მივადწიეთ (ასე ეძახდნენ ვეშაპზე სანადირო გემს, რომელზე-
დაც მე მოვხვდი) და გემბანზე ამიყვანეს, ჩემმა უცნაურმა შესა-
ხედაობამ და მიმზიდველმა თავგადასავალმა ყველა ძალიან და-
აინტერესა. გულითადად მიმიღეს, მაგრამ ჩემს გამოჯანმრთე-
ლებას სამი თვე დასჭირდა.

საიდუმლოება, რომლითაც ჩემი თანამგზავრისა და მეგობ-
რის ბედი იყო მოცული, არა და არ მჟღავნდებოდა. ჯერაც არ
ვიცი, მოახერხა გაქცევა ველიდან თუ კუნძულელთა მახვილით
განგმირული დაეცა.

ტობის ამბავი

იმ დღით, ჩემი ამხანაგი რომ დამემშვიდობა, იგი ადგილობრივ მკვიდრთა ბრბოს თანხლებით გაემართა ნაპირისაკენ. ზოგ კუნძულელს ხილი და ღორის ხორცი მოჰქონდა გასაცვლელად, რაკი გაიგეს, ნაპირს ნაეები მოადგნენო.

სანამ ისინი ველის დასახლებულ ნაწილში მიდიოდნენ, ბილიკებით, რომლებიც გზას უერთდებოდა, მცხოვრებლები ჩამორბოდნენ, და მომავალთ უერთდებოდნენ. ყველანი ისე მოიჩქაროდნენ, რომ ტობიც კი, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა ნაპირს, ძლივს ეწეოდა მათ. მთელ ველს აერუებდა მათი შეძახილები. ისინი თითქმის გარბოდნენ. ვინც წინ იყო, დროდადრო ჩერდებოდა და იარაღს აჩხარუნებდა, რომ დანარჩენები წამოსწეოდნენ.

ბოლოს, მდინარეს მიადგნენ. უცებ ჭალიდან უცნაური ხმები შემოესმათ. კუნძულელები შეჩერდნენ: ცალთვალა ბელადი მოუმოუ მძიმე შუბს სცემდა ფუტურო ხეს. ეს განგაშის მაუწყებელი ნიშანი იყო.

ყველას ერთბაშად აღმოხდა:

— გაპარები! გაპარები!

მეომრები დარბოდნენ და შუბებს ჰაერში ისროდნენ, ქალები და ბიჭუნები კი რაღაცას გასძახოდნენ ერთმანეთს და თან მდინარის პირას ქეებს აგროვებდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მოუ-მოუ და კიდევ ორი თუ სამი ბელადი ჭალიდან გამოცვივდნენ, და ხმაური ათჯერ უფრო გაიზარდა.

„აბა, — გაიფიქრა ტობიმ, — საბრძოლველად უნდა მოვემზადო!“

და რადგან იარაღი არ ჰქონდა, მარჰეიოს სახლში მცხოვრებ ერთ ჭაბუკს შეეხვეწა, შუბი მომეციო. მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა და ცუდლუტურად აუხსნა: შუბი ჩემთვის, ტაიპი-

საავეის არის გამოსადეგი, თორემ თეთრკანიანი მუშტები თავს
კარგად იხუბებდნენ.

ჭაბუკის ოხუნჯობა, ეტყობა, ყველას მოეწონა. მიუხედავად
ტაიპების საომარი განწყობილებისა, ყველამ ხტუნვა და სიცი-
ლი დაიწყო, გეგონება, ჩასაფრებულ გაპართა თავდასხმა ყველა-
ზე უბრალო საქმე იყო ამ ქვეყნად.

სანამ ჩემი ამხანაგი ამაოდ ცდილობდა ამ არეულ-დარეუ-
ლობაში გარკვეულიყო, ბრბოს მრავალი ადგილობრივი მკვიდრი
გამოეყო და ჭალაში შეცვივდნენ. დანარჩენები გაისუსენ და და-
ელოდნენ, რა მოჰყვებოდა ამას. რამდენიმე წუთის შემდეგ მოუ-
მოუმ, რომელიც წინ იდგა, ანიშნა, მომყევითო. ხალხი მდუმა-
რედ, ფეხაკრეფით მიჰყვა. ისე ფრთხილად მიდიოდნენ, რომ ჩა-
მიჩუმიც არ ისმოდა. ასე მიძვრებოდნენ ათიოდ წუთს, სანდახან
ჩერდებოდნენ და დააყურებდნენ ხოლმე.

ტობის არ მოეწონა ამგვარი სიფრთხილე. თუ ბრძოლა გარ-
დუვალია, არ ჯობია მაშინვე ჩაება? მაგრამ ყველაფერს თავისი
დრო აქვს. როგორც კი ტაიპები შუაგულ ტყეში შევიდნენ, უეც-
რად გაისმა საშინელი ხმაური, და უთვალავი ისარი და ქვა გა-
მოფრინდა ბილიკისაკენ. მტერი არ ჩანდა, და, რაც კიდევ უფრო
გასაოცარია, ირგვლივ არავინ წაქცეულა, თუმცა ქვეები სეტყვა-
სავით ცვიოდა ფოთლებიდან.

ჩამოვარდა წუთიერი სინუმე, რის შემდეგაც ტაიპები, შუბე-
ბით ხელში, ეელური ყიჟინით შეესივნენ ჭალას. ტობიც მიჰყვა.
გაპარებას საყოველთაო სიძულელითა და მოსალოდნელი
საფრთხით აღგზნებული, წინა რიგებში მიიკვლევდა ვზას. სანამ
ბუჩქებში მიდიოდა და ამავე დროს ცდილობდა ერთი ახადგაზ-
რდა კუნძულელისათვის შუბის წართმევას, ადგილობრივმა
მკვიდრებმა, რომლებიც თავდაპირველად იდუმალად გამოიყ-
ვნენ მათ, ბუჩქებიდან და ხეებიდან თავი გამოჰყვეს და დანარჩე-
ნებს შეუერთდნენ, თან სიცილით იხიცებოდნენ.

ყველაფერი მოწყობილი იყო, და ტობი, რომელმაც ეს ამბავი
სინამდვილედ მიიჩნია, საშინლად გაბრაზდა, რომ ასე გაამახსა-
რავეს; თანაც ამ ბავშვურმა გართობამ ბევრი დრო წაართვა, მას
კი ყოველი წუთი ძვირად უღირდა. ვინ იცის, იქნებ ამ ოინის
მიზანი სწორედ დროს გაყვანა იყო. ტობი ასეც ფიქრობდა, მით
უმეტეს, როცა კუნძულელებმა გზა განაგრძეს, ისინი უკვე აღარ

ჩქარობდნენ, და ტობის მოეჩვენა, რომ ისინი ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ზღვას.

უცებ მან დაინახა ორი კაცი, რომლებიც მასკენ მორბოდნენ. ისევ შეჩერდნენ და ხმამაღლა დაიწყეს რაღაც საკითხებზე მსჯელობა, რომლის დროსაც ხშირად ახსენებდნენ ტობის. ამან კიდევ უფრო ააღელვა იგი და ძალიან მოუნდა გაეგო, რა ხდებოდა ნაპირზე. მაგრამ ამაოდ ცდილობდა წასულიყო: ადგილობრივი მკვიდრნი არ უშვებდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ თათბირი დამთავრდა და ბევრი კუნძულები სირბილით დაეშვა ზღვისაკენ მიმავალ ბილიკზე, დანარჩენები კი ტობის გარს შემოერთებდნენ და შეეცადნენ დაეყოლიებინათ, რათა დამჯდარიყო და დაესვენა, ეგებ როგორმე ვაცდუნოთო, კვახის ჭურჭლებით ველიდან მოტანილი საჭმელი და ჩიბუხი შესთავაზეს. ტობიმ ერთხანს იყუნა, შემდეგ კვლავ წამოხტა და გაიქცა. მაგრამ მალე დაეწიენ, კვლავ გარს შემოერთებენ, თუმცა ამჯერად აღარ გაუჩერებიათ და ნება დართეს ზღვის პირას ჩასულიყო.

ისინი ჭალებსა და ზღვას შუა გადაჭიმულ მწვანე ზოლამდე მივიდნენ და გაპარის მთის ძირას მიმავალ ბილიკს გაჰყვნენ. მიუხედავად ტობის დიდი მოლოდინისა, ნაპირთან არც ერთი ნავი არ ჩანდა, ხოლო ნაპირზე ქალები და კაცები შექუჩულიყვნენ. ბრბოს შუაგულში ვიღაც იღვა და სიტყვას წარმოთქვამდა. როცა ჩემი ამხანაგი მიუახლოვდა, მოლაპარაკე წინ წამოდგა, და ტობიმ იცნო იგი. ეს იყო თმაჭადარა მოხუცი მეზღვაური ჯიმი, რომელსაც მე და ტობი ხშირად ვხედავდით ნუკუპივაში, სადაც მშვენიერად იყო მოწყობილი მეფე მოვანას სახლში. იგი მეფის რჩეული გახლდათ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მის საბჭოში. იმ დღეს მას ეხურა ჩალის ქუდი. ტაპის თავისებური სადილო კოსტიუმი, ხალვათად და დაუღვერად გადაღვლილი, ვერ უმაღავდა ტატუირებულ მკერდს, რომელზედაც გამოყვანილი იყო ერთი ინგლისური სიმღერის კუპლეტი და ადგილობრივ მხატვართა მიერ შესრულებული ნახატები. მოხუცს ხელში ანკესი ეჭირა, კისერზე კი ძველი გაკვამლული ჩიბუხი ჰქონდა ჩამოკიდებული.

ჯიმის მატროსობა მიეტოვებინა, ნუკუპივაში დარჩენილიყო, ადგილობრივ მკვიდრთა ენა შეესწავლა და ამიტომ ხშირად მსახურობდა თარჯიმნად ფრანგებთან. ეს ბებერი ჭორიკანა მუდმი-

ვი სტუმარი იყო ნავსადგურში მდგარი გემებისა, და ათასნაირი მონაწილე-მონაჭორით ართობდა რაზმს: უყვებოდა სამეფო კარის სკანდალების შესახებ, ანდა მარკიზის კუნძულების მცხოვრებ-თა არარსებულ ამბებს. მახსოვს „დოლის“ გემბანზე მონაყოლი ერთი ამბავი, — მტკნარი სიცრუე კუნძულის ორი სასწაულის შესახებ. ბუნების ერთ სასწაულს წარმოადგენდა მოხუცი გან-დეგილი, სახელგანთქმული თავისი სიწმინდითა და ჯადოქრო-ბით, რომელიც მთებში გამოქვაბულში ცხოვრობდა და ამა ქვე-ყანას უმაღლავდა ვეება წყვილ რქას, თავზე რომ ჰქონდა ამოსუ-ლი. მიუხედავად განთქმული ღვთისმოსაობისა, ეს საშინელი მოხუცი მთელ კუნძულს შიშს ჰკვირიდა; ამბობდნენ, ღამლამო-ბით თავშესაფრიდან გამოდის და ადამიანებზე ნადირობსო. მე-ორე სასწაული, ჯიმის თქმით, მეფის უმცროსი ვაჟი იყო. თუმ-ცა ბიჭუნა ახლახან გამხდარიყო ათი წლის, მაგრამ მაინც ამბობ-დნენ, ქურუმმა შთაბერა სულიო. საქმე ის იყო, რომ თავზე მა-მალსავით ჰქონდა ბიბილო, და მისი ცრუმორწმუნე თანამემამუ-ლეები ამაში რალაც განგების ნიშანს ხედავდნენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ტობის. როგორც კი მოხუცი დაინახა ნაპირზე, მაშინვე მისკენ გაიქცა: ადგილობრივი მკვიდრნიც მას მიჰყვნენ და მჭიდროდ შემოერთყვნენ გარშემო.

ხანმოკლე მისალმების შემდეგ ჯიმი მოუყვა ჩემს ამხანაგს, რაც გაეგო გემიდან ჩვენი გაქცევისა და ტაიპებთან ყოფნის შე-სახებ. თურმე მოვანას უბრძანებია მისთვის, ველზე მოსულიყო, მისი მეგობრები მიენახულებინა და შემდეგ ორივე წამოვეყვან-ნეთ. მისი სამეფო უდიდებულესობა თითქოს განსაკუთრებით იყო დაინტერესებული იმით, რომ ჯიმისათვის ეწილადებინა გა-სამრჯელო, რასაც ჩვენი დაჭერის საფასურად შეჰპირდნენ. მაგ-რამ ჯიმი არწმუნებდა ტობის, რომ ეს წინადადება აღშფოთებით უარყო.

ყოველივე ამან ძალიან გააკვირვა ჩემი ამხანავი. ესეც არ იყოს, არც ერთ ჩვენგანს არ ეგონა, თუ ოდესმე რომელიმე თეთრკანიანი მოინახულებდა ტაიპის ველის მცხოვრებთ უბ-რალად ამხანაგის სურვილით. ჩვენი ველის ერთ-ერთი ქურუმი ჯიმის მეგობარი იყო და ამიტომ ჯიმი იცავდა ტაბუს.

გარდა ამისა, ჯიმიმ მიაბო, რომ ზოგჯერ მას ტაიპის ველ-ზე გზავნიდნენ ნუკუპივაში მდგარი გემებისათვის ხილის შესას-ყიდად. როგორც მან თქვა, ახლაც ასეთი დავალებით იყო გამოგ-

ზაენილი. ჯიმიმ გადაიარა მთები, რათა ადგილობრივ მკვიდრ-
თათვის ეთხოვა მოემზადებინათ ხილი, რომლის წასაღებადაც
ხვალ მოვიდოდა ნავით.

მერე ჯიმი შეეკითხა ტობის, კუნძულიდან წასვლა ხომ არ
გინდაო. თუ გინდა, მეზობელ ნავსადგურში გემი დგას, იქ ხალხი
აკლიათ და დღესვე მიგიყვანო.

— არა, — უთხრა ტობიმ, — მე არ შემიძლია კუნძულიდან
წასვლა, თუ ჩემი ამხანაგიც არ წავიყვანე. იგი ფეხმტკივანი
დაეტოვე ველზე, რადგან იქაურებმა არ გამოუშვეს. მოდი ველ-
ზე წავიდეთ და წამოვიყვანოთ.

— კი მაგრამ, როგორ გადმოვა ჩვენთან ერთად უღელტეხილ-
ზე, თუნდაც ნაპირამდე რომ მოვიყვანოთ? — შეესიტყვა ჯიმი. —
ჯობს ხვალამდე იქ იყოს და ნავით მოვიყვან ნუკუჭივანში.

— აგრე არ ივარგებს, — მიუგო ტობიმ, — ახლავე წავიდეთ
და აქამდე მაინც მოვიყვანოთ.

ეს რომ თქვა, ტობი იმწამსვე შეტრიალდა და ველისაკენ მი-
მავალ ბილიკს დაადგა. მაგრამ გადადგა თუ არა რამდენიმე ნა-
ბიჯი, ათამდე ხელი სწვდა, და მან იგრძნო, რომ ამის იქით ნა-
ბიჯსაც არ გადაადგმევიანებდნენ.

ამაოდ გაიბრძოლა. გაგონებაც არ სურდათ ნაპირიდან მის
წასვლაზე. ამ მოულოდნელი წინააღმდეგობით გულდამძიმებულ-
მა ტობიმ დააფიცა მეზღვაური, რათა ჩემ წამოსაყვანად გამო-
ჰყოლოდა. მაგრამ ჯიმი არ დაეთანხმა და უთხრა, ახლა ტაიპე-
ბი ისეთ განწყობილებაზე არიან, რომ მაგის ნებას არ დამრთა-
ვენო. თუმცა ადრე კი ამტკიცებდა, რომ ადგილობრივ მკვიდრთ
არავითარი ვნება არ შეეძლოთ მიეყენებინათ მისთვის.

იმ წუთას ტობი თითქმის არ ფიქრობდა იმაზე, რომ ჯიმი
არამზადაა, — ამაში შემდგომ დარწმუნდა, — რომელმაც თავისი
ეშმაკობით შეაჩერებინა კუნძულელებს ჩემს წასაყვანად მომავა-
ლი ტობი. მოხუცმა მატროსმა კარგად იცოდა, რომ ადგილობ-
რივი მკვიდრნი არასოდეს არ დათანხმდებოდნენ იმაზე, რომ
ორივე გავეშვით, და ამიტომაც უნდოდათ მარტო ტობი ჩაეგ-
დოთ ხელთ. ის მიზანი, რისთვისაც ეს გააკეთა, მხოლოდ შემ-
დეგ გამოჟღავნდა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ჩემმა ამხანაგმა
არაფერი იცოდა.

იგი ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებოდა კუნძულელებს, როცა
ჯიმი ხელმეორედ მივიდა და ურჩია არ აეღელვებინა ისინი,

რადგან ამით თვითონაც იფუჭებდა საქმეს და მეც მიფუჭებდა. „ადგილობრივ მკვიდრთა გაშმაგებას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს“. ბოლოს ჯიმიმ ერთ გატეხილ კანოზე დამსუა, პატარა დანგრეული ტაძრის ახლოს: იგი ოთხ ნიჩაბზე იყო დაყრდნობილი და ბადე ჰქონდა ჩამოფარებული. აქ ნახავდით ზღვიდან დაბრუნებულ მებადურებს; მათი ღარიბული შესაწირავი ეწყო ტაძრის შუაგულში, ბრტყელ შავ ქვაზე, პატარა კერპის წინ. ჯიმიმ თქვა, რომ ეს ადგილი ტაბუს მფარველობის ქვეშ იყო და მათ არათუ ხელს ახლებდა ვინმე, მიახლოებასაც კი ვერ გაბედავდა, სანამ ისინი ტაძრის ჩრდილში იდგნენ. მერე მოხუცმა მატროსმა სერიოზული საუბარი გაუბა მოუ-მოუს და ზოგიერთ სხვა ბელადს, რის შემდეგაც ტობის გამოუცხადა მათი გადაწყვეტილება: ადგილობრივი მკვიდრნი ნებას არ რთავენ დაბრუნდეს ველზე, და ჩვენ, ორივეს ცუდად წაგვივა საქმე, თუ ტობი კიდევ დიდხანს იყიალებს ნაპირზე.

— ამიტომ ჩვენთვის უმჯობესია ახლავე გადავიდეთ ნუკუ-პივაში უღელტეხილით, ხვალ კი ზღვით მოვიყვან ტომოს, როგორც მას ეძახიან. ისინი შეპირდნენ, რომ ხვალ, დილაადრიან მოიყვანენ ნაპირზე. ასე, რომ მის გამგზავრებას არაფერი არ აბრკოლებს, — დაასკვნა ჯიმიმ.

— არა, არა, — სასოწარკვეთით გაიმეორა ტობიმ, — მე მას ასე ვერ მივატოვებ! ჩვენ ერთად უნდა გავიქცეთ!

— მაშინ ნულარაფრის იმედი ნუ გექნებათ! — შესძახა მატროსმა — მე რომ ნაპირზე მიგატოვოთ, წავალ თუ არა, იმწამსვე წაგათრევენ ველზე, და მაშინ ვეღარასოდეს იხილავთ ზღვას.

და იგი მოჰყვა ფიცს, რომ, თუ ტობი ახლავე გასწევს ნუკუპივისაკენ, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ხვალ უკვე მასთან ვიქნები.

— კი მაგრამ, საიდან იცით, რომ ხვალ მოიყვანენ ნაპირზე, თუკი დღეს ამის გაკეთება არ სურთ? — შეესიტყვა ტობი.

მაგრამ მეზღვაურს საკმაო საბუთები ჰქონდა ამისა და ყოველი მათგანი ეფუძნებოდა კუნძულელთა იდუმალ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ტობისათვის. მართლაც, მათი ქცევა, განსაკუთრებით ის, რომ ველზე დაბრუნებას უკრძალავდნენ, სრულიად გაუგებარი იყო მისთვის. დროდადრო მაინც გაიფიქრებდა ხოლმე, ხომ არ მატყუებს ეს მოხუცი მეზღვაურიო, მაგრამ, ასეც რომ ყოფილიყო, ნუკუპივაში ჩასვლის

შემდეგ მაინც უფრო ადვილად შეძლებდა ჩემს შევლას. ამავე დროს ეშინოდა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი მის დაბრუნებამდე მომიღებდნენ ბოლოს.

ჩემი საბრალო ამხანაგი სულ მთლად დაიბნა; არ იცოდა რა ექნა, ვისთვის ეთხოვა რჩევა. იჯდა მარტოღმარტო გატეხილ კანოეზე და არავის არ სცხელიდა მისი გაჭირვებისათვის. ადგილობრივი მკვიდრნი მის შორიახლო ტრიალებდნენ და თვალს არ აშორებდნენ.

— ღამდება, — თქვა ჯიმიმ. — ნუკუპივამდე შორი მანძილია, მე კი გაპართა ქვეყანაში ღამით ვერ გავივლი. ხომ ხედავთ, თუ ჩემთან ერთად წამოხვალთ, ყველაფერი კარგად იქნება, თუ არადა, თქვენ თავს დააბრალეთ: ორივენი სამუდამოდ დარჩებით აქ.

— რა გაეწყობა, — ამოიოხრა ბოლოს ტობიმ. — უნდა დაგიჯეროთ.

— ახლა მომყევით და რაც შეიძლება ჩქარა ვიაროთ, — უთხრა მეზღვაურმა.

ამ დროს გამოჩნდნენ ტაინორი და ფაიავეი; კეთილი დედაბერი, რომ გაიგო, ტობი წასვლას აპირებსო, მასთან მივარდა და ატირდა. ხოლო ფაიავეიმ, რომელიც არანაკლებ იყო დამწუხრებული, ჩვენთან ნასწავლი რამდენიმე ინგლისური სიტყვა წარმოთქვა და ტობის სამი თითი აჩვენა, ამდენი დღის შემდეგ უნდა დაბრუნდყო.

ბოლოს, ჯიმიმ როგორც იქნა გამოიყვანა ტობი ბრბოდან, მერე ერთი ახალგაზრდა კუნძულელი მოიხმო და მასთან ერთად გაუდგა გზას.

— მე მათ ვუთხარი, რომ მალე დაბრუნდებით, — ჩაიციხა მოხუცმა მატროსმა, როცა აღმართს შეუდგნენ. — მაგრამ დიდხანს მოუწყვთ ცდა.

ტობი შემობრუნდა და უკანასკნელად შეხედა ადგილობრივ მკვიდრთ. ქალიშვილები გამოთხოვების ნიშნად მოსასხამებს უქნევდნენ, მამაკაცები კი შუბებს სწევდნენ მალლა.

რაკი ტაიპებმა ბოლოს და ბოლოს თანხმობა განაცხადეს მის წასვლაზე, შესაძლებელია ზოგ მათგანს მართლაც სჯეროდა, რომ იგი მალე დაბრუნდებოდა უკან. ტობიმ, სანამ ველიდან ზღვისპირას ჩამოვიდოდა, ადგილობრივი მკვიდრნი დაარწმუნა, რომ ჩემი წამლის საშოვნელად მიდიოდა. ჯიმიმაც უთხრა ეს. ეტყობა, ტაიპები როგორც განუყრელ მეგობრებს, ისე გვი-

ყურებდნენ, და ჩემი ველზე ყოფნა ტიობის დაბრუნების საკმაო გარანტიად მიაჩნდათ. ასე მგონია, თორემ აბა სხვაგვარად რით შეიძლება აიხსნას მათი უცნაური ქცევა.

— ხომ ხედავთ, როგორ მიცავს ტაბუ, — უთხრა მეზღვაურმა ტიობის, როცა ისინი მღუმარედ მიჰყვებოდნენ მთის ციცაბო ბილიკს. — მოუ-მოუმ ეს გოჭი მაჩუქა, და ადამიანი, რომელსაც იგი მოაქვს, დაუბრკოლებლად გაივლის გაპარის მთელ ველს ნუკუჭივამდე. სანამ ეს კაცი ჩემთანაა, ხიფათი არ ელის; ასევეა თქვენი საქმეც, ხვალ კი ტომოსაც ასევე წამოვიყვან. მაშ რაღას ჩამოვიშვიათ ცხვირი, გამხიარულდით, მენდეთ. ხვალ თქვენ ნახავთ ტომოს.

აღმართი არც ისე ძნელი საეალი იყო; ისინი ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ, სადაც ქედები შედარებით დაბალია. გზა კარგი იყო, ასე რომ, მალე სამივენი მთის მწვერვალზე ავიდნენ, და მათ წინაშე გადაიშალა ორივე ველი. ტაიბის ველის სიმწვანეში მკაფიოდ ჩანდა ქაუქაფა ჩანჩქერი, და მან მაშინვე მიიქცია ტიობის ყურადღება: ამ ჩანჩქერის მიხედვით ადვილად შეეძლო მოეძებნა მარჰეიოს სახლი.

ჯიმიმ ზელ ქედზე გადაატარა თანამგზავრები, და ტიობიმ დაინახა, რომ გაპარის ველი იმდენად არ იყო შეჭრილი კუნძულის სიღრმეში ტაიბის ველთან შედარებით. სწორედ ამით აიხსნებოდა, რომ ჩვენ ტაიპებთან მოვხვდით, მაშინ როცა გვეგონა გაპარის ველზე ჩავდიოდით.

მალე მგზავრებმა დაინახეს ბილიკი, რომელიც მთიდან ეშვებოდა, ბილიკს დაადგნენ და სწრაფად ჩააღწიეს იმ კურთხეულ ველამდე.

— ჩვენ, ტაბუს მფარველობის ქვეშ მყოფთ, — უთხრა ჯიმიმ, — ყველა ყურეში გვეყავს ცოლები, და მე მინდა ორი აქაური ცოლი გაჩვენოთ.

მგზავრები მიუახლოვდნენ სახლს, სადაც, მისი სიტყვით, ეს ქალები ცხოვრობდნენ. სახლი მთის ძირას, ჭალაში იდგა. ისინი გულთბილად მიიღეს. როგორც კი მათი მოსვლის ამბავი მთელ ველს მოედო და გაპარებმა შეგროვება იწყეს, ნათელი გახდა, რომ თეთრკანიანი ადამიანის გამოჩენა მათთვის არ იყო ისეთი იშვიათობა, როგორც მეზობელი ველის მცხოვრებთათვის. მოხუცმა მეზღვაურმა თავის ცოლებს უბრძანა

რაიმე საჭმელი მოემზადებინათ, რადგან ნუკუპივაში დაღამებამდე უნდა მისულიყო.

ადგილობრივ მკვიდრთ ბევრი რამ ჰკითხეს ჯიმის ტობის შესახებ. ისინი დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ტობის, ხოლო ზოგიერთებმა რამდენიმე დღით დარჩენაც კი შესთავაზეს, რადგანაც დიდი დღესასწაული ახლოვდებოდა. მაგრამ ჩემმა ამხანაგმა უარი თქვა მიწვევაზე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა ტაიპი ერთი ნაბიჯითაც არ მოშორებია ჯიმის. სიტყვაძვირი გახდა და პირს მხოლოდ იმისათვის ალებდა, რომ ლუკმა ჩაედო. მაგრამ ზოგიერთი გაპარი მაინც მტრული თვალთ უცქეროდა; სხვები ვითომ თავაზიანობას იჩენდნენ და სთავაზობდნენ სახლიდან გასულიყო და ველი დაეთვალეებინა. მაგრამ ტაიპის მოტყუება ასე ადვილი არ იყო. წითელი ჩითის თავსაფრითა და კიდევ რაღაც საჩუქრით მოხიბლულმა ჭაბუკმა (ამას ჯიმი არ უმხელდა) საკმაოდ სარისკო მოგზაურობაზე განაცხადა თანხმობა და, ეტყობა, ჯერ თვითონაც არ იცოდა, რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს.

ახლა, როცა გაპართა სასლში იჯდა, ჩემი ამხანაგი კიდევ უფრო წუხდა იმაზე, რომ მარტო დამტოვა. იგი ისე დანაღვლიანდა, რომ უკან დაბრუნებაზეც კი ჩამოაგდო სიტყვა და ჯიმის სთხოვა, მთის მწვერვალამდე გამაცილეო. მაგრამ მეზღვაურმა ყურიც არ ათხოვა და არვას აძალებდა, რათა ამით გაექარვებინა შავი ფიქრი. მაგრამ ტობიმ იცოდა ამ სასმელის ნარკოზული მოქმედება და უარს ამბობდა. ჯიმიმ დაარწმუნა, რომ სასმელში ისეთი რამ შეურია, რაც მას უვნებელს გახდიდა, მაგრამ აწასთანავე გამამხნეველად იმოქმედებდა მომავალი მგზავრობისას. ბოლოს ჯიმიმ დააღვივინა სასმელი, რასაც მეზღვაურისათვის სასურველი შედეგი მოჰყვა: ტობის იმწამსვე, გამოუკეთდა გუნება.

მოხუცმა მატროსმა უკვე გამოამჟღავნა თავისი განზრახვა:

— მე რომ გემზე მიგიყვანოთ, გასამრჯელოს გარეშე ხომ არ დატოვებთ თქვენს გადამრჩენელ საწყალ კაცს?

მოკლედ, სანამ ისინი სახლიდან გავიდოდნენ, მოხუცმა იმდენი ქნა, რომ ტობი შეპირდა, თუ წინასწარ ავიღე მატროსის ხელფასის ნაწილი, ხუთ ესპანურ დოლარს მოგცემო; გარდა ამისა, ტობიმ თავის მხრივ კიდევ მეტის მიცემა აღუთქვა, თუ იგი მეც გამათავისუფლებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მრავალი კუნძულების თანხლებით განაგრძეს გზა, ველს შეჰყენენ და ნუკუჰივისაკენ მიმავალ ციკაბო ბილიკს დაადგნენ. აქ გაპარები შეჩერდნენ და დიდხანს გაჰყურებდნენ მგზავრებს, რომლებიც აღმართში მიდიოდნენ; ყაჩაღური შესახედაობის რამდენიმე კაცმა შუბები გაიქნ-გამოიქნია და მუქარით შეხედეს საბრალო ტაიპის, რომელსაც გულსაც მოეშვა და ფეხიც მსუბუქად გადაადგა, როცა შორს, ქვემოთ შენიშნა თავისი მტრები.

ისინი კვლავ ავიდნენ მთის მწვერვალზე და ერთხანს გვირით დაფარულ ქედებზე გადადიოდნენ.

მერე ტყის ზოლში შევიდნენ და სწორედ აქ შეეფეთნენ შეიარაღებულ ნუკუჰიველებს, ხელში გრძელი ლატანების კონები რომ ეჭირათ. ჯიმი, რომელიც ყველას კარგად იცნობდა, წუთით შედგა და უი-უის შესახებ დაუწყო ლაპარაკი. ასე ეძახდნენ ნუკუჰივის მცხოვრებნი ფრანგებს.

ესენი მეფის მოვანას მეომრები იყვნენ და მისი ბრძანებით აგროვებდნენ ლატანებს ფრანგებისათვის.

ტობიმ და მისმა თანამგზავრებმა გზა განაგრძეს, რადგან მზე უკვე ახლო იყო ცის დასავალთან. ნუკუჰივის ველს ყურის იმ მხრიდან მიაღწენ, სადაც მთები დამრეცად ეშვებოდა ზღვაში. სამხედრო გემები ისევ იდგნენ ნაესადგურში, და როცა ტობიმ შეხედა მათ, იმ დროს მომხდარი ყველა უცნაური ამბავი ისე მოეჩვენა, თითქოს სიზმრად ენახოს.

ისინი სწრაფად დაეშვნენ ნაპირისაკენ და დაღამებამდე ჩავიდნენ ჯიმის სახლში. აქ მეზღვაურს მიესალმნენ ნუკუჰიველი ცოლები; ქოქოსის რძითა და პოი-პოით სულის მობრუნების შემდეგ სამივენი ჩასხდნენ კანოეში და ყურეში ღუზაჩაშვებული ვეშაპზე სანადირო გემისაკენ გასტურეს. ეს სწორედ ის გემი იყო, რომელზედაც ხალხი აკლდათ. ჩვენი „დოლი“ რამდენიმე დღის წინ გასულიყო. ვეშაპზე სანადირო გემის კაპიტანს ძალიან გაუხარდა ტობის მოსვლა, მაგრამ ასე დაუძღურებული რომ ნახა, იფიქრა, ეს სამსახურისათვის არ გამოდგებაო. მიუხედავად ამისა, მაინც დაიტოვა და თან შეპირდა, რომ მის ამხანაგსაც აიყვანდა, როგორც კი მოვიდოდა.

ტობის მაინცდამაინც არ სჯეროდა ჯიმის დაპირებანი: ამიტომ მაშინვე დაუწყო ხვეწნა კაპიტანს, რათა ნავი და შეიარაღებული ხალხი მიეცა ჩემს გამოსახსნელად. მაგრამ კაპიტანმა

ცივი უარი უთხრა ჩემს მეგობარს და დაარწმუნა, მოთმინება იქონიე, მეზღვაური უთუოდ შეასრულებს თავის სიტყვასო. ტობიმ ხუთი დოლარი სთხოვა ჯიმისათვის მისაცემად. კაპიტანი უარზე იდგა. მაგრამ ტობი არ ეშვებოდა: ჯიმის ანგარებისა და ვერაგობისა ეშინოდა და იცოდა, რომ თუ კარგ გასამრჯელოს არ მისცემდნენ, ხელს არ გაანძრევდა. ამიტომ მან არათუ მისცა ფული, არამედ ისიც აღუთქვა, რომ მიმიყვანდა თუ არა გემზე, კიდეც უფრო მეტ ფულს მიიღებდა.

მეორე დღეს, მზის ამოსვლამდე, ჯიმი და ახალგაზრდა ტაიპი ორი ნავით გაემართნენ. ნავები მიჰყავდათ ადგილობრივ მკვიდრთ, რომლებიც, ისევე როგორც ჯიმი, ტაბუს მფარველობის ქვეშ იყვნენ. ტობის, რა თქმა უნდა, მათთან ერთად წასვლა სურდა, მაგრამ მატროსმა უთხრა, ჩვენთან ყოფნით საქმეს გააფუჭებო. ტობისათვის ეს ძნელი ასატანი იყო, მაგრამ მაინც დარჩა.

სალამოს ვახტზე მდგარმა ტობიმ დაინახა ნავები, რომლებმაც კონცხს შემოუარეს და ყურეს უახლოვდებოდნენ. მან მზერა დაძაბა, რომ დავენახე, მაგრამ მე ნავში არ ვიყავი. ის გაოგნებული ჩამოვიდა და, როგორც კი ჯიმიმ გემბანზე ამოღვა ფეხი, მაშინვე სწვდა, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰყვირა:

— სად არის ტომო?

მოხუცი მატროსი შეშინდა, მაგრამ მალე გონს მოეგო და რაც შეეძლო დაამშვიდა ტობი, დაარწმუნა, რომ ამ დილით არაფრით არ მოხერხდა ჩემი წამოყვანა. მან დასძინა, რომ ხვალ კვლავ გაემართებოდა ყურეში ფრანგების კანჯოთი და, თუ ისევ ვერ მიპოვიდა ნაპირზე, — ისე კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მიპოვიდა, — მაშინ პირდაპირ გასწვება ველისაკენ და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, წამომიყვანდა. მაგრამ მატროსმა ამჯერადაც უარი უთხრა ტობის მასთან გამგზავრებაზე.

ამ შემთხვევაში ტობი საესებით დამოკიდებული იყო ჯიმიზე, და ძალაუნებურად უნდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რასაც მეზღვაური ეუბნებოდა.

მეორე დღეს მან დაინახა, რომ ფრანგების კანჯომ, რომელშიც ჯიმი იჯდა, მართლაც შესცურა ზღვაში. „ამ სალამოს ვნახავ“, — ფიქრობდა ტობი. მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი დღე

გაეიდა, სანამ იგი კვლავ შეხვდებოდა თავის საყვარელ ტომოს...

როგორც კი კანჯო თვალს მიეფარა, კაპიტანმა ბრძანება გასცა ღუზა ამოეღოთ: გემი ზღვაში უნდა შესულიყო. ამარიყო ტობის ხეყნა-მუდარა — მისთვის არაეის მიუქცეეია ყურადღება. გონს მოსვლაც კი ვერ მოასწრო, რომ იალქნები აუშეეს და გემი მოშორდა ნაპირს.

— ...ო, რა საშინელი და უძილო ღამეები გაეატარე! — მითხრა მან, როცა კვლავ შეეხვდით ერთმანეთს. — ზშირად წამოეეარდებოდი ხოლმე საწოლიდან, მეგონა, რომ ჩემ წინ იდექით და მისაყვეღურებდით, თუ რატომ მიგატოვეთ კუნძულზე!

.

კიდევ რამდენიმე სიტყეა დამრჩა სათქმელი. ტობიმ ახალ ზელანდიაში დატოეა გემი და მარკიზის კუნძულებიდან წამოსვლის ორი წლისთაეზე დაბრუნდა შინ მრავალი თაესგადამხდარი ამბის შემდეგ. მას უკეე დიდი ხანია მკედარი ვეგონე, მეც ყველა საფუძეელი მქონდა მეფიქრა, რომ იგი ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ ჩვენ მოგველოდა ახალი შეხვედრა, რომელმაც მძიმე ლოდი მოაშორა ტობის გულს.

მე-2 ინგლისური გამოცემის შენიშვნა

ველიდან გაქცევის შემდეგ ავტორმა კიდევ ორ წელზე მეტი იმოგზაურა სამხრეთ ოკეანეში. შინ დაბრუნებულმა, რამდენიმე ხანში გამოსცა ეს წიგნი.

წიგნის გამოსვლიდან ათი დღე იყო გასული, როცა ტობი, რომელმაც ამ წიგნის მეშვეობით გაიგო, რომ მისი მეგობარი ცოცხალია, ესტუმრა ავტორს და, ბოლოს და ბოლოს, მოუყვა, როგორ გაუჩინარდა ველიდან. ამიტომ ტობის ნაამბობი, ჩაწერილი ავტორის მიერ, მხოლოდ მეორე გამოცემაში გამოქვეყნდა.

ნიუ-იორკი, 1846 წ.



ო ბ უ

ქანსეპოლოტი, სარატოვის საბრაფო,
ნიუ-იორკის შტატი

ქ მ რ მ ა ნ ქ ა ნ ს ე პ ო ლ ო ტ ს
სიყვარულით უძღვნის ამ შრომას
მისი ღისწული, აბტორი

ავტორის წინასიტყვაობა

აღბათ არსად ისე არ ვლინდება ზღვის სულის საყოველთაოდ ცნობილი თავაწყვეტილობა, როგორც სამხრეთის ზღეებში. გემები, ესოდენ შორეულ წყლებში რომ დაცურავენ, გადაყოლილი არიან კაშალოტების ჭერას, — რეწვას, რომელიც არა მარტო იზიდავს ყველა ჯურის თავზეხელაღებულ მატროსებს, არამედ ხშირად ხელს უწყობს მათი უკიდურესი თვითნებობის განვითარებას. ეს მოგზაურობა, გარდა ამისა, უჩვეულოდ ხანგრძლივი და სასიფათოა; მხოლოდ თითო-ორი ნავსადგურია მისაწვლომი, რომლებიც განლაგებულია პოლინეზიის კუნძულების ან სამხრეთ ამერიკის დასავლეთი ნაპირების გასწვრივ, სადაც არავითარი კანონი არ არსებობს. ამიტომ გემზე, წყნარ ოკეანეს რომ სერავენ, ხშირად ხდება უჩვეულო ამბები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ვეშაპების ჭერასთან.

ეს ნაწარმოები ვეშაპებზე ნადირობის აღწერას როდი ისახავს მიზნად (ამ თემას ვერ დაიტევს ჩვენი თხრობის ჩარჩო); ავტორის ერთ-ერთი ამოცანა ისაა, რომ თავსგადამხდარი ამ-

ბების დაწვრილებით მოყოლით გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს, თუ როგორ ცხოვრობდნენ მეზღვაურები აღნიშნულ პირობებში.

მეორე ამოცანაა სიმართლით იქნეს ასახული თანამედროვე მდგომარეობა გაქრიატიანებული პოლინეზიელებისა, რომლებმაც განიცადეს როგორც შემთხვევით მოსული უცხოელების, ისე მისიონერების გავლენა.

ავტორმა მოხეტიალე მატროსის სახით თითქმის სამი თვე დაჰყო კუნძულების ტაიტიისა და ეიმეოს¹ სხვადასხვა რაიონში, — თანაც ამ ვითარებაში, რომელიც ზედმიწევნით ხელსაყრელი იყო ადგილობრივ მკვიდრთა სოციალურ წყობაზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად.

მისიონერთა საქმიანობის მოხსენიებისას ავტორი, ცხადია, მუდამ მკაცრად იცავდა ფაქტებს; ზოგ შემთხვევაში ისიც კი ჩათვალა საჭიროდ, რომ თავის დაკვირვებათა შედეგების დასადასტურებლად მოეყვანა ციტატები ბევრად უფრო ადრინდელ მოგზაურთა შრომებიდან. მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ გულწრფელმა სწრაფვამ აიძულა იგი საერთოდ შეხებოდა ამ საკითხს. და თუკი ავტორი თავს იკაეებს რჩევა-დარიგება გამოთქვას იმ ბოროტებათა აღმოსაფხვრელი ყველაზე უფრო შესაფერისი საშუალებების შესახებ, ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ მისი რწმენით, რომ სხვები, გაეცნობიან რამოყვანილ მონაცემებს, ამის გაკეთებას მასზე უკეთ შეძლებენ.

ერთგვარი სახუმარო ტონი, რომლითაც ავტორი ტაიტელეების სასაცილო თვისებებს აღწერს, სულაც არ არის გამოწვეული სურვილით, რომ დასცინოს მათ: ფაქტები უბრალოდ ისეა აღწერილი, როგორც ისინი — თავიანთი სიამლის წყალობით — ეცემა თვალში ალალმართალ დამკვირვებელს.

ჩვენი თხრობა აუცილებლობის გამო იწყება იმით, რითაც მთავრდება „ტაიპი“, მაგრამ სხვა მხრივ არაფრით არ არის დაკავშირებული მასთან. ამიტომ ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს მკითხველმა, რომელსაც „ტაიპი“ არ წაუკითხავს, გადმოცემულია მოკლე შესავალში.

სამხრეთის ზღვებში ხეტიალის დროს ავტორს არ უწერია დღიურები; ამიტომ, დედანს გამოსაცემად რომ ამზადებდა, სა-

¹ მურეას თანამედროვე სასელწოდება.

შეალება არ ჰქონდა რამდენადმე დაეზუსტებინა თარიღები. ყველა ამბავი მარტოოდენ მოგონებების მიხედვითაა გადმოცემული. მაგრამ ავტორი იმდენად ხშირად ჰყვებოდა თავს გადამხდარ ამბებს, რომ ისინი ღრმად ჩაებეჭდა მენსიურებაში.

როგორც ამბობენ, ჩვენში გამოცემულია რამდენიმე მოკლე პოლინეზიური ლექსიკონი, მაგრამ დღემდე ტაიტური კილოკავის არც ერთი ლექსიკონი არ გამოქვეყნებულა. ყოველ შემთხვევაში არც ერთი მათგანი არ ჩავარდნია ხელში ავტორს. ამიტომ ადგილობრივ მკვიდრთა სიტყვების ხმარებისას იგი ძირითადად მხოლოდ მათი უღერადობის განხილვით სარგებლობდა.

იმ საკითხებში, რომლებიც ტაიტელთა ისტორიასა და ძველ ადათ-წესებს ეხება, ცნობების დამატებით წყაროდ გამოდგა სამხრეთის ზღვებში მოგზაურობის ძველი ჩანაწერები, აგრეთვე ელისის შრომა „პოლინეზიური გამოკვლევანი“.

ნაწარმოების სათაური „ომუ“ გადმოღებულია მარკიზის კუნძულების მცხოვრებთა კილოკავიდან. იქ ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „მაწანწალა“ ან, უფრო ზუსტად, „კაცი, რომელიც კუნძულიდან კუნძულზე დაეხეტება“, მსგავსად ადგილობრივი მკვიდრებისა, რომელთაც თვისტომნი „კანაკი-ტაბუს“ ეძახიან.

ავტორი სრულიადაც არ ისწრაფვის ფილოსოფიური განზოგადებისაკენ. მან უბრალოდ სიმართლით აღწერა ის, რაც ნახა; თუკი ზოგჯერ უფლებას აძლევს თავის თავს აქა-იქ ჩაურთოს საკუთარი ფიქრები, ამას უნებლიეთ სჩადის, თანაც ისეთ შემთხვევაში, როცა ეს ფიქრები თავისთავად მოსდის და, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ყველას მოუვიდოდა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1842 წლის ზაფხულში ამ ამბის მთხრობელმა, ამერიკული ემპაქსანადირო გემის მატროსმა, რომელიც სამხრეთის ზღვებში მოგზაურობდა, ინახულა მარკიზის კუნძულები. კუნძულ ნუკუჰივაზე მან დატოვა გემი, რომელიც უმისოდ განშორდა ნაპირს. კუნძულზე ხეტიალისას ის აღმოჩნდა ტაიპის ველზე, სადაც პირველყოფილი ტომი ესასლა; მისმა თანამგზაურმა მატროსმა რამდენიმე ხნის შემდეგ მოახერხა გაქცევა. ავტორი თითქმის ოთხ თვეს იყო ტყვედ. ტყვეობაში ერთგვარი თავისუფლებით სარგებლობდა, შემდეგ კი ყურეში შემოსული კანჯოთი დააღწია თავი იქაურობას.

კანჯო ეკუთვნოდა გემს, რომელსაც მატროსები სჭირდებოდა და მცირე ხნის წინათ ჩაეშვა ღუზა იმავე კუნძულის მეზობელ ნავსადგურში; კაპიტანს მოახსენეს, რომ ამ წიგნის ავტორი ტაიპის ველზე იყო ტყვედ. კაპიტანი, რომელსაც ეკიპაჟის შევსება სურდა, იქით გაემართა და ყურის შესასვლელთან დრეიფზე დადგა. რადგან ტაიპის ტომს მტრად თვლიდნენ, კანჯოთი ნაპირზე გაგზავნეს რაზმი, რომელიც შედგებოდა ყურის მეორე ნაპირზე მცხოვრებ „ტაბუს“ მკვიდრთაგან; რაზმს თარჯიმანი ხელმძღვანელობდა; ექსპედიციის მიზანი იყო ავტორის განთავისუფლება. ბოლოს და ბოლოს ეს შესაძლებელი გახდა, თუმცა საკმაო რისკის ფასად. ტყვეობიდან გამოქცევისას ავტორს საშინლად ტანჯავდა ფეხის ტკივილი და კოჭლობა და კიდევც.

როგორც კი კანჯომ შუა ზღვაში შეცურა, შორს გამოჩნდა მოდრეიფე გემი. აქედან იწყება ჩვენი თხრობა.

როგორ შეგვხვდნენ ბაიუნი

ნათელი ტროპიკული დღე იდგა, როცა ყურეს თავი დაეაღწიეთ და შუა ზღვაში გავედით. გემი, რომლისკენაც გავწიეთ, ქარისაკენ განივად მიმართული გროტმარსელით იდგა კუნძულისიდან დაახლოებით ერთი ლიგის¹ მოშორებით და წარმოადგენდა ერთადერთ საგანს, რომელიც თვალუწვდენელი სივრცის უდაბურებას არღვევდა.

როდესაც მივუახლოვდით, დავინახე პატარა, უსახური ორნახომელი; კორპუსი და რანგოუტი ჩაშავებოდა, გემსართავეები ჩამოშვებოდა და გახუნებოდა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ იგი ვერ იყო მაინცდამაინც კარგ დღეში. ქიმებზე დაკიდებულ ოთხ კანჯოზე ეტყობოდა, რომ ეს ვეშაპ-სანადირო გემი იყო. ფალშბორტზე სასოწარკვეთით გადაყუდებულიყვნენ მატროსები — გაშმაგებული ბრბო ქანცგაწყვეტილი ადამიანებისა, რომლებსაც შოტლანდიური ქულები ეხურათ და გახუნებული ლურჯი სათბურები ეცვათ; ზოგ მათგანს სახე აფორეჯებოდა; ასეთი ფერი სხვადასხვა ავადმყოფობის გამო სწრაფად დაედებათ ხოლმე მუქ ყავისფერ სახეზე ტროპიკებში მყოფ მატროსებს.

შკანცებზე ვიღაც იდგა, ჩემი ფიქრით კაპიტნის უფროსი თანაშემწე უნდა ყოფილიყო. ფართოფარფლებიანი პანამა ეხურა. ჭოგრიტით აღევნებდა თვალს ჩვენს მიახლოებას.

მივადექით თუ არა ხომალდს, გემბანზე ახმაურდნენ და ყველანი გაკვირვებით შემოგვაცქერდნენ. ჰქონდათ კიდეც ამის მიზეზი. რომ აღარაფერი ვთქვათ კანჯოს ეკიპაჟზე, რომლის

¹ სიგრძის ძველებური საზომი, უდრის 5,56 კმ ანუ 3 გეოგრაფიულ მილს.

წვერებიც — კუნძულის მკვიდრნი — აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდნენ, გაშმაგებით ყვიროდნენ და ხელებს იქნევდნენ, — არც ჩემს შესახედობას შეეძლო ცნობისმოყვარეობა არ აღეძრა. მხრებზე ადგილობრივი ქსოვილის მანტია მქონდა მოსხმული, თმაგაბურძენილი და პირგაუპარსავე ვიყავი; მთელი ჩემი შესახედობა მეტყველებდა იმ ამბებზე, რომლებიც მცირე ხნის წინათ გადამხდა თავს. შევდგი თუ არა გემბანზე ფეხი, სეტყვასავით დამაყარეს კითხვები, რომელთაგან ნახევარსაც კი ვერ ვუპასუხე, ისე სწრაფად მოსდევდნენ ერთიმეორეს.

უცნაური შემთხვევითობის მაგალითად, რომელიც ხშირად ხვდება ხოლმე მატროსს, უნდა მოვიხსენიო, რომ ჩემს გარშემო მყოფ ადამიანთაგან ორნი ნაცნობები აღმოჩნდნენ. ერთი გახლდათ მოხუცი მატროსი სამხედრო გემიდან; იგი გავიცანი რიო-დე-ჟანეიროში, სადაც შევიდა გემი, რომლითაც სამშობლოდან ჩამოვედი. მეორე ჭაბუკი იყო; ოთხი წლის წინათ ხშირად ეხვდებოდი ლივერპულში მატროსების პანსიონში. მახსოვს, როგორ გამოვეთხოვე უფლისწულის დოკის ჭიშკართან პოლიციელების, მტვირთაყვების, მეზარგულებისა და სხვათა ბრბოში. და აი ბედმა კვლავ შეგვყარა: გავიდა წლები, ოკეანის სიერცეთა მრავალი მილი ჩამოვიტოვეთ უკან, და ჩვენი გზები კვლავ შეერთდნენ იმ დროს, როცა სულ გადამიწყდა თავის გადარჩენის იმედი.

რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ კაპიტანი თავის კაიუტაში მიმიხმობდა.

ეს იყო სრულიად ახალგაზრდა კაცი, ფერმიხდილი და სუსტი; კანტორის ავაღმყოფ მოხელეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზღვის მრისხანე კაპიტანს. მან შემომთავაზა დამეჯღარიყავი და იუნგას უბრძანა ჭიქა პისკო¹ მოერთმია ჩემთვის. იმ მდგომარეობაში, რომელშიც მაშინ ვიყავი, აღმგზნები სასმელი თავში ამივარდა, და არ მახსოვს არც ერთი სიტყვა იმ ნაამბობიდან, რომელიც კუნძულზე ჩემს ყოფნას შეეხებოდა. მერე კაპიტანმა მკითხა, ხომ არ გინდა ქირით იმუშავო გემზე. მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, მინდა-მეთქი, ოღონდ იმ პირობით, რომ

¹ ამ სპირტიანმა სასმელმა თავისი სახელწოდება მიიღო პერუს საკმაოდ დიდი ქალაქის მისედეით, სადაც მას დიდი რაოდენობით აყენებენ. პისკო კარგადაა ცნობილი სამხრეთ ამერიკის მთელ დასავლეთ სანაპიროზე და იქიდან ავსტრალიაშიც კი იგზავნება. იგი ძალიან იაფია.

თანახმა იქნებოდა, თუკი მოვისურვებდი, ანგარიში გაესწორებინა უახლოეს ნავსადგურში. ასე ხშირად დგებიან ქირით სამუშაოდ მეზღვურები ვეშაპსანადირო გემებზე, რომლებიც სამხრეთის ზღვებში დატურავენ. პირობაზე დამთანხმდნენ და საზომალდო ხელშეკრულებაც დამიდეს.

კაპიტანმა კაიუტაში გამოიძახა უფროსი თანაშემწე და განკარგულება გასცა „ჯანმრთელ ადამიანად“ ვექციე; არ გეგონოთ, რომ კაპიტანს სიბრაღული ამოძრავებდა, მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ რაც შეიძლება მალე გამოვეყენებინე სამუშაოზე.

კაპიტნის თანაშემწე გემბანზე ასვლაში შემეშველა, შპილზე დამსვა და ფეხი გამისინჯა; მერე აფთიაქიდან რაღაც წამალი გამოიღო, წამისვა და ძველი იალქნის ნაჭრით ისე სქლად შემიხვია, რომ ვინმეს ეგონებოდა ამ კაცს დიდი ხანია ნიკრისის ქარი აქვს და ახლა შპილზე მოკალათებულა, რომ მტკივნაი ფეხი მოასვენოსო. ამასობაში ვიღაცამ მხრებზე მოგდებულ იტაპის მანტია მომხადა და მის მაგივრად ლურჯი ქურთუკი მომახურა; მეორემ, რომელსაც აგრეთვე სურდა, რომ ცივილიზებულ ადამიანად ვექციე, ცხვრების საკრეჭი მაკრატელი დაატრიალა ჩემს თავზე. ქოჩორსა და წვერს მკრეჭდა და თან ყურებსაც ემუქრებოდა.

დღე იწურებოდა, მიწა თანდათან ქრებოდა თვალთაგან, მე კი მთელი არსებით ვიყავი გატაცებული ჩემი ბედის ამგვარი ცვლილებით. მაგრამ რა ხშირად ტყუედება მომლოდინე კაცი, როცა ყველაზე სანუკვარი იმედი შეუსრულდება. მართალია, გემზე ხიფათი აღარ მელოდა, რაზედაც ამდენ ხანს ვოცნებობდი, სამშობლოსა და მეგობრების ნახვის იმედიც მომეცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გავართვი თავი უსასობას, რომელიც გულს მიმძიმებდა. სასო წარმიკვეთა ფიქრმა, რომ ველარასოდეს ვნახავდი იმ ადამიანებს, რომლებსაც, მართალია, ტყვეობაში ვყავდი, მაგრამ საერთოდ განსაკუთრებული გულისხმიერებით მეპყრობოდნენ. მე მათ სამუდამოდ გამოვეთხოვე.

ისე მოუფიქრებელი და უეცარი იყო ჩემი გაქცევა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ისეთ ლელვას განვიცდიდი, ისე დიდი კონტრასტი იყო ველის განსაცვიფრებელ მყუდროებასა და მცურავი ხომალდის ხმაურსა და რია-რიას შორის, რომ ჩემი

ამასწინანდელი თავგადასავალი რაღაც უცნაური სიზმარი მეგონა; ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მზე, რომელიც ახლა თვალწვდენელ ოკეანეში იძირებოდა, მხოლოდ დღეს დილით ამოცურდა მთებიდან და თავზე დამყურებდა, როცა ტაიპის ველზე ვიყავი ჭილოფზე წამოწოლილი.

ჩამოხხელდა თუ არა, ქვემო ბანზე ჩავედი. იქ ერთი უბადრუკი ორიარუსიანი საწოლის ზედა თარო შემომთავაზეს დასაძინებლად. ორივე თარო მორყეული იყო და ზედ საბნის ნაჭრები ეგო. მერე ერთი დჭყლეტილი თუნუქის ჭურჭელი მომცეს, რომელშიც ნახევარი პინტი¹ „ჩაი“ ესხა. „ჩაის“ ზრდილობის გამო ეძახდნენ, თორემ გემის მეპატრონეების სინდისზე იყოს, იმსახურებდა თუ არა ამ სახელწოდებას ნაყენი, რომელშიც რაღაც ღეროები დაცურავდა. მომცეს აგრეთვე მრგვალ ორცხობილაზე დადებული კახაჯის ნაჭერი. ორცხობილა, ეტყობა, თფუშის მაგიერობას სწევდა. მე დაუყოვნებლივ მივუჯექი ვახშამს, რომელიც მლაშე იყო, მაგრამ მაინც გემრიელი მეჩვენა ნაბუქოდონოსორის² იმ საჭმელთან შედარებით, ველზე რომ მივირთმევედი.

სანამ ვვახშმობდი, ჩემს წინ სკივრზე მჯდარი მატროსი თამბაქოს აბოლებდა. ვახშამს რომ მოვრჩი, შებოლილი ჩიბუხი ქურთუკის სახელოზე გაიწმინდა და შემომთავაზა. ასეთი ყურადღება დამახასიათებელია მეზღვაურებისათვის; რაც შეეხება ზიზღს, ამგვარი რამ გულში არ უდევს არც ერთ ადამიანს, რომელსაც გემის ქვემო ბანზე უცხოვრია. რამდენჯერმე მაგრად მოვქაჩე ჩიბუხი, რომ დაემშვიდებულიყავი, შემდეგ გადავბრუნდი და ვცადე ჩამეთვლიმა. მაგრამ ამაოდ. ჩემი საწოლი ქიმის პარალელურად კი არ იდგა, როგორც წესია, არამედ განივად, ესე იგი კილისადმი მართი კუთხით; ქარს აყოლილი გემი აკვანივით ირწეოდა, თანაც ისე ძლიერ, რომ ყოველთვის, როცა ფეხისგულები მაღლა მქონდა, თავი კი დაბლა, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს ეს-ესაა გადავყირავდებოდა. გარდა ამისა, ბევრი სხვა რამეც მაშფოთებდა; დროდადრო ტალღა აწყდებოდა გემის სათოფურს და შხეფები პირისახეში მცემდა.

¹ მოცულობის საზომი ინგლისსა და ამერიკაში.

² ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ ი — ძველი ბაბილონის მეფე, რომელიც გადმოცემის თანახმად, ბალასით იკვებებოდა.

ბოლოს, უძილო ღამის შემდეგ, ღამისა, რომლის სიჩუმე ორჯერ დაარღვია უღმობელმა ყვირილმა, რითაც გუშაგების ახალ ცვლას უხმობდნენ, ზემოდან ნელ-ნელა ჩამოაღწია დღის მკრთალმა სინათლემ. ვიღაც ჩამოვიდა ქვემო ბანზე. ეს ჩემი ძველი ნაცნობი იყო, ჩიბუხით ხელში.

— გეყურება, მეგობარო, — ვუთხარი მე, — მომეშველე, რომ როგორმე თავი დაეაღწიო აქაურობას. გემბანზე მინდა ავიდე.

— ეჭვი, ვინ ლულულებს მანდ? — მოისმა პასუხად, და მოსულმა თვალი მოაშტერა სიბნელეს, სადაც მე ვიწექი. — ა, ტაიპო, კაციჭამიების მეფე, შენ ბრძანდები? ერთი ეს მითხარი, ყმაწვილო, შენი ოჩოფეხას საქმე როგორღაა? თანაშემწე ამბობს, ძაან ცუდად არისო; გუშინ საღამოს კი იუნგას უბრძანა ხელის ხერხი გაეღესა. ნაკუწ-ნაკუწ ზომ არ უნდა გაქციოს?..

გათენებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, როცა უკვე ნუკუჭივის ნაესადგურს მივადექით. აქ დილაამდე გაეჩრდით ზღვაში, თან წამდაუწუმ ვიცვლიდით ჰალსებს. მერე ნაესადგურში შევედით და კანჯოთი გადავსხით ნაპირზე ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებმაც ამასწინათ გემზე ამომიყვანეს. როცა კანჯო უკან დაბრუნდა, კვლავ ავუშვით იალქნები და შუაგულ ზღვისაკენ გავემართეთ.

მსუბუქი ნიავი ქროდა. დილის გრილი ჰაერი ისეთი გამამხნევებელი იყო, რომ, ჩავისუნთქე თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, მიუხედავად ცუდად გატარებული ღამისა, რა უცებ გამომიკეთდა გუნება.

თითქმის მთელი დღე შპილზე ვიჯექი და მოურიდებლად ვლაცობდი მატროსებთან. აქ გავიგე, თუ რა გადახდომოდით თავს ჩემთან შეხვედრამდე; გავიგე ყველაფერი, რაც გემსა და მის დღევანდელ მდგომარეობას შეეხებოდა.

შემდგომ თავში მოკლედ გიამბობთ ყოველივე ამას.

ზოგიერთი ცნობა გემის შესახებ

უპირველეს ყოვლისა უნდა ავიწეროთ თვით „ჯულია“ ანუ „ჯულიეტა“, როგორც ალერსით ეძახდნენ მეზღვაურები.

ეს იყო მშვენიერი პროპორციების პატარა ორჩხომელი, ორას ტონაზე ცოტა მეტი წყალწყვისა, იანკების მიერ აგებული, თანაც ძალიან ძველი.

1812 წლის ომის დროს კაპერად იყენებდნენ. მან ახალი ინგლისის ერთ-ერთი ნავსადგური მიატოვა და შუა ზღვაში ინგლისელთა კრეისერმა იგდო ხელთ; შემდგომ ამისა „ჯულიამ“ მრავალი დანიშნულება გამოიცვალა. ბოლოს მთავრობის პაკეტბოტი გახდა, რის შემდეგაც ავსტრალიის ირგვლივ მდებარე წყლებში დაცურავდა. დამსხვრევას ბევრი აღარაფერი უკლდა, მაგრამ ამ ორიოდე წლის წინ მაინც იყიდა აუქციონზე სიდნეის ერთმა ფირმამ, რომელმაც მცირეოდენი შეკეთების შემდეგ ნაოსნობაში გამოგზავნა.

შეკეთების მიუხედავად „ჯულია“ მაინც შესაბრალის მდგომარეობაში იყო. როგორც ამბობდნენ, ტაკელაჟი ძალიან გაუცვდა, არც ერთი ანძა საიმედო არ ჰქონდა, ალაგ-ალაგ ფალშბორტიც კი სულ მთლად დაღობოდა. მაგრამ გემის კორპუსში თითქმის არ შედიოდა წყალი, და დიდი დილობით ჩვეულებრივზე ცოტა მეტად რომ ემუშავებინათ ტუმბო, ტრიუმში წყალი არ დაგროვდებოდა.

მაგრამ ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა სვლას; ამ მხრივ მამაცი „ჯულიეტა“ მართლაც რომ ჯადოქარი გამოდგა. ძლიერი ქარი ქროდა თუ სუსტი, იგი მუდამ მზად იყო გამოეყენებინა ერთიც და მეორეც. როცა წინ მიჰქროდა და მკერდით მიაპობდა ტალღებს, ხან ყალყზე დგებოდა და ხან სიღრმეში ეშვებოდა, თქვენ გავიწყლებოდათ მისი საკერებელდადებული იალქნები და ჭიებისაგან გამოხრული კორპუსი. რა სწრაფად მიაქანებდა ქარი ამ პატარა მკვირცხლ გემს! რა თქმა უნდა, წამდაუწყებლად იყანთრებოდა აქეთ-იქით, მაგრამ რა ხალისიანად და გიჟმაჟად! როცა ქარის შესახვედრად მიდიოდა, ვერავეითარი გრიგალი ვერ გადააბრუნებდა მას; მაღლა აწვდილი ანძებით ეგებებოდა ქარს და მიდიოდა წინ, სულ წინ.

მაგრამ „ჯულიეტას“ სულ მთლად მაინც ვერ დაენდობოდა კაცი. საკმაოდ სწრაფი და გიჟმაჟი იყო და სწორედ ამიტომ ვერ იმსახურებდა ნდობას. ჭარმაგი ბერიკაცისა არ იყოს, უეცრად რომ დანაჩანაკლება და დაუძღურდება, ვინ იცის, ერთ მშვენიერ ღამეს ერთბაშად შესვლიდა წყალი და ყველანი ზღვის ფსკერზე დავემარხეთ. თუმცა „ჯულიეტას“ არასოდეს მოსვლია აზრად ასეთი უმსგავსო ხუმრობა, და მაშასადამე, ჩემი ეჭვები მოკლებული იყო საფუძველს.

ჩვენს გემს არ ჰქონდა გარკვეული დანიშნულება. საბუთების მიხედვით მას შეეძლო სადაც უნდოდა, იქ წასულიყო — დაეჭირა ვეშაპები, სელაპები ან კიდევ სხვა რამ. მაგრამ ძირითადად კაშალოტებზე ნადირობა გეჰქონდა მიზნად, თუმცა აქამდე ორი ცალის მეტი არ გეყავდა მოკლული.

იმ დღეს, როცა „ჯულია“ სიდნეის რეიდიდან გამოვიდა, მისი რაზმი ოცდათორმეტი კაცისაგან შედგებოდა. ასლა ოცამდე კაცი იყო დარჩენილი; დანარჩენები გაიქცნენ. სამი უმცროსი თანაშემწეც კი, ვეშაპსანადირო კანჯოების მეთაურები, სადღაც გაქრა; ოთხი მებარჯისაგან ერთიღა დარჩა, ახალზელანდიელი ანუ „მაორი“, როგორც უწოდებენ მის თანამემამულეებს წყნარ ოკეანეში. ეს კიდევ არაფერი. დარჩენილი მატროსების ნახევარზე მეტი მეტნაკლებად დააზარალა თავაშვებულობით განოქმულ ნავსადგურში ხანგრძლივად ყოფნამ; ზოგ მათგანს სულ აღარ შეეძლო თავისი მოვალეობის შესრულება, რამდენიმე კაცის აუადმყოფობამ საშიში ხასიათი მიიღო, დანარჩენები კი იდგნენ საგუშაგოზე, მაგრამ არც მათ შეეძლოთ დიდი სარგებლობის მოტანა.

კაპიტანი, ტიპიური ახალგაზრდა მოქალაქე, რამდენიმე წლის წინათ ემიგრაციით იყო ავსტრალიაში და რაღაც პროტექციით ვახდა გემის კაპიტანი, თუმცა ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა. იგი მთელი თავისი მიდრეკილებებით ხმელეთის კაცი იყო, და თუმცა ჰქონდა მიღებული განათლება, მაგრამ საზღვაო საქმეში პარიკმახერზე მეტად არ იყო გამოსადეგი. ამიტომ ყველა აბუჩად იგდებდა. მატროსები ეძახდნენ „კაიუტიუნგას“, „კალმის კაცსა“ და კიდევ ათას სხვა სახინჯარს. მეზღვაურებს ნამდვილად არ ერიდებოდათ და არც მალავდნენ, სასაცილოდ რომ ჰყავდათ აგდებული; რაც შეეხება თვით ჩიაჯენტლმენს, ყველაფერი ეს მშვენიერად იცოდა და შესაფერი-

სად მღაბლაც ეჭვითა თავი. ცდილობდა რაც შეიძლება იშვიათად ჰქონოდა საქმე რაზმთან, ყველაფრის განმკარგულებლად ჰყავდა უფროსი თანაშემწე, რომელიც იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები, თანდათან უფრო დამოუკიდებელი ხდებოდა.

მაინც, მიუხედავად მოჩვენებითი განდგომილებისა, სიტყვაძვირი კაპიტანი არცთუ ისე იშვიათად ერეოდა საქმეებში, როგორც ამას პატროსები ფიქრობდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, თავისი სულელური შესახედაობის მიუხედავად, კაპიტანს ჰქონდა რაღაც ჩუმი, გაუბედავი ვერაგობა, რომელზედაც ვერავინ მიიტანდა ეჭვს და რომელიც სწორედ ამიტომ იყო ასე ქმედითი. პირუთენელი უფროსი თანაშემწე, რომელსაც მიაჩნდა, რომ ისე იქცეოდა, როგორც სურდა, ხშირად იარაღი იყო კაპიტანის ხელში. არავის არ მოსდიოდა აზრად, რომ ზოგიერთი არასასიამოვნო ღონისძიება, რომლებსაც თანაშემწე ატარებდა საყოველთაო ბუზღუნში, მომდინარეობდა ჩია ჰენიკისაგან, ხატაურის ქურთუკი და თეთრი ტილოს ფეხსაცმელი რომ ეცვა. თუმცა, ყველას ისე ეჩვენებოდა, რომ უფროსი თანაშემწე ყოველთვის თავისებურად იქცეოდა, და უმრავლეს შემთხვევაში ეს მართლაც ასე იყო; არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კაპიტანი მის წინაშე ძრწოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ საკუთარ სიმამაცეს, გემის მართვის ხელოვნებას და ამბოხი სულის ყოველგვარ გამოვლინებათა დათრგუნვის თანდაყოლილ უნარს, მთელ ქვეყანაზე არ არსებობდა თავისი პროფესიისათვის უფრო ვარგისი ადამიანი, ვიდრე ეს იყო ჯონ ჯერმინი. მას მართლაც შეეძლო ყოფილიყო მიჩნეული ენერგიული, ტანდაბალი, ჯმუხი ადამიანების ჯიშის სამაგალითო წარმომადგენლად. ბურთივით მრგვალ თავზე რგოლებად ეკიდა ფერფლისფერი თმა. სახეზე მკვეთრად აჩნდა ნაყვავილარი. ოღნავ ელამი თვალი მძვინვარე შესახედაობას აძლევდა, ცხვირი გვერდზე მოქცეოდა, ხოლო რიცა იცინოდა, მსხვილი თეთრი კბალები ზვიგენის კბილებს მიუგავდა. ერთი სიტყვით, თუკი ვინმე დააკვირდებოდა უფროს თანაშემწეს, არასოდეს არ მოუვიდოდა აზრად, რომ მისთვის ცხვირი გაესწორებინა, თუმცა სიმეტრია კი აკლდა. მაგრამ, მიუხედავად მოჩხუბრის შესახედაობისა, ჯერმინი კეთილი გულის კაცი იყო; ამას ერთი შეხედვითაც შეატყობდით.

ასეთი გახლდათ ჩენი უფროსი თანაშემწე. მაგრამ მას ერთი ნაკლი ჰქონდა: ჭირივით სძულდა ყოველგვარი სუსტი ნაყენი და ვაუკაცურად ეტანებოდა მაგარ-მაგარ სასმელებს. მეტნაკლებად იგი მუდამ იყო მათი გავლენის ქვეშ. მართალი გითხრათ, მე მგონია, ამ ადამიანისათვის სპირტის ზომიერად მიღებას სარგებლობა მოჰქონდა; თვალები უბრწყინავდა, გონება ეწმინდებოდა, მაჯისცემა ნორმალური უხდებოდა. უბედურება ის იყო, რომ ზოგჯერ ჯერმინი მეტისმეტად მიეძალებოდა სასმელს, და ძნელად შეხვდებოდიოთ კაცს, რომ სიმთვრალეში მასზე უფრო შფოთიანი ყოფილიყო. ერთთავად საჩხუბრად იწევდა; მაგრამ იმათაც კი, ვისაც მოალევეანდებდა ხოლმე, ძმასავით უყვარდათ: ისე ალაღმართლად მოაჩვენებდა ხოლმე თავს, რომ არავის არ შეეძლო მისი ჯაფრი ჩაედო გულში. მაგრამ საკმარისია ამ მამაც ჯერმინზე ლაპარაკი.

კანონის ძალით ინგლისის ყველა ვეშაპმჭერ გემს უნდა ჰყავდეს ექიმი, რომელიც რა თქმა უნდა, ითვლება ჯენტლმენად, ცხოვრობს კაიუტაში და მოწოდებულია შეასრულოს მხოლოდ თავისი პროფესიული მოვალეობანი; თუმცა ზოგჯერ სვამს „ფლიპს“¹ და ბანქოს ეთამაშება კაპიტანს. „ჯულიანსეც“ იმყოფებოდა ასეთი ტიპი, მაგრამ — პირდაპირ საოცარია — იგი კუბრიკში ცხოვრობდა მატროსებთან ერთად. აი როგორ მოხდა ეს.

ნაოსნობის დაწყებისას ექიმი და კაპიტანი ერთად ცხოვრობდნენ და ზედმიწევნით კარგად იყვნენ ერთმანეთთან. იმ უთვალავ ჭიქა ლულზე რომ არაფერი ვთქვათ, კაიუტაში რომ უსხდნენ სუფრას და წრუპავდნენ, ორივეს საკმაოდ ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული, ხოლო ერთ-ერთ მათგანს ბევრიც ემოგზაურა; ამიტომ მათი საუბრის თემები ამოუწურავი იყო. მაგრამ ერთხელ ისინი პოლიტიკაზე შეკამათდნენ; განრისხებულმა ექიმმა მეტი დამაჯერებლობისათვის მუშტები მოიშველია, კაპიტანი ძირს გაშხლართა და ამნაირად გააჩუმა. ეს დიდი კადნიერება იყო, და ექიმი ათი დღე-ღამით დაამწყვდიეს კაიუტაში, მარტოოდენ პურსა და წყალზე ამყოფეს და ამით საშუალება მისცეს თავისუფალ დროს ეფიქრა იმაზე, თუ რა-

¹ დამაქრული ლუდის, სპირტის, კეერცისისა და სანელებლისაგან შემზადებული ცხელი სასმელი.

ოდენ დაუშვებელია ვნებათა აყოლა. შეურაცხყოფილი და განაწამები, გაათავისუფლეს თუ არა, გემიდან გაიპარა და ერთ-ერთ კუნძულს მიაშურა, მაგრამ იგი სამარცხვინოდ დააბრუნეს უკან და კვლავ ჩაკეტეს კაიუტაში. მას შემდეგ, რაც ხელმეორედ გაათავისუფლეს, დაიფიცა, რომ მეტს აღარ იცხოვრებდა კაპიტანთან ერთად, გულა-ნაბადი აიკრა და ბაკზე გადასახლდა მატროსებთან, რომლებმაც დიდის ამბით მიიღეს, როგორც კაი ბიჭი და დაუმსახურებლად შეურაცხყოფილი ადამიანი.

კიდევ რამდენიმე წერილმანი უნდა მოვახსენოთ ექიმის შესახებ, რადგან იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩემს ნაამბობში. მისი ცხოვრების ადრეული წლები, ისევე როგორც ბევრი გმირისა, ბნელითაა მოცული; ზოგჯერ გადაკვრით ლაპარაკობდა რაღაც მამულზე, მდიდარ ბიძაზე, მოვლენათა უბედურ, უიღბლო დამთხვევაზე, რამაც იძულებული გახადა ხეტიალი დაეწყო. დაბეჯითებით მხოლოდ ეს ვიცოდი. იგი სიღნეიში ჩავიდა ემიგრანტთა გემის უმცროს ექიმად. მერე საკმაო ხანს იხეტიალა, რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდა სიღნეიში უგროშკაპიკოდ და „ჯულიაზე“ მოეწყო ექიმად.

იგი შესანიშნავი შესახედაობისა იყო. ექვს ფუტზე მეტი სიმაღლის ახმახს ფერის ნატამალიც არ გააჩნდა პირისახეზე; ქერათმიანი იყო. კადნიერად მომზირალი ღია ნაცრისფერი თვალები დროდადრო ეშმაკისეული სიანციით უგლავდა. მატროსები ახმახ ექიმს ან, უფრო ხშირად, ექიმ ახმახ სულს ეძახდნენ. რა მწვერვალებიდანაც არ უნდა ყოფილიყო დაცურებული ექიმი ახმახი სული, ერთი რამ უეჭველი იყო: ოდესღაც ის ფლანგავდა ბევრ ფულს, სვამდა ბურგუნდიულს და ტრიალებდა ჯენტლმენებში.

რაც შეეხება განათლებულობას, მას მოჰყავდა ციტატები ვერგილიუსიდან, მსჯელობდა მალმსბერელ ჰობსზე¹. ახლა რამდენი ლექსი იცოდა, იმას არ იკითხავთ, — მთელ სტროფებს ზეპირად გეტყოდათ პოემა „ჰუდობრასიდან“². ამასთანავე ის იყო მაღალ საზოგადოებაში ნამყოფი კაცი. შეეძლო ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გაეხსენებინა სასიყვარულო ამბები,

¹ ინგლისელი ფილოსოფოსი ტომას ჰობსი (1588–1679) დაიბადა ქალაქ მალმსბერში.

² ინგლისელი პოეტის სემუელ ბატლერის (1612–1680) ნაწარმოები.

წალკაში რომ გადახდომოდა თავს, ისიც, თუ როგორ ნადი-
რობდა დილდობით ლომებზე კაფრების ქვეყანაში, ელაპარა-
კა იმ ყაენის თვისებებზე, რომელსაც მასკატაში¹ სჯარდა; ყველა
ამ ადგილისა და კიდევ ათასი სხვისა იმდენი რამ იცოდა, რომ
მოყოფა არ შემოძლია. ახლა ეს განსაცვიფრებელი ძველი სიმ-
ღერები, მსუყე ხავერდოვანი ხმით რომ ასრულებდა მართლაც
რომ განუმეორებლად ჟღერდა! როგორ ამოდიოდნენ ამგვარი
ბგერები მისი გაძვალტყავებული სხეულიდან, — ეს მუდამ გა-
მოუცნობი რჩებოდა. მოკლედ, ახმასი სული უაღრესად მიმ-
ზიდველი თანამოსაუბრე გახლდათ, „ჯულიასზე“ ხომ ნამდვილი
განძი იყო ჩემთვის!

თ ა ვ ი 3

„ჯულიას“ შვედგომი აღწერა

გემზე არ არსებობდა ნორმალური დისციპლინის მსგავსი
რამ, აქ უდიდესი უწესრიგობა სუფევდა. კაპიტანი ავადმყოფო-
ბის გამო თითქმის არ გამოდიოდა კაიუტიდან და მას იჩქიათად
ეხედავდით, სამაგიეროდ უფროსი თანაშემწე ახალგაზრდა ლო-
მის ძალ-ღონეს იჩენდა, ზემო და ქვემო გემბანზე დარბოდა და
ყოველთვის გვახსენებდა თავს. ბემბოს, ახალზელანდიელ მე-
ბარჯეს, თითქმის არავისთან არ ჰქონდა საქმე, გარდა უფრო-
სი თანაშემწისა, რომელსაც მისი აჯამური ენა ესმოდა. მეტ-
წილად ბემბო ბუშპრიტზე იყო, სადაც ძელის ანკესით იჭერდა
თინუსებს; ზოგჯერ შუალამისას გაადვილებდა ზოლმე მთელ
რაზმს და მარტოკა ჩამოუვლიდა ბაკზე კაციჭამიათა რომელი-
ღაც ცეკვას. მაგრამ საერთოდ ზედმიწევნით მშვიდი ადამიანი
იყო, თუმცა რაღაც ისეთი გამოხედვა ჰქონდა, რომ იფიქრებ-
დით, ეს არც ისე უწყინარი კაცი იქნებათ.

ექიმმა ახმასმა სულმა კაპიტანს წარუდგინა წერილობითი
განცხადება, სადაც უარი თქვა გემის ექიმის თანამდებობაზე,
თავი სიღნეიში მიმავალ მგზავრად გამოაცხადა და იმ დღიდან
მოყოლებული ყველაფერს უდარდელად უყურებდა. რაც შეეხე-

¹ ქალაქი და ნავსადგური სპარსეთის ყურეში.

ბა რაზმს, ისინი, ვინც ავად იყო, თავიანთი მდგომარეობის აღამიანებთან შედარებით საოცრად კმაყოფილი ჩანდნენ, დანარჩენებს კი სულაც არ ენაღვლებოდათ, რომ გემზე ამგვარი თავაშვებულება სუფევდა, და არც არაეინ ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე.

სურსათ-სანოვაგე „ჯულიაზე“ საზიზღარი იყო. როცა ღორის ხორცის კასრს გახსნიდნენ, ხორცს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს ჟანგში ყოფილიყოს შენახული, თანაც ისე ყარდა, როგორც გაფუჭებული რაგუ. საქონლის ხორცს ნულარ იკითხავთ: წითელი ხის ფერი ბოჭკოვანი მასა ისე მაგარი და უგემური იყო, რომ მე თითქმის დავიჯერე მზარეულის ნაამბობი, თუ როგორ იპოვეს მარილწყლიან კასრში ცხენის ნალიანი ფლოქვი. ორცხობილებს კიდეც არა უშავდა; ისინი დაქუცმაცებული იყო კაჟივით მაგარ ნატეხებად, რომლებიც ისე იყო დაკრკილული, გეგონებოდათ ჭიები, კვების ამ პროდუქტს რომ უჩნდება ტროპიკებში ხანგრძლივი მოგზაურობისას, საკვების ძებნისას ერთ მხარეს შემძვრალან და რომ ვერაფერი უპოვიან, მეორე მხარეს გამომძვრალანო.

ცხელი კერძები ჩვენთან იშვიათი იყო. „ჩაი“ კი ბლომად გვქონდა, თუმცა გავბედავ და გეტყვი, რომ ჩინეთთან მოვაჭრე არც ერთ ფირმას არ მოუტანია იგი ოდესმე. გარდა ამისა, დღეგამოშვებით გვაძლევდნენ კერძს, რასაც მატროსები „დომხალს“ ეძახდნენ. ეს იყო წვენი, დამზადებული მსხვილი მუხუდოსაგან, რომელსაც თბილ წყალში ცურვით სულ პრიალ-პრიალი გაჰქონდა.

შემდგომ მიამბეს, რომ მთელი ჩვენი სურსათ-სანოვაგე გემის მეპატრონეებს ეყიდათ აუქციონზე, სიდნეის საზღვაო უწყებას რომ გაემართა წუნდებული მარაგის გასასაღებლად.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პირველი კერძი წყალწყალა იყო და საქონლისა და ღორის ხორციც მეტისმეტად მწუთხე, ჯულიას მატროსები აიტანდნენ ამგვარ კვებას, რომ მათ დამატებით ჰქონოდათ რაიმე საჭმელი — რამდენიმე ცალი კარტოფილი, იამსი ან ბანანი. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდათ. სამაგიეროდ იყო რაღაც სხვა, რაც, მატროსების აზრით, სავსებით ანაზღაურებდა ყველა დანაკლისს: მათ რეგულარულად აძლევდნენ პისკოს.

ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ, რომ ასეთ ყოფაში კ-პიტანს

ერჩიენა მიწისაგან შორს ყოფილიყო. მართალი ვითხრათ, მას უბრალოდ ეშინოდა, ნავსადგურში შესვლისას რაზმის დანარჩენი წევრებიც არ შემოფანტოდნენ. კაპიტანს, ახლაც ჰქონდა შიში, რომ, უცნობი ნაპირების რომელიმე ნავსადგურში შესული, ერთ მშვენიერ დღეს არ დარჩენილიყო გემზე, რომელსაც ღუზის ამომწვევიც აღარ ეყოლებოდა.

შუა ზღვაში საღად მოაზროვნე ოფიცრებს ასე თუ ისე შეუძლიათ მორჩილებაში ჰყავდეთ ყველაზე უფრო უღისციპლინო მატროსები, მაგრამ, როგორც კი გემი ერთ კაბელტოზე მიუახლოვდება ნაპირს, მათი დამორჩილება ძნელდება. სწორედ ამიტომ ბევრი ვეშაპმონადირე, რომლებიც სამხრეთის ზღვებში დაცურავენ, თვრამეტ-ოც თვეს არ ჩაუშვებს ხოლმე ღუზას. სურსათ-სანოვაგე რომ შემოეღვეათ, უახლოეს მიწას მიაშურებენ, რვა-ათი მილის მოშორებით დადგებიან დრეიფზე და ნაპირისაკენ სავაჭროდ გზავნიან კანჯოს. ამგვარი გემების რაზმი ათასი ეროვნებისა და ჯურის ნაძირალებისაგან შედგება. მათ ქირაობენ პორტებში, რომლებიც არავითარ კანონს არ ემორჩილებიან და მღებარეობენ ესპანეთის დიდ გზაზე¹, აგრეთვე კუნძულის მკვიდრთაგან. მათ, ისევე როგორც გალერებზე მონებს, ბორკილგაყრილთ ამუშაებენ, მათრახის ქვეშ. ოფიცრები ხანჯლებითა და პისტოლეტებით დადიან, თუმცა იარაღს არ აჩენენ.

ჩვენი ეკიპაჟის წევრთა შორის ცოტა როდი იყვნენ ამ ყაიდის ადამიანები; მაგრამ რაც არ უნდა გაშმაგებულიყვნენ, ლოთი ჯერმინის სიჯიუტე საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს ადამიანები მდრტვინავ მორჩილებაში ჰყოლოდა. კრიტიკულ მომენტში ჯერმინი შევარდებოდა ხოლმე მატროსების ბრბოში, სეტყვასავით დაუშენდა ხელებსა და ფეხებს და ამით „საყოველთაო სენსაციას“ იწვევდა. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, მატროსები დიდი გულითალობით ეპყრობოდნენ თავიანთ გამანადგურებელ უფროსს. ფხიზელი, თავშეკავებული, თავმოყვარე ოფიცერი ვერაფერს გახდებოდა მათთან; ასეთი კომპანია ხომ თავმოყვარეობიანად გადაგადებდა ბორტს იქით.

ასეთ ვითარებაში კაპიტანს სხვა აღარაფერი დარჩენო-

¹ ასე უწოდებდნენ წინათ კარიბის ზღვის ნაწილს, რომელიც სამხრეთთა ატლანტიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებს ეკვროდა.

და, თუ არა შუა ზღვაში ყოფნა. ამასთანავე არ კარგავდა იმედს, რომ თვითონაც და მისი აეადმყოფი მატროსებიც ძალე მომჯობინდებოდნენ. მერე კი, ვინ იცის, იქნებ ხელი მოგემართოდა ნადირობაში. ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როცა გემზე მოვხვდი, ხმა დადიოდა, კაპიტანმა გაიმ მტკიცედ გადაწყვიტა დაკარგული დრო აინაზღაუროს და უმოკლეს ვადაში დატვირთოს გემი ვეშაპის ქონითო.

ასეთი გეგმებით გვქონდა აღებული კურსი ჰაიტაიჭუსაკენ, პატარა სოფლისაკენ, რომელიც მდებარეობს ერთ-ერთ კუნძულზე მარკიზის კუნძულებს შორის — სანტა-კრისტინაზე¹ (ისე მენდანიას უწოდებენ). ჩვენი მიზანი იყო ხელში ჩაგვეგლო რვა მატროსი, რომლებმაც იქ რამდენიმე კვირის წინ დატოვეს „ჯულია“. ნავარაუდები იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში მათ გული იჯერეს სეირნობით და მოხარული იქნებოდნენ დაბრუნებოდნენ თავიანთ მოვალეობას.

ამრიგად, აფრააშვებულებს, თბილი ქარი მიგვაქანებდა ჰაიტაიჭუსაკენ. ხან თავზე მოვექცეოდით მდორე ტალღებს, ხან კი დაბლა ვეშვებოდით. ჩვენს გარშემო ფართქალებდნენ ბონიტები და თინუსები.

თ ა ვ 0 4

ქვემო ბანზე მომსლარი ავბაპი

დღე-ღამეც არ იყო გასული გემზე ჩემი მოხვედრის შემდეგ, როცა გათამაშდა სცენა, რომელიც თავისი უმსგავსობით ისე დამახასიათებელი იყო „ჯულიაზე“ არსებული მდგომარეობისათვის, რომ არ შემიძლია არ ავწერო.

თუმცა ჯერ უნდა გიამბოთ ერთ-ერთ მატროსზე, რომელსაც განსაკუთრებული სიმახინჯის გამო „კოხტა ბიჭი“ შეარქვეს. რადგან გემის ხუროდ მუშაობდა, ზოგჯერ „ბურბუშელასაც“ ეძახდნენ. ეს კაცი მარტოოდენ მახინჯი კი არა, სიმეტრიულად უმსგავსოც იყო; ესოდენ უშნო სახის პატრონ „კოხტა ბიჭს“ ხასიათიც საზიზღარი ჰქონდა. თუმცა ამის გამო ვერც

¹ დღევანდელი სახელწოდება — ტაუატა.

დაძრახავდით: ასეთმა გარეგნობამ გაუქვავა გული. ჯერმინი და „კოხტა ბიჭი“ დანა-სისხლად იყვნენ ერთმანეთთან. საქმე ის იყო, რომ ხურო ერთადერთი კაცი იყო გემზე, რომელსაც უფროსი თანაშემწე ვერ ჯაბნიდა; სწორედ ამიტომ სჭირდა მისი ჯავრი. „კოხტა ბიჭი“ კი ამაყობდა იმით, რომ, როგორც მალე ვნახავთ, უფროს თანაშემწესთან ლაპარაკისას არც ერთ გამოთქმას არ ერიდებოდა.

... საღამო ხანს გემბანზე რაღაც იყო გასაკეთებელი, ხურო კი, რომელიც სხვებთან ერთად უნდა მდგარიყო საგუშაგოზე, თავის ადგილზე არ აღმოჩნდა.

— სად არის ის დოყლაპია ბურბუშელა? — ჩასძახა ჯერმინმა ქვემო ბანის სანათურში.

— რახან აგრე ძალიან გინდათ იცოდეთ, აქა ვარ, ძირს, სკივრზე ვისვენებ, — მიუგო ჩვენმა ვაჟბატონმა და ჩიბუხი დინჯად გამოიღო პირიდან.

ასეთმა თავხელობამ სულ გააშმაგა ისეღაც გულფიცხი პატარა თანაშემწე; მაგრამ „კოხტა ბიჭი“ ღუმდა, თან უშფოთველად აბოლებდა ჩიბუხს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ, რაც უნდა გამომწვევი იყოს მატროსების საქციელი, არც ერთი კეთილგონიერი ოფიცერი არ განიზრახავს მტრული ვიზიტით ჩავიდეს გემის ქვემო ბანზე. თუკი მას რომელიმე იქ მყოფი დასჭირდა და ამ უკანასკნელმა მალლა ამოსვლაზე უარი თქვა, რა გაეწყობა, მოთმინებით უნდა დაელოდოს, სანამ მატროსი არ მოისურვებს მასთან გამოცხადებას. ამას შემდეგი მიზეზი აქვს. ქვემო ბანზე ძალიან ბნელა, და იქ ჩამავალი კაცისათვის თავში ჩარტყმას რა უნდა, — თვალის დახამხამებასაც კი ვერ მოასწრებს, იმას ხომ სულ ვერ გაარჩევს, თუ ვინ ჩაარტყა.

ჯერმინმა ყველაზე უკეთ იცოდა ეს და ამიტომ მხოლოდ ზემოდან იხედებოდა, თან ლანძღვა-გინებით იკლებდა იქაურობას. ბოლოს „კოხტა ბიჭმა“ გულცივად ესროლა რაღაც რეპლიკა, რამაც თითქმის გააცოფა უფროსი თანაშემწე.

— ამოუთრიე გემბანზე, — იღრიალა მან. — ამოძვერი, თორემ მანდ ჩამოგიხტები და გაგისწორდები.

ხურომ შესთავაზა დაუყოვნებლივ ასე მოქცეულიყო.

ითქვა და გაკეთდა; ჯერმინს ყოველგვარი კეთილგონიერება დაავიწყდა და ქვემოთ გაქანდა. ბინდბუნდში ვერ გაარჩია თავისი მოწინააღმდეგე, მაგრამ რაღაცნაირი ინსტინქტით მყისვე

მოძებნა და ყელში სწვდა. ამ დროს რომელიღაც მატროსი ეძგერა უფროს თანაშემწეს, მაგრამ დანარჩენებმა ხელი სტაცეს და მოაშორეს. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ თამაში კეთილსინდისიერად ჩატარებულიყო.

— ახლა კი გემბანზე ავიდეთ, — დაიღრიალა უფროსმა თანაშემწემ, რომელიც რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცდილობდა შეეკავებინა ხური.

— წამიღეთ, ბატონო, — გაისმა ჯიუტი პასუხი, და „კოხტა ბიჭი“ ისე აფხარკალდა ჯერმინის ღონიერ მკლავებში, თითქოს ორიარდიანი ბოა-კონსტრიქტორი შემოჰხვევიაო.

მოწინააღმდეგე შეეცადა რაც შეიძლებოდა კომპაქტურად შეეხოჭა, რომ უფრო იოლად წაეღო. მაგრამ „კოხტა ბიჭმა“ ხელები გაითავისუფლა და ჯერმინი გულაღმა დასცა. უფროსი თანაშემწე სწრაფად წამოხტა და გაიმართა მუშტი-კრივი: ძიძგილაობდნენ, თავს არტყამდნენ წინ წამოწეულ ბიძებს, ერთმანეთს ურტყამდნენ, როგორც კი დროს იხელთებდნენ. ბოლოს ჯერმინს თავისდა საუბედუროდ ფეხი დაუცურდა და წაიქცა, მოწინააღმდეგე კი გულზე დაახტა და წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა რჩევა-ღარიგების ან სასაყვედურო სიტყვები განსაკუთრებული სიამოვნებით წარმოითქმის. ცხადია, „კოხტა ბიჭს“ ხელიდან არ გაუშვია ეს შემთხვევა, მაგრამ უფროს თანაშემწეს არაფერი უპასუხია, მხოლოდ პირზე დორბლმომდგარი ლამობდა წამოდგომას.

ამ დროს ზემოდან მოისმა წერილი, მთრთოლვარე ხმა. კაპიტანი იყო. ჩხუბის დაწყებისას იგი შემთხვევით ასულიყო შკანცებზე და ახლა დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა თავის კაიუტაში, მაგრამ თავი შეიკავა, შეეშინდა სასაცილოდ არ აეღოთ.

როცა ხმაური გაძლიერდა და აშკარად დაინახა, რომ თანაშემწე სერიოზულ ხათაბალაში გაება, კაპიტანი მიხვდა, რაოდენ სულელური იქნებოდა მისი მხრიდან ფალშბორტზე დაყრდნობილი დგომა, და ქვემო ბანის კიბესთან გაჩნდა; დიპლომატიურად ჰქონდა გადაწყვეტილი ხუმრობაში გაეტარებინა მთელი ეს საქმე.

— აბა, აბა, — გაბრაზებული კილოთი, სხაპასუხით დაიწყო

მან, — რა ხდება აქ! მისტერ ჯერმინ, მისტერ ჯერმინ... ზუროვ, ზუროვ... რას აკეთებთ მანდ? ამოდით გემბანზე.

ამ დროს ახმახმა ექიმმა დაიწრობინა:

— ა! მის გაი, თქვენ ბრძანდებით? წადით, ძვირფასო, თორემ ვაითუ რამე მოგწიონ.

— ფუი, არც კი გრცხვენიათ, სერ, ვინც არ უნდა იყოთ. მე თქვენთვის არ მომიმართავს; სისულელეს ნუ ჩმახავთ. მისტერ ჯერმინ, თქვენ გელაპარაკებით; თუ შეიძლება ამოდით გემბანზე, სერ; მე თქვენ მჭირდებით.

— კი მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, როგორ ამოვიდეთ მანდ? — დაიყვირა გაშმაგებულმა უფროსმა თანაშემწემ. — ჩამოხტით აქ, კაპიტანო გაი, და დაამტკიცეთ, რომ თქვენ მამაკაცი ხართ. ეჰეი, ბურბუშელავ, გამიშვი ავდეგ! გამიშვი-მეთქი! ოჰ! გადაგიხდი როდისმე! აბა, სწრაფად, კაპიტანო გაი!

ამ დაძახილზე სულ მთლად დაიბნა საწყალი.

— ყური მიგდეთ, ე-ე, ზუროვ; არ გრცხვენიათ? გაუშვით, სერ; გაუშვით! გესმით? საშუალება მიეცით მისტერ ჯერმინს გემბანზე ამოვიდეს.

— მოუსვი მანდედან, შე კალმის კაცო, შენა, — მიუგო „კოხტა ბიჭმა“. — ვერა ხედავ, უფროსი თანაშემწე და მე ვჩხუბობთ; შენი ადგილი კიჩოზეა, ჰოდა, მოუსვი!

როცა კაპიტანი საპასუხოდ კვლავ დაიხარა სანათურთან, ვილატის ხელმა პირდაპირ სახეში შეასხა თუნუქის ჭიქით ჩაიში ჩამბალი ორცხობილა. ამ დროს ექიმი იქვე ახლოს იდგა. დაბნეული ჯენტლმენი შემდეგ მოვლენებს აღარ დალოდებია; პირისახეზე ხელები აიფარა და შკანცებისკენ მოუსვა.

რამდენიმე წამის შემდეგ ჯერმინი, რომელიც იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო, კაპიტანს გაჰყვა; ქურთუკი შემოვლევჯოდა, სახე დაჰკაწროდა, ისეთი შესახედლობა ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არის ამოათრიეს რომელიღაც მანქანის კბილანებიდანო. ნახევარი საათის განმავლობაში ორივენი კაიუტაში იყვნენ. იქიდან ისმოდა უფროსი თანაშემწის უხეში წამოძახილები, კაპიტნის წყნარ, ზომიერ ხმას რომ ახშობდა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჯერმინი დამარცხებული აღმოჩნდა მატროსებთან შეტაკებაში; ადვილი გასაგებია, თუ რა გაშმაგებული იქნებოდა იგი. კაიუტაში ჩასულმა, როგორც შემდგომ გვიამბო იუნგამ, მკვახედ განუცხადა გაის, ამი-

ერიდან „ჯულიაზე“ თქვენ თვითონ იზრუნეთო; მე კი ჩემდა-
თავად აღარ მსურს ამ გემთან საქმე მქოჭდეს, თუ თქვენ ასეთ
დამოკიდებულებაში იქნებით თქვენს თანაშემწეებთანო. ამ ხან-
გრძლივი და საკმაოდ მკვახე ლაპარაკის შემდეგ კაპიტანმა ბო-
ლოს და ბოლოს აღუთქვა, რომ, როგორც კი დროს იხელთებ-
და, ხუროს ერთი კარგად გააროზგვინებდა, თუმცა შექმნილ
ვითარებაში ეს შეიძლება საკმაოდ სარისკო საქმე ყოფილიყო.
ამ პირობით ჯერძინი არცთუ ისე ხალისით, მაგრამ მაინც და-
თანხმდა, რომ ჯერჯერობით დაივიწყებდა, რაც მოხდა; მალე
მან ყოველივე ამის მოგონება ჩაახრჩო ფლიპით სავსე ჭიქაში,
რომელიც წინასწარ მოამზადა იუნგამ გაის ბრძანებით. ამით
კაპიტანს გადაწყვეტილი ჰქონდა დაეცხრო თავისი თანაშემწის
მძვინვარება.

ამ ამბავს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თ ა ვ ი 5

რა მოხდა კაპიტანიკაში

ორი დღე-ღამეც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ნუკუ-
პივა დაეტოვეთ, რომ შორს გამოჩნდა ცისფერ ბურუსში გახ-
ვეული კუნძული სანტა-კრისტინა. როცა ნაპირს მიუვახლოვ-
დით, თვალწინ წარმოგვიდგა მომცრო სამხედრო გემის პირქუ-
ში შავი რანგოუტი და ჩინებული კორპუსი; მისი ანძები და
ქანდარები მკაფიოდ მოჩანდა ცის ფონზე. გემს, რომელიც
ფრანგთა კორვეტი გამოდგა, ნავსადგურში ჰქონდა ჩაშვებული
ღუზა.

ამან ძალიან გაახარა ჩვენი კაპიტანი; იგი გემბანზე ამოვი-
და, ბიზან-ანძას აჰყვა და ჭოგრიტით დაუწყო თვალიერება
გემს. აქამდე არ აპირებდა ამ აღვილას ღუზის ჩაშვებას, მაგ-
რამ ახლა იმედი მიეცა, რაიმე დაბრკოლების შემთხვევაში
კორვეტი დახმარებას აღმომიჩინოს; ამიტომ გადაწყვეტილება
შეიცვალა და გვერდით დაუდგა. მერე, ჩაუშვეს თუ არა კანჯო,
გაი მაშინვე გაემართა, რათა გემის მეთაურისათვის თავისი პა-
ტივისცემა დაემტკიცებინა და, გარდა ამისა, როგორც ვფიქ-
რობდით, იმაზეც მოლაპარაკებოდა, თუ რა ეღონათ ლტოლ-
ვილთა დასაჭერად.

კაპიტანი ოცი წუთის შემდეგ დაბრუნდა. მას თან ახლდნენ მუნდირებში გამოწყობილი ბაკენბარდებიანი ორი ოფიცერი და რამდენიმე მთვრალი მოხუცი ბელადი, რომლებიც მეტისმეტად ხმაურობდნენ; ერთ მათგანს შარვლის ნაცვლად ალისფერი ჟილეტი წამოეცვა ფეხებზე, მეორეს დეზები მიემაგრებინა ქუსლებზე, მესამე კი ფრთით დამშვენებული სამკუთხა ქუდით იწონებდა თავს. ზემოჩამოთვლილს გარდა, ისინი კუნძულის მკვიდრთა ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილი — თეძოებზე ადგილობრივი ქსოვილი ჰქონდათ შემოვლებული. ეს პიროვნებანი, რომლებიც ასე უხამსად იქცეოდნენ, თურმე კუნძულის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების დეპუტაცია ყოფილიყვნენ; მათი მოსვლის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი გემისათვის უმკაცრესი „ტაბუ“ დაედოთ და ამით თავიდან აეცილებინათ უმსგავსი სცენები და ლტოლვილებანი, რომლებსაც უეჭველად ექნებოდა ადგილი, რომ აქაურ მკვიდრთათვის — ქალებისა და კაცებისათვის — ნება დაერთოთ, რათა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოვენახულებინეთ.

ცერემონია დიდხანს არ გაგრძელებულა. ქურუმები წუთით გვერდზე გადაგნენ, გაპარსული ბებერი თავები ჩაქინდრეს და ბუტბუტს მოჰყვნენ. მერე უზუცესმა თეძოზე შემოვლებულ თეთრი ტაპის ქსოვილს გრძელი ნაჭერი შემოახვია და ფრანგ ოფიცერს გაუწოდა, ამ უკანასკნელმა კი ჯერმინს გადასცა, თან წინასწარ განუმარტა. რა უნდა ექნა მისთვის. უფროს თანაშემწეს აღარ დაუხანებია, ტალღებში ნაფოტივით მოცურავე დანჯღრეული გემის ბანი გადაჭრა და იქ მიამაგრა აკრძალვის მისტიკური სიმბოლო. ამის დანახვა იყო და, ქალიშვილები, რომლებიც, როგორც შევნიშნეთ, ჩვენკენ მოცურავდნენ, მყისვე გაბრუნდნენ უკან. მათ ტაში შემოჰკრეს, დელფინებივით ააშხეფეს წყალი, „ტაბუ! ტაბუ!“ — შესძახეს და კვლავ ნაპირისაკენ გაეშურნენ.

ჩვენი მოსვლის დამეს საგუშაგოზე ყოველ ოთხ საათში ერთხელ ერთმანეთს ცვლიდნენ უფროსი თანაშემწე და მათი; რაზმს, როგორც ეს ხდება ხოლმე ზოგჯერ ნავსადგურში გემის დგომისას, ნება დართეს მთელი დამე დაბლა გაეტარებინა. თუმცა ამ შეღავათის მთავარი მიზეზი მატროსებისადმი უნდობლობა იყო. მართლაც, არავის შეიძლებოდა შეჰპარვოდა ეჭვი, რომ რომელიმე მათგანი შეეცდებოდა როგორმე გაქცეუ-

ლიყო. ჰოდა, შუალაძე რომ შეიქნა — მაშინ გემზე უკვე სიჩუმე სუფუედა — და ჯერმინის საგუშაგოზე გასვლის დრომ მოატანა, უფროსი თანაშემწე გემბანზე ავიდა. მარცხენა ხელში სასმელით სავსე მათარა ეჭირა, მარჯვენა კი გამზადებული ჰქონდა, რომ ერთი მაგრა მოედო სიფათში იმისათვის, ვინც პირველად ამოძვრებოდა ქვემო ბანიდან.

ეს ზომები უთუოდ იმიტომ მიიღო, რომ ფხიზლად ყოფნას აპირებდა, მაგრამ ნაცვლად ამისა მალე ჩაეძინა; ისე მაგრად ეძინა, ეტყობა, სწორედ მისმა ხვრინვამ გააღვიძა მატროსები, რომლებიც იმ ღამით გაიქცნენ. ყოველ შემთხვევაში უფროსი თანაშემწე ფრიად უცნაურად კი უკრავდა თავის ნესტეს, რაც საკვირველად არ მეჩვენება, მის მოგრებილ ცხვირის ნესტოს რომ ვიხსენებ. როცა გაეღვიძა, რიჟრაჟი იყო მოტანებული, მაგრამ შუქი კმაროდა იმის შესამჩნევად, რომ ორი კანჯო სადღაც გამქრალიყო. იმწამსვე მიხვდა, როგორც იყო საქმე.

მძინარე მაორის ძველი იალქანი გადახადა, გააღვიძა და უბრძანა ერთ-ერთი დარჩენილი კანჯო წყალში ჩაეშვა, თვითონ კი კაიუტისაკენ გაქანდა, რათა კაპიტნისათვის ეუწყებინა ახალი ამბავი. მერე კვლავ გემბანზე გაიხდა, საიდანაც ქვემო ბანზე ჩავიდა მენიხბეების ამოსაყვანად, მაგრამ ის იყო ქვემო ბანზე დადგა ფეხი, რომ ქიმს იქით გაისმა ყვირილი და დგაფუნი. ეს გახლდათ მაორი და კანჯო (რომელშიც ეს-ეს იყო ჩასტა, რათა წყალში ჩასაშვებად მოემზადებინა). მათ სულ უფრო და უფრო შორს მიაქროლებდნენ ტალღები.

მას შემდეგ, რაც წინა საღამოს კანჯო თავის ადგილას აიტანეს მარჯვენა ქიმზე, ვილაცამ გადაჭრა მისი დამჭერი ბაგირები იმ ანგარიშით, რომ ზომიერი დატვირთვისას გამწყდარიყო. ბემბოს წონა საემარისი აღმოჩნდა — ეტყობა, ლტოლვილებმა ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრეს ბაგირების გამძლეობა. რჩებოდა მხოლოდ ერთი კანჯო; მაგრამ დაუთვალეირებლად მისი ჩაშვება შეუძლებელი იყო. კარგი ქნეს, რომ შეამოწმეს: მის ძირს იმოდენა ხვრელი ჰქონდა, რომ შიგ მომცრო კასრი გაეტეოდა. კანჯო უღმობლად დაეზიანებინა ვილაცას.

ჯერმინი გაცოფდა. შლაპა მოიხადა, გემბანზე დააგდო და ის იყო ზღვაში უნდა გადამხტარიყო და კორვეტისაკენ გაეცურა კატარღის გამოსართმევად, რომ უცებ გამოჩნდა კაპიტანი გაი, რომელმაც სთხოვა ადგილზე დარჩენილიყო. ამასობაში

საფრანგეთის სამხედრო გემის საგუშაგოს ოფიცერმა შენიშნა ჩვენთან ატეხილი ალიაქოთი და ჩვენს კაპიტანს შეეხმინა, რათა გაეგო საქმის ვითარება. გაიმ რუპორით ამცნო მომხდარი ამბავი, და ოფიცერი დაუყოვნებლივ დაპირდა, რომ მღევრებს მისცემდა. გაისმა ბოცმანის სასტვენის ხმა, ბრძანებები და კორვერტს გამოეყო დიდი კატარღა. ნიჩბების ხუთი-ექვსი მოსმა — და იგი „ჯულიას“ მოადგა. უფროსის თანაშემწე შიგ ჩახტა, მეზოფეებმა სწრაფად მოუსვეს ნიჩბები და ნაპირს მიაშურეს.

კიდევ ერთი კატარღა გაემართა კუნძულისაკენ შეიარაღებული რაზმითურთ.

ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა პირველი კატარღა. მას ბუქსირით მოჰყავდა ორი ვეშაპსანადირო კანჯო, რომლებიც ნაპირზე ეპოვათ, კუებივით დამხობილნი.

დადგა შუადღე, ლტოლვილებისა კი არაფერი ისმოდა. ამასობაში მე და ექიმი ახმახი სული გემბანზე მიმოვდიოდით, თან მეგობრულად ვსაუბრობდით და ნაპირის ლანდშაფტს ვათვალიერებდით. ნავსადგურში წყნარი ამინდი იდგა. თაკარა მზე გულუხვად აგზავნიდა თავის სხივებს; ზოგჯერ რომელიღაც კონცნიდან უხმაუროდ, ჩუმად გამოცურდებოდა ხოლმე პირაგუა და ისარივით მოექანებოდა წყალში.

მთელ იმ დილას დაკვანჭალობდნენ გემბანზე ჩვენი ავადმყოფები და ნაღვლიანად შესცქეროდნენ კუნძულს, სადაც ირხეოდნენ პალმები, თავიანთ მაცოცხლებელ ჩრდილში რომ ეპატიჟებოდნენ მათ. უბედური მატროსები! როგორ შეუწყობდნენ ხელს მათი დამბუნებული ჯანმრთელობის აღდგენას ეს განსაკვიფრებელი ჭალები! მაგრამ გულქვა ჯერმინს ფიცი ჰქონდა დადებული, რომ ისინი ველარასოდეს ეღირსებოდნენ ამ მიწაზე ფეხის დადგმას.

მზის ჩასვლისას გამოჩნდა ნაპირისაკენ ჩამომავალი ხალხი. წინ მოდიოდნენ ლტოლვილნი — უქუდოები, ქურთუკშემოვლევნი, შარვალდახეულნი; მტვრიანი სახე გასისხლიანებოდათ, ხელები წნელით ჰქონდათ შეკოჭილი. მათ ჯგროდ მოსდევდნენ კუდში კუნძულის მკვიდრნი, ხმაურობდნენ, შუბის წვერებს უბიძგებდნენ, ხოლო კორვეტზე მდგარი მეზღვაურები ხანჯალამოწვდილნი ემუქრებოდნენ ორივე მხრიდან.

სანაპირო ოლქის ბელადისათვის ნაჩუქარმა თოფმა და თი-

თოეული ლტოლვილის დაჭერისათვის აღთქმულმა თითო საწყაო დენტმა მთელი კუნძული ფეხზე დააყენა; ნადირობა იმდენად იღბლიანი გამოდგა, რომ ხელში ჩაიგდეს არათუ დილით გაქცეული მატროსები, არამედ აგრეთვე ხუთი მატროსი, რომლებიც სხვებთან ერთად დარჩნენ კუნძულზე ამას წინათ დგომისას. თუმცა, ადგილობრივი მკვიდრნი მხოლოდ მწვევების როლს ასრულებდნენ. ისინი მხოლოდ აფრთხობდნენ თავშეფარებულთ, მათი დაჭერა კი ფრანგებისათვის ჰქონდათ მინდობილი. აქ, ისევე როგორც ყველგან, კუნძულელები არავითარ სურვილს არ იჩენენ ჩაებას ჩხუბში, რომელიც იწყება თავზე-ხელაღებული მატროსების დაჭერისას.

ლტოლვილები დაუყოვნებლივ მოიყვანეს გემზე; თავდაპირველად საკმაოდ მოღუშული იყვნენ, მაგრამ მალე გახალისდნენ. ყველაფერ იმას, რაც თავს გადახდათ, ისე უყურებდნენ, როგორც სასაცილო ამბავს.

თ ა 3 0 6

ჩვენ მივადექით კუნძულ დომინიკას

დაღამდა თუ არა, კაპიტანმა გაიმ, რომელსაც ემინოდა კიდევ ერთი ღამე გაეტარებინა ჰაიტიპუს მახლობლად, განკარგულება ვასცა ღუზა ამოეღოთ.

დილით, როცა ყველას გვეგონა, შორეულ მოგზაურობაში მივდივართო, „ჯულიამ“ უეცრად შეიცვალა კურსი და გაემართა კუნძულ დომინიკასაკენ, ანუ ჰივა-ოასაკენ, რომელიც ჩვენ მიერ დატოვებული სანტა-კრისტინას ჩრდილოეთით მდებარეობს. როგორც შევიტყვეთ, ამის მიზეზი იყო სურვილი, თუ შესაძლებელი იქნებოდა მიგველო რამდენიმე ინგლისელი მატროსი, რომლებიც, კორუეტის მეთაურის ცნობით, ამას წინათ გადავიდნენ ნაპირზე ამერიკული ვეშაპსანადირო გემიდან და ახლა აპირებდნენ ინგლისის რომელიმე გემზე დაეწყოთ ქირით სამსახური.

ნაშუადღევს კუნძულს მიუახლოვდით და მიეყვებოდით ჩრდილოვანი ხეობის ტრავერზს, რომელიც ღრმად შეჭრილი ნავსადგურის ნაპირთან იწყებოდა და სიმწვანეში ჩაფლულ შორეთში იკარგებოდა.

— ქარის მხრის გროტა-ბრასისაკენ! — დაიღრიალა უფროსმა თანაშემწემ და ფალშბორტზე შეხტა.

ტალღებში სწრაფად მიმავალი „ჯულია“ უეცრად ისე შედგა ყალყზე, როგორც გაჭენებული ცხენი, სწრაფად რომ მოსწევინ აღვირს, და მის ბუშპრიტქვეშ აქაფდნენ ზვირთები.

ჩვენ სწორედ იმ ადგილას ვიმყოფებოდით, სადაც ეკიპაჟის შევსებას ვაპირებდით; ამიტომ მაშინვე ჩაუშვიტ კანჯო, რომელიც ნაპირს უნდა მისდგომოდა. ახლა აუცილებელი შეიქნა ისეთი ადამიანების შერჩევა, რომლებიც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო, რომ გაიქცეოდნენ. საკმაოდ ზანგრძლივი თათბირის შემდეგ კაპიტანმა და მისმა უფროსმა თანაშემწემ არჩევანი შეაჩერეს ოთხ ყველაზე საიმედო მატროსზე; უფრო სწორად, ამ ადამიანებზე იმიტომ შეჩერდნენ, რომ საეჭვო პირთა რჩეულ კომპანიაში მათ აშკარა არამზადებად თვლიდნენ.

ზანჯლებით შეიარაღებულ მატროსებს (კუნძულის მკვიდრთა შესახებ ძალიან ცუდი ხმები დადიოდა) გაჰყვა ჩვენი სნეული კაპიტანი, რომელსაც, ეტყობა, გადაეწყვიტა ამჯერად რაც შეეძლო გამოეჩინა თავი. ზანჯლის გარდა, სააბორდაჟო ქამარში გარჭობილი ჰქონდა ორი პისტოლეტი. კანჯო იმ წამსვე მოშორდა გემს.

ჩემს ამზანაგს, ახმაზ სულს, სხვა დანარჩენ ქონებასთან ერთად, რაც გემის ქვემო ბანზე ცოტა არ იყოს უცნაურად გამოიყურებოდა, ჰქონდა ჩინებული ჭოგრიტი, რომელიც ამ შემთხვევისათვის გამოვიყენეთ.

როცა კანჯო ვიწრო ყურის ბოლოში გავიდა და შეუიარაღებელ თვალს უკვე აღარ შეეძლო დანახვა, ჭოგრიტით მას ნათლად ვხედავდი; იგი კვერცხის ნაჭუჭისოდენა ჩანდა, ადამიანები კი ქონდრის კაცებად იქცნენ.

ბოლოს ნამცეცა ნავი გაიყოლია ტალღამ, რომელიც შორიდან ქაფის გრძელ ზოლს წააგავდა. კანჯომ მოციმციმე ზვირთები გაკეთა და ნაპირს მიადგა. იქ კაცის ჭაჭანება არ იყო. ერთი ქონდრის კაცი კანჯოსთან დარჩა. დანარჩენები ნაპირს გაჰყვნენ, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, წამლაუწუმ იღებდნენ ყურზე ხელისგულს, რომ უკეთ გაეგონათ. დაკვირვებით ათვალეირებდნენ ხშირ ტოტებს, ზღვიდან სულ რამდენიუე წაბიჯის მოშორებით რომ ჩამოშვებულიყვნენ. არაეინ ჩანდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მაგრამ აი პისტო-

ლეტებიანი კაცი, დანარჩენებიც, მას რომ მიჰყვებოდნენ მახვილების ქნევით, ტყეში შევიდნენ და მალე თვალს მიეფარნენ. იქ ცოტა ხანს დარჩნენ, ეტყობა, შიშობდნენ, იწროებს რომ ავყვეთ, ვაითუ ჩასაფრებულ მტერს გადავეყაროთო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ჩასხდნენ კანჯოში და მალე მამაცურად მიაპობდნენ ტალღებს. უცებ კაპიტანი ფეხზე წამოხტა—კანჯო უკან გაბრუნდა და კვლავ მიუახლოვდა ნაპირს. კუნძულის მკვიდრთა რამდენიმე ათეული, შეიარაღებული შუბებით, ჭოგრიტში ლერწმებივით რომ ჩანდა, ის-ის იყო გამოვიდა ტყიდან და, ეტყობა, უცხოელებს უყვიროდნენ, ნუ გარბიხართ, დაბრუნდით და მეგობრულად მოვილაპარაკოთო. მაგრამ კუნძულელები, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ ენდობოდნენ მათ, რადგანაც კანჯო დაახლოებით თავისი სიგრძის მოშორებით გაჩერდა ნაპირთან, და მის ცხვირთან მდგარმა კაპიტანმა შეასრულა პანტომიმა, რითაც, ეტყობა, გააგებინა, ახლოს მოდიოთ. ერთი მათგანი წინ წამოვიდა და რაღაც უპასუხა, უთუოდ ხელახლა არწმუნებდა უცხოელებს — უნდობლობა განეგდოთ და ნაპირზე გადასულიყვნენ. კაპიტანმა ხელების ქნევით შეასრულა კიდევ ერთი პანტომიმა, რაც უარს ნიშნავდა. ბოლოს მან რაღაც თქვა. ამის პასუხად კუნძულელებმა შუბები მოუდერეს. მაშინ კაპიტანმა პისტოლეტი ისროლა და ყველანი გაიქცნენ; მხოლოდ ერთი კაცი დარჩა. საწყალმა შუბი ხელიდან გააგდო, თეძოზე ხელი იტაცა და ნელ-ნელა, კვანჭალ-კვანჭალით გასწია თავისიანებისაკენ. ისეთი შესაბრალისი სახე ჰქონდა, რომ ხელები ამქავდა, რათა ტყვია დამეხალა იმ კაცისათვის, რომელმაც დაჭრა.

უაზრო სიმკაცრის ამგვარ საქციელს ხშირად სჩადიან იმ გემების კაპიტნები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ცნობილ კუნძულებს მიაღებებიან ზოლმე. პაუმოტუს¹ არქიპელაგზეც კი, ტაიტიდან ერთი დღის სავალზე რომ მდებარეობს, სავაჭრო სანდალებიდან, კუნძულებს შორის ვიწრო სრუტეებით რომ მიემართებოდნენ, არაერთხელ უსვრიათ ნაპირთან მოსულ ადგილობრივ მკვიდრთათვის; არამზადები მხოლოდ გასართობად აკეთებენ ამას.

მართლაც, მრავალი მეზღვაურის დამოკიდებულება ამ შიშ-

¹ დღეს ამ არქიპელაგს ტუამოტუ ჰქვია.

მელი წარმართებისადმი თითქმის დაუჯერებლად შეიძლება ეწე-
ვნოს კაცს. ისინი, მგონი, ადამიანებადაც კი არ თვლიან მათ,
საინტერესოა, აღინიშნოს: რაც უფრო უმეტარი და სულმდაბალია
კაცი, მით უფრო მეტი ზიზლით უყურებს იმათ, ვინც თავისზე
დაბლა მდგომად მიაჩნია.

რაკი კუნძულებების დარწმუნებას არაფერი ეშველა და
მათთან ურთიერთობის აღდგენის იმედიც გადაწყვეტილი იყო,
კანჯო გემისაკენ გამობრუნდა.

თ ა ვ ი 7

რა მოსდა ჰანამანუში

კუნძულის იქითა მხარეს მდებარეობდა დიდი, მჭიდროდ და-
სახლებული ყურე ჰანამანუ; გამორიცხული არ იყო შესაძლებ-
ლობა, რომ მატროსები, რომელთაც ჩვენ ვეძებდით, იქ იმალე-
ბოდნენ. მაგრამ როცა კანჯო „ჯულიას“ მოადგა, უკვე მზე ჩა-
დიოდა, და ამიტომ ჩვენ სხვა ჰალსი ავიღეთ და რამდენადმე
დავშორდით ნაპირს. განთიადის წინ ფორდევინდით მოვუხვი-
ეთ და მიწისკენ გავემართეთ; მზე უკვე გადახრილი იყო, როცა
შევედით ვიწრო სრუტეში, რომელიც მდებარეობდა კუნძულე-
ბის დომინიკასა და სანტა-კრისტინას გასაყარზე.

ერთ მხარეს რამდენიმე ფუტი სიმაღლის ამწვანებული
ციცაბო კლდეები გასდევდა; აქა-იქ ღრმა ნაპრალებში, ხშირ
მცენარეებში, ჩიტის ბუდეებივით მოჩანდნენ კუნძულელთა
თეთრი ქოხები. სრუტის მეორე მხარეს ცის დასალიერამდე
იყვნენ ჩაყოლებული შუქლაფრქვეული დამრეცი ბორცვები;
ისეთი თბილი და ტალღოვანი იყვნენ, თითქოს მზის სხივებს
აუთრთოლებიათო. ჩვენ კვლავ მივექანებოდით ფრიალო კლდე-
ებისა და ბორცვების, ტყით დაფარული ნაპრალებისა და ველე-
ბის გვერდით, მივექანებოდით დაბინდული ხეობების გასწვრივ,
სადაც შორით გადმოქუხდნენ სხივჩამდგარი ჩანჩქერები. ნაპი-
რიდან მქროლავი გრილი ქარი ბერავდა იალქნებს. ყოველი
მხრიდან მიწით გარშემორტყმული წყლის ზედაპირი თავისი
სიმშვიდით ტბას მოგაგონებდათ. ცისფერი ტალღები ეტლაშუ-
ნებოდა ჩვენი ხომალდის სპილენძით მოჭვდილ ცხვირს.

სრუტის ბოლოს რომ გავედით, კონცხს შემოვუარეთ და სულ მალე ჰანამანუს ყურეში გავჩნდით. ეს იყო ერთადერთი ასე თუ ისე გამოსადეგი ნავსადგური კუნძულზე, თუმცა ღუზაზე დგომის უსაფრთხოების თვალსაზრისით იგი მაინცდამაინც არ იმსახურებს ასეთ სახელს.

სანამ ნაპირთან კავშირს დავამყარებდით, მოხდა ერთი შემთხვევა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით ჩვენს რაზმზე.

ნაპირს რომ მივუახლოვდით, რამდენადაც ამის უფლებას გვაძლევდა კეთილგონიერება, გაჩერდით და დაველოდეთ, როდის მოაღწევდა ჩვენამდე პირაგუა, რომელიც ის იყო ყურიდან გამოდიოდა. უცებ ძლიერმა დინებამ ჩაგვითრია და სწრაფად გაგვაქანა კლდოვანი კონცხისაკენ, რომელიც ერთ მხარეს ეკრა ნავსადგურს. ქარი ჩადგა და ამიტომ ორი კანჯოთი სასწრაფოდ ჩავუშვიტ მებზღვაურები, რათა ხომალდი შემოებრუნებინათ. მაგრამ ვერ მოასწრეს: მორევი ბობოქრობდა და კლდოვანი ნაპირი ისე ახლოს იყო, გეგონებოდათ ანძის წვეროდან მოახერხებსო კაცი მასზე გადახტომას.

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანს შიშისაგან ენა ჩაუვარდა, ხოლო უშიშარი ჯერმინი ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა, მატროსები რაც შეიძლებოდა ნელა მოქმედებდნენ; ზოგი წინასწარ განიცდიდა ნაპირზე მოხვედრის სიამოვნებას და იღიმებოდა, ზოგს ერთი სული ჰქონდა, როდის დაიმსხვრეოდა ხომალდი, და სიხარულს ვერ იკავებდა. უეცრად შემხვედრი დინება მოგვეშველა და კანჯოების დახმარებით მალე უსაფრთხო ალაგას აღმოვიჩნდით.

რომ იცოდეთ, როგორ წარეკვეთა სასო მთელ რაზმს! როგორ დასამარდა ყველა ფარული იმედი, რომ დამსხვრეულ გემს მივატოვებდით, ნაპირზე ცურვით გავიდოდით და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს კუნძულზე უზრუნველად გავატარებდით, როგორ დასამარდა ისე, რომ გაფურჩქვნაც ვერ მოასწრო!..

ამის შემდეგ პირაგუა სულ მალე მოადგა „ჯულიას“. შივ იჯდა რვა თუ ათი ადგილობრივი მკვიდრი, ყოჩაღი, პირმოდინარი ჭაბუკები, რომლებიც განუწყვეტლივ იქნევდნენ ხელებს და რაღაცას ყვიროდნენ; თავსაბურავებზე წითელი ფრთები უფრიალებდათ. მათ მოჰყვა ვიღაც უცხო, რჯულგანდგომილი, ცივილიზებული სამყაროს უარმყოფელი, — თეთრი ადა-

მიანი, რომელსაც სამხრეთის ზღვების მკვიდრთა მსგავსად თეძოები ენქერით შეემოსა და პირისახე ტატუთი ჰქონდა მოხატული. ფართო ცისფერი ზოლი გასდევდა ყურიდან ყურამდე, შუბლზე კი გამოსახული ჰქონდა ცისფერი ზვიგენი, რომელიც ბოლოში ვიწროვდებოდა. ეს იყო წვეტიანი ფარფლები თავიდან კულამდე.

თითქმის ყველანი რაღაც შიშისმაგვარი გრძნობით ეუყურებდით ამ კაცს. ეს გრძნობა ოდნავადაც არ გაგვწვლავდა, როცა გავიგეთ, რომ იგი თავისი ნებით დათანხმებულიყო სიფათის ასეთ შემოკობაზე. რა დალი იყო ეს! ბევრად უარესი, ვიდრე კაენს ჰქონდა: იმას ალბათ რაღაც ნაოჭი ან ხალი ექნებოდა და თანამედროვე კოსმეტიკური საშუალებანი შეძლებდნენ მის გაქრობას, მაგრამ ცისფერი ზვიგენი იყო წარუშლელი ნიშანი, რასაც დამასკოს მღინარეების ავანასა და ფარფარას! მთელი წყალიც კი ვერაფერს დააკლებდა.

ეს იყო ინგლისელი (ლემ ჰარდი ვარო, თქვა), რომელიც ამ ათი წლის წინათ გაქცეულიყო სავაჭრო ბრიგიდან, შეშისა და წყლის მარაგის შესავსებად რომ მოსდგომოდა ნაპირს. თოფით შეიარაღებულმა ჰარდიმ ნაპირზე დადგა ფეხი როგორც დამოუკიდებელმა ძალამ; მას ერთი ტომარა ცეცხლსასროლი მასალის მარაგი ჰქონდა და მზად იყო, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, მარტოდმარტოს ეომა საკუთარი შიშისა და თავგანწირვის ხარჯზე. ქვეყანა გაყოფილი ჰქონდათ რამდენიმე დიდი ველის ბელადებს, რომლებიც ერთმანეთს მტრობდნენ. მან კავშირი შეკრა ერთ-ერთ მათგანთან, რომელმაც პირველმა შესთავაზა მეგობრობა, და იქცა იმად, რაღაც ახლა ითვლებოდა: ერთ-ერთი ტომის მხედარმთავრად და ომის ღმერთად, რომელსაც თაყვანს სცემდნენ მთელ კუნძულზე. მისმა კამპანიებმა ნაპოლეონისას გადააჭარბა. შუბებით შეიარაღებულ მსუბუქ ქვეითთა მხარდაჭერით მან თავისი უძლეველი თოფით ღამის იერიშით დაიმორჩილა ორი თემი, დილით კი მეფის მოკავშირის ფეხთა წინაშე განირთხნენ დანარჩენებიც.

ლემ ჰარდის არც პირადი კეთილდღეობის ზრდის დარგში დაუთმია კორსიკელისათვის; ნაპირზე გადასვლის სამი დღის

შემდეგ მეფის ასულის მომხიბლავად ტატუირებული ხელი მას ეკუთვნოდა. ქალწულთან ერთად მზითვად მიიღო ათასი საჟენი წმინდა ტაპა, ორმოცდაათი ორფა ჭილოფი, ოთხასი ღორი, ათი სახლი ქალიშვილის მშობლიური ველის სხვადასხვა ადგილას, აგრეთვე „ტაბუს“ შესახებ საგანგებო ბრძანების წმიდა დაცვა. ტაბუ მის პიროვნებას საუკუნოდ ხელშეუხებლად აცხადებდა.

ამგვარად ლემ ჰარდი სამუდამოდ დასახლდა კუნძულზე. იგი სავსებით კმაყოფილი იყო თავისი საარსებო პირობებით და ოდნავი სურვილიც კი არ ჰქონდა მეგობრებთან დაბრუნებისა. ისე, კაცმა რომ თქვას, „მეგობრები“ არც ჰყოლია ოდესმე. იგი მომიყვა თავის ამბავს. ლემი ამ ქვეყანას მიგდებულ ბავშვად მოეკვლინა თურმე. ამ ბავშვის წარმოშობა მისთვის ისეთსავე საიდუმლოებად რჩებოდა, როგორც ოდინის¹ გენეალოგია. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა, ყველასაგან აბუნად აგდებული, გაიქცა მრევლის მუშათა სახლიდან და დაიწყო ზღვებში მოგზაურობა. რამდენიმე წელიწადს მატროსულ ცხოვრებას ეწეოდა, ახლა კი სამუდამოდ მიენებებინა თავი.

მეტწილად სწორედ ასეთი ადამიანები (ისინი ხშირად გვხვდებიან მეზღვაურთა შორის), რომლებიც ამ ქვეყნად არავის არ ახსოვს, რომლებსაც არავის და არაფრის სიყვარული არ უდევთ გულში, თავზე ხელალებულნი და ცივილიზაციის ბორკილებს შეუჩვეველნი, წყნარი ოკეანის კუნძულებზე ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. და განა შეიძლება გაგვიკვირდეს მათი არჩევანი, თუ გავიხსენებთ იმ მძიმე ხვედრს, რომელიც მათ სამშობლოში არგუნა ბედმა?

ამ განდგომილი კაცის თქმით, მის გარდა, არც ერთი თეთრი ადამიანი არ იყო კუნძულზე; და რადგან კაპიტანს საფუძველი არ ჰქონდა დაეჭვებულებო, რომ ჰარდი ჩვენს მოტყუებას აპირებდა, ამიტომ იფიქრა, ალბათ ფრანგებმა თავიანთ ნაამბობში რაღაც აურ-დაურიესო. როცა დანარჩენმა სტუმრებმა ჩვენი მოსვლის მიზანი შეიტყვეს, ერთმა მათგანმა, ლამაზმა, ახოვანმა ჭაბუკმა, რომელსაც მეტყველ სახეს დიდრონი თვალები უმშვენებდა, სურვილი გამოთქვა მოგზაურობაში გამოგვეყოლოდა. გასამრჯელოდ მან მოითხოვა წითელი პერანგი, შარვალი და

¹ უზენაესი ღმერთი ძველ სკანდინავთა მითოლოგიაში.

ქუდი, რაც მაშინვე მიიღო; გარდა ამისა, მისცეს დაპრესილი თამბაქოს ფილა და ჩიბუხი. სულ მალე გარიგება დამთავრდა, მაგრამ შემდეგ ვაიმონტუმ შეთანხმებაში შეიტანა დამატებითი მუხლი: მის მეგობარს, რომელიც მასთან ერთად გამოცხადდა, უნდა მიეღო ათი ორცხოვნილა, სულ მთელი, ისეთი, რომ ბზარიც არ ჰქონოდა, ოცი, სულ ახალი, ზედმიწევნით სწორი ლურსმანი და ერთი დასაკეცი დანა. ეს პირობაც მიღებულ იქნა, და ყველაფერი ჩააბარეს კუნძულის მკვიდრს. მან ხარბად დასტაცა ხელი ამ საგნებს, ლურსმნები კი, რადგან ტანისამოსი არ ეცვა, ჩაიყარა პირში, რომელიც ჯიბის მაგივრობას უწევდა. თუმცა, ორი ლურსმანი მაშინვე გამოიყენა საყურეების შესაცვლელად. აქამდე მერქნის თეთრად შეღებილი ნაჭრებისაგან გამოჩორკნილი საყურეები ეკიდა.

ზღვიდან ძლიერმა ქარმა დაჰბერა და საჭირო იყო დაუყოვნებლივ მოშორებოდნენ ნაპირს; ამიტომ როგორც კი ჩვენმა ახალმა ამხანაგმა და მისმა თანამემამულეებმა ნაზად გაუსვგამოუსვეს ერთმანეთს ცხვირები, ჩვენ მასთან ერთად გავუდექით გზას.

ქარით დაბერილი ბომ-ბრამსელები სწრაფად მიგვაქანებდა წინ. პირაგუიდან გამოსათხოვარი შეძახილები მოისმოდა. ამას, ჩვენდა გასაოცრად, სულაც არ აუღელვებია კუნძულელი. მაგრამ იგი დიდხანს არ ყოფილა მშვიდად. იმავე საღამოს, როგორც კი მშობლიური ბორცვების მუქი ლურჯი მოხაზულობანი თვალს მიეფარნენ, საწყალი ვაიმონტუ ფალშბორტზე დაიხარა, თავი ჩაქინდრა და ჭმუნვას მიეცა. გემი საშინლად ირწეოდა, და ვაიმონტუ, რომელსაც ტანჯვა ისედაც არ აკლდა, ახლა ზღვის ავადმყოფობამ დატანჯა და გააწამა.

თ ა ვ ი 8

ტატუს ოსტატები კუნძულ დომინიკადან

მოდით მიმავალ „ჯულიეტას“ დროებით თავი დავანებოთ, და მე მოგიყვებით ზოგიერთ საინტერესო ამბავს, რომელიც ჰარლისაგან შევიტყვე.

ცივილიზაციისაგან ლტოლვილმა ამ კაცმა ისე დიდხანს

იცხოვრა კუნძულზე, რომ ყველა ადათი და წესი კარგად იცოდა; ძალიან ვნანობდი, რომ ჰანამანუში ცოტა ხანს დავრჩით, რადგან ამან ხელი შეუშალა ჰარდის უფრო დაწვრილებით ეამბა ყოველივე.

იმ მცირერიცხოვანი ფაქტებითაც კი, რომლებიც ცნობილი გახდა ჩემთვის, დავრწმუნდი და გავოცდი, რომ ჰივა-ოას მკვიდრნი, თუმცა ეს კუნძული იმავე ჯგუფს განეკუთვნება, რასაც ნუკუპივა, დიდად განსხვავდებიან ტროპიკულ ველზე მცხოვრები ჩემი მეგობრებისაგან.

რადგან ჰარდის ტატუირებულმა სახემ მრავალი შენიშვნა გამოიწვია, იგი იძულებული გახდა მოეთხრო, თუ როგორ არიან დახელოვნებული ამ საქმეში მათს კუნძულზე.

ჰივა-ოას მკვიდრი ტატუს ოსტატები მთელ არქიპელაგზე არიან სახელგანთქმული. მათ თავიანთი ხელოვნება ზედმიწევნით სრულყვეს, რის გამოც ეს პროფესია ფრიად საპატიოდ იყო მიჩნეული. ამიტომ საკვირველი არაა, რომ, მოღური თერძების მსგავსად, თავიანთ ხელობას ძვირად აფასებდნენ; ისე ძვირად, რომ მათი სამსახურით მხოლოდ მაღალი ფენების წარმომადგენელნი სარგებლობდნენ. ამიტომაც ტატუს სინატიფე თითქმის ყოველთვის მიანიშნებდა მნახველს დიდგვაროვნებასა და სიმდიდრეზე.

„პროფესორები“, რომლებსაც დიდი პრაქტიკა ჰქონდათ, ცხოვრობდნენ დიდ სახლებში, რომლებიც ტაპის ფარდებით იყო დანაწილებული პატარ-პატარა განყოფილებებად, სადაც სათითაოდ ემსახურებოდნენ კლიენტებს. ასეთი წესი ძირითადად აიხსნებოდა „ტაბუს“ თავისებური ფორმით, რომლითაც ყველა ადამიანისათვის, მაღალი წოდების არიან ისინი თუ დაბალი წოდების, მკაცრადაა დაწესებული ტატუირებისას განცალკევებით ყოფნა. მათ ეკრძალებათ სხვებთან ურთიერთობა, მცირეოდენ ულუფასაც კი, რომლის შეჭმის ნებაც აქვთ დართული, უხილავი ხელი აწვდის ფარდის ქვემოდან. ჭამას იმიტომ იზღუდავენ, რომ სისხლის რაოდენობა შეამცირონ და ამით შეასუსტონ ანთება, რასაც კანის დაჩხვლეტა იწვევს. ანთება ძალიან სწრაფად იჩენს თავს, და მისი გავლისათვის რამდენიმე ხანია საჭირო; ამგვარად, განცალკევების პერიოდი ჩვეულებრივ გრძელდება რამდენიმე დღეს, ზოგჯერ რამდენიმე კვირასაც.

როცა ავადმყოფობის ყოველგვარი კვალი ქრება, კლიენტი სახლში მიდის, მაგრამ — მხოლოდ იმისათვის, რომ ისევ მობრუნდეს: ეს ოპერაცია იმდენად მტკივნეულია, რომ ერთ ჯერზე კანის მარტოოდენ მცირე ნაწილის ტატუირება შეიძლება. და რადგან ესოდენ ნელ პროცესში მთელი სხეულის მოხატვაა საჭირო, ამ მიზნისათვის განკუთვნილი სტუდიები დღენიადაგ სავსეა. უმაგალითო პატივმოყვარეობით წაქეზებული ბევრი კუნძულელი თავისი სიცოცხლის საკმაოდ დიდ ნაწილს მხატვრის წინაშე ატარებს.

ამ სამუშაოს დაწყებისთვის ყველაზე უფრო შესაფერისად ჭაბუკობის ხანა ითვლება. მშობლები გამონახავენ ტატუს ცნობილ ოსტატს, მასთან მიჰყავთ ჭაბუკი, და ოსტატიც ადგენს ტატუირების საერთო გეგმის ესკიზს. „პროფესორს“ მახვილი თვალი უნდა ჰქონდეს, რადგან სამოსს, რომლის ტარებაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუწევს კაცს, კარგი დათარგვა სჭირდება.

ტატუს ზოგიერთი მოხელე, რომელსაც სწადია სრულყოფილი თავისი ხელოვნება, დიდი გასამრჯელოს ფასად დაიქირავენ ხოლმე ყველაზე დაბალი წარმოშობის რამდენიმე კაცს, მდაბიოებს, რომლებიც სრულიად არ ზრუნავენ გარეგნობაზე, და მათზე ვარჯიშობს, ამოწმებს თავის ჩანაფიქრს. ზურგები რომ უღმობლად დაეჩხვლიტებათ შავი მონახაზებით და მხატვარს ტილო აღარ რჩება, ეს ადამიანები თავიანთ გასამრჯელოს დებულობენ და მთელ სიცოცხლეში თვისტომთა ზიზღის საგანი არიან. უბედური არსებანი! ხელოვნებისათვის გვემაა მათი ხვედრი.

იმ ოსტატებს გარდა, რომლებსაც მუდმივი კლიენტები ჰყავთ, მრავლად არიან ხელმოცარული ოსტატებიც, რომლებიც თავისი პროფესიის წყალობით შეუფერხებლად დაეხეტებიან ერთი სანაპირო სოფლიდან მეორეში, მიმოდინებენ ერთმანეთის მოშუღარი ტომებით დასახლებულ ადგილებში და ჩალის ფასად ემსახურებიან ბრბოს. თავიანთ გამოჩენას ისინი ყოველთვის უფარდებენ სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულს, როცა ბევრი ხალხი იყრის ხოლმე თავს. დღესასწაული რომ დამთავრდება და ყველანი, მათ შორის ტატუს ოსტატებიც, ტოვებენ ადგილს, სადაც ეს დღესასწაული მიმდინარეობდა, იქ რჩება უხეში ტაპის ოციოდე პატარა კარავი. ყოველ მათგანში გან-

მარტოებით ბინადრობს თითო კაცი, რომელსაც აკრძალულია აქვს უხილავ მიწობლებთან ლაპარაკი. იგი ვალდებულია იყოს აქ, სანამ სავსებით არ გამოჯანსაღდება. ტატუს მოხეტიალე ოსტატები არცხვენენ თავიანთ პროფესიას ისინი უბრალო ხელოსნები არიან, რომელთაც ტეხილა ხაზებისა და უფორმო ლაქების ვარდა არაფერი იციან, რომელთაც უნარი არ შესწევთ ამაღლდნენ ფანტაზიის იმ მწვერვალებამდე, რასაც აღწევენ მათი სახელოვანი თანამომენი პროფესიის მიხედვით.

ხელოვნების ყველა მოღვაწეს უყვარს გაერთიანება, ამიტომ ჰანამანუში ტატუს ოსტატები დროდადრო შეიყრებოდნენ ხოლმე თავიანთი საპატიო ორდენის კრებებზე. ამ სასოგადობაში, რომელიც სათანადოდ იყო ორგანიზებული და შედგებოდა სხვადასხვა ხარისხის წევრებისაგან, ჰარდი, როგორც თეთრკანიანი, განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა და საპატიო დიდოსტატად იყო მიჩნეული.

ცისფერი ზვიგენი და ურიმისა და ტუმიმის¹ მსგავსი რამ, გულმკერდზე რომ ჰქონდა გამოსახული, მისი კურთხევის ნიშნები იყო. ტატუს ოსტატთა ასეთი ორდენები მთელ ჰივა-ოაზია დაწესებული. ის ორდენი, რომელსაც ჩვენი უცნობი ეკუთვნოდა, შემდეგნაირად შეიქმნა. თრიოლ წელი იყო გასული კუნძულზე მისი გამოჩენიდან, როცა იქ დაიწყო შიმშილობა, რადგან ზედიზედ რამდენიმე სეზონის განმავლობაში პურის ნაყოფის მოსავალი თითქმის მთლიანად დაიღუპა. ამან ისე შეამცირა ტატუს ოსტატთა კლიენტურა, რომ ისინი დიდ გასაჭირში ჩაცვიდნენ. მაგრამ გვირგვინოსანმა მოკავშირემ ჰარდიმ ფილანტროპიული საშუალება გამოიხატა მათ დასაკმაყოფილებლად, ამავე დროს ბევრ თავის ქვეშევრდომსაც მადლი უყო.

სასახლის წინ, ნაპირზე და სეობის თავში ბუკ-ნალარაი ამცნეს ხალხს, რომ ნუმაი, ჰანამანუს მეფე და ჰარდი-ჰარდის მეგობარი, თავის გულისა და სახლის კარს უღებს ტატუს ყველა ოსტატს; მაგრამ ეს სტუმართმოყვარეობა რომ დაიმსახურონ, ისინი ვალდებული არიან უფასოდ მოემსახურონ ყველა ღარიბ-ღატაკს, ვისაც ტატუს გაკეთება სურს.

მეფის რეზიდენციისაკენ დაუყოვნებლივ დაიძრა მხატვრე-

¹ სამკაულები, რომლებიც ბიბლიაში მოხსენიებულია როგორც მღვდელმთავრის შესამოსელის ნაწილი.

ბისა და კლიენტების ზღვა. რა დიდებული დრო იყო რადგან სასახლის შენობები ყველასათვის „ტაბუ“ იყო, ტატუს ოსტატებისა და ბელადების გარდა, კლიენტები ღია ცის ქვეშ დაბანაკდნენ.

„ლორა ტატუ“, ანუ „ტატუს დრო“, დიდხანს ემახსოვრება ხალხს. ერთმა აღფრთოვანებულმა კლიენტმა ლექსად შეასწავა ხოტბა ამ მოვლენას. ჰარდიმ რამდენიმე პწკარი მოიყვანა და მიახლოებით თარგმნა კიდეც თავისებური რეჩიტატივით:

სად ისმის სმაური?
პანამანუში.
რა სმაურია?
ახი ჩაქუჩი ურტყამს ჯოსს,
ურტყამს, ურტყამს, და ურტყამს,
ზვიგენის კბილებს ურტყამს!

სად არის სინათლე?
მეფის სასახლის ირგვლივ.
ვინ იცინის ჩუმად?
იმათი ქალ-ვაჟნი,
ვისაც ახატავენ ტატუს.

თ ა ვ ი 9

კურსი დასავლეთისაკენ ავიღეთ. საქმის ვითარება

ჰანამანუს რომ ვტოვებდით, ისეთი ნათელი და ვარსკვლავიანი ღამე იყო, ისეთი თბილი, რომ ცვლის დამთავრების შემდეგ მატროსები ფოკანძის ირგვლივ მიწვნენ.

გამოთენიის ხანს ქვემო ბანზე სული შემეხუთა და მაღლა ამოვედი. აქ მდუმარება სუფევდა. მსუბუქი პასატი თანაბრად ბერავდა იალქნებს და ხომალდი პირდაპირ მიიკვლევდა გზას წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის უკიდევანო სივრცეში. გუშაგებს ეძინათ. მესაჭეც თვლემდა, ცალი ფეხი შტურვალზე

¹ საღებავი ნივთიერება კანში შეაყავთ ზვიგენის კბილით, რომელიც დამაგრებელია წვრილი ჯოსის ბოლოზე. ჯოსის მეორე ბოლოს ხის ჩაქუნს ურტყამენ.

მიელო და ყვინთავდა. თვითონ უფროსი თანაშემწეც კი იდაყვებით დაყრდნობოდა შპილს.

განა ასეთ ღამეს მე, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილს, შემეძლო არ მეოცნება? ქიმზე გადავეყუდე და უნებურად ვფიქრობდი იმ ურჩხულებზე, რომლებსაც, შესაძლოა, სწორედ ამ წამს გადაეუარეთ თავზე.

მაგრამ მალე ფიქრი გამაწყვეტინა აჩრდილის მსგავსმა ნაცრისფერმა ლანდმა, რომელიც აქოჩრილ ტალღებზე გაწვა. ეს იყო ალიონი, რომელსაც პირველი ათინათები მოჰყვა. ისინი ცისკიდურზე გამოკრთებოდნენ ხოლმე და წააგავდნენ — თუ დიადს მასზე ბევრად მცირეს შევადარებთ — გაი ფოქსის¹ ფარნის ციმციმს პარლამენტის მიწისქვეშეთში. გავიდა მცირე ზანი, ოკეანის დასალიერი მეწამულისფრად შეიღება და ნაღვერდალს დაემგვანა. ბოლოს აღმოსავლეთიდან სისხლისფერი ბურთი ამოგორდა, და დაიწყო ზღვის გრძელი დღე.

ნასაუზმევს პირველყოვლისა გადაწყვეიტთ ყველა წესის მიხედვით მოგვენათლა ვაიმონტუ, რომელსაც ღამით აეწონდაეწონა თავისი მდგომარეობა და ახლა ცოტა არ იყოს პირმოღუშული იყო.

იმაზე, თუ რა სახელი დაგვერქმია, სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ზოგი ამბობდა, კვირა დღეს მოხვდა ჩვენთან და „კვირია“ დავარქვათო, ზოგი „ათას რუაას ორმოცდა ორს“ ამჯობინებდა — ჩვენი წელთაღრიცხვის მიმდინარე წელს; ახმაზი ექიმი თავის აზრს ავითარებდა, რომ კუნძულელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოეცვალა თავდაპირველი სახელი ვაიმონტუ-ჰი, რომელიც (მისი მტკიცებით) ადგილობრივ მკვიდრთა ხატოვან ენაზე ნიშნავდა „გასაჭირში ჩავარდნილ კაცს“ თუ რაღაც ამგვარს. ამ დავას ბოლო მოუღო უფროსმა თანაშემწემ, რომელმაც საცოდავს ერთი ვედრო ზღვის წყალი გადაასხა თავზე და „ქარაქუცა“ დაარქვა.

სამშობლოსაგან დაშორებით გამოწვეული სასოწარკვეთის პირველი შედეგების შემდეგ ვაიმონტუ — ჩვენ კვლავ ვაიმონ-

¹ ერთ-ერთი მონაწილე „დენტის“ შეთქმულებისა, რომელიც ინგლისელმა კათოლიკებმა მოაწყვეს მეფე იაკობ I სტიუარტის წინააღმდეგ. პარლამენტის სარდაფში ჩაიტანეს დენტით სავსე კასრები, რომლებიც 1605 წლის 5 ნოემბრისათვის უნდა აეფეთქებინათ. შეთქმულება გაცემულ იქნა.

ტუს დაუძახებთ — ერთხანს ცოტა გასალისდა, მაგრამ შემდეგ ისევ მწუხარებას მიეცა. ხშირად ვხედავდი, ქვემო ბანის კუთხეში მიკუნჭული როგორ არ აშორებდა თავის უცნაურ, მოუსვენრად მოციმციმე თვალებს მატროსების სულ უმნიშვნელო მოძრაობასაც კი. და როცა ისინი სიღნეისა და მის საცეკვაო სახლებზე ლაპარაკობდნენ, ალბათ ყოველთვის აგონდებოდა თავისი ბამბუკისაგან ნაგები ქოხი.

ახლა შუა ზღვაში ვიმყოფებოდი, მაგრამ რომელი სარეწი რაიონისაკენ მივემართებოდი, არავენ იცოდა; ეტყობა, არც არავის აინტერესებდა. მატროსები მათთვის დამახასიათებელი უზრუნველობით ჩაერთნენ ყოველდღიურ საზღვაო ცხოვრებაში, თითქოსდა ყველაფერი რიგზეაო. ქარი ოკეანის წყნარ ზედაპირზე მიაქანებდა „ჯულიას“, ასე რომ, მხოლოდ საჭირო საგუშაგოებსა და ანძის წვეროებზე მყოფ მეთვალყურეთა ცვლას რჩებოდათ გასაკეთებელი საქმე. რაც შეეხება ავადმყოფებს, მათ კიდევ რამდენიმე კაცი შეემატათ — ზოგიერთი ლტოლვილისათვის კუნძულის ჰავა შეუფერებელი აღმოჩნდა. ამას ისიც დაემატა, რომ კაპიტანი ისევ დასუსტდა და სულ მთლად ლოგინად ჩავარდა.

მატროსები, რომლებსაც თავიანთი მოვალეობის შესრულება შეეძლოთ, ორ მცირერიცხოვან საგუშაგოზე გაანაწილეს. საგუშაგოებს ხელმძღვანელობდნენ უფროსი თანაშემწე და მათორი; ეს უკანასკნელი მებარჯე იყო და ამიტომ გაქცეული მეორე თანაშემწის ნაცვლად დანიშნეს.

ასეთ ვითარებაში ვეშაპებზე ნადირობისათვის ვის ეცალა; მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერმინს იმედი ჰქონდა, რომ ავადმყოფები გამოჯანმრთელდებოდნენ. ასე იყო თუ ისე, ჩვენ კვლავ ჯიუტად მივიწვევდით დასავლეთისაკენ, თავზე კი ისევ ის მტრედისფერი ცა გვეხურა. სულ წინ მივიწვევდით, მაგრამ ისე გვეჩვენებოდა, თითქოს ერთ ადგილას ვდგავართო, და ყოველი განვლილი დღე არაფრით არ განსხვავდებოდა წინა დღისაგან. თვალით არ გვინახავს არც ერთი გემი. არც იმედი გვექონდა, რომ დავინახავდით. გარდა დელფინებისა და თევზებისა, „ჯულიას“ ცხვირწინ რომ ხტუნაობდნენ, როგორც ლეკვები ნაპირზე, არაფერი არ ადასტურებდა სიცოცხლის არსებობას, თუმცა ხანდახან მონაცრისფრო ალბატროსები, აქაური ზღვებისათვის დამახასიათებელი ფრინველები, გამოჩნდებოდნენ სოლმე ჩვენს

თავზე, ევება ფრთებს ააფათქუნებდნენ და შემდეგ ლივლიყით გვშორდებოდნენ, თითქოს ჭირიან ხოპაღდს გაუარბიანო. ზოგჯერ გუნდ-გუნდად მომავალი ტროპიკული ფრინველები, მუნღაურები „ზოცმანებს“ რომ ეძახიან, ყურისწაპლები სტეპ-ნით დაგვტრიალებდნენ თავზე.

იმის უცოდინარობა, თუ საით მივდიოდით, ისიც, რომ შედარებით უვალ აღვიღებში მივიკვლევდით გზას, განსაკუთრებით საინტერესოს ხდიდა ჩვენს ნაოსნობას, და მე არასოდეს დამავიწყდება იგი.

სავსებით გასაგები კეთილგონივრული მოსაზრების გამო წყნარ ოკეანეში მატროსები უპირატესად მიჰყვებოდნენ უკვე ცნობილ გზებს; სწორედ ამიტომაა, რომ მკვლევარები და მამაცი ვეშაპმონადირენი ჩვენს დროშიც კი აღმოაჩინენ ხოლმე ზოგჯერ ახალ კუნძულებს, თუმცა უკანასკნელ წლებში მრავალ სხვადასხვაგვარ გემს დაუსერავს თვალუწვდენელი ოკეანე. მართლაც, წყლის სივრცეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სრულიად შეუსწავლელია; დღემდე საეჭვოა, ჭეშმარიტად არსებობს თუ არა მეჩენები, რიფები და კუნძულთა მცირე ჯგუფები, რომლებიც ახლო-ახლოსაა აღნიშნული საზღვაო რუკაზე. მართოდენ იმასაც კი, რომ ისეთი გემი, როგორც ჩვენი იყო, მიემართებოდა ამ რაიონებში, არ შეიძლებოდა არ შეეშფოთებინა ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი. პირადად მე სშირად მაგონდებოდა მრავალი მოახსრობა გემებზე, რომლებიც, იალქნებაშვებულნი, შუალაშისას, როცა რაზმს ეძინა, უხილავ წყალქვეშა კლდეებს გადაჰყრიან ხოლმე. დისციპლინის უქონლობისა და ხალხის უკმარისობის გამო ღამის საგუშაგები ხომ უკიდურეს დაუღვერობას იჩენდნენ.

მაგრამ ამგვარი აზრები არ მოსდიოდათ თავში ჩემს უზრუნველ ამხანაგებს. და ჩვენც მივდიოდით და მივდიოდით, მზე კი ყოველ საღამოს ზედ ჩვენი გემის ცხვირწინ ჩადიოდა.

ვერა და ვერ ვავიგეთ, რატომ მაღავედა უფროსი თანაშემწე ასე გულმოდგინედ, თუ საით მივდიოდით. სრულებით არ მჯეროდა მისი მონაჩმახისა და ვიცოდი, რომ ეს მსოლოდ ხერხი იყო რაზმის დასამშვიდებლად.

მისი სიტყვით, ჩვენ მივემართებოდით შესანიშნავ სარეწ რაიონში, რომელსაც თითქმის არ იცნობდნენ სხვა ვეშაპმონადირეები და რომელიც თვითონ აღმოაჩინა, როცა ერთ-ერთი

ნოსნობის დროს პატარა ბრივზე იყო კაპიტნად. ოკეანე იქ საე-
სეა უზარმაზარი ვეშაპებით, რომლებიც იმდენად თვინიერნი
არიან, რომ შეგიძლია სულ ახლოს მიხვიდე და ესროლო ბარ-
ჯი; ისე ეშინიათ, რომ წინააღმდეგობასაც კი არ გიწევენ. იქ-
ვე ახლოს ქარის მხრისაკენ მდებარეობს კუნძულთა მცირე
ჯგუფი, საითაც გავემართებით გემის შესაკეთებლად; იქ არის
უამრავი საუცხოო ხილი, იქ ცხოვრობს ტომი, რომელიც ჯერ
არ გაურყვინია უცხოელებთან ურთიერთობას.

ალბათ არ უნდოდა ვინმეს ზუსტად დაედგინა გრძელი და
განედი იმ ადგილისა, საითაც მივემართებოდით ხოლმე, და
ამიტომ ჯერმინი არასოდეს არ გვაგებინებდა ჩვენს ადგილსამ-
ყოფელს, თუმცა ამას მეტ წილ გემებზე აკეთებენ.

სამაგიეროდ ის დაუღალავად უვლიდა ავადმყოფებს. როცა
ექიმმა ახმახმა სულმა აფთიაქის გასაღებები ჩააბარა კაპიტანს,
ამ უკანასკნელმა ისინი გადასცა ჯერმინს, და იგი ისე ასრუ-
ლებდა ექიმის მოვალეობას, რომ ყველა კმაყოფილი იყო. აბე-
სა და ფხვნილებს უფრო ხშირად თევზებს უყრიდა; სამაგიე-
როდ დიდი გასაუალი ჰქონდა პატარა იდუმალ კასრებში მო-
თავსებულ ერთი მეოთხედი ვედროს მოცულობის სითხეს, რო-
მელსაც ორმოცვედროიანი კასრის წყლით აზავებდნენ. ჯერმი-
ნი თავის წამლებს ამზადებდა შპილზე ქოქოსის ნაჭუჭებში,
რომლებზედაც წარწერილი იყო ავადმყოფთა გვარები. ხმელე-
თის ექიმების მსგავსად, არც თვითონ ერიდებოდა საკუთარ
წამლებს, რადგან ხშირად ჩამოდიოდა ქვემო ბანზე პროფესიუ-
ლი ვიზიტით, საკმაოდ ნასვამი; ამასთანავე თავის მოვალეო-
ბად თვლიდა, რომ ავადმყოფები კარგ გუნებაზე ყოფილიყვნენ.
ამას იმით ახერხებდა, რომ ყოველ ნახვაზე საათობით უყვებო-
და მიმზიდველ ამბებს.

კოჭლობამ, რის გამოც არავითარი სამუშაოს შესრულება
არ მიწევდა, მალე გამიარა; მხოლოდ იშვიათად ვიყავი გუშა-
გად საჭესთან. მეტ წილ დროს ქვემო ბანზე, ახმახი ექიმის
საზოგადოებაში ვატარებდი. ექიმი ძალ-ღონეს არ იშურებდა,
რომ თავისადმი კეთილად განვეწყე. მისმა წიგნებმა, თუმცა
ისინი ძლიერ დახეული და დაგლეჯილი იყვნენ, ფასდაუდებე-
ლი სამსახური გამიწიეს. რამდენჯერმე გადავიკითხე ისინი თა-
ვიდან ბოლომდე, მათ შორის ტრაქტატი ყვითელი ციებ-ცხე-
ლების შესახებ. წიგნების გარდა, ექიმს ჰქონდა სიდნეის ძველი

გაზეთების დასტა, და სულ მალე ზეპირად ვიცოდი ყველა იმ ვაჭრის გვარი, რომლებსაც გაზეთებში განცხადებები ჰქონდათ მოთავსებული. განსაკუთრებით მართობდა სტაბსის მჭევრმეტყველური რეკლამა. სტაბსი გახლდათ უძრავი ქონების გაყიდვის სააუქციონო კანტორის მფლობელი, და მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იგი ლონდონელი აუქციონისტის რობინსის მოწაფე იყო.

იმ კმაყოფილების გარდა, რასაც ახმახი სულის საზოგადოება მანიჭებდა, მისმა მეგობრობამაც დიდი სარგებლობა მომიტანა. კაპიტნის გულისწყრომამ მხოლოდ გააძლიერა გემის პლემბის კეთილი განწყობა მისდამი; მატროსები არა მარტო ყველაზე მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ დაქვეითებულ ექიმთან, არამედ ყოველმხრივ ამულავენდნენ თავის პატივისცემას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გულიანად იცინოდნენ მის ყოველ ხუმრობაზე. ეს გრძნობები გადმომელო მეც, როგორც მის ახლო მეგობარს, და თანდათანობით ჩვენ ორში ხელავენდნენ საპატიო სტუმრებს. პურის ჭამის დროს ყველაზე ადრე მოგვართმევდნენ ხოლმე საჭმელს, არც სხვა დანარჩენ რამეებში გვაკლებდნენ ყურადღებას.

წყნარ ამინდში დროს გასაყვანად ახმახმა სულმა ჭადრაკს მიმართა. დასაკეცი დანით ხისგან საკმაო ოსტატობით გამოვჭერით ფიგურები, დაფის მაგივრობას კი სწევდა ზანდუკის სახურავის შუაგული, რომელზედაც ცარცით კვადრატები იყო დახაზული და რომელსაც აქეთ-იქიდან ვუსხელით მოთამაშენი. მოწინააღმდეგის ფიგურების განსახსხვაებლად უფრო შესაფერისი საშუალება რომ ვერ ვიპოვე, ჩემს ფიგურებს ძველი შარფიდან მონაგლეჯი შავი აბრეშუმის ნაჭრები შევაბი. ექიმის თქმით, მე სავსებით სწორად მოვიქეცი, როცა ისინი სამგლოვიაროდ გამოვაწყვე, რადგან მათ მართლაც ჰქონდათ მწუხარების მიზეზი. მატროსებს ჭადრაკისა არაფერი გაეგებოდათ; მათი გაკვირება იქამდე მივიდა, რომ სრულიად განცვიფრებული უყურებდნენ იდუმალ თამაშს; ისინი ხანგრძლივი ბრძოლების მანძილზე არ აშორებდნენ თვალს ფიგურებს და იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ჩვენ ორნი ჯადოსნები ვიყავით.

გემის საწოლისა და მისი ზოგირთი ბინადრის აღწერა

ზედმეტი არ იქნება გარკვეული წარმოდგენა შეგიქმნათ იმ ადგილზე, სადაც ასე შევობრულად ვცხოვრობდით მე და ექიმი.

მკითხველთა უმრავლესობამ იცის, რომ გემბანის წინა ნაწილს ბუშპრიტის ახლოს ბაკი ეწოდება; უშუალოდ მის ქვეშ მდებარეობს ქვემო ბანი — მატროსების ადგილსამყოფელი, რომელიც ტრიუმისაგან ტიხრით არის გაყოფილი.

გემის ცხვირის ნაწილში განლაგებული ეს შესანიშნავი ბინა სამკუთხედის ფორმისაა და ჩვეულებრივ გაწყობილია უხეშად შეკრული ორიარუსიანი საწოლებით. „ჯულიაზე“ ისინი ყველაზე საკვალლო მდგომარეობაში იყვნენ, ნამდვილი ხეიბრები, რომელთა ნაწილი თითქმის სულ დაეშალათ დანარჩენების შესაკეთებლად; გემის ცალ მხარეს მათგან ორიღა გადარჩენილიყო. თუმცა, მატროსთა უმრავლესობა გულგრილად ეკიდებოდა იმას, ჰქონდათ თუ არა საწოლი: სულ ერთია, ქვეშაგები მაინც არ გააჩნდათ.

ჩემი საწოლის ფიცრებზე ძველი ტილო და ათასნაირი ჩერები დავაგე, რომლებიც საღვაც გამოვნახე. ბალიშის მაგიერობას ფლანელის დაგლეჯილ პერანგში გახეუული კუნძი მიწევდა. ეს ერთგვარად ამსუბუქებდა ჩემი ძვლების ხვედრს გემის რწვევის დროს.

ზოგან დაშლილი ჩის ტახტები ძველი ტილოსგან შეკერილი დასაკიდი საწოლებით შეეცვალათ, რომლებიც ისე ქანაობდნენ, რომ მათზე ძილი მაინცდამაინც არ სიამოვნებდა კაცს.

ქვემო ბანი სენაკს წააგავდა. იგი ძალიან უსუფთაო იყო. ზანიდან ბანამდე ხუთი ფუტიც არ იქნებოდა, თანაც მასში შემოჭრილი იყო ორი მსხვილი განივი კოჭი, რომელიც ზომადლის კორპუსს ამაგრებდა. აქვე იდგა მატროსების სკივრები, რომლებზედაც უნდა გადაცოცებულიყავით, თუ სადმე მიდიოდით. სადილობისას, განსაკუთრებით ნასადილევეს, არტელში მომუშავე თერმებივით ჩამოვსხდებოდით ხოლმე სკივრებზე და შევობრულად ვსაუბრობდით.

შუაგულში იდგა ჩის ორი კვადრატული სვეტი, რომლებსაც

ლოებით ერთი ფუტით იყვნენ დაშორებულნი ერთმანეთს, მათ შორის კი ქანაობდა დაქანებული ჯაჭვით დაკიდებული ფარანი, დღედაღამ რომ ენთო და ორი გრძელი ჩრდილი ახლდა მუდმივად. ბიტენგებს ქვეშ მოწყობილი იყო კარადა, ანუ. მატროსების განჯინა, რომელიც საოცრად არეულ-დარეული იყო და დროდადრო საფუძვლიან დასუფთავებასა და დეზინფექციას მოითხოვდა.

ზომალდს უკვე დიდი ხანია მოეჭამა თავისი დრო, ქვემო ბანი ზომ ძველ დამპალ ფულუროს ჰგავდა. ხე ყველგან დანოტივებული და ხავსმოდებული იყო, ალაგ-ალაგ კი დაფუტუროებული და დანჯრეტილი. კიდევ უარესი, იგი უწყალოდ იყო დანჯებლ-დაქუცმაცებული, რადგან მზარეული ბიტენგებსა და ბიმსებზე აცლილ ნაფოტებს ხშირად იყენებდა ცეცხლის მოსანთებად. ზემოთ, გამჭვარტლულ კარლინგსებში აქა-იქ მოჩანდა ხვრელები, რომლებიც მთვრალ მატროსებს ამოეწვათ თავის შექცევის მიზნით ერთ-ერთი წინა მოგზაურობის დროს.

ქვემო ბანზე ჩადიოდნენ ფიცრით, რომელზედაც ორი განივი თამასა იყო დაჭედებული; სანათური წარმოდგენდა გემბანის უბრალო ხვრელს. საჭიროების შემთხვევაში სანათურის მჭიდროდ დასახურად არავითარი საშუალება არ იყო; გასანთლული იალქანი, რომელსაც აფარებდნენ ხოლმე, თითქმის ვერ იცავდა ქვემო ბანს ფალშბორტიდან გადმოსული შხეფებისაგან. ამიტომ ოდნავი ქარის ამოვარდნისასაც კი საშინლად სველდებოდა აქაურობა. გრიგალის დროს ზომ წყალი ჩანჩქერივით ასხამდა; ჯერ იატაკს მოედებოდა, შემდეგ კი შადრევანივით ამოჩქეფდა სკივრებს შორის.

ასეთი იყო ჩვენთვის განკუთვნილი ადგილი „ჯულიაზე“; მიუხედავად ყველა ამ ნაკლისა, აქაურობის სრულ ბატონ-პატრონებად მაინც არ შეგვეძლო ჩაგვეთვალა თავი. ურიცხვი ტარაკანებისა და ვირთხების ურდოები არ გვითმობდნენ ამის უფლებას. ამაზე მეტი უბედურება აღარ შეიძლება წილად ხვლეს გემს, რომელიც სამხრეთის ზღვებში მოგზაურობს.

იქ ისე თბილი ჰაერია, რომ ამ სისამაგლის თავიდან მოშორება თითქმის შეუძლებელია. თქვენ შეგიძლიათ დაგმანოთ ყველა სანათური, დეზინფექცია გაუკეთოთ გემბანთშორის სათავსებს მანამდე, სანამ კილოებიდან კვამლი არ გამოვა, მაგრამ,

მიუხედავად ამისა, ტარაკანებისა და ვირთხების საკმაოდ დიდი რაოდენობა გადარჩება და საოცრად მოკლე ხანში კვლავ დაიბუდებს გემზე. არის შემთხვევა, როცა ფიცხელი ბრძოლის შემდეგ რაზმი თავს დამარცხებულად ცნობს, და ეს არსებანი ნამდვილ ბატონ-პატრონებად იქცევიან ხოლმე, მატროსები კი ჰყავთ უბრალო მდგმურებად, რომელთა იქ ყოფნასაც სულგრძელად ითმენენ. ხომალდებზე, რომლებიც კაშალოტების რეწვას მისდევენ და ხშირად ორ წელიწადს ზედიზედ არ ტოვებენ ეკვატორის წყლებს, ბევრად უფრო ცუდადაა საქმე, ვიდრე სხვა დანარჩენებზე.

რაც შეეხება „ჯულიას“, ტარაკანები და ვირთხები ისე შელავათიანად არსად არ ცხოვრობდნენ, როგორც მის ძველ, დრომოჭმულ კორპუსში; ყოველი ხერელი, ყოველი ბზარი პირდაპირ გაჭედილი იყო ამ არსებებით. ისინი კი არ ცხოვრობდნენ ჩვენთან, ჩვენ ვცხოვრობდით მათთან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჭამა-სმას სიბნელეში უფრო ვამჯობინებდით, ვიდრე დღის სინათლეზე.

ტარაკანები კი ჩვენთან რაღაც ისეთ უჩვეულო ყოფაში იყვნენ, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ხვდებოდა, რაში იყო საქმე.

ისინი ყოველლამ მართავდნენ ლხინს. ლხინის მოახლოების პირველი ნიშანი ის იყო, რომ მწერთა ურდოები ჩვენს თავს ზემოთა კოჭებს შეესეოდნენ და საწოლებზეც ამოგვაკითხავდნენ ხოლმე. იწყებოდა უჩვეულო გამოცოცხლება და ჩუჩუნი. ამას მოჰყვებოდა იმათი მასობრივი გადაადგილება, ვინც ჩვენი მხედველობის არის მიღმა ცხოვრობდა. მალე სცენაზე ყველანი გამოდიოდნენ: უფრო მსხვილი ეგზემპლარები სკივრებსა და ფიცრებზე დარბოდნენ; ფრთოსანი ურჩხულები წინ და უკან დაფრინავდნენ ჰაერში; წერილფეხობა კი გუნდ-გუნდად დადიოდა.

პირველსავე განგაშზე მატროსები, რომლებსაც სიარული შეეძლოთ, გემბანზე არბოდნენ; ზოგიერთი ავადმყოფი, ვინც მეტისმეტად სუსტად იყო, უძრავად იწვა, და გათავსებულნი მწერები, რამდენჯერაც მოეპრიანებოდათ, იმდენჯერ გადაურბენ-გადმოურბენდნენ ხოლმე თავზე. წარმოდგენა ათიოდე წუთს გრძელდებოდა და თან ისეთი ხმაური ახლდა, ფუტკრის სკასთანაც რომ ვერ გაიგონებთ. ისე ხშირად გვაწუხებდნენ, რომ

ველარ ვსაზღვრავდით, როდის გვეწვეოდნენ. მათ შეიძლებოდა მოვენახულებინეთ ყოველ წუთს დაღამების შემდეგ; რომ იცოდეთ, როგორ შეებას ვგრძნობდით, როცა ისინი მოსაღამოებისას გვეწვეოდნენ ხოლმე.

ჰო, ვირთხები არ უნდა დავივიწყო, რადგან არც მათ ვავიწყდებოდი. ტრენკის¹ გაწვრთნილი თავეისა არ იყოს, რომელიც სულაც არ უფრთხოდა ადამიანებს, იღგნენ სოროებში და ისე იყურებოდნენ, როგორც თავისი სახლის ზღურბლთან მდგარი ბერიკაცი. პურის ჭამის დროს ხშირად მოგვცვივდებოდნენ ხოლმე და ლუკმას გვტაცებდნენ.

როცა ვირთხები პირველად მიუახლოვდნენ ვაიმონტუს, მას მართლაც შეეშინდა; მაგრამ მალე შეეჩვია და სხვებზე უკეთესად გაართვა თავი: განსაცვიფრებელი სისხარტით სწვდებოდა ხოლმე თათებში და სანათურიდან თავს უკრავდა ზღვაში, რომელიც მათი სამარე ხდებოდა.

ვირთხებზე ერთ ამბავს მოგიყვებით, პირადად მე რომ მეხება. ერთხელ იუნგამ ცოტაოდენი ბადაგი მომცა; ბადაგი ძალიან მიყვარს და ამიტომ ჩემი საწოლის უშორეს კუთხეში ვინახავდი თუნუქის ქილაში. ჩვენი ულუფის პატრონი ადამიანებისათვის ბადაგომოსხმული ორცხობილა ნამდვილად საუცხოო კერძი იყო, რასაც მხოლოდ ექიმს ეუწილადებდი ხოლმე და ისიც ჩუმად. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ დიდებულ მოსაკითხზე უკეთესი, თანაც როცა იგი სხვის უჩუმრად იყო მორთმეული?

ერთ საღამოს დაერწმუნდით, რომ ქილის დაცლას აღარაფერი აკლდა; სიბნელეში რომ გადმოვაპირქვავეთ, იქიდან ბადაგთან ერთად რაღაც გადმოცურდა. რამდენ ხანს ყოფილიყო იგი ქილაში, მაღლობა ღმერთს, არასოდეს გავგივია, და არც მაინცდამაინც გესურდა გავგეგო; შევეცადეთ, რომ ყოველივე ამის მსგავსი ფიქრი რაც შეიძლება ჩქარა ამოგვეგდო თავიდან. ვირთხის სიკვდილი უთუოდ ისევე ტკბილი იქნებოდა, როგორც კლარენსის სიკვდილი მალეაზიის კასრში².

¹ ფრიდრიხ ტრენკი (1726—1794), გერმანელი ავანტიურისტი, რომელიც, ხუნდებდადებული, 9 წელიწადს იჯდა საპატიმროში.

² **ქ ე რ ც ო გ ი კ ლ ა რ ე ნ ს ი** (1449—1473), მეფეების ედუარდ IV და რიჩარდ III ძმა. დალატისათვის სიკვდილმისჯილი, გადმოცემით, მალეაზიური ღვინის კასრში უნახავთ მკვდარი.

**ექიმი ახმასი სული დიდი სუბარა ვინება.
ვისი ერთ-ერთი ოინი**

ზოგჯერ ექიმი ახმასი სული მეტისმეტად სერიოზული იყო, მაგრამ ძირითადად მაინც ხუმარად რჩებოდა.

ყველასათვის ცნობილია როგორ უყვართ მატროსებს ნაპირზე ხუმრობა; ზღვაში ხომ ეს სიყვარული ნამდვილ გატაცებად იქცევა. ამიტომაც ექიმის ოინები საყოველთაო აღიარებას ჰპოვებდა.

საწყალი შაკანაიანი მოხუცი მზარეული! როცა შეღამებისას თავის კიდულ საწოლს აწყობდა, შიგ ნახულობდა ღრმად ჩაძინებულ სველ მორს; დილით რომ გაეღვიძებოდა, ხუჭუჭთმიანი თავი კუპრით ჰქონდა მოსვრილი. სპილენძის ქვაბს თავს რომ ახდიდა, შიგ დახედებოდა ძველი ფეხსაცმელი, რომელიც ვიღაც თავზედს ჩაეგლო მოსასარშად. ზოგჯერ კი ღუმელში კუპრის მოსარკული ტკბილღვეზულები ზვდებოდა.

ბალტიამორა! მართლაც უბედურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. არც დღე ჰქონდა მოსვენება, არც ღამე. საწყალი! მეტისმეტად გულკეთილი იყო. რაც არ უნდა თქვან რბილი ხასიათის ადამიანზე, ზოგ შემთხვევაში ბევრად უმჯობესია მგლის წნისა იყოს კაცი. აბა ვინ ვაბედავდა, რომ ბრანზიან შავ დანისათვის რაიმე ოინი ეყო.

ექიმის ყველაზე თავშესაქცევი ოინი შემდეგში მდგომარეობდა. როცა ღამის საგუშაგოზე გასულ მატროსებს გემბანზე ჩაემინათ, მან ზოგი ფეხით ჩამოკიდა ანძასე, ზოგი ხელით. ერთხელ ქვემო ბანიდან გამოსულმა დაინახა, რომ ყველას გულისძილით ეძინა. ჰოდა, ისიც შეუდგა თავის ოინებს. მძინარე მატროსებს თოკი მოაბა, ბოლოები რამდენიმე ჭოჭონაქში გაატარა და შპილზე მიაშავრა; მერე მკვირცხლად განშორდა მათ და ბერკეტს მოსწია. მიუხედავად ყვირილისა და წინააღმდეგობისა, მატროსები ზოგი ხელით ჩამოეკიდნენ, ზოგი ფეხით და დაიწყეს ჰაერში ქანაობა. სმაურზე გაგვეღვიძა, ზემოთ

¹ ახე ეძახდნენ დაბადების ადგილის მიხედვით, იგი მერილენდის შტატის ან ლტოლვილი მონა იყო.

ამოუვარდით და რას ვხედავთ: საწყლები, მთვარის შუქზე კონ-
წიალობენ. ზოგი ანძის წვეროზეა, ზოგი ქანდარაზე, გვერდებზე
კრეისერის ეკიპაჟს მეკობრეები დაუჭერია და სიკვდილით და-
უსჯიაო.

ზემოაღნიშნულ სასეირო ამბავს რამდენადმე წააგავდა ექი-
მის მეორე ოინი. ღამდამობით ზოგიერთი მატროსი საგუშავოს
შიატოვებდა ხოლმე და ქვემო ბანზე ჩადიოდა, რათა ჩიბუხი
მოეწია ანდა ცოტაოდენი კახაჯი და ორცხობილა შეეჭამა. ხან-
დახან ჩაეძინებოდათ კიდეც; როგორც კი რამე იქნებოდა გა-
საკეთებელი, მათი არყოფნა მაშინვე მქლავნდებოდა და ამხა-
ნაგები ხშირად ერთობოდნენ იმით, რომ ჭოჭონაქისა და ფო-
კანძიდან სანათურში ჩაშვებული თოკის მეშვეობით ამოათ-
რეკდნენ ხოლმე მათ.

ერთ დამეს, როცა ყველგან დუმილი გაძეფებულიყო, ქვემო
ბანზე ვიწექი და თვალზე რული არ მეკარებოდა: გამჭვარ-
ტლულ კოჭზე მბჟუტავი ფარანი ქანაობდა: მატროსები ნელ-
ნელა ირწეოდნენ ხომალდის ერთფეროვანი მოძრაობის ტაქტ-
ზე. კიდული საწოლები ხან ერთბაშად აღიოდნენ ზემოთ, ხან
ისეე ჩამოდოდნენ.

უცებ ყური მოვკარი, რომ ტრაპზე ვიღაც ჩამოდოდდა. ზე-
ვით ავიხედე და დავინახე განაერი შარვალი. საადმირალოს
ბობი, ჯეჟუხი მოხუცი მეზღვაური ფრთხილად ჩამოვიდა ქვემო
ბანზე, კარადას მიადგა და შიგ ხელი მოაფათურა, ევებ რამე
საჭმელი იყოსო.

ცოტა რომ მომაგრდა, ჩიბუხის დატენა დაიწყო. მატროსი
ვერ მონახავს იმაზე უფრო მყუდრო ადგილს, ვიდრე „ჯულის“
გემბანია შუალამისას. ნეტარება სრულყოფილი არ იქნება, თუ
მთვლემარე ოცნებაში არ ჩაიძირე, რაც მხოლოდ თამბაქოს
თავგამოდებელი მწვეველისათვისაა ცნობილი. ქვემო ბანზე,
სადაც მძინარეთა გაუთავებელი ხვრინვა ისმოდა, ისეთი ატ-
მოსფერო იყო, რომ კაცს ძილი მოერეოდა. რასაკვირველია,
რამდენიმე ხნის შემდეგ ბობმაც ჩაქინდრა თავი; მალე ქუდიც
მოესადა, ჩამქრალი ჩიბუხაც გამოუვარდა პირიდან, და აი უკ-
ვე სკივრზე გაშოტილს, ჩვილი ყრმის უშფოთველი ძილით
ეძინა.

უცერად გემბანზე გაისმა ბრძანება, რასაც ფეხების ბრაგა-
ბრუგი და გემსართავების ხმაური მოჰყვა. ქანდარები შემოატ-

რიალეს და მაშინვე გაახსენდათ მძინარე; ქვემო ბანის თავზე ჩურჩულით დაიწყეს. თათბირი.

ვილაცა ჩაძვრა ქვემო ბანზე და ჩუმად მიუახლოვდა ბობს, რომელიც ბაიბურში არ იყო. ეს გახლდათ ერთ-ერთი გუშაგი. მას ხელში ეჭირა ბაგირი, რომელიც სანათურის გავლით სადღაც მაღლა ადიოდა. მატროსი წამით შეჩერდა, ფრთხილად დაადო გულზე ხელი თავის მსხვერპლს, რომ გაეგო, ღრმად ეძინა თუ არა; მერე ფეხში ბაგირი ჩააბა და გემბანზე გამობრუნდა.

ის იყო შემოტრიალდა, რომ ექიმი ახმაზი სული ფრთხილად გადმოსტა, ბობს ფეხზე ბაგირი შეხსნა და ელვისებური სისწრაფით მოაბა დიდ მძიმე სკივრს, რომელიც იმავე მატროსს ეკუთვნოდა, წელამ რომ გაუჩინარდა.

დაამთავრა თუ არა ეს საქმე, დაიწყო სერიი! უზარმაზარი ყუთი გრუხუნით მოსწყდა ადგილს და სანათურისაკენ გაქანდა; თან გზადაგზა ეჯახებოდა ყველაფერს, რაც შეხვდებოდა. სანათურში გაიჭედა; ოინბაზებმა იფიქრეს, რომ ბობი, რომელიც თავისი სიძლიერით არ დაუვარდებოდა შპილს, კოჭს ჩაეჭიდა და ბაგირის გადაჭრას ლამობდა; ამიტომ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დაჭიმეს ბაგირი. უცებ სკივრი ჰაერში აფრინდა, ანძას შეეჯახა, გაიხსნა და იქიდან სეტყვასავით წამოვიდა უამრავი ნივთი, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ეს ნივთები უღმობლად დააცვივდა თავზე სრულიად უდანაშაულო ხალხს.

რა თქმა უნდა, ხმაურზე მთელ რაზმს გაელვიმა, და როცა სასწრაფოდ გამოვედით გემბანზე, სკივრის პატრონი თვალეზგადმოკარკლული შეჰყურებდა თავის აქეთ-იქით მიმოფანტულ ავლაღიდებას და სელს ისვამდა კოპზე, რომელიც თავზე დასჯდომიდა.

მკიკაჟის ორი წიგრის გარდაცვალება და დაკრძალვა

მხიარულება, რომელიც დროდადრო მეფობდა ჩვენს ირგვლივ, უცნაურად და უწყესოდ მოგვეჩვენებოდათ, ზოგიერთი ჩვენი ავადმყოფის მდგომარეობა რომ გაგხსენებოდათ. სხვებისა რა მოგახსენიოთ და მე კი ასე ვფიქრობდი.

თუმცა, დაახლოებით ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც მოგვაშორა ყველაზე ძლიერ ტანჯული ადამიანი, ასე რომ იმ დღიდან რაზმის ქცევა იმდენად აღარ შეურაცხყოფდა ჩემს გრძნობებს.

ოცი დღე იქნებოდა გასული, რაც ზღვაში ვიმყოფებოდით, როცა ორი ავადმყოფი, რომლებიც უფრო და უფრო უარესად ხდებოდნენ, სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში გამოესალმა სიცოცხლეს.

ერთი მათგანი ჩემს მარჯვნივ იწვა და უკვე რამდენიმე დღე იყო ველარ დგებოდა. ხშირად ბოდავდა, წამოიჯდებოდა სოლმე, აქეთ-იქით იყურებოდა და ხელებს ასავსავებდა.

მისი სიკვდილის ღამეს, დაიწყო თუ არა ღამის ვახტი, მაშინვე დაწვექი და დავიძინე, მაგრამ უცებ კოშმარმა გამომადვიდა და რაღაც ცივი სხეულის შეხება ვიგრძენი. ეს ავადმყოფის ხელი იყო. საღამოს რამდენჯერმე გადმოლო ჩემს საწოლზე ხელი, და მე ფრთხილად მოვიშორე. მაგრამ ახლა წამოივხტი და ხელი სწრაფად მოვიცილე. იგი უსიცოცხლოდ დაეცა. მივხვდი, რომ ჩემი მეზობელი მკვდარი იყო.

ამხანაგები გავალვიძე. ცხედარი მყისვე გავახვიეთ საბნის ნაჭრებში და გემბანზე დავასვენეთ. მერე უფროს თანაშემწეს დავუძახეთ და დავიწყეთ. მზადება, რათა სასწრაფოდ დაგვეკრძალა. მიცვალებული ფორლუკზე მოვათავსეთ, ტილოს საწოლი ამოვკერეთ, ფეხებთან კი ბირთვის მაგივრად თუჯის ბალასტი ჩავაყოლეთ. ამის შემდეგ ცხედარი შკაფუტსე გადაიტანეთ და ფალშბორტის განივად დამაკრებულ ფიცარზე დაედეთ. ორ კაცს ეჭირა ფიცრის ბოლო. მერე საზეიმო-სამგლოვიარო წუთის აღსანიშნავად გროტმარსელი შემოვაბრუნეთ და ზომალდი გავაჩერეთ.

უფროსმა თანაშემწემ, რომელზედაც ფხიზელიაო ვერ იტყოდით, ბარბაცით გადმოდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და, ვანტებს ჩაჭიდებულმა, ბრძანება გასცა. ფიცარი დაიხარა, ცხედარი ნელა დაცურდა და დგაფუნით ჩავარდა ზღვაში. რამდენიმე ბუშტუკი... სულ ეს იყო, რაც დავინახეთ.

— აუშვით იალქნები!

გროტრეი შემობრუნდა და კვლავ საწყისი მდგომარეობა მიიღო. გემი ნელ-ნელა დაიძრა, მაშინ როცა ცხედარი, ვინ იცის, ჯერ არც კი იყო ჩაძირული.

ჩვენი ამხანაგი ზვიგენებს გადაუგდეთ, მაგრამ ამას ვერავინ მიხვდებოდა, თვით დაკრძალვის შემდეგაც რომ გამოლაპარაკებოდა მატროსებს. განსვენებული დიდი უხეში და უკარება ვრძემ იყო სიცოცხლეში და ამიტომაც არ უყვარდათ; ახლა, სიკვდილის შემდეგ ხომ თითქმის სულ აღარ ახსენებდნენ. მხოლოდ იმაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, თუ რა ექნათ მისი სკივრისათვის, რომელშიც, როგორც ვარაუდობდნენ, ფული უნდა ყოფილიყო შენახული, რადგან ზედ მუდამ ბოქლომი ედო. ვილაცამ სურვილი გამოთქვა სკივრი გაეტეხათ და რაც შიგ იყო, ყველაფერი დაენაწილებინათ — ტანისამოსი იქნებოდა ეს თუ სხვა რამ, — სანამ კაპიტანი გამოითხოვდა.

მე და რამდენიმე კაცი ვცდილობდით როგორმე გადაგვეთქმევინებინა ამხანაგებისათვის, რომ ასეთი თვითნებობა არ ჩაედინათ, მაგრამ ამ დროს ქვემო ბანიდან მოიხმა ყვირილი, რამაც ყველა შეგვაძრწუნა. იქ დარჩენილი იყო მხოლოდ ორი ავადმყოფი, რომლებსაც გემბანზე ამოსვლა არ შეეძლოთ. ჩვენ ქვემოთ ჩავედით და ვნახეთ, რომ ერთი მათგანი სულთმობრძავი იწვა სკივრზე. თურმე შეტევა მოსვლოდა, საწოლიდან გადმოვარდნილიყო და ახლა გონმიხდილი ედო. თვალები გახელილი ჰქონდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. ქოშინით სუნთქავდა. მატროსებმა სწრაფად დაიხიეს უკან. ექიმმა ავადმყოფის ხელი აიღო. რამდენიმე წამს ეჭირა, მერე უცებ ძირს დაუშვა და თქვა:

— გარდაიცვალა! — ცხედარი დაუყოვნებლივ ავიტანეთ ტრაპზე.

მალე გავშალეთ კიდევ ერთი ძველი საწოლი და ეს მკვდარი მესღვაურიც ისევე ჩავასვენეთ შიგ, როგორც პირველი, მაგრამ ამჯერად მატროსებმა დაჟინებით მოითხოვეს ბიბლია

მოეტანათ. ბიბლია კი არა, ლოცვანიც არავის აღმოგვაჩნდა. ეს რომ ვამოიჩვენო, პორტუგალიელი ანტონე, მწვანე კონცხის კუნძულების მკვიდრი, წინ წამოდგა, რაღაც წაიდუღუნა თავისი თანამემამულის ცხედართან და მერე ჯვარი გადასახა. მხოლოდ ამის შემდეგ გავუყენეთ მიცვალებული თავის უკანასკნელ გზას.

ეს ორი ადამიანი, როგორც იტყვიან, დალუპა მატროსულმა თავშეუკავებლობამ, რაც კიდევ უფრო გაუძლიერდათ სავსებით გასაგები მიზეზების გამო; ნაპირზე რომ ყოფილიყვნენ და სათანადოდ ემკურნალათ, უთუოდ ორივენი გამოჯანმრთელდებოდნენ.

ასეთია მატროსის ბედი! უკანასკნელად ამოჰკრავენ ჰანდურს და მერე აღარავის ახსოვს.

იმ ღამეს აღარ გეძინებია. ბევრს გემბანზე დაათენდა. ჰყვებოდნენ ათასნაირ საზღვაო ამბებს, რომლებიც შეიძლება მოაგონდეს კაცს ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით. ამგვარი მონაჭორებისა არ მჯეროდა, მაგრამ მათი მოსმენისას არ შემებლო მშვიდად ვყოფილიყავი. ყველაზე უფრო ხუროს ამბავმა შემამძრწუნა.

... ერთხელ თურმე ინდოეთისაკენ რომ მიდიოდნენ, გემზე ციებ-ცხელება გაჩნდა, რომელმაც რამდენიმე დღეში ეკიპაჟის ნახევარი იმსხვერპლა. ამის შემდეგ ღამით მატროსები მხოლოდ ორ-ორი ადიოდნენ ანძაზე, როცა მარსელების რიფების აკრეფა უზღებოდათ, ქანდარების ბოლოებზე აჩრდილები იდგნენ; ჰალსს რომ ვიცვლიდით, ზემოდან ვილაცყების ხმები ისმოდა. თვითონ ხურო, ქარიშხლის დროს მეორე მატროსთან ერთად გროტანძაზე რომ ავიდა ბრამსელის დასაშვებად, უხილავმა ხელმა ცინაღამ ძირს ჩამოაგდო; მისი ამხანაგი კი იფიცებოდა, სველი ტილო მოუსვა ვილაცამ სახეზეო.

ამგვარ ამბებს ჭეშმარიტებად ასაღებდნენ ადამიანები და ამტკიცებდნენ, ყველაფერი საკუთარი თვალით ვნასეთო.

აღბათ ყველამ არ იცის, რომ ზოგიერთი გაუნათლებელი მეზღვაური ფინეთის მკვიდრთა ანუ ფინელების შიშართ განსაკუთრებული ცრუ რწმენითაა გამსჭვალული. რაღაც მიზეზთა გამო, რომლებიც დღესაც გამოუცნობია ჩემთვის, ისინი მიაჩნიათ ნათელხედვის დიდი ნიჭის მქონეებად, რომელთაც იმის უნარიც შესწევთ, რომ უმაღლესი სასჯელი მიაგონ თავიანთ

შეურაცხყოფელთ. ამიტომაც დიდი გავლენიანობით სარგებლობენ მატროსთა შორის. მე სხვადასხვა დროს მომიხდა ნაოსნობა რამდენიმე ფინელთან ერთად, და ყველა ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ადვილად შეეძლოთ ამგვარი შთაბეჭდილების მოხდენა, ყოველ შემთხვევაში — ისეთებზე მაინც, ვისაც სწამთ იმქვეყნიური ძალების არსებობა.

ჩვენთან, „ჯულიაზე“ იყო ზღვის წინასწარმეტყველი — ჩალისფერთმიანი მოხუცი, რომელსაც სელაპის მოუთრიმლავი ტყავის ქუდი ეხურა და თამბაქოც სელაპისავე ტყავის ქისით დაჰქონდა. ვანს, როგორც მას ვეძახდით, მშვიდი, უწყინარი კაცის შესახედაობა ჰქონდა, და ზოგ უცნაურობას, რომელსაც ხანდახან ამჟღავნებდა, რაზმი ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ ახლა მან ისეთი რამ იწინასწარმეტყველა, რომ ზუსტად ახდა, თუმცა მთლად იმ მნიშვნელობით არა, რაც მას ჰქონდა მხედველობაში.

დაკრძალვის ღამეს მან ხელი დაადო ძველ ნალს, რომელიც ბედნიერების ნიშნად იყო მიჭედებული ფოკანძაზე, და საზეიმო კილოთი წარმოთქვა, სამი კვირაც არ იქნება გასული, რომ „ჯულიაზე“ მეოთხედი ხალხიც არ დარჩებაო, — დანარჩენები სამუდამოდ გამოეთხოვებიან ხომალდსო.

ზოგიერთებმა გაიცინეს. თაღლითმა ჯექმა გამოჩერჩეტებული ბებერი უწოდა მას, მაგრამ საერთოდ ამ წინასწარმეტყველებამ მატროსებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენიმე დღეს ხომალდზე სიჩუმე იყო, ამასწინანდელ ამბებზეც ისე საუბრობდნენ, რომ ამას მხოლოდ ფინელის წინასწარმეტყველებით თუ ახსნიდა კაცი.

პირადად მე მგონია, რომ ამ წინასწარმეტყველებამ რამდენადმე გავლენა იქონია შემდგომ მომხდარ ამბავზე. იგი მუდამ გვახსენებდა ჩვენს ნამდვილ კრიტიკულ მდგომარეობას. ექიმი ახმახი სულიც ხშირად მიზიარებდა თავის შიშს; ერთხელ გულახდილად მითხრა, არაფერს არ დავიშურებ, ოღონდ რომელიმე კუნძულზე გადამსვაო.

აღბათ უფროსი თანაშემწის გარდა ზუსტად არავინ იცოდა არც ის, თუ სად ვიმყოფებოდით ახლა, და არც ის, თუ საით მივემართებოდით. კაპიტანი — არარაობად ქცეული კაცი — ავად იყო და კაიუტიდან ვერ გამოდიოდა; არც მისი მატროსების უმრავლესობა იყო კარგად, ქვემო ბანზე რომ ხდებოდათ სული.

ის ამბავი, რომ ასეთ პირობებში კვლავ შუა ზღვაში ვიყავით, თავიდანვე ფრიად უცნაურად გვეჩვენებოდა, ახლა კი ამას არავითარი გამართლება არ ჰქონდა. ამასთან სულ თავში გვიტრიალებდა ფიქრი, რომ ჩვენი ბედი უგუნური ჯერმინის ხელში იყო. იმას რომ რამე მოსვლოდა, ხომ უშტურმანოდ დაერჩებოდი. ჯერმინმა გვითხრა, რომ მთელი ნაოსნობის მანძილზე გემის ადგილსამყოფელს მხოლოდ თვითონ არკვევდა, რადგან კაპიტანს სუსტად ესმოდა სანავიგაციო საქმე.

თუმცა, რა უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ ეს, ამგვარი ფიქრები ან სულ არ მოსდიოდათ მატროსებს თავში, ანდა, თუ მოსდიოდათ — ძალზე იშვიათად. მათ მხოლოდ ცრუმორწმუნეობრივი შიში ჰქონდათ; და როცა, ფინელის წინასწარმეტყველების საპირისპიროდ, ავადმყოფთა მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, მატროსებს კვლავ დაუბრუნდათ წინანდელი გუნება-განწყობილება, და თავს გადამხდარი ამბის მოგონება თანდათან ამოიშალა მათი ხსოვნიდან. ერთი კვირის შემდეგ ზღვაში ცურვისათვის „ჯულიეტას“ გამოუსადეგარობა, რომელიც წინათაც ხშირად იყო ხოლმე დაცინვის საგანი, ახლაც ყველას საოხუნჯო გახდა. ქვემო ბანზე თაღლითი ჯეკი წამდაუწუმ ჩიჩქნიდა დანით სველ, დამპალ ფიცრებს, რომლებიც სიკვდილისაგან გვეყოფდა, ნაფოტებს ისროდა და თან მეზღვაურულად ოხუნჯობდა.

რაც შეეხება ჯერ კიდევ სწეულ მატროსებს, არა მგონია ისე ავად ყოფილიყვნენ, რომ ისეთ უზრუნველ ადამიანებს, როგორც ისინი იყვნენ, რაიმე სერიოზული შიში შეპარვოდათ — ყოველ შემთხვევაში — ახლა. თვით ყველაზე მძიმე ავადმყოფებიც კი ცდილობდნენ არაფერი დაეჩივლათ.

უნდა ითქვას, რომ მატროსებს ძალიან ეზარებათ, როცა ვინმე ავად ხდება, და თითქმის არც აქცევენ ყურადღებას; ამიტომ, რაც არ უნდა ავად გახდნენ, ცდილობენ ხოლმე დამალონ თავიანთი ტანჯვა. მათ არც სხვებისთვის თანაუგრძნიათ ოდესმე და არც ის უნდათ, რომ ვინმემ თანაუგრძნოს. ასეთ შუქთხვევაში მეზღვაურების ქცევა ისე ეწინააღმდეგება ნაპირზე მათს სულგრძელობას, რომ ახალბედას, რომელიც პირველადაა მოჩვედრილი მათს საზოგადოებაში, მეტად უსიამო გრძნობას უღვიძებს.

ზოგჯერ, თუმცა ეს იშვიათად ხდება, ჩვენი ავადმყოფე-

ბი ილანძღებოდნენ, შუა ზღვაში რა გვინდა, აქ რა უნდა გავაკეთოთო; ახლა ნაპირზე უნდა ვიყოთ, რომ ეგებ როგორმე მოვმჯობინდეთო. მაშინ უფროსი თანაშემწე ეუბნებოდა:

— აბა! რას ჩამოგიშვიათ, ბიჭებო, ცხვირი! — და ასე ამნაირად აწყვეტინებდა ბუზლუნს.

თუმცა, იყო ერთი გარემოება, რაც აქამდე მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიე და რაც ყველაზე უფრო უწყობდა ხელს მრავალი ადამიანის თავის ბედთან შერიგებას. რეგულარულად დღეში ორჯერ ყველანი ღებულობდნენ თითო ულუფა პისკოს; სასმელს ჩამოარიგებდა ხოლმე შპილთან მდგარი იუნგა. იგი პისკოს ასხამდა თუნუქის პატარა ჭიქებში, რომლებსაც „ფი-ალებს“ უწოდებდა.

მატროსები რომ მაგარ სასმელებს ეტანებიან, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ სამხრეთის ზღვებში, სადაც მათი შონა ძნელია, ნამდვილი მეზღვაური, ოღონდ ერთი „ფიალი“ გადაკრას და, თუნდაც ეშმაკს მიჰყიდის სულს. ამჟამად ამერიკის ვეშაპსანადირო გემებზე, რომლებიც წყნარ უკეანეში მოგზაურობენ, ფიქრადაც არ მოსდით, რომ სპირტიანი სასმელები მოიმარაგონ მატროსებისათვის ჩამოსარიგებლად; თვით მძიმე სამუშაოს შესრულებისასაც არ აძლევენ მათ. მაგრამ სიღნეული ვეშაპსანადირენი დღემდე იცავენ ძველ ადათ-წესებს, და არაყი ეკუთვნის იმ აუცილებელ პროდუქტთა რიცხვს, რომლებიც საგზლად მიაქვთ.

დრეიფზე დღომისას პისკოს გაცემა წყდებოდა — უთუოდ იმ მიზნით, რომ შუა ზღვაში ყოფნას მეტი მიმზიდველობა ჰქონოდა.

და აი ნამდვილი დისციპლინის უქონლობის გამო ჩვენი ავადმყოფები, რომლებსაც არ ჰყოფნიდათ ის დოზა, რასაც წამლის სახით ღებულობდნენ, ხშირად ამოდრიოდნენ გემბანზე კუთვნილი „ფილის“ დასალეევად; ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, რომ ყოველი კვირის წინა დღე აღინიშნებოდა „შაბათის ბოთლით“, როგორც ინგლისის გემებზე უწოდებდნენ. დაღამდებოდა თუ არა, ქვემო ბანზე იგზავნებოდა ორი ბოთლი: ერთი შტირბორტის, ხოლო მეორე ბაკბორტის გუშაგებისათვის.

ტრადიციის მიხედვით ყოველი ვახტის უხუცესი მატროსი თავის კუთვნილებად თვლიდა ამ მოსაკითხს; კარგად რომ გადაკრავდა, მერე სტუმართმოყვარე მასპინძელივით ჩამოატა-

რებდა ბოთლს. მაგრამ საქმე „შაბათის ბოთლით“ როდი მთავრდებოდა. ზურო და მეკასრე, მეზღვაურები „ბურბუშელასა“ და „საცობას“ რომ ეძახდნენ, ქვემო ბანის აღიარებული „ტომები“ ანუ ბელადები, როგორღაც ასერსებდნენ დამატებითი ულუფის შოვნას, რისგანაც ყოველ ნასადილევს შესანიშნავ გუნებაზე იყვნენ და აღარც ბედს ემდუროდნენ, ასეთ ყოფაშა რომ ვიყავით.

კი მაგრამ, სად იყვნენ ამ დროს კაშალოტები? ისე, კაცმა რომ თქვას, სულ ერთი არ იყო, სადაც იქნებოდნენ, — ნენ ზომ მაინც არ ვიყავით მათი დამტყერი. აქამდე მატროსები ანძებზე იდგნენ გუშაგებად და ასე თუ ისე რეგულარულად ცვლიდნენ ერთმანეთს ყოველ ორ საათში. მაგრამ აი ერთხელ, ჩამოვიდა თუ არა ერთი ცვლა, მორიგმა ცვლამ დაიფიტა, მაღლა აღარასოდეს აეაღო. ამის პასუხად უფროსმა თანაშემწემ უზრუნველად შენიშნა, მალე ისეთ ადგილას მივალთ, სადაც სულაც არ იქნება საჭირო მეთვალყურეები, რადგანაც ვეშაპები, რომლებიც ნიშანში მაქვს ამოღებული (თუმცა თაღლითი ჯეკი ამტკიცებდა, რომ სუყველა ნიშანში ჰქონდა ამოღებული), თვინიერნი არიან, ერთთავად გემის ირგვლივ ტრიალებენ და ქიმზე ზურგს იფხანენო.

ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება ზღვაში. უკვე ოთხ კვირაზე მეტი იყო გასული, რაც ჰანამანუ დავტოვეთ.

თ ა ვ ი 13

კურსი ვიცვალეთ

ორი მატროსის სიკვდილის შემდეგ მალე შევიტყვეთ, რომ კაპიტან გაის ჯანმრთელობა სწრაფად უარესდებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი თქვეს, კვდებო. ექიმი, რომელიც წინათ არავითარ შემთხვევაში არ შედიოდა მასთან კაიუტაში, ახლა მოღობა და პროფესიული ვიზიტით ანახულა თავისი დაუძინებელი მტერი.

მან გამოუწერა თბილი აბაზანა, რომელიც შემდეგნაირად მოაწყვეს: ახდელი სანათურიდან კაიუტაში ჩაუშვეს კასრი, მერე კი ვედროებით მოზიდეს წყალი კამბუზის ქვაბებიდან. გულ-

საკლავად გაჰკიოდა ავადმყოფი, როცა ამ პრიმიტიულ აბაზანაში ჩასვეს. ბოლოს იგი ცოცხალმკვდარი დასვეს სკივრზე.

იმ საღამოს უფროსი თანაშემწე სავსებით ფხიზელი იყო. ის მოვიდა შპილთან, სადაც უსაქმოდ ვტრიალებდით, და წინადადება მოგვცა მე, ექიმსა და თავის რამდენიმე ახლობელს, რათა კიჩოზე გავსულიყავით; იქ მათი ბემბოს თანდასწრებით ასე მოგვმართა:

— მინდა რაღაც გითხრათ, ბიჭებო. აი ამ ბემბოს გარდა ჩვენ არავითარი უფროსი არა გვყავს; ამიტომაც დავიძახეთ თქვენ, ყველაზე საუკეთესოებს, რომ გემის შესახებ მოვეთათბიროთ. კაპიტანი მალე გაჭიმავს ფეხებს; სულაც არ გამიკვირდება, რომ დილით სული ამოსძვრეს. რა ვქნათ; ტილოში რომ გავაბვიოთ, იქ, გემის ცხვირზე მყოფ ზოგიერთ მეკობრეს შეიძლება თავში მოუვიდეს გემის გატაცება, რადგან რუმპელთან არავინ არის. ჰოდა, მე მგონი, მოვიფიქრე, როგორ უბოხია მოვიქცეთ; მაგრამ, ეს რომ გავაკეთო, კაი ბიჭებმა მხარი უნდა დამიჭიროთ აქაც და იქაც, თუ ღმერთმა ქნა და სასლში დავბრუნდით.

ყველამ ვკითხეთ, როგორი იყო მისი გეგმა.

— ახლავე გეტყვით, ბიჭებო. თუ მეთაური მოკვდა, თქვენ ყველამ თანხმობა განაცხადეთ ჩემს მორჩილებასზე, და სამიოდ კვირაში, მე ვარ ამის თავდები, ხუთასი კასრი ვეშაპის ქონი გვექნება. ეს საკმარისია იმისათვის, რომ ყოველმა თქვენგანმა თითო პეშვი დოლარი ჩაიჩხრიხლოს ჯიბეში, როცა სიღნეში მოვხვდებით. თუ თანხმობას არ განაცხადებთ, კაპიტანსაც არ მიიღებთ!

ექიმი ახმაზი სული დაუყოვნებლივ ჩაერია ლაპარაკში. მან თქვა, რომ ამაზე ოცნებაც კი შეუძლებელია: თუ კაპიტანი მოკვდება, უფროსი თანაშემწე ვალდებულია მიიყვანოს გემი უახლოეს ცივილიზებულ ნავსადგურში და გადასცეს იგი ინგლისის კონსულს. იქ, უეჭველია, რაზმს ჯერ ნაპირზე გადასხამენ, შემდეგ კი დაითხოვენ. უფროსი თანაშემწის გეგმა ყველა კანონს ეწინააღმდეგება. ექიმმა გულგრილი სახე მიიღო და დაუმატა:

¹ მატროსები „წილში შესვლით“ იყვნენ დაქირავებულნი, ესე იგი, ზელფასს არ ღებულობდნენ, მაგრამ სელშეკრულებით ერგებოდნენ რეწვით მიღებული მოგების გარკვეული ნაწილი.

— თუმცა, თუ ბიჭები იტყვიან, ასე იყოსო, მეც ვიტყვი, ასე იყოს-მეთქი; მაგრამ ასეთ შემთხვევაში რაც უფრო მალე მოვხვდებით თქვენს კუნძულებზე, მით უკეთესია.

ექიმი ლაპარაკს განაგრძობდა, და იმის მიხედვით, თუ როგორ უყურებდნენ დანარჩენები, ჩანდა, რომ ჩვენი ბედი მის ხელში იყო. ბოლოს და ბოლოს შემდეგზე შევთანხმდით: თუ კაპიტანი ერთ დღე-ღამეში არ მომჯობინდა, „ჯულია“ ტაიტისაკენ აიღებს კურსს.

ამ ცნობამ დიდი სენსაცია გამოიწვია: ავადმყოფები გამოცოცხლდნენ, დანარჩენები კი მარჩიელობდნენ, თუ რა მოგველოდა შემდგომ. ხოლო ექიმმა ისე, რომ გაი სულაც არ უხსენებია, მომილოცა, რომ მალე მოვხვდებოდი ისეთ მშვენიერ ალაგს, როგორიც იყო კუნძული ტაიტი.

ღამით „ძალღური ვახტის“ დროს გამოვედი გემბანზე და დავინახე, რომ ქანდარები მკვეთრად იყო შემობრუნებული მარცხენა ჰალსზე. ძლიერი სამხრეთ-აღმოსავლეთის პასატი სახეში გვცემდა. კაპიტანი ვერ მომჯობინდა, და ჩვენ ტაიტისაკენ ავიღეთ კურსი.

თ ა ვ ი 14

ქ ე ნ ძ ა

სანამ „ჯულია“ დინჯად მიჰყვება თავის გზას, შემთხვევით ვისარგებლებ და მოგიყვებით ერთი საწყალი კაცის ამბავს. იგი ჩვენთან ერთად მოგზაურობდა. ძენძას ეძახდნენ.

ძენძა შეუხვდავი კაცი იყო. პროფესიით არ გახლდათ მეზღვაური. რაკი ძალიან მშიშარა და მოუქნელი იყო, გადაწყვიტეს, ტყუილად გავირჯებით, ამისაგან მატროსი მაინც არ გამოვაო და კაპიტნის კაიუტაში დანიშნეს მოსამსახურედ. ყმაწვილი, კარგი მატროსი, რომელიც მანამდე იუნგად მსახურობდა, მის ადგილას ჩაგზავნეს ქვემო ბანზე. მაგრამ უბედური ძენძა ჭურჭლეულობაშიც ისეთივე მოუქნელობას იჩენდა, როგორსაც გემის მოწყობილობაში; ერთხელ გემის ძლიერი გრძივი რყევის დროს კაიუტის წინ წაიფორხილა, ერთი ჯამი წვნიანი გადაავლო თავზე ოფიცრებს და ისე დამდულრა, რომ ერთ კვირას ვერ

მოვიდნენ გონს. ამის შემდეგ დააქვეითეს და ისევ ქვემო ბანზე უკრეს თავი.

გემზე არაეინ ისე არ ეზიზღებათ, როგორც სულმდაბალი, წარმაცი, უმაქნისი და ღონღლო ადამიანები; მეზღვაურები საშინელ უღმობლობას იჩენენ მათ მიმართ. თუმცა მათგან ხეირს ვერ ნახულობენ, მაგრამ გემის ეკიპაჟი არასოდეს არ აძლევს ნებას, რომ თავიანთი ნაკლის გამო რაიმე სარგებელი ნახონ. ასეთ ადამიანს ისე უყურებენ, როგორც უბრალო მექანიკურ ძალას; როცა მძიმე საქმეა გასაკეთებელი, ბერკეტივით ხმარობენ და ყველა მას ეტანება.

ძენძას მსგავს ადამიანს ყველაზე ბინძური სამუშაო უწევს ხოლმე. როცა რამეა გასაფისი, თავით აძვრენენ კუპრით სავსე კასრში და ასე აკეთებინებენ საქმეს. უფრო მეტიც, ძენძა თითქოს იმისთვისაა მოწოდებული, რომ ძალღვივით გაგზავნ-გამოგზავნონ ამა თუ იმ დავალებით. როცა უფროსი თანაშემწე გაგზავნის კვადრანტსე, გზაში აუცილებლად შეხვდება კაპიტანი და უბრძანებს, ახლავე ძენძი მომიტანეო; როცა აქეთ-იქით დადის და საამისოდ თოკის ბოლოს ეძებს, გამოიხდება რომელიმე მოცლილი მატროსი, აქ რა ეშმაკი გინდაო, ჰკითხავს, და შეუძახებს, აბა, ქვემო ბანისაკენ მოუსვითო.

„დაემორჩილე უკანასკნელ ბრძანებას“ — ასეთია ზღვის ურღვევი კანონი. დადის ასე უხვირო კაცი, არც ერთ სამუშაოზე არ აშობს უარს, გიჟივით დარბის და არაფერს არ აკეთებს; ბოლოს მუჯღუგუნებით უმასპინძლდებიან.

ამ უბედურებას ისიც ემატება, რომ ხმას არ ამოაღებინებენ, სანამ თვითონ არ გამოეღაპარაკებიან, თუმცა მაშინაც გაჩუმება უჯობს. თავისდა საუბედუროდ, ხუმრობა უყვარს! როცა მისთვის აებედით წუთს გაიხუმრებს, ვერ ხვდება, რით შეიძლება დამთავრდეს ეს ხუმრობა.

მაგრამ თუ სხვებმა გაიხუმრეს მასზე, მაშინ კი უდიდესი გულითადობით უნდა მიიღოს ეს გახუმრება.

ვაი მისი ბრალი, თუ სადილობისას ხორციან ქვაბს მანამდე გადახედა, სანამ სხვები ამოიღებდნენ თავიანთ ულუფას.

გარდა ამისა, ძენძა ვაღდეგებულა თვითონ დაიბრალოს ყველა დანაშაული, რომლის ჩამდენიც არ აღიარებს მას, და პასუხი აგოს ყოველი მშინშარა არამზადის მაგიერ, რომელიც ნაპირ-

ზე სრულ არარაობას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, მის ფათერაკებს დასასრული არა აქვს.

იგი მალე ეცემა სულით, თავს შეურაცხყოფილად და უბედურად გრძნობს და, ბუნებრივია, ამის პირველივე შედეგი არის უკიდურესი დაუდევრობა.

შესაძლოა, მატროსები მეტ ღმობიერებას უნდა იჩენდნენ; მაგრამ ისინი სასტიკი არიან და ამიტომ ამას არ აკეთებენ. მხოლოდ იმ უბედურის სისუფთავეში შეაქვთ ეჭვი, მას ესხმიან თავს, როგორც შუა საუკუნეებში ესხმოდა თავს გამხეცებული ბრბო ებრაელს; მას ქარის მხრის შიგაგატებისაკენ მიათრევენ და სულ მთლად აშიშვლებენ. ამოდ ითხოვს დანდობას, ამაოდ ეხვეწება კაპიტანს, რომ გამოექომაგოს.

უბედურია-მეთქი დონდლო კაცი ზღვაში! იგი ყველაზე საცოდავია მთელ ფლოტში. სწორედ ასეთი იყო ძენძა — ყველაზე დონდლო და ყველაზე უბედური ხმელეთზე მოსიარულეთა შორის. დაბეჩავებული, დაუძღურებული კაცის შესახედლობა ჰქონდა, ნიადავ პირმოღუშული იყო; შეხედავდით თუ არა, მაშინვე იტყოდით, ამ აღამიანს დიდი უბედურება გამოუვლიაო. ჩამომდნარ, ავადმყოფურ სახეზე ბებრული ნაოჭები არ აჩნდა, მაგრამ არც ახალგაზრდულად ჰქონდა გადატკეცილი კანი. ღმერთმანი, ვერ შევატყვე, რამდენი წლისა იყო: ოცდასუთისა თუ ორმოცდაათის.

მაგრამ მოდი ახლა მის წარსულს მივუბრუნდეთ. თავის საუკეთესო წლებში ძენძა პურის მცნობლად მუშაობდა ლონდონში, სადაც სადგურ ჰოლბორნის ახლოს; კვირადღეობით ლითონისღილებიან პალტოს იცვამდა და საღამოს საათებს ატარებდა ტავერნაში, სადაც ჩიბუსს წევდა და ელს სვამდა, როგორც შეეფერება მის მსგავს ყოველ უზრუნველ საბაზს. მაგრამ ეს ღიღხანს არ გაგრძელებულა; ვიღაც გამოიჩინრჩეტებული ბებერი ჩაერია მის საქმეში და დაღუპა კიდევ. მან ძენძა დაარწმუნა, ლონდონი, ასე ვთქვათ, უფრო ხანშიშესული და ავადმყოფი ჯენტლმენების შესაფერისი ადგილია, თავიანი, ფხიანი ჭაბუკისათვის კი ავსტრალია ნამდვილი აღთქმული ქვეყანააო. ერთ უბედურ დღეს ძენძამ თავისი საქმეები მოაგვარა და გემზე ავიდა.

სიღნეში მცირეოდენი კაპიტალი ჩაჰყვა. ერთხანს მშვიდად და მყუდროდ ცხოვრობდა, გულმოდგინედ ზეულდა ცომს, მერე

კი ცოლი შეირთო; ქალი ეუბნებოდა, ახლა უკვე შევიძლია სამუშაოს თავი დაანებო და მოსვენებულად იცხოვრო ქალაქგარეთ, რადგან კარგად ვუძღვები ყველა საქმესო. მოკლედ რომ ვთქვათ, ცოლი გულის ვარამი იყო და ჯიბის ზარალი; ბოლოს ქალი მის სალაროსა და ოსტატთან ერთად გაიქცა. ძენძამ მიაშურა ტავერნას, რომელსაც ერქვა „ჩიბუხი და ჭიქა ლუდი“, დალია და მეზუთე ჭიქაზე თავის მოკვლის ფიქრი აეკვიატა; განზრახვა კიდევ მოიყვანა სისრულეში: მეორე დღეს ქირით სამუშაოდ მოეწყო „ჯულიაზე“, რომელიც სამხრეთის ზღვებში სანაოსნოდ მიდიოდა.

ყოფილ ხაბაზს ასე ცუდად როდი წაუვიდოდა საქმე, მეტისმეტად გულჩვილი რომ არ ყოფილიყო. ყოველ ალერსიან სიტყვაზე დნებოდა; მთელი მისი უბედურებაც აქედან მოდიოდა. რამდენიმე ხუმარა, რომლებმაც იცოდნენ მისი სუსტი მხარეები, სწორედ მაშინ ჩაითრევდა საუბარში, როცა გვერდით ყველაზე გულფიცხი და ღვარძლიანი მოხუცი მატროსები იყვნენ.

აი მაგალითად: გუშაგებმა ეს-ეს არის გაიღვიძეს, ყველა საუზმობს. ძენძაც იქვე მიკუნჭულა და ნაღვლიანად მიირთმევს თავის ულუფას. მხედველობაშია მისაღები, რომ ახალგაღვიძებული მატროსები სულაც არ არიან ანგელოზები, ამიტომ ყველანი დუმან და პირმოღუმულნი და პირგაუპარსავნი ლოღონიან ორცხობილას. სწორედ ამ დროს შესახედავად ალერსიანი არამზადა — თაღლითი ჯეკი — თუნუქის ჭიქით ხელში მის დის დონდლოსთან და გვერდით მიუჯდება.

— ვერ არის გემრიელი საჭმელი, ძენძა, — იწყებს იგი. — განსაკუთრებით უგემურია იმათთვის, ვისაც ლონდონში უცხოვრია და კაი დრო უტარებია. ყური მიგდე, ძენძა, ახლა რომ პოლბორნში იყო, რა გექნებოდა საუზმედ, ა?

— საუზმედ! — შესძახებს ძენძა. — აჰ, არ მითხრა ერთი, თუ კაცი ხარ!

— რამ ააღელვა ეგ ყმაწვილი? — ღრიალებს ბებერი ზღვის მგელი და მძვინვარედ მოიხედავს.

— არაფერი, ისე, — ამბობს ჯეკი; მერე ძენძასკენ იხრება და სთხოვს განაგრძოს, ოღონდ ჩუმად.

— მაშ ასე, — თავმომწონედ იწყებს თხრობას ძენძა და თვალები ნაღვერდლებივით უელავს, — მე წავიდოდი, ჩემო ბატო-

ნო, მოლისთან, რომელიც საუცხოო ნაზუქებს აცნობს. იცი რა, შევიდოდი, ბუხართან მოვიკალათებდი და ჯერ მეოთხედ პინტ რაიმე სასმელს მოვითხოვდი.

— მერე, ძენძა?

— მერე, ჩემო ჯეკ, — განაგრძობს ამ საუბრისაგან უნებურად აღფრთოვანებული საცოდავი მსხვერპლი, — მერე კი... მაგიდას მიუჯდებოდი და დავუძახებდი ბეტის, ქალიშვილს, რომელიც მუშტრებს ემსახურება. ბეტი, ძვირფასო, ვეტყვოდი, დღეს შენ მომსიბლავი ხარ; მომიტანე, ბეტი, ძვირფასო, ერბოკვერცხი და შებოლილი მკერდის ხორცი, კიდეც ერთი პინტი ელი და სამი ცხელი ნაზუქი, კარაქიც... ერთი ნაჭკერი ჩეშირული ყველიც... კიდეც, ბეტი, მომიტანე...

— კიდეც ზვიგენის ბივშტექსი, რომ ჯანდაბაში და დოზანაში წახვიდე! — ღრიალებს შავი დანი. ბელუკუდმართ ყმაწვილს გემბანზე მიათრევენ და იქ ბეგვავენ.

მე ყოველთვის ვცდილობდი რაც შემეძლო მივშველებოდი საწყალ ძენძას, რის გამოც ძალიან უყვარდი.

თ ა 3 0 1 5

ბურბუშელა და საცობა

მას შემდეგ, რაც „ჯულიამ“ უახლოესი ნავსადგურისაკენ აიღო კურსი, ბურბუშელა და საცობა კიდეც უფრო მიეძალნენ სასმელს. ნასვამი მეგობრები — ანუ „კომპანიონები“, როგორც მატროსები უწოდებდნენ, — ყოველ ცისმარე დღეს მხიარულ გუნებაზე დაეხეტებოდნენ გემბანზე, დანარჩენები კი შურით გულზე სკდებოდნენ.

მეტწილად შექეიფიანებული იყვნენ, მაგრამ მათზე უფრო წინდახედულ ლოთებს ვერ ნახავდა კაცი. არასოდეს დაუნახავს ვინმეს, რომ ისინი სპირტიან სასმელს გაჰკარებოდნენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იუნგა კუთვნილ ულუფას ჩამოურიგებდა ხოლმე ყველას და საკმარისი იყო ვინმეს ეკითხა, როგორ ახერხებთ დამატებითი ულუფის შოვნასო, რომ იმწამსვე გამოფხიზლდებოდნენ და გონებადამჯდარი ხდებოდნენ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მათი საიღუმლო გამომჟღავნდა,

პისკოს კასრები იდგა ანტერლიუკში, რომელსაც ბოქლომი ედო. მაგრამ მეკასრე მაინც ახერხებდა მის გაქურდვას: ჯერ წინა ტრიუმში ჩადიოდა, მერე კი დიდი რისკის ფასად ზოხვით გაივლიდა ათასნაირ დაბრკოლებას, რომლებსაც შეიძლებოდა დაეტანა და მოეკლა კიდეც, და ასე აღწევდა იმ ადგილამდე, ზაღაც კასრები იდგა.

მისი პირველი ექსპედიციის დროს ერთადერთი კასრი, რომელთან მისვლაც შეეძლო, იდგა სხვა კასრებს შორის, ისე რომ საცობი მაღლა ჰქონდა მოქცეული. მან მოლუნული რკინის სალტე დააჭირა საცობს და შიგ ჩააგდო; მერე სალტეს თავისი ყელსახვევი მოაბა და რამდენჯერმე ჩაუშვა კასრში, ყელსახვევიდან გამოწურულ სასმელს კი ფრთხილად ასხამდა პატარა ვედროში.

საცობა თითქოს სასმელების დაწესებულებათა მეპატრონეების საბედნიეროდ იყო დაბადებული. ის ნელ-ნელა წრუპავდა, სანამ ზომიერად არ დათვრებოდა, მერე კი უსომოდ ბევრს სვამდა, ისე რომ არც ფხიზლდებოდა და არც იმაზე მეტად თვრებოდა, არამედ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისევ ისე რჩებოდა“. როცა ამ საინტერესო მდგომარეობაში იყო, რაღაც-ნაირად გვერდულად დადიოდა, შარვალს წარამარა იწევდა და ლაპარაკისას მეტისმეტად მკაცრი გამოჩენდვა ჰქონდა. საერთოდ უკეთესი გუნება-განწყობილება არ შეიძლებოდა გესურვებინათ. უფრო მეტიც, ასეთ დროს განსაკუთრებულ პატრიოტობას იჩენდა და თავის პატრიოტიზმს ყველაზე უფრო სასაცილო ფორმით გამოხატავდა მაშინ, როცა ხვდებოდა დანკს, გულკეთილ დანიელ მატროსს, რომელსაც ოთხკუთხა სახე ჰქონდა.

უნდა მოვისხენიო, რომ მეკასრე ნამდვილი მატროსული აღტაცებით ლაპარაკობდა ლორდ ნელსონის შესახებ. თუმცა, მას სრულიად მცდარი წარმოდგენა ჰქონდა სახელგანთქმულ გმირზე. მან საკმარისად არ მიიჩნია, ნელსონს თვალი და ხელი რომ აკლდა, და ჯიუტად ამტკიცებდა, თითქოს ერთ-ერთ ბრძოლაში აღმირალმა ფეხიც დაკარგა. ამ რწმენის გავლენით იგი ცალი ხელით უკნიდან სასაცილოდ აიკეცავდა ხოლმე ფეხს, ცალ თვალს დახუჭავდა და ასკინკილით მიირბენდა დანკთან.

ასეთ სახეს რომ მიიღებდა, საცობა მოითხოვდა, რომ დანიელს შეეხედა მისთვის და დამტკბარიყო იმ ადამიანის ცქე-

რით, რომელმაც კოპენჰაგენთან უღმობელი დარტყმა აგემა მის თანამემამულეებს.

— შემომხედე, ერთი, დანკ, — ეუბნებოდა იგი, თავს ძლივს იკავებდა და თან მარცხენა თვალს ახამხამებდა, რომ მეორე არ გახელოდა, — შემომხედე: ერთი კაცი ვარ, ერთი კი არა, ნახევარი კაცი ვარ, ჯანდაბას ჩემი თავი... ცალფეხა, ცალხელა, ცალთვალა... სხეულის რაღაც ნაწილი ვარ, ჯანდაბას ჩემი თავი, და მთელი თქვენი საცოდავი ერი კი ამოვფუჟე. ასე არ არის, შე დონდლო, შენა?

დანიელი ჯორივით ჯიუტი იყო, არც ინგლისური იცოდა ზერიანად და ამიტომ იშვიათად თუ აღირსებდა ზოლმე პასუხს. მეკასრე ფეხს ჩამოუშვებდა და გაეცლებოდა იმ ადამიანის სახით, რომელსაც თავის დამცირებად მიაჩნია ლაპარაკის გაგრძელება.

თ ა 3 0 1 6

ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი

ჩვენ უკვე კარგა მანძილი გავიარეთ სამხრეთისაკენ და მივეუახლოვდით კუნძულ ტაიტის. ამასობაში თბილი, უღრუბლო ამინდი, რომელიც სულ თან გვდევდა, რაც მარკიზის კუნძულები დავტოვეთ, თანდათან შეიცვალა. ამ ჩვეულებრივად წყნარ ადგილებში ზოგჯერ გაშმაგებით ქრის ქარი, თუმცა, როგორც ყოველმა მეზღვაურმა იცის, წყნარი ოკეანის ტროპიკული განედების მძვინვარე შტორმიც კი ვერ შეედრება შორეულ ატლანტიკაში ამოვარდნილ ქარიშხალს. მალე ჩვენ უკვე ვებრძოდით ტალღებს, ზოლო პასატი, რომელიც ამასწინათ სუსტად უბერავდა, ახლა სასტიკად ბობოქრობდა და გაანჩხლებული ქალივით გვაფრქვევდა რისხვას.

მიუხედავად ამისა, უფროს თანაშემწეს განკარგულება არ გაუცია. რომ ერთი იალქანი მაინც დაეშვათ; მამაც „ჯულიეტას“ მშვენივრად ეჭირა თავი და, თუმცა ხანდახან ცხვირით ეფლობოდა ტალღებში, ბოლოს მაინც მაღლა მოექცეოდა ზოლმე და თავის ღირსებას ძირს არ სცემდა. მისი ძველისძველი კორპუსი ჭრიალებდა, რანგოუტი იღუნებოდა, გახესილი გემ-

სართავი იჭიმებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ხომალდი დოლის ცხენივით მიექანებოდა წინ. ჯერმინი, ნამღვლილი ზღვის ჟოკეი, ზოგჯერ ფორრუსლენებზე იდგა, პირისახეში ზვირთები სცემდა და ღრიალებდა:

— ყოჩაღ, „ჯულიეტა“ ... ჩაყვინთე, ძვირფასო! ვაშა-ა!

ერთ დღეს ზემოთ ისეთი ყურისწამლები ჭახანი გაისმა, რომ მატროსები აქეთ-იქით გაიქც-გამოიქცნენ. ეს გროტ-ბრამსტენგა იყო. ჭახს! ზედ ეზელჰოფტთან გატყდა და ახლა ტაკე-ლაჟილა აკავებდა; გემის ყოველ გადახრაზე გამალებით ქანაობდა და გემსართავის მთელი აბლაბუდაც გადაჰქონ-გადმოჰქონდა. ქანდარა გადმოვარდნაზე იყო და ყოველთვის, როცა გემი დაბლა ჩავიდოდა ან ზევით ამოვარდებოდა, შვეულ ძელს ეხაიქუნებოდა; ნაფლეთებად ქცეული იალქანი წვრილ-წვრილ ლენტებად ფრიალებდა ქარში; დაუმაგრებელი ბაგირები შილტებივით იკლაკნებოდნენ და შხუილი გაჰქონდათ.

— პოლუნდრა! — გაისმა უცებ და ჭოჭონაქები გრიალით ჩამოცვივდა ძირს. ქანდარამ ერთი გაიშხუვლა, ზღვაში ჩაესეთქა, ჩაიძირა და კვლავ ამოტივტივდა. მერე დიდი ტალღა მოვარდა — „ჯულიამ“ გვერდი აუარა და უკან ჩამოიტოვა.

სანამ ეს გრილი სიო ქროდა, ბალტიმორა, ჩვენი მოხუცი შავი მზარეული, პირდაპირ სასოწარკვეთილი იყო.

როგორც სამხრეთის ზღვებში მოცურავე გემების უმრავლესობაზეა მიღებული, „ჯულიას“ კამბუზიც მარცხენა ქიმზე იყო მოთავსებული, ბაკზე. ორჩხომელს, ძლიერი დელვისას იალქნებაშეებული რომ მიდიოდა და დროდადრო ცხვირით ეფლობოდა, წამდაუწუმ აწყდებოდნენ მწვანე, შუშისმაგვარი ტალღები, რომლებიც ბაკის მოაჯირზე გადმოდიოდნენ, გემბანის წინა ნაწილს ავსებდნენ და მერე კიჩოსაკენ მიედინებოდნენ. კამბუზი, რომელიც მტკიცედ იყო მიბმული თავის ადგილას, ტალღისმკვეთის მოვალეობასაც ასრულებდა და წყლით დაფარვისაგან გვიცავდა.

ასეთ დღეებში ბალტიმორა არ იშორებდა „საშტორმო კოსტიუმს“, როგორც თვითონ ეძახდა; სხვა რამეებთან ერთად მასში შედიოდა ზუდეესტერი და გაპოხილი ვეებერთელა ჩექმები, თითქმის მუხლებამდე რომ სწვდებოდა.

როცა ისე გამოეწყობოდა, რომ არც გემზე დასველებულიყო და არც ზღვაში, — თუ ჩაძირვაზე მიდგებოდა საქმე, — კუ-

ლინარიის უზენაესი ქურუმი ტაძარში ბრუნდებოდა და იდუმალად განაგრძობდა თავის შავ მაგიაზე მუშაობას.

ბერიკაცს ისე ეშინოდა გემიდან არ გადამაგდოს წყალმაო, რომ სარტყელზე წვრილ ბაგირს გამოიბამდა ხოლმე, მერე ტანზე შემოიხვევდა და საჭიროებისამებრ იყენებდა, როცა კამბუზის ვარეთ უხდებოდა რამის კეთება, ბაგირს შემოიხსნიდა და მის მეორე ბოლოს მოაჯირის რკინის რგოლზე გამოაბამდა; ასე რომ, თუ უეცრად მოვარდნილი ტალღა წააქცევდა, სხვა რამ ზიანს ვერ მიაყენებდა.

ერთ საღამოს, სწორედ მაშინ, მზარეული ვახშამს რომ ამზადებდა, უეცრად „ჯულია“ ოჩანი კვიცივით შედგა ყალყზე და, როგორც კი გასწორდა და კვლავ წინ გასწია, უზარმაზარი ტალღა დაატყდა თავს. წყალმა წალეკა ყველაფერი, რაც გზაზე გადაეღობა. გემის ცხვირის ფალშბორტი შუაზე გაიხლიჩა; ტალღა კამბუზს მოაწყდა, მოგლიჯა, დაატრიალა, შპილისაკენ გააქანა და მეჩჩხე გარიყა.

წყალი მდინარესავით მოედინებოდა გემბანზე, თან მოქპონდა ქოთნები, ტაფები, ქვაბები და მოხუცი ბალტიმორაც, რომელიც დროდადრო დელფინივით ამოხტებოდა ხოლმე წყლიდან.

ტალღა ჰაკბორტს დაეჯახა, რამდენადმე დაპატარაუდა, მერე ერთი ქიმიდან მეორისაკენ გადაგორდა და ახტერლუკისაკენ გააქანა მზარეული, რომელსაც ჯერ კიდევ პირში ეკავა კბილებით სანახევროდ გადაღრღნილი ჩიბუხი.

იმათ, ვინც გემბანზე იყო, მატროსებისათვის ჩვეული საზრიანობის მეოხებით გროტანძაზე აძრომა მოასწრეს და ახლა თავზე დაჰხარხარებდნენ გასაჭირში ჩავარდნილ ბალტიმორას.

— იმავე ღამეს ჩვენს ანძას ისე მოატყდა წვერო, როგორც ჩიბუხს ტარი, ხოლო ბიზან ჰაფელი ჩამოვარდა.

დილით ქარი რამდენადმე ჩადგა და ზღვაც დაცხრა; შუადღისათვის რაც შეგვეძლო შევაკეთეთ ყველა დაზიანება და კვლავ მშვიდად გავემართეთ ჩვენი კურსით.

გატეხილი ფალშბორტის შეკეთება ვერ მოვახერხეთ, რადგან მისი შეცვლა არაფრით არ შეიძლებოდა. ახლა, როცა ქარი ისევ ამოვარდა, ჩვენი უშიშარი გემი წინ მიდიოდა; გაპობილი ცხვირით ხაპავდა წყალს, მაგრამ მაინც წინანდებურად გადადიოდა ტალღიდან ტალღაზე.

მარჯნის კუნძულები

მას შემდეგ, რაც მარკიზის კუნძულები დავტოვეთ, ისე შორს შევედით დასავლეთით, — რომელ გრძელსა და განედზე ვიყავით ამა თუ იმ დროს, ანდა რამდენი ლიგა გავიარეთ, სანამ ტაიტიის მივალწევდით, სამწუხაროდ, ზუსტად ვერ ვეტიყვი მკითხველს. ჯერმინი, ჩენი შტურმანი, ყოველდღიურად არ-კვევდა ამას, მაგრამ, როგორც აღრე მოგახსენეთ, შედეგებს თავისთვის ინახავდა. შუადღისას გამოჰქონდა თავისი კვადრანტი — ძველი ჟანგიანი იარაღი, რომელსაც ისეთი ფანტასტიკური შესახედლობა ჰქონდა, გეგონებოდათ ოდესღაც შუასაუკუნეების ასტროლოგის კუთვნილება იყო.

ზანდახან, როცა შექეიფიანებული იყო, უფროსი თანაშემწე ბარბაცით დადიოდა გემბანზე, კვადრანტი თვალთან მიეტანა და ტრიალებდა. იგი ეძებდა მზეს, რომელიც ყოველ ფსიზელ დამკვირვებელს შეეძლო შეენიშნა თავს ზემოთ. თუ რა სასწაულის ძალით ახერხებდა განედის განსაზღვრას, ეს ჩემი მიხედვრის უნარს აღემატება. გრძელს ალბათ ან სამთა წესის მეშვეობით განსაზღვრავდა, ანდა ღვთის წყალობით. ვერ ვიტყვი, რომ ქრონომეტრს, რომელიც კაპიტნის კაიუტაში იდო, ყოველთვის ვერ დაენდობოდა კაცი, ანდა — რომ ის ცოტა არ იყოს უთანაბროდ მუშაობდა; პირიქით, გაქვავებული იდგა, რის გამოც სეკუნდის სიზუსტით აჩვენებდა ჭეშმარიტ გრინვიჩის დროს (ყოველ შემთხვევაში — რაც იყო იმ მომენტში, როცა იგი გაჩერდა).

თუმცა უფროს თანაშემწეს ისე ეჭირა თავი, თითქოს წოლისა და კომპასის განსაზღვრა არ აკმაყოფილებდა, და გრძელის დასადგენად დროდადრო მთვარეზე დაკვირვებას ახდენდა. რამდენადაც ვიცო, ეს დაკვირვება იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო ინსტრუმენტების საშუალებით განსაზღვრავენ კუთხურ მანძილს მთვარესა და რომელიმე ვარსკვლავს შორის. ამ ოპერაციაში მონაწილეობს ორი ადამიანი, რომლებიც ერთდროულად აწარმოებენ დაკვირვებას.

უფროს თანაშემწეს თითქოს შეეძლო მარტო გაძლოლოდა ამ საქმეს, მაგრამ რადგანაც ყველაფერი გაორებულად ეჩვენე-

ბოდა, დახმარებისათვის უხმობდა ხოლმე ექიმს, რომელიც ჯერმინთან ერთად, ასე ვთქვათ, მეორე კვადრანტის მოვალეობას ასრულებდა. რომ იცოდეთ რა სანახავე იყვნენ ორივენი თავ-თავიანთი მანჭვა-გრეხით! განსაკუთრებით სასაცილო იყო უფროსი თანაშემწე, რომელიც გაშმაგებით ცდილობდა ინსტრუმენტი მიეშვირა სამიზნე ვარსკვლავისათვის. პირადად მე ძალიან მიჭირს გაგება, თუ როგორ ახერხებდა იგი ციური მნათობის გარჩევას ამ ასტრალურ სხეულთაგან, მის საკუთარ ტენიში რომ ბრუნაედნენ.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, მას სულ უფრო და უფრო შორს მიჰყავდა ჩვენი ზომალდი; გავიდა რამდენიმე დღე, და გახვრეტილი ფორმარსელის შესაკეთებლად ზევით აგზავნილმა მატროსმა ქული მალლა აისროლა და შეჰყვირა: „მიწა!“.

მართლაც, ჩვენ წინ იყო მიწა; მაგრამ სამხრეთის ზღვების რომელ ნაწილს ეკუთვნოდა იგი, ეს იცოდა მხოლოდ ჯერმინმა, ზოგიერთებს კი ეჭვიც ეპარებოდათ — იცოდა კი? მაგრამ გავრცელდა თუ არა ეს ცნობა, ჯერმინი ჭოგრიტით ხელში გამოვარდა გემბანზე, თვალზე მიიღო და იმ ადამიანის გამომეტყველებით შემობრუნდა, რომელმაც უეჭველი დადასტურება მიიღო იმისა, რაშიც წინასწარ იყო დარწმუნებული. ჩვენ წინაშე მართლაც ის მიწა იყო, რომლისკენაც კურსი ჰქონდა აღებული. თუ ქარი არ ჩადგა, დღე-ღამეში მივადგებით ტაიტიის. მისი ნათქვამი ახდა.

როგორც გამოირკვა, ეს მიწა იყო არქიპელაგ ჰაუმოტუს, ანუ დაბლობის (ზოგჯერ მარჯნის კუნძულებსაც უწოდებენ) ერთ-ერთი კუნძული, — ალბათ ყველაზე შესანიშნავი და საინტერესო კუნძული მთელ წყნარ ოკეანეში. ტაიტიის, რომელიც დასავლეთით მდებარეობს, მისი მახლობელი კუნძულებიდან ერთი დღე-ღამის სავალი მანძილი აშორებს.

არქიპელაგი შედგება მრავალი კუნძულისაგან, რომელთა მეტი წილი ჰატარა, დაბალი და ვაკეა; ისინი მუდამ მწვეანითაა შემოსილი, ზოგჯერ კი ტყითაა დაფარული. ბევრი მათგანი ნახევარმთიარეს წააგავს; სხვები ნალს მოგვაგონებს. უკანასკნელნი წარმოადგენენ მიწის ვიწრო წრიულ ზოლებს, რომლებიც გარს ერტყმიან წყნარ ლაგუნას, ერთადერთი გასასვლელით რომ უერთდება ზღვას. ზოგიერთი ლაგუნა, რომლებსაც, როგორც ვარაუდობენ, მიწისქვეშა არხები აქვთ, შესახედავად

სრულიად დახშულია; ასეთ შემთხვევაში მისი შემოქმობავი კუნძული ზურმუხტის სარტყელს ჰგავს. დანარჩენი ლაგუნები ვარშემორტყმულია ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარე მრავალი პატარა მწვანე კუნძულით.

მთელი არქიპელაგის წარმოშობას მიაწერენ პაწაწა არსებებს, რომლებსაც მარჯნები ეწოდება.

ბუნების მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამ განსაცვიფრებელ პატარა არსებებს, რომლებიც თავიანთი შენობების აღმართვას ზღვის ფსკერიდან იწყებენ, საუკუნეების შემდეგ ისინი აჰყავთ სიმაღლეზე, რომელზედაც თავიანთ მოღვაწეობას წყვეტენ. ამჟამად მარჯნის რიფების ოღროჩოღრო აღვილებში თავს იყრიან ზღვაში მცურავი ათასნაირი მყარი ნივთიერებანი, რომლებიც დროთა განმავლობაში ქმნიან ნიადაგს. ფრინველთა მიერ ამ ნიადაგში შეტანილი თესლიდან აღმოცენდება მცენარეები, და კუნძული მწვანით იფარება. პაუმოტუს არქიპელაგზე აქა-იქ მოჩანს მარჯნის მრავალი ცალკეული შიშველი წარმონაქმნი, რომლებიც ახლახან ამოწვერილა ოკეანიდან. ეს, ეტყობა, მომავალი კუნძულებია წარმოქმნის პროცესში — ყოველ შემთხვევაში, ამ დასკვნამდე მიდიხარ უნებურად, როცა მათ უცქერი!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კუნძულ პაუმოტუსზე პურის ხეები მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება. ბევრია ადვილები, სადაც ქოქოსის პალმებიც კი არ ხარობს, თუმცა სხვაგან ისინი ფართოდ არიან გავრცელებული. ამის შესაბამისად ზოგი კუნძული სრულიად უდაბურია, სხვებს მხოლოდ ერთი ოჯახის შენახვა შეუძლია; არც ერთ მათგანზე არ არის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. ადგილობრივი მკვიდრნი ბევრ რამეში ჰგვანან ტაიტელებს; მათი ენაც ახლოა ტაიტურთან. პაუმოტუს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის მკვიდრთ (რომელთა შესახებ, სხვათა შორის, ძალიან მცირე რამაა ცნო-

¹ ასეთია საყოველთაოდ გავრცელებული აზრი ამ საკითხზე. მაგრამ ამასწინათ გამოითქვა სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი. იმის მაგივრად, რომ ეს მოვლენები განიხილონ როგორც შედეგი რაღაც აქტიური შემოქმედი ძალისა, რომელიც ამჟამად მოქმედებს, ვარაუდობენ, რომ მარჯნის ახალი წარმონაქმნები, მთელი არქიპელაგის მსგავსად, უბრალოდ ნაშთია მატერიისა, რომელიც დიდი სნის წინათ მოასწორეს ტალღებმა.

ბილი) კაციჭამიების სახელი აქვთ გავარდნილი, ამიტომ მეზღვაურები იშვიათად ბედავენ მათი სტუმართმოყვარეობით სარგებლობას.

რამდენიმე წლის წინათ ამხანაგობის კუნძულიდან¹ გამოსული მისიონერები დამკვიდრდნენ საქარე კუნძულებზე, სადაც იქაურები მეგობრულად მოეკიდნენ. ბევრი მათგანი ახლა ფორმალურად ქრისტიანია; უთუოდ მოსულ მქადაგებელთა პოლიტიკური გავლენით გამოუცხადეს მათ მორჩილება პომარეს, კუნძულ ტაიტის დედოფალს, რომელთანაც მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ.

მარჯნის კუნძულებს ძირითადად მარგალიტის მაძიებლები ეწვევიან ხოლმე. ისინი მოდიან პატარა სანდალებით, რომელთა ეკიპაჟი ხუთი-ექვსი კაცისაგან შედგება.

კარგა ხანს ეს სარეწაოები მერენპოუტის ხელში იყო თავმოყრილი. იგი წარმოშობით ჰოლანდიელი იყო და მუშაობდა საფრანგეთის კონსულად ტაიტიზე. როგორც ამბობდნენ, მან ერთი წლის განმავლობაში საფრანგეთში გაგზავნა ხუთი ათასი დოლარის ღირებულების მარგალიტი. ნიჟარებს პოულობენ ლაგუნებში და რიფების მახლობლად; დღეში ექვს ლურსმნად და უფრო იაფადაც ქირაობენ ადგილობრივ მკვიდრთ, რომლებიც წყალში ყვინთავენ და ასე ეძებენ მარგალიტს.

ზოგ ადგილას ბლომად მოიპოვება აგრეთვე ქოქოსის ზეთი. ზოგიერთი უდაბური კუნძული ქოქოსის პალმის ხშირი ჭალებითაა დაფარული; ხეებიდან ყოველწლიურად ცვივა დიდძალი ქოქოსის კაკალი, რომლებიც ძირს ყრია და კაციშვილი არ კრეფს. სათანადოდ შეიარაღებულ ორ-სამ კაცს შეუძლია ერთ-ორ კვირაში იმდენი ზეთი გამოხადოს, რომ კარგა დიდი ორჩხომელი გაავსონ პირთამდე.

ქოქოსის ზეთს ამჟამად სამხრეთის ზღვების სხვადასხვა რაიონში ხდიან და იგი წარმოადგენს სავაჭრო გემების ალებმიცემობის მნიშვნელოვან საგანს. მას საკმაოდ დიდი რაოდენ-

¹ ასე უწოდებდნენ მცდარად რუსულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის არქიპელაგს, რომელიც პირველად აღმოაჩინა უოლისმა 1767 წ. კუნძულთა უმრავლესობა აღმოაჩინა 1769 წ. ჯ. კუკმა, რომელმაც ლონდონის სამეფო საზოგადოების პატივისცემად საზოგადოების კუნძულები უწოდა. ეს სახელწოდება ამჟამად ჩვენშიცაა მიღებული.

ნობით ეზიდებიან ამხანაგობის კუნძულებიდან სიღნეიში. გამოიყენება განათებისათვის და მანქანების გასაპოხად, რადგან სპერმაცეტზე იაფია და ორივე მიზნით ნამდვილ ვეშაპის ქონზე გამოსადევი. ქოქოსის ზეთს ასხამენ ექვს-რვა ფუტიან დიდ ბამბუკის ღეროებში; ესაა ფულის ერთეული ტაიტიზე.

მაგრამ მოდი ისევ „ჯულიას“ დაუბრუნდეთ. სანამ კუნძულს მივაღებოდით, ქარი ჩადგა და მოსალამოვდა კიდეც, თუმცა შეადლიდანვე კარგად ვარჩევდით მას.

კუნძული პატარა და მრგვალი იყო. მის ვაკე ზედაპირზე ერთი ხეც არ იდგა. იგი ოთხიოდე ფუტით იქნებოდა აცილებული წყალს. მის იქით მოჩანდა უფრო დიდი კუნძული, რომლის თავზეც მთელი თავისი სიდიადით იფერფლებოდა ტროპიკული დაისი. ჩამავალი მზე მეწამულისფრად ღებავდა ცის თაღს, ვეება გასხვივოსნებულ სარეცელს რომ წააგავდა.

პასატი ძლივძლივობით ბერავდა ჩერებით დაკიდებულ იალქნებს. ათასობით აყვავებული ბუჩქის სურნელი იკმეოდა ჰაერში. მის ჩასუნთქვაზე ერთმა ავადმყოფმა, რომელსაც ამასწინათ სურავანდი გამოაჩნდა, ტკივილისაგან ღრიალი მორთო, და იგი გემბანს მოაშორეს. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე.

ჩვენ ერთ კაბელტოზე ახლოს ჩავუარეთ ნაპირს, მოელვარე ქაფს რომ შემოეიქობა. შუაგულში წყნარი ცისფერი ლაგუნა იყო მიყუყული. არ ჩანდა არც ერთი ცოცხალი არსება და, ვინ იცის, ეგებ ჩვენ ვიყავით კიდეც პირველები, ეს ადგილები რომ მოვინახულეთ. ამ ფიქრმა ფანტაზია გამიღვიძა, და მე შეჩვენებოდა უსასღვრო მღვიმეები და ღერეფნები, რომლებიც განლაგებული იყო ქვევით, სადაც ვერ აღწევს მეზღვაურის ლოტი.

მერედა რა უჩვეულო არსებები იმალებოდნენ იქ! წარმოიდგინეთ მზაკვარი არსებანი, სირინოზები, ერთმანეთს რომ დასდევენ, ხან ამოცურდებიან მარჯნის სენაკებიდან, ხან ისევ უჩინარდებიან და თავიანთი გრძელი თმებით იხლართებიან მარჯნის ტოტებში!

ტ ა ი ტ ი

დილით, მტრედისფრად რომ ინათა, დავინახეთ ტაიტიის მთები. მოწმენდილ ამინდში მათი დანახვა ორმოცდაათ მილზე შეიძლება.

— ჰივა-ოა! — შესძახა ვაიმონტუმ და სიხარულისაგან გაგიჟებულმა აირბინა ბუშპრიტზე, როგორც კი შორიდან გამოჩნდა მიწის ბუნდოვანი მოხაზულობა. მაგრამ როცა ღრუბლები გაიფანტა და ჩვენს თვალს წარმოუდგა ცის ფონზე ობელისკებივით აღმართული სამი პიკი და ჰორიზონტზე გაჭიმული ციცაბო ბორცვოვანი ნაპირი. ახალგაზრდა პოლინეზიელს თვალთაგან ცრემლები წასკდა. საბრალო! ეს ჰივა-ოა როდი იყო — ამწვანებული ჰივა-ოა მრავალი, მრავალი ლივის სიშორეზე მღებარეობდა აქედან.

ტაიტი ყველაზე ცნობილი კუნძულია სამხრეთის ზღვებში. მრავალმა სხვადასხვაგვარმა მიზეზმა აქცია იგი თავისებურ კლასიკურ ნიმუშად. იგი შესახედავდაც კი ძალზე განსხვავდება გარემომცველი არქიპელაგებისაგან. მრგვალი ფორმის ორი მაღალი ნახევარკუნძული, ოკეანის დონიდან ცხრა ათასი ფუტის სიმაღლეზე აზიდული მთებით, დაბალი ვიწრო ყელითაა შეერთებული. მთელი კუნძულის გარშემოწერილობა დაახლოებით ასი მილია. უფრო დიდ ნახევარკუნძულზე აღმართული ცენტრალური პიკებიდან — ორეჰენიდან, აორაიდან და პიროპითიდან — ზღვისაკენ ეშვებიან დამრეცი, მწვანით მოსილი ქედები. მათ შორის გადაჭიმულია ფართო ჩრდილოვანი ველები, რომელთაგან სილამაზით არც ერთი არ ჩამოუვარდება ტემპეს ველს¹. ეს ველები ირწყვება თვალწარმტაცი ნაკადულებით და დაფარულია ხშირი ტყეებით.

სხვა კუნძულებისაგან განსხვავებით ტაიტის მთელ სანაპიროს გასდევს ალუვიური დაბლობის ზოლი, რომელიც უმდიდრესი მცენარეულობითაა დაფარული. სწორედ აქ ცხოვრობენ ძირითადად ადგილობრივი მკვიდრნი.

¹ ველი თესალიაში (ჩრდილო საბერძნეთი), შექებული ძველ ბერძენ და რომაელ პოეტთა მიერ.

კუნძული ზღვიდან საუცხოო სანახავია. ნაპირიდან მთის მწვერვალებამდე გადაჭიმულია ათასნაირი ელფერის მწვანე საფარი; ველებს, მთაგრეხილებს, ხეობებსა და ჩანჩქერებს უზომო მრავალფეროვნება შეაქვთ ლანდშაფტში. აქა-იქ ციცაბო მწვერვალები ჩრდილს ჰფენენ ქედებს და ქვემოთ გადაშლილ ველებს. მათ კალთებზე დაფრქვეულ მზის სხივებზე ელვარებენ ჩანჩქერები, რომლებიც კლდის შვერილებზე ისე მოხტიან, გეგონება მწვანე ბუჩქებიდან მოძვრებიანო. ყველაფერი ისე მომხიბლავია, რომ კუნძული ჰგავს ზღაპრულ სამყაროს, ცოცხალსა და ხასხასას, თითქოს ეს-ესაა მხატვრის ხელიდან გამოსულაო.

ლანდშაფტი არც ახლოდან კარგავს თავის სიმშვენიერეს. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ევროპელს, რომელიც რამდენადმე გრძნობიერია და პირველად დაეხეტება კუნძულის შუაგულში ადგილობრივ მკვიდრთა დასახლებიდან მრშორებით, ამ ველების აუწერელი მყუდროება და სილამაზე ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს მათ სიზმარში ხედავსო. დროდადრო თითქმის არც კი სჯერა, რომ მსგავსი სურათები შეიძლება რეალურად არსებობდეს. არაფერია გასაკვირი, რომ ფრანგებმა ამ კუნძულს „ახალი კითერა“¹ უწოდეს. „ხშირად, — გვიამბობს ბუგენვილი, — მეჩვენებოდა, რომ სამოთხის ბაღში ვსეირნობდი“.

მოგზაურთა განცვიფრება და აღტაცება ოდნავაც არ შენელებულა, როცა ისინი ამ მომხიბლავი ქვეყნის მკვიდრთა გაცნენ. ტაიტელთა ფიზიკური სილამაზე და გულითადი ხასიათი საესებით ეხამებოდნენ სამშობლოს რბილ ჰავას. მართლაც, ევროპელებს ყველაფერი აინტერესებდათ მათი. მოვიგონოთ, მაგალითად, საზოგადოებრივი წყობილება ან რელიგია. თავიანთ მფეეს ისინი როგორც ღმერთს, ისე სცემდნენ თავყანს. რაც შეეხება პოეზიას, მათი მითოლოგია ძველბერძნულსაც არ დაუღებდა ტოლს.

ტაიტის შესახებ უფრო ადრინდელი და უფრო სრული ცნობები გვაქვს, ვიდრე პოლინეზიის სხვა რომელიმე კუნძულზე;

¹ საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე სამსრეთით მდებარე კუნძული იონიის ზღვაში. ძველ დროს ფინიკიის კოლონია იყო და იქ არსებობდა სიყვარულის ქალღმერთის — ასტარტას კულტი. „ახალი კითერა“ ტაიტის შეარქვა ფრანგმა მოგზაურმა ბუგენვილმა.

აი რატომ იზიდავს ტაიტი დღემდე ყველას, ვისაც უყვარს წიგნები სამხრეთის ზღვებში მოგზაურობაზე. ამ კუნძულზე პირველად ნამყოფ ზღვაოსანთა სახომალდო ჟურნალები აქამდე უცნობი ქვეყნისა და მის მცხოვრებთა ისეთ რომანტიკულ აღწერას შეიცავდნენ, რომ მთელ ევროპაში უდიდესი სენსაცია გამოიწვიეს; ხოლო როცა აქ პირველი ტაიტელები ჩამოიყვანეს — ომაი ლონდონს და აოტურუ პარიზს, — კარისკაცები, მეცნიერნი და ბანოვანნი მათ ყველაზე გულთბილად შეხვდნენ.

გარდა ამისა, ტაიტის დიდად გაუთქვა სახელი რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რომლებიც ცოტად თუ ბევრად დაკავშირებული იყვნენ მასთან. როგორც ვარაუდობენ, ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ესპანელი კიროსი მიაღდა ამ კუნძულს; უოლისს, ბაირონს, კუკს, ბუგენვილს, ვანკუვერს, ლაპერუზსა და სხვა მოგზაურებს სხვადასხვა დროს შეუკეთებიათ თავიანთი ზომალდები მის ნავსადგურებში. იქ 1769 წელს აწარმოვეს ცნობილი დაკვირვება ვენერაზე. შემდეგში „ბაუნტის“ მეზღვაურებმა განიზრახეს მოეწყოთ ყველასათვის დაუვიწყარი ამბოხება. სწორედ ტაიტის წარმართებს გაუგზავნეს პირველი ორგანიზებული პროტესტანტული მისიები; და მისი ნაპირებიდან მიემგზავრებოდნენ შემდგომ მისიონერები მეზობელ კუნძულებზე.

ყველა ამ ამბავმა და სხვებმაც, რომელთაც აქ არ მოვიხსენიებთ, ვერ გაანელეს ის ინტერესი, რომელიც იმთავითვე აღუძრა ტაიტიმ ევროპელებს; სწორედ ამიტომ იყო, რომ ფრანგთა ამასწინანდელმა მოქმედებამ საზოგადოების ფართო ფენების ისეთი თანაგრძნობა გამოიწვია კუნძულის მკვიდრთადმი, როგორიც არასოდეს არ გამოუწვევია.

თ ა 3 0 1 9

მოულოდნელობა. კვლავ ბეჰმონს შესასება

კუნძული თავისკენ გვიხმობდა. მოგზაურობისას ნავსადგურში შესვლა ყოველთვის სასიამოვნოა. მატროსებს უყვართ, როცა სხვადასხვაგვარი სიამით ტკბებიან. ჩვენთვის ამ ყოფაში, ზომ მრავალი მიზეზის გამო იყო ძვირფასი ეს გაჩერება.

როგორც კი „ჯულიამ“ მიწისკენ აიღო გეზი, ჩვენ გულ-დასმით დავიწყეთ მომავლის ჭვრეტა. ბეერს მიაჩნდა, რომ თუ კაპიტანი გემს დატოვებდა, რაზმს საერთო აღარაფერი ექნებოდა ხელშეკრულებებთან. ასეთი იყო ჩვენი ქვემოგემბანელი კოკების¹ აზრი, თუმცა მეზღვაურული სამსჯავრო აღბათ არ დაეთანხმებოდა მათ. ყოველ შემთხვევაში გემიც და ეკიპაჟიც ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ხანგრძლივი დგომა და ტაიტიზე მრავალი დღის მხიარულად გატარება არ მოგვიწევდა.

ყველანი შესანიშნავ გუნებაზე ვიყავით. ავადმყოფები დღითი დღე უკეთესად გრძნობდნენ თავს. მას შემდეგ, რაც „ჯულიამ“ კურსი იცვალა, გემბანზე გამოეფინებოდნენ ხოლმე და, ფალშბორტს დაყრდნობილნი, ტკბებოდნენ განუზომელი სიდიადის სანახაობით. ისინი ზღვიდან გასცქეროდნენ ტაიტის. ზოგი აღტაცებას ვერ მაღავდა, ზოგი კი დუმდა.

მაგრამ შკანცების სურათი მკვეთრად განსხვავდებოდა იმისაგან, რაც გემის წინა მხარეს ხდებოდა. ნიადაგ მოლუშული და კრიჭაშეკრული მაორიც იქ იყო; ფიქრში წასული ჯერმინი წინ და უკან მიმოდიოდა, თან წამლაუწუმ იყურებოდა იქით, საიდანაც ქარი უბერავდა, ან კიდევ კაიუტისაკენ გარბოდა და სწრაფად ბრუნდებოდა უკან.

ჩვენ ყველა ზედა იალქანი ავუშვით, რომ მთლიანად გამოგვეყენებინა ქარი, და კვლავ მივდიოდით წინ. ბოლოს, ექიმის ჭოგრიტში როგორც იქნა გავარჩიეთ სოფელი პაპეეტე, ტაიტის დედაქალაქი. ნავსადგურში დავინახეთ რამდენიმე ხომალდი და მათ შორის დიდი გემის მუქი სილუეტი. ორრიგად ჩამწკრივებულ დაკრეჭილ კბილებზე ეტყობოდა, რომ თრეგატი უნდა ყოფილიყო. ეს იყო „დელოფალი ბლანში“. რომელიც, ამასწინათ მოსულიყო მარკიზის კუნძულებიდან და ფორ-ბრამ-სტენგაზე აღემართა კონტრ-ადმირალ დიუ პეტი-ტუარის ალამი. თვალი მოვკარით თუ არა ფრეგატს, ზღვაზე გაისმა მისი ზარბაზნების ბათქი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ზარბაზნები ისროლეს დილით დადებული ხელშეკრულების, ან, უფრო სწორად, — ადგილობრივ მკვიდრთა აზრით, — საფრანგეთის ტაიტის იძულებითი შეერთების პატივსაცემად.

¹ ე ღ ე ა რ დ კ თ კ ი (1551—1632) — ცნობილი ინგლისელი მეცნიერი იურისტი.

როგორც კი კანონადა მიყურდა, გაისმა ჯერმინის ხმა. მან ისეთი მოულოდნელი ბრძანება გასცა, რომ ყველანი შეკრთნენ:

— მიემზადეთ გროტ-რეის მოსაბრუნებლად!

— რას ნიშნავს ეს? — შესძახეს მატროსებმა. — ნუთუ პორტში არ შევალთ?

— შესრულდეს ბრძანება და ლაპარაკი არ იყოს! — დაიღრიალა უფროსმა თანაშემწემ; რამდენიმე წამში გროტ-რეი შემობრუნებული იყო და შუა ზღვისაკენ იალქანმიმართული „ჯულია“ იხვივით მშვიდად ირწყოდა ტალღებზე. საგონებელში ჩავარდნილნი ველოდით, რა მოხდებოდა შემდეგ.

მალე გამოჩნდა იუნგა, რომელმაც ლეიბი მოათრია, კაპიტანის კანჯოს კიჩოზე დააგო და იქვე დააწყო თავისი უფროსის რამდენიმე სკივრი და სხვა ნივთები.

ყველაფერს მიხედნენ მატროსები. მათთვის უბრალო მიწინებაც კი საკმარისია ზოლმე.

კაპიტანი კვლავ ჯიუტად იცავდა თავის გადაწყვეტილებას — რაც არ უნდა მომხდარიყო, შუა ზღვაში დაეტოვებინა გემი. ეტყობა, განზრახული ჰქონდა თვითონ ნაპირზე გადასულიყო, ხოლო „ჯულიას“ უფროსი თანაშემწის მეთაურობით მაშინვე განეგრძო გზა, დათქმული ვადის გასელის შემდეგ კი კუნძულზე მიეკითხა მისთვის. ყოველივე ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, „ჯულიათი“ ნაპირთან ახლოს მიუსჯელელადაც შეიძლებოდა. ასეთ ზერხს ხშირად მიმართავენ ვეშაპსანადირო გემების კაპიტნები, როცა ავად გახდებიან ზოლმე; მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არაფრით არ იყო გამართლებული და შექმნილ ვითარებაში ეწინააღმდეგებოდა კეთილგონიერულობისა და ადამიანურობის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს. ამ გადაწყვეტილებით გაიმ იმაზე მეტი სიმამაცე გამოავლინა, ვიდრე მისგან იყო მოსალოდნელი, მაგრამ ამით მეტისმეტი გულუბრყვილობაც დაადასტურა: როგორ იფიქრა, რომ მისი რაზმი უფლებების შელახვას აიტანდა!

მალე ჩვენი ეჭვები გამართლდა, და მატროსები განრისხდნენ. მეკასრე და ხურო სათავეში ჩაუდგნენ ამბოხებას; და სანამ ჯერმინი ქვემოთ იყო, სამი-ოთხი კაცი გაექანა კიჩოსაკენ, რათა კაიუტაში ჩასასვლელი სანათური დაეხშოთ, სხვებმა გროტ-რეის ბრასები შემოაბრუნეს და საშველად მოუხმეს და-

ნარჩენებს, რომ გემი ნაპირისაკენ მიებრუნებინათ. ეს ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა. მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა. ექიმმა ახმახმა სულმა და მე ვცადეთ როგორმე დაგვეყოლიებინა მატროსები, რომ არ აჩქარებულეყვნენ. დრო საკმაოზე მეტი გვქონდა და გემიც მთლიანად ჩვენს ხელში იყო.

სანამ კაპიტნის კაიუტაში ემზადებოდნენ, ბაკზე მატროსები შევიკრიბეთ და თათბირი დავიწყეთ.

დიდი ვაიეაგლაზით შევძელით, რომ ამ გაცეცხლებულ ადამიანებს ვუღლინჯად განესაჯათ შექმნილი მდგომარეობა. ექიმის გავლენამ ბოლოს და ბოლოს მაინც თავისი გაიტანა; როცა დაგვიბრდა, თუ საქმეს მომანდობთ, „ჯულია“ სულ მალე ლუზას ჩაუშეებს და აღარავის შეგზვდებათ უსიამოვნებაო, მთელმა რაზმმა, მცირე გამონაკლისის გარდა, თანხმობა განაცხადა დამორჩილებოდა მის ხელმძღვანელობას. მაგრამ მატროსებს არ დაუმაღავთ ჩვენთვის თავიანთი განზრახვა: თუ მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მივალწიეთ მიზანს, გემს ძალით დავეპატრონებით და ნავსადგურ პაპეეტეში შევიყვანთ, თუნდაც ყველანი ჩამოგვახრჩონო, მანამდე კი კაპიტანს როგორც სურს, ისე მოიქცესო.

ამასობაში ყოველგვარი თავყრილობა დამთავრდა. კანჯო ჩაუშევს და ტრაპს მიაყენეს; უფროსი თანაშემწე და იუნგა გემბანზე ასვლაში მიეშველნენ კაპიტანს. ორი კვირა იყო, რაც არ გვენახა. ამ ხნის განმავლობაში ძალიან გამოცვლილიყო. თითქოს ჩვენს მზერას გაურბისო, ფართოფარფლებიანი ქუდი ჩამოფხატა, ასე რომ, მის სახეს მხოლოდ მაშინ ვხედავდით, როცა ფარფლებს ქარი უღუნავდა. გროტ-რეიდან დაშვებული ბაგირის საშუალებით მზარეულმა და ბემბომ კანჯოში ჩასვეს კაპიტანი. ბორტიდან კვნესით რომ ძვრებოდა, ალბათ ყური მოჰკრა მთელი რაზმის მიერ ჩურჩულით წარმოთქმულ წყევლა-კრულვას.

სანამ იუნგა კანჯოს გამართავდა, უფროსი თანაშემწე ჩუმად მოელაპარაკა მაირის, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა, რომ კაპიტანთან ერთად გავიდოდა ნაპირზე და შეეცდებოდა მალე დაბრუნებულიყო. მის არყოფნაში მეთაურობას იკისრებდა ბემბო, როგორც რანგის მიხედვით შემდეგი კაცი, რადგან გასაკეთებელი არაფერია ჰქონდა, გარდა იმისა, რომ გემი მიწიდან უშიშარ მანძილზე ჰყოლოდა დაშორებული. მერე ჩახ-

ტა კანჯოში, ნიჩბებთან მხოლოდ მზარეული და იუნგა ისხდნენ, საჭეს მიუჯდა და ნაპირს მიაშურა.

გაის გულუბრყვილობას ისიც ადასტურებდა, რომ მან, უფროსი თანაშემწის რჩევის მიუხედავად, ხელში ჩაუგდო გემი მატროსებს. მე და ექიმი რომ არ ვყოფილიყავით, ვინ იცის, სადამდე შეიძლებოდა მისულიყვნენ შექმნილ მდგომარეობაში.

ამგვარად, ბემბო დროებით კაპიტანი გახდა. რაკი სიტყვა ზღვაოსნობის ხელოვნებაზე ჩამოვარდა, მას სხვაზე ნაკლებ როდი შეეფერებოდა მეთაურის როლი. ყოველ შემთხვევაში მატროსული ლანძღვა-გინება სრულყოფილად იცოდა. სიტყვამ მოიტანა და ამ მიღწევითა და უამრავი საზღვაოსნო ტერმინითა და გამოთქმით ამოიწურებოდა მთელი მისი ინგლისური ენის მარაგი.

მეზღვაურული წესების მიხედვით, ცივილიზაციასთან ჯერ კიდევ შეუჩვეველი ეს კაცი, რომელიც წინათ მებარჯე იყო და ამიტომ არ ეკრძალებოდა კაიუტაში შესვლა, მატროსებზე ერთი რანგით მაღლა იდგა; არავინ არ წასულა წინააღმდეგი, რომ იგი უფროსის მაგივრად დაეტოვებინათ, და არც ვინმეს გაჰკვირვებია ეს.

მაგრამ ზოგი რამ კიდევ უნდა გითხრათ ბემბოს შესახებ. ჯერ ერთი, იგი საშინლად სძულდათ. უფროსი თანაშემწის გარდა არავინ არ ენდობოდა ამ მუქკანიან პირმოდულ ყმაწვილს და ეშინოდათ კიდევ მისი. ბემბოც ასევე იყო განწყობილი მატროსების მიმართ. მებარჯე იშვიათად იყო მათთან, თუკი ამას მისი მოვალეობა არ აიძულებდა. ამასთანავე, ხმა დადიოდა, თითქოს ბემბოს მემკვიდრეობითი მიდრეკილება ჰქონდა მოექლა და შეეჭამა ადამიანები. იგი მართლაც კაციჭამიათა ტომიდან გახლდათ, მაგრამ ეს იყო და ეს, რაც დანამდვილებით ვიცოდით.

მორის შესახედაობა სრულიადაც არ ანელებდა უსიამო შთაბეჭდილებას, რასაც მასზე ნამბობი აღუძრავდა კაცს. თვისტომთა უმრავლესობისაგან განსხვავებით იგი საშუალოზე დაბალი ტანისა იყო, მაგრამ სამაგიეროდ ბრვე ვაჟკაცი გახლდათ. მის ტატუირებულ კანქვეშ ფოლადის ბერკეტებით მუშაობდნენ კუნთები. კუპრივით შავი გრუზა თმა გაბანჯგვლულ წარბებამდე ჩამოშვებოდა და თითქმის უფარავდა გაფაციცებით მომზირალ პატარა თვალებს, რომლებიც მუდამ

ბოროტად ჯელავდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ის სულაც არ ჰგავდა ბუნების იმ განებიერებულ შეილებს, რომლებზე წერაც ესოდენ უყვართ რომანებში.

უკვე რამდენჯერმე ემოგზაურა სიდნეის ვეშაქსანადირო გემებზე. მაგრამ ყოველთვის (ისევე როგორც ახლა) ბეიოფაილენდსში¹ დადგებოდა ხოლმე ქირით რომელიმე გემზე და, უკან დაბრუნებული, იქვე დაეთხოვებოდა. ასევე იქცევიან ხშირად მისი თანამემამულენი.

ჩვენ შორის იყო ერთი მატროსი, რომელიც მაორისთან ერთად ყოფილიყო ვეშაქებზე სანადიროდ, როცა იგი პირველად მოგზაურობდა. მას შემდეგ ბემბო ოღნავაც არ გამოცვლილანო, ასე მითხრა.

ეს ყმაწვილი რამდენიმე საინტერესო ამბავს მომიყვა. ქვემოთ მომყავს ერთ-ერთი მათგანი (როგორც ვიყიდე, ისე ვყიდი). მხოლოდ ერთი რამ შემიძლია დაუუმატო: რამდენადაც მე ვიცნობ ბემბოს და უგუნურობის ზღვარზე მდგარ მის გმირებს, რასაც კაშალოტების ჭერისას იჩენდა, მჯერა, რომ ეს ამბავი ძირითადად მართალია.

ძნელი არ არის წარმოიდგინოს კაცმა, თუ როგორ გაშმაგდებოდა ხოლმე ბემბო მსხვერპლის დვენისას. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დამახასიათებელია ყველა ახალზელანდიელისათვის, რომლებიც ვეშაქზე ნადირობენ. იმ ინგლისურ გამოთქმებში, რომლებიც ზღვაში შეითვისეს, მათ ყველაზე უკეთ ჰქონდათ შეგნებული ვეშაქსანადირო გემის მატროსების ლოზუნგი: „ან მკვდარი ვეშაქი, ანდა დამსხვრეული კანჯო!“ ამ ბიჭებიდან, თავდადებული მონადირეებიდან, არჩევენ ხოლმე მებარჯეს, რომლის მოვალეობასაც გულფიცხი, მხდალი ადამიანი ძნელად თუ შეასრულებს.

მებარჯე იარაღის მოქნევისას მუდამ კანჯოს ცხვირთან დგას, მუხლით ბრეშტუკზე დაყრდნობილი. მაგრამ ბემბო უგულვებელყოფდა ამგვარ სიფრთხილეს და, მსხვერპლის განსავმირად მომზადებული, ყოველთვის პლანშირზე იდგა და წონასწორობას მაინც არ კარგავდა.

მაშ ასე, კვლავ განვაგრძობ შეწყვეტილ თხრობას. ერთხელ, განთიადისას, ბემბოს კანჯო მარტოდმარტო მოცურავე დიდ

¹ ნავსადგური ასალი ზელანდიის ჩრდილოეთ ნაწილში.

ვეშაპს მიუახლოვდა. ბემბომ ბარჯი სტყორცნა, მაგრამ ააცდინა, და ვეშაპმა ჩაყვინთა. რამდენიმე ხნის შემდეგ ურჩხული კვლავ გამოჩნდა წყლის ზედაპირზე დაახლოებით ერთი მილის სიშორეზე, და კანჯო დაედგინა მას. მაგრამ ვეშაპი უკვე დაშინებული იყო; დადგა შუადღე, ღვეს კვლავ გრძელდებოდა. ნადირობისას ვეშაპის ღვესას არავითარ შემთხვევაში არ წყვეტენ, რაც არ უნდა მოუვიდეს ველობის რაზმს, სანამ ვეშაპი საბოლოოდ თვალს არ მიეფარება, გარდა დაღამებისა, ხოლო ჩვენ დროში, როცა ვეშაპის დაჭერა ესოდენ გაძნელებულია, ღვესა დამითაც გრძელდება. ბოლოს ბემბო მეორედ მიუახლოვდა ვეშაპს და ორივე ბარჯი ესროლა. მაგრამ, როგორც ეს მოსდით ხოლმე ყველაზე გამოცდილ მონადირეებს, რაღაც უცნაური შემთხვევითობის გამო კვლავ ააცდინა. თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ მარცხი ყოველ ადამიანს შეიძლება მოუვიდეს, მაგრამ კანჯოს რაზმს მაინც მწარე სინანული ეუფლება ხოლმე, რაც ჩვეულებრივ ხმამაღალ გინებაში ვლინდება. საკვირველი არაფერია. აბა ერთი თაკარა მზის ქვეშ დასვით ვინმე, რაც ძალი და ღონე აქვს საათობით ასმევინეთ ნიჩაბი და ნახაეთ რა მოუვა. თუ მაინც არ შეეპარა გულში ბრაზი და — არც მეზღვაური ყოფილა.

მეზღვაურების დაცინვამ, ეტყობა, გააცოფა მათი. ასე იყო თუ ისე, როგორც კი ისევ მიუახლოვდა კანჯო ვეშაპს, ბემბომ ბარჯით ხელში ისკუპა და თვალისდახამხამებაში ვეშაპს ზურგზე დაახტა. კიდევ წამი, და მათ ირგვლივ წყალი აქაფდა და აბობოქრდა. ორივენი გაუჩინარდნენ. მატროსებმა გვერდზე გაიყვანეს კანჯო და რაც შეეძლოთ სწრაფად მოუშვეს თოკი. წინ არაფერი ჩანდა, სისხლისაგან გაწითლებული მორევის გარდა.

მაგრამ აი სიღრმიდან რაღაც შავი ამოტივტივდა; თოკი დაიჭიმა, მერე კი კანჯო ელვისსისწრაფით გაქანდა. ვეშაპი „თოკით გვყავდა დაბმული“ და ახლა საშინელი სისწრაფით მიაქანებდა ნავს.

მაორი სადღა იყო? უცებ შავკერემანი ხელი გამოჩნდა პლანშირზე და მეზარჯე კანჯოზე ამოვითრით სწორედ იმ დროს, როცა ნავის ცხვირთან წყალი აქაფდა.

აი როგორი ადამიანი, ან, თუ გნებავთ, როგორი მხეცი იყო ბემბო.

„რაუნდ-რობინი“ ანუ ნაპირიდან მოსული სტუმრები

ძას შემდეგ, რაც კაპიტანი წავიდა, ნაპირის ბრიზი ჩადგა, და, როგორც აქაურ კურძელებთან იცის ხოლმე, შუადღისას მკვდარი შტილი ჩამოწვა. რა უნდა გვექნა, ისლა დაგვრჩენოდა, რომ ქვედა პირდაპირი იალქნები აგვეშვა, კლივერი დაგვეწია და ვყოფილიყავით ასე, როგორც აკვანში. სტიქიონის სიმშვიდე თითქოს ჩვენც, ადამიანებსაც გადმოგველო, და ერთხანს გემზე სიჩუმე სუფევდა.

უფროსმა თანაშემწემ კაპიტანი პაპეეტეში დატოვა და „ჯულიაზე“ დაბრუნდა. იუნგას თქმით, ვისადილებდით თუ არა, კანჯო ისევ უნდა გასულიყო ნაპირზე გაის დანარჩენი ბარგი-ბარხანის გადასატანად.

გემბანზე ამოსულმა ჯერმინმა განზრახ აგვარიდა თვალი და, სიტყვა არ უთქვამს, ისე ჩავიდა ქვემოთ. ამ ხნის განმავლობაში ახმახი სული და მე რაც შეგვეძლო ვცდილობდით სწორ გზაზე დაგვეყენებინა რაზმი; ჩავაგონებდით, რომ ცოტაოდენი მოთმინებითა და ეშმაკობით ბოლოს და ბოლოს იმასვე მიაღწევდნენ, რასაც ძალით გააკეთებდნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქმე არ გართულდებოდა.

პირადად მე მუდამ მახსოვდა, რომ უცხოურ ხომალდზე ვიყავი, რომ ინგლისის კონსული ყურისძირში იყო და მატროსებს არ შეიძლებოდა სამართლის იმედი ჰქონოდათ. კეთილგონიერების შენარჩუნება ყველაფერს აჯობებდა. მაგრამ მე მაინც თანაუგერძობდი რაზმს — ყოველ შემთხვევაში რამდენადაც საქმე ეხებოდა მისი უკმაყოფილების რეალურ მიზეზებს — და ისე ვიყავი დარწმუნებული კაპიტან გაის აშკარა განზრახვაში, რომ, თუ საჭირო იქნებოდა, მეც უყოყმანოდ მივმართავდი ძალადობას.

ჩვენი ყველა ცდის მიუხედავად, ზოგიერთ მატროსში კვლავ

¹ სიტყვასიტყვით — „მრგვალი ლენტის“ (robin—დამახინჯებული ფრანგული ruisan). ასე უწოდებდნენ ინგლისელი მატროსები პეტეციას, რომელსაც წრიულად აწერდნენ ხელს, რათა ვერავის დაეღვინა, თუ ვინ იყო ამბოსების მოთავე.

აბობოქრდა ქედუხრელობის სული, და ისინი მხოლოდ აშკარა ამბობებზე ფიქრობდნენ. როცა ქვემო ბანზე სასადილოდ ჩავედით, ამ ბიჭებმა ისეთი ყურისწამლები ხმაური ატეხეს, რომ მთელი ჩვენი ძველი ხომალდი შეიძრა. ბევრი მგზნებარე სიტყვა ითქვა, მოწონების შეძახილებმაც, რომლითაც მატროსები ორატორებს მხარს უჭერდნენ, წაიღო ყური. სხვებთან ერთად წოწოლა ჯიმიც, ანუ, როგორც შემდგომ შეარქვა ექიმმა, სპარტელი ჯიმიც, წამოდგა და იმავე სულისკვეთებით მიმართა ქვემო ბანის პარლამენტს:

— ყური მიგდეთ, ბრიტანელებო! თუ ყველაფერი იმის შემდეგ, რაც მოხდა, ეს გემი ჩვენთან ერთად განაგრძობს ცურვას, მაშინ ხომ მამაკაცები აღარ ვყოფილვართ. თქვით რამე, მეგობრებო, და მე „ჯულიას“ ნავსადგურში შევიყვან. მე ვყოფილვართაიტიზე და შემიძლია გავაკეთო ეს.

და იგი სკივრის სახურავებისა და თუნუქის ჯამების ხმაურში დაჯდა თავის ადგილზე. რამდენიმე ავადმყოფმა, რომლებიც აქამდე თავს იკავებდნენ, ახლა უკვე მხარი დაუჭირეს რაზმს. ისინი ლოგინში ბორგაედნენ და საკიდ საწოლებს აჭრიალებდნენ. გაისმოდა შეძახილები: „აბა, აშპუნგებს მოეკიდოთ ხელი, აბა, ჰე!“, „დაუშუათ ლისელები!“, „ვაშა-ა!“

ზოგი გემბანისაკენ გაიქცა და ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა, რომ ყველაფერი გათავდა; მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ექიმმა და მე მოვახერხეთ ასე თუ ისე დაგვეშოშმინებინა ხალხი.

საბოლოოდ მატროსებისათვის ფიქრი რომ გამეფანტა, შევთავაზე, „რაუნდ-რობინი“ შევადგინოთ და მზარეულ ბალტიმორას ხელით კონსულს გავუგზავნოთ-მეთქი. ამ იდეას მხურვალედ დაუჭირეს მხარი და მთხოვეს ახლავე შევდგომოდი საქმეს. ექიმს ვთხოვე საწერ-კალამი მოეტანა, მაგრამ მან მიიხრა, არაფერი არ მაქვსო. ერთი ფორზაციც კი არ შერჩენოდა მის წიგნებს. ბოლოს, დიდი ხნის ძებნის შემდეგ გადმოვიღეთ დანოტივებულ-დაობებული ტომი, სათაურით „მეკობრეთა ყველაზე სასტიკი და სისხლისმღერელი თავგადასავალი“, იქიდან ამოვხიეთ გადარჩენილი ორი სუფთა ფურცელი, ცოტაოდენი კუპრი წაუუსვით და ასე გადავაბით ერთმანეთს. ერთმა ყმაწვილმა, რომელსაც ლიტერატურისადმი მიდრეკილება ჰქონდა, ფარნის თავზე მჭვარტლი შეაგროვა, წყალი გაურიდა და ასე

დაამზადა მელანი. ბუშპრიტის ბიტენგებზე გართხმულ ალბატ-როსის ფრთიდან, რომელიც დიდი ხანია ამშვენებდა ბაკს, ერთი დიდი ნაკრტენი გამოვაძრეთ, და კალამიც მზად იყო.

ამგვარი საწერ-კალმით შეიარაღებული მიუუჯექი სკივრს, მოკლედ ჩამოვწერე მთელი ჩვენი საჩივარი და დასასრულ იმედი გამოვთქვი, რომ კონსული დაუყოვნებლივ გვინახულებდა და თავად გაეცნობოდა საქმის ვითარებას. ტექსტის ბოლოს შემოვხაზე წრე, რომლის გარშემოც ყველას უნდა მოეწერა ხელი. „რაუნდ-რობინის“ მთავარი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წრიულად განლაგებულ ხელმოწერებს შორის შეუძლებელია დაადგინოს კაცმა, თუ ვინ არის მოთავე.

რაზმში ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა ნამდვილი გვარი. ზოგს მეტსახელი ჰქონდა შერქმეული, რომელიც ასე თუ ისე ახასიათებდა მის პიროვნებას; უფრო ხშირად მატროსებს წარმოშობის ადგილის მიხედვით იხსენიებდნენ, ზოგჯერ კი მიმართავდნენ რაიმე ერთ-ან ორმარცვლიანი სიტყვით, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და მხოლოდ მეტსახელად გამოიყენებოდა. რამდენიმე კაცმა, როცა „ჯულიაზე“ იწყებდა ქირით სამსახურს, ფორმალობის დასაცავად დაასახელა გამოგონილი გვარი, და ახლა, მგონი, თვითონაც არ ახსოვდათ. ამიტომ, ჩვენი დოკუმენტისათვის ჭეშმარიტი ხასიათის მისაცემად გადავწყვიტეთ, რომ თითოეულს მოეწერა ის სახელი, რითაც მას იცნობდნენ რაზმში. უნდა დაეუმატოთ, რომ წრის შიგნითა ემბლემა ექიმმა მოიგონა.

კუპრის წვეთით დაბეჭდილი „რაუნდ-რობინი“ მისამართით — „ტაიტი, ინგლისის კონსულს“ — გავატანეთ მზარეულს, რომელმაც აღნიშნულ ჯენტლმენს გადასცა, როგორც კი უფროსი თანამემწე ნაპირისაკენ გაემართა.

შელამდა თუ არა, კანჯო დაბრუნდა, და ჩვენ ბევრი რამ შევიტყვეთ მოხუცი ბალტიმორასაგან; ნაპირზე მისთვის ნება დაერთოთ, რამდენ ხანსაც უნდოდა ესეირნა, ამასობაში კი მრავალი ცნობა შეეგროვებინა.

ფრანგების მოქმედებამ ტაიტიზე დაბნეულობა გამოიწვია თურმე. პრიჩარდი, მისიონერ-კონსული, ინგლისში იყო წასული და მის თანამდებობაზე დროებით დაენიშნათ ვინმე უილსონი, განათლებული თეთრკანიანი, კუნძულზე დაბადებული,

ვაჟიშვილი მისიონერ უილსონისა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

უილსონ-უმცროსი საშინლად სძულდათ ადგილობრივ მკვიდრთაც და მოსულებსაც. ერთნიც და მეორენიც მას თელიდნენ უპრინციპო, უზნეო ადამიანად, რაც დაადასტურა კიდევ შემდგომი ქცევით. კუნძულზე საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ პრიჩარდმა ასეთი პიროვნება თავის მოადგილედ დანიშნა.

დროებითი კონსული არ იყო ნამყოფა არც ევროპაში და არც ამერიკაში, მაგრამ რამდენჯერმე ყოფილიყო სიდნეიში მისიის სანდალით; ამიტომ მაინცდამაინც არ გაგვეკვირვებია, როცა ბალტიმორამ გვიამბო: უილსონი და კაპიტანი გაი ძველი ნაცნობები აღმოჩნდნენ, ძალიან მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს და გაი თავისი ნაცნობის სახლში დაბინავდაო. ეს კარგს არაფერს გვიქადა.

უფროს თანაშემწეს კითხვები დავაყარეთ, თუ როგორ მოგვექცეოდნენ ახლა. მან გვიპასუხა, დილით კონსული მოვა და ყველაფერს მოაგვარებსო.

ღამე ნავსადგურის შესასვლელთან გავატარეთ, დილით კი დავინახეთ, რომ ნაპირიდან გამოემართა კანჯო, რომელშიც კუნძულელი მენიჩბეები ისხდნენ. შიგ იყვნენ უილსონი და კიდევ ერთი თეთრკანიანი, როგორც შემდეგ გავიგეთ, ვინმე ჯონსონი, ინგლისელი ექიმი, რომელიც პაპეცტეში დასახლებულიყო.

მათი მოახლოებისას ჯერმინმა გემი გააჩერა და ტრაპთან მივიდა, რათა მოსულებს შეგებებოდა. კონსულმა შემოდგა თუ არა ფეხი გემბანზე, მაშინვე გამოამჟღავნა თავისი თავი.

— მისტერ ჯერმინ, — ქედმაღლურად შესძახა მან და არც კი ინება შეემჩნია იმ ადამიანის მოკრძალებული მისალმება, ვისაც მიმართავდა. — მისტერ ჯერმინ, მიიღეთ მეთაურობა და კურსი აიღეთ შუაგულ ზღვისაკენ.

ამის თქმაზე მატროსებმა დაჟინებით დაუწყეს ცქერა, ეს რა „ჩიტი“ მოფრენილაო. შესწავლამ ნათელყო, რომ „ჩიტი“ იყო ძალიან პატარა, ჰქონდა ბოროტად აპრეხილი ცხვირი და გაძვალტყავებული ფეხები. სხვა არაფერი აღმოაჩნდა შესანიშნავი. ჯერმინი ცუდად გათამაშებული პირფერობით დაუყოვნებლივ დაემორჩილა ბრძანებას და მალე გემის ცხვირი ზღვისაკენ იქნა მიბრუნებული.

ისევე როგორც სიყვარული, სიმულვილიც შეიძლება ერთი შეხედვით აღმოცენდეს; სწორედ ასე მოხდა უილსონის მიმართ, მის შემყურეს არ შეიძლებოდა არ ჩასახოდა გულში უდიდესი ზიზღი და სურვილი, რომ ეს გრძნობა პირველივე შესაძლებლობისთანავე გამოეხატა. კონსული ყოყონა კაცი იყო და ძლივს შევიკავეთ თავი, რომ არ მივევარდნოდით და შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა.

— ეს რა კაი კონსულა მოგვივიდა, — წამოიძახა საადმირალოს ბობმა, რომელიც, დანარჩენების მსგავსად, მულამ ასე ეძახოდა, რითაც მე და ექიმს ძალიან გვასიამოვნებდა.

— ჰოო, — თქვა მეორემ, — ჩემი ნათქვამი დაიმახსოვრეთ და, ნახეთ, ამას რა მოჰყვება.

ასეთი იყო შენიშვნები, რომლებიც მანამდე გაისმოდა გემბანზე, სანამ უილსონი და კაპიტნის უფროსი თანაშემწე ლაპარაკ-ლაპარაკით ჩადიოდნენ კაიუტაში.

მაგრამ ისე არავინ არ წყველიდა და კრულავდა გემსა და ყველაფერს, რაც მასთან იყო დაკავშირებული, როგორც მეკასრე. იგი ლანძღვა-გინებით იკლებდა იქაურობას, გროტანძას იმოწმებდა და მალალ ღმერთს ევედრებოდა: „თუ მე, საცობა, როდესმე „ჯულიაზე“ ავიდე და მიწა თვალით ვერ დავინახო, აიდე და...“ და მან ისეთი სასჯელი გამოიგონა, რომ იძულებული ვარ გაეჩუმდე.

ახსენა აგრეთვე უხარისხო პროლეტები, ჩვენ რომ გვაჭმევდნენ და ძალლიც კი არ დააკარებდა პირს; გაუთავებლად ლაპარაკობდა იმაზე, რომ უგუნურებაა ამის შემდეგ ანლო გემი ისეთ თავშეუკავებელ კაცს, როგორიც უფროსი თანაშემწეა. მერე კიდევ, გემი ავადმყოფებითაა სავსე და რის იმედი გვექონდა, ვეშაპების ჭერა რომ დავიწყეთ? რად უნდა ამას ამდენი ფიქრი! რაც არ უნდა მოხდეს, გემმა ღუზა უნდა ჩაუშვას.

საცობა არა მარტო ჩინებული მეზღვაური, არამედ ქვემო ბანის „ტობი“ და ასაკითაც ერთ-ერთი უზუცესთაგანი იყო. იგი გამსჭვალული იყო იმ გრძნობებით, რომლებიც დიდ გამოხმაურებას პოულობდნენ დანარჩენებში. ამიტომ იმწამსვე მისცეს რწმუნება — გამოსულიყო როგორც ორატორი, როცა კონსული საჭიროდ ცნობდა ჩვენთან შესხედრას.

ეს არჩევანი ექიმისა და ჩემი დარიგების საწინააღმდეგოდ გაკეთდა; თუმცა, ყველამ პირობა მოგვცა, რომ წყნარად იქნე-

ბოდნენ და უილსონს ბოლომდე მოუსმენდნენ, სანამ გადამწყვეტ ნაბიჯებს გადადგამდნენ.

დიდხანს არ მოგვიხდა ლოდინი. სულ მალე მოვიდა უილსონი. ხელში ეკაუა საღებავგახუნებული რკინის ყუთი, სადაც გემის საბუთები ინახებოდა. ჯერმინმა მაშინვე შესძახა, მთელი ეკიპაჟი შკანცებთან შეგროვდესო.

თ ა ვ ი 21

რა ღონისძიება მიიღო კონსულმა

განკარგულება დაუყოვნებლივ შესრულდა, და მატროსები კონსულის წინ გამწყრიდნენ.

უჩვეულო სანახაურო იყვნენ აქ შეკრებილი ადამიანები: სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრნი, საკმაოდ უცნაურად ჩაცმულნი, მაგრამ მონძებშიც მიმზიდველნი. ჩემი მეგობარი ახმახი ექიმიც აქ იყო; ალბათ სურდა როგორც გასაჭირში ჩავარდნილ ჯენტლმენს კონსულის სიმპათია დაემსახურებინა და ამიტომ თავის გარეგნობაზე ჩვეულებრივზე მეტად ეზრუნა, რის გამოც მატროსებს შორის ისე გამოიყურებოდა, როგორც ქარიშხალში მოხვედრილი წერო.

ყველაზე კარგი შესახედავი იყო საწყალი ძენძა. რადგან მის მეზღვაურულ ტანისამოსს დიდი ხანია კონფისკაცია უყიეს, ახლა რასაც იშოვიდა, იმას იცვამდა. ზედა ჩასაცემლად ჰქონდა ფრაკი (ანუ „კუდებიანი ქურთუკი“), რომელიც კაპიტან გაისაგან მიეღო იუნგობისას; არა და არ იშორებდა მეზღვაურისათვის შეუფერებელ ამ სამოსს, თუმცა დღეში ოცჯერ მაინც ხდიდნენ.

უილსონის გვერდით უქედოდ იდგა უფროსი თანამემწე; მისისაგან ბრინჯაოსფრად შერუჯულ შუბლზე ჭალარა ხუჭუჭა თმა ჩამოშლოდა. გამჭოლავ მზერას არ ამორებდა მეზღვაურებს, თითქოს მათ ფიქრებს კითხულობსო. ტანზე მოსჩმულ ქურთუკქვეშ მოუჩანდა ჩასუქებული კისერი, ბანჯგელიანი გულმკერდი და ალაგ-ალაგ ჩალურჯებული მოკლე ღონიერი მკლავი, რომელზედაც ჩინური ტუშით ეხატა ათასნაირი ემბლემა.

ავისმომასწავებელ სიჩუმეში კონსული ნელ-ნელა ფურცლაკდა გემის საბუთებს, ეტყობა, ცდილობდა თავისი შესახედლობით დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა.

— მისტერ ჯერმინ, ამოიკითხეთ სია, — და მან რაზმის სია გაუწოდა.

ყველა გამოეპასუხა, ლტოლვილებისა და ოკეანის ფსკერზე დაკრძალული ორი მეზღვაურის გარდა.

ჩვენ გვეგონა, რომ ახლა კონსული „რაუნდ-რობინს“ ამოიღებდა და რამეს იტყობდა. არაფერი ამის მსგავსი. რკინის ყუთში სხვა ქალღმერთან ერთად თითქოს ჩვენი პეტროციაც უნდა ყოფილიყო; შეიძლება იყო კიდევ, მაგრამ ისეთი ზიზღით მოეკიდნენ, რომ კომენტარის ღირსადაც არ ჩათვალეს. ზოგიერთი იქ მყოფი, რომელსაც სავსებით მართებულად მიაჩნდა იგი არაჩვეულებრივ ლიტერატურულ ნაწარმოებად, ათასნაირ სასწაულს მოელოდა, და ამიტომ მათ შეურაცხყოფად მიიჩნიეს ეს უგულებელყოფა.

— აბა, ბიჭებო, — მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო უილსონმა, — თუმცა შეჯახებად ყველანი ჯანმრთელები ხართ, მაგრამ მე მითხრეს, რომ თქვენს შორის ავადმყოფები არიან. მისტერ ჯერმინ, მოდი, გამოიძახეთ ისინი, ვინც ავადმყოფთა სიაში ირიცხება, და გემბანის იქითა მხარეს დააყენეთ — მინდა ერთი შევხედო.

— ასე, — განაგრძო მან, როცა ყველანი იქითა მხარეს გადავედით. — მაშ, ავადა ხართ, ა? კეთილი და პატიოსანი. თქვენ ახლა გაგზინჯავენ. ყველანი სათითაოდ შეხვალთ კაიუტაში ექიმ ჯონსონთან, რომელსაც მომახსენებს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ვისაც მომაკვდავად ჩათვლის, ნაპირზე გავეზავნი; დანარჩენები რაც საჭიროა ყველაფერს მიიღებენ და გემზე იქნებიან.

ასეთი განცხადების შემდეგ ჩვენ დაუწყეთ ყურება ერთმანეთს, ვცდილობდით გაგვეგო, რომელი ჩვენგანი ჰგავდა მომაკვდავს; სხვები წხად იყვნენ გემზე დარჩენილიყვნენ და ჯანმრთელად ჩათვალათ, ვიდრე ნაპირზე წასულიყვნენ და იქ ჩაწოლილიყვნენ საფლავში. მაგრამ ზოგიერთები კარგად ვხვდებოდით, რას აპირებდა უილსონი, და ჩვენც შესაბამისად ვიქცეოდით. პირადად მე განვიზრახე ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ცალი ფეხი სამარეში მედგა, რადგან ვიმედოვნებდი, რომ

ნაპირზე გადამსვამდნენ და შემდგომი უსიამოვნების გარეშე დაუაღწევდი თავს „ჯულიას“.

ეს რომ ღავისასხე მიზნად, ვიფიქრე, სანამ ჩემი ბედი არ გადაწყდება, მანამდე მონაწილეობას არ მივიღებ-მეთქი მომწიფებულ ამბებში. რაც შეეხება ექიმს, რომელიც აქამდე წარამარა იგონებდა ავადმყოფობას, ახლაც მოიავადმყოფა თავი და მანიშნა, უარესად შევიქენიო.

როცა ავადმყოფების საქმეს დროებით მორჩნენ და ერთ-ერთი მათგანი გასასინჯად ჩავიდა ქვემოთ, კონსული მიუბრუნდა დანარჩენებს და უთხრა:

— ბიჭებო, რამდენიმე კითხვა მინდა მოგცეთ. რომელიმე თქვენგანმა მიპასუხოს ან ჰო, ან არა, დანარჩენები კი ჩუმად იყავით. მაშ ასე: გაქვთ თუ არა რაიმე საწინააღმდეგო უფროსი თანაშემწის, მისტერ ჯერმინის მიმართ? — მან გამომცდელად შეათვალიერა ყველა მატროსი და, ბოლოს, თვალი გაუსწორა მეკასრეს, რომლისკენაც ყველას მზერა იყო მიმართული.

— ასე რომ, სერ, — გაუბედავად დაიწყო საცობამ, — ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მისტერ ჯერმინის, როგორც მეზღვაურის მიმართ, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! — შეაწყვეტინა კონსულმა. — მიპასუხეთ, ან ჰო, ან არა. გაქვთ თუ არა რაიმე საწინააღმდეგო მისტერ ჯერმინის მიმართ?

— სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა, სერ; მისტერ ჯერმინი ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ სხვა მხრივ...

ამ დროს უფროსმა თანაშემწემ გამგმირავი მზერა ესროლა საცობას; საცობამ რაღაც წაიდუღლუნა, მერე თავი ჩაჰკიდა და გაჩუმდა.

მეკასრე, რომელიც თავდაჯერებული იყო და გულლიაობით მოჰქონდა თავი, ახლა აშკარად შეშინდა.

— მაშასადამე, ყველაფერი ნათელია, — საჩქაროდ შესძახა უილსონმა. — ვხედავ, რომ მის მიმართ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო.

რამდენიმე კაცს, ეტყობოდა, ჰქონდა საწინააღმდეგო, თანაც ბევრი რამ, მაგრამ მეკასრის მოქმედებით საქციელწამხდრებმა თავი შეიკავეს. კონსულმა განაგრძო:

— საჭმელი გყოფნით გემზე? ვინც აღრე ლაპარაკობდა, ისევ იმან მიპასუხოს.

— სხვა რა მოგახსენოთ და, — დაიწყო საცობამ, რომელიც ძალიან დაბნეული ჩანდა; ცდილობდა სხვებს ამოფარებოდა, მაგრამ კვლავ წინ გამოაგდეს ხელისკვრით. — აი, კახაჯი, მაგალითად, შეიძლება უფრო გემრიელი ყოფილიყო.

— მე მაგას არ გეკითხები! — დაიღრიალა უეცრად გათამამებულმა კონსულმა. — რასაც გეკითხები, იმაზე მიპასუხე, თორემ მე ვიცი, როგორ გაგისწორდები.

ამჯერად კონსულმა ცოტა არ იყოს შორს შეტობა. მეკასრის სიმბდალით გამოწვეული აღშფოთება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ერთ-ერთმა მატროსმა — ახალგაზრდა ამერიკელმა, რომელსაც სალემს¹ ეძახდნენ — აქეთ-იქით მისწი-მოსწია ხალხი, წინ გამოიჭრა და ერთი ისეთი მოსდო საცობას, რომ ეს უკანასკნელი კოტრიალ-კოტრიალით წავიდა და კონსულის ფეხებთან გაჩერდა. ახალგაზრდა ამერიკელმა დანა იძრო და დაიქუხა:

— მე ვარ ის ყმაწვილი, რომელსაც შეუძლია კითხვაზე გიპასუხოთ. მკითხეთ რამე, კონსულავ.

მაგრამ „კონსულას“ აღარაფერი უკითხავს.

სალემის დანის გამოჩენითა და დარტყმის განსაცვიფრებელი შედეგით შეშფოთებული, კაიუტაში ჩაძვრა და ერთხანს აღარ გამოჩენილა.

მას შემდეგ, რაც კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ დაარწმუნა, ყველაფერი რიგზეაო, უილსონმა გამოიხედა (შეშინებულმა თუ არა, აღელვებულმა მაინც); ეტყობა, გადაწყვეტილი ჰქონდა ასეთ დროს სათანადო მძვინვარება გამოეჩინა. მან მუქარით აღსავეს ხმით მოუწოდა წესრიგისაკენ მატროსებს და ისევ ჰკითხა — ჰყოფნიდათ თუ არა საჭმელი გემზე. ახლა ყველანი ერთბაშად ალაპარაკდნენ, და მას ქარიშხალივით მოაწყდა შეძახილები, რომლებშიც სეტყვასავით ერია ლანძღვა-გინება.

— ეს რაღა არის? რა გემართებათ? — შესძახა კონსულმა, რომელმაც ჩამოვარდნილი სიჩუმის პირველი წამით ისარგებლა. — ვინ მოგცათ უფლება, რომ ყველამ ერთად ილაპარაკოთ? ეჭვი, დანიანო, ფრთხილად, თვალი არავის წამოთხაროთ, გესმით, სერ? თქვენ, მგონი, ბერი რამის თქმა გინდოდათ —

¹ ეს მეტსახელი წარმოშობის ადგილის მისედეგით შეარქვეს. სალემი ცნობილი ნავსადგურია მასაჩუსეტისის ყურის ნაპირას.

თქვით, გეთაყვა: ვინა ხართ, რა ადგილას ამოხვედით გემზე სამუშაოდ?

— მე ერთი ნაპირის მაწანწალა¹ ვარ, — მიუგო სალემმა, მეკობრესავეთ გამოვიდა წინ და უილსონს მიაშტერდა. — თუ გნებავთ იცოდეთ, ოთხიოდე თვის წინათ ამოვედი კუნძულებზე ქირით სამუშაოდ.

— ოთხიოდე თვის წინათ? და თქვენ ბელავთ ილაპარაკოთ იმათზე, ვინც დასაწყისიდანვე მოგზაურობს? — და კონსული ყოველმხრივ შეეცადა აღშფოთება გამოეხატა, მაგრამ ვერ მოახერხა. — მე აღარაფრის მოსმენა აღარ მსურს თქვენგან, სერ, სად არის ის პატივცემული ჭალარა ადამიანი, მეკასრე? მხოლოდ ის მიპასუხებს შეკითხვაზე.

— არავითარი პატივცემული ჭალარა ადამიანები არ გვყავს გემზე, — შეესიტყვა სალემი. — ჩვენ შეამბოხეთა და მეკობრეთა ბრბო ვართ!

მთელი ამ ხნის განმავლობაში უფროსი თანაშემწე ღუმდა. უილსონმა, რომელიც სულ მთლად დაიბნა და არ იცოდა, რა ექნა, მკლავში ხელი გამოსდო და გემბანის იქითა მხარეს გაიყვანა. მოკლე თათბირის შემდეგ სანათურთან დაბრუნდა და, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მკვახედ მიმართა მატროსებს.

— ბიჭებო, თქვენთვის ცნობილი მიზეზების გამო ეს გემი ჩემს გამგებლობაში გადმოვიდა. რადგან კაპიტანი გაიჯერჯერობით ნაპირზე რჩება, მის გამოჯანმრთელებამდე თქვენს მეთაურად იქნება უფროსი თანაშემწე მისტერ ჯერმან. მე ვერ ვხედავ ვერავითარ საფუძველს, რომ გემს არ შეეძლოს დაუყოვნებლივ განაახლოს ნაოსნობა, მით უმეტეს, მე განზრახული მაქვს გამოგიგზავნოთ კიდევ ორი მებარჯე და საკმაოდ ჯანიანი მატროსი, რათა შეგეძლოთ სამი ველბოტის მართვა. რაც

¹ ეს გამოთქმა ძალიან გავრცელებულია წყნარი ოკეანის მესღაურებს შორის. არიან ე. წ. მაწანწალა მესღაურები, რომლებიც არ ეტანებიან რომელიმე გემზე მუდმივ სამუშაოს, არამედ დროდადრო მუშაობენ ქირით ვეშაპსანადირო გემზე, მცირე ხნით სანაოსნოდ იმ პირობით, რომ მათ უახლოეს ნავსადგურში გაუსწორებენ ანგარიშს, სულ ერთია სად, — სადაც გემი ღუსას ჩაუშვებს. ასეთი მატროსები მეტწილად შფოთისთავები არიან; მათ თავიანთი სიცოცხლე წყნარ ოკეანესთან დაუკავშირებიათ და არც კი ფიქრობენ, რომ ოდესმე პორნის კონცხს შემოუარონ და სამშობლოში დაბრუნდნენ. ამიტომ მათ სახელი აქვთ გატყისილი.

შეეხება ავადყოფებს, ეს არც ჩემი საქმეა და არც თქვენი; მათზე ექიმი ჯონსონი იზრუნებს. ამაზე ხომ უკვე ვილაპარაკე. როგორც კი ყველაფერი მოგვარდება — ერთ ან დიდი-დიდი ორ დღეში — თქვენ გახვალთ ზღვაში და იმოგზაურებთ სამ თვეს, რის შემდეგაც მოაკითხავთ თქვენს კაპიტანს. იმედია, კარგს მეტყვიან თქვენზე, როცა კვლავ მოადგებით აქაურ ნაპირებს. ჯერჯერობით კი წინანდებურად უნდა იყოთ ზღვაში და ნავსადგურში არ შემოხვიდეთ. შევძლებ თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნით ახალ სურსათ-სანოვაგეს. ეს არის და ეს, სხვა არაფერია სალაპარაკო; ახლა კი თქვენ-თქვენ ადგილებს დაუბრუნდით.

სხვა არაფერი უთქვამს, უილსონი შებრუნდა და კაიუტაში აპირებდა ჩასვლას, მაგრამ ის იყო გაჩუმდა, რომ გააფთრებული მატროსები აქეთ-იქიდან მოაწყდნენ, თან ხელებს იქნევდნენ და მოითხოვდნენ, რომ მოესმინა მათთვის. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს და ამტკიცებდნენ იმის უკანონობას, რის გაკეთებაც მათ შესთავაზა, დაჟინებით მოითხოვდნენ ნავსადგურში შეეყვანათ „ჯულია“ და ბოლოს ყოველგვარი ქარაგმის გარეშე გააგებინეს, ზღვაში ამ გემით არ გავალთო.

შეშინებული კონსული ტრაპის მოაჯირზე ხელჩაჭიდებული იდგა და მეამბოხეთა შეძახილებს ისმენდა. მას წინასწარ ჰქონდა შემუშავებული ტაქტიკა, რაც, ცხადია, კაპიტანთან ერთად მოიფიქრა ნაპირზე. ახლა კაიუტისაკენ გაეშურა და გზაში იმეორებდა:

— დაიშალეთ, ბიჭებო; მე ყველაფერი გითხარით. ადრე უნდა გეთქვათ — ახლა უკვე მივიღე გადაწყვეტილება. დაიშალეთ-მეთქი, მე თქვენთან აღარაფერი მაქვს სალაპარაკო. — სანათურში ჩაძვრა და გაუჩინარდა.

მატროსები მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე აღშფოთდნენ და ის იყო ჩაყოლა დააპირეს, რომ მათი ყურადღება მიიპყრო ჯგუფმა, რომელიც სწორედ ამ დროს მშინშარა საცობას მივარდა. მუშტის კვრით ჩაათრიეს ქვემო ბანზე და იქ... მერე რაც მოხდა, იმის თხრობაზე თავს ვიკავებ.

კონსულის წასვლა

სანამ ზემოაღწერილი სცენები მიმდინარეობდა, ექიმმა ჯონ-სონი ავადმყოფებს სინჯავდა. გამოირკვა, რომ ყველა ისინი, ორის გამოკლებით, გემზე უნდა დარჩენილიყვნენ. ეტყობა, ექიმს უილსონისაგან სავსებით გარკვეული მითითებები ჰქონდა მიღებული. კაიუტაში ერთ-ერთი უკანასკნელი შეკვედი, როცა შკანცებთან შეკრება უკვე დამთავრებული იყო, იქიდან კი გაცეცხლებული დაებრუნდი გემბანზე. მართალი გითხრათ, ახლა იმდენად აღარ ვკოჭლობდი, მაგრამ ექიმმა ჩემი კოჭლობა მოგონილად ჩათვალა, და მე იმ ადამიანების სიაში მოვხვდი, რომლებიც რამდენიმე დღეში ვარგისი იქნებოდნენ ყოველგვარი სამუშაოსათვის. ეს უკვე მეტიმეტი იყო. რაც შეეხება ექიმ ახმახ სულს, ნაპირის ექიმს არათუ პროფესიული თანაგრძნობა არ გამოუჩენია მის მიმართ, არამედ გულცივადაც კი მიიღო. ამიტომ ახლა ორივენი თანახმა ვიყავით, რომ გარკვეულ ფარგლებში გავერთიანებულიყავით მატროსებთან ერთად ერთობლივი ბრძოლისათვის.

აქ უნდა ავიხსნათ ჩემი მოქმედება. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვსურდა: „ჯულიას“ წყნარ ნავმისადგომთან, პორტ პაპეეტეში ჩაეშვა ღუზა; რა თქმა უნდა, ვიმედოვნებდით, რომ, თუ ამას მივადწევდით, მერე ასე თუ ისე მოვახერხებდით მშვიდობიანად თავის დაღწევას. აშკარა ამბოხების გარდა ამის მიღწევა მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლებოდა: ჩაგვეგონებინა მატროსებისათვის, რომ მათ არავითარი სამუშაო არ შეესრულებინათ, გარდა იმ სამუშაოსი, რაც საჭიროა ნავსადგურში გემის შესაყვანად. ერთადერთი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ რაზმი მორჩილებაში გვეყოლოდა. იძულებული ვაგხდი მივმხრობოდი (თუმცა ვფრთხილობდი კი) ამ თავზებელაღებულ ადამიანებს და ჩავბმულიყავი ისეთ საქმეში, რომელსაც არავინ იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა; მაგრამ ეს მიმხრობა საკმაოდ სახიფათო იყო. თუმცა აქ ისევე არ შეიძლებოდა ლაპარაკი ნეიტრალიტეტზე, როგორც უყოყმანო მორჩილებაზე.

ბაკზე მე და ექიმს ისე აღელვებული დაგვხვდნენ მატროსები, როგორც არასოდეს გვენახა. ჩვენ რამდენადმე აღვადგი-

ნეთ სიმშვიდე და დაუინებით ვიცავდით ჩვენ მიერ შემუშავებულ გეგმას: დაე-კამათის გარეშე გვეთქვა უარი ყოველგვარი მოვალეობის შესრულებაზე და დავლოდებოდით შედეგს. თავდაპირველად ყურიც არ გვატხოვეს; ბოლოს, როგორც იქნა, დავარწმუნეთ. ზოგიერთები ისევ თავისასე იდგნენ, მაგრამ ისინიც კი, ვინც დაგვეთანხმნენ, ყველაფერს როდი გვიგონებდნენ.

როცა უილსონი გემბანზე გამოვიდა, რათა კანჯოში ჩამჯდარიყო, ყოველი მხრიდან მოაწყდნენ, და მე მეგონა, რომ გემს მის თვალწინ ჩაიგდებდნენ ხელში.

— მე აღარაფერი მაქვს სათქმელი, ბიჭებო; განკარგულება გაცემულია. თქვენ-თქვენ ადგილებზე. ვერ ვიტან თავხედობას. — და სულ მთლად აკანკალებული უილსონი სწრაფად გადახტა ბორტიდან. ზომკაკალასავით დააყარეს წყველა-კრულვა.

მალე მისი წასვლის შემდეგ უფროსმა თანაშემწემ მზარეულსა და იუნგას უბრძანა ნიჩბები მოესვათ და კანჯოთი წაყვანათ კაპიტნის სანახავად, ჩვენ კი წინანდელივით ბემბოს ზედამხედველობის ქვეშ დაგვტოვა.

ამასობაში ოვერშტაგი გავაკეთეთ, კვლავ მივეუხლოვდით მიწას და გაეჩერდით: გემის რწვევისას გროტ-მარსელი ანძას ეხეთქებოდა.

კონსულისა და ჯერმინის წასვლის შემდეგ ისეთი სცენა გათამაშდა, რომ პირდაპირ ძნელია აღწეროს კაცმა. მატროსები შეშლილებივით ღარბოდნენ გემბანზე; ამ დროს კი ჰაბორტზე დაყრდნობილი ბემბო ველურის ნახელავ ქვის ჩიბუხს წევდა და არაფერში არ ერეოდა.

მეკასრე, რომელიც დილით მაგრა შეაჯანჯღარეს, ახლა ყოველმხრივ ცდილობდა ხელახლა მოენადირებინა მეზღვაურების გული. მან „პარტიებისაგან განურჩევლად“ შესთავაზა ყველას, რომ მოსულიყვნენ და სათითაოდ მოეყუდებინათ მისი ვედრო.

თუმცა, ესეც აშკარა იყო, რომ, სანამ სხვებს დააღეინებდა, ბრძნული წინდახედულება გამოიჩინა და თვითონაც საფუძვლიანად გადაკრა. და აი მან კვლავ მოიპოვა ამხანაგების კეთილგანწყობილება, და ერთსულოვნადაც იქნა აღიარებული უმწიკვლო ყმაწვილად.

მალე პისკომ თავისი გაიტანა და ჩვენ ძლივძლივობით შე-

ვაჩერეთ ზოგი მატროსი, რომლებიც უკანა ტრიუმს მიაწყდნენ, რათა როგორმე კიდევ ეშოვათ სასმელი.

ატყდა ერთი აურზაური.

— ეჭვი, შენ, ანძის წვეროზე რომ ასულხარი რას ხედავ? — ვეებერთელა სპილენძის რუპორით გაჰყვიროდა კონსტა ბიჭი.

— შტაგებზე იდექით! — ღრიალებდა თაღლითი ჯეკი და თან მზარეულის ნაჯახს იქნედა, თითქოს გროტ-შტაგების გადაჭრას აპირებსო.

— გრიგალი ამოვარდა! — გაჰკიოდა პორტუგალიელი ანტონე და კაიუტის სანათურში ანშპუგს ყოფდა.

ბობი გაჰყვიროდა: — აბა, შპილი დავატრიალოთ, ბიჭებო! — და ბაკზე მატროსულ ცეკვას უვლიდა.

თ ა ვ ი 23

მეორე ღამე კაკეიტის რეიდზე

მზის ჩასვლისას უფროსი თანაშემწე ნაპირიდან ბრუნდებოდა და, კანჯოს ცხვირზე მჯდარი, მზიარულად ღიღინებდა. გემს რომ მოადგნენ, ბორტზე ასვლა დააპირა და წყალში მოაღინა ზღართანი. იუნგამ ამოიყვანა წყლიდან და გემბანზე აათრია, თან ათასნაირ გულშიჩამწვდომ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა თავის ტვირთს. მერე ბარკასში ჩააგდო და ჯერმინს მალე ჩაეძინა; შუალამე იქნებოდა, როცა რამდენადმე გამოფხიხლებულს გამოეღვიძა. იგი ბაკზე ავიდა მატროსების სანახავად. შემდგომი ამბები რომ გასაგები გახდეს, ჯერმინი ცოტა ხნით მივატოვოთ.

ასკარად ჩანდა, რომ ჯერმინი სრულიადაც არ იყო წინააღმდეგი „ჯულის“ ზღვაში გასვლისა; არსებითად სწორედ ეს უნდოდა მას. თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იმ ყოფაში, რომელშიც ვიყავით ჩავარდნილი, ჩვენთვის გამოცანად რჩებოდა. მაგრამ ეს მაინც ასე იყო. იგი ღიდ იმედს ამყარებდა მატროსებს შორის მუშტით მოპოვებულ პოპულარობაზე და ეგონა, რომ ისინი ადვილად შეურიგდებოდნენ ხანმოკლე ნაოსნობას მისი მეთაურობით; ამიტომ მათმა საქციელმა გული გაუტეხა. მაინც ფიქრობდა, ეგებ შეეცვალოთ აზრი, როცა გაი-

გებენ, თუ რამდენი კარგი რამ ელოდებათო, და ამიტომ გადაწყვიტა ერთხელ კიდევ ეცადა მათი დაყოლიება.

ამგვარად, იგი ბაკამდე მივიდა, ქვემო ბანის ჩასასვლელთან დაიხარა, რაც შეეძლო გულთბილად შეგვეხმინა და კაიუტაში მიგვიპატიჟა, სადაც, მისი თქმით, რაღაცა ჰქონდა ჩვენს გასამხიარულებლად. ჩვენ დიდი სიამოვნებით შევეყვით, სკვირზე ჩამოვსხედით და ველოდით, როდის მოგვიტანდა იუნგა სასმელს.

როცა ჭიქამ ხელიდან ხელში გადაინაცვლა, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილმა ჯერმინმა, რომელიც გემბანზე მიმაგრებულ კაპიტნის სავარძელში იჯდა, ახლაც, როგორც ყოველთვის, გულწრფელად გაგვიზაარა თავისი ფიქრი. ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო კარგად.

მან გვითხრა, რომ ჩვენ ძალიან სულელურად ვიქცევით, ხოლო თუ გემზე დავრჩებით, კარგ დროს გაგვატარებინებს და შეგვახსენა ჯერ კიდევ რამდენი გაუხსნელი კასრია „ჯულიას“ ღვინის სარდაფში.

ისიც კი გვაგრძნობინა, რომ, შესაძლოა, აღარც მოგვეკითხა კაპიტნისათვის, რომელსაც მეტისმეტად აგდებულად იხსენიებდა, და როგორც ყოველთვის, ახლაც ამტკიცებდა, რომ ის მეზღვაური არ არის.

უფრო მეტიც, ჯერმინმა, რომელსაც, ეტყობა, მე და ექიმი ახმახი სული ვყავდით მხედველობაში, სრული მზადყოფნა გამოთქვა — მსურველებისათვის, თუკი ასეთები გამოჩნდებოდნენ, ესწავლებინა ნავიგაციის ყველა სიბრძნე და საიდუმლოება; პირობაც კი დადო, რომ მათ ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ათხოვებდა თავის კვადრანტს.

მე დამავიწყდა მომეხსენიებინა, რომ უფროსმა თანაშემწემ წინასწარ გაიხმო ექიმი და უთხრა, რომ ბევრად უფრო მაღალი წოდებით დააბრუნებდა კაიუტაში, თან სამსახურში ჩემს დაწინაურებაზე გადაუკრა სიტყვა. მაგრამ ყველაფერი ამაოიყო: მატროსები მხოლოდ ნაპირზე გადასვლაზე ოცნებობდნენ და არაფერს არ შეეძლო ამ განზრახვაზე ხელი აეღებინებინა მათთვის.

ბოლოს ჯერმინი გაცოფდა (ჭიქის ხშირი მოყუდება სულ აგიჟებდა) და წყველა-კრულვით გამოგვაგლო კაიუტიდან. ჩვენ 222

საუკეთესო გუნებაზე დავბრუნდით უკან და ბარბაცით ავეყვიოთ ტრაქს.

გემბანზე სინუმე სუფევდა, და ზოგიერთი შფოთისთავი სერიოზულად წუხდა იმაზე, რომ დილამდე არავითარი აურზაური აღარ ელოდათ. მაგრამ ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ისინი სრულიად დაკმაყოფილდნენ.

სიდნეელი ბენი (ხმებს თუ დაუფერებთ, „მუდმივი საშვით გამოქცეული ყმაწვილი“¹), რომელიც რაღაც მოსაზრებით ზოგიერთებთან ერთად იდგა საგუშაგოზე, გართობის მიზნით ჩამოჰყვა დანარჩენებს კაიუტაში, და ბემბო, რომელიც ამ ხნის განმავლობაში უფროსად იყო გემბანზე, წამდაუწუმ ეძახდა მას. ბენმა ჯერ ყური წაუყრუა, მაგრამ, როცა ძახილი რამდენჯერმე განმეორდა, მაინც არ დაემორჩილა და ამავე დროს რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა მათთვის წარმოშობის შესახებ დედის მხრივ. მათი კარგა ხანს ცხოვრობდა მატროსებში და შეუძლებელია ვერ მიმხვლარიყო, თუ რა შეურაცხყოფელია ასეთი გადაკრული სიტყვა. ამიტომ, როგორც კი მატროსები გავიდნენ კაიუტიდან, ბემბომ მოიხმო ბენი და იმდენი ლანძღვა და აგინა თავის დამტყვეველ ჟარგონზე, რომ, ვისაც არ უნდა მოესმინა, თმა ყალყზე დაუდგებოდა. კატორღელს თავში ავარდნიდა ღვინო, მათრიც მთვრალი იყო. და უცებ რას ვხედავთ, ბენმა ბემბოს გაარტყა. ისინი ერთმანეთს ჩააფრინდნენ.

„მუდმივსაშვიანი ყმაწვილი“ გამოცდილი მოკრივე იყო, მათთვის ამ ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდა, და ამიტომ მათი ძალები თანაბარი აღმოჩნდა. ისინი ხან ყელში სწვდებოდნენ ერთმანეთს, ხან მუშტებს უშენდნენ, სანამ, ბოლოს, ძირს არ დაეხეთქნენ და გორაობა არ დაიწყეს. მათ გარშემო თვალისდახამხამებაში გაკეთდა მყურებელთა წრე. ბოლოს თეთრკანიანს თავი გადაუვარდა და სახე წამოუჭარხლდა. ბემბო კბილებით ჩააფრინდა ყელში. მატროსები მისცვივდნენ და სწრა-

¹ ასალ სამხრეთ უელსში „საიმედო კატორღელები“ დებულობენ ნებართვას მოახლედ მიეკირაონ კერძო პირებს; ამგვარად, ისინი ასე თუ იხე თავისუფლებით სარგებლობენ, მაგრამ აღმინისტრაცია კვლავ ტუსადებად თვლის. მათ აქვთ საშვი, რომელსაც წარუდგენენ ყველას, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ უნებართვოდ დადიან თავისუფლად. ბქედან წარმოიშვა ეს სახელწოდება. ასე ამიხსნა ექიმმა.

ფად გამოათრიეს ბემბო, რომელმაც მხოლოდ მაშინ გაუშვა მსხვერპლი, როცა რამდენჯერმე ჩასცხეს თავში.

ახლა მათრის გაბრაზებამ სიშმაგეს მიაღწია; თვალეზად-მოკარკლული ეგდო გემბანზე, იკრუნჩხებოდა და წამოდგომას არ ცდილობდა. მატროსებმა ბემბოს საქციელის მიხედვით დაასკენეს, ალბათ დამშვიდდაო, მისი დამცირებით გახარებულეზმა, კაციჭამია და მხდალი უწოდეს და ისე გასცილდნენ.

ბენს წამოდგომაში მიეშველნენ და ქვემოთ ჩაიყვანეს.

ქმის შემდეგ დანარჩენებიც, ზოგიერთის გამოკლებით, მალე ჩავიდნენ ქვემო ბანზე და რადგან თითქმის მთელი ღამე ისე გავიდა, რომ თვალი არ მოუხუჭავთ, ერთბაშად დაეყარნენ სკივრების გვერდით და დასაკიდ საწოლებზე. ერთი საათის შემდეგ გემის ამ ნაწილში ჩქამიც არ ისმოდა.

სანამ ბემბოს გამოათრევდნენ, უფროსი თანაშემწე შეეცადა მოწინააღმდეგეთა გაშველებას, რამდენჯერმე გაარტყა მათრის, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მხოლოდ მატროსების ჩარევამ მოუღო ბოლო ამ ბრძოლას.

როცა რაზმი დაიშალა, ჯერმინმა, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო, მაგრამ საკმაოდ საღად აზროვნებდა, იუნგას დაავალა (მკითხველს შევახსენებ, რომ ის გამოცდილი მეზღვაური იყო) გემისათვის თვალყური ედევნებინა, თვითონ კი კაიუტას მიაშურა და კვლავ მთვრალი კაცის ძილს მიეცა.

მას შემდეგ, რაც დანარჩენები ქვემოთ ჩავიდნენ, ერთხანს კიდევ ვიყავი გემბანზე ექიმთან ერთად და ის იყო მეც დავაპირე ჩასვლა, რომ უცებ დავინახე მათრი. ის ადგა, ვედროთი წყალი ამოიღო და თავზე გადაივლო. რამდენჯერმე გააკეთა ასე. ამგვარ საქციელში არაფერი იყო უჩვეულო, ისე კი რაღაც მეუცნაურა ბემბო, თუმცა ამაზე აღარ მიფიქრია და ქვემოთ ჩაველი.

ერთხანს მოუსვენრად ვთვლემდი, წამდაუწუმ მეღვიძებოდა; ქვემო ბანი ძალიან დახუთული იყო, რადგან აქ თითქმის მთელ რაზმს მოეყარა თავი; ამიტომ მაუღის ძველ ბუშლატს დავტაცე ხელი და გემბანზე ავედი, რათა დიღამდე სუფთა ჰაერზე მძინებოდა. იქ ვნახე მზარეული, იუნგა, ვაიმონტუ, ძენმა და დანიელი. ისინი წყნარი, მშვიდი ბიჭები იყვნენ და კაპიტნის წასვლის შემდეგ დანარჩენებისაგან განცალკევებით იდგნენ; უფროს თანაშემწეს განკარგულება ჰქონდა გაცემული, რომ

მზის ჩასვლამდე არ ჩასულიყვნენ ქვემოთ. ისინი ფალშბორტის ჩრდილში იწვნენ; ზოგს გულისძილით ეძინა, ზოგიერთები ჩიბუსს აბოლებდნენ და საუბრობდნენ.

ჩემდა გასაოცრად, საჭესთან ბემბო იდგა. მე ამიხსნეს, რადგან ხალხი ცოტაა, თვითონ ითხოვა: თან სხვებთან ერთად შევასრულებ მესაჭის მოვალეობას და თან საგუშაგოს მეთაური ვიქნებიო; წინააღმდეგობა, ცხადია, არავის გაუწევია.

მშვენიერი ნათელი ღამე იყო; მთვარისა და ვარსკვლავების შუქზე მხოლოდ აქორჩილი ტალღები მოჩანდნენ ირგვლივ. ქროდა მსუბუქი ბრიზი, რომელსაც თანდათან ძალა ემატებოდა და საწყალი „ჯულიეტა“, ზურგქარს აყოლილი, ვითომც აქ არაფერიაო, ისე მიექანებოდა ნაპირისაკენ, რომლის მოხაზულობა ბუნდოვნად მოჩანდა შორიდან.

გასული დღის აურზაურის შემდეგ ირგვლივ გამეფებული სიჩუმე დამამშვიდებლად მოქმედებდა, და მე, ქიმზე დაყრდნობილი, ვტკბებოდი ამ სიჩუმით.

ახლა წინანდელზე უფრო ვწუხდი ჩემს მდგომარეობაზე... მაგრამ წუწუნი რას არგებს კაცს? განა მე რამეში მიმიძლოდა ბრალი? ძილი მომერია. ბუშლატი გავშალე შვილთან, წამოვწექი და შევეცადე ჩამეთვლიმა.

რამდენ ხანს ვიწექი ასე, ვერ გეტყვით; მაგრამ რომ ავდექი, პირველი, რაც თვალში მეცა, ეს იყო საჭესთან მდგარი ბემბო. ვარსკვლავებით მოჭვდილი ცის ფონზე მკაფიოდ მოჩანდა მისი მუქი ტანი, რომელიც გემის მოძრაობის ტაქტზე ადი-ჩადიოდა. იგი გაშლილი ხელის მანძილით მოშორებოდა შტურვალს, ცალი ფეხი წინ წაედგა, თავშიშველი, თვითონაც წინ წახრილიყო, თითქოს თავად არისო მოუთმენლობაც და მოლოდინიც. იმ ადგილიდან, სადაც ვიწექი, არც ერთი გუშაგი არ ჩანდა; ჩამიჩუმიც არ ისმოდა. უკაცრიელი გემბანი და თეთრი იალქნები ციმციმებდნენ მთვარის შუქზე.

უცებ ყურში ჩამესმა რაღაც ხმაური, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, და ისეთი შეგრძნება დამეფულა, თითქოს ოდესღაც გამეგონოს იგი. წამიც, და მე, სრულიად გამოფხიზლებული, სეზე წამოვხტი. პირდაპირ, თანაც ისე ახლოს, რომ გული შემიქანდა, მოჩანდა აქაფებული ტალღების გრძელი ზოლი. ეს იყო მარჯნის რიფები, რომლებიც გარს შემოვლებოდა კუნძულს. უფრო იქით აღმართულიყვნენ მთელემარე მთები, რო-

მელთა ჩრდილი თითქმის სწვდებოდა გემბანს. ნისლით შებურ-
ვილი მათი მწვერვალების თავზე მტრედისფერდებოდა ცა. გან-
თიადი მოტანებული იყო. დაუბერა ქარმა. ჩვენ პირდაპირ რი-
ფებისაკენ მივექანებოდით.

მაშინვე მივხვდი ყველაფერს; ბემბოს მზაკვრული განზრახ-
ვა აშკარა იყო; ერთი საზარელად შევყვირე, რათა გუშაგები
გამეღვიძებინა, და კიჩოსაკენ გავეშურე. მატროსები შეშინე-
ბულები წამოხტნენ, და ხანმოკლე, მაგრამ თავგანწირული
ბრძოლის შემდეგ მათი საჭეს მოვაშორეთ. სანამ ამ ჯახბირში
ვიყავით, რამდენიმე წამით ბედის ანაბარად დარჩენილი შტურ-
ვალი ქარის მხარეს დატრიალდა და, ჩვენდა საბედნიეროდ,
გემის ცხვირი ქარისაკენ შეაბრუნა, რამაც ჩვენი მოძრაობა შე-
აფერხა. მანამდე ხომალდი მიდიოდა კურსით, რომელიც სამი-
ოთხი რუმბით იყო გადახრილი ქარის მიმართულებიდან, და
ფურთუნებს უახლოვდებოდა. ახლა, როცა „ჯულიამ“ სვლას
უკლო, საჭე ისე დავაყენე, რომ ქარს იალქნები მთლიანად არ
დაეებრა, და ჩვენ მიწის გასწვრივ მივცურავდით. ქარის მიმარ-
თულებით სვლა — რაც ყველაზე იოლი იყო — თითქმის მეყსეულ
სიკვდილს ნიშნავდა, რადგან აქ რიფები უხვევდა. ამ დროს და-
ნიელი და იუნგა ჯერ კიდევ ებრძოდნენ გააფთრებულ მათრის,
დანარჩენები კი, დაბნეულნი, ყვირილით დარბოდნენ აქეთ-იქით.

იმ წუთს, როცა საჭეს ხელი ჩაკავლე, მოხუცი მზარეული
ბაკისკენ გაექანა და ანშპუგის ცემა დაუწყო ქვემო ბანის სანა-
თურს.

— ფურთუნები! ფურთუნები სულ ახლოს! გემის ცხვირწინ,
გემის ცხვირწინ! — ღრიალებდა იგი.

მატროსები გემბანზე ამოცვივდნენ და გაოგნებული იყუ-
რებოდნენ აქეთ-იქით.

— შემოაბრუნეთ წინა ქანდარები! მოსწიეთ ქარის მხრის
ფოკა-ბრასი!

— ადგილებზე, მოუხვიეთ! — ყვიროდნენ აქეთ-იქიდან, ათა-
სი ბრძანებით თავგზააბნეული, შიშით შეკვრობილი მეზღვაუ-
რები კი ზოგი საით აწყდებოდნენ და ზოგი საით.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა. მე უკვე დავაპირე ქარის
მიმართულებით წამეყვანა გემი (ამ მომენტში ეს გვიხსნიდა,
მაგრამ საბოლოოდ დაღუპვა არ აგვედებოდა), რომ უჭებ ჭექ-
ქუხილივით ჩამესმა ყურში შეძახილი. ეს საღემი იყო.

— მოუხვიეთ, საჭე ქარისაკენ!

დატრიალდა შტურვალის თელის სახელურები, და „ჯულია“ მოკლე კილით მკვეთრად მიბრუნდა ქარისაკენ. მალე კლივერ-შტოკები ნაგელების გარშემო დაამაგრეს, და რამდენადმე გონს მოსული ადამიანები ბრასებთან მიცვივდნენ.

— აბა, კონტრ-ბრასი! — გაისმა ახალი ბრძანება, როცა ქარმა გემბანის გასწვრივ გაინაჟარდა; და უკანა ქანდარები იმწამსვე შემოაბრუნეს.

ნახევარი წუთის შემდეგ ჰალსი ვიცვალეთ, იალქნები ავუსვით და თანდათან მოვშორდით მიწას.

როცა ვუხვევდით, რიფები ცხვირწინ გვქონდა, და ვერავითარი მიწიერი ძალა ვერ გვიშველიდა, რომ ზღვა მარჯნების მწკრივამდე ძალიან ღრმა არ ყოფილიყო.

თ ა ვ ი 24

ა ღ უ ზ ო თ ე ბ ა

ბემბოს განზრახვა მატროსებმა გუშაგებისაგან შეიტყვეს; ახლა, როცა ხიფათი აღარ ელოდათ, ისინი ბრაზით აღვისილნი მისცვივდნენ მაორის, რომელიც დანკსა და იუნგას ის-ის იყო გაეშვათ და ახლა ჯიუტად განაგრძობდა ბიზანთან ღგომას; გააფთრებული მატროსების მიახლოებაზე მაორიმ დასისხლიანებული თვალები გადააბრიალა, და ჰაერში გრძელმა დანამ ეიღვა.

— ჯოჯოხეთშია გასაგზავნი! წყალში გადაუქაზოთ! გროტანძაზე ჩამოვახრისოთ! — მოისმა აქეთ-იქიდან. მაგრამ ბემბო უშფოთველად იღვა თავის ადგილას. და რამდენიმე წამს მატროსები ყოყმანობდნენ.

— მხდალებო! — შესძახა სალემმა და ბემბოს მიჰვარდა. ფოლადმა გაიღვა ჰაერში, მაგრამ სალემი უვნებლად გადარჩა, რადგან სანამ მაორი გონს მოვიდოდა, მატროსს უკვე მკლავებში ჰყავდა მოქცეული.

ორივენი გაგორდნენ გემბანზე. ბემბოს დანა წაართვეს, თვი-თონ კი ხელი სტაცეს და აქეთ გამოიყვანეს.

— ბაკზე ჩაიყვანოთ, ბაკზე! — კვლავ გაისმა შეძახილები. —

წყალში გადაუძახოთ! — და თუმცა ბემბომ წინააღმდეგობა გაუწია და თან კბილები და ფრჩხილები მოიშველია, მაინც გაათრის.

ეს ბრაგაბრუგი ზედ უფროსი თანაშემწის თავზე იყო. ბოლოს და ბოლოს ჯერმინს გაელვია და, ნამთვრალევი, ბარბაცით ამოვიდა გემბანზე.

— რა მოხდა? — შესძახა და ბრბოში შეეარდა.

— მაორი გახლავთ, სერ; მოკვლას უპირებენ, სერ, — სლუკუნით უპასუხა საწყალმა ძენძამ და გაუბედავად მიუახლოვდა.

— სდექ! სდექ! — დაიღრიალა ჯერმინმა, მატროსები მისწომოსწია და ბემბოსაკენ გაექანა. უბედური უკვე მალლა ეკიდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ებლაუჭებოდა ფალშბორტს, რომელიც განწირულის უკანასკნელი გაბრძოლებისაგან ქანაობდა. ექიმი და სხვები ცდილობდნენ გადაერჩინათ მაორი, მაგრამ ამოდ: რაზმი თავისას არ იშლიდა.

— მკვლელობა და ამბოხება შუა ზღვაში! — დაიყვირა უფროსმა თანაშემწემ. ბემბოზე ჩაბლაუჭებული ხალხი მიჰყარმოჰყარა და რკინის ხელი დაადო მხარზე მაორის.

— ახლა ორნი ვართ; სანამ ამას გაუსწორდებით, მანამდე ჩემთან მოვიწევთ ანგარიშის გასწორება, — შესძახა ჯერმინმა და გაბედულად მიბრუნდა მატროსებისაკენ.

— ორივეს წყალში გადაუძახოთ! — დაიღრიალა ზურომ და მისკენ გაექანა; მაგრამ ჯერმინის მამაცურ საქციელზე დანარჩენებმა უკან დაიხიეს; სწორედ ამ დროს სრულიად უვნებელი ბემბო კვლავ გემბანზე აღმოჩნდა.

— აბა, კინოსაკენ გასწი! — დაუყვირა მხსნელმა და პირდაპირ ჯგროდ მღგარ მატროსებში გაატარა, თან კუდში მიჰყვებოდა, რომ მისთვის რამე არ ექნათ. ჯერმინმა გონს მოსვლა არ აცალა რაზმს, ხელის კვრით მიიყვანა მაორი კაიუტის ჩასასვლელამდე, ქვემოთ ჩაუშვა; სანათური დახურა და თვითონ გემბანზე დარჩა. ამ ხნის განმავლობაში ბემბოს კრინტი არ დაუძრავს.

— ახლა კი ბაკისაკენ გასწიეთ! — დაუღრიალა უფროსმა თანაშემწემ მატროსებს, რომლებიც უკვე გონს მოვიდნენ და სულაც არ აპირებდნენ მსხვერპლის გაშვებას.

— მაორი! მაორი! — ღრიალებდნენ ისინი.

ექიმმა უფროსი თანაშემწის განმეორებით კითხვაზე წინ

გადმოღვა რამდენიმე ნაბიჯი და უამბო, თუ რა ჩაიდინა ბემბომ; ზღვევისაკენ მგზნებარე მოწოდებაში, თანაშემწე თითქმის ვერ მიხვდა საქმის არსს.

ჯერმინი, ეტყობა, რამდენიმე წამს ყოყმანობდა, ბოლოს სანათურის ბოქლომში გასაღები გადაატრიალა და კბილებში გამოკრა:

— ბემბოს ვერ მიიღებთ; მე მას კონსულს გადავცემ. ახლა კი ბაკისაკენ მოუსვით. მოუსვით-მეთქი! თუ რომელიმეს დასრჩობა იქნა საჭირო, შეგატყობინებთ, ჯერჯერობით კი გასწით, სისხლისმსმელო მეკობრეებო!

მატროსებმა ვერც თხოვნით მიაღწიეს რამეს და ვერც მუქარით. თუმცა ჯერმინი ზეირიანად ჯერ კიდევ არ იყო გამოფხიზლებული, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად იცავდა თავის აზრს. რამდენიმე ხნის შემდეგ მატროსები დაიშალნენ და მალე დაივიწყეს კიდევ ყველაფერი, რაც მოხდა.

მართალია, ბემბო არ გაგვტყუებია, რომ ჩვენი დაღუპვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ამაში ეჭვი მაინც არ გვეპარებოდა. ერთადერთი მოტივი, რომლითაც მას შეეძლო ეხელმძღვანელა, იყო შეურაცხყოფისათვის შურისგების სურვილი. შეურაცხყოფისა, რომელიც წუხელ მიაყენეს.

მომხდარი ამბების დროს ექიმი რაც შეეძლო ყველაფერს აკეთებდა, რათა მაორი გადაერჩინა.

რაც შემეხება მე, კარვად ვიცოდი, რომ საქმეში ჩარევის ყოველგვარი ცდა უნაყოფო იქნებოდა, და კვლავ საჭკესთან ვიდექი. რა თქმა უნდა, ჯერმინის გარდა, არავის შეეძლო მკვლელობის თავიდან აცილება.

თ ა ვ ი 25

ჯერმინი კვლავ ამხანაგს უხსნდა

გათენდა თუ არა, ქარის პირისპირ დავდექით ნავსადგურის შესასვლელში და დავეუწყეთ ლოდინი, როდის გამოჩნდებოდა კონსული, რომელიც უფროს თანაშემწეს დაპირდა, რომ კანჯოთი მოვიდოდა და ინახულებდა.

ამასობაში მატროსებმა იმდენი ქნეს, რომ მეკასრეს საი-

დუმლო გაამჟღავნებინეს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი წამ-
დაუწუმ ჩადიოდა უკან ტრიუმში. უფროსი თანაშემწე, რო-
გორც ჩანს, მიხვდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, მიუხედავად იმ
ცეკვებისა და ზოგჯერ ჩხუბისაც, პისკოს ხელგამლილად მოხ-
მარებას რომ მოასწავებდა.

ის დამამშვიდებელი გაელენა, რასაც მე და ექიმი ვახდენ-
დით, ახლა უკვეალოდ გამქრალიყო.

როცა დარწმუნდნენ, რომ ასეთ ვითარებაში გემი ბოლოს
და ბოლოს იძულებული იქნებოდა ნავსადგურში შესულიყო,
და იმასაც მოჰკრეს ყური, თითქოს ეს უფროსმა თანაშემწემაც
დაადასტურა, მატროსებს, ეტყობა, აღარ ეჩქარებოდათ ნაპირზე
გადასვლა, რადგან საცობას ვედრო გულუხვად მასპინძლობდა
მათ.

ბემბოს შესახებ გვითხრეს, უფროს თანაშემწეს ხელფეხ-
შეკრული ჰყავს დამწყვედული კაპიტნის კაიუტაშიო; თანაშემ-
წეს კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე გამოეჩინა და კაიუტის სა-
ნათურზე ბოქლომი დაედო. მაორი აღარასოდეს გვინახავს; თუ
რატომ მოხდა ასე, ახლა ვიამბობთ.

შუადღემ მოატანა, მაგრამ კონსული არ ჩანდა. გადიოდა
დრო, ნაპირიდან კი არაერთარი ცნობა არ მოდიოდა. ტყუილად
როდი ბრაზობდა უფროსი თანაშემწე. მით უმეტეს, რომ უილ-
სონის მოლოდინში ყოველმხრივ ცდილობდა საესეებით ფხიზე-
ლი ყოფილიყო.

მზის ჩასვლამდე ორი-სამი საათით ადრე ნავსადგურიდან
გამოვიდა მომცრო სანდალი, რომელმაც კურსი აიღო მეზობელ
კუნძულ ეიმეოსაკენ, ანუ მურეისაკენ, უკვე თხუთმეტ მილზე
რომ მოჩანდა. ქარი ჩადგა, დინებამ სანდალი ზედ „ჯულიას“
ცხვირთან გაატარა, და ჩვენ კარგად გავარჩიეთ მის გემბანზე
მყოფი კუნძულელები.

ოციოდე კაცი იქნებოდა სანდალზე; ჭილოფებზე წამოწო-
ლილიყვნენ და ჩიბუხებს აბოლებდნენ. ახლოს რომ გაგვიარეს,
ჩვენი ლოთიფოთი მატროსების ღრიანცელიც გაივინეს და
ისიც დაინახეს, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი, ეტყობა, მეკობ-
რეებად მიგვიჩინეს; ყოველ შემთხვევაში, რაც ძალი და ღონე
ჰქონდათ მოუსვენს გრძელი ნიჩბები და სასწრაფოდ გაგვეცალენ.
როგორც კი თვალი მოჰკრეს ექვსგირვანქიან ორ ქვემებს, რომ-
ლებიც ხუმრობით გადმოვაგორეთ ზარბაზნების სადგარებიდან,

მაშინვე გაორკეცებული ძალით მოუსეეს ნიჩბები. ისინი შორს არ იყვნენ წასული, როცა გემბანზე გამოჩნდა წითელქაპარშე-მორტყმული თეთრკანიანი, და კუნძულელებმა დაუყოვნებლივ გაანებეს თავი ნიჩბების მოსმას.

თეთრკანიანი ხმამაღლა შეგვეხმიანა და გვითხრა, რომ ჩვენთან უნდოდა ამოსულა გემზე; გემბანზე ატეხილი მცირეოდენი შეხლა-შემოხლის შემდეგ სანდალიდან პატარა პირაგუა ჩამოუშვეს, და ორი-სამი წუთის შემდეგ თეთრკანიანი ჩვენთან გაჩნდა. სტუმარი გამოდგა უფროსი თანაშემწის მეგობარი, ვინმე ვინერი, რომელიც ჯერმინს დიდი ხნის მკვდარი ეგონა, სინამდვილეში კი თურმე ტაიტიზე ცხოვრობდა.

ასეთი შეხვედრები ერთ-ერთი მაგალითია იმ მრავალრიცხოვანი დამთხვევებისა, რომლებიც რომანში სიმართლის შეუფერებლად შეიძლება ერვენოს კაცს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად ხდება თავგადასავლებით აღსავსე სინამდვილეში.

თხუთმეტიოდე წლის წინათ ჯერმინი და ვინერი ერთად მსახურობდნენ კაპიტნის თანაშემწეებად ლონდონის ორჩზომელ „ჯენზე“, რომელიც სამხრეთის ზღვებში დაცურავდა. სადღაც ახალი ჰებრიდების ახლოს ისინი ერთ რიფს გადააწყდნენ, და სულ რამდენიმე საათში „ჯენი“ ნაფოტებად იქცა. კანჯოები, ასევე ცოტაოდენი სურსათ-სანოვაგე, კვადრანტი და კიდევ რაღაც-რაღაცეები გადარჩა. მაგრამ მატროსების ნაწილი, სანამ მათ გადასხმას მოასწრებდნენ, მანამდე დაიღუპა.

სამი კანჯო კაპიტნის, ჯერმინისა და მესამე თანაშემწის მეთაურობით ახალი ზელანდიის ერთი პატარა ინგლისური დასახლების ბეი-ოფ-აილენდსისაკენ გაემართა. თავისთავად ცხადია, სანამ შეიძლებოდა, ერთად იყვნენ. მას შემდეგ, რაც ზღვაში ერთი კვირა დაჰყვეს, ინდიელი მატროსი, რომელიც კაპიტნის კანჯოში იჯდა, ჭკუაზე შეიშალა. მისი იქ ყოფნა საფრთხეს უქადდა დანარჩენებს, და ამიტომ შეეცადნენ წყალში გადაეგდოთ. ატყდა ერთი ალიაქოთი, ქარმა იალქანი გადაზნიქა, და კანჯო გადაბრუნდა. ზღვა საკმაოდ ძლიერ ღელავდა, დანარჩენი ორი კანჯოც ჩვეულებრივზე შორს იყო, ამიტომ მხოლოდ ერთი კაცის გადარჩენა შეძლეს. იმავე დამეს სამინე-ლი ქარიშხალი ამოვარდა; გადარჩენილი კანჯოების რაზმებმა იალქნები აკრიფეს, ნიჩბები ერთად შეკონეს, წყალში გადაყარეს, ბაგირები ჩააბეს და ასე იყვნენ გაჩერებული მცურავი ღუ-

ზების მეშვეობით. როცა გათენდა, აღმოჩნდა, რომ ჯერმინი და მისი ხალხი ოკეანეში მარტო იყვნენ; მესამე თანაშემწის კანჯო, როგორც ეტყობა, ჩაიძირა.

მრავალი მძიმე განსაცდელის შემდეგ სიკვდილს გადარჩენილმა მეზღვაურებმა დაინახეს ბრივი, რომელმაც აიყვანა ისინი და შემდეგ სიღნეში გადმოსხა.

მას შემდეგ ჩვენი უფროსი თანაშემწე ბევრჯერ გამოსულა სანაოსნოდ ამ ნავსადგურიდან, მაგრამ არასოდეს არ სმენია რამე თავის გაუჩინარებულ ამხანაგებზე და, რა თქმა უნდა, დიდი ხნის დაღუპული ეგონა ისინი. წარმოიდგინეთ ახლა მისი მდგომარეობა, როცა ვინერი, დაკარგული მესამე თანაშემწე, მივარდა და მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

თურმე ქარიშხლის დროს მისი ბაგირი გაწყვეტილიყო, კანჯო ქარს გაეტაცა და დილით უკვე შორს იყო. მერე მეზღვაურები დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ და, ეგებ რამე ხილი ვიშოვოთო, რომელიღაც კუნძულს მიაღვნენ. ადგილობრივი მკვიდრნი თავდაპირველად გულითადად შეხვდნენ; მაგრამ ერთხელ ერთმა მატროსმა ქალის გულისათვის ატეხა ჩხუბი, დანარჩენებიც მიემხრნენ, და ყველანი დაიხოცნენ, — გარდა ვინერისა, რომელიც ამ დროს მეზობელ სოფელში იყო თურმე. მან კუნძულზე ორ წელიწადზე მეტ ხანს იცხოვრა; ბოლოს როგორც იქნა გაიქცა ერთი ამერიკული ვეშაპსანადირო გემის კანჯოთი, რომელმაც ვალპარაისოში გადმოსუა. ამის შემდეგ კვლავ დაცურავდა ზღვებში, ქირით სამუშაოდ დგებოდა უბრალო მატროსად, სანამ წელიწად-ნახევრის წინ საბოლოოდ არ დასახლდა ტაიტიზე; ახლა იგი, ჩვენ რომ ვნახეთ, იმ სანდალის მეპატრონე იყო და მახლობლად მდებარე კუნძულებთან ეწეოდა ვაჭრობას.

ჩავიდა თუ არა მზე, ისევ ამოვარდა ქარი; ვინერმა დაგვტოვა და თავის მეგობარს აღუთქვა, რომ კიდევ ერთხელ ინახულებდა ნავსადგურ ჰაპეიტეში.

**ჩვენ შავდვიპართ ნავსადგურში.
ლოცმანი ჯიმი**

მთელი დღის გაუთავებელი სმით დაღლილ-დაქანცული მატროსები დილაადრიან თითქმის ყველანი უკლებლივ ჩავიდნენ ქვემოთ. გემბანზე მხოლოდ იუნგა და ორი გუშაგი დარჩა; უფროსი თანაშემწე შეპირდა მათ, რომ ბალტიმორასა და დანიელთან ერთად შეცვლიდა შუაღამისას. ამ დროს ნაპირიდან გარკვეული მანძილით დაშორებული იალქნებშეკვეცილი გემი სხვა ჰალსით უნდა მოებრუნებინათ.

ნაშუაღამევს ქვემო ბანზე გაგვადვიდა ჯერმინის ლომისებურმა ღრიალმა, რომელმაც ბრძანება გასცა კლიეერ-ფალი მრეწიათ; ცოტა ხნის შემდეგ სანათურზე ანშუგმა გაიხშიანა, და ყველა ზევით ავიდა, რათა გემი ნავსადგურში შეეყვანათ.

ეს სავსებით მოულოდნელი იყო ჩვენთვის; მაგრამ იმწამსვე მივხვდით, რომ უფროსმა თანაშემწემ, რომელსაც აღარც კონსულის იმედად შეეძლო ყოფილიყო და მატროსების დაყოლიების იმედიც გადაუწყდა, უეცრად თვითონ მიიღო ახალი გადაწყვეტილება. ის აპირებდა ქარის საწინააღმდეგოდ ლავირებით მისდგომოდა ნავსაყუდელს იმ ვარაუდით, რომ ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე აეშვა ლოცმანის გამოძახების სიგნალი.

მიუხედავად ამისა, მატროსებმა მაინც ცივი უარი თქვეს გემის ყოველგვარ სამუშაოზე და ჩვენს რჩევა-დარიგებას ყურიც არ ათხოვეს. რაც არ უნდა მოხდეს, „ჯულიაზე“ ხელს არ გაგანბრევთო. ასეთი ყოვლად გაუმართლებელი სიჯიუტე შეიძლებოდა ამასწინანდელი ლოთობით აეხსნა კაცს.

ძლიერი ქარი მიაქანებდა აფრააშვებულ გემს. საგუშაგოზე ორ დღე-ღამეს დგომით განაწამებნი, იძულებული ვიყავით ოთხი-ხუთი კაცის დახმარებით მოგვეხდინა ყველა მანევრი. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ უფროსი თანაშემწე ახლა კიდევ უფრო უზრუნველად იქცეოდა, ვიდრე საერთოდ, ჩვენ კი, მიწასთან სულ ახლოს მყოფთ, რამდენჯერმე მოგვიხდა ჰალსის გამოცვლა.

მე მშვენიერად მესმოდა: „ჯულიას“ რომ რამე დამართოდა, ყველაფერი რაზმს დაბრალდებოდა, და თუ საქმე სასამარ-

თლომდე მივიდოდა, ამას შეიძლებოდა არასასიამოვნო შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომ მე მივმართე იმათ, ვინც გემბანზე იყო, და ყველას გასაგონად განვაცხადე, რომ ახლა, როცა გემი ნავსადგურისაკენ მიემართებოდა (ეს იყო ერთადერთი, რისთვისაც პირადად მე აქამდე ვიბრძოდი), რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებდი, რათა იგი მშვიდობიანად შესულიყო შიგ. ექიმმაც მხარი დამიჭირა.

ასე მოუსვენრად ვიყავით დილაამდე. დილას, როცა ქარი სწორედ ნავსადგურის მხრიდან ქროდა, ჩვენ ნელ-ნელა გავწითეთ წინ და თან ფოკ-ანძახზე ინგლისური ალაში აღვმართეთ. მაგრამ კანჯო და ლოცმანი არსად ჩანდნენ; რამდენჯერმე მივეუახლოვდით შესასვლელს, მერე ბიზან-რეაზე აღვმართეთ ალაში. ფოკ-ანძახზე კი უბედურების ნიშნად ძირს დავუშვით. მაგრამ ესეც ამაო გამოდგა.

ნაპირის უფროსობის მხრივ ასეთი გაუგებარი უყურადღებობა ჯერმინმა უილსონის ხრიკებს მიაწერა და ბრაზით აღესიღმა გადაწყვიტა თავგანწირვის ფასად შესულიყო ნავსადგურში, დაემყარებოდა რა მხოლოდ იმ ცნობებს, რომლებიც ტაიტიზე ყოფნის მრავალი წლის შემდეგ შემორჩენოდა მეხსიერებაში.

ასეთი გადაწყვეტილება დამახასიათებელი იყო ჩვენი უფროსი თანაშემწისათვის. ნავსადგურში შესვლა მაშინაც კი სახიფათოა, როცა გამოცდილი ლოცმანი გყავს აყვანილი. ნაპირის მკვეთრად შეჭრით წარმოქმნილი ეს ყურე ზღვის მხრიდან დაცულია მარჯნის რიფით, რომელსაც უზარმაზარი ძალით ეხეთქება აქაფებული ტალღები. ყურის შემომღობავი მარჯნის ბარიერი გრძელდება ვენერას კონცხამდე¹, მატავაის მიდამოებში რომ მდებარეობს და მისგან რვა-ათი მილითაა დაშორებული. იქიდანაც შეიძლება შესვლა; შეზვალ, რიფსა და ნაპირს შორის გამავალ წყნარსა და ღრმა არხს გაჰყვები და ასე მოხვდები ნავსადგურში. მაგრამ კაპიტნები უფრო ქარის საწინააღმდეგო შესასვლელს არჩევენ ხოლმე, რადგან რიფის იქით ძალიან ცვალებადი ქარი იცის. ეს უკანასკნელი შესასვლელი წარმოადგენს

¹ კუნძულის ყველაზე ჩრდილოეთი წერტილი, რომელსაც ეს სახელი იმეტირებდა, რომ იქ კუკმა მოაწყო სათვალთვლო პუნქტი ტაიტიზე პირველი მოგზაურობის დროს.

ვიწრო გზას რიფებს შორის, სწორედ ყურისა და სოფელ პაპეტეს პირდაპირ. ეს გზა ძალიან ვიწროა; ცვალებადი ქარის, დინებებისა და წყალქვეშა კლდეების გამო გემები წამდაუწუმ წამოედებიან ხოლმე მარჯნის ფსკერს.

მაგრამ უფროსი თანაშემწე არაფერს არ შეუშინდა. თავის განკარგულებაში მყოფი ხალხი ბრასებთან დააყენა, თვითონ ფალშბორტზე შეხტა, ყველანი გააფრთხილა, ფხიზლად ყოფილიყვნენ და ბრძანა ქარისაკენ მიემართათ საჭე. რამდენიმე წამის შემდეგ უკვე ნაპირისაკენ მიედროდით. რადგან შუადღე ახლოვდებოდა, ქარი ძალე ჩადგა და როცა „ჯულია“ ფურთუნებში მოექცა, მაინცდამაინც აღარ ემორჩილებოდა საჭეს. მაგრამ ჩვენ მშვიდად მიესრიალებთ წინ და ოსტატურად ვუვლიდით გვერდს მქრქალ-მწვანე დაბრკოლებებს, ალაგ-ალაგ რომ გვხვდებოდა გზაზე. ჯერმინი, რომელიც სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, დროდადრო აკვირდებოდა წყალს, მერე კი აქეთ-იქით იყურებოდა და ხმას არ იღებდა. ნელ-ნელა მივიწვევდით წინ. რამდენიმე წუთში ჩამოვიტოვეთ უკან ყველა სახიფათო ადგილი და წყნარ შიდა წყალსატევეში აღმოჩნდით. ეს იყო უმაღლესი მიღწევა სანავიგაციო ხელოვნებაში, რომელიც კი ოდესმე უჩვენებია უფროს თანაშემწეს.

ფრეგატისა და საეაჭრო ხომალდებისაკენ რომ გავწიეთ, უცებ მათ გამოეყო ერთი პირაგუა, რომელიც თანდათან გვიახლოვდებოდა. შიგ მოხუცი და ბიჭი ისხდნენ — ორივე კუნძულელები; პირველს მეზღვაურის ძველი სერთუკი ეცვა, მეორე კი თითქმის შიშველი იყო. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ უსვამდნენ ნიჩბებს; დროდადრო მოხუცი ნიჩბს წყლიდან ამოიღებდა და თანამგზავრს თავში წამოართყვამდა ხოლმე, რის შემდეგაც ორივენი განახლებული ძალით განაგრძობდნენ საქმეს. როცა პირაგუა საკმარის მანძილზე მოგვიახლოვდა, ბერიკაცი ზეზე წამოხტა და ნიჩბის ქნევას და ხტუნვას მოჰყვა, თან გაუთავებლად რატრატებდა:

— ა! თქვენ პემი, ა! თქვენ მოვიდა! რისთვის თქვენ მოვიდა? თქვენ ჯარიმის გადახდა, რომ ლოცმანი არ აიყვანა. მე ვამბობ, თქვენ ესმის? მე ვამბობ, თქვენ იტა მაიტაი (ცუდები). თქვენ ესმის? თქვენ ლოცმანი არ არის, თქვენ ჯანდაბა, თქვენ ლოცმანი სულ არ არის; თქვენ ჯანდაბა, თქვენ ესმის?

ამ ტირადამ, რომელიც აშკარად გვიჩვენებდა, რომ მოხუცი

წარმართი-თაღლითი, რა განსაზღვრაც არ უნდა ჰქონოდა, საე-
სებით სერიოზულად ლაპარაკობდა, „ჯუღიაზე“ ხარხარი გა-
მოიწვია. მაშინ მოხუცს, ეტყობა, მოთმინება აღარ ეყო, და
ბიჭს, რომელსაც წყლიდან ხოფი ამოეღო და აქეთ-იქით იყუ-
რებოდა, ერთი მაგრა უთავაზა თავში ნიჩაბი, რის შემდეგაც
იგი თვალისდახამხამებაში შეუდგა თავის საქმეს და ნავი სულ
ახლოს მოიყვანა. როცა ორატორმა ისევ დაიწყო ლაპარაკი,
გამოირკვა, რომ მისი მგზნებარე სიტყვა მიმართული იყო უფ-
როსი თანაშემწისაკენ, რომელიც კვლავ ფალშბორტზე იდგა.

მაგრამ ჯერმინს ხუმრობისათვის არ ეცალა; ამიტომ ერთი
მეზღვაურულად შეიკურთხა და მოხუცს უბრძანა აქედან წათ-
რეულიყო. მაშინ ბერიკაცი გაცოფდა და ისეთ წყევლა-კრულ-
ვასა და ლანძღვა-გინებას მოჰყვა, როგორც არც ერთი ცივი-
ლიზებული არსებისაგან არ გამიგონია.

— თქვენ საბე! მე? — ყვიროდა ის. — თქვენ იცნობთ მე, ა?
მაშ ასე, მე — ჯიმი, მე — ლოცმანი... ლოცმანი დიდი, დიდი ხა-
ნია.

— ა, — შესძახა გაოცებულმა ჯერმინმა, — მაშ შენა ხარ
ლოცმანი, შე ბებერო წარმართო? სადა ხარ აქამდე?

— აჰ, მე საბე, მე იცის, თქვენ მეკობრეები... მე დიდი ხანია
ხედავს თქვენ, მაგრამ არ მოვიდა... მე საბე თქვენ... თქვენ
იტა მაიტაი ნუი (ყველაზე ცულები).

— აბა, მოუსვი აქედან, — დაუღრიალა გაბრაზებულმა ჯერ-
მინმა. — მოუსვი! თორემ ბარჯს გესვრი!

მაგრამ ჯიმი, იმის მაგივრად, რომ ბრძანებას დამორჩილე-
ბოდა, ნიჩაბს დასწვდა, პირაგუა ზედ ტრაპთან მიიყვანა და
ორი ნახტომით განნდა გემბანზე. აბრეშუმის გაზინთული თავ-
საფარი კიდევ უფრო ჩამოიფხატა, სერთუკი სწრაფად გაისწო-
რა, გაბედულად მივიდა უფროს თანაშემწესთან და უფრო ხა-
ტოვნად, ვიდრე წელან, გააგებინა, რომ მის წინ დგას თვით
მრისხანე „ჯიმი“, რომ ღუზის ჩაშვებამდე ხომალდი მის გან-
კარგულებაშია, და რომ მას სურს მოისმინოს, ვის რა აქვს სა-
წინააღმდეგო.

რადგან თითქმის აღარავინ ეჭვობდა, რომ კუნძულები

¹ დამახინჯებული ფრანგული savoir (ცოდნა), რომელიც ფართოდაა
გავრცელებული ყველა ეროვნების მეზღვაურებში და ამიტომ პოლი-
ნეზის მრავალი მკვიდრისათვისაც არ არის უჩვეულო.

სწორედ ის კაცი იყო, ვისი სახელითაც გაგვეცნო, „ჯულიამ“ ბოლოს და ბოლოს, კაპიტულაცია გამოაცხადა.

ამრიგად, პატივცემული ჯენტლმენი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და მიგვიყვანა ღუზის ჩასაშვებ ადგილას; იგი დგარებს შორის დახტოდა და გაჰყვიროდა: „ქარისაკენ! ქარისაკენ! აქეთ! აქეთ, — და მოითხოვდა, რომ მეშტურვალეს ყოველთვის მოეხსენებინა შესრულების შესახებ. გემი უკვე თითქმის აღარ ემორჩილებოდა საჭეს, მაგრამ ჯიუტი ბერიკაცი თავისი ბრძანებებით არანაკლებ ალიაქოთს ქმნიდა, ვიდრე ტროპიკული გრიგალი „მფრინავ ჰოლანდიელზე“.

თურმე ჯიმი ნავსადგურის ლოცმანად მსახურობდა; ადგილი შემოსავლიანიც იყო და მნიშვნელოვანიც, ყოველ შემთხვევაში მის თვალში მაინც¹. ამიტომ ყურეში ჩვენი უცერემონიო შესვლა ჯიმმა მიიჩნია საშინელ შეურაცხყოფად, რომელიც მის ღირსებასაც ამცირებდა და პროფესიულ შემოსავალსაც.

მოხუცი რალაცით ჯადოქარსაც წააგავდა. მას სტიქიონთან ჰქონდა დადებული ხელშეკრულება, და ბუნების ზოგიერთი მოვლენა საგანგებოდ მას ემსახურებოდა. უჩვეულოდ მოწმენდილი ამინდი, თანაბარზომიერი ქარი რომელიმე „ვაჭრის“ მოახლოებას მოასწავებდა; თუ ყურიდან ვეშაპის მიერ ამოსროლილ შადრევანს დაინახავდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ აგერაგერ გამოჩნდებოდა ვეშაპსანადირო გემი; ხოლო ჭექა-ქუხილი, რაც აქ იშვიათად იცის, უეჭველი დადასტურება იყო იმისა, რომ საცაა ნავსადგურში რომელიღაც სამხედრო გემი შემოვიდოდა.

მოკლედ, ლოცმანი ჯიმი თავისებური მნიშვნელობის პიროვნება იყო, და ყველას, ვინც კი ტაიტიზე მოსვედრილა, მრავალი საინტერესო ამბავი სმენია მასზე.

¹ უკანასკნელ წლებში ტაიტის ყოველწლიურად ას ორმოცდაათზე მეტი სომალდი მოადგებოდა სოლმე, ესენი იყვნენ ძირითადად ვეშაპსანადირო გემები, რომლებიც ადგილობრივ წყლებში დაცურავდნენ. ნავსადგურში დედოფლის სასარგებლოდ შეწერილი გადასასადები ისე დიდი იყო, რომ პროტესტს იწვევდა. ჯიმი, რამდენადაც უიცი, სუთ ვერცხლის ღოღარს ღებულობს ნავსადგურში შეყვანილ ყოველ გემზე.

**პაპაიტას საერთო ხელი.
ჩვენ ფრეზატზე გვგზავნიან**

სოფელი პაპეეტე მეტად ალერსიანი გვეჩვენა ყველას. ყურეზე ნახევარწრედ შემოვლებული სახლები, სადაც ბელადები და უცხოელები ბინადრობენ, ტროპიკებისათვის დამახასიათებელ მიმზიდველობას ანიჭებენ ამ დასახლებას. ამ მიმზიდველობას კიდევ უფრო აძლიერებს ტანწერწეტა პალმები და პურის ხეების მუქი მწვანე ჭალები. მდაბიოთა ღარიბული ქოხები აქ არ ჩანან, და არაფერი არ უფუჭებს კაცს შთაბეჭდილებას.

ყურეს ირგვლივ შემოვლებია ფართო სანაპირო ზოლი, რომელიც კენჭებითა და მარჯნის ნამტვრევებითაა დაფარული. ეს არის სოფლის ყველაზე გამოცოცხლებული ქუჩა; ამ ქუჩის პირას ყველაზე ღამაზი სახლები დგას; მოქცევის სიმაღლე ისე უმნიშვნელოა¹, რომ არავითარ უხერხულობას არ იწვევს.

ყურის ერთ მხარეს არის პრიჩარდის რეზიდენცია — საუცხოო უზარმაზარი შენობა; მწვანე მდელოები ეშვება ზღვისაკენ, შენობის სახურავზე კი ინგლისური ალაში ფრიალებს. მოპირდაპირე მხარეს აღმართული სამფეროვანი და ზოლიანი ალმები, რომლებზედაც ვარსკვლავებია გამოსახული, სხვა საკონსულოების ნიშანია.

განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა ყურეს ნავსადგურის სულ ბოლოს, ნაპირზე მიგდებული ერთი დიდი გემის ჩონჩხი. მისი კიჩო ღრმად იყო ჩაძირული წყალში. ცხვირი კი ხმელეთზე ჰქონდა. იმ ადგილიდან, სადაც ღუზა ჩავუშვიტ, ისე ჩანდა, თითქოს ხეებს თავიანთი გაფოთლილი ტოტები დაეხარათ მის ბუშპრიტზე, თითქმის შეეუღლად რომ ამოწვერილიყო.

ეს იყო ძველისძველი ამერიკული ვეშაქსანადირო გემი. ერთხელ შუა ზღვაში რომ იყო, წყალი შეუვიდა, და, აფრააშვებულმა, სასწრაფოდ მიაშურა ტაიტის, რათა იქ შეკეთებულიყო, მაგრამ შემდგომი ნაოსნობისათვის სრულიად გამოუსადე-

¹ მოქცევითა ნიუტონისეული თეორია არ დასტურდება ტაიტისზე, სადაც მთელი წლის განმავლობაში უკუქცევა მუდამ შუადღისას და შუალამისას ხდება. მოქცევა კი მზის ჩასვლისას ან ამოსვლისას, ამიტომ „ტურარ-პო“ მოქცევასაც ნიშნავს და შუალამესაც.

გარი აღმოჩნდა. ამიტომ ვეშაპის ქონი გადმოტვირთეს და სამ-
შობლოში სხვა გემით გაგზავნეს. ჩონჩხი დატოვეს, დანარჩენი,
რაც იყო, ჩაღის ფასად გაყიდეს.

სანამ ტაიტიის დავტოვებდი, ცნობისწადილით შეპყრობილმა
გადავწყვიტე დამეთვალეირებინა უცხო მიწაზე მიგდებული სა-
ცოდავი ძველი გემი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ავლელდი,
როცა მის კიჩოზე მდინარე ჰუძონის პირას გაშენებული ერთ-
ერთი ქალაქის სახელი ამოვიკითხე! იგი ამ კეთილშობილ მდი-
ნარეს ჩამოჰყვა და აქამდე მოვიდა, მდინარეს, რომლის ნაპირ-
ზე დავიბადე, რომელშიც, ვინ იცის, რამდენჯერ მიბანავია. სულ
რამდენიმე წამში პალმები და თელები, პირავუები და ორჩხო-
მელები, საყდრების შვილები და ბამბუკის ღეროები — ყველა-
ფერი შეერწყა ერთმანეთს და აწმყოსა და წარსულის ერთ ზმა-
ნებად იქცა.

მაგრამ მოდით „ჯულიას“ დაუბრუნდეთ.

როგორც იქნა შესრულდა მატროსების უმრავლესობის
სურვილი, და, მისი პატარა ჟანგიანი ღუზა გაიხლართა პაპე-
ეტეს ყურის ფსკერზე მარჯნის ჭალებში. ეს მოხდა ორმოციო-
დე დღის შემდეგ, რაც მარკიზის კუნძულები დავტოვეთ.

იალქნები ჯერ კიდევ არ იყო დაშვებული, როცა გემს მო-
ადგა კანჯო, რომელშიც ჩვენი პატივცემული მეგობარი კონსუ-
ლი უილსონი იჯდა.

— კი მაგრამ, ეს როგორ მოხდა, მისტერ ჯერმინ? — მრის-
ხანედ დაიწყო მან, როგორც კი გემბანზე ფეხი შემოვდა. — რა-
ტომ შემოხვედით განკარგულების გარეშე?

— თქვენ არ მოხვედით ჩვენთან, როგორც შეგეპირდით, სერ,
და აბა რა აზრი ჰქონდა ზღვაში ყიაღს, როცა გემზე მუშაობა
არავის შეუძლია! — მკვახედ მიუგო ჯერმინმა.

— მაშ ეს ეშმაკის კერძები ჯიუტობენ, ხომ? კეთილი, მე
მაგათ ვუჩვენებ სეირს, — და მან მოულოდნელი სიმამაცით გა-
დააელო თვალი პირმოღუშულ მატროსებს. საქმე ის იყო, რომ
იგი, აქ უფრო უშიშრად გრძნობდა თავს, ვიდრე მაშინ, როცა
რიფების მეორე მხარეს იმყოფებოდა.

— მემობოხეებს შკანცებზე მოუყარეთ თავი, სერ, — განაგ-
რძო უილსონმა. — კიჩოზე მოიყვანეთ ახლავე ავადმყოფებიცა
და ჯანმრთელებიც. მე ვეტყვი, რაც საჭიროა.

— მაშ ასე, მატროსებო, — მოგვმართა ჩვენ, — როგორც ვხე-

დავ, თქვენ გგონიათ, რომ თქვენსას ეწიეთ. თქვენ გინდოდათ, რომ გემი ნავსადგურში შესულიყო, და აი შევიდა კიდეც. კაპიტანი გაი ნაპირზე და თქვენც ნაპირზე მოგინდათ ყოფნა. მაგრამ ეს კიდეც საკითხავია... მე თქვენ განანებთ. — ზუსტად ასე თქვა მან. — მისტერ ჯერმინ, გამოიძახეთ ყველა, ვისაც თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარი არ უთქვამს, და შტირობორტზე გავიდნენ.

ამის შემდეგ შეადგინეს „მეამბოხეთა“ სია, როგორც ინება კონსულმა დანარჩენების მონათვლა. მათ რიცხვში მე და ექიმიც მოვხვდით, თუმცა ჩემი სწავლული მეგობარი წინ გავიდა და მტკიცედ მოითხოვა აღედგინათ თანამდებობაზე, რომელიც ეკავა, როცა გემი სიდნეიდან გამოვიდა. მე გამომესარჩლა უფროსი თანაშემწე, რომელიც ყოველთვის მეგობრულად მეპყრობოდა; ის მოჰყვა იმ სამსახურზე, რაც გუშინლამ გავუწიე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ მოვიქეცი, როცა მან გამოაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა ნავსადგურში შესვლა. პირადად მე დაუინებით ვამტკიცებდი, რომ კაპიტან გაისტან დადებული ხელშეკრულების მიხედვით თუ სხვა მიზეზების გამო ჩემი ყოფნის დრო ამოიწურა, და მოვითხოვდი ანგარიში გაესწორებინათ ჩემთვის.

მაგრამ უილსონმა ყური არ მათხოვა. მან ყურადღება გამახვილა იმაზე, თუ როგორ ვიქცეოდი, ჩემი გვარი და ეროვნება იკითხა და მერე იქედნური ღიმილით შენიშნა:

— ჰოო, მესმის, თქვენ ის ყმაწვილი ბრძანდებით, „რაუნდრობინი“ რომ დაწერეთ, არა? თქვენ რაც შემძლია ზრუნეას არ მოგაკლებთ, კეთილო ყმაწვილო... მიბრძანდით, სერ.

საწყალ ახმახ სულს „სიდნეელი კაციჭამია“ უწოდა; რის თქმა უნდოდა ამ კეთილხმოვანი მეტსახელით, ძალიან მინდა, მაგრამ ვერ ავიხსნით. ამის პასუხად ექიმმა ყველაფერი უთხრა, რასაც მასზე ფიქრობდა. გაცოფებულმა კონსულმა უბრძანა, ენას კბილი დააჭირე, თორემ ახლავე გავცემ განკარგულებას, რომ ანძაზე მიგაბან და გაგროზგონო. ჩვენ ორს ვერაფერი გვიშეეღიდა — ჩვენზეც ისე მსჯელობდნენ, როგორც იმათზე, ვისთან ერთადაც ვიყავით.

მერე კონსულმა ყველანი ბაკზე გაგვზავნა, ისე რომ სიტყვაც არ დასცდენია, თუ რას გვიპირებდა.

უფროს თანაშემწესთან მოლაპარაკების შემდეგ კონსულმა

„ჯულია“ დატოვა და გაემართა ფრეგატისაკენ, რომელიც ერთი კაბელტოს მოშორებით იდგა. ჩვენ თანდათან მიუხედავად გემებს და შექმნილ ვითარებაში გაგვეხარდა კიდეც. ერთ-ორ დღეში საფრანგეთის სამხედრო გემი უნდა წასულიყო ვალპარაისოში, სადაც ჩვეულებრივ ხვდებიან ხოლმე წყნარი ოკეანის ინგლისის ესკადრები; უეჭველია, უილსონს განზრახული ჰქონდა ურჩი რაზმი ფრეგატზე გადაეყვანა, რათა მას ვალპარაისოში ჩავეყვანეთ და იქ სამხედრო-საზღვაო ხელისუფალთათვის გადაეცა ჩვენი თავი. თუ ეს ვარაუდი ნამდვილი გამოდგებოდა, ყველაზე გამოცდილი ამხანაგების აზრით, ჩვენ გველოდა მისი უდიდებულესობის ერთ-ერთი გემით არცთუ ისე სასიამოვნო ტურვა და პორტსმუტში ჩასვლისთანავე განთავისუფლება.

და აი ჩვენ რაც გაგვანდა, ჩავიცვით ტანზე — ქურთუკზე ქურთუკი, შარვალზე შარვალი, რათა განკარგულების მოსვლისთანავე მზად ვყოფილიყავით გასამგზავრებლად. სამხედრო გემზე უფლებას არ იძლევიან რაიმე ზედმეტი გვექონდეს გემბანზე, ამიტომ, თუ ფრეგატზე გადაგვიყვანდნენ, სკივრები და რაც შიგ ეწყო, უნდა დაგვეტოვებინა.

ერთი საათის შემდეგ „ჯულიას“ მოადგა „დედოფალ ბლანშის“ კატარღა, რომელშიც იჯდა თვრამეტი თუ ოცი მატროსი, შეიარაღებული ხანჯლებითა და სააბორდაჟო პისტოლეტებით, რამდენიმე ოფიცერი, რა თქმა უნდა, დაშნებით შეიარაღებულნი, და კონსული, რომელსაც ვილაციისაგან საგანგებოდ ნათხოვარი ქუდი ეხურა. კანჯო „მეკობრულ შავ ფერად“ იყო შეღებილი. მისი რაზმი შავგვრემანი, პირქუში ჭაბუკებისაგან შედგებოდა, ოფიცრები კი უჩვეულოდ მრისხანე სახის ფრანგები აღმოჩნდნენ. ყველაფერი ჩვენს დასაშინებლად იყო გაანგარიშებული; უეჭველია, სწორედ ამისათვის მოიყვანა ისინი კონსულმა.

ჩვენ კვლავ შეგვეკრიბეს კიროზე და სათითაოდ გამოგვიძახეს. ყველას საზეიმო ვითარებაში მოგვაგონეს, რომ უკანასკნელი საშუალება გვეძლეოდა სასჯელის თავიდან აცილებისა, შემდეგ კი გვეკითხეს, ისევ უარს ვამბობდით თუ არა მოვალეობის შესრულებაზე. ჩვენ იმწამსვე ვუპასუხებდით: „დიახ, სერ, უარს ვამბობ“. ზოგმა ახსნა-განმარტება დაიწყო, მაგრამ უილსონი აწყვეტილებდა და დამნაშავეს უბრძანებდა კატარღაში ჩამჯდარიყო. მეტწილად მისი ბრძანება დაუყოვნებლივ სრულ-

დებოდა, ამასთანავე ზოგიერთი მატროსი ხტუნვა-თამაშს მოჰყვებოდა ხოლმე, თითქოს ამტკიცებდნენ, რომ მათ არათუ სავსებით ჰქონდათ შემონახული ჯან-ღონე, არამედ მზადაც იყვნენ დამორჩილებოდნენ ყოველგვარ გონივრულ მოთხოვნას.

ყველა ავადმყოფმა, გარდა ორისა, ნაპირზე გასაგზავნად რომ იყვნენ გამზადებული, გაბედულად განაცხადა: ახლავე რომ მოვმჯობინდეთ მაინც არ მოეკიდებთ ხელს „ჯულიას“ გემსართავსო, და ჩვენთან ერთად ჩასხდნენ კატარლაში. ისე კარგ გუნებაზე იყვნენ, რომ ვილაცას ეჭვიც კი შეეპარა მათ ავადმყოფობაში.

საცობა სულ ბოლოს გამოიძახეს; ჩვენ არ გაგვიგონია მისი პასუხი, მაგრამ იგი დარჩა. მალე არავის გახსენებია.

როგორც კი გემს მოვშორდით, სამჯერ გაისმა ხმამალალი ეაშა, რისთვისაც თაღლით ჯეკსა და სხვებს სასტიკი საყვედური გამოუცხადა კონსულმა.

— მშვიდობით, „ჯულიეტა“, — შესძახა საადმირალოს ბობმა, როცა ჩვენი გემის ცხვირს შემოვუარეთ.

— არ გადმოვარდე, ძენმა, — უთხრა ვილაცამ საწყალ ღონდლოს, რომელიც ვაიმონტუსთან, დანიელსა და სხვებთან ერთად დარჩა გემზე და ახლა ბაკიდან გვიყურებდა.

— მოდი გემის პატივსაცემად კიდევ სამჯერ დაეჭქეთო! — შესძახა სალემმა, შეხტა და ქუდი მალლა შეისროლა.

— ეჭვი, არამზადავ, — დაუყვირა რაზმის უფროსმა და დაშნა სიბრტყევი გადაარტყა ზურგზე, — ჭკუით იყავი!

მე და ექიმი, როგორც ყველაზე კეთილგონიერნი, მშვიდად ვისხედით კატარლის ცხვირზე; თუმცა არ ვნანობდი, რაც ჩავიდინე, მაგრამ მაინც საკმაოდ უსიამო ფიქრები მიტრიალებდა თავში.

როგორ შეგვხვდნენ შრანგები

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ფრეგატის ტრაპზე ვიყავით უფროსი ოფიცერი, ხანშიშესული სახეყვითელი მეზღვაური, რომელსაც ცუდად შეკერილი მოსირბული სერთუკი ეცვა, გემბანზე იღვა და რაღაც ავი თვალით გვიყურებდა.

ამ ვაჟბატონს თავი სულ მთლად გამელოტებოდა, ფეხები გაჩხიკინებული ჰქონდა, და საერთოდ მთელი ჯან-ღონე უზარ-მაზარ უღვაშებში წასვლოდა. ბებერმა გუმბიგუტამ¹, როგორც იმწამსვე შევარქვით, კონსულს ქალაღლი გამოართვა, გაშალა და შემოსული საქონლის ზედნადებთან შედარება დაიწყო.

კარგად რომ დაგვთვალეს, უფროსმა ოფიცერმა ერთი ჩია მოკრძალებული მიჩმანი გამოიძახა და მალე საზღვაო ქვეითთა ექვსი ჯარისკაცი — მატროსულ ფორმაში გამოწყობილი თოფიაში ვაჟკაცები — მოგვიჩინეს. წინ გაგვიძღვა ერთი ჩაკურატებული მოხელე (ხელჯოხისა და მოსირმული სახელის მიხედვით ზემდეგად ჩავთვალეთ), შემდეგ კი ბადრაგის თანხლებით ტრაპს ჩავყვეით და საცხოვრებელ გემბანზე ჩავედით.

იქ ყველას მოკრძალებით დაგვადეს ბორკილები. ერთი ბამბუკისჯოხიანი კაცი განსაკუთრებული მზრუნველობით მოგვეპყრო: დიდი კალათიდან, სადაც ყველანაირი ზომის ბორკილები იყო, ჩვენ-ჩვენი სარგო ამოალაგა და ხელებზე დაგვადო.

ზოგიერთმა ჩვენგანმა, რომელიც არ მოელოდა ასეთ გულითად მიღებას, უარიც კი თქვა ამ მომსახურებაზე; მაგრამ ბოლოს სიმორცხვე დაგვაძღვეინეს და ახლა ფეხებზე დაგვადეს ყველას რკინის ზუნდები, რომლებიც ჭანჭიკებით დაამაგრეს გემბანზე. ამის შემდეგ ახალ ბინაზე დაფუძნებულად ჩავთვალეთ თავი.

— ეშმაკსაც წაულია ეს ჟანგიანი რკინა! — წამოიძახა ექიმმა. — ეს რომ მცოდნოდა, ხომ „ჯულიაზე“ დაერჩებოდით.

— მა-აშ! — გამოეხმაურა თაღლითი ჯეკი. — იმიტომაც დაგადეს ბორკილები, ექიმო ახმაზო სულღ.

— სული საღლა მაქვს, ხელ-ფეხიღა შემრჩა, — მოისმა პასუხი.

ერთი გუშაგი დაგვაყენეს თავზე, შუმი სულელი; წინ და უკან დადიოდა, წელზე უშველებელი ძველი დაკბილული ხანჯალი ეკიღა. ამოდენა ხანჯლის დანახვაზე მივხვდით, რომ ის საგანგებოდ იყო განკუთვნილი ბრბოში წესრიგის დასამყარებლად. ამ ხანჯლით ზუთი-ექვსი კაცის იქით მდგომს შეიძლებოდა მისწვდომოდით.

¹ გუმბიგუტი — ზოგიერთი ტროპიკული მცენარის მოყვითაღო ბღანტი სითხე.

— ღმერთო ჩემო! — წარმოთქვა აკანკალებულმა ექიმმა. — წარმოდგენილი მაქვს, რა დროს გავატარებ, ამნაირი იარაღით რომ გამაფრთხობინონ სული.

საღამომდე გვამარხულეს. მერე იუნგა მოვიდა და ორი ჯამი მოიტანა. შიგ ესხა ზაფრანისფერი წუნწუხა შეჭამანდი, რომელშიც ცომის პატარა ნაწილაკები დაცურავდა. ახალგაზრდა სუმარამ გვითხრა, წვინანიაო, სინამდვილეში კი ცხიმნარევი თბილი წყალი აღმოჩნდა. ასე იყო თუ ისე, ვახშმად იმაზე გადავიარეთ. ჭამის დროს გუშაგმა თავაზიანობა გამოიჩინა და ბორკილები შეგვხსნა. ჯამები ხელიდან ხელში გადადიოდა და სულ მალე დაცარიელდა.

დილით, როცა გუშაგი ჩვენკენ ზურგშექცევით იდგა, ვიდაცამ (ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ეს რომელიღაც ინგლისელი მატროსი იყო) რამდენიმე ფორთოხალი გადმოგვიგდო; შემდეგ მათ ქერქს ფინჯნებად ვხმარობდით.

მეორე დღეს არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. მესამე დღეს შემდეგი სცენის მოწმენი გავხდით.

ვიდაც კაცი, რომელიც გულზე დაკიდებული ვერცხლის სასტვენის გამო ბოცმანმატად მივიჩნიეთ, ჩვენთან ჩამოვიდა და თან ხელის კვრით ჩამოიყვანა ორი ასლუკუნებული იუნგა; მათ უკან მოჰყვა აცრემლებული ბიჭების მთელი ბრბო, ეს ორი ყმაწვილი, ეტყობა, ოფიცრების ბრძანებით ჩამოგზავნეს დასასჯელად; დანარჩენები თანაგრძნობის გამო ჩამოჰყვნენ.

ბოცმანმატი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. დამნაშავე ყმაწვილებს ქურთუკის საყელოებში ჩაავლო ხელი და უწყალოდ დაუშინა ბამბუკის ხელჯოხი. დანარჩენი იუნგები ტირიოდნენ, მუხლმოყრილი ევედრებოდნენ უფროსს, მაგრამ ამაოდ; ბოცმანმატი მათაც მისწვდებოდა ხოლმე ჯოხით, და მაშინ ათჯერ უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდნენ.

ამ ყოფაში რომ იყვნენ, ჩამოვიდა მიჩმანი და მედიდურად უბრძანა დამსჯელ მეზღვაურს გემბანზე ასულიყო; მერე იუნგებს დაუთათხანა და აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა.

საადმირალოს ბობი უკიდურესი ზიზღით ადევნებდა თვალს ყოველივე იმას, რაც ხდებოდა; რამდენიმე წლის წინათ ფორმარსის ზემდეგად მსახურობდა სასაზო გემზე. მისი აზრით, ეს სრულიად უმაქნისი რამ იყო; ინგლისურ სამხედრო ფლოტში ასე არ იქცევიან.

ფრაგმენტი „დედოფალი ბლანში“

არ შემიძლია თავი შევიკაეო და მცირედი ფიქრი მაინც არ გაგიზიაროთ წინა თავში აღწერილი სცენის შესახებ.

დამნაშავე ახალგაზრდა მეზღვაურების უმოწყალოდ ცემა, მართალია, საფრანგეთის გემებზე არსებული ცუდი დისციპლინის მაჩვენებელია, მაგრამ ამავე დროს იგი შეიძლება მინჩეულ იქნეს, როგორც ფრანგი ხალხისათვის რამდენადმე დამახასიათებელი მოვლენა.

როცა ამერიკულ ან ინგლისურ გემზე იუნგას როზგავენ, მას ან ზარბაზანს მიაბამენ, ანდა სხვა მატროსებსავით წამოაწვენენ ცხაურზე. მაგრამ დასჯა აუტანელი არ არის ხოლმე. იშვიათად, რომ დაუღევარ ახალგაზრდას ყვირილი აღმოხდეს. იგი ტუჩებს იკნეუტს და ასე იტანს სასჯელს. ზოგჯერ, თუ მოახერხა, ცდილობს გაიღიმოს კიდევ. ხოლო მისი ამხანაგები არათუ თანაუგრძნობენ, დასცინიან კიდევ მის უბედურებას. ვაი იმის ბრალი, თუ ლაჩარი აღმოჩნდა და ატირდა! სადმე ბნელ კუთხეში მიიმწყვდევენ და ერთი ლაზათიანად მიბეგვავენ.

ასეთ აღზრდას უთუოდ სასურველი შედეგი მოსდევს¹. გადის დრო, და იუნგა ხდება ნამდვილი მეზღვაური, რომელსაც თავის გემზე შემოსეული დუშმანის მოგერიებაც შეუძლია და ხანჯლით ხელში მტრის გემბანზე თავგანწირული ნახტომის გაკეთებაც. მაშინ როცა ახალგაზრდა ფრანგი, როგორც ეს მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი, საშუალო მეზღვაური დგება და, თუმცა მეტწილად საკმაოდ კარგად იბრძვის, ამა თუ იმ მიზეზის გამო იშვიათად იბრძვის ისე კარგად, რომ გაიმარჯვოს.

რა ცოტა საზღვაო ბრძოლა მოუგიათ ფრანგებს! უფრო მეტიც, რა ცოტა გემი აუყვანიათ აბორდაჟზე, რაც მეზღვაურთა

¹ ისე ნუ გამოგებთ, თითქოს მე ვამართლებდე ფიზიკური დასჯის სისტემას, რომელიც სამსედრო გემებზეა დამკვიდრებული. მაგრამ, სანამ სამსედრო ფლოტი აუცილებელია, მისი გვერდის აელაც არ შეიძლება. რამდენადაც ომი ყველასე უდიდესი ბოროტებაა, მასთან აუცილებლობით დაკავშირებული მოვლენებიც ბოროტებას წარმოადგენს; თანაც ეს ერთადერთი საბუთი როდია ფიზიკური დასჯის დასაცავად.

სიმაძაცის ჭეშმარიტი საზომია. თუმცა, რა საჭიროა ფრანკთა სიმაძაცეში ეჭვის შეტანა, — იგი მათ საკმაოზე მეტი აქვთ, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც უნდა ჰქონდეთ. ფრანგები წარმატებით იბრძვიან ხმელეთზე. დაე, იქ დარჩნენ, რადგან ისინი არსებითად ზღვის ხალხი არ არიან. ისინი არიან მსოფლიოს საუკეთესო გემთმშენებლები, მაგრამ არა მეზღვაურები.

მაგალითისათვის დაუბრუნდეთ „დელოფალ ბლანშს“, უმშვენიერეს ნიმუშს იმისას, რასაც ოდესმე ზღვაში უცურავია, და რაც შეიძლება გააკეთოს კაცის ხელმა ხისა და რკინისაგან.

ეს განლდათ ახალი გემი, რომელიც პირველად მოგზაურობდა ასე შორს. მის აშენებაზე ძალიან დიდი შრომა იყო გაწეული, და იგი საფრანგეთის ფლოტის პირველი კლასის საბრძოლო ერთეულად ითვლებოდა. ესაა სამოცხარბაზნიანი მძიმე ფრეგატი, რომლის მსგავსნიც მთელ მსოფლიოში არიან განთქმული და რომელთა აგება პირველად ჩვენ, ამერიკელებმა დავიწყეთ. ბრძოლაში ისინი ყველაზე მეტ სიკედილს თესავენ იმ გემთა შორის, რომლებიც ოდესმე ჩამოსულან სტაპელებიდან.

„დელოფალ ბლანშის“ პროპორციები გამოირჩევა იმ სიფაქიზით, რაც მსოლოდ ჩინებულ საბრძოლო გემებს შეიძლება ჰქონდეთ. მაგრამ ფრეგატზე ბევრი ზედმეტი მორთულობაა, რაც ესოდენ უყვართ ფრანგებს, — ბრინჯაოს ფინები და სხვა უმნიშვნელო რამეები, რომლებიც ყველგან თვალში ხვდება კაცს, მსგავსად ლამაზი ქალის სამშვენისებისა.

მაგალითად, კიჩოს მიდგმული აქვს აივანი, რომელიც ნატურალურზე უფრო დიდი ზომის ორ ხელაპყრობილ კარიატიდას უჭირავს. აივანზე მეთაურის კაიუტიდან შეიძლება გასვლა. უყურებთ ამ საუცხოო ფარდებს სარკეებსა და წითელი ხის ნაკეთობებს, და ასე გგონიათ, ეს-ეს არის გამოჩნდებიან ბანოვანი, რათა აივანზე გამოვიდნენ და სუფთა ჰაერით ისუნთქონ.

მაგრამ საკმარისია საზარბაზნე გემბანზე გამოხვიდეთ, რომ ამგვარი ფიქრი მყისვე გაგეფანტოთ. ეს რა ელვის მფრქვეველი ბატარეებია! თითოეულ მათგანში ერთი ან ორი სამოცდარვაგირვანქიანი ზარბაზნებია. სპარდევზე უზარმაზარი ყალიბის კანონადებიც დგას.

ეს გემი სულ ახლახანაა აშენებული და, რა თქმა უნდა, სრულყოფილია. ძალიან გამიკვირდა, როცა ვნახე, თუ რაოდენ მაღალი ოსტატობა იყო ჩაქსოვილი სულ უბრალო ნივთების

დამზადებაში. ფრანგები ყველაფერს მეცნიერულად ეკიდებიან: იმისათვის, რასაც სხვები რამდენიმე ძლიერი დარტყმით აკეთებენ, ფრანგები სიამოვნებით იყენებენ რთულ მოწყობილობებს; ოწინარი იქნება ეს, ბერკეტი თუ ხრახნი.

რაოდენი ახირებულობაა, ფრანგულ მელოდიებში ერთხელ, ფლოტში მიღებული ქათინაურების გაცვლა-გამოცვლის დროს, გავიგონე, როგორ შეასრულა ფრანგულმა ორკესტრმა „იანკი დუდლ“¹, სადაც ისე უხვად იყო ვარიაციები, რომ მხოლოდ ძალიან მიხვედრილ იანკის შეეძლო გამოეცნო, თუ რა ნაწარმოები იყო შესრულებული.

საფრანგეთის სამხედრო ფლოტს არა ჰყავს ქვეითი ჯარი; იქ ხალხი მორიგეობით ატარებს თოფებს და ხან მატროსები არიან, ხან ჯარისკაცები; ჭაბუკი, დღეს ტილოს ქურთუკი რომ აცვია და სწრაფად დაცოცავს ანძებზე, ხვალ ადმირალის კაიუტასთან დგას გუშაგად. ეს საბედისწერო გავლენას ახდენს იმაზე, რასაც ჭეშმარიტი მატროსული სიამაყე შეიძლება ვუწოდოთ. კაცი რომ ნამდვილი მეზღვაური დადგეს, იგი არ უნდა ვაიძულოთ, რომ სხვა მოვალეობანი შეასრულოს. მართლაც, ჭეშმარიტი მეზღვაური სხვა არაფერში არ არის გამოსადეგი; უფრო მეტიც, სწორედ ეს გარემოება ადასტურებს ყველაზე უკეთ იმას, რომ ის ნამდვილი მეზღვაურია.

„დედოფალ ბლანშზე“ არც მაძღრისად აჭმევდნენ და არც იმას, რაც საჭირო იყო. იმის მაგივრად, რომ მატროსებისათვის გაქვავებული ორცხობილათი აელესათ კბილები, იქ ყოველდღე აცხობდნენ პატარა-პატარა ფუნთუშებს. მერე კიდევ რაზმს არ აძლევდნენ გროგს; საწყლებს მჟავე ღვინით — ერთ პინტ წყალში ჩაჭყლებილი ყურძნის რამდენიმე მარცვლის წვენით ბერავდნენ. გარდა ამისა, მატროსებს ხორცი ენატრებოდათ, მათ კი უხორცო წვნიანს ახვრებინებდნენ; რაზმმა კარგად იცოდა, რომ ეს ყველაფერი თაღლითობა იყო.

მას შემდეგ, რაც ფრანგი მატროსები სამშობლოს მოშორდნენ, ისინი „არასრულ რაციონზე“ იყენენ. ამჟამად ისინი, ვინც კანჯობზე არიან მიმაგრებული (და, მაშასადამე, საშუალება აქვთ ზოგჯერ ნაპირზე მოხვდნენ), ექვსჯერ უფრო ძვირად მიჰყიდნიან ხოლმე თავის ულუფა პურს იმ ამხანაგებს, რომლებიც მათზე ნაკლებ ბედნიერნი არიან.

¹ ამერიკის ეროვნული ჰიმნი.

კიდევ ერთი გარემოება იწვევდა რაზმის უკმაყოფილებას. კაპიტანი ნამდვილი ურჩხული ჰყავდათ. იგი ფლოტის საშინელ პედანტთა — დისციპლინის დიდ მოყვარულთა — რიცხვს ეკუთვნოდა. როცა ნავსადგურში იდგნენ, გამუდმებით ავარჯიშებდა რაზმს ქანდარებასა და იალქნებზე, კანჯოების ჩაშვებასა და ამოღებაზე; ზღვაში კი მატროსები მუდმივ სწავლებას გადიოდნენ. ხან გამოაგორებდნენ უზარმაზარ ზარბაზნებს, ხან ისევ შეაგორებდნენ, თითქოს მხოლოდ ამისთვის ჰქონდათ ხელები. გემზე იყო აგრეთვე აღმირალი; რაღა თქმა უნდა, ისიც მამობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა მეზღვაურებს.

ჩვენ არ შეგვეძლო არ განვცვიფრებულიყავით იმ გულგრილობისა და დაუდევრობის გამო, რასაც ფრანგები იჩენდნენ ყოველდღიურ მოვალეობათა შესრულებისას. მათ მოძრაობაში ნატამალიც კი არ იყო ამ ხალხისათვის დამახასიათებელი სიმკვირცხლისა, არც იმ სისწრაფისა და სიზუსტისა, რაც სამხედრო გემზე შეიმჩნევა ხოლმე, თუკი იქ მართლაც სანიმუშო წესრიგი სუფევს. თუმცა, ყოველივე ამის მიზეზი რომ გავიგეთ, აღარ გავგვიკვირებია; ეკიპაჟის სამი მეოთხედი ძალისძალად იყო შეკრებილი. ზოგჯერ სავაჭრო გემების ძველ მატროსებს სწორედ იმ დღეს იჭერდნენ, როცა შორეული მოგზაურობის შემდეგ ნაპირზე გადმოვიდოდნენ ხოლმე; რაც შეეხება ახალბედებს, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ, მათ სხვადასხვა სოფლიდან მორეკავდნენ ხოლმე და სანაოსნოდ უშვებდნენ.

განეცვიფრდი, როცა გავიგე, რომ შედარებით მშვიდობიან დროს შემკრებთა საგანგებო რაზმები არსებობდა; მაგრამ ეს უცნაურობა იმით აიხსნება, რომ უკანასკნელ წლებში ფრანგები დიდ სამხედრო ფლოტს აგებდნენ ნელსონის მიერ ტრაფალგართან ჩაძირული ფლოტის ნაცვლად. იმეღია, ისინი იმიტომ არ აშენებენ თავიანთ გემებს, რომ ლა-მანშის გაღმა მცხოვრებმა ხალხმა ჩაიგდოს ხელში. საფრანგეთის რამდენი დროსა აფრიალდება ზღვაზე, თუ ომი დაიწყო!

თუმცა მე ვამტკიცებ, ფრანგები მეზღვაურები არ არიან-მეთქი, მაგრამ მაინც შორსა ვარ იმათგან, ვინც არ აფასებს მათ, როგორც ერს. ისინი ნიჭიერი და თავდადებული ხალხია, და მე, როგორც ამერიკელი, ვამაყობ, რომ ამის თქმა შემიძლია.

ჩვენ ნაპირზე გვგზავნიან. რა მოხდა იმ

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ფრეგატზე ხუთი დღე და ხუთი ღამე გაატარეთ. მეხუთე დღეს გვითხრეს, ხვალ დილით „დელოფალი ბლანში“ ვალპარაისოში მიდისო. ძალიან გაგვეხარდა და ღმერთს ვევედრებოდით, რაც შეიძლება მალე მივსულიყავით დანიშნულ ადგილას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კონსული ასე ადვილად არ აპირებდა ჩვენთან დაშორებას. ჩვენდა გასაოცრად საღამო ხანს მოვიდა ოფიცერი და ბრძანა, ჩვენთვის ბორკილები მოეხსნათ. მერე ტრაპთან შეგვკრიბეს, კატარღაში ჩავსხეს და ნაპირზე გავგიყვანეს. იქ დაგვხვდა უილსონი და იქვე გადაგვცა კუნძულელ მცველთა რაზმის განკარგულებაში. კუნძულელებმა დაუყოვნებლივ მიგვიყვანეს იქვე ახლოს მდგარ სახლთან. ჩვენ გვიბრძანეს გარეთ ჩრდილში დაემსხდარიყავით, კონსული და ორი ხნიერი ევროპელი შიგ შევიდნენ.

სანამ იქ რაღაც სამზადისში იყვნენ, ჩვენ ძალიან ვერთობოდით მცველთა გულითადი მოპყრობით. მაგრამ ერთ-ერთ ჩვენგანს უბრძანეს სახლში შესულიყო.

იგი რამდენიმე წუთში დაბრუნდა და შეგვატყობინა, რომ იქ არაფერი განსაკუთრებული არ გველოდა. მისთვის მხოლოდ ის ეკითხათ, კვლავ ძველ გადაწყვეტილებას იცავდა თუ არა; როცა დადებითად ეპასუხა, ქალღმერთს რაღაც აღენიშნათ და გამოეშვათ. ყველანი რიგრიგობით გამოგვიძახეს და ბოლოს ჩემზეც მოდგა ჯერი.

უილსონი და მისი ორი ამხანაგი მოსამართლეებივით უსდნენ მაგიდას; საწერ-კალამი და ქალღმერთი საქმიან შესახებდაობას აძლეოდნენ შენობას. სერთუკებსა და შარვლებში გამოწყობილ ამ სამ ვაჟბატონს ფრიად რესპექტაბელური იერი დაპკრავდათ, ყოველ შემთხვევაში იმ ქვეყანაში, სადაც ასე იშვიათად შეიძლება ნახოთ მთლიან კოსტიუმში გამოწყობილი კაცი. ერთ-ერთი მათგანი ცდილობდა დიდკატურად სჭეროდა თავი, მაგრამ რადგანაც მოკლე კისერი და მსუქანი სახე ჰქონდა, იმისთვისღა მიეღწია, რომ ბრიყვული გამომეტყველება მიეღო.

ამ ჯენტლმენმა წყალობის თვალთ გადამოხედა და მამობ-

რივი მზრუნველობით მომეკიდა. განვაცხადე თუ არა, ჩემი გადაწყვეტილება გემთან დაკავშირებით უცვლელი რჩება-მეთქი, და კონსულის ნიშანზე წამოსვლას ვაპირებდი, უცნობი კონსულს მიუბრუნდა და უთხრა:

— ერთ წუთს მადროვეთ, თუ შეიძლება, მისტერ უილსონ; ნება მომეცით მოველაპარაკო ამ ყმაწვილს. აქ მოდით, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო; უსომოდ ვწუხვარ, რომ ასე ცუდ ხალხთან გაქვთ საქმე; მერედა, იცით, ეს რით დამთავრდება?

— ო, ეგ ის ყმაწვილი გახლავთ, „რაუნდ-რობინი“ რომ დაწერა, — ლაპარაკში ჩაერია კონსული. — მაგან და იმ ყალბაბანდმა ექიმიმა ატეხეს მთელი დავიდარაბა... გაბრძანდით, სერ.

მე უკან-უკან წამოვედი, თან მდაბლად დაუჟკარი თავი, თითქოს უავგუსტეს პირებთან ვყოფილიყავი.

უილსონის აშკარა გაფრთხილება ექიმისა და ჩემს წინააღმდეგ საკმაოდ გასაგები იყო. კაპიტნები მუდამ მტრულად არიან განწყობილი ასე თუ ისე განათლებული ადამიანისადმი, რომელიც მატროსად მოხვდება მათთან. და რაც არ უნდა მშვიდი ხასიათისა იყოს, სულ ერთია, ყოველ მღელვარებაზე — მისი გონებრივი უპირატესობის გამო — ფიქრობენ, რომ ეს ოფიცერთა წინააღმდეგ იდუმალი წაქეზებით მოხდა.

კაპიტან გაის იშვიათად ვნახულობდი, მაგრამ უკვე ერთი კვირის შემდეგ, რაც „ჯულიაზე“ მოვხვდი, ისე შემომცქეროდა ხოლმე, რომ აშკარად ეტყობოდა, ვშულდი; ამ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებდა ჩემი დაუფარავი მეგობრობა ახმახ სულთან, რომელიც თან შიშს ჰკვრიდა და თან ეზიზღებოდა კიდევ ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც გაისა და კონსულს შორის არსებობდა, ადვილად ხსნის უკანასკნელის მტრულ განწყობილებას.

გამოკითხვა რომ დამთავრდა, უილსონი და მისი ამხანაგები კართან მივიდნენ; კონსულმა თავი მოიბრაზიანა და ლაპარაკი გააბა ჩვენს მანკიერებასა და უგუნურობაზე. ჩვენ ყოველგვარი იმედი გადაგვიწყდა; შეწყალების უკანასკნელი შესაძლებლობაც დაუკარგეთ. ახლა კიდევ რომ მოგვენანიებინა დანაშაული და ზეენა-მუდარით გამოგვეთხოვა ნებართვა, რომ ჩვენ-ჩვენ ადგილზე დავებრუნებინეთ, სულ ერთია მაინც არ დავთანხმდებოდნენ.

— აბა! მოუხვი აქედან, კონსულა, — შესძახა შავმა დანმა,

რომელიც პირდაპირ აღაშფოთა ჯანსაღი აზრის ასეთმა შეურაცხყოფამ.

უილსონი განრისხდა და უბრძანა გაჩუმებულიყო, მერე სქელ-სქელ მოხუც კუნძულებს უხმო, ტაიტურად გამოეღაპარაკა და განკარგულება გასცა, ესენი წაიყვანე და საიმედო ადგილას დასხიო.

ამის შემდეგ მწყობრში დაგვყენეს და ბერიკაცის წინამძღოლობით ხმამაღალი შეძახილებით გავყევით ლამაზ ბილიკს, რომელიც ქოქოსის პალმებისა და პურის ხეების ჭალებში იკარგებოდა.

დანარჩენი მხლებლები ხალისიანად მიაბიჯებდნენ და თან დამტვრეული ინგლისურით გვაგებინებდნენ, რომ უილსონი მაინცდამაინც არ უყვარდათ, და რომ ჩვენ ისე ვიქცეოდით, როგორც ნამდვილ ვაჟაკებს შეჰფერის. ალბათ იცოდნენ, რაც თავს გადაგვხდა.

ირგვლივ ბუნების თვალწარმტაცი სურათი გადაშლილიყო. ტროპიკული დღე იწურებოდა; მზე ტყეში დანთებულ უზარმაზარ წითელ კოკონს ჰგავდა, — მისი ალმაცერი სხივები ხეთა დაუსრულებელ მწკრივებში აღწევდნენ, და ყოველი ფოთოლი აღმოდებული თრთოდა. ფრეგატის ვიწრო გემბანებს მოშორებულნი, ახლა ათასნაირი სურნელებით შეზავებულ ჰაერს ვეწაფებოდით; მორაკრაკებდნენ ნაკადულები, ნელა ირხეოდნენ მწვანე რტოები. ხოლო შორს, კუნძულის სიღრმეში, ჩამავალი მზის სხივებში გახვეული უშფოთველი ციცაბო მთები აღმართულიყვნენ.

რაც უფრო წინ მივდიოდით, სულ უფრო და უფრო მარცხებდა ფართო ჩრდილოვანი გზის სიწარმტაცე. რამდენიმე ადგილას წყალზე მტკიცე ხიდეები გაედოთ, ზოგიერთი ნაპირი კი ქვის თაღით იყო შეერთებული. გზაზე სამი მხედარი თავისუფლად გააჭენებდა ცხენებს.

ამ მშენიერ ზეივანს — ყველაზე საუკეთესოს, რაც ცივილიზაციამ შესძინა ამ კუნძულს, — უცხოელები ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო „წნორიან გზას“ ეძახიან. ეს გზა, რომელიც თავდაპირველად მისიონერთა მგზავრობის გასაადვილებლად გაიყვანეს, თითქმის მთელ ნახევარკუნძულს უელის გარს და დაახლოებით სამოცი მილის სიგრძეზეა გაჭიმული ნაყოფიერ დაბლობზე. მაგრამ ტაირაპუს, ყველაზე პატარა ნახევარკუნძუ-

ლის, ახლოს გზა ვიწრო განმარტოებულ ველზე უხვევს და ამ მიმართულებით სერავს კუნძულს.

ქვეყნის დაუსახლებელ შიდა ნაწილს, სადაც ხშირი ტყით დაფარული ხეობების, საშინელი უფსკრულებისა და სავსებით მიუვალ ციცაბო ქედების გამო თითქმის შეუძლებელია შეაღწიოს კაცმა, თვით ადგილობრივი მკვიდრნიც ძალიან ცუდად იცნობენ; ამიტომ, იმის მაგივრად, რომ პირდაპირ გავიდნენ ერთი სოფლიდან მეორეში, ისინი წნორიანი გზით შემოვლას ამჯობინებენ¹.

ამ გზაზე მარტო ფესით როდი დადიან. კუნძულზე საკმაოდ ბევრი ცხენი ჰყავთ. ისინი ჩილედან მოიყვანეს; ხალისიანი, მკვირცხლი და დამყოლი ცხენები არიან, როგორც ეს ესპანურ ჯიშს სჩვევია, და სავსებით შეესაბამებიან მაღალი წრის კუნძულელთა გემოვნებას, რომლებმაც შესანიშნავად ისწავლეს ცხენოსნობა. მისიონერები და ბელადები მხოლოდ ცხენებით დადიან; დღის ყოველ დროს შეგიძლიათ ნახოთ, როგორ დააჭენებენ ცხენებს ტაიტელი დიდებულნი. სანდვიჩის კუნძულების მცხოვრებთა მსგავსად ისინი ინდიელ-პოუნების ყაიდაზე დაქრიან².

მრავალი მილი გამივლია წნორიან გზაზე, მაგრამ არასდროს მომბეზრებია მისი მარად ცვალებადი პეიზაჟი, რომლის ცქერითაც ვტკბებოდით. მაგრამ საითაც არ უნდა წაყევანეთ ამ გზას — ტყით დაფარულ ვაკეზე, ბალახით დაფარულ ხეობებში თუ ტანწერწეტა პალმებიან ბორცვებზე, — ერთი მხრივ ლურჯი ზღვა და მეორე მხრივ მთების ამწვანებული მწვერვალები არასდროს ქრებოდნენ თვალთაგან.

¹ ადგილობრივი მკვიდრნი რომ ძალიან ცუდად იცნობენ თაიიანთ ქვეყანას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საკმაოდ მოზრდილ ტბას, სასელად ვაიროს, რომლის არსებობაც ყველასათვის ცნობილია, ისინი სრულიად სსეაგვარად აღწერენ. ზოგიერთებმა მითხრეს, ამ ტბას არც ფსკერი აქვს, არც შენაკადი; სსევებმა თქვეს — კუნძულის ყველა მდინარეს ეს ტბა ასასრდობსო. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მატროსმა მიაშბო, რომ ერთხელ, როგორც ინგლისის კორვეტიდან გავსაენილ სამიებო პარტიის მონაწილემ, ინასულა ეს საოცარი ტბა. აღმოჩნდა, რომ იგი განსაკუთრებით საინტერესო იყო — ძალიან პატარა, ღრმა, მწვანე ფერისა. ეს გასლდათ მთებში მიმალული მშვენიერი წყალხატევი, რომელიც თვესით იყო სავსე.

² ტომი, რომელიც ოდესღაც ცხოვრობდა კანსასისა და ნებრასკას ტერიტორიაზე.

„კალაბუსა ბერეტანი“

სოფელს ერთი მილით რომ გავცდით, გაჩერდით.

შესანიშნავი ადგილი იყო. აქ მწვანით შემოსილი კალთის ძირას მთის მდინარე ჩამორბოდა. სანამ დაღმართი იყო, მოჩუხჩუხებდა, მერე კი შორს, მბზინვარე ნიჟარებით მოფენილ სანაპიროზე იფანტებოდა და წვრილ-წვრილ ნაკადებად ერთვოდა ზღვას; მეორე მხარეს მიემართებოდა გრძელი ხეობა, სადაც ძლიეძლიეობით შეამჩნევდა თვალი ელვარე კლაკნილ ძაფს, რომელიც ჩრდილსა და სიმწვანეში იკარგებოდა.

გზისპირა ნაკვეთი უხეშად ნაწყობი ქვის დაბალი ღობით იყო შემოკავებული, ხოლო უკან, მთის კალთის ზემო მხარეს, იდგა ადგილობრივ მკვიდრთა ლერწმის ქათქათა სახურავიანი ოვალური ფორმის ქოხი.

— კალაბუსა! კალაბუსა ბერეტანი! (ინგლისური სატუსალო!) — შესძახა ჩვენმა გამცილებელმა და შენობაზე მიგვეითითა.

ასე ეძახდნენ ამ შენობას სოფელ პაპეეტესა და მის მიდამოებში მდებარე მსგავს დაწესებულებათაგან განსხვავებით, რადგან უკანასკნელ თვეებში კონსული აქ ამწყვდევდა ხოლმე ინგლისის გემების მატროსებს, რომლებიც რაღაცას დააშავებდნენ.

შენობა რომანტიკული შესახედაობისა კი იყო, მაგრამ უფრო ახლოს გაცნობისას გამოირკვა, რომ საცხოვრებლად მაინცდამაინც არ ვარგოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი ახლახან დაეწყოთ და ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ, რის გამოც ქარი დათარეშობდა შიგ. ირგვლივ, თვით სახურავქვეშაც კი, ბალახი იყო მოდებული. ერთადერთი ავეჯი იყო ხუნდები — უხეში იარაღი ტუსაღთა გაქცევის თავიდან ასაცილებლად; იგი, რამდენადაც ვიცი, მეტ წილ ქვეყნებში უკვე გადავარდა მოდიდან, მაგრამ სამხრეთ აფრიკის ესპანელებშია შემონახული; ტაიტელებმა, ეტყობა, მათგან გადმოიღეს ეს იარაღი, ისევე როგორც

1 კალაბუსა — დამასინჯებული ესპანური სიტყვა „calabozo“, რაც სატუსალოს ნიშნავს.

თვით სახელწოდება, რომლითაც აღნიშნავენ ყველა ადგილს, სადაც ტუსალები ჰყავთ დამწყვედული.

ხუნდები წარმოადგენდა ოციოდე ფუტი სიგრძის ორ ზუსტად ერთნაირ მორს, რომელთაგან ერთი მიწაზე იდო, მეორეს კი ზემოდან ადებდნენ. თითოეულ მორს ერთმანეთის პირდაპირ ორ-ორი რკალური ამონაჭერი ჰქონდა, რომელთა დანიშნულებას პირველივე შეხედვისთანავე მივხვდით.

ჩვენმა გამცილებელმა გვითხრა, „კაპინ ბობი“ (კაპიტანი ბობი) მქვიაო. იგი ყოვლად სასიამოვნო და გულკეთილი არსება გამოდგა. სახელი ძალიან შეეფერებოდა. მოხუცი თავიდანვე ისე მოგვეწონა, რომ სიხარულით ვცანით ჩვენს უფროსად.

შენობაში რომ შევედიო, ხმელი ფოთლები მოგვაზიდვინა და ხუნდების უკან ლოგინად დაგვაგებინა; სასთუმლად ქოქოსის პალმის მომცრო ღერო დავიდეთ. საკმაოდ მაგარი კი იყო, მაგრამ კუნძულელები შეჩვეული არიან ასეთ რამეს. ბალიშად ითხფება ჯორკო სკამის მსგავს რაღაცას იდებენ.

ამ სამზადისს რომ მორჩა, კაპიტანი ბობი ახლა დასაძინებლად ჩვენს „მომზადებას“ შეუდგა. ზედა მორი ცალ მხარეს ასწიეს და ისე დაგვაწვინეს, რომ კოჭები ქვედა მორის ამონაჭერებში ჩაგვედო, შემდეგ კი ზედა მორი დაუშვეს; ბოლოს მორებს აქეთ-იქიდან რკინის ძველი სალტეები ჩამოაცვეს და ასე შეკრეს. ამ მანიპულაციებმა ადგილობრივ მკვიდრთა სარხარში ჩაიარა და ჩვენც კარგად გავვართო.

კაპიტანი ბობი ისე ფუსფუსებდა, როგორც ბებია, დასაძინებლად რომ ამზადებს შვილიშვილებს. კალათით მოიტანეს შემწვარი „ტარო“, ანუ ინდური თაღგამი, და თითო-თითო დაგვირიგეს. მერე ყველას ერთად დაგვხურეს უხეში ყავისფერი ტაპის საბანი, ათასნაირად შეგვეხვეწნენ, რომ „მოი-მოი“ გვექნა და „მაიტაი“ ვყოფილიყავით — სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაგვეძინა და კარგი ბიჭები ვყოფილიყავით, და ასე მზრუნველად საბანდახურული დაგვეტოვეს საწოლში.

მაშინვე დაიწყო გაცხარებული მსჯელობა იმაზე, თუ რა მოგველოდა. მხოლოდ მე და ექიმი (ჩვენ გვერდიგვერდ ვიწეკით) ვდუმდით, რადგან გვესმოდა, რომ ჩვენს მდგომარეობაში უფრო ფიქრი იყო საჭირო, ვიდრე ლაპარაკი. მალე დანარჩენებიც გაჩუმდნენ და, ფრეგატზე გატარებული მოუსვენარი დღეების შემდეგ დაქანცულებს, იმწამსვე ჩაეძინათ.

ფიქრებმა აღარ დამაძინა, და ოდნავ ვუჩქმიტე ექიმს, მაგრამ, რომ დაერწმუნდი ეძინა, გადავწყვიტე მისთვის მიმებაძა და აღარ შემეწუხებინა.

არ ვიცი, სხვები რა დღეში იყვნენ, მაგრამ მე კი დაძინება ძალიან გამაჭირდა. იმის შეგრძნება, რომ ფეხები ერთ ადგილას მქონდა მილურსმული და ვერსად გადავდგამდი, ძალიან უსიამო იყო ჩემთვის.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: შეიძლება მხოლოდ ზურგზე იწვეს კაცი, თუ, რა თქმა უნდა, ფეხი არ უბრუნავს კოჭში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ როცა რული მომერია, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში მყოფს რაღაც კოშმარი მესიზმრა, ვითომ ვარჯიშს ვასრულებდი და მე უბედურმა, რაც ძალი და ღონე მქონდა გამოვწიე ფეხი. ისეთი ფიქრით გამომედვიძა, თითქოს ვიღაცა ცდილობდა ხუნდები გაეტაცებინა.

კაპიტანი ბობი და მისი ხელქვეითები მახლობელ სოფელში ცხოვრობდნენ. როცა ირიურაუა, სოფლიდან მოვიდა მოხუცი ჯენტლმენიც; იგი ჭალიდან გამოვიდა და თან ხმამაღლა მოგვესალმა, ისე რომ არც გაჩერებულა, რომ დარწმუნდა ყველას ღვიძავსო, ხუნდები აგვხსნა, მდინარის პირას ჩაგვიყვანა და გვიბრძანა ტანთ გაგვეხადა და გვებანავა.

— აბა, ბიჭებო, ყველას ჰანა-ჰანა, ბანაობა! — შესძახა ბობმა. მან ბევრი ინგლისური სიტყვა და გამოთქმა იცოდა; ახალგაზრდობისას, როგორც შემდეგ მოგვიყვა, ნაოსნობდა კიდევ ზღვაზე.

ახლა იგი მარტო იყო ჩვენთან და გაქცევა სულაც არ გავიძინებდებოდა. მაგრამ მსგავსი რამ არც მოგვსვლია თავში; მართლაც, ისე გულახდილი იყო ჩვენს მიმართ და ისე გულთბილად გვეპყრობოდა, გაქცევაზე კიდევ რომ გვეფიქრა, შეგვრცხვებოდა ამის გაკეთება. თუმცა მან მშვენივრად იცოდა (როგორც თვითონ მალე გავიგეთ), რომ მრავალი მიზეზის გამო გაქცევის ყოველგვარი ცდა უეჭველად წარუმატებელი იქნებოდა, თუ წინასწარ არ იქნებოდა მომზადებული ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო კუნძულიდან თავის დასაღწევად.

რადგან ბობი ყოველმხრივ უჩვეულო პიროვნება იყო, ამიტომ დაწვრილებით უნდა აგიწეროთ იგი. მას რაღაც „თავისებურების ბეჭედი“ ესვა; მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ექვს ფუტზე მეტი სიმაღლის გოლიათი, სქელ-სქელი, როგორც ორა-

მოცვედროიანი კასრი. მოგზაურები ხშირად წერენ ტაიატელე-ბის განსაკუთრებულ ახოვანებაზე.

ინგლისის კონსულის სატუსალოს ზედამხედველ კაპიტან ბობს ჰქონდა მცირეოდენი ტაიტური მეურნეობა, ესე იგი ფლობდა პურის ხეებისა და ქოქოსის პალმების რამდენიმე ჭა-ლას და არასოდეს არ კრეფდა ნაყოფს დამწიფებამდე. იქვე ახ-ლოს ტარო ეთესა, რომელსაც ზოგჯერ აკითხავდა ხოლმე.

მიწა იშვიათად აძლევდა ბობს რაიმე მოგებას, — ყველაფერი თვითონ ხმარდებოდა. მართლაც ღორმუცელობაში იგი თამამად აჯობებდა სამ მუნიციპალურ მრჩეველს, საჯარო ბანკეტზე რომ ეძალებიან საჭმელებს.

მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა მიაბო, რომ ასეთი გაუმაძღ-რობის გამო სხვა სოფლებში დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამ-დნენ ბობის მიმართ, როცა იგი ესტუმრებოდათ ხოლმე, რად-განაც თავიანთი ადათ-წესების თანახმად, ტაიტელები ვალდე-ბული არიან ყველა მოსულს გაუმასპინძლდნენ. თუმცა მეტწი-ლად ურთიერთპატივისცემაში ბარი-ბარში გამოდიოდნენ, მაგ-რამ ბობის საქმე მაინც სულ სხვა იყო. დილის მარტო ერთ სტუმრობაზე ისე გამოაცარიელებდა ხოლმე კუნძულის სა-კუჭნაოს, რომ ეს უკანასკნელი, ყველა დღესასწაული რომ მას-თან გაეტარებინა, დანაკლისს მაინც ვერ აინაზღაურებდა.

როგორც უკვე მოვიხსენიე, მოხუცმა ოდესღაც რამდენჯერ-მე იმოგზაურა ვეშაპსანადირო გემით; ამიტომაც ძალიან ამა-ყობდა თავისი ინგლისურით. ინგლისური ქვემო ბანზე ესწავლა. ეს იყო ძირითადად მატროსული გამოთქმები, რომლებიც საკ-მაოდ სასაცილოდ ჟღერდა.

ერთხელ ვკითხე, რამდენი წლისა ხარ-მეთქი.

— ცლისა? — შესძახა მან და თან ღრმააზროვნად ჩაუფიქ-რდა ამ რთულ პრობლემას. — ო, ძალიან ბევრი ცლისა... ათასი ცლისა... უფრო მეტისაც... დიდი კაცი, როცა კაპინ ტუტი (კა-პიტანი კუკი) გავიდა ტრავერზზე (მეზღვაურთა ენაზე ეს, ეტყობა, კუნძულს ნიშნავდა).

ეს დაუჯერებელი იყო, მაგრამ საუბრის შეწყვეტა არ მინ-დოდა და ვუთხარი:

— მაშ, კაპინ ტუტი ნახე... მერე, მოგეწონა?

— ო, ის მაიატაი (კარგი) მეგობარია და ჩემი ცოლიც იც-ნობს.

როცა ბობს დაჟინებით დაუწყვე მტკიცება, რომ მაშინ ის არც კი იქნებოდა ამ ქვეყანაზე, მან ამიხსნა, მე კი არა, მამანუმი იყო. მამამისს კი მართლაც შეეძლო ენახა კუკი.

საინტერესო ფაქტია: ყველა ტაიტელი — მოხუცი თუ ახალგაზრდა — აუცილებლად გეტყვით, რომ მათ პატივი ჰქონდათ პირადად გაეცნოთ დიდი მოგზაური; და საკმარისია ყური მიუგდოთ, რომ საღერღელი აეშლებათ და მოჰყვებიან დაუსრულებელ ანგდოტებს. ამას მხოლოდ იმისათვის აკეთებენ, რომ თეთრების გული მოიგონ; რადგან კარგად იციან, რომ მათთვის უფრო სასიამოვნო თემა არ არსებობს. რაც შეეხება დროის აღრევას, მასზე ისინი სულაც არ ფიქრობენ: დღეები და წლები მათთვის ერთი და იგივეა.

დღის ბანაობის შემდეგ ბობმა ისევ დაგვალო ზუნდები, თან კინალამ იტირა, ასე მკაცრად რომ გვეპყრობოდა; მაგრამ სხვაგვარად მოქცევა, როგორც თვითონ გვითხრა, არ შეეძლო, რადგან ეშინოდა კონსული არ გაჯავრებულყო. მან არ იცოდა, რამდენ ხანს მოგვიწევდა ტუსალად ყოფნა, ისევე როგორც არ შეიძლებოდა სცოდნოდა, თუ რას გვიზამდნენ ბოლოს და ბოლოს.

შუადღე ახლოვდებოდა, მაგრამ არაფერი ნიშანი არ იყო იმისა, რომ სადილს მოგვიტანდნენ; რომელიღაც ჩვენგანი დაინტერესდა, მართო ცხოვრება მოგვიწევს სასტუმრო „კალაბუსაში“ თუ საჭმელსაც გვაჭმევენო.

— სტოპ სპილ (სტოპ შპილ, ანუ ცოტა მოიცადე), — უთხრა ბობმა, — კოუ-კოუ (საჭმელი) მალე მოდის გემიდან.

და მართლაც მალე გამოჩნდა ძენმა „ჯულიადან“ წამოდებული ორცხობილებით სავსე ბადით ხელში. მან გაიღიმა და თქვა, ეს უილსონმა გამოგიგზავნათო; დღეისათვის სხვა აღარაფერი გერგებათო. ამის გაგონებაზე ატყდა ერთი ყვირილი, და კიდევ კარგი, რომ ხმელეთის დონდლოს ორივე ფეხი ჰქონდა, მატროსებს კი ფეხები აღარ ემორჩილებოდათ. ყველამ ერთხმად გადაწყვიტით, რაც იყოს, იყოს, ორცხობილებს კი ხელი არ ვახლოთო; ასევე განუცხადეთ ადგილობრივ მკვიდრთ.

კუნძულელებს, რომლებიც ზღვის ორცხობილების ნამდვილი მოყვარულნი არიან და რაც უფრო მაგარია, მით უფრო ურჩევნიათ, ძალიან გაუხარდათ და გვითხრეს: ყოველ დღე მოგიტანთ ცოტ-ცოტა შექმნილ პურის ხის ნაყოფსა და ინდური თაღ-

გამს, ოღონდ თქვენ სამაგიეროდ ორცხობილა მოგვეცითო. ჩვენ დაეთანხმდით, და ამის შემდეგ ყოველ დღით, როგორც კი ბაღია გამოჩნდებოდა, რაც შიგ იყო, დაუყოვნებლივ გადაეცემოდით ხოლმე ბობსა და მის ამხანაგს, და ისინი საღამომდე ილოლნებოდნენ.

პურის ხის ნაყოფის ამ მეტისმეტად მოკრძალებული სადილის შემდეგ კაპიტანი ბობი ორი კაკუჭითა და ქოქოსის პალმის ფოთლებისაგან მოწნული კალათებით ხელში მოგორდებოდა ხოლმე ჩვენთან.

შორიასლო ფორთოხლის ჭალა იყო, მწიფე ნაყოფებით დახუნძლული. ბობის განკარგულებით, მე და კიდევ ერთი კაცი მიეყვებოდით მას და ფორთოხლებს ვკრეფდით, რათა ყველა ჩვენგანს რეგობდა. ხეხილის ბაღის დიდებულებამ ყველაფერს გადააჭარბა, რაც კი ოდესმე მინახავს; აღტაცებულნი ესუნთქავდით სურნელს, ნელა მოქანავე რტოები რომ აკმევენენ.

ალაგ-ალაგ, ხეებქვეშ სქელი, ხშირი ჩრდილი იდგა; ერთმანეთზე გადახლართული რტოები მუქ, მოშრიალე გუმბათს ქმნიდნენ, რომელზედაც აქა-იქ მოოქრული ბურთებივით ეკიდა მწიფე ნაყოფი. ზოგან ტოტები ნაყოფთა სიმძიმისაგან ისე დახრილიყვნენ მიწაზე, რომ ღერო ფოთოლთა კარავში მიმალულიყო. შუაგულ ჭალაში შესულნი, უკვე ველარაფერს ვხედავდით; ირგვლივ მხოლოდ ფორთოხლები ჩანდა.

ნაყოფები ძირს რომ არ ჩამოცვენილიყო, ბობი კაკუჭით მოიწევდა ხოლმე ტოტს, მერე კალათას შეუშევრდა და შიგ ყრიდა. მაგრამ ასეთი ხერხი არ გამოგვადგებოდა. ჩვენ ტოტს შევარხევიდით ხოლმე და მიწაზე სეტყვასავით ცვიოდა ფორთოხლები, ისე რომ ჩვენმა მოხუცმა აღარ იცოდა, საით გაქცულიყო.

ჩვენ ყურს არ ვათხოვებდით ხოლმე მის პროტესტს, ჩრდილში დავსხდებოდით და მწიფე ფორთოხლის ჭამით გულს ვიჯერებდით. მერე კალათებს გავაკვებდით და ამხანაგებთან ვბრუნდებოდით. ისინი მქუხარე ტაშით გვხვდებოდნენ; წარმოუდგენლად მცირე ხანში ფორთოხლებისაგან ქერქილა რჩებოდა.

სანამ კალაბუსის ტუსალები ვიყავით, ხილი თავსაყარი გვექონდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ავადყოფები მალე გამოიმჯობინდნენ.

ტაიტიზე მშვენიერი ფორთოხალი იცის — თხელკანიანი, მომცრო და ტკბილი. ახლა ფორთოხლები ბლომადაა, მაგრამ კუკის ზომადლების მოსვლამდე კუნძულები ამ ხილს სრულიად არ იცნობდნენ; ამიტომ მას უნდა უმადლოდნენ ასეთ სიკეთეს. კუკმა სხვა ხეხილიც შემოიტანა, მათ შორის, ლეღვი, ანანასი და ლიმონი, რომლებიც ახლა იშვიათად გვხვდება. ჟიჟმატი ლიმონები ჯერ კიდევ იზრდება, და ზოგიერთი ღარიბი მკვიდრი მისგან გამოწურულ წვესს საეაჭრო გემების მეზღვაურებს მიჰყიდის ზოლმე. იგი მეტად ძვირად ფასობს როგორც სურავანდის საწინააღმდეგო საშუალება. სარგებლობა, რომელიც პირველმა მოგზაურებმა მოუტანეს თავიანთი მოსვლით ამხანაგობის კუნძულის ადგილობრივ მოსახლეობას, მარტოოდენ მათ მიერ შემოტანილი ხილითა და ბოსტნეულით როდი ამოიწურებოდა. ბევრ ადვილას დატოვეს აგრეთვე ძროხები და ცხვრები. მაგრამ მათ შესასებ შემდგომ მოვიტხრობთ.

ამრიგად, მიუსხედავად ყველაფრისა, რაც ბოლო წლებში გაკეთდა კუნძულებისათვის, კუკი და ვანკუვერი შეიძლება ითვლებოდნენ, ყოველ შემთხვევაში ერთი მხრივ მაინც, მათ დიდ კეთილისმყოფელებად.

თ ა ნ ი 32

ფრანგების მოქმედება ტაიტიზე

რადგანაც კუნძულზე პოლიტიკური ცხოვრების ძალიან საინტერესო პერიოდში მოვსვდი, ამიტომ, ნე მეონი, ღირს ცოტა გადაეუხვიო და მოკლედ შევეხო ფრანგებს მოქმედებას.

ჩემი ცნობები ემყარება იმ ხმებს, რომლებიც მაშინ იქაურ მკვიდრთა შორის იყო გავრცელებული; ზოგი რამ მერე გავიგე, როცა ტაიტის მეორედ ვეწვიე, ზოგიც კიდევ შემდგომ სამშობლოში წაკითხული უტყუარი ანგარიშებიდან.

მანამდე, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ფრანგებმა რამდენჯერმე სცადეს, რომ ტაიტიზე კათოლიკური მისია დაეარსებინათ. ისინი დღენიადავ შეურაცხყოფას განიცდიდნენ და ზოგჯერ აშკარა ძალადობასაც აწყდებოდნენ. ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ წამოწყებაში, ბოლოს და ბოლოს იძულებულია

ხდებოდა წასულიყო. ერთხელ ორი კათოლიკე მღვდელი, ლაკალი და კაზე, მრავალი დევნის შემდეგ ადგილობრივმა მკვიდრებმა შეიპყრეს; მათ ცუდად ეპყრობოდნენ, მერე კი მიიყვანეს ერთ პატარა სანდალზე, რომელმაც ისინი გადასხა კუნძულ უოლისზე — უდაბურ ადგილას, დასავლეთით დაასლოებით ორი ათას მილზე რომ მდებარეობდა.

ტაიტიზე მცხოვრები მისიონერები თვითონაც არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ კათოლიკე მღვდლების განდევნა მათი თანხმობის გარეშე არ მომხდარა. როგორც არაერთხელ მიაამბეს, თავიანთი მგზნებარე სიტყვებით მათ გამოიწვიეს ის არეულობა, რაც ზღვაში სანდალის გასვლის წინ მოხდა. ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ადგილობრივ მკვიდრებზე უსაზღვრო გავლენის მეოხებით ინგლისელებს შეეძლოთ, თუკი ამას მოისურვებდნენ, თავიდან აეცილებინათ ის, რაც მოხდა.

რაც არ უნდა სავალალო იყოს ეს მაგალითი პროტესტანტი მისიონერების მხრივ, იგი მაინც არ წარმოადგენს გამონაკლისს და სრულიადაც არ არის აღმაშფოთებელი. სხვა შემთხვევებს აღარ მოვიხსენიებ, რადგან მათზე საკმაოდ გულწრფელად წერდნენ მოგზაურები, რომლებმაც ამასწინათ ინახულეს ტაიტი, და აქ ყველა იმ ამბის განმეორებას არავითარი აზრი არა აქვს. თანაც უკანასკნელ ხანს მისიონერები, განსაკუთრებით სანდვინის კუნძულებზე, ამ მხრივ უკვე კარგად იქცევიან.

აღმაშფოთებელი ამბავი, რაც ორ მღვდელს გადახდა, მთავარი (და ერთადერთი გამართლებული) მიზეზი შეიქნა იმისა, რომლითაც დი პეტი-ტუარმა ბრძოლაში გამოიწვია და შემდეგ დაიპყრო კიდეც კუნძული. სხვათა შორის მან ის ბრალდებაც წამოაყენა, რომ კონსულ მერენჰოუტის ალაში არაერთხელ შეურაცხუყვიათ და რომ ერთ-ერთი ფრანგი ახალმოსახლის საკუთრება ძალისძალად ჩაიგდეს ხელში ტაიტის ხელისუფლებმა. უკანასკნელ შემთხვევაში ადგილობრივი მკვიდრნი სავსებით მართალნი იყვნენ. იმ დროს, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის ამკრძალავი კანონი (რომელსაც ხან აუქმებდნენ და ხან აღადგენდნენ) ძალაში იყო; დაინახეს რა, რომ ვიქტორი, მარსელელი სულმდებალი თაღლითი და ავანტიურისტი, დიდი რაოდენობით ყიდდა არაყს, ტაიტელებმა კონფისკაცია უყვეს მის ქონებას.

ზემოაღნიშნული და სხვა მოგონილი ზარალის ასანახლაუ-

რებლად ფრანგებმა 10 000 დოლარი მოითხოვეს, და რადგან ტაიტიელთა ხაზინას ასეთი თანხა არ გააჩნდა, მათ ისარგებლეს ყალბი ხელშეკრულებით, რომელიც დი პეტი-ტუარის ფრეგატის საზარბაზნე გემბანზე უკარნახეს ბელადებს, და კუნძული დაიპყრეს. მაგრამ, მიუხედავად ამ ფორმალობისა, ახლა, როგორც ჩანს, უცილობლად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პომარეს დინასტიის დამხობა ტუილრიში გადაწყდა.

ეგრეთ წოდებული პროტექტორატი რომ დააწესა, კონტრადმირალი წავიდა და გუბერნატორად დატოვა ბრიუა; მას ეხმარებოდნენ მოხელეები რენი და კარპენი, რომლებიც მთავრობის საბჭოს წევრებად იყვნენ დანიშნული კონსული მერენპოუტი დედოფლის კომისარი გახდა. მაგრამ ჯარები მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გადმოსხეს. რენი და კარპენი როგორც ადამიანები კუნძულელებს მაინცდამაინც არ სძულდათ, მაგრამ ბრიუა და მერენპოუტი საშინლად ეზიზღებოდათ. საწყალ დედოფალთან რამდენიმე შეხვედრის დროს უსულგულო გუბერნატორი ცდილობდა დაეშინებინა იგი და მიეღწია იმისათვის, რომ მისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ; ხან დაშნაზე გაივლებდა ხელს, ხან მუშტს იქნევდა და თან საშინლად იგიეზობდა. „პოი, მეფევი დიდი ხალხისა, — სწერდა პომარე ლუიფილიპეს, — გვიხსენ ამ კაცისაგან; მე და ჩემი ხელქვეითნი ვეღარ ვიტანთ მის სიძვეს. იგი ურცხვი ადამიანია“.

თუმცა კონტრადმირალის გამგზავრების შემდეგ ფრანგები აშკარა ძალადობას არ მიმართავდნენ, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთა მღელვარება მაინც არ შეწყვეტილა. ლტოლვილმა დედოფალმა ეიმეოს მიაშურა, ხოლო ბელადთა შორის ქიშპობა და მისიონერთა უგუნური ქცევა ხელს უშლიდა წინააღმდეგობის ერთიანი გეგმით დარაზმვას. მაგრამ ხალხის უმრავლესობას, ისევე როგორც დედოფალს, მტკიცედ სწამდა, რომ მალე საქმეში ჩაერეოდა ინგლისი — ქვეყანა, რომელიც ტაიტისთან მრავალნაირად იყო დაკავშირებული და რომელსაც საზვიამო ვითარებაში არაერთხელ მიუცია დამოუკიდებლობის გარანტია.

რაც შეეხება მისიონერებს, ისინი აშკარად არ ცნობდნენ საფრანგეთის გუბერნატორს და გულუბრყვილოდ წინასწარმეტყველებდნენ, რომ მალე გამოჩნდებოდნენ დიდი ბრიტანეთის ესკადრები და ჯარები. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ინგლისისა და საფრანგეთის ძლევამოსილი ინტერესებისათვის ისეთი

პაწია ქვეყნის კეთილდღეობას, როგორცაა ტაიტი ერთმა მხარემ პროტესტი განაცხადა, მეორემ პასუხი გასცა და საქმეც ამით დამთავრდა. წმიდა გიორგი და წმიდა დენისი, რომლებიც სულ ჩხუბში არიან, ამჯერად ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ; და ისინი დაშნებით არ შებმიან ერთმანეთს ტაიტის გამო.

კუნძულზე ჩემი ყოფნისას, რამდენადაც შევძელი ამის განსჯა, თითქმის არაფერი არ ადასტურებდა მომხდარ ცვლილებებს. წინათ არსებული კანონები ძალაში რჩებოდა; მისიონერებს არავინ ერჩოდა, და ყველგან შედარებით სიმშვიდე იყო. მაინც ზოგჯერ მესმოდა ხოლმე, როგორ ლანძღავდნენ და თათხავდნენ ადგილობრივი მკვიდრნი ფრანგებს (სხვათა შორის, ისინი მთელ პოლინეზიაში არავის არ უყვარს) და მწარედ ნაწობდნენ, რომ დედოფალმა თავიდანვე არ გაუწია წინააღმდეგობა.

ბელად აღიას სახლში ხშირად იმართებოდა კამათი — შემლებდნენ თუ არა ტაიტელები ფრანგების მოგერიებას; ითვლიდნენ ხალხს, ვის შესწევდა უნარი — მონაწილეობა მიეღო სამხედრო მოქმედებაში, თოფებს, ადგილობრივ მკვიდრებს რომ ჰქონდათ. მსჯელობდნენ აგრეთვე პაპეეტეს ზოგიერთი მბრძანებელი სიმალლის გამაგრების შესაძლებლობაზე. მე ამ სიმპტომებს წინააღმდეგობის გაბედულ აზრს კი არ მივაწერდი, არამედ ამასწინანდელი შეურაცხყოფით გამოწვეულ აღშფოთებას და არაფრით არ მეგონა, თუ სულ მალე ჩემი გამგზავრების შემდეგ დაიწყებოდა მამაცური, თუმცა წარუმატებელი ომი.

ჩემი პირველი და მეორე ჩამოსვლის შუალედურ პერიოდში კუნძული, რომელიც ადრე იყოფოდა ცხრამეტ ოლქად და ყოველ მათგანს მმართველისა და მოსამართლის სახით სათავეში ედგა კუნძულები ბელადი, ბრიუამ ოთხად დაყო და თითოეულს სათავეში ჩაუყენა თავისი ხალხის მოღალატე ოთხი ბელადი — კიტოტი, ტატი, უტამაი და პარაიტა; ყოველ მათგანს 1000 დოლარს უხდიდა, რათა თავისი მზაკერული გეგმების განხორციელების საქმეში მათი დახმარების იმედი ჰქონოდა.

პირველად სისხლი დაიღვარა ნახევარკუნძულ ტაირაპუზე მაჰანარეს მაჩლობლად. შეტაკება იმან გამოიწვია, რომ საფრანგეთის ერთი გემის მეზღვაურებმა მოიტაცეს რამდენიმე ქალი ნაპირის მოსახლეობიდან. ამ ბრძოლაში კუნძულები თავგანწირვით იბრძოდნენ. მათ მტრის ორმოცდაათამდე კაცი

მოკლეს, თვითონ კი ოთხმოცდაათი დაკარგეს. ფრანგი მატრო-
სები და ჯარისკაცები, რომლებიც, როგორც ამბობენ, მაშინ
სიმთვრალისაგან გაშმაგდნენ, დაუნდობელნი იყვნენ; მხოლოდ
ის ვადარჩა ცოცხალი, ვინც მთებში გაქცევა მოახერხა. შემ-
დეგი ბრძოლები ჰარარპარპისა და ფარარის მახლობლად მოს-
და. ამ ბრძოლებს გადამწყვეტი წარმატება არ მოჰყოლია.

მალე ჰარარპარპის ბრძოლის შემდეგ გაბოროტებული კუნ-
ძულელები უღელტეხილზე ჩასაფრდნენ და მოკლეს სამი ფრან-
გი. ერთი მათგანი, ლეფეერი, იყო ცნობილი არამზადა, და ვა-
შუში, რომელიც ბრიუამ გამოგზავნა, რათა ვინმე მაიორი ფერ-
ციუსი (როგორც ამბობენ, პოლონელი) შეეყვანა თავშესაფარში,
სადაც იმალებოდა ოთხი ბელადი, რომელთა შეპყრობა და სიკ-
ვდილით დასჯაც სურდა მმართველს. ამ ამბავმა ხომ სულ
მთლად გააშმაგა ორივე მხარე.

დაახლოებით ამავე დროს კიტოტიმ, გამყიდველმა ბელადმა
და ბრიუას ყოვლად დამჯერე იარაღმა, უკანასკნელის შეგული-
ანებით, პარეას ველზე დიდი ზეიმი მოაწყო და მთელი თავისა
თვისტომნი მიიპატიჟა. მმართველის მიზანი იყო თავის მხარე-
ზე გადაებირებინა რაც შეიძლება ბევრი ხალხი; იგი გულუხვად
უმასპინძლდებოდა სტუმრებს ღვინითა და სპირტით, და ბუნებ-
რივია, საქმეც გაღეშვამდე მივიდა. მაგრამ, სანამ საქმე იქამდე
მივიდოდა, რამდენიმე კუნძულელი გამოვიდა სიტყვით. ერთ-
ერთი სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ხანშიშესულმა მეომარმა,
არეოების ცნობილი საზოგადოების¹ ყოფილმა მეთაურმა, მეტალ
დამახასიათებელი იყო.

— ეს ძალიან კარგი დღესასწაულია, — თქვა მოხუცმა, რო-
მელიც ფეხზე ძლივს იდგა, — ღვინოც ძალიან კარგია; მაგრამ
თქვენ, ბოროტო ვი-ვი (ფრანგებო), თქვენც, ვერაგო ტაიტელი
მამაკაცებო, თქვენ სუყველანი ძალიან ცუდები ხართ.

ბოლოდროინდელი ცნობებით, კუნძულელთა უმრავლესო-
ბა ჯერ კიდევ უარს ამბობს ფრანგების მორჩილებაზე, და ძნე-
ლია განჭვრიტოს კაცმა, როგორ წარიმართება მოვლენები. ყო-
ველ შემთხვევაში, ამ არეულ-დარეულობამ უნდა დააჩქაროს
ტაიტელი ხალხის საბოლოო განადგურება.

¹ რთული იერარქიის მქონე კარდასმული ორგანიზაცია, რომელიც
აოასნაირ ვართობასა და ზეიმს მართავდა სოლმე.

დი პეტი-ტუარის მიერ დანიშნული თანამდებობის პირების გარდა, კუნძულზე დარჩა რამდენიმე ფრანგი მღვდელი; ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით მათ უზრუნველყოფილი ჰქონდათ დაუბრკოლებელი მოღვაწეობა თავიანთი რელიგიის გასავრცელებლად. მაგრამ არავინ თვლიდა თავს მოვალედ — ეზრუნა მათ პირობებზე და მით უმეტეს იმაზე, რომ გემიდან გადმოსვლის პირველ დღეს საუზმე ეჭმია. ბევრი ოქრო კი ჰქონდათ, მაგრამ, ადგილობრივ მკვიდრთა გაგებით, ოქროს უბედურება მოჰქონდა, და ამიტომ ერთხანს არც ეკარებოდნენ. აბა რომელი კუნძულელი გაბედავდა თავი გაეწირა და საკუთარი პურის ხეებისათვის აუადმყოფობა შეეყარა იმ უცხოელებთან ურთიერთობით, რომლებიც პაპისა და ეშმაკის მოციქულებად მიაჩნდა — გოგირდის სუნი ზომ ჯერ კიდევ არ მოშორებია მათ ანაფორებს! იმ დილას მღვდლებმა პიკნიკი მოაწყვეს ქოქოსის პალმების ჭალაში; მაგრამ დაღამებამდე იქვე ახლოს მდგარ ერთ სახლში მათ ქრისტიანულად გაუმასპინძლდნენ, რისთვისაც მღვდლებმა დოლარები ჩაუჩხრიალეს.

ინგლისელ მისიონერებს, რომლებმაც არ მოისურვეს ჯეროვანი პატივი ეცათ ამ ბატონებისათვის, შეიძლება უსაყვედუროს კაცმა, რომ მათ საკმარისი ზრდილობა არ გააჩნიათ, მაგრამ უკანასკნელთ უთუოდ ბრალი მიუძღვით, რომ ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ჩაიგდეს თავი უხერხულ მდგომარეობაში. იმის მაგივრად, რომ ძალით შეჭრილიყვნენ კუნძულზე, სადაც მოსახლეობას უკვე მიღებული ჰქონდა ქრისტიანობა, მათ შეეძლოთ წარმატების მეტი იმედი ჰქონოდათ, თუ დასახლდებოდნენ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე იმ ათასი კუნძულიდან, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ წარმართნი.

თ ა ვ ი 33

ჩვენ სასტუმრო კალაბუსაში ვღებულობთ მნახველებს

რადგან ჩვენი სატუსალო ყოველი მხრიდან ღია იყო და მდებარეობდა წნორიანი გზის მახლობლად, ცხადია, ყველა გამკვლელ-გამომკვლელი მშვენივრად გვხედავდა. ამიტომ ჩვენ

ვერ დავემდურებოდით ისეთი ცნობისმოყვარე მსახველის ნაკლებობას, როგორც ტაიტელები არიან. რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი განუწყვეტლივ მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ჩვენ კი იძულებული ვიყავით მწოლარენი, ხუნდებში სამარცხვინოდ ჩაჭედვით დავხვედროდით მათ.

ამ დროს ოლქში უკვე ცნობილი ადამიანები გახლდით; შორეული დაბების მცხოვრებნი, ცხადია, „კარპოურის“ (თეთრკანიანების) სანახავად ისევე მოჰყავდათ, როგორც დიდ ქალაქში სოფლიდან ჩამოსულებს ათვალეიერებიჩნებენ ზოოლოგიურ ბაღს.

ყოველივე ამით სრული საშუალება გვეძლეოდა შეგვესწავლა კუნძულები. მე ვწუხდი, როცა ადგილობრივ მკვიდრთა შორის ასე ბევრ ავადმყოფსა და მახინჯს ვხედავდი. ესენი იყვნენ მსხვერპლნი საშიში სენისა, რომელიც ადგილობრივი მკურნალობისას ბოლოს და ბოლოს კუნთებსა და ძვლებს აზიანებს. განსაკუთრებით ხშირად შეიმჩნევა ხერხემლის გამრუდება, რაც ადამიანს ძალიან უსახურს ხდის და წარმოადგენს ამ ავადმყოფობის უკიდურესად მძიმე ფორმის შედეგს.

სხეულის ეს დაავადება, ისევე როგორც ბევრი სხვა, თეთრკანიანთა მიერ არქიპელაგის აღმოჩენამდე არ იყო ცნობილი, მაგრამ სამაგიეროდ ადგილობრივ მკვიდრთა შორის გვხვდება „ფა-ფა“, ანუ ელუფანტიაზისი — ადგილობრივი დაავადება, რომელიც აქ ძველთაგანვე არის გავრცელებული. იგი აზიანებს მხოლოდ ფეხებს, რომლებიც სივდება, ადამიანის ტანის სიმსხო ხდება და ქერცლით იფარება. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ამგვარი სენით შეპყრობილ ადამიანებს სიარული არ შეეძლებათ; მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ისინი სხვებზე ნაკლებ მოძრაენი არ არიან, ეტყობა, არავითარ ტკივილს არ გრძნობენ და თავის უბედურებას მართლაც გასაოცარი სიმხნევით იტანენ.

„ფა-ფა“ ძალიან ნელა ვითარდება, და სანამ წლები არ გაივლის, მანამდე ფეხი მთლიანად არ სივდება. ადგილობრივი მკვიდრნი ელუფანტიაზისის, ანუ სპილოს ავადმყოფობის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ, მაგრამ საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი საჭმელში პურის ხის უმწიფარი ნაყოფისა და დაუფარგებელი ტაროს ხმარების გამო ჩნდება. რამდენადაც დაკადგინე, დაავადება მეგკვიდრეობით არ გადადის. მას უკურნებელ სენად თვლიან, და არც ერთ სტადიაში არ ებრძვიან.

„ფა-ფაზე“ რომ ჩამოვაგდე სიტყვა, ერთი საწყალი მატროსი გამახსენდა. იგი ვნახე რურუტუზე, განმარტოებულ კუნძულზე, რომელიც ტაიტიდან ორი დღის სავალზე მდებარეობს.

კუნძული ძალიან პატარაა. მისი მოსახლეობა თითქმის სულ ამოწყდა. ჩვენ კანჯო გავგზავნეთ ნაპირზე, რათა გავვეგო, შეიძლებოდა თუ არა იამსის შოვნა. რურუტუს იამსი ხომ მთელ ირგვლივ მდებარე კუნძულებზეა განთქმული, ისევე როგორც სიცილიური ფორთოხლები — მთელ ხმელთაშუა ზღვაში. ნაპირზე რომ გადავედი ჩემდა გასაოცრად, ერთი პატარა უბადრუკი შესახედაობის საყდართან გამომელაპარაკა თეთრკანიანი, რომელიც ნახევრად დანგრეული ქოხიდან გამოკვანჭალდა. თმა-აბურძგნული და წვერმოშვებული იყო, სახე მოთენთოდა და გაფითრებოდა. ცალი ფეხი რაღაც უსაშველოდ გასიებოდა „ფა-ფას“ ავადმყოფობისაგან. აქამდე არასოდეს მენახა და არც გამეგონა, რომ ელფანტიანისი ჩამოსულებს შეჰყროდეთ, და ამ სანახაობამ შემადრწუნა.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც კუნძულზე ცხოვრობდა. როცა პირველი სიმპტომები აღმოაჩნდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ სწორედ ეს საშინელი ავადმყოფობა დაემართა, და იმედოვნებდა, მალე გამიქრებაო. რამდენიმე ხნის შემდეგ მიხვდა, რომ განკურნების ერთადერთი შანსი ჰაერის გამოცვლა იყო, მაგრამ უკვე არცერთმა კაპიტანმა აღარ აიფიქრა თავის რაზმში; მგზავრად გაყოლაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო. ეს ცუდად ახასიათებს კაპიტნების კაცთმოყვარეობას, მაგრამ, მართალი გითხრათ, იმათ, ვინც წყნარ ოკეანეში დაცურავს, ეს თვისება მაინცდამაინც არ აწუხებთ. ჩვენს დროში, როცა მათ ასე ხშირად მოუწოდებენ, რომ გულმოწყალენი იყვნენ, ისინი სულ მთლად შეუბრალებელი გახდნენ.

მე სულთ და გულთ თანაუგრძნობდი საბრალოს, მაგრამ რას ვიზამდი, როცა ჩემი კაპიტანი უღმობელი რჩებოდა.

— რა ვქნა, — განაცხადა მან, — ახლახან შევეუდექით ექვსთვიან ნაოსნობას... უკან ხომ არ დავბრუნდები; მაგას კი ზღვაში ყოფნას ისევე კუნძულზე იყოს, ის ურჩევნია. დაე, რურუტუზე მოკვდეს.

ალბათ ასეც მოხდა.

მოგვიანებით ორი მატროსი მომიყვა ამ სამწუხარო ამბის გაგრძელებას. ბერს ცდილა საწყალი, რომ კუნძულს როგორმე

გასცლოდა, მაგრამ ამაოდ. საბედისწერო დასასრული სწრაფად ანლოვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტაიტელეები ფიზიკური გადაშენების ვზაზე არიან დამდგარი, ბელადთა შორის დღემდე ხშირად შეხვდებით ძალიან მიმზიდველი შესასწავლობის ადამიანებს; ზოგჯერ გვხვდებიან გოლიათი მამაკაცები და მინიატურული ქალები, რომლებიც სილამაზით არ ჩამოუვარდებიან იმ ნიმფებს, დაახლოებით ასი წლის წინათ რომ დაცურავდნენ უოლისის გემების გარშემო. ტაიტელ ქალთა მშვენება ისევე მაცდუნებელია, როგორადაც ეჩვენებოდა „ბაუნტის“ რაზმს; ახალგაზრდა ასულნი, წყნარი, ჰაეროვანი არსებანი, მეოცნებე თვალებით, ზუსტად შეესატყვისებიან „პოეტების მიერ შექმნილ ტროპიკების ქალთა იდეალს.

ორივე სქესის ადგილობრივ მკვიდრთ კანი საკმაოდ ღია ფერისა აქვთ, მაგრამ მამაკაცებს, რომლებსაც მზისგულზე დიდხანს უწევთ დგომა, ბევრად უფრო მუქი უხდებათ. თუმცა, მამაკაცებში შავგვრემანი კანი ითვლება დიდ ღირსებად — როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ძალის დამადასტურებლად. აქედან მომდინარეობს ტაიტელეებში გავრცელებული ძველთაძველი გამოთქმა:

თუ ვაჟის დედა შავგვრემანია,
მძლე მეოშარი გამოჟა შეილი;
თუ ვაჟის დედა ჯანშავარია,
კანონმდებელი იქნება შეილი.

რასაკვირველია, სიმამაცეზე ასეთი წარმოდგენის მქონე ტაიტელეებს შესახედავად ფერმკრთალი და უხალისო ევროპელები სუსტ და ნაზ არსებებად მიაჩნიათ და მხოლოდ მეზღვაურს, რომელსაც ლოყები შებრაწული ინდაურის მკერდის ფერი აქვს, თელიან ღონიერ კაცად ან, როგორც თვითონ ამბობენ, „ტაატა ტონად“ — ძვალმსხვილად.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ძვლებზეც მოგახსენებთ. მაგონდება პოლინეზიელთა საძაგელი წეს-ჩვეულება, რომელიც ამჟამად გადავარდა: ისინი ანკესებსა და ბურლებს თავიანთი მტრების ძვლებისაგან აკეთებენ. ამ მხრივ მათ გადააჭარბეს სკანდინავებს, რომლებიც ადამიანთა თავის ქალებს ფიალებად და ჯამებად ხმარობდნენ.

მაგრამ მოდი „კალაბუსა ბერეტანის“ დავუბრუნდეთ. დიდი

იყო ინტერესი, რასაც ჩვენს სანახავად მოსულ კუნძულელთა ბრბოს აღუქმრავდით; მათ შეეძლიათ საათობით მდგარიყვნენ და ელაპარაკათ, ანდა სრულიად უმიზეზოდ საშინლად აღგზნებულ იყვნენ და თავიანთი ტომისათვის ჩვეული სიმკვირცხლით ჩამოეელოთ ცეკვა. ისინი მუდამ ჩვენს მხარეზე იყვნენ, კონსულს ლანძღავდნენ და „იტა მაიტაი ნუის“, ანუ ძალიან ცუდს ეძახდნენ. ეტყობა, მტრულად იყვნენ განწყობილი მის მიმართ.

ჩვენს სანახავად მოდიოდნენ ქალებიც, ეს მომხიბლავი არსებანი. ისინი კაცებზე უფრო მეტ ინტერესსაც კი ამჟღავნებდნენ, მეტყველ თვალებს მოგვაპყრობდნენ ხოლმე და საოცარი სისწრაფით ლაპარაკობდნენ რაღაცას. თუმცა ქალები ცნობისმოყვარენი იყვნენ და უთუოდ წამიერ სიბრალულსაც განიცდიდნენ ჩვენდამი, მაგრამ ვაი რომ გულწრფელ გრძობას ძალიან ცოტას ამჟღავნებდნენ და სენტიმენტალობას — კიდევ უფრო მცირეს. ბევრი მათგანი აშკარად დაგვცინოდა და ჩვენი მდგომარეობის მხოლოდ სასაცილო მხარეებს აქცევდნენ ყურადღებას.

მახსოვს, ტუსალობის მეორე დღეს რომელიღაც ლამაზმა, შესახედავად რამდენადმე ველურმა ქალიშვილმა მოირბინა კალაბუსასთან, შორიახლო გაჩერდა და უტიფრად დაგვიწყო ყურება. გულქვა იყო: სიცილით კვდებოდა, როცა უტკიეროდა შავ დანს, რომელიც გადაყვლეფილ კოჭზე ხელს ისვამდა და თან გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამდა კონსულისა და კაპიტან გაის ზნეობრივ მხარეებზე. ქალიშვილმა მასზე სიცილით გული რომ იჯერა, ახლა სხვები გახადა თავისი ყურადღების ღირსი; ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. მისი მზერა ზედმიწევნით მეთოდური და გამომწვევი იყო. თუკი რამე მოეჩვენებოდა კომიკურად, მაშინვე ამჟღავნებდა — დაუყოვნებლივ თითს დაადებდა, უკან გადაიწოდა და გადაიხარხარებდა. ეს ხარხარი იმ მუსიკალური ყუთის ბანის ნოტებს წააგავდა, რომელიც თავდახურული რაღაც მხიარულ ჰანგს გამოსცემს.

მე ვიცოდი, რომ არც ჩემს გარეგნობაში იყო ისეთი რამ, რაც ამ დამცინავ ქალს განაიარალებდა; მართალი გითხრათ, ასეთ ვითარებაში ძნელი იყო რამდენადმე გმირული გამომეტყველების შენარჩუნება. და მაინც ჯავრით მევსებოდა გული იმის გაფიქრებაზე, რომ მალე მეც მომიწევდა ამ ცელქი ეშმაკუნას დაცინვა, თუმცა იგი მხოლოდ კუნძულელი იყო და სხვა არა-

ფერი. საიდუმლოდ გეტყვით, ამგვარ განცდებს ასე თუ ისე მისი სილამაზე იწვევდა; მართალია, მორზე ვიყავი მიჯაჭვული, ტანისამოსიც შეუფერებელი მეცვა, მაგრამ სენტიმენტალობას მაინც არ ვანებებდი თავს.

სანამ მე ვადმომხედავდა, უნებლიეთ მივიღე ყველაზე გრაციოზული პოზა, რაც კი შემეძლო; თავქვეშ ხელი ამოვიღე და ჩავფიქრდი. თვალი კი მოვარიდე, მაგრამ მალე ვიგრძენი, რომ ლოყებზე აღმური მედებოდა, და მივხედი, რომ მიყურებდა; ლოყები სულ უფრო და უფრო მიხურდა, სიცილი კი არ ისმოდა.

მშენიერი აზრია! მასში თანაგრძნობამ იფეთქა. მეტი ვედარ მოვითმინე და თვალი გაუხსწორე. და იცით რა დავინახე! დიდრონი თაფლისფერი თვალები სულ უფრო უმრგვალდებოდა; სიცილისაგან ტანი უთრთოდა, ტუჩებზე კი ღიმი დასთამაშებდა, ღიმი, რომელსაც შეეძლო ჩაეკლა ყოველგვარი გრძნობა.

იგი თვალისდახამხამებაში შეტრიალდა და ხარხარით გავარდა კალაბუსიდან. ჩემდა საბედნიეროდ, აღარასოდეს გამოჩენილა.

თ ა ვ ი 34

ცხოვრება კალაბუსაში

გავიდა რამდენიმე დღე, და ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მორჩილება კაპიტან ბობის მხრიდან გარკვეული შეღავათებით იქნა ანაზღაურებული.

მან ნება დაგვრთო რაზმის ყველა წევრს, რომ მოელი დღე თავისუფლად გვესეირნა, ოღონდ გვიბრძანა ახლოს ვყოფილიყავით, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოვეძახეთ. ასეთი შემწყნარებლობა, თავისთავად ცხადია, სავსებით ეწინააღმდეგებოდა უილსონის განკარგულებებს, და ამიტომ მას არაფერი არ უნდა სცოდნოდა. ადგილობრივი მკვიდრებისა არ გვეშინოდა, რომ ეტყოდნენ, უცხოელებს კი, რომლებიც წნორიანი გზით დადიოდნენ, შეიძლებოდა ეთქვათ. სიფრთხილისათვის გზის გაყოლებაზე გუშაგები დავაყენეთ. თეორიკანიანთა დანახვაზე ისინი განგაშს ტეხდნენ, და ჩვენც იმწამსვე მივაშურებ-

დით ხოლმე ჩვენს ზუნდებს (ისინი განზრახ გექონდა ღიად დატოვებული); შემდეგ მორი ძირს ეშვებოდა, და ჩვენ კვლავ ტუსალები ვხდებოდით. როგორც კი მგზავრი თვალს მიეფარებოდა, ცხადია, მაშინვე გვათავისუფლებდნენ.

კაპიტანი ბობი და მისი ამხანაგები ყოველდღიურად გვაწვდიდნენ საჭმელს, მაგრამ არ გვეყოფნიდა და ხშირად შიმშილით კუჭი გვეწვოდა. ჩვენ ბრალს ვერ დავდებდით იმაში, რომ საკმარისად არ მოჰქონდათ; როგორც მალე დავრწმუნდით, თურმე ისინი თვითონ იკლებდნენ, რომ ჩვენთვის გამოეგზავნათ; თანაც თავიანთი გულკეთილობის გასამრჯელოდ არაფერს არ ღებულობდნენ, გარდა დღიური ულუფა ორცხობილებისა.

ისეთი ხალხისათვის, როგორიც ტაიტელები არიან, „ძნელბედობა“ ჩვენი გაგებით მხოლოდ საჭმლის უკმარისობაში გამოიხატება; და მაინც მდაბიოთა შორის იმდენი გაჭირვებულია, რომ ცივილიზაციის ეს ყველაზე დიდი გასაჭირი მათთვის, შეიძლება ითქვას, მუდმივი უბედურებაა. მართალია, კალაბუსის ახლოს მცხოვრებ ადგილობრივ მკვიდრთ უხვად აქვთ ღიმონი და ფორთოხალი, მაგრამ ხილი რას უშველით, ის ხომ კიდევ უფრო აღუძრავთ მადას, რომლის დაკმაყოფილებაც არაფრით არ შეუძლიათ? წელიწადის იმ დროს, როცა ჰურის ხის ნაყოფი მწიფდება, კუნძულები უკეთ იკვებებიან; მაგრამ დანარჩენ დროს სავაჭრო გემთა ეკიპაჟების მოთხოვნილება აღარიბებს ბუნებრივ რესურსებს. და რადგან მიწა უმთავრესად ბელადებს ეკუთვნით, დაბალი წოდების ტაიტელები მათი სიხარბის მსხვერპლი ხდებიან. მდაბიოებს რომ თევზის საჭერი ბადეები ჩამოართვა, ბევრნი შიმშილით დაიხოცებიან.

კაპიტანი ბობი თანდათან აღუნებდა სიფხიზლეს, ჩვენ უკვე სულ უფრო და უფრო შორს მივდიოდით კალაბუსიდან, იმასაც კი ვახერხებდით, რომ რამდენადმე შეგვევსო სურსათ-სანოვანის ნაკლებობა; ამასთან დაკავშირებით მთელ ოლქში ვატარებდით ხოლმე ფურაჟირებას. საბედნიეროდ, უფრო შეძლებულ ადგილობრივ მკვიდრთა ქოხის კარი ისევ ღია იყო ჩვენთვის, როგორც ღარიბ-ღატაკთა ქოხმახები; ერთშიც და მეორეშიც გულთბილად გვხვდებოდნენ.

ზოგჯერ ისეთ დროს მოვხვდებოდით ხოლმე ბელადის სახლში, როცა ეზოში ღორს კლავდნენ; ყურისწამლები ჭყვირილი შორიდანვე გვესმოდა. ასეთ შემთხვევაში მთელი მეზობლები

შეიყრებოდნენ ხოლმე და იმართებოდა ნადიმი, რომელზედაც უცხოელი მუდამ სასურველი სტუმარი იყო. ამიტომ ღორის ჭყვირილი მუსიკის ჰანგებივით ჩაგვესმიდა ყურში. ეს იმას ნიშნავდა, რომ სადღაც ახლოს არც ისე უინტერესო ამბავი ვკვლოდა.

ჩვენებური ქრიამულით დავესხმებოდით ხოლმე თავს და ამით დიდ შთაბეჭდილებას ვახდენდით. ზოგჯერ ისეთ ღრის შივიდობით, რომ ღორი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და წინააღმდეგობას უწევდათ; ჩვენ რომ დაგვინასაუდნენ, ღორი სულაც აღარ ახსოვდათ. ასეთი უბედური შემთხვევისათვის თაღლითი ჯეკი წამსვე გაჩნდებოდა ხოლმე მოქმედების ადგილას; ხელში კეტი ეჭირა, კბილებით კი დიდი დანა. სხვა მატროსები ერთმანეთს არ აცლიდნენ მოხმარებას — გარუჯვა იქნებოდა ეს თუ გამოშვივანა. მხოლოდ მე და ექიმი ახმახი სული არ ვმონაწილეობდით ამ სამზადისში და სწორედ მაშინ მივიდიოდით ნადიმზე, როცა სუფრა უკვე გამლლილი იყო.

როგორც ყველა ტანმალალი და გამსდარი ადამიანი, ჩემი ახმახი ამხანაგი განსაკუთრებული მადით გამოირჩეოდა. იყო შემთხვევა, რომ სხვები ყოყმანობდნენ, არ იცოდნენ, რომელი ნაჭერი გადმოელოთ, ის კი ერთ წამსაც არ კარგავდა.

ჯეკი დიდი გამომგონებლობით აღწევდა თავს იმ უხერხულ მდგომარეობას, რომელშიც დროდადრო ვვარდებოდით. კუნძულელები საჭმელს იშვიათად უშერებიან მარილს; ამიტომ მან ძენძას სთხოვა გემიდან მოეტანა ცოტაოდენი მარილი და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, პილპილიც. მისი თხოვნა შესრულებულ იქნა. ეს ყველაფერი მან ჩაყარა ტყავის პატარა პარკში — „მაიმუნის გულში“ (როგორც მატროსები ეძახიან), რომელიც ქისასავით ჰკიდიათ გულზე.

— ჩემი მოკლე ჭკუით, — თქვა ახმახმა სულმა და თან პარკი შეინახა, — უცხოელს ტაიტიზე დანა ამოღებული უნდა ჰქონდეს და სამარილე — დაკიდებული.

ნენე კველვა ნაცნობა გვინახულა

ნაპირზე სულ რამდენიმე დღე გვექონდა გატარებული, როცა შეგვატყობინეს, წნორიან გზაზე ჯონსონი მოდისო.

ჩვენ აღრეც გვსმენია, ვიზიტი რომ ჰქონდა განზრახული და მიზეზსაც ვხედებოდით. რადგან კონსულის გამგებლობაში ვიყავით, ჩვენი შენახვის ხარჯებიც, ცხადია, მას უნდა გაეღო სახელმწიფო თანხებიდან; ამიტომ მისმა ამხანაგმა, ნავსადგურის ექიმმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ კარგ გასამრჯელოს მიიღებდა, გადაწყვიტა საშუალება მოეცა ჩვენთვის, რათა მისი მომსახურებით გვესარგებლა. თუმცა, ცოტა არ იყოს ეუხერხულეობდა, რომ ჩვენთვის შემოეთავაზებინა წამალი, რომელსაც, მისი მტკიცებით, არ ვსაჭიროებდით. მაგრამ მაინც გადაწყვიტა ყოველგვარი მორიდება დაეძლია და მოვენახულებინათ.

მისი მოახლოება ერთ-ერთმა გუშაგმა გვაცნობა. ვილაცამ თქვა, მოდი შემოვუშვათ და ხუნდები დავადოთო, მაგრამ ახმახმა სულმა უკეთესი ოინი მოიფიქრა. თუ რა, ამას მალე ნახავთ.

ექიმი ჯონსონი თავაზიანად და მეგობრულად მოგვიახლოვდა, ხელჯოხი ხუნდებზე დადო და ყველანი შეგვათვალაიერა.

— აბა, ბიჭებო, — დაიწყო მან. როგორ გრძნობთ დღეს თავს?

მეზღვაურებმა სერიოზულად დაიჭირეს თავი და რაღაც უპასუხეს. ჯონსონმა განაგრძო:

— ის საცოდავები როგორღა არიან, რამდენიმე დღის წინ გავსინჯე... ავადმყოფებზე ვამბობ... როგორ არიან? — და მან ყველას გამომცდელად შეგვაგლო თვალს.

ბოლოს ერთ მატროსს მიაჩერდა, ყველაზე განაწამები სახე რომ ჰქონდა, და თქვა: ამას კი მეტისმეტად ავადმყოფური შესახედაობა აქვსო.

— ჰოო, — ნაღელიანად წარმოთქვა მატროსმა, — ვშიშობ, ექიმო, რომ მალე გ ა ვ შ ო რ დ ე ბ ი ნ ა პ ი რ ს! — თვალები დახუჭა და ამოიკვნესა.

— რაო, რა თქვა? — იკითხა ჯონსონმა, რომელიც სწრაფად შემობრუნდა ჩვენკენ.

— რა და, — წამოიძახა თაღლითმა ჯეკმა, რომელმაც თარჯიმნობა იკისრა, — მალე გავაბიჯებ გადმოაო.

— გააბიჯებს! რას ნიშნავს ეგ ავადმყოფიან დაკავშირებით?

— ჰოო, მესმის, — თქვა მან, როცა ამ სიტყვის მნიშვნელობა აუხსნეს; მერე ხუნდებს გადააღაჯა და მატროსს მაჯა გაუსინჯა.

— რა გვარია? — იკითხა ექიმმა, რომელიც ამჯერად საადმირალოს ბობს მიუბრუნდა.

— ლაქლაქა ჯოს ვეძასით, — მიუგო პატივცემულმა პირივნებამ.

— მაშ, ასე, ბიჭებო, — როგორც წესი და რიგია, ისე უნდა მოუაროთ საბრალო ჟოზეფს, მე კი ფხვნილებსა და მითითებას გამოვეუგზავნი, თუ როგორ მიიღოს. თქვენს შორის სომ იცის ვინმემ კითხვა?

— აი ამ ყმაწვილმა იცის, — უპასუხა ბობმა და ჩემკენ მოაშვირა ხელი, გეგონება შუა ზღვაში მოფრიალე იალქანზე მიუთითებდნენ.

სხვებიც რომ გასინჯა (ზოგიერთები მართლა ავად იყვნენ, მაგრამ ახლა უკეთ გრძნობდნენ თავს, სხვები ათასნაირ ავადმყოფობას იგონებდნენ), ჯონსონი წინანდელ ადვილას დაბრუნდა და ასე მოგვმართა.

— ბიჭებო, — გვითხრა მან, — თუ რომელიმე თქვენგანი ავად გახდება, შემატყობინეთ... კონსულის განკარგულებით ყოველდღე გინახულებთ; საერთოდ, თუ ვინმე თავს შეუძლოდ იგრძნობს, ჩემი მოვალეობაა წამალი გამოვეუწერო. ნაპირზე გადასხმის შემდეგ კვების მკვეთრი შეცვლა თქვენთვის, მეზღვაურებისათვის, საშინლად სახიფათოა; ამიტომ ხილის ჭამას უნდა ერიდოთ. ნახვამდის! ხვალ დილას პირველ რიგში გამოვიგზავნით წამალს.

ჯონსონი განსაკუთრებული მოსაზრებულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, მგონი, გუმანით ხვდებოდა, რომ აბუჩად ვიგდებდით. მიუსხედევად ამისა, გადაწყვიტა ყურადღება არ მიექცია ჩვენი მოქმედებისათვის, რაკი ეს მოქმედება შეესაბამებოდა მის გეგმებს; იგი ხუთი თითივით იცნობდა თავის პაციენტებს, თუმცა ამას არ იმჩნევდა.

დაიქმულ დროს მართლაც მოვიდა კუნძულები ბიჭი, პალ-

მის ფოთლებიდან მოწნული კალათით ხელში. კალათა საესე იყო ფხვნილებით, აბებითა და შუშებით; ყოველ წამალს მიმაგრებული ჰქონდა ქაღალდი, რომელზედაც მსხვილი, მრგვალი ასოებით ეწერა გვარი და ხმარების წესი. მატროსებმა რატომღაც იფიქრებს, რომ შუშაში სპირტით დამზადებული ნაყენი იქნებოდა, და კალათას ეცნენ. მაგრამ ექიმი ახმაზი სული, როგორც მკურნალი, მტკიცედ იდგა თავისაზე და მოითხოვდა პირველს წაეკითხა ეტიკეტები. ბოლოს და ბოლოს, კალათა საერთო თანხმობით მის ხელში აღმოჩნდა.

პირველყოელისა ამოიღეს დიდი ბოთლი, რომელზედაც დაწებებული იყო: „უილიამისათვის კარგად — შეაზილონ“.

ბოთლს აშკარად სპირტის სუნი უდიოდა; სანამ ავადმყოფს გადასცემდა, ექიმმა სასწრაფოდ შეამოწმა, ვარგოდა თუ არა მისი შედგენილობა შინაგანი ხმარებისათვის, და შედეგით განცვიფრებული დარჩა.

ყველანი საშინლად აღელდნენ. ფხვნილები და აბები, როგორც საქონელი, ერთხმად დაიწუნეს, შუშების მფლობელნი კი ბედნიერ აღამიანებად აღიარეს. ეტყობა, ჯონსონი საკმაოდ იცნობდა მატროსებს, და ზოგიერთი წამალი მათი გამოგების მიხედვით მოამზადა — ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა ახმაზი სული. ასე იყო თუ ისე, შუშები კი ყველამ მოიყუდა; თუ წამალი სურნელოვანი იყო, მითითებას ყურადღებას აღარ აქცევდნენ და ერთი და იმავე გზით გადაუძახებდნენ ხოლმე.

ყველაზე დიდ ჭურჭელს, ნამდვილ ბოცას, რომელსაც მოხალული გუდაფშუტას სუნი უდიოდა, ასეთი წარწერა ჰქონდა: „დანიელისათვის, სვას რამდენიც ენებოს, სანამ გამოჯანმრთელდება“. შავი დანი იმწამსეე მოიყუდებდა და სულმოუთქმელად დაცლიდა კიდევ, რომ ცხარე ბრძოლის შემდეგ ხელიდან არ გამოეგლიჯათ და სანადიმო თასივით არ ჩამოეცარებინათ. მოხუცმა მეზღვაურმა ჯონსონს შესჩივლა იმის შესახებ, რასაც ხილის უზომო შთანთქმა იწვევდა.

მეორე დილით რომ შემოიარა, ექიმმა ნახა, რომ მისი ძვირფასი პაციენტები ხუნდებთან წამოწოლილიყვნენ და „როგორც მოსალოდნელი იყო, უკეთ გრძნობდნენ თავს“.

მაგრამ ფხვნილებსა და აბებს, როგორც გამოირკვა, არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ — ეტყობა, იმიტომ, რომ არავის არ მიუღია. წამოაყენეს წინადადება — მომავალში მათი

მოქმედების გასაძლიერებლად ერთი ბოთლი პისკოც დაემატებინათ. როგორც თაღლითმა ჯეკმა განაცხადა, წამლის შედეგინილობა, რომელიც არაფრით არ არის შენელებული, საუკეთესო შემთხვევაშიც კი მეტისმეტად გამომშრალია და აუცილებელია რაიმე გემრიელი სასმელი დააყოლოს კაცმა.

გარეკვეულ დრომდე ჩვენს საკუთარ სწავლულ მკურნალს, ექიმ ახმას სულს, რომელმაც ეს ოინი თვითონ წამოიწყო, შემდგომი მონაწილეობა აღარ მიუღია მასში; მაგრამ, როცა ჯონსონმა მესამედ გვინახულა, ექიმმა მოიხმო იგი და პრივატული საუბარი ჰქონდა მასთან. რაზე ლაპარაკობდნენ, ზუსტად არ ვიცოდით, მაგრამ ხელების მოძრაობასა და სახის გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ ჩემი ამხანაგი აღწერდა სიმპტომებს ორგანიზმის მოქმედების რაღაც იღუმალი დარღვევებისა, რომლებიც აგერ-აგერ უნდა დაწყებულიყო. სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნის წყალობით მან, ეტყობა, მოახერხა ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე. ბოლოს და ბოლოს ჯონსონი შინისაკენ გაეშურა და წასვლისას ხმამაღლა დაპირდა ახმას სულს, რომ რაც სთხოვა, გამოუგზავნიდა.

დიდით, როგორც კი ბიჭმა წამლები მოიტანა, ექიმი პირველი მივარდა და პატარა შუშა გამოართვა, რომელშიც მეწამული ფერის რაღაც სითხე ესხა. ამჯერად კალათაში თითქმის არაფერი არ იყო, გარდა მათარისა, რომელშიც ესხა მოხალული გუდაფშუტას ნაყენი გულის მუშაობის ხელშესაწყობად. დიდი კამათის შემდეგ ერთ-ერთ პაციენტს დაავალეს ქოქოსის კაკლის ნაჭუჭში ჩამოესხა, ისე რომ ყველა მსურველს თითო-თითო გადაეკრა. როცა გამამხიარულებელი წამალი გამოიღია, მატროსები წავიდ-წამოვიდნენ.

ბარე ორი საათი გავიდა, სანამ თაღლითი ჯეკი ყურადღებას მიაქცევდა ჩემს ახმას მეგობარს, რომელიც წამლების მომტანი ბიჭის წასვლის შემდეგ არავის ახსოვდა. იგი ხუნდებთან იწვა, თვალდახუჭული; ჯეკი ხელზე ხელს ჰკიდებდა და მაღლა სწევდა, მაგრამ როცა გაუშვებდა, ხელი უსიცოცხლოდ ეცემოდა ძირს. მეც სხვებთან ერთად მივირბინე მასთან და ეს მოვლენა მაშინვე დაუეკაუშირე იღუმალ შუშას. ექიმის ჯიბეში ხელი მოვაფათურე, შუშა ვიპოვე და დავყნოსე თუ არა, დავრწმუნდი, რომ ოპიუმის ნაყენი იყო. თაღლითმა ჯეკმა შუშა ხელიდან გამოშვლიჯა და დაუყოვნებლივ აუწყა იქ მყოფთ ჩემი

აღმოჩენის ამბავი; მან გახარებულმა შესთავაზა ყველას, რომ ცოტაოდენი წაეთვლიმათ. რადგან ზოგიერთები კარგად ვერ მიუხვდნენ, ამ წამლის ღირსებათა საილუსტრაციოდ რამდენჯერ გადაეაბრუნ-გადმოვაბრუნეთ ახმახი სული, რომელიც სრულიად გრძნობამიხილი ჩანდა და ისე მშვიდად იწვა, რომ მე ცოცა არ იყოს ეჭვიც კი შემეპარა, რომ ნამდვილად ეძინა. აზრი ძალიან მოგვეწონა; ყველანი სასწრაფოდ ღვეჯით და ჯადოსნურმა წამალმა ხელიდან ხელში გადასვლა იწყო. ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ უგრძნობ მღვთმარეობაში უნდა ჩავეარდნილიყავით და ამიტომ მოვსვამდით თუ არა წამალს, თავს გადავწევდით და თვალებს ვხუჭავდით.

შედეგისა თითქმის არ გვეშინოდა, რადგანაც ნარკოტიკული საშუალება თანასწორად გავიყავით. მაგრამ მე მინდოდა მისი მოქმედებისათვის თვალყური მედევნებინა და ამიტომ ფრთხილად წამოვდექი და მივიხედ-მოვიხედე. შუადღე ახლოვდებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. რადგან დღისით დასვენებას შევეჩვიეთ, მაინცდამაინც არ გამკვირვებია, რომ ყველანი უძრავად იწვნენ. თუმცა, ზოგიერთები, როგორც მომეჩვენა, ჩუმად გვითვალთვალებდნენ.

მალე გავიგონე ფეხის ხმა და დავინახე მოახლოებული ექიმი ჯონსონი.

რომ იცოდეთ, როგორ დაიბნა, როცა დაინახა, რომ თავისი ავადმყოფები მიწაზე იყვნენ გაშოტილი და იღუმალ ძილს მისცემოდნენ.

— დანიელ, — შესძახა ბოლოს და სახელის პატრონს ფერდში ხელჯოხი წაჰკრა. — დანიელ, მეგობარო, გაიღვიძეთ! გესმით?

მაგრამ შავი დანი არ იძვროდა, და ექიმმა ახლა სხვა შეაჯანჯღარა.

— ჯოზეფ, ჯოზეფ! რა დაგემართათ, გაიღვიძეთ! მე ვარ, ექიმი ჯონსონი.

მაგრამ ლაქლაქა ჯოს ძერა ვერ უყო. იგი პირღია და თვალდახუჭული ეგდო და ჯონსონისათვის არ ეცალა.

— ღმერთო დიდებულო! — შესძახა ჯონსონმა და ხელები და ჯოხი მალლა აღაპყრო. — რა დაგემართათ? ეჭვი, ყური მიგდეთ, ბიჭებო, — ყვიროდა და თან გარბი-გამორბოდა, — გამოფხიზლდით, ბიჭებო! რა დაგემართათ, თქვე ოხრებო? — ხუნ-

დებზე ხელჯოხს აკაკუნებდა და თანდათან უფრო ღრიალებდა.

ბოლოს დამშვიდდა, ხელჯოხს დაეყრდნო და გამომცდელად მოგვაჩერდა. საცხვირე ორკესტრის ხმები ხან ძლიერდებოდნენ, ხან ყუნიდებოდნენ. და ჯონსონს რაღაც მოაფიქრდა.

— მაშ ასე, ეტყობა, დაუღვევიათ ამ არამზადებს და ევ არის. ეს მე არ მეხება... წავედი. — და იქაურობა დატოვა.

როგორც კი თვალს მიეფარა, ყველანი ფეხზე წამოვსტით და ატყვდა ერთი სიცილ-ხარხარი.

მატროსების უმრავლესობა ჩემსავით აღევნებდა თვალს ყოველივე ამას ოდნავ ღიად დარჩენილი ქუთუთოებიდან ამ ღროისათვის როგორც იქნა ეკიმმა ანმახმა სულმაც გაიღვიძა. რამ აიძულა, რომ ოპიუმში დაეღვია, ან დაღვია თუ არა საერთოდ, — მართო მან იცის; და რადგან ეს არც მე მეხება და არც მკითხველს, მოდი ნურც ვილაპარაკებთ ამაზე.

თ ა ვ ი 36

კონსულისა და კაპიტნის წინაშე

დაახლოებით ორი კვირა გვექონდა გატარებული „კალაბუსა ბერეტანის“ ტუსალობაში, როცა ერთ დღიას ნაბანავეები კაპიტანი ბობი დედიშობილა დაბრუნდა შენობაში. ილლიაში ძველი ტაპის ნაჭერი ჰქონდა ამოდებული. იგი გამოსასვლელად შემოსვას შეუდგა.

პროცედურა ძალიან უბრალო იყო. ყველაზე უხეში ტაპის გრძელი ნაჭერი ერთი ბოლოთი მიამაგრა ჰიბისკუსის ხეს, რომელსაც კალაბუსის სახურავი ეყრდნობოდა, მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ნაჭრის მეორე ბოლო წელზე შემოიხვია და ასე ტრიალ-ტრიალით მიუახლოვდა ბოძს. ამ თავისებურ ტანისამოსში, რომელიც ხაბარდიან კაბას წააგავდა, იგი უფრო მსხვილი ჩანდა, რაც განსაკუთრებით მოგზავდებოდათ თვალში ბაჯბაჯით სიარულის გამო. თუმცა იგი წინაპართა ადათ-წესებს მისდევდა მხოლოდ; უწინდელ დროს „კიპი“, ანუ დადი სარტყელი, მოდაში იყო და მას მამაკაცებიც ატარებდნენ და ქალებიც. ბობი ზიზლით უყურებდა ყოველგვარ სიახლეს და ძველებურ ყაიდაზე იცემადა.

ბობმა გვითხრა, რომ ნაბრძანები ჰქონდა კონსულთან მივეყვანეთ. ჩვენ სიამონებით მოვეწყვეთ და სოფლისაკენ გავეწიეთ; წინ მიგვიძლოდა მოხუცი, რომელიც ორთქლის მანქანასავით ქმინავდა და სტვენდა. აქეთ-იქიდან ოცამდე კუნძულელი მოგვდევდა.

როცა კონსულის კანცელარიაში შევედით, იქ უილსონი და კიდევ რამდენიმე ევროპელი დაგვხვდნენ; ისინი ჩვენს წინ ჩამომსხდარიყვნენ მწკრივად, ალბათ იმიტომ, რომ რაც შეიძლება მგვანებოდნენ მოსამართლეებს.

გვერდით იდგა ტასტი, რომელზედაც კაპიტანი გაი წამოჯდოლილიყო. უკეთესობა ემჩნეოდა. როგორც გამოირკვა, მალე აპირებდა გემზე დაბრუნებას. მას არაფერი არ უთქვამს და მოქმედება კონსულს მიანდო.

კონსული წამოდგა, წითელსონარშემოვლებული გრაგინილი გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა.

ეს იყო „ინგლისის საკოლონიო ორჩხომელის „ჯულიას“ (მეთაური კაპიტანი გაი) უფროსი ოფიცრის ჯონ ჯერმინის ფიცქვეშ მიცემული წერილობითი ჩვენება“, რომელშიც ვრცლად იყო ჩამოთვლილი ამბები სიდნეის დატოვების დღიდან პაპეეტეს ყურეში შემოსვლის დღემდე. ამ დოკუმენტში, რომელიც ძალიან ეშმაკურად იყო შედგენილი და ყოველი ჩვენგანის საწინააღმდეგო მასალას შეიცავდა, ძირითადად სწორად იყო გადმოცემული სხვადასხვა წვრილმანი; თუმცა, მასში სრულიად არაფერი იყო ნათქვამი თვით უფროსი თანაშემწის მიერ მოვალეობის არაერთგზის დარღვევაზე — გარემოებაზე, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საბოლოო ფრაზას: „მოწმეს სხვა არაფერი შეუძლია აჩვენოს“.

მას არავითარი შენიშვნა არ მოჰყოლია, თუმცა ყველამ მოვათვალეირეთ, ხომ არ იყო სადმე უფროსი თანაშემწე; გვინდოდა დავრწმუნებულიყავით, მართლა დართო თუ არა ნება — ამნაირად გამოეყენებინათ მისი სახელი. მაგრამ ჯერმინი არ ჩანდა.

შემდეგი დოკუმენტი აღმოჩნდა კაპიტნის მიერ ფიცქვეშ გაცემული მოწმობა. თუმცა როგორც ყოველთვის, იგი ბევრს არაფერს ამცნობდა კაცს, და მას მალე დაანებეს თავი.

მესამე ჩვენება ეკუთვნოდა „ჯულიასზე“ დარჩენილ მატროსებს, მათ შორის მოღალატე საცობას, რომელსაც, ეტყობა,

მაზხლარობისათვის მიეყო ხელი. ეს ჩვენება თავიდან ბოლომდე საოცრად გაზვიადებულ ამბებს შეიცავდა; მისმა ხელმომწერებმა თვითონაც არ იცოდნენ, რაებს ჩმახავდნენ. ცხადია, არც ვაიმონტუს ესმოდა, თუმცა ხელი კი მოაწერა. კონსული ამოდ მოუწოდებდა სინუმისაკენ, როცა ამ დოკუმენტს კითხულობდნენ; ყოველი მუხლი ხმამაღალ პროტესტს იწვევდა.

ჩვენებები რომ წაიკითხეს, უილსონმა, რომელიც მუდამ მეტისმეტად თავდაჭერილად იქცეოდა, დიდის ამბით ამოიღო რკინის ყუთიდან გემის ხელშეკრულება — გახუნებული, ობმოკიდებული, გადაყვითლებული დოკუმენტი, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევდა კაცი. კითხვა რომ დაამთავრა, კონსულმა ქალაქი შემოაბრუნა, მალლა ასწია, რაზმის ხელმოწერებზე მიგვივითა და ყველა სათითაოდ გვეითსა — ვცნობდით თუ არა თავს დამნაშავედ.

— რაღას გვეკითხებით? — განაცხადა შაემა დანმა. — კაპიტანმა გაიმ ჩვენზე კარგად იცის, რომ ეს ჩვენი ხელმოწერებია.

— გაჩუმდით, სერ! — წარმოთქვა უილსონმა; მას ეგონა, რომ ამ გამოგონილი სასაცილო ცერემონიით რაიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა, და ახლა ცოტა არ იყოს გააჯავრა მოხუცი მატროსის პირდაპირობამ.

რამდენიმე წამს სინუმე სუფევდა; მოსამართლეთა კოლეგია ჩურჩულით ეთათბირებოდა კატიპან გაის, მატროსები კი ფიქრობდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რისთვის დასჭირდა კონსულს ეს ამდენი ჩვენებები, რომლებიც ახლა წაგვიკითხა.

ბოლოს ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ჩვენს დასაბრეყებლად იყო გაკეთებული. მართლაც ასე იყო, რადგან უილსონი კვლავ წამოდგა და შემდეგი სიტყვებით მოგვმართა:

— თქვენ ხედავთ, მატროსებო, რომ ყველა ზომაა მიღებული სიდნეის სასამართლოში თქვენს გასაგზავნად. „როზა“ (ავსტრალიის პატარა სანდალი, რომელსაც ნავსადგურში დუზა ჰქონდა ჩაშვებული) ათ დღეში მაინც გაემართება სიდნეისაკენ. „ჯულია“ ერთი კვირის შემდეგ გაუდგება გზას. თქვენ წინანდებურად უარს ამბობთ მოვალეობის შესრულებაზე?

ჩვენ კვლავ უარი ვუთხარიით.

კონსულმა და კაპიტანმა ერთმანეთს გადახედეს, და უკანასკნელს მწარე გულგატეხილობა აღებეჭდა სახეზე.

ამ დროს შევაძინე, რომ გაი მე მიყურებდა; მან პირველად დაილაპარაკა და მიბრძანა ახლოს მივსულიყავი. მე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი.

— თქვენ აგიყვანეთ კუნძულზე?

— დიახ, მე.

— მაშ, თქვენ უნდა უმადლოდეთ სიცოცხლეს ჩემს კაცთ-მოყვარეობას? აი როგორია მეზღვაურთა მადლიერება, მისტერ უილსონ!

— თქვენ მართალი არ ხართ, სერ. — და მაშინვე მივახალე პირში, რომ მშვენივრად ვიცი, რატომ გამოგზავნა ყურეში კანჯო; მას ძალიან შემოაკლდა ხალხი და უნდოდა შემატებოდა მატროსი, რომლის იქ შოვნის იმედიც ჰქონდა. ჩემს გადარჩენას გემს უუმადლოდი და კაპიტნის გულკეთილობა აქ არაფერ შუაში იყო.

ექიმმა ახმამა სულმაც ინება ზოგიერთი რამის თქმა. მან ოსტატურად შედგენილი ორიოდ ფრაზით დახატა კაპიტან გაის პიროვნება და ამით მეტი რომ არ შეიძლებოდა, ისე ასიამოვნა იქ მყოფ მატროსებს.

ეს უკვე ხუმრობა საქმე აღარ იყო; მეზღვაურებში მემამბოზე სულმა გაიღვიძა, და მათ ლაპარაკი წამოიწყეს, ხომ არ ჯობია კონსული და კაპიტანი კალაბუსაში წავათრიოთ და იქ ჩვენთან ერთად იყვნენო.

დანარჩენი მოსამართლეები აღელდნენ და სიჩუმისაკენ ძოწოდებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა ჩამოვარდა სიჩუმე, და უილსონმა უკანასკნელად მოგვმართა; მან კიდევ ახსენა „როზა“ და სიღნეი და დასასრულ შეგვახსენა, რომ „ჯულიას“ გასვლამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი.

გადაკრული სიტყვების მიხედვით მოქმედება ჩვენ მოგვანდო, რაზმი დაითხოვა და კაპიტან ბობს და მის ამხანაგებს უბრძანა საიდანაც მოვედით, ისევ იქ წავეყვანეთ.

ფრანგმა მღვდლებმა კატივი დაგვდეს

იმ ამბებიდან, რომლებიც ახლახან აგიწერეთ, რამდენაქედნე იყო გასული, რომ უცებ თავიანთი მობრძანებით პატივი დავედო სამმა ფრანგმა მღვდელმა. ინგლისელ მისიონერთა მხრიდან ჩვენდამი ყურადღების ერთადერთი ნიშანი ის იყო, რომ მათ დასტა-დასტა სულის საცხონებელი ბროშურების სახით გამოგვიგზავნეს თავიანთი სავიზიტო ბარათები; ამიტომაც უნებურად იმ დასკვნამდე მივედით, რომ ფრანგები, რომლებმაც პირადად მოგვინახულეს, თუ მეტი არა, უკვე აღზრდილები მაინც იყვნენ.

ისინი ჩვენი ადგილსამყოფელის ახლოს დაბინავდნენ. საკმარისი იყო წნორიანი გზით ცოტა გავესეირნათ, რომ ხეთა შორის გაარჩევდით უხეშად ნაკეთ ჯვარს; მალე თქვენ აღმოჩნდებოდით ყველაზე უფრო თვალწარმტაც ადგილას, რომელიც კი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. დამრეც ბორცვზე ბებერი პურის ხეები იდგა; წინ სავანა ჩადიოდა, რომელიც ქოქოსის პალმებამდე აღწევდა, მათ შორის კი ჩანდა ცისფერი, მზის სხივებდაფრქვეული ზღვა.

ბორცვის მწვერვალზე იდგა ბამბუკისაგან ნაგები უბრალო, ძალიან პატარა სამლოცველო, რომლის თავზეც ჯვარი იყო აღმართული. ბინდუნდში ადგილობრივი მკვიდრნი წნული კედლების ხერელებში იჭვრიტებოდნენ და გადასატანი მომცრო საკურთხევლის ცქერით ტკებოდნენ. საკურთხეველზე, რომელზედაც ჯვარცმა იყო გამოსახული, მოოქრული შანდლები და საცეცხლურები იდგა. მაგრამ ამას იქით მათი ცნობისმოყვარეობა აღარ მიდიოდა, და არაფერს არ შეეძლო იძულებული გაეხადა ისინი, ღეთისმსახურებას დასწრებოდნენ. რომ იცოდეთ, რა სასაცილო წარმოდგენისა იყვნენ ტაიტელები საძულველ უცხოელებზე! წირვა-ლოცვა და გალობა მათთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა ეშმათა გრძნებანი. რაც შეეხება თვით მღვდლებს, ისინი მიაჩნდათ ავ სულელებად, რომლებსაც ოდესღაც უფროთხოდნენ მათი მამები. სამლოცველოს ახლოს იდგა მყუდრო ქოხები, რომლებიც ბელადისაგან ჰქონდათ დაქირავებული ადგილობრივ მკვიდრებს. აქ ყოველმხრივ კეთილ-

მოწყობილად ცხოვრობდნენ მღვდლები. ისინი საკმაოდ ღვთის-
მიაშიშებლად ეჩვენებოდნენ ხალხს, საქმე კი სულ სხვაგვარად
იყო; შინ მათ მხიარულ ბერთა სამღვილი ორდენი ჰქონდათ,
მართავდნენ თავიანთ საკადრის ღრეობებს, სვამდნენ აურაცხელ
ფიალა წითელ ბრენდის და მხოლოდ გამთენიის ხანს ჩაეყრე-
ბოდნენ ლოგინში.

სამწუხაროდ, მათ არ შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ,
სამწუხაროდ-მეთქი, ადგილობრივი ქალბატონებისა და ზნეობ-
რიობის მხრივ ვამბობ. მაშ რად უნდოდათ ამ ბერბიჭებს ამდე-
ნი კოსტად გამოწყობილი კუნძულელი მოახლე? ეს ქალები
მათი პირველი პროზელიტები იყვნენ — მერედა, რა თავგამო-
დებულნი?

კათოლიკე მღვდლები, როგორც უკვე ვთქვი, აქ ჯაღო-
ქრებად მიაჩნდათ; ჩვენი სამი სტუმრიდან ორის გარეგნობა
სავსებით ამართლებდა ამ აზრს.

ესენი იყვნენ ჩამომხმარი ფრანგები, რომლებსაც შავი მაუ-
ღის გრძელი ანაფორები ეცვათ და ისეთი უშნო, წარმოუდ-
გენლად დიდი სამკუთხა ქუდეები ეხურათ, რომ ღირსი მამები
თითქმის აღარც კი ჩანდნენ.

მათი ამხანაგი სხვაგვარად იყო გამოწყობილი. ამ ძვალ-
მსხვილ, ზორბა ტანის ორმოცდაათი წლის ჯანღონით სავსე
კაცს ყვითელი ფლანელის საშინაო ხალათის მსგავსი შესა-
მოსელი ეცვა და ქილის ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა.
შემოდგომის ფოთლის ფერი სახის კანი, ლამაზი ცისფერი
თვალები, ჩაწიკჩიკებული კბილები და კელტებისათვის დამა-
სასიათებელი კილო ადასტურებდა, რომ იგი ირლანდიელი
იყო. ეს გახლდათ მამა მერფი — პოლონეზიის ყველა პროტეს-
ტანტულ მისიაში კარგად ცნობილი და ყოვლად სამულველი
კაცი. ჭაბუკობისას საფრანგეთის სასულიერო სემინარიაში
მიებარებინათ; იქ ბერად აღკვეცილიყო და ამის შემდეგ მხო-
ლოდ ორჯერ თუ ენახა სამშობლო.

მამა მერფი სწრაფად მოგვიახლოვდა და პირველყოვლისა
იკითხა, ზომ არ იყო რომელიმე ჩვენგანი მისი თანამემამულე-
ასეთები ორი აღმოჩნდა. ერთი გახლდათ თექვსმეტი წლის ყმა-
წეილი — წითური თმაზუჭუჭა ყალთაბანდი; მას, როგორც
ახალგაზრდა ირლანდიელს შეეფერება, პატს ეძახდნენ. მეო-
რეს, შეუხედავსა და საკმაოდ სევდიანი სახის არამზადას,

მაკ-გი ერქვა; მისი ცხოვრების კარიერამ მარცხი განიცადა კატორღის, მოსახლელად სიდნეიში გაგზავნის გამო. ასე ამბობდა ხალხი, თუმცა, ვინ იცის, შეიძლება ჭორიც იყო.

ჩემი მეზღვაური ამხანაგებიდან თითქმის ყველას ჰქონდა რაღაც დადებითი თვისებები, რომლებიც ასე თუ ისე ანაზღაურებდა ნაკლოვანებებს, მაგრამ მაკ-გი გამონაკლისს წარმოადგენდა; მე იძულებული ვიყავი ურთიერთობა მქონოდა მასთან და ამ ხნის განმავლობაში ათასჯერ მინანია, რატომ აქამდე არ ჩამოკიდეს სახრჩობელაზე. ბუნებას თითქოს თავისი სურვილის წინააღმდეგ გამოეგზავნა მაკ-გი ქვეყნად, გაეკეთებინა ყველაფერი, რომ ყველას კარგად სცოდნოდა, რა კაციც იყო იგი. შეხედავდით თუ არა თვალებში, არ შეცდებოდით; ისინი აქეთ-იქით გარბოდნენ, თითქოს ერთმანეთს არ ენდობიანო.

გულკეთილმა მღვდელმა მაშინვე მოარიდა თვალი და ახლა მხიარულ პატს შეხედა, უწყინარი ეშმაკობით რომ ათვალეობდა უზარმაზარ შლაპებს, რომლებიდანაც, როგორც ლოკოკინები ნიჟარებიდან, ისე იცქირებოდა ორი პატარა ფრანგი.

პატი და მღვდელი ორივენი მიტის საგრაფოს ერთი და იმავე ქალაქიდან იყვნენ; ეს რომ გამოირკვა, მერფიმ კითხვა კითხვაზე დააყარა ყმაწვილს. პატი სამშობლოდან გამოგზავნილი ბარათი იყო მისთვის და ასჯერ მეტ ამბავს ეუბნებოდა, ვიდრე ეს შეიძლებოდა რომელიმე წერილს ეთქვა.

თანამემამულეებმა დიდხანს ისაუბრეს, მერე ფრანგებმა რამდენიმე სიტყვა თქვეს დამტვრეული ინგლისურით, და სტუმრები გამოგვემშვიდობნენ; მაგრამ ასი ნაბიჯიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ მამა მერფი მობრუნდა და გვეკითხა, სომ არაფერი გინდათო.

— გვინდა, — წამოიძახა ვილაცამ, — საჭმელი გვინდა.

მაშინ მღვდელი შეგვიპირდა, რომ თავის გამომცხვარ ნამდვილ პურს გამოგვიგზავნიდა; ტაიტზე ეს დიდი ფუფუნება იყო.

ჩვენ ყველანი ვულოცავდით პატს ასეთი მეგობრის შეძენას და ვეუბნებოდით, ახლა კი შენს ბედს ძალი არ დაჰყვარსო.

დილით მოვიდა ერთი ფრანგი, მღვდლის მსახური, რომელმაც ჩვენს ახალგაზრდა ირლანდიელს ტანისამოსი მოუტანა,

სოლო ჩვენ დაპირებული პური. რადგან პატს სულ მთლად შემოსცვეთოდა ტანისამოსი, ჩვენ კი შიმშილისაგან კუჭი გვიწრიალებდა, მორთმეული ძალიან დროული აღმოჩნდა.

დღისით მოვიდა თვით მამა მერფი და წელანდელ ძღვენს ისიც დაუმატა, რომ პატს მრავალი რჩევა-დარიგება მისცა. უთხრა, ძალიან შევწუხდი, სატუსალოში რომ გნახე; წავალ, კონსულს მოველაპარაკები და ეგებ გაგათავისუფლოსო.

რამდენიმე დღეს არ გვინახავს მამა მერფი, მაგრამ შემდეგ კვლავ მოგვაკითხა და პატს მოუტანა კონსულის უღმობლობის ამბავი, კონსულს ეთქვა, თუ უარს იტყვის გემზე დაბრუნდეს, ვერ გავათავისუფლებო. მღვდელი არწმუნებდა პატს, დათმობაზე წასულიყო და ამით თავიდან აეცილებინა ის სასჯელი, რაზედაც უილსონმა ალბათ გადაკვრით უთხრა საუბარში მოსარჩლეს. მაგრამ ახალგაზრდა ირლანდიელმა არ შეისმინა მერფის თხოვნა და იმ მატროსის სიფიცხით, რომელსაც ის იყო ეწვნია მეზღვაურული ცხოვრება, განაცხადა, რომ ბოლომდე ქედუხრელი დარჩებოდა. გულმართალი ყმაწვილი უკვე აღარ ჰგავდა თვინიერ პატარა ბიჭს და ისე ბრაზობდა, რომ ძლივს დააშოშმინეს. მღვდელს მეტი აღარ უთხოვია.

კონსულთან მერფის საუბრის შედეგად მოხდა ეს თუ სხვა მიზეზით, არ ვიცი, მაგრამ მეორე დღეს უილსონმა კაცი გამოგზავნა პატთან; ჩვენი მოხუცი გუშაგის თანხლებით იგი სოფელში წავიდა და იქიდან მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაბრუნდა.

იმ იმედით, რომ მასზე რაიმე გავლენა მოეხდინათ, ყმაწვილი გემზე მიიყვანეს და კაიუტაში გულუხვად გაუმასპინძლდნენ, მაგრამ, რომ დარწმუნდნენ ყველაფერი ამაო იყო, ხელფეხშებორკილი ჩაიყვანეს ტრიუმში და პურსა და წყალზე ამყოფეს. არაფერმა რომ არ გაჭრა, ისევ კალაბუსაში დააბრუნეს. უილსონი და გაი ფიქრობდნენ, რომ იგი ჯერ კიდევ სულ ბავშვი იყო და მკაცრი ზომები მასზე უფრო იმოქმედებდა, ვიდრე დანარჩენებზე.

ყურადღებას, რომლითაც მისი კეთილისმსურველი თანამემამულე ეკიდებოდა პატს, ჩვენთვისაც სარგებლობა მოჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ყველანი კათოლიკები გავხდით და, კაპიტან ბობის სავალალოდ ყოველ დღით ვესწრობოდით მესას. ეს რომ ბობმა გაიგო, დაგვემუქრა, თუ კიდევ

წასულხართ სამლოცველოში, იცოდეთ ხუნდებს აღარასოდეს აეხსნითო, თუმცა სიტყვა სიტყვადვე დარჩა, და ჩვენ ზედიზედ რამდენიმე დღეს დავდიოდით სტუმრად მღვდლის რეზიდენციაში, სადაც მაძღრისად გვაჭმევდნენ და გვასმევდნენ. მე და ექიმ ახმახ სულს განსაკუთრებით შეგვიყვარდა პატის მეგობარი; იგი ხშირად ახდიდა ხოლმე თავს საკმაოდ სასაცილო შესახედობის კიღობანს, რომელიც მისი ბინის ერთ-ერთ კუნჭულში იდგა და გვიმასპინძლდებოდა. კიღობანში იყო ოთხი მათარა, რომლებშიც რატომღაც იმდენი რჩებოდა ყოველთვის, რომ აუცილებლად უნდა გამოგვეცალა. მოკლედ, მოხუცი ირლანდიელი კარგი კაცი გამოდგა, თუმცა ანაფორას კი ატარებდა. მის სახესა და სულს არასოდეს არ აკლდა გზნება. ჩემი მხრიდან ალბათ არაკეთილშობილურია მის სუსტ მხარეებზე ლაპარაკი, მაგრამ, უნდა მოვიხსენიო, რომ მას ხშირად ებმოდა ენა და ზოგჯერ ფეხიც ეშლებოდა.

მე არასოდეს არ ვსვამ ფრანგულ ბრენდის, მაგრამ მამა მერფის საღვთაღმთის კი ავწევ. კიდევ ერთხელ გაუმარჯოს! დაე მრავალი მშვენიერი პოლინეზიელი ქალი გაექრისტიანებინოს!

თ ა ვ ი 38

„ჯულიეტა“ უჩვენივ მიდის

მოწმეების ჩვენებათა კომედიის დასასრულს ნათქვამი სიტყვა რომ გაემართლებინა, კონსულმა დათქმული დროის გასვლის შემდეგ კვლავ დაგვიბარა.

ყველაფერი თავიდან დაიწყო. ვერაფერს ვერ მიადწია და ჩვენი მტკიცე მოქმედებით ძალიან გაჯავრებულმა, უკან გამოგვაბრუნა.

მომხდარ ამბავს რომ თვალი გადავაკლეთ, წარმოვიდგინეთ, რომ უილსონმა, რომელიც თავდაპირველად გაეცნო „ჯულიეტაზე“ არსებულ მდგომარეობას, დაახლოებით ასე მიმართავს ავადმყოფ ამხანაგს:

— გაი, ჩემო საცოდავო მეგობარო, ახლა უკვე შეგიძლიათ აღარ იღვლოთ ამ არამზადებზე — თქვენს მატროსებზე. მე

მოვდრეკ. ყველაფერი მე მომანდეთ და მათზე ნულარ იფიქრებთ.

მაგრამ ბორკილები და ხუნდები, მედიდური შესახედაობა, მუქარა, ბუნდოვანი გადაკრული სიტყვები და ფიცქვეშ მიცემული ჩვენებანი — ყველაფერი ამაო გამოდგა.

ჩვენ გვეჯეროდა, რომ შექმნილ ვითარებაში საშიშროება არ გველოდა, მშვენნივრად გვესმოდა, რომ სინამდვილეში არავის არასოდეს არ უფიქრია სამშობლოში ჩვენს გაგზავნასა და სამართალში მიცემაზე; კარგად ვხედავდით, უილსონი რა კაცი იყო და მის ცდებზე გვეცინებოდა.

რაც „ჯულია“ დაეტოვეთ, უფროსი თანაშემწე აღარ გეინახავს, მაგრამ მისი ამბავი ხშირად გვესმოდა.

ამბობდნენ, რომ ის გემზე დარჩა და ვინერთან ერთად ცხოვრობდა კაიუტაში. ვინერმა შეასრულა დაპირება, კიდეც ვნახავო, რომ უთხრა, და ახლა სტუმრად იყო მასთან. გულითადი მეგობრები ჩინებულად ატარებდნენ დროს, სვამდნენ ღვინოს კაპიტნის კასრებიდან, ბანქოს თამაშობდნენ და ადგილობრივი ქალბატონებისათვის საღამოს მეჯლისებს მართავდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, იქაურობას იკლებდნენ, და მისიონერებმა კონსულთან უჩიველეს: ჯერმინმა სასტიკი საყვედური მიიღო.

ამან უფროს თანაშემწეზე ისე იმოქმედა, რომ სმას უფრო მოუხშირა და ერთ დღეს, როცა გვარიანად იყო შეზარხოშებული, გული მოუვიდა ადგილობრივ მკვიდრებზე, რომლებმაც პირაგუით ჩაუარეს „ჯულიეტას“; მან დაუძახა კუნძულელებს და წინადადება მისცა გემზე ასულიყვენ და საბუთები ეჩვენებინათ. კუნძულელებს შეეშინდათ და ნაპირისაკენ გაეშურნენ. ჯერმინმა დაუყოვნებლივ ჩაუშვა კანჯო. შიგ ხანჯლებით შეიარაღებული ვაიმონტუ და დანიელი ჩასვა, თვითონაც აიღო ხანჯალი და სამივენი დაედევნენ ნავის კიჩოზე მოფრიალე სახომალდო ალმით. დამფრთხალმა კუნძულელებმა პირაგუა ნაპირზე აიტანეს და ხმამაღალი შეძახილებით გაქანდნენ სოფლისაკენ, უფროსი თანაშემწე კი უკან მისდევდა და თან გაშმაგებით იქნევდა ამოწვდილ იარაღს. მაშინვე შეიყარა ხალხი, და „კარპოური ტუნი“ ანუ შემლილი უცხოელი სასწრაფოდ მიჰგვარეს უილსონს.

სწორედ ამ დროს ადგილობრივ მკვიდრთა მეზობლად

მღებარე სახლში კონსული და კაპიტანი გაი მშვიდად ისხდნენ და კრიბიჯს¹ თამაშობდნენ, თან მაგიდიდან არ იშორებდნენ გრაფინს. გაცოფებული ჯერმენიც იქ შეიყვანეს, ასეთი სასიამოვნო საქმით გატაცებული რომ ნახა ორივე, იმწამსვე დამშვიდდა, და დაჟინებით დაუწყო თხოვნა, რათა ისიც ჩაერიათ თამაშში და ბრენდითაც გამასპინძლებოდნენ. რადგან კონსულიც თითქმის მასავით მთვრალი იყო, ზოლო კაპიტანმა უარი აღარ უთხრა იმის შიშით, ვაითუ მოხუცი მეზღვაური გავანაწყენო, ისინი სამივენი შეუდგნენ საქმეს და მთელ საღამოს აღარ მოშორებიათ. უფროსი თანაშემწის დანაშაულზე ერთი ორი სიტყვა თქვეს, მისი დამკავებლები კი უკან გააბრუნეს.

ეს სასაცილო თავგადასავალი მიზეზი გახდა იმ ამბისა, რომელიც მოყოლის ღირსია.

იმხანად პაპეეტეს მიდამოებში დაეხეტებოდა ერთი დაბერებულ-დაჩაჩანაკებული ინგლისელი ქალი, ნამდვილი საფრთხოებელა, რომლისთვისაც მატროსებს „დიდედა ტოტი“ შეერქმიათ. მას სამხრეთის მთელი ზღვები ჰქონდა შემოვლილი, ახალი ზელანდიიდან სანდვიჩის კუნძულებამდე. იგი უბრალო ქოხებში მატროსებისათვის ხსნიდა სამიკიტნოებს, სადაც მათ შეეძლოთ ეყიდათ რომი და კამათლები. კუნძულებზე, რომლებზედაც მისიონერები იყვნენ დამკვიდრებული, ასეთი საქმის ჩამდენი სასტიკად ისჯებოდა; დიდედა ტოტის დაწესებულებას ხურავდნენ, თვით მეპატრონეს კი კუნძულიდან აძევებდნენ პირველივე გემით, რომლის დაქირავებასაც მოახერხებდნენ და ასე იშორებდნენ თავიდან. მაგრამ დიდედა ტოტი, სადაც არ უნდა მოხვედრილიყო, კელავ შეუპოვრად განაგრძობდა ძველ საქმეს, და ამიტომაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მას ყველგან დაჰყვებოდა რალაც ჯადოთი შეკრული ერთი დიდად მომთმენი ცალთვალა ხარაზი, რომელიც ფეხსაცმელს შეუკეთებდა ზოლმე თეთრკანიანებს, საჭმელს უმზადებდა დედაბერს და მისი პირიდან ამოსულ ათასნაირ ლანძღვაგინებას ითმენდა. შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ ხარაზი იშვიათად იშორებდა თავიდან დაფურცლულ ბიბლიას; როგორც კი მოიცლიდა და დიასახლისიც ზურგს შეაქცევდა, იგი მაშინვე იწყებდა ამ წმინდა წიგნის კითხვას. ვერ წარმო-

¹ ბანქოს თამაში.

იღვენტ, როგორ აშმაგებდა კუდიან ბებრუცუნას ღეთისმოსაობისაკენ მისი ასეთი მიდრეკილება. დაავლებდა ხელს წიგნს და ხან ერთ ლოყაში გასცხებდა, ხან მეორეში. რამდენჯერმე წიგნის დაწვაც კი დააპირა. დიდდა ტოტი და მისი მეუღლე ჯოჯოხი მართლაც რომ სასაცილო წყვილს წარმოადგენდნენ.

მაგრამ მოდი ჩვენს თხრობას დაუბრუნდეთ.

ერთი კვირა იქნებოდა გასული, რაც ნავსადგურში შევედით, რომ დედაბერს ისევ წაასწრეს დანაშაულზე და თავის სამაგელ საქმიანობაზე დროებით ხელი ააღებინეს. ამას განსაკუთრებით მოითხოვდა უილსონი, რომელსაც რაღაც მიზეზის გამო თვალით დასანახავად ეჯავრებოდა დიდდა ტოტი. არც ეს უკანასკნელი რჩებოდა ვალში.

და აი ერთ საღამოს დედაბერმა ჩაუარა სახლს, სადაც კონსული და მის გვერდით მყოფნი მხიარულობდნენ, ბამბუკის კედლებში შეიჭვრიტა და იმწამსვე გადაწყვიტა შურისძიების სურვილი დაეკმაყოფილებინა.

კუნაპეტი ღამე იყო. ტოტი დიდი საზომადღო ფარნით ხელში (ეს ფარანი ქოხში ჰქონდა ხოლმე ჩამოკიდებული) იდგა და ელოდა, როდის გამოვიდოდნენ მოქეიფენი. შუალამე ახლოვდებოდა, როცა ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა უილსონი. რომელიც ხელკავგაყრილი მოჰყავდა ორ კუნძულელს. სამეული თანდათან წინ მოიწევედა. როგორც კი ხშირ ჩრდილში შევიდნენ, უილსონის ცხვირიდან ერთი ღუიმის მოშორებით იფეთქა კამკაშა შუქმა. ბებერი კუდიანი მუხლებზე დაჩოქილი იდგა მის წინ და ფარანი ორივე ხელით მაღლა აღემართა.

— ხა, ხა! ჩემო მშვენიერო კონსულავ. — შეჰყვირა მან, — მარტოხელა დედაბერს რომის გაყიდვის გულისათვის დევნით, ხომ? თქვენ კი სახლში მიგაცილებენ მთერალს, ხომ?.. ფუი! თქვენ არამზადა ხართ, მე თქვენ მძაგხართ! — და მან სახეში შეაფურთახა.

შიშისაგან თავზარდაცემულმა საწყალმა კუნძულელებმა, რომლებსაც ნამდვილად სწამდათ მოჩვენებანი, აცახაცებული კონსული მიატოვეს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. დიდდა ტოტმა გულის ჯავრი იყარა და თავისი გზით წაჩანჩალდა. თანამეინახეები კი ბანცალ-ბანცალით წავიდნენ შინისაკენ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა უილსონთან. მეორე დღეს შევიტყვეთ, რომ კაპიტანი გაი თავის გემზე დაბრუნდა

და ახალ რაზმს ადგენდა. დაქირაებულებს კარგ გასამრჯელოს ჰპირდებოდნენ; შილის თავზე ხელმოსაწერად გამზადებულ „ჯულიას“ სახომალდო საბუთებთან ერთად იღო ესპანური დოლარებით სავსე ტომარა.

ნაპირზე ბევრი უმუშევარი მატროსი დაიარებოდა; მათი უმრავლესობა შეადგენდა ორგანიზებულ ბანდას შოტლანდიელი მაკის მეთაურობით, რომელსაც კომოდორს ეძახდნენ. ძმური სოლიდარობის კანონების მიხედვით, ბანდის არც ერთ მონაწილეს არ ჰქონდა უფლება დანარჩენების თანხმობას გარეშე დაეწყო გემზე მუშაობა. ამგვარად ბანდას მთელი სავსადგური ხელში ეკავა და ყველა ანგარიშგასასწორებოი მატროსი მას უნდა შეერთებოდა.

მაკმა და მისმა ბიჭებმა კარგად იცოდნენ ჩვენი ამბავი; რამდენჯერმე სტუმრადაც კი იყვნენ ჩვენთან. რა თქმა უნდა, როგორც მეზღვაურებს და ჩვენს მსგავს ადამიანებს, მათაც ძალიან სძულდათ კაპიტანი გაი.

მათ იცოდნენ, რომ ეს სერიოზული საკითხი იყო, და ამიტომ ყველანი უკლებლივ მოვიდნენ კალაბუსაში; უნდოდით გაეგოთ, რას ვიტყოდით, თუ ამ ვითარებაში რომელიმე მათგანი „ჯულიაზე“ მოეწყობოდა სამუშაოდ.

ჩვენ გვინდოდა რაც შეიძლება მალე გაგვეტუმრებინა გემი და ვუპასუხეთ, რომ საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა. ზოგიერთებმა ცათამდეც კი აიყვანეს „ჯულია“ და ქვეყნად ყველაზე კარგი და ყველაზე სწრაფმავალი გემი უწოდეს. არც ის დავიწყებიათ, რომ ჯერმინისათვის, კარგი ყმაწვილისა და თავით ფეხამდე. მეზღვაურისათვის, საკადრისი მიეზლოთ; რაც შეეხება კაპიტანს, ყოვლად მშვიდი და უწყინარი კაციო, ვუთხარით; მრკლედ ათასნაირ სატყუარას ვიგონებდით, თაღლითმა ჯეკმა კი იმით დააგვირგვინა, რომ მაწანწალები დაარწმუნა, თითქოს ახლა, როცა ყველანი მოვმჯობინდით, მხოლოდ პრინციპი გვიშლიდა. ხელს, თორემ თვითონაც დაებრუნდებოდით „ჯულიაზე“.

ამის შედეგად ახალი რაზმი როგორც იქნა შედგა; ახალი ინგლისის ერთი წყნარი მკვიდრი მეორე თანაშემწის თანამდებობაზე აიყვანეს, სამი გამოცდილი ვეშაპმჭერი კი მებარჯედ. ბატალერკამერასაც დაემატა რამდენიმე კაცი.

დაზიანებული ჯული, რამდენადაც ეს შესაძლებელი აღმო-

ჩნდა ისეთ ადგილას, როგორცაა ტატი, შეაკეთეს. რაც შეეხება მათის, ადგილობრივმა ხელისუფლებმა ნება არ დართეს ნაპირზე გადმოსულიყო, იგი ხელფეხშებორკილი დარჩა ტრიუმში და ასე განაგრძო მოგზაურობა. თუ რა ბედი ეწია შემდგომ, აღარ ვაგვივია.

ძენმა, საბრალო ძენმა, რომელიც რამდენიმე დღით ადრე გახდა ავად, მატროსთა ჰოსპიტალში დარჩა ტაუნოაში — პაპეტესა და მატაუაის შორის რომ დასახლებაა სანაპიროზე, და რამდენიმე ხნის შემდეგ სული განუტევა. არავინ იცოდა, რა სჭირდა; ალბათ მძიმე ცხოვრებამ მოუღო ბოლო. ზოგიერთებმა ვნახეთ, როგორ დაასაფლავეს სილაში. მე უბრალო ბობი ჩავასვე იქ, სადაც მას საუკუნო ძილით სძინავს.

საცობა და დანარჩენები, რომლებიც თავიდანვე დარჩნენ გემზე, რა თქმა უნდა, „ჯულიას“ ახალი რაზმის შემადგენლობაში შევიდნენ.

კონსულისა და კაპიტანის საქციელი, ათასნაირად რომ ცდილობდნენ გადაწყვეტილება შეეცვლევინებინათ ჩვენთვის და გემზე დაებრუნებულისთვის, სავსებით გასაგებია და აირატომ: ავანსის, თხუთმეტი-ოცი დოლარის გარდა, რომელიც გადაუხადეს ტატიზე დაქირავებულ თითოეულ მატროსს, ყოველ აყვანილ კაცზე კუნძულის ხელისუფალთ უნდა გადაეხადათ დამატებითი თანხა სანაესადგურო ბაჟის სახით. გარდა ამისა, ახალი მატროსები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისს, მხოლოდ ერთ გზობაზე მიექირავენ სამუშაოდ, და, მაშასადამე, მათთვის მანამდე უნდა გაესწორებინან ანგარიში, სანამ გემი სამშობლოში დაბრუნდებოდა; ამიტომ ოდესმე აუცილებელი გახდებოდა სხვა ადამიანების შონა და ასეთივე ხარჯების გაღება. „ჯულიას“ ფინანსები კი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი სალარო გამოცარიელებული იყო. ხარჯების დასაფარავად იძულებული შეიქნენ პაპეტელი ვაჭრისათვის ჩალის ფასად მიეყიდათ ვეშაპის ქონის მეტი წილი, რაც გემზე ჰქონდათ.

ტატიზე მშვენიერი კვირა დილა თენდებოდა, როცა კაპიტანი ბობი ბაჯბაჯით შემოვიდა კალაბუსაში და განსაცვიფრებელი ამბავი გვაუწყა:

— ეჰ, ჩემო ბიჭო... თქვენი გემი ეცქალება... აფლებდააყენოს...

ესე იგი, „ჯულიამ“ აფრები აუშვა.

ნაპირი სულ ასლოს იყო, თანაც ამ რაიონში ქესორციელს ვერ ნახავდით. ზღვისკენ გაეიქცით და ერთი კაბელტოს მანძილზე დავინახეთ „ჯულიეტა“, რომელიც ნელ-ნელა მიცურავდა ჩვენს გასწვრივ, — ბრასმელები დაყენებული იყო; რომელიღაც ყმაწვილს ქანდარაზე ფეხი გადაედო და ფორბომ-ბრამსელს უშვებდა. გემბანზე ერთი ჟრიამული იდგა. წინა-ერდოზე მდგარი მატროსები მღეროდნენ: „აბა, მარდად, ბიჭებო!“ და თან ღუზას ამაგრებდნენ, ხოლო მამაცი ჯერმინი, როგორც ყოველთვის, ასლაც თავშიშველი ასულიყო ბუშპრიტზე და ბრძანებებს იძლეოდა. შესაჭის ახლოს იდგა კაპიტანი გაი და ჯენტლმენის უშფოთველი სახით აბოლებდა სიგარას. მალე გემი რიფს მიუახლოვდა; კურსი შეიცვალა, გასასვლელში გაძერა და გზა განაგრძო.

ასე მიეფარა თვალს „ჯულიეტა“ ნავსადგურში სამიოდე კვირის ღვამის შემდეგ; შემდგომ არაფერი გამიგონია მასზე.

თ ა ვ ი 39

ჯერმინა ღიღი სამსახური გაგვიფდა. მეგობრობა პოლინეზიაში

„ჯულიას“ რომ თავი დავაღწიეთ, ერთი სული გვქონდა, როდის გავიგებდით, თუ რას გვიპირებდნენ. კაპიტანმა ბობმა ამაზე ვერაფერი გვითხრა, გარდა იმისა, რომ მოვალე იყო ჩვენთვის ეყარაულა. თუმცა, ის უკვე აღარ გვაწვენდა დასაძინებლად, და ჩვენ მთლიანად ჩვენს თავს ვეკუთვნოდით.

„ჯულიას“ წასვლის მეორე დღეს მოხუცი ძალიან დამწუხრებული დაბრუნდა და გვითხრა, რომ ორცხობილების გარდა, რომლის გამოგზავნაც შეგვიწყვიტეს, უილსონი არაფერს ვეთავაზობდა. ეს ყველამ მივიღეთ იმის მინიშნებად, რომ შეგვეძლო მშვიდად დავშლილიყავით და ჩვენ-ჩვენი საქმისათვის მიგვეხედა. მაგრამ ასე იოლად როგორ უნდა მოვეშორებინეთ! გვინდოდა გულის ჯავრი გვეყარა ჩვენს დაუძინებელ მტერზე და ამიტომ გადავწყვიტეთ ჯერჯერობით არსად წავსულიყავით.

როლმა, რომელიც ჩვენს საქმეში შეასრულა, სანაპიროზე მცხოვრები ყველა თეთრკანიანის სასაცილო გახადა კონსული, და მას დაუსრულებლივ აბუჩად იგდებდნენ „კალაბუსა ბერეტანის“ იმ ბინადართა გამო, რომლებსაც იგი მეურვეობდა.

ჩვენ არსებობის არავითარი საშუალება აღარ გვქონდა, და ამიტომ ჯერჯერობით კუნძულზე ვრჩებოდით; ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ იმაზე უკეთეს თავშესაფარს ვიშოვიდით, რაც კაპიტან ბობთან გვქონდა. თანაც მოხუცი გულწრფელად შეგვიყვარდა და მასთან განშორება ვერ წარმოგვედგინა. ამრიგად, კაპიტან ბობს ვუთხარით, რომ ჩვენს ტანისამოსსა და საჭმელზე აღარ ეზრუნა, და გადავწყვიტეთ, თვითონ გვეშოვა ყველაფერი აუცილებელი, გაგვეფართოებინა და სისტემატური ხასიათი მიგვეცა ფურაჟირების ოპერაციებისათვის.

დიდი დახმარება გაგვიწია მოულოდნელმა საჩუქარმა, რომელიც გამოთხოვებისას დაგვიტოვა ჯერმინმა. მას ვუმაღლოდით, რომ ჩვენი სკივრები, ყოველივე იმით, რაც შიგ ელაგა, ნაპირზე იქნა გაგზავნილი. ისინი შესანახად გადაეცა ერთ მეორეხარისხოვან ბელადს, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა; კონსულმა განკარგულება გასცა, რომ სკივრები ჩვენთვის არ მოეცათ, მაგრამ შეგვეძლო, როცა გვინდოდა მივსულიყავით და ჩვენი ტანისამოსიდან აგვეღო რამე.

ჩვენ მოხუც ბელადთან, მაჰინისთან წავედით; კაპიტანი ბობი წამოგვეყვა და მტკიცედ მოითხოვა დაებრუნებინათ ქონება. ბოლოს ეს საქმე მოგვარდა. კუნძულელებმა დიდი ამბით მოგვართვეს სკივრები კალაბუსაში. იქ ჩვენი გემოვნების მიხედვით დავდგით ისინი და შენობამ ისეთი სახე მიიღო, რომ მოხუცი ბობისა და მისი ამხანაგების თვალში „კალაბუსა ბერეტანი“ ტაიტის ყველაზე ბრწყინვალე სალონად იქცა.

ყოველთვის, სანამ კალაბუსა ასე იყო მოწყობილი, იქ იმართებოდა აქაური ოლქის მკვიდრთა სასამართლოს სხდომები; მოსამართლე მაჰინი და მისი კოლეგები ერთ-ერთ სკივრზე იხდნენ, ხოლო ბრალდებულები და მათურებლები მხართემოზე იყვნენ წამოწოლილნი — ზოგი შენობაში, ზოგი — შენობის გარეთ, ხეების ჩრდილში. „ჯულიას“ პატივცემულმა რაზმის წევრები ისე გადმოყუდებულიყვნენ ხუნდებზე, თითქოს

ბანზე გადმომდგარანო, და ასე უყურებდნენ იმას, რაც ხდებოდა, თან ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს.

მე დამავიწყდა მეტქვა, რომ გემის გასვლამდე მატროსებმა საჭმელში გაცვალეს მთელი ტანისამოსი, ურომლისობაც ასე თუ ისე შეეძლოთ, მაგრამ ახლა გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ უფრო ყაირათიანად მოქცეულიყვნენ.

რა არ ელაგა ჩვენს სკივრებში: საკერავი ნივთები, ლურსმნები, ჩითის ნაჭრები. თოკის ნაწყვეტები, დასაკეცი დანები, ერთი სიტყვით თითქმის ყველაფერი, რაც მუზღვურს შეიძლება გამოადგეს. მაგრამ ტანისამოსიდან აღარაფერი შემოგვრნა, გარდა ძველი ქურთუკებისა, ფლანელის პერანგების, შარვლებისა და დახეული წინდებისა. ეს ყველაფერი გარკვეული ღირებულებისა იყო, რადგან ყველაზე ღარიბი ტაიტელეები ძალიან ეხარებებიან ყოველგვარ ევროპულ ნივთს. „ბერიეტანი, ფენუა პარარი“ (ბრიტანეთი, სასწაულთა ქვეყანა) არის ის ადგილი, საიდანაც ეს ნივთებია მოტანილი, და განა ეს საკმარისი არ არის?

თვით სკივრები ხომ დიდად ფასობდა, მით უმეტეს, თუ ბოქლომი გატეხილი არ ჰქონდა, გამართულად ჩხაკუნობდა და მის პატრონს მშვიდად შეეძლო ესეირნა გასაღებით ხელში. თუმცა, ყოველგვარი გაფხაჭნილი თუ ჩაჭყლეტილი ადგილი დიდ ნაკლად ითვლებოდა. ერთი ბერიკაცი პირდაპირ მოხიბლა წითელი ხისაგან ნაკეთებმა ექიმის დიდმა სკივრმა (სხვათა შორის, შიგ ბლომად ელაგა რაღაც-რაღაცეები) და უზომო კმაყოფილებას გრძნობდა, როცა ზედ ჩამოჯდებოდა ხოლმე. ერთხელ დავინახეთ, რომ იგი მალამოს აცხებდა საშინელ ნაჩხაპნს, რომელიც სკივრის სახურავს ამახინჯებდა.

ძნელია იმის გადმოცემა, თუ როგორ უყვართ ტაიტელეებს მატროსთა სკივრები. ისინი ოჯახის დამამშვენებელ ავეჯად ითვლება, და ყოველი ქალი დიდიდან საღამომდე ეღრიტინება თავის ქმარს, რომ გულხელდაკრეფილი არ იჯდეს და უშოვოს ეს მშვენიერი ნივთი. როცა სკივრს იშოვიან, ქალები ისე აფრინდებიან ხოლმე სიხარულით, რომ სასტუმრო ოთახში ახლახან დადგმული კონსოლიც¹ კი არ აღაფრთოვანებდათ ასე.

¹ ვიწრო მაგიდა, რომელსაც სწორი ან მოღუნული ფეხები და გამოჩუქრთმებული სადგარი აქვს; მას დგამდნენ სარკის ან ფანჯრის წინ. კონსოლი მიღებული იყო საფრანგეთში ლუი XIV და ლუი XV დროს და გამოირჩეოდა დიდი ხინატიფით.

ამიტომაც იქცა ჩვენი ქონების დაბრუნება მნიშვნელოვან მოვლენად.

კუნძულები დიდად არ განსხვავდებიან სხვა ხალხებისაგან; ჩვენი გამდიდრების ამბავი რომ შეიტყვეს, უამრავი „ტაიო“ გაგვიჩინდა; ესენი იყვნენ მეგობრები, რომელთაც ეროვნული ტრადიციის მიხედვით ეწადათ კავშირი შეეკრათ ჩვენთან და შეესრულებინათ ჩვენი სულ მცირე სურვილიც კი.

პოლინეზიელთა ჭეშმარიტად თავისებური წეს-ჩვეულება, რომ პირველივე შეხვედრისას დაუმეგობრდნენ ადამიანს, ღირსია იმისა, რომ მასზე დაწვრილებით შევჩერდეთ. თუმცა ისეთ ხალხს, როგორც არიან ტაიტელები, რომლებიც გამზრწნელ გავლენას განიცდიან, ეს ჩვეულება უმრავლეს შემთხვევაში წმინდა ანგარულ კავშირად გადაქცევია, მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძვლად უდევს მშვენიერი, ზოგჯერ გმირული გრძნობა, მათ მამებს რომ ახასიათებდათ.

კუნძულის მატთანეში გვხვდება უჩვეულო მეგობრობის ნიმუშები, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდება დამონისა და ფინტის¹ ამბავს, და ასე გასინჯეთ, უფრო განსაკუთრებულად კი არიან, რადგან მეგობრობას სწირავდნენ ყველაფერს — ზოგჯერ სიცოცხლესაც კი, თუმცა ხშირად მეგობრული გრძნობები იბადებოდნენ პირველივე შეხვედრისას, თანაც სხვა კუნძულის მცხოვრები უცნობი ადამიანის ჩართ.

პოლინეზიელები პირველად ჩამოსული ევროპელების მიმართ ისეთი სიყვარულით იმსჯვალებოდნენ, ისე აღფრთოვანდებოდნენ ხოლმე, რომ თავიანთ უხვ გრძნობებს მეგობრობის შეთავაზებაში ავლენდნენ. ამიტომ ძველი მოგზაურობის აღწერაში ვკითხულობდით იმ ბელადებზე, რომლებიც პირაგუებით მოდიოდნენ ნაპირიდან და უცნაური მანჭვა-გრეხით გამოხატავდნენ დამეგობრების სურვილს. მათი ქვეშევრდომებიც ამგვარადვე ესალმებოდნენ მატროსებს. ასეთი წეს-ჩვეულება ზოგიერთ კუნძულზე ჩვენს დრომდე იქნა შემონახული.

ტაიტიდან რამდენიმე დღის სავალზე მდებარეობს კუნძული, რომელსაც იშვიათად ეწვევიან ხოლმე ევროპელი და

¹ ორი სირაკუზელი მეგობარი, რომლებიც შექცეული პყავთ ქველ პოეტებს როგორც ერთგულებისა და თავდადების ნიმუში.

ამერიკელი მეზღვაურები. ერთხელ გემი, რომლითაც მე ვნა-
ოსნობდი, სწორედ იქ მოხვდა.

ცხადია, ყოველმა ჩვენგანმა მეგობარი შეიძინა ადგილობ-
რივ მკვიდრთაგან. ჩემი მეგობარი ერთი ლამაზი ყმაწვილი
იყო. სახელად პოკი ერქვა. რაც არ უნდა გაეკეთებინა ჩემ-
თვის, ყველაფერი ეცოტაებოდა.

ყოველ დილით, ინათებდა თუ არა, გამოინდებოდა მისი
პირაგუა, დატვირთული ათასნაირი ხილით; იგი ნავს გადმო-
ტვირთავდა და ბუშპრიტზე მიაბამდა. პირაგუა ტალღებზე
ირწეოდა და მუდამ მზად იყო იმისათვის, რომ თავისი პატ-
რონი ნაპირზე გასულიყო რაიმე დავალების შესასრულებლად.

მის მეგობრობაში დარწმუნებულმა, ერთხელ ეუთხარა
პოკის, რომ ნიჟარებისა და ყოველგვარი იშვიათობის დიდი
მოყვარული ვიყავი. ეს საკმარისი აღმოჩნდა: იგი ნავით შევი-
და ყურეში და მთელი დღე-ღამის განმავლობაში არ გამო-
ჩენილა. დილით დავინახე მისი პირაგუა, რომელიც ნელ-ნელა
მოცურავდა ნაპირის გასწვრივ; ხშირფოთლებიანი ტოტი იალქ-
ნის მაგივრობას უწევდა. ტვირთი რომ არ დასველებულიყო,
პირაგუას ცხვირზე ფიცარნავის მსგავსი რამ გაეკეთებინა,
რომელსაც აქეთ-იქით ჩელტები ჰქონდა აფარებული, ფიცარ-
ნავზე ბლომად ეწყო ბანანები, კაურის ნიჟარები, ნორჩი ქოქო-
სის კაკლები და წითელი მარჯნის დატოტვილი ღეროები. გარ-
და ამისა, იდო მოწუქურთმებული რამდენიმე ხის ნაჭერი, კუპ-
რივით შავი პატარა კერპი და დაჩათული ტაპის ხვეულები.

როცა რაზმს დასვენების დღე მისცეს და მე ნაპირზე გა-
დავედი, რა თქმა უნდა, პოკი თან მახლდა და მეგზურობას
მიწევდა. ქვეყნად ვერვინ ვერ შეასრულებდა ამ მოვალეობას
მასზე უკეთ; პოკის მშობლიური კუნძული დიდი არ იყო და
იგი მის ყოველ მტკაველს იცნობდა. ყველგან დამყვებოდა,
ყველა შემხვედრს აჩერებდა და დიდის ამბით აცნობდა თავის
„ტაიო კარპოურის“, ანუ საუკეთესო თეთრკანიან მეგობარს.

ყველა იქაური ლომი მაჩვენა, რაც მთავარია, წამიყვანა
და მანასვა მომხიბლავი ძუ ლომი, — ახალგაზრდა ქალიშვილი,
ბელადის ასული, რომლის სილამაზე მეზობელ კუნძულებზეც
იყო განთქმული და იქიდანაც იზიდავდა თაყვანისმცემლებს.
მათ რიცხვს ეკუთვნოდა ტუბოი, ამხანაგობის ერთ-ერთი
კუნძულის რაპატეას მეფის ტამატოის მემკვიდრე. ქალიშვილი

მართლაც კარგი შესახდობისა იყო. მისი შუქმფინარი თვალები განაცვიფრებდნენ მნახველს, ხოლო მოქნილი, ნაზი ხელი, ტაპის უცხო სამოსში რომ მოუჩანდა, სილამაზის განსახიერება იყო.

პოკის სამსახურს ბოლო არ უჩანდა, მაგრამ ერთხელაც არ დასცდენია სიტყვა, რომ გასამრჯელო ეთხოვა, თუმცა ზოგჯერ კი ეტყობოდა სახეზე, რომ ჩემგან რაღაცას გამოელოდა.

ბოლოს დადგა ზღვაში გასვლის დღე, და ჩემი მეგობრის პირაგუა უამრავი ხილით დატვირთული მოვიდა. მე მივეცი პოკის ყველაფერი, რაც ჩემს სკივრში მოიძებნებოდა, მერე კი გემბანზე გამოვედი და შპილთან დავიკავე ადგილი, რადგან უკვე ღუზის ამოღებას აპირებდნენ. პოკი ჩემთან ერთად აწვებოდა შპილის ბერკეტს.

მალე ღუზა ამოვიღეთ და ყურის გასასვლელისაკენ გავემართეთ, თან ოცზე მეტი ნავი გვექონდა გამობმული. ბოლოს ისინი უკან დარჩნენ. მაგრამ სანამ პოკის პირაგუა თვალს მიეფარებოდა, მე ვხედავდი მას, ნავის ცხვირზე მარტოდმარტო, უძრავად მდგომარეს.

თ ა ვ ი 40

ჩვენ მეგობრები შვიკინეთ

რაც სკივრები მოიტანეს, ჩემი მეგობარი ექიმი ყველაზე მდიდარი კაცი გახდა ჩვენში. ამ ამბავმა სულზე მომისწრო, რადგან უკვე თითქმის აღარაფერი გამაჩნდა. მაგრამ ახმახ სულთან ჩემი მეგობრული დამოკიდებულების წყალობით ადგილობრივი მკვიდრნი ისევე თავგამოდებით ცდილობდნენ დაემსახურებინათ ჩემი კეთილი განწყობილება, როგორც მისი.

ჩემთან დამეგობრებას სხვებთან ერთად ცდილობდა კულუეს გახლდათ საკმაოდ ლამაზი ყმაწვილი, რომელსაც იქაურ პირობაზე ნამდვილად უყვარდა კობტაობა. მე მივიღე მისი წინადადება. ამ გზით თავიდან ვიცინებდი დანარჩენებს, უნდა ითქვას, რომ ტაიტელები არც თუ ისე ეჭვიანები არიან სიყვარულის ამბებში, მაგრამ მეგობრობაში კი ვერ იტანენ მეტოქეს.

თავისი, როგორც მეგობრის, ღირსებების ჩამოთვლისას

კულუმ უწინარეს ყოვლისა მაცნობა, „მიკონარი“ ვარი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქრისტიანობა ჰქონდა მიღებული.

თავისი სიყვარულის დასამტკიცებლად ჩემი „ტაიო“ დაუსრულებლად იმეორებდა, რომ ვუყვარდი „ნუი, ნუი, ნუი“, ესე იგი უსაზღვროდ. სამხრეთის ზღვებში სიტყვა „ნუი“ დიდ რაოდენობას ნიშნავს და მისი გამეორება ციფრისათვის მარჯვნივ ნულების მიწერას უდრის; რაც მეტს მიუმატებთ, მით უფრო დიდ რიცხვს მიიღებთ. ახლა განსაჯეთ, როგორ იქნებოდა ჩემთან კულუ. მაინცდამაინც უადგილოდ არ მომიხსენებია აქ ნულები, რადგან კულუს გრძნობები თავისთავად ნულის ტოლი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იგი თავისი სიტყვის პატრონი კი არ იყო თურმე, არამედ კაცო, რომელიც მხოლოდ ვერცხლის წკრიალზე ცეკვავს.

რამდენიმე დღეში მატროსებს, ისევე როგორც მე და ექიმს, უკანასკნელი ნივთებიც დაგვცინცლეს, და ჩვენს ყველა „ტაიოს“ საგრძნობლად გაუცივდა გული. ისე დაუღვევრად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას, უკვე აღარ შეიძლებოდა იმედი ვეჭონოდა, რომ სურსათ-სანოვაგეს ყოველდღიურად მოგვიტანდნენ, რასაც დიდის ამბით შეგვპირდნენ.

კულუმ, რომელმაც ჩემგან ბევრი ხეირი ნახა, ერთ დილას გულგაციებული საყვარლის როლი გაითამაშა და მითხრა, რომ გრძნობები შეეცვალა: მას პირველივე შეხვედრისთანავე შეუყვარდა ერთი ფრანტი მატროსი, რომელიც ამას წინათ გადმოსულიყო კუნძულზე — ვეშაპებზე იღბლიანი ნადირობის შემდეგ ქისაავსებული.

ეს იყო გულამაჩუყებელი პაემანი, რომლითაც დასრულდა ჩვენი ურთიერთობა. თუმცა სევდა-ნალღველი დაუყოვნებლივ გამიქარვდებოდა, რომ კულუს არადელიკატურ საქციელს არ შეუარაცხეყო ჩემი გრძნობა: სულ მალე, მას შემდეგ, რაც სხვაზე გამცვალა, კოპწიაობა დაიწყო ჩემი საჩუქრებით. დღე არ გავიდოდა, რომ წნორიან გზაზე არ ესეირნა ჭრელი სათბურათი, რომელიც მე ვაჩუქე იმ შედარებით ბედნიერ დროს.

კულუ ჩამივლიდა დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით, სანდომიანი ღიმილით შემომხედავდა თვალებში, და ჩვენ გაუჩერებლივ, ცივად მივუგდებდით ხოლმე ერთმანეთს „გამარჯობას“, ისევე როგორც ესალმებიან ურთიერთს შორეული ნაცნობები. რამდენიმე ასეთი შემთხვევის შემდეგ მე უკვე ასე თუ ისე

პატივისცემით ვეპყრობოდი, როგორც სავსებით დარბაისელ კაცს. მართლაც არ აკლდა სიდარბაისლე. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ უკვე ველარ მამჩნევდა და ისე ჩამივლიდა, რომ თავსაც არ დამიკრავდა — გინდა ჩემს გვერდით ჩაველოს და გინდა ლანდშაფტის რომელიმე წვრილმანის გვერდით.

სანამ სკივრები სულ მთლად გამოცარიელდებოდა, ჩვენი ტანიხამოსი მდინარეზე ჩავიტანეთ და რეცხვა დავიწყეთ — გეინდოდა რაც შეიძლება სუფთად ჩაცმული წავსულიყავით სოფელში და ევროპული ეკლესია მოგვენახულებინა. იქ ყოველ კვირა დილას მიმდინარეობდა ღვთისმსახურება, რომელსაც ასრულებდა მისიის რომელიმე წევრი. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ გუშაგების თანხლების გარეშე მივედით პაპეეტეში.

ეკლესიაში იყო ორმოციოდე კაცი, მათ შორის ნავსადგურში ღუზაჩაშვებული რამდენიმე გემის ოფიცერი. მქადაგებელი გაცხარებით ლაპარაკობდა, თან წამდაუწუმ მუშტს ურტყამდა კათედრას. ამ ღვთის სახლში საპატიო ადგილას წამოჭიმულიყო ჩვენი საყვარელი მეურვე უილსონი. ჩემს დღეში არ დამავიწყდება, რა განცვიფრება გამოეხატა სახეზე კონსულს, როცა მისი გულით საყვარელი ბიჭები შევედით ეკლესიაში და წინ დავუდექით.

წირვა რომ გამოვიდა. გარეთ დავიცადეთ, რადგან გვეგონა კიდევ ერთხელ ვნახავდით უილსონს; მაგრამ, ჩვენი დანახვით ძალზე განაწყენებული, სარკმლიდან გვითვალთვალებდა და მანამდე არ გამოვიდა, სანამ შინისკენ არ გაეწიეთ.

ჩვენ კონტრიბუციას ვანდებინებთ გემებს

ერთი კვირაც არ გასულა „ჯულიას“ წასვლის შემდეგ, რომ ზოგიერთები, ვინც ისეთი მშფოთვარე სულისა იყო, რითაც მეზღვაურები ყველგან არიან სახელგანთქმულნი, უკვე ველარ ძლებდნენ „კალაბუსა ბერეტანში“: მათ გადაწყვიტეს ნავსადგურში წასულიყვნენ და გემებისათვის თავისი სამსახური შეეთავაზებინათ.

ითქვა და გაკეთდა. მიუხედავად ნაპირის მაწანწალათა კომოდორის დაბეჯითებითი რეკომენდაციებისა, კაპიტნები, რომლებსაც ჩვენი მატროსები მიმართავდნენ, ბოლოს და ბოლოს სულ ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ, არ გამოგვადგებით, რადგან პორტში ვერა გაქვთ მაინცდამაინც კარგი სახელიო. ამგვარი უარი ცოტა როდი მივიღეთ; ამიტომ თითქმის აღარ გვქონდა იმედი, რომ ასეთი საშუალებით გაეშორდებოდით კუნძულს, კვლავ შინაყულებად ვიქვეცით და მშვიდად ვცხოვრობდით კაპიტან ბობთან.

დაახლოებით ამ დროს რეწვის სეზონი დაამთავრეს და პაპეიტეს ყურეში შემოსვლა იწყეს ვეშაქსანადირო გემებმა; რა თქმა უნდა, მათი რაზმის წევრები ხშირად მოდიოდნენ ჩვენს სანახაავად. ეს ჩვეულებრივი ამბავია წყნარ ოკეანეში. გადმოვლენ თუ არა მატროსები ნაპირზე, პირდაპირ კალაბუსას მიაშურებენ ხოლმე, სადაც აუცილებლად წააწყდებიან რომელიმე საწყალ კაცს, დეზერტირობაში, შეამბოხეობაში ან კიდევ სხვა ამგვარ რამეში რომ მიუძღვის ბრალი. მნახველები არ იშურებენ მათთვის თანაგრძნობას და, თუ საჭიროა, თამბაქოსაც. ამ უკანასკნელზე ხომ დიდი მოთხოვნილებაა — სატუსალოში უკეთესი საშუალება არ არსებობს ღარღის გასაქარებლად.

რადგან ჩვენ ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვეთ კონსულსა და კაპიტანზე, ეს ფილანთროპები ჩვენდამი დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ და სულითა და გულით იწონებდნენ ჩვენს ზოქმედებას. გარდა ამისა, მათ მუდამ მოჰქონდათ ჩვენთვის რაიმე გამახალისებელი, ზოგჯერ ცოტაოდენ პისკოსაც წამოიღებდნენ ხოლმე თან. ერთხელ, როცა ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, ხაპისაგან გაკეთებული ჭურჭელი ჩამოატარეს და ჩვენს სასარგებლოდ ფული შეაგროვეს.

ერთხელ რომელიღაც სტუმარმა წინადადება მოგვცა — ორისამი კაცი ვწვეოდით ღამით გემზე და შეგვპირდა, რომ სურსათ-სანოვაგით დაზურგულს გამოგვიშვებდა. აზრი კარგი იყო, და ჩვენც აღარ დავვიყოვნებია მისი შესრულება. იმ დღიდან მოყოლებული ყოველღამ ვეწვეოდით ხოლმე ნავსადგურში მდგარ ხან ერთ და ხან მეორე გემს. საამისოდ კაპიტან ბობის პირაგუას ვნათხოვრობდით. რადგან ამას რიგრიგობით ვაკეთებდით ორ-ორი, ახმაზი სულისა და ჩემი ჯერიც დადგა;

მატროსებს მუდამ განუყრელად მივანდით ჩვენ. იმ საქმეში მაინცდამაინც არ ვენდობოდით, ექიმს, რადგანაც ის მეზღვაური არ იყო, ტანი კი ძალიან მაღალი მიეცა მისთვის გამჩენს. ხოლო პირაგუა წყალზე მიმოსვლის ყველაზე ჭირვეული საშუალებაა. რა უნდა გვექნა, ავღექით და წავედით.

მაგრამ სანამ თხრობას განვაგრძობდე, რამდენიმე სიტყვა მინდა ვითხრათ პირაგუებზე. ამხანაგობის კუნძულებზე მათი დამზადების ოსტატობა, ისევე როგორც ადგილობრივ მკვიდრთა სხვადასხვა ხელოვნება, ძალიან დაბალ დონეზე დგას; იქაური პირაგუები ყველაზე ულახათო და არასაიაშელოა იმათ შორის, რომლებიც სამხრეთის ზღვებში დაცურავენ. კუკის დროს, როგორც თვითონ წერს, ტაიტის სამეფო ფლოტში შედიოდა შეიდას ოცი დიდი სამხედრო პირაგუა, რომელსაც ლამაზი ჩუქურთმები და სხვა სამკაულები ამშვენებდა. ჩვენს დროში კი სულ პატარა პირაგუები დაცურავენ. მორს ამონიარკნიან, ცალ მხარეს წაუმახავენ და ასე უშვებენ წყალში.

ნავს რომ მდგრადი წონასწორობა ჰქონდეს, ტაიტელები, ისევე როგორც ყველა პოლინეზიელი, მასზე ამაგრებენ ეგრეთ წოდებულ „ბალანსირს“. ესაა ლატანი, რომელიც პირგუას პარალელურადაა წყალზე. იგი ნავზე მიმაგრებულია თითო იარღი სიგრძის ორი განივით. ასეთი მოწყობილობით აღჭურვილი პირაგუა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაბრუნდეს, თუ ლატანი წყალზე აღარ იქნება გაჩერებული ანდა მთლიანად ჰაერში აღმოჩნდება.

კაპიტან ბობის „კარაჰა“ ძალიან პატარა იყო, ისე პატარა და უცნაური მოყვანილობისა, რომ მატროსებმა „აბების კოლოფი“ შეარქვეს. სინამდვილეში იგი წარმოადგენდა ერთადგილიანი ექიპაჟის მსგავს რაღაცას, რომელიც ერთი მენიჩბისათვის იყო განკუთვნილი, უკიდურეს შემთხვევაში კი ორ-სამ კაცს დაიტევდა. ბალანსირად ჰქონდა წვრილი ლატანი, რომელიც ხან ამოხტებოდა წყლიდან, ხან იმალებოდა.

ექსპედიციის მეთაურობა მე ვიკისრე, ექიმში ნავის ცხვირთან დავსვი ნიჩბით ხელში, ნავს ფეხი გავკარი და კიჩოზე შევხტი; ამგვარად მთელი სამუშაო ექიმს დააწვა მხრებზე, მე კი მესაჭის საპატო სინეკურა დავიტოვე. ყველაფერი კარგად შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ჩემი მეხოფე ისე მოუხეშავად უსვამდა ნიჩაბს, რომ წყალი შადრევანივით ადიოდა

მალა და თავზე გვესხმებოდა. მიუხედავად ამისა, ექიმი მაინც გულმოდგინედ უსვამდა ნიჩაბს; მე კი ვიფიქრე, რაოდენიმე ხანში გამოასწორებს-მეთქი საქმეს, და ხელი არ შეეუშალე. მაგრამ მალე თავით ფეხამდე რომ გავკლუშა ჩვენივე წყალობით ამოვარდნილმა პატარა ქარიშხალმა და ეელარც მისი ჩადგომის რაიმე ნიშანს ვხედავდი, ჩემს თანამგზავრს შევეხვეწე, თუ ღმერთი გწამს, გაჩერდი და მაცალე ტანისამოსი გავწურო-მეთქი. ამ დროს ახმახი სული სწრაფად მოტრიალდა, პირაგუა გადაიყანთრა, ბალანსირი მალა ამოვარდა, თავში მოხვდა, და ორივენი წყალში აღმოვჩნდით.

საბედნიეროდ, ზუსტად მარჯნის რიფთან ვიყავით, სადაც სიღრმე ნახევარ საუენს აღწევდა. ჩაძირული პირაგუა ჩვენკენ გადმოვხარეთ და მერე ხელი გავუშვიტ. ნავი მალა შეხტა და იქიდან თითქმის სულ გადმოიღვარა წყალი; დანარჩენი ძალიან იოლად ამოვაკციეთ ჩვენ თვითონ და ისეე ჩაუსხდით შიგ. ამჯერად ჩემი ამხანაგი მოკუნტული იჯდა და მცირე ადგილი ეკავა: მე ვუბრძანე გასუსული მჯდარიყო, ნავს კა თვითონ ემართავდი. გამიკვირდა, ექიმი რომ უყოყმანოდ დამემორჩილა და არც კი განძრეულა; საქმე ის იყო, რომ ცურვა არ იცოდა, და კიდევ ერთი მარცხი რომ მოგვევლოდა, მარჯნის რიფები შეიძლება აღარ გვექონოდა ფეხქვეშ.

— დახრჩობა ცხოვრებასთან განშორების უსუსური საშუალებაა, — წამოიძახა მან, როცა დაცინვა დაუწყვე, — და მე არ ვაპირებ, რომ ამით თავი შევირცხვინო.

ბოლოს როგორც იქნა მივუახლოვდით გემს, თან ფრთხილად ვუსვამდით ნიჩაბს, რომ შკანცებიდან არ ეკიჟინათ ჩვენთვის. გემის ცხვირს რომ გავუარეთ, ხმადაბალი სტვენა მოგვესმა. ეს პირობითი ნიშანი იყო. სულ მალე თოკით ჩამოუშვეს კარგა მოზრდილი ტომარა. თოკის ბოლო გადავჭერით და რაც შეგვეძლო მოვუსვით ნაპირისაკენ. შინ მშვიდობით მივედით. იქ მოუთმენლად გველოდნენ დანარჩენები.

ტომარა გატენილი იყო მოხარშული ბატაჩით, დამარილებული ძროხისა და ღორის ზორცით და განთქმული მატროსული პუდინგით, რომელიც ფქვილისა და წყლისაგან კეთდება და სიმაგრით ცუდად გამოიწვარ აგურს წააგავს. ამნაირი საუცხოო საჭმელებსა და კარგი მადის მქონენი კალაბუსიდან გამოვედით და მთვარის შუქზე ნადიმი გავმართეთ

მოტუ-ოტუ. ტაიტელი კაზუისტი

„აბების კოლოფს“ მარტო იმ მიზნით როდი ვიყენებდით, წინა თავში რომ აგიწერეთ. ზოგჯერ ამ ნავით ვსეირნობდით კიდეც.

სწორედ პაპეეტეს ყურის შუაგულში მდებარეობს მეტად საამო სანახავი ამწვანებული პატარა მრგვალი ფორმის კუნძული — მოქანავე პალმების მთლიანი ჭალა, რომელიც სივანით ას იარდზე მეტი არ იქნება. კუნძული მარჯნის წარმოშობისაა; ირგვლივ ასეულ ფუტზე წყალი იმდენად თხელია, რომ ყველგან შეიძლება გახვიდე ფონს. ჰაერივით გამჭვირვალე წყალში მოჩანს ათასნაირი ელფერისა და მოყვანილობის მარჯნები: ირმის რქები, ლაქვარდოვანი ბუჩქები, მოქნილი ლერწმები, პურის ღეროებს რომ ჰგვანან, ხასხასა მწვანე კოკრები და ხავსები. ალაგ-ალაგ ეკლიან ტოტებში მოჩანს ჯილეებით მოფენილი ქვიშოვანი ფსკერი; აქ დაცოცავენ რაღაც უცნაური არსებანი: ზოგი ეკლებითაა დაფარული, ზოგს ჩინებული ჯავშანი მოსავს; აქა-იქ მოძრაობენ ბურთულები, რომლებიც სულ მთლად თვალებად ქცეულან.

კუნძულს ჰქვია მოტუ-ოტუ. მთვარიან ღამეებში ხშირად დაცურავდი მის გარშემო ნავით; წამდაუნუმ ვჩერდებოდი და წყალქვეშა ბაღების ცქერით ვტკებოდი.

მოტუ-ოტუ დედოფლის კუთვნილებაა: იქ არის მისი რეზიდენცია — ხეებს შორის ჩამწკრივებული ქოხმახები, რომლებიც უპატრონოდაა მიგდებული და თანდათანობით ინგრევა.

კუნძული თავს დაჰყურებს ნავსადგურს, და მისმა უდიდებულესობამ რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რათა იგი ციხესიმაგრედ ექცია. ნაპირი მაღლა ასწიეს, მოასწორეს და მასზე აღმართეს გათლილი მარჯნის ლოდების დაბალი მესერი, რომლის უკან ერთმანეთისაგან კარგა მოშორებით ჩამწკრივებულან სხვადასხვა ნიმუშისა და კალიბრის ძველი დაუანგებული ზარბაზნები. ისინი დგანან ძველისძველ დაბრეცილ ლაფეტებზე, რომლებიც უმაქნის ტვირთს ძლივძლივობით იკავებენ და ჩამონგრევას აღარაფერი უკლიათ. ზოგიერთ ლაფეტს უკვე ანგარიში გაუსწორებია ცხოვრებასთან, და

ზარბაზნები, რომლებსაც ისინი იკაეებდნენ, ახლა ქვიშაში ნახევრად ჩაფლული ყრია მათს ვადათეთრებულ ძვლებს შორის. ზოგი ზარბაზანი გატენილია — ალბათ იმიტომ, რომ უფრო საშიში ჩანდეს. ისინი მართლაც საშიშია ყველასათვის, ვინც კი მათ გასროლას შეეცდება.

ეს საცოდავი ძველი „მრისხანე ძალები ომისა“, რომლებიც პომარესათვის სხვადასხვა დროს უჩუქებიათ ინგლისის სამხედრო გემების კაპიტნებს, დგანან ახლა უენებელნი და დასაღუპავად განწირულნი, ოდესღაც კი ძველი ინგლისის ეს საბრძოლო ქოფაკები ხროვა-ხროვად ყფდნენ ყველა ზღვაზე.

მოტუ-ოტუში იყო რაღაც ისეთი, რომელმაც განმაცვიფრა, და გადაეწყვიტე ფეხი დამედგა მის მიწაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავშიშველი მოხუცი გუშაგი თავის ულაზათო იარაღით მემუქრებოდა მთვარის შუქზე. რადგან ჩემი პირაგუა სამღუიმზე ღრმად არ იყო წყალში, მე შემემლო ისე მივდგომოდი მესერს, რომ თავთხელზე დარჩენის შიში არ მქონოდა. მაგრამ მიეუახლოვებოდი თუ არა, ჩემკენ გამოობოდა თოფგადმოღერებული მოხუცი, თუმცა კონდახი არასოდეს მიუღვია მხარზე. მე მეგონა, მაშინებს-მეთქი. ბოლოს როგორც იქნა გავბედე, ზედ მესერთან მივაყენე პირაგუა და ახლა გადახტომალა მაკლდა. ეს იყო ყველაზე წინდაუხედავი ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში, რადგან ადამიანის გოგრას აქამდე არასოდეს დამუქრებია გატეხის ასე გარდუეალი ხიფათი. მოხუცებულმა გუშაგმა თოფის კონდახი მომიქნია, და მე ძლივს მოვასწარი ამეცდინა საშინელი დარტყმა. იძულებული შევიქენი გაქცეულიყავი, ნავში ჩაეჯექი და როგორც იქნა გავედი სამშვიდობოს.

გუშაგი ალბათ მუნჯი იყო, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში სიტყვაც არ დასცდენია; მთვარის შუქზე ბამბის თეთრი მოსასხამი უქათქათებდა და ისე იღრიჭებოდა, რომ კუნძულის რომელიმე ავ სულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

მე შევეცადე მიზნისათვის მიმეღწია და ახლა ზურგიდან დაუარე გუშაგს, მაგრამ საითაც არ უნდა წავსულიყავი ნავით თუ ფეხით, მაინც გზას გადამიჭრიდა ხოლმე, თავისი დაწყევლილი თოფით მემუქრებოდა და გასაქანს არ მამლევდა. ბოლოს უკან დავიხიე, და ჩემი ალთქმა შეუსრულებელი დარჩა.

მოტუ-ოტუს მესერთან განცდილი მარცხის შემდეგ რამდენიმე დღე იყო გასული, როცა ერთ სასაცილო პაექრობას შევესწარი. ეს პაექრობა გაიმართა ჩვენს უსწავლულეს ექიმსა და ტაიტიზე ჩემ მიერ ნახულ მკვიდრებში ყველაზე ჭკვიანსა და საზრიან კაცს შორის.

სიტყვა ჩამოვარდა შემდეგზე: აქვს თუ არა უფლება ადგილობრივ მკვიდრს, რომ ევროპაში შემოღებულ კვირა დღეს უქმობდეს, ნაცვლად იმ კვირა დღისა, რომელიც მისიონერებმა დაუწესეს ყველა კუნძულელს.

უნდა განმეარტოთ, რომ სახელგანთქმული გემით „დაფით“ მოსული მისიონერები, რომლებმაც ნახევარ საუკუნეზე ადრე შემოიღეს ტაიტიზე ჩვენი წელთაღრიცხვა, კეთილი იმედის კონცხის შემოვლის შემდეგ მოვიდნენ აქ; აღმოსავლეთისაკენ რომ მიცურავდნენ, მათ დაახლოებით ერთი დღე-ღამით გაუსწრეს გრინვიჩის დროს და ამით თავიანთი ცხოვრების ერთი დღე დაკარგეს, ამიტომ გემები, რომლებიც პორნის კონცხის შემოვლით მოდიან აქ (როგორც ახლა ხდება უფრო ხშირად), აღმოაჩენენ ხოლმე, რომ ტაიტიზე კვირა ემთხვევა დღეს, რომელიც, მათი აზრით, შაბათია. მაგრამ რაკი სახომალდო ჟურნალში თარიღების გადასწორება მიღებული არ არის, ამიტომ მეზღვაურები თავის კვირა დღეს უქმობენ, კუნძულები — თავისას.

ეს გაუგებრობა საგონებელში ავდებს საწყალ ადგილობრივ მკვიდრთ, მაგრამ მათთვის ამ მიუწვდომელი მოკლენის ახსნა სავსებით უნაყოფოა. ერთხელ მოწმე გავხდი იმისა, თუ როგორ ცდილობდა ერთი პატივცემული მოხუცი მისიონერი რამდენადმე გაეშუქებინა ეს საკითხი. თუმცა მე თითქმის არც ერთი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ აზრი ჩემთვის სრულიად ნათელი იყო. ეს სიტყვები დაახლოებით ამას ნიშნავდა:

— აი ხედავთ ამ წრეს, — ეუბნება მისიონერი და თან ჯოხით დიდ წრეს ხაზავს. — ძალიან კარგი; შეხედეთ ახლა ამ ადგილს, — წრეხაზზე წერტილს სვამს, — აგერ ბერეტანი (ინგლისი). მე დაეცურავ ტაიტის გარშემო. პოდა, ასე ემოძრაობ, — იგი მიჰყვება წრეს, — აგერ მზე მოძრაობს, — მეორე ჯოხს იღებს და ფეხმოქცეულ კუნძულელს აეალებს, რომ საწინააღმდეგო მიმართულებით იაროს წრეხაზზე. — მაშ, ორი-

ვე გავუდექით გზას და ორივე თანდათან ვშორდებით ერთმანეთს; და აი, ხელავთ, მე მივალწიე ტატიის, — იგი უეცრად ჩერდება, — აბა, შეხედეთ, სად არის ახლა ფეხმოქცეული!

მაგრამ მსმენელთა ბრბო ჯიუტად ადგა იმ აზრს, რომ ფეხმოქცეული სადღაც მათ თავზე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, გადმოცემის მისეღვით, მზე სულ მაღლა იყო, როცა ადამიანები გვიან „დაფიდან“ ნაპირზე გადმოვიდნენ. აქ მოხუცი ჯენტლმენი, რომელიც უთუოდ კარგი კაცი იყო, მაგრამ ასტრონომი მაინც არ გახლდათ, იძულებული შეიქნა უარი ეთქვა შემდგომ ცდაზე.

მართალია, კაზუისტი არჰიტუ საეკლესიო თემის წევრი იყო და არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, თუ რომელი კვირა ღლე უნდა ეუქმა, მაგრამ სხვა საკითხებში მეტისმეტი წესიერებით არ გამოიჩინოდა. როცა გაიგო, რომ მე ვიყავი „მიკონარი“ (ანუ ადამიანი, რომელმაც იცის კითხვა და კალმის ოსტატურად ხმარება), მთხოვა მცირედი სამსახური გამეწია მისთვის და დამემზადებინა რამდენიმე ყალბი ქალაღდი; ოღონდ ეგ საქმე გამიკეთე და, შენი ძალიან მაღლობელი ხომ ვიქნები, შემწვარი ღორის ხორცი და ტარო კიდევ ჩემზე იყოსო.

არჰიტუ ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც სულ გემებს უტრი-ალეებს და იმის მოლოდინშია, რომ როგორმე თეთრეული მიიღოს გასარეცხად; რადგან მეტოქეები ბევრი ჰყავდა (ყველაზე ამაყი ბელადებიც არ თაკილობენ შეკვეთის გამოთხოვას, თვით სამუშაოს კი მათი მსახურნი ასრულებენ), მან გადაწყვიტა მიემართა ხერხისათვის, რომელიც ერთმა ამხანაგმა, გამოცდილმა მატროსმა ასწავლა. არჰიტუს უნდოდა იმ სამხედრო და სავაჭრო გემების კაპიტანთა ყალბი რეკომენდაციები, რომლებიც, როგორც ყველამ იცოდა, ტატიზე იყვნენ ნამყოფი; ამ საბუთებში ის უნდა ყოფილიყო დასახელებული როგორც თეთრეულის რეცხვის საუკეთესო ოსტატი მთელ პოლინეზიაში.

თუმცა არჰიტუს სულ ორი საათის გაცნობილი ყვაედი, მან მიღებ-მოღების გარეშე ჩამოაყალიბა თავისი თხოვნა, რაც საკმაო თავხედობად მივიჩნიე და ეს ვუთხარი კიდევ. მე ვერაფრით ვერ შევძელი ოღნავ მაინც დამეეჭვებინა იგი ამგვარი სიყალბის ჩადენის შესაძლებლობაში; ეს არც მწყენია მისგან, უბრალოდ აედექი და უარი ეუთხარი.

კაცს ივით ავასეზენ, თუ ვისთან მეგობრობს

კაპიტან ბობთან ცხოვრება გარკვეული სიახლის წყალობით ერთხანს სასიამოვნოდაც კი გვეჩვენებოდა, მაგრამ მასთან დაკავშირებული იყო აგრეთვე ის უხერხულობანი, რომლებსაც ვერა და ვერ ურიგდებოდა „მგრძნობიარე სული“.

კონსულისა და სხეების არაკეთილმოსურნე შეფასების გამო კუნძულზე მცხოვრები ბევრი პატივცემული უცხოელი როგორც ბოროტმოქმედ მაწანწალათა ბანდას, ისე გვიყურებდა. თუმცა, მართალი გითხრათ, აქაურ ნაპირზე ჯერ არ დაუდგამთ ფეხი მატროსებს, რომ ჩვენზე უკეთ მოქცეულიყვნენ ანდა ასე ცოტა უსიამოვნება მიეყენებინოთ ადგილობრივი მკვიდრთათვის. და მაინც, დაგვინახავდა თუ არა რომელიმე წესიერად ჩაცმული ევროპელი, თითქმის ყოველთვის გაგვირბოდა და გზის მეორე მხარეს გადადიოდა. ეს ძალზე არასასიამოვნო იყო, ყოველ შემთხვევაში — ჩემთვის; თუმცა ზოგიერთებს მაინცდამაინც არ აწუხებდათ.

მოვიყვან მაგალითს.

კარგ საღამოს — თუმცა ტაიტიზე ყოველი საღამო კარგია — თქვენ დაინახავთ წნორიან გზაზე მომავალ აბრეშუმის კაპორებისა და ქოლგების პროცესიას, ანდა ფერმკრთალ თეთრ ბიჭუნებს, პატარა ავადმყოფური სახის უცხოელებს. ჯგუფ-ჯგუფად რომ მოდიან, და კიდევ უფრო ხშირად — ხელჯონიან დარბაისელ ხნიერ ჯენტლმენებს. მათ გამოჩენაზე ადგილობრივი მკვიდრნი ქოხებში იმალებიან. ეს მისიონერები სეირნობენ თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად. ზოგჯერ ცხენებზე ამხედრებულნიც კი გამოდიან, ვენერას კონცხამდე მივლენ ზოლმე, მერე უკან ბრუნდებიან და ასე გადიან რამდენიმე მილს. იმ დროს იქ ცხოვრობდა ერთადერთი კაცი, რომელიც გადარჩენილიყო ცოცხალი ტაიტიზე პირველად მოსულ მისიონერთა შორის. ეს ჭალარა კაცი, შესახედავად წმიდანს რომ ჰგავდა, გახლდათ უილსონი, ჩვენი ნაცნობი კონსულის მამა.

ფეხით მოსეირნეთა პატარა-პატარა ჯგუფები ხშირად გვხვდებოდნენ; ისინი იმდენ სასიამოვნო რამეს მაგონებდნენ

ჩემს სამშობლოსა და ქალთა საზოგადოებაზე, რომ მე ვოცნებობდი ფრაკსა და თახვის ტყავის შლაპაზე, რომლებიც საშუალებას მომცემდნენ მივსულიყავი მათთან და უმორჩილესად მივსალმებოდი. მაგრამ იმ მდგომარეობაში, რომელშიც მე ვიყავი, ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. თუმცა, ერთხელ რომელიღაც მანდილოსანმა, რომელსაც კუბოკრული კაბა ეცვა, დაკვირვებით და კეთილი თვალით შემომხედა. ო, კეთილო ქალბატონო! ის ახლაც მახსოვს. შოტლანდურის კაბა ეცვა.

მაგრამ ყველა როდი მაჯილდოებდა ამგვარი შემოხედვით.

ერთ საღამოს მისიონერის სახლს ჩავუარე. ვერანდაზე ისხდნენ ქალბატონი, მისი ცოლი, და სანდომიანი სახის ქერა კულულებიანი ქალიშვილი; ისინი ტკბებოდნენ ბრიზით, რომელიც კლდეებზე დამსხვრეული ტალღებიდან უბერავდა და მაცოცხლებელი სიგრილე მოჰქონდა. სანამ ვუახლოვდებოდი, ხნიერი ქალბატონი მრისხანედ მადევნებდა თვალს, თითქოს მისი ჩაჩიც კი სასტიკ საყვედურს გამოხატავდა. მის გვერდით მყოფი ცისფერი თვალებიც მიცქეროდნენ. მაგრამ, ღმერთო ჩემო! როგორი მზერა ჰქონდა მოაყრობილი ჩემკენ ამ მშვენიერ არსებას! იმის საშინელ ჩაჩს რას დავეძებდი, მაგრამ კულულებიანმა ქალიშვილმა რომ თავისი წრისათვის შეუფერებელ ახალგაზრდად ჩამთვალა, აი ეს კი ვეღარ ავიტანე.

გადავწყვიტე თავაზიანად მივსალმებოდი ქალებს, რომ ჩემი ზრდილობა მაინც მეჩვენებინა. მაგრამ რადგანაც ტანზე დოლბანდის მაგვარი რაღაცა მეხვია, — ამაზე შემდგომ დაწვრილებით ვიამბობთ, — ამიტომ მისი მოხსნა, ასე თუ ისე მოწესრიგება და კვლავ მოხვევა ყოელად შეუძლებელი ჩანდა, რაღას ვიზამდი, მხოლოდ თავის დაკვრას უნდა დავჯერებოდი. მაგრამ აქ სხვა დაბრკოლება წარმოიშვა: ისეთი ზომის ქურთუკი მეცვა, რომ საეჭვო იყო ჩემი წელში მოხრა შეემჩნინათ.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო, — შევმახე და რამდენადმე გაბედული ნაბიჯი გადავდგი წინ. — შესანიშნავი სიოქრის ზღვიდან, ქალბატონებო.

ისტერიკა დაემართათ და ერთმანეთს საყნოსავი მარილით

დაუწყეს მოსულიერება! რას ვიფიქრებდი? ახალგაზრდა ქალ-ბატონი კიოდა, ხნიერს კინალამ გული წაუვიდა. მე ჩემდათავად თავექუდმოგლეჯილი გამოვიქეცი და მხოლოდ მაშინ მოვი-თქვი სული, როცა კალაბუსას მივალწვი.

თ ა 3 0 44

პაპოარეს ტაძარი. ქოქოსის კალეზის ეკლესია

კვირაობით დავდიოდი ხოლმე ადგილობრივ მკვიდრთა მთავარ ეკლესიაში, სოფელ პაპეეტეს ბოლოს, „კალაბუსა ბერეტანის“ შორიახლოს რომ იდგა. ეს ეკლესია ტაიტური ხუროთმოძღვრების ნიმუშს წარმოადგენდა.

უკანასკნელ წლებში კუნძულები ტაძრების აგებისას უფრო მეტად ზრუნავენ სიმტიკიცზე, ვიდრე წინათ. ადრე ერთ კუნძულზე ააგებდნენ ხოლმე ორმოცამდე ეკლესიას — უბრა-ლო ფარდულებს, რომლებსაც წნელებით კრავდნენ; ერთი-ორი წლის შემდეგ გაიხედავდი და მათი ხსენებაც აღარ იყო.

ერთი ეკლესია, რომელიც ამგვარად ააშენეს რამდენიმე წლის წინათ, უშესანიშნავეს ნაგებობას წარმოადგენდა. ის ააგო მეფე პომარე II, რომელმაც ამ შემთხვევაში პროზე-ლიტის დიდი გულმოდგინება გამოიჩინა. შენობა შვიდას ფუტზე მეტი სიგრძისა და შესაბამისი სიგანისა იყო; ვეებერ-თელა კიცურა ეყრდნობოდა პურის ხის ოცდათექვსმეტ მრგვალ სვეტს, რომლებიც ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით იყო ჩამწყრივებული: ზედა შემოსაკრავი ყველგან ეყრდნობოდა პალმის სვეტებს. ციცაბო სახურავი პალმისა იყო და ადამიანის სიმაღლემდე ეშვებოდა, კედლები კი ეკლესიას არ ჰქონოდა. აი რა ვრცელი იყო სამეფო ეკლესია, რომელიც პაპოარეს მისიასთან იქნა აგებული.

საზეიმო გახსნისას კუნძულის ყოველი მხრიდან შეკრები-ლი უამრავი ხალხის წინაშე მისიონერებმა ერთდროულად სამი ქადაგება წარმოთქვეს სამი კათედრიდან.

რადგან ეკლესია მეფის განკარგულებით იქნა აგებული, მის აშენებაში იმდენივე ხალხი მონაწილეობდა, რამდენიც

იერუსალიმის დიდი ტაძრის აგებისას. თუმცა, დრო ბევრად ნაკლები დასჭირდათ. სამი კვირაც არ გასულა პირველი სვეტის დაყენების შემდეგ, რომ ლავგარდანებიდან უკვე დაეშვა პალმის ფოთლების უკანასკნელი წყება, და ყველაფერი მოთავდა.

ეს უზარმაზარი სამუშაო განაწილდა რამდენიმე ბელადს შორის, რომლებმაც თავიანთი ქვეშევრდომებიც გამოიყენეს, საქმე ძალიან გააიოლა იმან, რომ მშენებლობის ყოველ მონაწილეს მოჰქონდა სვეტი ან ნივნივი მასზე დამაგრებული პალმის ფოთლებით და იმწამსვე აყენებდა საჭირო ადგილას. ამგვარად მომზადებულ მასალას წნელებით შეკვრის გარდა არაფერი სჭირდებოდა, ასე რომ მშენებლობისას არ ისმოდა „არც ჩაქუჩის, არც ნაჯახის და არც რაიმე სხვა იარაღის ხმა“.

მაგრამ პოლინეზიური ტაძრის ყველაზე შესანიშნავ თავისებურებაზე ჯერ კიდევ არ შეეჩერებულვარ. კუნძულებებს მთის მდინარეების ახლოს უყვართ დასახლება. ისინი სილამაზესაც უწევენ ანგარიშს და ადგილმდებარეობის უპირატესობასაც; და აი მათ სამ ადგილას გადაკეტეს და პირდაპირ ეკლესიასთან ჩამოატარეს ბორცვებიდან დაშვებული საკმაოდ დიდი ნაკადული, რომლითაც ველს რწყავდნენ.

მდინარე! როგორ ეხმატკბილება იგი წმიდა გალობას. ყველაფერ ამას ერწყმოდა ქებათა ქება უზენაესისადმი, მოტანილი კუნძულის სიღრმეში ჩაკარგული უღრანი ტყეებიდან.

მაგრამ პოლინეზიელი სრლომონის ტაძარი დიდი ხანია მივიწყებულია. მისი ჰიბისკუსის ათასობით ნივნივი დალპა და ძირს ჩამოვარდა; და ახლა ისინი ხერგავენ კალაპოტს მდინარისას, რომელიც ჩხრიალით გადარბის მასზე.

დღევანდელი საეპარქიო ეკლესია სულ არა ჰგავს ახლან ხან აღწერილს, იგი საშუალო ზომისაა, მთლიანად შეფიცრულია და თეთრადაა შეღებილი. სარკმლის სიოებში ჩარჩოები არ არის ჩასმული; დარაბები კი იკეტება; ფოთლის სახურავი რომ არა, ამერიკის რომელიმე ქალაქის უბრალო ეკლესიას ეგვანებოდა.

შენობის ყველა ხის ნაწილი მოსულმა ხუროებმა დაამზადეს, რომლებსაც ყოველთვის შეხვდებით პაპეეტში.

ეკლესიის შიგნითა ხელი მეტისმეტად თავისებურია და

უთუოდ დააინტერესებს უცხოელს. ნივნივებს ნაირფერად შეღებილი თხელი ჭილოფები აქვს შემოხვეული. მთელი კიცურას გაყოლებაზე ჰკიდია ფოჩების კონები, შეღებილი ბალახის ფოჩები და სხვა მორთულობანი. იატაკი გაურანდავი ფიცრებითაა დაგებული. გასასვლელში აქეთ-იქით ჩამწკრივებულა ადგილობრივ მკვიდრთა ხელით დამზადებული გრძელი სკამები, რომლებსაც ქოქოსის პალმის ბოჭკოებისაგან მოწნული დასაჯდომები და საზურგეები აქვთ.

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელია მუქი პრიალა ხისაგან დამზადებული კათედრა, რომელიც ტაძრის ბოლოში დგას. იგი შეუფერებლად მაღალია; კათედრაზე ასულს შეუძლია გაფრენილი ჩიტის სიმაღლიდან გადმოაელოს თვალი მრევლს.

ეკლესიას აივანიც აქვს, რომელიც ქოქოსის პალმის სვეტებს ეყრდნობა და სამ მხარეს აერთებს. აივანი აქა-იქ ცისფრადაა შეღებილი. ასეთივე ლაქები შეიძლება შენიშნოთ სხვა ადგილებშიც (არავითარი ზრუნვა სიმეტრიაზე). ეტყობა, ახალმოქცეულთა შორის, რომლებსაც გულით ეწადათ გაელამაზებინათ ტაძარი, თითო ფუნჯი ყველამ იშოვა, ბარაქიანად ამოაელო საღებავში და გულმოდგინედ უსვა და უსვა, სადაც მოეპრიანა.

როგორც უკვე მოვიხსენიე, ეკლესია ფრიად უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. სინათლე ცოტა აღწევს, შიგნით ყველაფერი მუქ ფერებშია გადაწყვეტილი და ამიტომ რალაცნაირი პირქუში წარმართული ბინდბუნდი სუფევს მის კედლებში. თანაც საკმარისია შეხვიდეთ, რომ იმწამსვე ცხვირში გეცეთ მერქნის სუნი, რომლითაც გაჟღენთილია პოლინეზიის ყველა დიდი ნაგებობა. ის მოგაგონებთ მატლებისაგან გამოფიტულ კერპებს, რომლებიც სადღაც ახლოს არიან დამალული საკუჭნაოში.

პაპოარეს ეკლესიის მრევლი ძირითადად მაღალ და შეძლებულ წოდებებს ეკუთვნის; ესენი არიან ბელადები და მათი ვასალები, მოკლედ — კუნძულის არისტოკრატები. ისინი სილამაზითა და ფიზიკური განვითარებით ბევრად სჭარბობენ უბრალო ხალხს, ანუ „მარენპოარს“, რადგან ამ უკანასკნელებს უფრო დაეტყვოთ ურთიერთობა უცხოელებთან, რომლებმაც შემოიტანეს საზიზღარი ავადმყოფობანი, გადაშენებამდე რომ მიჰყავს ხალხი. კვირაობით დიდგვაროვანი ადამიანები საუ-

ცხოვრობს ტანისამოსში გამოეწყოებიან ხოლმე და ისე გამოდიან. ძალით როდი სჭირდებათ მოთრევა, როგორც სხვა ეკლესიის მღაბიოებს; პირიქით, მათ აქვთ კოხტად გამოწყობის საშუალება, აგრეთვე უფრო მაღალი გონებრივი განვითარება და თვითონაც ხალისით მოდიან აქ.

იმ ხის სვეტების გამო, რომლებსაც გალერეა ეყრდნობა, ამ ეკლესიას ქოქოსის პალმების ეკლესია შეეარქვი.

იქ პირველად ვნახე ქრისტიანული ღვთისმსახურება პოლინეზიის კუნძულებზე; როცა შევედი, წირვა უკვე დაწყებული იყო, ამიტომ მეტად ძლიერი შთაბეჭდილება დამრჩა. იქ შეკრებილიყვნენ დიდებული ბელადები, რომელთა მამები საბრძოლო ხელკეტებს ისროდნენ, და მოხუცები, რომლებიც ხელადნენ, თუ როგორ იწვოდა მსხვერპლი ოროს საკურთხეველზე. მაგრამ ეს რა არის? ისმის ზარის ხმა; ზარი პურის ხეზე ჰკიდია გარეთ, და კუნძულები ყმაწვილი რკინის წნელს ურტყამს. ოდესღაც სწორედ ამ ადგილას სმირად ისმოდა ნიჟარების ხმა, საომრად რომ მოუწოდებდა მებრძოლებს. მაგრამ მოდი ახლა რაც ეკლესიაში ხდება, იმას დაუებრუნდეთ.

ეკლესია ხალხითაა სავსე. ყველგან გეცემათ თვალში სხვადასხვა სახისა და ფერის ჩითის ტანისამოსი — მაღალი წოდების ადამიანების საკვირაო მორთულობა. ზოგიერთს ისეთ თარგზე აქვს გამოჭრილი, რომ რაც შეიძლება ჰკავდეს ევროპულ კოსტიუმებს; ეს მეტისმეტად ცუდ გემოვნებაზე მეტყველებს. აქა-იქ შეიძლება დაინახოთ ქურთუკები და შარვლები, მაგრამ ისინი როგორღაც არ შეეფერება აქაურობას და საერთო შთაბეჭდილებას არღვევს.

მაგრამ ყველაზე მეტად სახეები გაოცებთ. სახე ყველას წამოსწითლებია იმ განსაკუთრებული აღლევების გამო, რასაც იწვევს პოლინეზიელებში ერთად თავშეყრა: ყველას ტანისამოსს შარიშური გააქვს, ყველანი ხელ-ფეხს ამოძრავებენ, მწკრივებად მჯდარი ხალხი ჟრიაბულობს. ისეთი ხმაურია, რომ კათედრაზე ასული მოხუცი მისიონერის მშვიდი ხმა თითქმის არ ისმის. ბოლოს, ექვსიოდე თეთრხალათიანი, მაგრამ უშარვლო ჭაბუკების მეცადინეობით ასე თუ ისე ჩუმდება ხალხი. ისინი ცდილობენ მოსულები დაარწმუნონ, რომ ხმაური ყოვლად დაუშვებელია. თანაც ამ დროს თვითონ ტეხენ ყოვლად უსარგებლო ყაყანს. წირვის ეს ნაწილი მეტისმეტად კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეკლესიასთან არსებობს ძალზე თავისებური საკვირაო სკოლა; იმ დღეს მოწაფეებს, მკვირცხლი, ანცი ყმაწვილების ჯგუფს, გალერიის ნაწილი ეკავა. მე მართობდა კუთხეში მჯდარი ეს ჯგუფი. გრძელი სკამის კიდეზე იჯდა მასწავლებელი, მის გვერდით კი წყნარი ყმაწვილი. როცა სხვები წესრიგს არღვევდნენ, ნორჩ მოწამეს კინწისკვრით უმასპინძლებოდნენ — ეტყობა, დანარჩენების ჭკუის სასწავლებლად, რომ მათ სცოდნოდათ რა მოელოდათ, თუ არ გაჩუმდებოდნენ.

შუაგულ ეკლესიაში იდგა სვეტზე მიყრდნობილი ვიღაც მოხუცი, რომელიც გარეგნობით ძალიან განსხვავდებოდა თანამემამულეებისაგან. გახუნებული ტაპის უხეში მანტიის გარდა არაფერი ემოსა; გოცებულსა და დაბნეულს სახეზე შეკატყე, რომ ეს მოხუცი გლეხი ქვეყნის შიდა ნაწილის მცხოვრები იყო, როგორც ამბობენ, სრულიად გაუთლელი, დედაქალაქის უცნაურ სანახაობებსა და ხმაურს შეუჩვეველი. ვიღაცამ უკმინხად შენიშნა, სარგადაყლაპულივით დგახარ და უკან მსხდომთ ეფარებიო. დარბაისელი მოხუცი ვერ მიუხვდა, რა უნდოდათ; მაშინ თეთრებში გამოწყობილმა ერთ-ერთმა ჭაბუკმა არც აცივა, არც აცხელა, დაავლო მხრებში ხელი და ძალისძალად დასვა ადგილზე.

ამ სცენის შემყურე კათედრაზე ასულ მოხუც მისიონერს — ისევე როგორც დაბლა მდგარ მის ამხანაგებს, — არც კი უცდიათ საქმეში ჩარეულიყვნენ და ყველაფერი ადგილობრივ მკვიდრთ მიანდეს. მხოლოდ ასე შეიძლება იქცეოდეს კაცი სამხრეთის ზღვების კუნძულების მცხოვრებთა შორის, როცა ისინი შეიყრებიან.

თ ა 3 0 4 5

მისიონერის ჯაღაგება და შიქრები მის შესახებ

როცა ასე თუ ისე დამყარდა წესრიგი, წირვა გაგრძელდა და დაიწყო გალობა. გუნდში გალობდა მისიიდან გამოვზავნილი თორმეტი-თხუთმეტი ქალი, რომლებიც კათედრის მარ-

ცხნივ გრძელ სკამზე ჩამომსხლარიყვენ. მას აჰყვებოდა თითქმის მთელი მრევლი.

პირველმა საგალობელმა გამოცა. ეს იყო ჰანგები ძველი საგალობლისა, რომელიც ტაიტურ ფსალმუნად გადაეკეთებინათ. იმ არამიმზიდველი სცენების შემდეგ, მე რომ შევესწარი, გალობა და მთელი მისი თანმხლები ვითარება ძალიან ამაღლებელი მეჩვენა.

ბევრ კუნძულელს დიდი დიაპაზონის მეტად სასიამოვნო ხმა ჰქონდა. მგალობლები, როგორც ჩანს, თვითონვე უზომო სიამოვნებას განიცდიდნენ; ზოგი მათგანი დროდადრო ჩერდებოდა და აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ცდილობდა უფრო ღრმად შეეგრძნო, რაც ზღებოდა. სიმართლე რომ ვთქვათ, ისინი ძალიან მხიარულად გალობდნენ, მიუხედავად მელოდიის სიღინჯისა.

ტაიტელები დიდი მუსიკალური ნიჭით არიან დაჯილდოებული და რა ყოფაშიც არ უნდა იყვნენ, მაინც მღერიან. მე ხშირად გამიგონია, როგორ ღიღინებდნენ თავქარიანი ახალგაზრდები ფსალმუნის სტროფებს, გეგონება ოპერის რიმიქლიმე ნაწყვეტს ასრულებენო.

სიმღერის თვალსაზრისით, ისევე როგორც ბევრი სხვა რამით, ტაიტელები ძალიან განსხვავდებიან სანდვიჩის კუნძულების მკვიდრთაგან. იქ მრევლი კი არ გალობს, ბლავის.

როცა ფსალმუნი დასრულდა. ლოცვად დადგნენ. გამოცდილმა მოხუცმა მისიონერმა განგებ აღარ გააგრძელა ლოცვა, რადგან მრევლს იმთავითვე მოუსვენრობა დაეტყო.

შემდეგ ტაიტურ ენაზე წაიკითხეს ბიბლიის ერთ-ერთი თავი, შეარჩიეს ტექსტი და დაიწყო ქადაგება. მას ბევრად უფრო დიდი ინტერესით ისმენდნენ, ვიდრე მოველოდი.

ბევრს უამბია ჩემთვის, რომ ქადაგება, რომელიც იმისთვისაა განკუთვნილი, რომ ალალმართალი მსმენელები მიიზიდოს. უცხოელებს ცოტა არ იყოს სასაცილოდ ეჩვენებათ; მისიონერები დაწერილებით აღწერენ ხოლმე გემებს, ლორდმერების კარეტებს და ლონდონში აშეებულ შუშხუნებს. ამიტომ მე ვიშოვე კარგი თარჯიმანი — ერთი საზრიანი ჰავაელი მატროსი, რომელიც ამას წინათ გავიცანი.

— აბა, ჯეკ, — ვუთხარი, — სანამ ეკლესიაში შევიდოდით, — როგორც კი მისიონერი ლაპარაკს დაიწყებს, არც ერთი სიტყვა

არ გამოგეპაროს და რაც შეიძლება დაწვრილებით მითარგმნე.

ჯეკმა ქადაგება ალბათ სრულყოფილად ვერ გადმოცა; თანაც მაშინვე არ ჩამიწვრია. მაგრამ მაინც შევეცდები აღვადგინო, რაც მეხსიერებაში შემომრჩა; ამ დროს შეძლებისდაგვარად გამოვიყენებ თვით ჯეკის გამოთქმებს, რომ ორმაგი თარგმანის გამო არაფერი დაიკარგოს.

— ჩემო კეთილო მეგობრებო, მახარებს თქვენი ნახვა და დიდად კმაყოფილი ვარ, რომ შემიძლია დღეს მცირე ხანს გესაუბროთ. კეთილო მეგობრებო, ცუდი დრო დაუდგა ტაიტის; ამიტომ ვიდვრები ცრემლად. დედოფალი პომარე წავიდა... კუნძულის მფლობელნი თქვენ კი აღარა ხართ, არამედ ვი-ვი (ფრანგები). ბოროტი მამებიც აქ არიან; ქალის სამოსში გამოწყობილნი და სპილენძისძეწკვიანი ბოროტი კერპებიც¹.

— კეთილო მეგობრებო, ნუ დაელაპარაკებით მათ, ნურც შეხედავთ... დიას, მე ვიცი, რომ ამას არ იზამთ... ისინი, ეს ბოროტი ვი-ვი, ყაჩაღები არიან. მალე ამ ცუდ ადამიანებს გაჰყრიან. ბერეტანიდან ქუხილით შემოვლენ გემები, და ისინი აქაურობას გაშორდებიან. მაგრამ ჯერჯერობით კმარა, ამაზე მცირე ხნის შემდეგ ელაპარაკებით კიდევ.

— კეთილო მეგობრებო, ბევრი ვეშაქსანადირო გემი შემოვიდა აქ, ბევრი ცუდი ადამიანიც მოჰყვა. მათ შორის არ არიან კარგი მატროსები — თქვენ ეს მშვენივრად იცით. ისინი აქ იმიტომ მოდიან, რომ მათსავით ცუდებს სახლში არავინ აჩერებს.

— ჩემო ძვირფასო ქალიშვილებო, ნუ დასდევთ მატროსებს... ნუ დაჰყვებით, სადაც დადიან; ისინი უბედურებას გადაგყრიან იქ, საიდანაც ისინი მოვიდნენ, კარგი ადამიანები არ ელაპარაკებიან მათ... იქ მათ ძალღადაც არ აგდებენ. აქ ისინი პომარეს ელაპარაკებიან და დიდ პუფაისთან ერთად სვამენ არვას².

— კეთილო მეგობრებო, ეს კუნძული ძალიან ჰატარაა; მაგრამ ძალიან ცუდია და ძალიან ღარიბიც; ბოროტება და სიღარიბე ხელიხელჩაკიდებული დადიან. რატომაა ბერეტანი

¹ იგულისხმება ღვთისმშობლის მორთულ-მოკაზმული ქანდაკება პატარა კათოლიკურ ეკლესიაში.

² „არვა“ აქ „არაყის“ მნიშვნელობითაა ნახმარი. პუფაი კუნძულის ერთ-ერთი მთავარი ბელადი იყო და ხმის დიდი მოყვარულიც გასლდათ.

ასე დიდი? იმიტომ რომ კუნძული კარგია და მიკონარის უგზავნის საწყალ კანაკებს². ბერეტანის მკვიდრნი ყველანაშენი მდიდრები არიან, ბევრ რამეს ყიდულობენ და ბევრ რამეს ყიდიან. სახლებიც უფრო დიდ და უფრო მოწყობილი აქვთ, ვიდრე პომარეს. თანაც კარეტებით დადიან; მათი კარეტები უფრო დიდია, ვიდრე პომარესი³, და ყოველდღიურად აცვიათ თხელი ტაპა (შემდეგ ჩამოთვლილი და აღწერილი იყო ცივილიზაციის კიდევ რამდენიმე მაცდუნებელი მიღწევა).

— კეთილო მეგობრებო, შინ ცოტადა მაქვს საჭმელი. სანდალებს აღარ მოაქვთ სიღნეიდან ფქვილით სავსე ტომრები, აღარც კანაკებს მოაქვთ სამყოფი ღორის ხორცი და ხილი. მიკონარები ბევრ რამეს აკეთებენ კანაკებისათვის, ხოლო კანაკები ცოტა რამეს აკეთებენ მიკონარებისათვის. მაშ, კეთილო მეგობრებო, რაც შეიძლება დიდი კალათები დაწანით ქოქოსის პალმის ფოთლებისაგან, გაავსეთ და მოიტანეთ ზვალ.

ასეთია არსი ქადაგებისა; და რაც არ უნდა იფიქრონ მასზე, იგი საგანგებოდ იყო მიყენებული კუნძულელთა აზროვნების სახესთან, კუნძულელებისა, რომლებიც მხოლოდ იმას გებულობენ, რაც ხელშესახები ან ახალია და მათი წარმოსახვისათვის საკვირველია. მშრალი ქადაგება წარმოუდგენლად მოსაწყენი იქნებოდა მათთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ტაიტელები თითქმის არასოდეს არ ფიქრობენ; ისინი ერთთავად სწრაფვას, აღტყინებას წარმოადგენენ. ამიტომ მისიონერები იმას კი არ ცდილობენ, რაღაც დოგმატებით გამოუტენონ თავი, არამედ იმით კმაყოფილდებიან, რომ უხსნიან უბრალო ჭეშმარიტებებს, ისეთებს, როგორიც მსხვილი ასოებითა და გასართობი სურათების თანხლებით იბეჭდება ანბანთა წიგნში. ამიტომ ისინი ვერასოდეს

¹ ამ საიტყვას, რომელიც „მისიონერის“ დამახინჯებით უნდა იყოს შაბდებული, ადგილობრივი მკვიდრნი სხედასსეა მნიშვნელობით სმარობენ, ზოგჯერ იგი გაქრისტიანებულს ნიშნავს, ამ შემთხვევაში კი პირველადი მნიშვნელობითაა ხმარებული.

² პოლინეზიის მკვიდრი.

³ რამდენიმე ხნის წინათ პომარემ დედოფალ ვიქტორიასაგან სანიუქრად მიიღო ეტლი. შემდგომ იგი კუნძულ თაპუზე (სანდვიჩის კუნძულები) იქნა გავსავნილი და იქ გაიყიდა დედოფლის ვალების გასასტუმრებლად.

ვერ ახერხებენ, მტკიცე რელიგიური გრძნობის მსგავსი რამ ჩაუნერგონ თავიანთ მრევლს.

არსებითად დედამიწაზე ალბათ არ არის ხალხი, რომელიც პოლინეზიელებზე უფრო ნაკლებად ითვისებდეს ქრისტიანულ მოძღვრებას. ამას ვამტკიცებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის კარგადაა ცნობილი ეგრეთ წოდებული „დიდი აღორძინება სანდვიჩის კუნძულებისა“ 1836 წელს, როცა რამდენიმე კვირის განმავლობაში ათასობით ადგილობრივი მკვიდრი ეზიარა ეკლესიას. მაგრამ ეს ზნეობრივი მრწამსით სრულიადაც არ ყოფილა მიღწეული, რასაც მოწმობს ფაქტი, რომ ისინი ძალიან სწრაფად დაუბრუნდნენ წინანდელ აღვირახსნილობას. ქრისტიანობის მიღება იყო კანონზომიერი შედეგი არაჯანსაღი განწყობილებისა, რომელიც ძნელბეღობას მოჰყვა და ცრუმორწმუნეობისაკენ საოცარი მიდრეკილების მქონე გონებამ შვა; ის იყო აგრეთვე შედეგი ფანტასტიკური პროპაგანდისა, რამაც ისინი მიიყვანა იმის ღრმა რწმენამდე, რომ მისიონერთა ღმერთები შურს იძიებდნენ ქვეყანაში გამეფებული უკანონობის გამო¹.

ზედმეტი არ არის მოვიხსენიოთ აგრეთვე შემდეგი გარემოება: ტაიტიელთა სწორედ ის თვისებები, რომელთა გამო ლონდონის მისიონერთა საზოგადოებამ ტაიტიელები გასაქრისტიანებლად ყველაზე უფრო შესაფერის ხალხად მიიჩნია და ტაიტი მისიონერთა მოღვაწეობის მთავარ ასპარეზად აირჩია, შემდგომში ყველაზე უფრო სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა. ტაიტიელთა გარეგნულმა ლმობიერებამ, ერთი შეხედვით უჩვეულო გულუბრყვილობამ და სიმშვიდემ თავდაპირველად მოატყუა ისინი; მაგრამ ეს თვისებები მშვენივრად ეგუებოდა როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ სიზანტეს, თანდაყოლილ აეზორცობასა და ოდნავ იძულებასაც კი. ყოველივე ეს სავსებით ეხამება ტროპიკების წარმტაც ბუნებას, მაგრამ უდიდეს დაბრკოლებას უქმნის ქრისტიანობის მკაცრი მორალური წესების შეგნებას.

ყველაფერ ამასთან ერთად პოლინეზიელებს აქვთ თანდაყოლილი თვისება, რომელსაც ყველაზე უფრო თვალთმაქცობა შეიძლება ეწოდოს. ეს თვისება აიძულებთ ისეთი სახე მიიღონ,

¹ იმხანად მრავალ მცხოვრებს შიმშილით სიკვდილი ელოდა.

თითქოს ძალიან აინტერესებდეთ ის, რაც სინამდვილეში სულერთია ან თითქმის სულერთია მათთვის, მაგრამ, მათი შეხედულებით, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმ ადამიანებისათვის, რომელთა ძლიერებისა ეშინიათ ანდა რომელთა გულის მონადირებაც სურთ. როცა წარმართები იყვნენ, კბილებს იმტვრევდნენ, თმებს იგლეჯდნენ და ბასრი ნიჟარებით ისე-რავდნენ სხეულს წარჩინებული ბელადის ან მეფის ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო. მაგრამ ვანკუვერი გვიამბობს, რომ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, რომელსაც იგი შეესწრო, ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებიც მეტი რომ არ შეიძლება, ისე მწუხარედ გამოიყურებოდნენ, იმწამსვე გამხიარულდნენ, როგორც კი იაფფასიანი სასტვენით თუ სარკვე აჩუქეს. ამნაირი შემთხვევები თვითონაც მინახავს.

აი როგორ ვლინდებოდა, მაგალითად, ხასიათის ეს თვისება გაქრისტიანებულ პოლინეზიელებში.

ამხანაგობის ერთ-ერთ კუნძულზე — მგონი, რაიატვაზე — ადგილობრივი მკვიდრნი რაღაც განსაკუთრებული განზრახვის გამო ათასნაირად ცდილობდნენ მისიონერთა გულის მოგებას. ამიტომაც — სხვაგვარ ახსნას ვერ იპოვის კაცი — ბევრი მათგანი წირვა-ლოცვისას ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ძველისძველ წარმართულ ხაზაში. ისე ეჭირათ თავი, თითქოს ქადაგებას, რომელსაც ისმენდნენ, სულ მთლად გაეშმაგებინა. თვალებს კარკლავდნენ, პირიდან დუფი სდიოდათ, ძირს ეცემოდნენ და იკრუნჩხებოდნენ; ამ მდგომარეობაში მიჰყავდათ ისინი სახლში. უცნაური კია, მაგრამ ეს მიჩნეული იყო უზენაესი ძალის გამოვლინებად, რასაც მთელ ქვეყანას ამცნობდნენ.

მაგრამ მოდით ქოქოსის პალმების ეკლესიას დაუბრუნდეთ. უკანასკნელი ლოცვა უკვე წარმოითქვა, და მლოცველები წავიდ-წამოვიდნენ; წნორიან გზაზე მოჩანს მათი მოფრიალე მოსასხამები. თანდათან მიეფარნენ თვალს. ჩრდილოვან ბილიკებზე გადაუხვიეს — ზოგმა მარჯვნივ, ზოგმა მარცხნივ, და ტყეებში მიყუყულ სოფლებს თუ ზღვისპირა ქოხებს მიაშურეს. კუნძულელები ძალიან მხიარულად არიან, გეგონებათ, ძველებურ წარმართულ ცეკვაზე „ჰევარაზე“ იყვნენ და იქიდან ბრუნდებიანო. ზოგიერთები კი დაუდევრად მოაკონწიალებენ ხელზე ზონარით ჩამოკიდებულ ბიბლიას.

კვირა ტაიტელებისათვის არაჩვეულებრივი დღეა. მას

თავგამოდებით იცავენ, რადგან საქმე უმუშევრობას ეხება, პირაგუები ნაპირზეა გამოტანილი, ბადეები გასაშრობად გაუფენიათ. საქათმეების მაგვარ ქოხმახებს რომ ჩაუვლით, შეამჩნევთ, რომ მათი ბინადარნი, რომლებიც ჩვეულებრივ უქმად არიან, ამ დღეს ლაპარაკითაც ცოტას ლაპარაკობენ. წირვალოცვის შემდეგ მთელ კუნძულზე მყუდროება ისადგურებს; ქვეყნის შუაგულში გადამლილი ველები კიდევ უფრო მშვიდი გეჩვენებათ, ვიდრე საერთოდ.

მოკლედ, ესაა კვირადღე, ტაიტელთა „ტაბუს დღე“. სწორედ ის სიტყვა, რომელიც წინათ მათი წარმართული ადათწესების სიწმიდეს გამოხატავდა, ახლა ქრისტიანული დღესასწაულის სიწმიდის გამოხატვას ემსახურება.

თ ა ვ ი 46

ზოგი რამ „კანაკიპერებზე“

ჩემი ყოფილი მეგობარი, ყოვლად ღირსეული ახალგაზრდა კაცი (კულუს შესახებ მოგახსენებთ, რადგანაც ამას ჩვენი უწინდელი სიახლოვე მაგაღდებულებს), ეს ღირსეული ჭაბუკი, მოღაში შემოსულ განმარტობას უხდოდა ხარკს და ცხოვრობდა „მარუ ბოროში“, ანუ პურის ხის ჩრდილში, შუაგული ტყის მშვენიერ კუნჭულში „კალაბუსა ბერეტანისა“ და ქოქოსის პალმების ეკლესიას შორის, რომელშიც ხშირად დადიოდა.

კულუ ჩინებული ბიჭი იყო. მატროსის თეთრ შარვალზე კოპწიად გადმოეშვა ზოლიანი ჩითის პერანგი, ქოქოსის ზეთწასმული თმა უბზინავდა; ასე იდგა ეკლესიაში, სახეზე უდიდესი კმაყოფილება ეხატა და ალერსიან მზერას ესროდა ქალებს. არც მისი მზერა რჩებოდა უპასუხოდ.

რომ იცოდეთ, როგორი გამოხედვით აჯილდოებენ ტაიტელი ლამაზმანები ერთმანეთს, როგორი ბრაზი გამოეხატებათ ზოლმე სახეზე, როცა ვინმეს დაუნახავენ ბამბის ახალ სამოსს, ახლახან რომ ჩამოსულა კუნძულზე სიყვარულით სავე მატროსის სკივრით! ერთხელ ჩემი ყურადღება მიიპყრეს უხეში ქსოვილის გაზინთულ სამოსში გამოწყობილმა ჯგუფად მდგარმა ქალიშვილებმა, რომლებიც აღმ-

ფოთებით მიუთითებდნენ ქალწულზე, ხასხასა წითელი ფერის კაბა რომ ეცვა. „ოი ტუტაი ოური!“ — აუწერელი ზიზღით ამბობდნენ ისინი. — „იტაი მაიტაი!“ (შე არამზადავ, შენა).

ყოველივე ამასთან ერთად კულუ თავგამოდებული მლოცველი გახლდათ, ისევე როგორც ეს მკაცრი ქალიშვილები. თუმცა, როგორც გავიგე, ზოგიერთი მათგანი, პურის ხის ნაყოფს რომ ეზიარებოდა, იმავე საღამოს ყველაზე სასირცხო ცოდვას სწადიოდა.

ყოველივე ამან საგონებელში ჩამავლო და გადავწყვიტე, როგორმე დამეღვინა, რა წარმოდგენისა იყვნენ რელიგიაზე, თუკი საერთოდ ჰქონდათ წარმოდგენა; მაგრამ რადგანაც სულიერ ცხოვრებაში უცხო კაცის ჩარევა ცოტა არ იყოს სათუთი საქმეა, მეც ავდექი და რაც შეიძლებოდა სიფრთხილით მოვეკიდე.

კაპიტან ბობის სამფლობელოდან სამასიოდე იარღის მოშორებით ერთ პატარა მყუდრო ქოხში იღვა ადგილობრივი მკვიდრი ფარნოუ, რომელიც ადრე დედოფლის მაცნედ მუშაობდა და ამას წინათ სამსახურისთვის თავი დაენებებინა. ეტყობა, იმ უპირატესობის გამო დავეიმეზობლდა, რასაც ანიჭებდა მის სამ ქალიშვილს კარგ საზოგადოებასთან დაახლოება. ასე იყო თუ ისე, დებს (თავგამოდებულ ქრისტიანებს) სულაც არ უთქვამთ უარი, რომ ისეთი დაუზარებელი და გალანტური კავალერი გაარშიყებოდათ, როგორიც ექიმი იყო, და თავაზიანად დართეს ნება, მეგობრულად სწევოდა, როცა მოესურვებოდა.

ერთ საღამოს ფარნოუსთან მივედი და ქალიშვილებიც იქ დაგვხვდნენ. ჩემი ახმახი ამხანაგი ეთამაშებოდა შუათანასა და უმცროს დას, რომლებიც უფრო მოსწონდა; მათ უნდა ეპოვნათ ტაპის სამ გროვაში დამალული კენჭი. მე კი უფროს ქალიშვილთან აიდიასთან ერთად ვიჯექი ჭილოფზე, მისი ბალახის მარათი ვერთობოდი და თან ტაიტელების შესახებ დამატებით ცნობებს ვაგროვებდი.

ამ შემთხვევით ვისარგებლე და დავიწყე:

— მაშ შენ მიკონარი ხარ, აიღია? — უფრო გაერცობილი სახით ჩემი ფრაზა ასე აჟღერდებოდა: — მის აიღია, გეთაყვა, თქვენ საეკლესიო თემს ხომ არ ეკუთვნით?

— ღიახ, ჩემო მიკონარი, — მიპასუხა მან.

მაგრამ ამ დასტურს მაშინვე მოჰყვა ზოგიერთი შენიშვნა, თანაც ისეთი საინტერესო, რომ არ შემოიძლია არ მოვიხსენიო.

— მიკონარი ენა (აქაური საეკლესიო თემის წევრი ვარ), — შესძახა აიდიამ, ტუჩებზე ხელი მიიღო და თავისებური კილოთი გამოთქვა ეს სიტყვა. ამგვარადვე და ასეთივე შეძახილებით მიიღო ხელი თვალებზე. მერე სახე სულ მთლად შეეცვალა და ხელების მოძრაობით გამაგებინა, რომ ზოგ რამეში იგი სრულიადაც არ არის „მიკონარი“. მოკლედ აიღია იყო

სულით ქრისტიანი ნამღვილი,
სორციით — ჭეშმარიტი წარმართი!

განმარტება იმით დამთავრდა, რომ აიდიას სიცილი წასკდა. მას დებიც აჰყვნენ. მე და ექიმმაც აუუბით მხარი, რადგან გვეშინოდა სულელებად არ ჩავეთვალეთ. როგორც კი ზრდილობამ წამოსვლის ნება დაგვრთო, ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

ფარისევლობას რელიგიის საკითხში, რაც აშკარად ემჩნევა ყველა გაქრისტიანებულ პოლინეზიელს, ძალიან მაიუფიქრებლად წაახალისებენ ხოლმე ტაიტიზე თავებამოდებული და უფრო ხშირად ძალადობით გატარებული ზომებით, რომლებიც მიმართულია კუნძულელთა შორის სულიერი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. თუმცა, ეს მხოლოდ დაბალ წოდებას ეხება, დიდგვაროვანი კი გამოჩაყლისს წარმოადგენენ.

კვირადილაობით, როცა შეატყობენ ხოლმე, რომ პატარა ეკლესიებში მლოცველთა თავშეყრას კარგი პირი არ უჩანს, ყველგან აფრენენ ხოლმე ჯანიან ბიჭებს, რათა კეტებით მორეკონ მრეველი. ეს უტყუარი ფაქტია².

ეს ვაჟბატონები წარმოადგენენ საეკლესიო პოლიტიკას, მათ ყოველთვის იცნობთ დიდი თეთრი შარფებით, რომლებსაც ატარებენ. ისინი არც საქმიდლეებში არიან ნაკლებ დაკავებული; შიშის ზარს სცემენ მოსახლეობას, მთელ კუნძულზე დაძრწიან და უთვალთვალებენ, ხომ არ ჩაიღინა ვინმემ ზნეობრიობის საწინააღმდეგო დანაშაული.

¹ ნაწყევტი ინგლისელი პოეტის ალექსანდრ პოპის (1688—1744) ლექსიდან „წერილი ლედის“.

² ამ წეს-ჩვეულებას ზიზღით იხსენიებს ერთ-ერთი ღირსეული მქადაგებელი, რომელიც ამასწინათ იყო კუნძულზე. ის: „მოგონებანი განსვენებულ დანიელ უილერის ცხოვრებასა და მისიონერულ მოღვაწეობაზე“, გვ. 763. შემდეგში დაწერილებით შეეჩერდები ამ ნაწარმოებზე.

ისინი ჯარიმასაც კი ახდევინებენ იმათ, ვინც წირვა-ლოცვას აკლდება ანდა რაიმე ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რომელიც მისიონერთა სასულიერო სასამართლოს იურისდიქციას ეხება.

მოხუცი ბობი ამ ყმაწვილებს „კანაკიპერებს“ ეძახდა, რაც, ჩემი აზრით, სიტყვა „კონსტებლის“ დამახინჯება უნდა იყოს.

ბობს მათი ჯავრი სჭირდა. ერთხელ, სახლში რომ ბრუნდებოდა, ვილაცამ უთხრა, ორი „კანაკიპერი“ შენს სახლს ჩხრეკსო. ბობი ბუჩქებს ამოეფარა; როცა სახლიდან გამოვიდნენ, უხილავმა ხელმა შიგ ბეჭებში მოარტყა მათ პურის ხის ორი მწვანე ნაყოფი. ამის მოწმენი იყვნენ კალაბუსელი მატროსები და კიდევ რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრი; ამ უკანასკნელებმა, როცა დაუპატიჟებელი სტუმრები თვალს მიეფარნენ, ალტაცებით შეაქეს მამაცი კაპიტანი ბობი, რაშიც მხურვალედ დაუჭირეს მხარი იქაურმა ქალებმა. ქალებს განსაკუთრებით სძაგთ „კანაკიპერები“. არც არის გასაკვირი: ეს უტიფარი ადამიანები ყოველ დროს შეიჭვრეტენ ხოლმე მათთან და ცხვირს ყოფენ მათს ინტიმურ საქმეებში.

ზოგჯერ კულუს პატრიოტული განწყობილება ეუფლებოდა. და მაშინ კი დაუფიქრდებოდა ხოლმე ყველაფერს, ჯავრობდა იმ ბოროტებაზე, რომლის სიმძიმის ქვეშაც გმინავდა მისი ქვეყანა, და ხშირად ლანძღავდა კანონს, სრულიად უცხო ადამიანს რომ აძლევდა მათ მკვიდრთა პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლებას. ეს უსიამოვნებას უქმნიდა აგრეთვე თვით კულუს — საკმაოდ განთქმულ ლოველასს. მას აბეზარ ადამიანებად მიაჩნდა „კანაკიპერები“.

უზომოდ ცნობისმოყვარენი რომ იყვნენ, ეს კიდევ არაფერი. „კანაკიპერებს“ ჩვეულებად ექცათ ყოველდღე ესადილათ ვინმეს ქოხში, რომელიც მათ საქვეუწყებო რაიონში იდგა. სახლის პატრონი საოცრად მშვიდად უყურებდა ამგვარ რამეებს. ისღა დარჩენოდა, რომ სტუმართმოყვარეობა გამოეჩინა. დაუცხრომელნი არიან ეს ვაჟბატონები. შუალამისას სახლების ირგვლივ დაძრწიან, დღისით კი შეეყარებულთა წყვილებს ეძებენ ჭალებში. მაგრამ ერთხელ ნადირობა მათი სრული მარცხით დამთავრდა.

ეს ასე მოხდა.

რამდენიმე კვირით ადრე, სანამ კუნძულზე ჩამოვიდოდით,

ერთი ცოლიანი კაცი და ერთი ქმრიანი ქალი, რომლებსაც ერთმანეთი უყვარდათ, სასეირნოდ გამოსულიყვნენ. ატყდა ერთი განგაში, და მათ უკან გამოუდგნენ. მაგრამ ვერ იპოვეს. სამ თვეს არაფერი ისმოდა მათი. და აი ერთხელ კალაბუსიდან გამოგვიხმეს იმ უამრავი ხალხის სანახავად, რომელიც შეყვარებულებს შემოხვეოდა და სოფლის სასამართლოსაკენ მიაცილებდა.

მეტად თავისებური შესახედაობა ჰქონდათ: თითქმის სულ შიშვლები იყვნენ, ენქერების ამარა, გარუჯული, ბოლიებში თითქმის გაყვითლებული თმები გასწეწოდათ და ეკლებით ავსებოდნენ, პირისახე და ტანი დაკაწროდათ და ნაჭდევებით დაჰფაროდნენ. „ტელის სწორთან ქობმაცშიაც სამოთხეაო“, ამბობენ. ჰოდა, ესენიც ადგნენ, ქვეყნის შუაგულში შევიდნენ, ერთ უკაცრიელ ველზე ხელდახელ ააშენეს ქოხი და ცხოვრობდნენ ასე, სანამ ერთ მშვენიერ, მაგრამ მათთვის უბედურ დღეს სეირნობისას არ დაიჭირეს.

სასამართლომ მათ ასი საჟენი წნორიანი გზის გაყვანა მიუსაჯა — სამუშაო, რომლის შესასრულებლად, თუ მეტი არა, ექვსი თვე მაინც იყო საჭირო.

ხშირად, როცა ვინმეს სახლში ვიყავი და მის ბინადრებს ვემუსაიფებოდი, ვხედავდი, როგორ აღმფოთლებოდნენ ხოლმე, როცა ვინმე ამცნობდა, „კანაკიპერები“ მოდიანო. პოლიციელთა პატაკში მოხვედრისა და „ტუტაი ოურის“ (რაც ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში ნიშნავს ცუდ კაცს ანუ ურწმუნოს) შერქმევისა კუნძულებს არანაკლებ ეშინიათ, ვიდრე ინგლისში ეშინოდათ ოდესღაც ტაიტუს ოტსის¹ საჩვენებელი თითისა, რომლებიც პაპიზმში ეჭვმიტანილ კაცისკენ იყო ხოლმე მიმართული.

მაგრამ ტაიტელები თავისებურად იძიებენ შურს „კანაკიპერებზე“. როცა ვინმეს სახლში შედიან, ეს თვალთმაქცები უწინარეს ყოვლისა მასპინძლებთან ერთად დადგებიან ხოლმე ლოცვად; ამიტომ მათ ზურგს უკან ეძახიან „ბურა არტუას“, რაც სიტყვასიტყვით „უფალო შემინყალეს“ ნიშნავს.

¹ ინგლისელი მღვდელი, რომელიც ცნობილია იმით, რომ კათოლიკებს დევნიდა. მან გააერთიანა ჭორი, თითქოს 1675 წელს პაპისტები შეიკუმელებას აწყობდნენ.

ტაიტელუბის ტანისამოსი

გარდა იმ შემთხვევისა, როცა „ტაპას“ სასჯელის მოსახდელად ქსოვენ, ხის ჩაქურის ხმა კარგა ხანია აღარ გაისმის ტაიტის მიძინებულ ველებში. ოდესღაც აქაური ქალიშვილები, ჩვენი ქალებისა არ იყოს, დილიდან შუადღემდე შრომიობდნენ ხელსაქმეზე თავდახრილნი; ახლა ისინი, თითქმის უქმად ატარებენ დროს. მართალია, კუნძულები ქალები მეტწილად თვითონ იკერავენ ტანისამოსს, მაგრამ ამისათვის რამდენიმე გვირისტიც კმარა, თუმცა მისიონერთა ოჯახის ქალებს დამსახურებულად უთვლიან, რომ კერვა ასწავლეს.

„კიკი უიჰენი“, ანუ ქვედატანი, წარმოადგენს ბაპბის თეთრ ქსოვილს ან ჩითს, რომელიც წელზე აქვთ შემორტყმული, ხალვათად ეშვება დაბლა და კოჭებამდე სცემთ. სამოსი რომ ძირს არ ჩამოუვარდეთ, ამისათვის სულ უბრალო ხერხი არსებობს: ერთ ბოლოს შეკეცავენ ანდა ზედა კუთხეებს კვანძავენ; რა თქმა უნდა, სამოსი ხშირად იშლება, რაც საშუალებას აძლევს ქალებს კეკლუცად გაისწორონ. ტაიტელებს „კიკიზე“ გადაცმული აქვთ კაბის მაგვარი რაღაც, რომელიც ძალიან განიერია, წინ გახსნილია და საერთოდ მეტისმეტად დაუდევრად აქვთ მოგდებული. სადილობის ხანს აქაური ქალები არასოდეს არ იცვლიან ტანისამოსს.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას მათს საშინელ შლაპებზე! წარმოიდგინეთ ჭილისაგან მოქსოვილი ნახშირის ვედრო, რომელიც კინკრიხოზე წამოუმსიათ; რამდენიმე იარღი წითელი ლენტის ქაღალდის ფრანივით აქვთ შემოვლებული.

პარიზელო მეკერავებო, თქვენ რაღას იტყვიოთ! ეს შლაპები კუნძულებების ნახელავია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ისინი პირველად გამოიგონეს და გაავრცელეს მისიონერთა ცოლებმა; თუმცა მე მჯერა, რომ ეს ჭორებია და მეტი არაფერი.

სასაცილოა, რომ ამნაირი ქუდები საუცხოო მორთულობად ითვლება. ჭილის დაწვნა — ესაა ერთ-ერთი იშვიათი ხელსაქმე, რასაც ჯერ კიდევ კადრულობენ მაღალი წოდების ქალები; თანაც ეს ყველაფერი მათი სულელური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურება. თუმცა ქალიშვილები სრულიად

არ ცნობენ შლაპებს და ამით თავიანთ დედებს, ყოველგვარ გემოვნებას მოკლებულ დედაბრებს, უთმობენ საფრთხობელუბის როლს.

რაც შეეხება კაცებს, ზოგიერთს, ვისაც ევროპულად გამოწყობა სწადია, ეტყობა, არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ ცალკეული ნაწილების კაეშირზე, რომლებიც ჯენტლმენების კოსტიუმს შეადგენენ. მაგალითად, იმას, ვისაც ქურთუკი აქვს, სულაც არ მიაჩნია საჭიროდ შარვლის ჩაცმა; ზარის მოყვანილობის შლაპა და ენქერი სავსებით სრულყოფილი ჩაცმულობაა. ახალგაზრდა მეზღვაურმა, რომლის გულისთვისაც მიმატოვა კულუმ, უხეში მაუდის ძველი ორბორტიანი ქურთუკი აჩუქა მას. აღტაცებულმა კულუმ ყველა ღილი შეიკრა და ასე დასეირნობდა წნორიან გზაზე ტროპიკული მზის ქვეშ. ექიმი ახმახმა სულმა ამნაირად გამოწყობილი რომ დაინახა, იფიქრა, რომ იგი მკურნალობის კურსს გადიოდა, ანუ, როგორც თაღლითი ექიმები ამბობენ, „ოფლით გამოჰქონდა ავადმყოფობა“.

ერთ ბერბიჭას, კაპიტან ბობის ამხანაგს, მისთვის დიდად საბედნიეროდ, ჰქონდა მთლიანი ევროპული კოსტიუმი, რომლითაც ხშირად იპყრობდა ქალთა გულებს. მხედრული ცხოვრება იზიდავდა და ამიტომ ქურთუკის გულზე ალისფერი ნაჭერი მიემაგრებინა; აქა-იქ ფორმის ღილებსაც იკერებდა, რომლებიც სამხედრო გემების მთვრალ მეზღვაურებს ააჭრა ჩუმად, როცა ისინი ნაპირზე იყვნენ გამოშვებული. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ მორთულობისა, მის კოსტიუმს მაინც არ ჰქონდა პეწი. ძალიან ვიწრო იყო მხრებში, იდაყვებიც რაღაცნაირად მოღრეცოდა, როგორც მოუქნელ მხედარს; ხოლო ვიწრო ტოტებში ისე გამოსკვანჩოდა სქელი ფეხები, რომ ყველა ნაკერის ძაფი მოუჩანდა, და ყოველ ფეხის გადადგმაზე კატასტროფა იყო მოსალოდნელი.

საერთოდ მამაკაცების ტანისამოსის რომელიმე გარკვეული სტილი, როგორც ჩანს, არ არსებობს. რასაც იშოვიან, იმას იცვამენ; ზოგჯერ ყოვლად უგემოვნოდ გადააკეთებენ ხოლმე ძველ ტანსაცმელს, რომ მოდის შესახებ თავიანთ ახალ წარმოდგენას შეუფარდონ.

მაგრამ ტაიტელები, ახლა უცხოურ ტანისამოსში სასაცილოდ რომ გვეჩვენებიან, სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ

თავიანთ პირველყოფილ ნაციონალურ კოსტიუმებში, რომლებიც განსაკუთრებული სიფაქიზითა და სისადავით გამოირჩეოდა — ყველას თვალში. მეტისმეტად მორცხვი ადამიანების გარდა, — და მშვენიერად შეეხამებოდა ჰაუას. მაგრამ შედეგბილი ტაპის მოკლე კაბები, ფოჩიანი ენქერები და სხვა, რასაც წინათ ატარებდნენ, ამჟამად კანონით აკრძალულია, როგორც არასაკადრისი სამოსი. რატომ ეკრძალებათ ქალებს ყელსაბამებისა და ყვავილების გვირგვინების გულზე ჩამოკიდება, აქამდე ვერ გამიგია; ამბობენ, რომ ყოველივე ეს რაღაცნაირად უკავშირდება მივიწყებულ წარმართულ წეს-ჩვეულებებს.

ასევე აკრძალულია ბევრი მხიარული და თითქოს უწყინარი გართობა-თამაშობანი. ძველ დროს იმართებოდა სხვადასხვა ათლეტური შეჯიბრებანი, მაგალითად, ჭიდაობაში, სირბილში, შუბის ტყორცნასა და მშვილდ-ისრის სროლაში. ტაიტლები ძალიან დახელოვნებულნი იყვნენ ყოველივე ამაში; შეჯიბრებებს ხშირად თან ახლდა დიდებული ზეიმი. ყოველდღიურ გართობათა რიცხვს ეკუთვნოდა ცეკვები, ფეხბურთი, ფრანების აშეება, ფლეიტაზე დაკვრა და ძველებური ლეგენდების სიმღერით შესრულება; ახლა ყველა ეს გართობა დანაშაულებრივ მოქმედებადაა მიჩნეული; თუმცა მათ უმრავლესობას უკვე გადაეჩვივნენ კიდევ, ასე რომ ისინი თითქმის აღარაეის ახსოვს.

ასევე დამთავრდა „ოპიოს“ ანუ პურის ხის ნაყოფის მოსაყლის დღესასწაულის საქმე, თუმცა, კაპიტანი ბობის აღწერით თუ ვიმსჯელებთ, იგი სრულიად უწყინარი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. არსებობს აგრეთვე მკაცრი კანონი ყოველგვარი ტაბუთირების წინააღმდეგ.

ყველა ამ ნაციონალური გართობისა და წეს-ჩვეულების გაუქმებას კუნძულები ძალიან უხალისოდ დაემორჩილენ, რასაც მოწმობს მათი ამკრძალავი კანონების დარღვევის მრავალი შემთხვევა, განსაკუთრებით „ჭევარების“ ანუ ცეკვების ფარულად მოწყობის ხშირი შემთხვევები.

ნაციონალური ტრადიციების დათრგუნვისას მისიონერები უეჭველად ხელმძღვანელობდნენ სიკეთისადმი გულწრფელი სწრაფვით, მაგრამ შედეგი სავალალო აღმოჩნდა. ტაიტლები, რომლებსაც აკრძალული გართობების სანაცვლოდ არაფერი მიუღიათ და მხიარულებას უფრო მეტად საჭიროებენ,

ვიდრე სხვა რომელიმე ხალხი, ან აპათიას მიეცნენ ანდა ისეთ გრძნობით სიამოვნებებს, რომლებიც ასჯერ უფრო დასუსტ-ველია, ვიდრე ტანეს ტაძარში ოდესმე გამართული თამაშობანი.

ტაიტი შეულამაზებლად

რადგან ამ ბოლო თავებში გაკვრით შეეეხე ზოგიერთ საკითხს, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთა საერთო მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, ამიტომ, მგონი, მიზანშეწონილი იქნება უფრო დაწვრილებით შეეჩერდე ამ თემაზე, რომ მცდარი შთაბეჭდილება არ დარჩეს ვინმეს.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა დაბეჯითებით უნდა განვაცხადო, რომ ჩემს ყველა გამონათქვამში ამ საკითხზე (როგორც აქ, ისე სხვაგან) მე არ ვისახავ მიზნად სახელი გავუტეხო მისიონერებს ანდა დავაკინხო ის საქმე, რომელსაც ემსახურებიან; მე მხოლოდ მინდა ნამდვილი მდგომარეობა ავწერო.

ტაიტი მრავალი მიმართებით შეჭველად ითვლება იმის საუკეთესო ნიმუშად, თუ რა შეიძლება მოჰყვეს პოლინეზიელებთან უცხოელების ურთიერთობას, მისიონერთა იმ ცდების ჩათვლით, რომელთა მიზანია მათი ცივილიზაცია და გაქრისტიანება. მართლაც, ჩვენ ახლა უფლება გვაქვს დავამტკიცოთ, რომ ტაიტელების გაქრისტიანებისა და უცხოელთა წეს-ჩვეულების შეტანის მიზნით მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ცდა მთლიანად ჩატარდა. თანამედროვე თაობა თავის სულიერ მოძღვართა ვავლენის ქვეშ გაიზარდა. თუმცა ზოგიერთები მტკიცებას დაიწყებენ, რომ ამ უკანასკნელთა გარჯას უპრინციპო უცხოელები უშლიდნენ ხელს, მაგრამ, ტაიტი კვლავ რჩება საუკეთესო ნიმუშად. ამგვარ სიძნელებთან ბრძოლა ხომ ყველგან და ყოველთვის უხდება კაცს პოლინეზიაში.

თითქმის სამოცი წელი გაეიდა, რაც მისიონერები ტაიტიზე დამკვიდრდნენ; ამ ხნის განმავლობაში ისინი გამუდმებით ღებულობდნენ ზნეობრივსა და მატერიალურ მხარდაჭერას

თავიანთი მეგობრებისაგან, რომლებიც მთელ მსოფლიოში ჰყავდათ. და არც ერთ ამგვარ წამოწყებას არ გამოუწევია ისეთი თავგამოდება იმათი მხრიდან, ვინც უშუალოდ ახორციელებდა მას.

მერე რა ვუყოთ, რომ თავდაპირველად ამ სარბიელზე მომუშავეები, მიუხედავად კეთილსინდისიერებისა, მეტწილად უმეტარნი იყვნენ და ხშირად, სამწუხაროდ, ფანატიზმით გამოირჩეოდნენ: ასეთი თვისებები მეტნაკლებად ყველა რელიგიის გამაურცელებელს ჰქონდა. და თუმცა გულმოდგინებისა და უანგარობის მხრივ კუნძულზე ამჟამად მყოფი მისიონერები ჩამოუვარდებიან კიდევ წინამორბედებს, მათ თავიანთ პირობაზე ბევრი შრომა გასწიეს, რაია მრევლიდან ქრისტიანები გამოეყვანათ.

ახლა გავერკვეთ, რაში მდგომარეობს კუნძულელთა ცხოვრებაში მომხდარი ყველაზე უფრო შესამჩნევი ცვლილებანი.

ბოლო მოედო კერპთაყვანისმცემლობის სისტემას ისევე, როგორც ზოგიერთ ბარბაროსულ წეს-ჩვეულებას, რომლებაც ამასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ეს შედეგი იმდენად მისიონერთა მოღვაწეობას კი არ უნდა მივაწეროთ, რამდენადაც ყველა ეროვნების თეთრკანიანთა ხანგრძლივსა და მუდმივ მაცივილიზებელ გავლენას, თეთრკანიანებისა, რომლებისთვისაც ტაიტი უკვე მრავალი წელია, რაც სამხრეთის ზღვების ერთ-ერთ საყვარელ ადგილად ითვლება. სანდვიჩის კუნძულებზე ტაბუს მძლავრი ინსტიტუტი, ისევე როგორც ქვეყნის მთელი წარმართული წყობა, თვით ადგილობრივ მკვიდრთა ნება-სურვილით იქნა განადგურებული რამდენიმე ხნით ადრე, სანამ მათთან პირველი მისიონერები მივიდოდნენ.

მეორე კიდევ უფრო საოცარი ცვლილება, რომელიც ტაიტელთა ცხოვრებაში მოხდა, შემდეგში მდგომარეობს. იმის წყალობით, რომ კუნძულზე მუდმივად იმყოფებიან გავლენიანი და პატივსაცემი უცხოელები, აგრეთვე იმის მეოხებით, რომ აქ ხშირად შემოდინან სამხედრო გემები. რომლებიც ცნობენ კუნძულის ეროვნულ სუვერენიტეტს, შესაძლებლად აღარ მიაჩნიათ, რომ მის მკვიდრებსაც ისევე მოექცნენ, როგორც ეპყრობიან ველურებს; ამიტომ სხვადასხვა გემები, რომლებსაც შურისგებისა არ ეშინიათ, სრულიად მშვიდად შემოდინან ტაიტის ყველა ნავსადგურში.

მაგრამ ვნახოთ, რა მიღწევები შეიძლება მიეწეროს საკუთრივ მისიონერებს.

ყოველ შემთხვევაში, ისინი რაც შეეძლოთ ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ის ბიროტება, რომელიც აუცილებლად მოსდევს თეთრკანიანებთან ურთიერთობას. მაგრამ ეს ცდა საკმაოდ უგუნურად მიმდინარეობდა და ხშირად წარუმატებელი რჩებოდა; თითქმის გადაულახავი დაბრკოლება თვით ხალხის მისწრაფებებში მდგომარეობს. და მაინც კუნძულზე მისიონერთა ყოფნას ის მოჰყვა, რომ მის მკვიდრთა ქცევა შედარებით ნაკლებ უზნეოა.

მაგრამ მისიონერთა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელიც თავის მხრივ უაღრესად აიძულებს და კმაყოფილებით აღავსებს გულს, ისაა, რომ მათ ტაიტურ ენაზე თარგმნეს მთელი ბიბლია; მე ვიცნობდი რამდენიმე ადგილობრივ მკვიდრს, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ მისი კითხვა. აშენდა აგრეთვე ეკლესიები, გაიხსნა სკოლები ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ახლა სკოლებს ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა, და ეს მეტწილად უნდა მიეწეროს ფრანგთა მოქმედების შედეგად წარმოშობილ უთანხმოებებს.

მე მგონი, არ ღირს შეეჩერდე პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტაიტელთა ეკლესიებისა და სკოლების შინამმართველობასთან. ამასთან, ჩემი ცნობები იმდენად ვრცელი არ არის, რომ უფლებამოსილად მიმანდეს თავი, დაწვრილებით ვილაპარაკო. თუმცა ეს არცაა აუცილებელი. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ საერთო შედეგებს, რომლებიც ზნეობრიობისა და რელიგიის მხრივ ვლინდება მთელ კუნძულზე.

ჩემის მხრივ მეტისმეტი თავდაჯერებულობა იქნებოდა, რომ ამ საკითხზე მარტო მე გამომეტანა გადაწყვეტილება; ამიტომ მე არ მოვყვები საკუთარ შემთხვევით შთაბეჭდილებათა გამოცემას, რომლებსაც სხვადასხვა ადგილას მოვიხსენიებ, არამედ აქ მოვიყვან ზოგიერთი ცნობილი მკვლევარის დაკვირვებებს სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა დროს თითქმის ამ ახლო ხანამდე. რამდენიმე ძალიან მოკლე ამონაწერი საშუალებას მისცემს მკითხველს თვითონ დაადგინოს, მოხდა თუ არა აქ რაიმე გაუმჯობესება, და თუ მოხდა, სახელდობრ როგორი.

უნდა შევნიშნო, რომ პირველ ორ ავტორიტეტს, ქვემოთ რომ უნდა მოვიხსენიო, ხშირად იმოწმებდა ყოვლად ღირსი მ. რასელი თავის შრომაში, რომელიც საგანგებოდ იყო განკუთვნილი პოლინეზიაში ქრისტიანული მისიების მოღვაწეობის გასაშუქებლად. აგი აღიარებს, რომ ეს ისეთი ადამიანები არიან, რომელთა აზრს „არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ფართო საზოგადოებისათვის“¹.

რუსი ზღვაოსანი კოცებუ აღნიშნავს ყველა ბოროტებას, რაც უცხოელებმა მოუტანეს ადგილობრივ მკვიდრებს, აგრეთვე ტაიტელების უკიდურეს აპათიას, და, მგონი, მეტიხსეულად მკაცრ მსჯავრსაც სდებს მისიას ჩაღვნილი უდავო შეცდომებისათვის. იგი წერს:

„ამგვარი რელიგიური მითითებანი, რომლებიც კრძალავენ ყოველგვარ უწყინარ სიამოვნებას, გადაულახავ ან თითქმის გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიან გონებრივ განვითარებას, ქრისტიანობის ღვთაებრივი ფუძემდებლის შეურაცხყოფელნი არიან. თუმცა, ზისიონერთა დარიგებებმა, მრავალ ბოროტებასთან ერთად, ერთგვარი სარგებლობაც მოუტანეს ხალხს. შემცირდა ქურდობა და აღვირა ხსნილობა, მაგრამ სამაგიეროდ წარმოიშვა უმეცრება, პირმოთნობა და შური ყველა სხვა რწმენისადმი, რომლებიც წინათ უცხო იყო გულდია და ალალმართალი ტაიტელებისათვის“².

კაპიტანი ბიჩი წერს, რომ ტაიტიზე ყოფნისას იგი შეესწრო სცენებს, რომლებიც ყველაზე დიდ სკეპტიკოსსაც კი დაარწმუნებდნენ ადგილობრივ მკვიდრთა უკიდურესად ამორალურ მდგომარეობაში და მიიყვანდნენ დასკვნამდე, სადამდეც მივიდა რამდენიმე წლის წინათ ტერნბული³, რომ ევრო-

¹ ყოვლად ღირსი მ. რასელი, სამართლის დოქტორი. „პოლინეზია ანუ სამხრეთის ზღვების მთავარი კუნძულების ისტორიული აღწერა, გვ. 96.

² ოტო კოცებუ, რუსეთის საიმპერატორო ფლოტის 1-ლი რანგის კაპიტანი. ასალი მოგზაურობა დედამიწის გარშემო 1823—1826 წწ. in. 8^o; ტ. 1, ლონდონი, 1830, გვ. 168.

³ ავტორი „მოგზაურობისა დედამიწის გარშემო 1800—1804 წწ.“, ტ. 3, in. 8^o, ლონდონი, 1805.

პელებთან ურთიერთობამ არათუ გააუმჯობესა, არამედ კიდევ უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა¹.

1834 წელს დანიელ უილერმა, გულმართალმა კვაკერმა, რომელიც წმინდა კაცთმოყვარული მოსაზრებებით მოქმედებდა, საკუთარი გემით შემოიარა მეტი წილი მისიონერთა დასახლებანი სამხრეთის ზღვებში. ერთხანს ტაიტიზეც იყო, ადგილობრივ მისიონერთა სტუმრად, და დროდადრო ქადაგებას უკითხავდა კუნძულელებს.

იგი აგვიწერს მათ სიღუბნეში, მერე კი გულახდილად გამოთქვამს აზრს მათს რელიგიურ საფუძვლებზე: „მომავლის ხედები, რა თქმა უნდა, უნუგეშოა; და რაც არ უნდა სამწუხარო იყოს ასეთი. დასკვნა, იძულებული ვარ ვადიარო, რომ ქრისტიანობის პრინციპებს ძალიან იშვიათად იცავენ“².

ასეთია პოლინეზიაში ნამყოფი ალაღმართალი, მიუკერძოებელი ადამიანების მოწმობანი. მაგრამ რატომ განსხვავდება ისინი ასე ძალიან იმ შეხედულებათაგან, რომლებიც ჩვენს სამშობლოშია გავრცელებული? უბრალო მიზეზის გამო: იმის მაგივრად, რომ წარმოდგენა შეექმნათ მისიონერთა შრომის შედეგებზე იმ წარმართთა რაოდენობის მიხედვით, რომლებმაც მართლაც შეითვისეს ქრისტიანობის საფუძვლები და უკვე ხელმძღვანელობენ კიდევ (რამდენადმე მაინც) ამ საფუძვლებით, აღნიშნულ შედეგებზე სრულიად უსამართლოდ მსჯელობენ იმათი რაოდენობით, ვინც შეუგნებლად, ძალდატანების გამო უარყო კერპთაყვანისმცემლობა და შეუდგა გარეგნულ წეს-ჩვეულებათა აღსრულებას.

პოლინეზიელების გაქრისტიანება მეტწილად გონივრული დასაბუთებით კი არ იქნა მიღწეული, არამედ ადგილობრივი მკვიდრებზე მათი ბელადების ზეგავლენის მეშვეობით, ბელადებისა, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ათასნაირ სარგებლობას ნახავენ.

იმ რამდენიმე შემთხვევაშიც კი (ასე ხშირად რომ მოჰყავთ

¹ აღწერა მოგზაურობისა წყნარ ოკეანესა და ბერინგის სრუტეში ინგლისის სამხედრო ფლოტის კაპიტნის ფ. უ. ბიჩის მეთაურობით, ტ. 1, ლონდონი, 1831, გვ. 287.

² „მოგონებანი განხეხილი დანიელ უილერის, მეგობართა საზოგადოების მოძღვრის ცხოვრებისა და მისიონერული მოღვაწეობის შესახებ“, იმ. 8, ლონდონი, 1842, გვ. 757.

განგების სასწაულებრივი მოქმედების ნიმუშად), როცა ადგილობრივმა მკვიდრებმა უეცარი განზრახვის გამო თავიანთი კერები დაწვეს და მოინათლენ, ცვლილების ეს მოულოდნელობა მარტოოდენ მის არასერიოზულ ხასიათზე მიუთითებს. უილიამსს, ერომანგოს მოწამეს, მოჰყავს შემთხვევა, როცა ერთი კუნძულის მცხოვრებლებმა, რომლებსაც ქრისტიანობა ჰქონდათ მიღებული, საკუთარი ნება-სურვილით მოიყარეს თავი და ყველა წარმართული წეს-ჩვეულება აღადგინეს.

ფაქტები ყველგან და ყოველთვის უფრო მეტყველი არიან, ვიდრე სიტყვები; ქვემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ აფასებენ თვით მისიონერები ქრისტიანობისა და მორალის თანამედროვე მდგომარეობას მოქცეულ პოლინეზიელებს შორის.

კუნძულ ეიმოზე (რომელსაც ტაიტის მისია ემსახურება) არის სკოლა მხოლოდ მისიონერთა ბავშვებისათვის; მას ხელმძღვანელობენ ყოვლად ღირსი ბატონი სიმპსონი და მისი მეუღლე. იქაური მოწაფეები (რომლებსაც სრული განათლების მისაღებად ინგლისში გზავნიან, ხშირ შემთხვევაში ძალიან ადრეულ ასაკში) იძენენ ცოდნის მხოლოდ მცირე საწყისებს, იმდენივეს, რამდენიც ადგილობრივ მკვიდრთა სკოლებში შეეძლოთ შეეძინათ. მიუხედავად ამისა, მიღებულია ყველა ზომა, რომ ეს ორი რასა რაც შეიძლება შორიშორს იდგეს ერთმანეთისაგან და ამის მიზეზად ამკარადაა აღიარებული მისწრაფება — უზნეობის სენისაგან დაიცვან თეთრკანიანთა ბავშვები. ამ მიზნის რაც შეიძლება უკეთ მისაღწევად ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შეუშალონ ევროპელთა ბავშვებს ადგილობრივი ენის შესწავლაში.

სანდვინის კუნძულებზე კიდევ უფრო შორს მიდის საქმე; იქ რამდენიმე წლის წინათ მისიონერთა ბავშვების სათამაშო მოედანს მაღალი ღობე შემოაგლეს, რათა ეს ბავშვები საიმედოდ დაიცვან უზნეო პატარა ჰაეაელთაგან.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ ეს, პოლინეზიელთა გარყვნილება, რომელიც სიფრთხილის ამ ზომებს აუცილებელს ხდის, არცთუ ისე დიდი იყო თეთრკანიანებთან ურთიერთობამდე. პატივცემული კაპიტანი უილსონი, რომელმაც პირველი მისიონერება მოიყვანა ტაიტისზე, ამტკიცებს, რომ ამ კუნძულის მცხოვრებლებს მრავალი თვალსაზრისით

„უფრო ფაქიზი წარმოდგენა ჰქონდათ წესიერებაზე, ვიდრე ჩვენებს“¹. სანდვიჩის კუნძულებზე საინტერესო აზრს გამოთქვამს აგრეთვე ვანკუვერი².

მრავალი მკაცრი კანონი ყოველგვარი თავაშვებულობის წინააღმდეგ, რომლებიც ორივე არქიპელაგზე გამოდის და გამუდმებით ირღვევა, ნათლად ამტკიცებს, რომ უზნეობა წლითიწლობით მატულობს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მისიონერები ინგლისში გაგზავნილ ანგარიშგებებში საქმის ნამდვილ ვითარებას იუწყებოდნენ. ამიტომ კაპიტანი ბიჩი ელისის წიგნის „პოლინეზიური ნარკვევების“ მოხსენიებისას ამბობს, რომ მისი ავტორი მკითხველს არასწორ წარმოდგენას უქმნის ტაიტელთა მორალურ მდგომარეობაზე და აზვიადებს მათ მიერ მიღწეულ ცივილიზაციის დონეს; ყოველ შემთხვევაში ფაქტები, რომლებიც თვითონ უნახავს, არც ერთს ადასტურებენ და არც მეორეს. ბიჩის სიტყვებით, კუნძულები, რომელთაც იგი შეხვედრია, „არ უფრობოდნენ მას, და თავიანთი მოქმედებისას ხელმძღვანელობდნენ ბუნებრივი სურვილებით. რის გამოც სწორი აზრი შეუშუშავდა მათს გუნება-განწყობილებასა და ჩვეულებებზე“³.

უკანასკნელი მტკიცება, როგორც ეს დამანახვა ადგილობრივ მკვიდრებთან ჩემი მჭიდრო ურთიერთობის გამოცდილებაში, კიდევ უფრო შესაფერისია ჩემთვის.

თ ა 3 0 4 9

წინას გაბრკელება

ჩვენ თვალი გადავავლეთ მორალისა და რელიგიის მდგომარეობას; ახლა ვნახოთ როგორ არის ტაიტიზე საქმე სოციალური და სხვა თვალსაზრისით.

ერთხელ აზრი გამოითქვა: ხალხი ცივილიზაციას რომ

¹ „მისიონერთა მოგზაურობა წინარ ოკეანის სამხრეთ ნაწილში“, დამატება, გვ. 336, 342.

² ვანკუვერის „მოგზაურობანი“, ტ. I, გვ. 172.

³ ბ ი ი. აღწერა, გვ. 269.

ეზიაროს, ჯერ შრომას უნდა მიეწვიოსო. ამ პრინციპს თუ დავეყარებით, ტაიტელეები ახლა უფრო ნაკლებ ცივილიზებული არიან, ვიდრე წინათ. მართალია, მათი თანდაყოლილი სიზარმაცე მეტისმეტია; მაგრამ, თუ ისინი ქრისტიანობის სულით განიმსჭვალნენ, რა თქმა უნდა, მასთან ესოდენ შეუთავსებელი მანკიერებისაგან ნაწილობრივ მაინც უნდა განკურნებულიყვნენ. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა. იმის მაგივრად, რომ ახალი საქმე გამოენახათ, ძველიც მიატოვეს.

როგორც უკვე მოვიხსენიე, ტაპის დამზადებას კუნძულის ბევრ ნაწილში თითქმის თავი მიანებეს. იგივე ითქმის ადგილობრივ იარაღებსა და საოჯახო ჭურჭელზე; მათ ახლა ძალიან ცოტას ამზადებენ, რადგან ევროპულ ნაკეთობათა უპირატესობა აშკარა გახდა.

ეს კიდევ არაფერი, ადგილობრივ მკვიდრებს რომ ისეთი საქმისათვის მაინც მოეკიდათ ხელი, რომ რაც სჭირდებოდათ, ის შეეძინათ. მაგრამ კუნძულელებს ფიქრადაც არ მოსდით ეს, და მათ უმრავლესობას არ შეუძლია შეიძინოს ევროპული საქონელი იმის ნაცვლად, რასაც ადრე თვითონ ამზადებდნენ, ამას აუცილებლად მოსდევს ის ხელმოკლეობა, რომელშიც ახლა უბრალო ხალხი ცხოვრობს.

რადგანაც მე ახლახან მივატოვე მარკიზის კუნძულების პირველყოფილი ველი, საწყალი ტაიტელების უმრავლესობის სახლ-კარი და ცხოვრების საერთო წყობა მეტისმეტად ღარიბული მეჩვენა, ამიტომ თავი ვერ შევიკავე იმ შედარებისაგან, რომელიც მაინცდამაინც არაფერს ამბობდა ნახევრად ცივილიზებულ კუნძულელთა სასარგებლოდ.

ტაიტის მცხოვრებნი უსაქმოდ არიან, უსაქმურობა კი ყველგან მანკიერებას შობს. „არა მგონია, ქვეყნად იყოს რაიმე იმაზე უფრო საკვირველი და სავალალო, ვიდრე მათი უმიზნო, ყოველგვარ ინტერესებს მოკლებული ცხოვრება“, — წერს პატივცემული მოხუცი კვაკერი უილერი.

უმოქმედობის მდგომარეობიდან მათი გამოყვანის არაერთგზის ცდას შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე წლის წინათ კუნძულზე დაიწყეს ბამბის გაშენება; კუნძულელებმა, რომლებიც სიყვარულით ეკიდებიან ყოველივე ახალს, ამ საქმესაც დიდი სიამოვნებით მოჰკიდეს ხელი, მაგრამ ინტერესი ჩქარა გაუწედათ, და ახლა აქ ერთ გირვანქა ბამბასაც ვერ შეხედებით.

დაახლოებით ამავე დროს ლონდონიდან გამოგზავნეს საქსოვი დაზგები და აფრეპიტუმი კუნძულ ეიმეოზე ამუშავდა ფაბრიკა... ბორბლებისა და თითისტრების ზუზუნმა კუნძულის ყოველი მხრიდან მოიზიდა მოხალისენი, რომლებსაც დიდ პატივად მიაჩნდათ სამუშაოს დაწყება; მაგრამ ექვსი თვის შემდეგ უკვე ერთ ბიჭსაც ვერ დაიქირავებდით. დაზგები დაშალეს და სიღნეში გაგზავნეს.

იგივე ბედი ეწია შაქრის ლერწმის დამუშავების საქმეს. ეს მცენარე კუნძულზე გვხვდება ველურ მდგომარეობაში, განსაკუთრებით ეგუება მის ნიადაგსა და ჰაერს და ისეთი მაღალი ხარისხით გამოირჩევა, რომ ბლავიმ რამდენიმე ყლორტი წაიღო ვესტ-ინდოეთში გასაგზავნად. აქვე ერთხანს მთელი პლანტაციები აყვავდა და გაიფურჩქნა; ადგილობრივი მკვიდრნი ჭიანჭველებით დაფუსფუსებდნენ ყანებში, დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ საქმეს. მცირეოდენი პლანტაციები, რომლებიც დღესაც არსებობს, თეთრკანიანებს ეკუთვნით და ისინი ამუშავენ; მეპატრონეები ამჯობინებენ თერამეტი-ოცი ესპანური დოლარი უხადონ თვეში რომელიმე ლოთ მატროსს, ვიდრე თევზისა და ტაროს“ ფასად დაიქირაონ ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც სასმელს არ ეკარება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცივილიზაციის ყველა ნიშანი სამხრეთის ზღვების კუნძულებზე დაკავშირებულია უცხოელების აქ ყოფნასთან, თუმცა ამ ნიშნების წარმოშობის თვით ფაქტი ადგილობრივ მკვიდრთა მზარდი კეთილდღეობის დასამტკიცებლად მოჰყავთ ხოლმე. მაგალითად, ჰონოლულუში, სანდვინის კუნძულების დედაქალაქში, არის ლამაზი საცხოვრებელი სახლები, რამდენიმე სასტუმრო, საპარიკმახერო და საბილიარლოც კი; მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, ყველა ისინი თეთრკანიანებს ეკუთვნის. იქ თქვენ შეხვდებით თერმებს, მჭედლებსა და ხუროებს, მაგრამ მათში ვერცერთ ადგილობრივ მკვიდრს ვერ ნახავთ.

საქმე ის არის, რომ ფაბრიკებსა და მინდვრებში მუშაობა, ურომლისოდაც ცივილიზებული ცხოვრება წარმოუდგენელია, მოითხოვს მეტისმეტად დაძაბულსა და ხანგრძლივ შრომას, რაც სრულიად უჩვეულოა ისეთი ხალხისათვის, როგორიც პოლინეზიელები არიან. ისინი იმისათვის არიან გაჩენილი, რომ ბუნებრივად იარსებონ, ბუნების წიაღში, შესანიშნავ-

ჰავის პირობებში იყვნენ: მათ არ შეუძლიათ, რომ რაიმე ცვლილებას შეურიგდნენ. უფრო მეტიც, სხვაგვარ პირობებში იზინი, როგორც ხალხი, სწრაფად დაიღუპებიან.

მოყვანილი მონაცემები თვითონ ლაპარაკობენ თავისთავზე.

1777 წელს კაპიტანმა კუკმა დაახლოებით ორასი ათასი სული მოსახლე აღრიცხა¹. მორიგი აღწერით, ოთხი-ხუთი წლის წინათ რომ ჩატარდა, მათი რიცხვი სულ ცხრა ათასს შეადგენდა².

ასეთი განსაცვიფრებელი კლება არა მარტო გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდია მისი გამომწვევი მანკიერებანი, არამედ გარდუვალად მიყვარათ დასკვნამდე, რომ ყველა ომი, ბავშვების ზოცვა და მოსახლეობის რიცხვის შემცირების სხვა მიზეზები, რომლებიც თითქოს ფართოდ იყო გავრცელებული წინათ, ამასთან შედარებით სრულიად უმნიშვნელო რამაა.

ეს მანკიერებანი, უეჭველია, მხოლოდ უცხოელთა მოსვლამ გამოიწვია. აღარაფერს ვამბობ ლოთობის, ყვავილის ეპიდემიისა და სხვა მოვლენათა შედეგებზე, რომლებიც შეიძლებოდა მომეხსენიებინა. მიუთითებ მხოლოდ იმ გადამდებ სენზე, ტაიტელ მდაბითა ორ მესამედს მაინც რომ გაუჯდა სისხლში და ამა თუ იმ ფორმით გადადის მამიდან შვილზე.

ჰანიკური შიში, რომელმაც მოიცვა კუნძულები, როცა ამ უბედურებას გადააწყდნენ, უზომო სიბრაულეს იწვევს. თვით სახელი, მას რომ დაარქვეს, ყოველივე იმის ერთობლიობაა,

¹ „უამრავი ხალხი, ყველგან რომ მსვლდებოდა, — დასქენს იგი, — მარწმუნებდა, რომ ეს ციფრი სულაც არ იყო გადაჭარბებული“.

² ამ ექსპედიციის შესახებ ისილეთ ერთ-ერთი თავი წიგნისა „ექსპედიცია, ვაგზავნილი ჩრდილო-ამერიკის შტატების მიერ ასალი მიწების გამოსაკვლევად“, რომელიც ტაიტის ეძღვნება. სანდვიჩის კუნძულების მოსახლეობის თითქმის დაუჯერებელი კლების შესახებ ისილეთ იგივე შრომა, სადაც აღნიშნულია მთელი რიგი რაოდენობის მოსახლეობის პროგრესული შემცირება, რაც სანგრძლივი დროის მანძილზე შეინიშნება.

რუშენბერგერს, ჩრდილო ამერიკის სამსედრო ფლოტის განათლებულ ექიმს, მოჰყავს არქიპელაგზე შეგროვებული ცნობებიდან ამოკრებილი ციფრები. როპალოს ოლქში, პავაის კუნძულზე, ერთ დროს იყო 8679 მცხოვრები; ოთხი წლის შემდეგ 6175 დარჩა; ე. ი. ამ სნის განმავლობაში შემცირდა 2504 კაცით. არავითარი განსაკუთრებული მიზეზი მოსახლეობის კლებისა მოყვანილი არაა. ისილეთ: ე. ს. რუშენბერგერი, მედიცინის დოქტორი. „მოგზაურობა დედამიწის გარშემო 1835—1837 წწ“. თავი სანდვიჩის კუნძულების შესახებ, ფილადელფია, 1838.

რაც აუწერელ ძრწოლას უნდა ჰკვირიდეს ცივილიზებულ ადამიანს.

ტანჯვისაგან გაშმაგებულებს მიჰყავდათ ავადმყოფები მისიონერებთან (როცა ეს უკანასკნელნი ქადაგებას კითხულობდნენ) და ყვიროდნენ: „სიცრუეა, სიცრუე! თქვენ ხსნაზე გველაპარაკებით, ჩვენ კი, ხედავთ, ვიხოცებით! ჩვენ არ გვინდა სხვაგვარი ხსნა, გარდა სიცოცხლის შენარჩუნებისა. სად არიან ისინი, ვინც თქვენმა სიტყვებმა იხსნეს? პომარე მოკვდა, ჩვენც ყველანი ვიხოცებით თქვენს დაწყველილ სნეულებათა გამო. აღარ ღაგვანებებთ თავს?“.

ახლა ავადმყოფობა ცალკეულ შემთხვევებში ისე მძიმედ აღარ მიმდინარეობს, როგორც წინათ, მაგრამ ეს სენის კიდევ უფრო გავრცელებას იწვევს.

„რა საშინელია, — აღმოხდა მოხუც უილერს, — იმაზე ფიქრი, რომ უცხო ხალხებთან ურთიერთობამ გაუგონარ უბედურებას გადაჰყარა ეს საწყალი უმეცარი კუნძულები, რომლებსაც ბადალი არ ჰყავდათ ისტორიის ანალებში“.

ფაქტების შუქზე არ შეიძლება შეუნიშნავი დარჩეს კაცს, რომ ტაიტელების ხვედრი, წმინდა ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე თუ ვილაპარაკებთ, ახლა ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე წინათ; და თუმცა მისიონერთა აქყოფნას უთუოდ სარგებლობა მოაქვს მათთვის, მაგრამ ეს მაინც ძალზე უმნიშვნელოა იმ უზარმაზარ ბოროტებასთან შედარებით, რომელიც სხვა ფაქტორებმა მიაყენეს მათ.

ტაიტელების მომავალი უიმედოა. ყველაზე უფრო თავგამოღებულ ცდასაც კი აღარ შეუძლია თავიდან ააცილოს ის ბედისწერა, რომლის ძალითაც მოელით იყვნენ ნიმუში იმ ისტორიული კანონისა, რომელიც მუდამ დასტურდება. აგერ უკვე მრავალი წელია ისეთ მდგომარეობამდე მივიდნენ, როცა ყველაფერი, რაც არის უარყოფითი ბარბაროსობასა და ცივილიზაციაში, ერთდება, ხოლო სათნობანი, რომლებიც ყოველ ამ საზოგადოებრივ ფორმაციას ახასიათებს, იკარგება. სხვა პირველყოფილი ადამიანების მსგავსად, რომლებმაც ევროპელებთან დაამყარეს ურთიერთობა, ტაიტელები განწირული არიან მანამდე დარჩნენ ამ ყოფაში, სანამ საბოლოოდ არ აღიგვებიან პირისაგან მიწისა.

კუნძულები ნაღვლიანად შესცქერიან თავიანთი აღსას-

რულის მოახლოებას. რამდენიმე წლის წინათ პომარე II უთხრა ტაირემანსა და ბენეტს, ლონდონის მისიონერთა საზოგადოების წარმომადგენლებს: „თქვენ ძალიან ცუდ დროს მოხვედით ჩვენთან. თქვენი წინაპრები მაშინ მოვიდნენ, როცა ტაიტიზე ნამდვილი მამაკაცები ცხოვრობდნენ, თქვენ კი ჩემი ხალხის მხოლოდ ნაშთს ხედავთ“.

ასეთივე აზრია ჩაქსოვილი ტიარმოარის — პარეს უმაღლესი ქურუმის — წინასწარმეტყველებაში, ქურუმისა, რომელიც ასი და კიდევ მეტი წლის წინათ ცხოვრობდა. ხშირად ვამიგონია ჩუმი, ნაღვლიანი სიმღერა მოხუცი ტაიტელებისა:

ა პარი ტა ფოუ,
ა ტორო ტა ფარარო,
ა მოუ ტა ტარარტი.

გაისრლება პალმა,
განიტოტება მარჯანი,
აღამიანი კი აღარ იქნება.

თ ა ვ ი 50

აბბაჰი, რომელიც ახმას სულს გადასდა

მოდით ახლა ჩვენს მოთხრობას დაუბრუნდეთ.

ჯულიას გასვლის წინა დღეს ექიმმა ჯონსონმა უკანასკნელად გვინახულა. ისე თავაზიანად აღარ იქცეოდა. ჯონსონს მხოლოდ ჩვენი მატროსების ხელმოწერა ესაჭიროებოდა იმ საბუთზე, რომელიც მასში ჩამოთვლილი სხეადასხვა წამლის მიღებას ადასტურებდა. კაპიტან გაის მიერ დამოწმებული ასეთი ხელწერილი ჯონსონის საზღაურს უზრუნველყოფდა. მე და ექიმი რომ იმ დროს იქ ვყოფილიყავით, არა მგონია ხელმოწერაზე დაეყოლიებინა მატროსები.

ჩემს ახმას მეგობარს მაინცდამაინც მზე და მთეარე არ ამოსდიოდა ჯონსონზე; პირიქით, თვალით დასანახავად ეზარებოდა. ეს ორი გრძნობა რამდენადმე ერთი და იგივეა, რადგან როგორც სიყვარული, ისე სიძულვილი ღირსეულ ობიექტს მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ სიძულვილი გარკვეული აზრით იმდენადვე საამოა ჩვენთვის, რამდენადაც სიყვარული, და, მაშასადამე, მასზე გაჯავრებაც სისულელეა.

მე ჩემდათვად გულგრილად ვუყურებდი ჯონსონს, მეზი-
ზღებოდა და თავკერძა, ანგარების მოყვარულ მკურნალად
ვთვლიდი. ამიტომ ხშირად ვარიგებდი ახმახ სულს, როცა
ჯონსონის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ათასნაირი უწმაწური
ეპითეტებით ამკობდა. მაგრამ, პაროფესიის მხრივ თავისი თანა-
მიძმის თანდასწრებით, იგი არასოდეს არ იქცეოდა ასე და
გარეგნულად მეგობრული თვალითაც უყურებდა, რათა უკეთ
შეენიღბა თავისი ხრიკები.

ახლა მოგიყვებით კიდევ ერთ ამბავს ჩემს ახმახ მეგო-
ბარსა და ნავსადგურას ექიმზე. მე არ ვაპირებ დიდი ყურად-
ღება დაეუთმო ან ერთს ან მეორეს, მაგრამ რაკი ეს შემთხვევა
ნამდვილად მოხდა, უნდა მოვიხსენიო კიდევ.

რამდენიმე დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც ჯონსონმა
ზემოაღნიშნული ანგარიში წარმოადგინა, რომ ექიმმა სინანუ-
ლი გამოთქვა: თუმცა იგი (ჯონსონი) თავის გასართობად
გავათამაშეთ კიდევ, მაგრამ მაინც მოახერხა ამ საქმეზე ხელი
მოეთბო. საინტერესოა, დასძინა ექიმმა, კიდევ მოგვაკითხავს
თუ არა ახლა, როცა შემდგომი ხელფასის იმედი აღარ შეიძ-
ლება ჰქონდესო.

სასაცილო დამთხვევის გამო ხუთი წუთიც არ იყო გასუ-
ლი, რაც ეს შენიშვნა გამოთქვა, რომ თვით ახმახ სულს
რადაც შეტევა მოუვიდა, და იქ მყოფმა კაპიტანმა ბობმა, არა-
ვისთვის არ უკითხავს, ისე გაგზავნა ჯონსონთან ბიჭი და
უბრძანა რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაქცეულიყო.

ჯერჯერობით ექიმი კალაბუსაში გადავიყვანეთ, და უეც-
რად თავმოყრილი ადგილობრივი მკვიდრნი მკურნალობის
სხვადასხვა საშუალებას ვეთავაზობდნენ. ერთი, რომელიც
ძალისმიერი ზომების მომხრე იყო, ამტკიცებდა, რომ ავად-
მყოფისათვის მხრებსა და ხელებში ჩაეელოთ ხელი და
აქეთ-იქით გაეწიათ. ამ მეთოდს, რომელსაც შეეძლო მკვდრე-
თითაც კი აღედგინა კაცი, „პოტატა“ ერქვა; მაგრამ ჩვენ გავი-
თვალისწინეთ, რომ ჩვენი ახმახი მეგობარი დამატებითი გაწევ-
გამოწევის გარეშეც საკმაოდ გრძელი იყო, და მის „პოტატირე-
ბაზე“ უარი ვთქვით.

მალე გეაცნობეს, წნორიან გზაზე ჯონსონი გამოჩნდაო;
ისე ჩქარა მოდიოდა, ისე იყო გართული მოძრაობის პროცესით,
რომ სულ დაავიწყდა, რა უგუნურობაა ტროპიკული ჰავის

პირობებში აჩქარება. ოული ხვითქად მოსდიოდა — ეტყობა, გულთბილობის გამო, ჩვენ კი უგულო ადამიანად მაგვანხნდა. მაგრამ შემდგომ გამოვარკვეით ამ თავგამოდებული აჩქარების ნამდვილი მიზეზი: ჯონსონს მოარბენინებდა მხოლოდ პროფესიული ცნობისმოყვარეობა, სურვილი—ენახა პილინეზიურ პრაქტიკაში არნახული შემთხვევა. ზოგიერთ ვითარებაში მატროსები, რომლებიც ჩვეულებრივ მეტისმეტად დაუდევარნი არიან, განსაკუთრებულ მზრუნველობას ინიხეცნიმაზე, რომ ყველაფერი ისე კეთდებოდეს, როგორც წესი და რიგია. ამიტომ შემომთავაზეს, რომ, როგორც ახმაზი სულის უახლოესი მეგობარი, მის სასთუმალთან ვმდგარიყავი, რათა საჭირო შემთხვევაში „ორატორობა“ მეკისრა და ექიმის ყველა კითხვაზე მეპასუხა, მაშინ როცა სხვები დადუმებული იქნებოდნენ.

— რა დაემართა? — იკითხა კალაბუსაში შემოვიარდნილმა ჯონსონმა, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა. — როგორ მოხდა? ჩქარა მიპასუხეთ! — და თან ახმაზ სულს შეხედა.

მე მოვუყევი, თუ როგორ დაეწყო შეტევა.

— უცნაურია, — შენიშნა მან, — ძალიან უცნაური, მაჯისცემა საკმაოდ კარგი აქვს. — მერე პულსის თელას თავი დაანება და ავადმყოფს გულზე ხელი დაადო.

— დორბლი რატომ მოსდის პირიდან? — განაგრძო მან. — ღმერთო ჩემო! შეხეთ მუცელზე!

სხეულის დასახელებულ ნაწილს გაურკვეველი სიმპტომები ემჩნეოდა. ისმოდა ბლუილი, და ბამბის თხელ პერანგში შეიძლებოდა გაგერჩიათ რაღაც ტალღისებური მოძრაობა.

— ჭვალი დაადგა. სერ! — თავისი ვარაუდი გამოთქვა ერთმა.

— რა ჭვალი, რის ჭვალი! — შეჰყვირა ექიმმა. — სად ნახულა, ჭვლისაგან კატალექტიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილიყოს კაცი?

მთელი ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფი გულალმა იწვა გაუნძრევლად და, ზემოჩამოთვლილის გარდა, სიცოცხლის არაეითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— სისხლს გამოვუშვებ! — შესძახა ბოლოს ჯონსონმა. — ვინმე წავიდეს და ხაპი მოიტანოს!

— შეხეთ, შეხეთ! — დაიღრიალა საადმირალოს ბობმა, თიოქოს ჰორიზონტზე იალქანი დაინახაო.

— ეს რა ემართება, დალახვროს ეშმაკმა! — წამოიძახა ექიმმა, როცა შენიშნა, თუ როგორ მოექცა ავადმყოფს სახე.

— ფილენჯის ქარი ხომ არა აქვს? — ვარაუდი გამოთქვა ბობმა.

— ხაპი დაიკავეთ! — ჯონსონმა იმწამსვე ამოიღო ლანცეტი.

მაგრამ სანამ ჯონსონი ოპერაციას შეუდგებოდა, ავადმყოფს დაღმეჭილი სახე გაუსწორდა, ერთი გაიბრძოლა, ამოიხვნეშა, ქუთუთოები შეუთრთოლდა. თვალი გაახილა, ისევ დახუჭა, მერე გადმობრუნდა და ხმამაღლა დაიწყო სუნთქვა. მალე ახმახი სული ისე მომჯობინდა, რომ ლაპარაკის უნარიც დაუბრუნდა.

როგორც კი ხმა ამოაღებინა, ჯონსონი მაშინვე გაეცალა იქაურობას. ეტყობა, ეწყინა კიდევ, რომ შემთხვევა მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო არ გამოდგა.

მისი წასვლის შემდეგ ექიმი წამოჯდა და როცა ჰკითხეს, მაინც რა დაგემართაო, იღუმალი გამომეტყველებით გააქნია თავი. შემდეგ დაიწყო წუწუნი, რა მძიმეა ავადმყოფისათვის ასეთ ადგილას ყოფნა, სადაც ოდნავ შესაფერისი კვებაც არა აქვს. ამან თანაგრძნობა აღუძრა ჩვენს კეთილ მოხუც გუშაგს, და მან შესთავაზა, რომ ისეთ ადგილას გაგზავნიდა, სადაც უკეთ მოუვლიდნენ. ახმახი სული დაეთანხმა; კაპიტან ბობის ოთხმა თანაშემწემ იმწამსვე შეისვეს მხრებზე და ტიბეტის დაღლილ-ლამასავით წააბრძანეს.

მე ვერ ავხსნი ჩემი ამხანაგის ასეთ უცნაურ გულყრას, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ მიზეზი, რამაც იგი აიძულა ამგვარი ხერხით გასცლოდა კალაბუსას, რეგულარული კვების უზრუნველყოფის სურვილი იყო; ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ ის კეთილი კუნძულები, რომლისკენაც მიემართებოდა, კარგ სუფრას გაუშლიდა.

დილით, როცა ყველანი შურით ვლაპარაკობდით ექიმის წარმატებაზე, უეცრად კალაბუსაში შემოვარდა; აშკარად უგუნებოდ იყო.

— დალახვროს ეშმაკმა! — ყვიროდა იგი. — ასე ცუდად არასოდეს ვყოფილვარ; მაჭამეთ რამე!

ნივნივზე ეკიდა პატარა ტომარა, რომელშიც გემებზე

ნაშოვნი სურსათ-სანოვაგე იყო. იქიდან ორცხობილა ამოვიღეთ და გავუწოდეთ. ახმაზი სული ხარბად ლოლნიდა და თან ცავის ამბებს გვიყვებოდა.

— აქედან რომ წავედით, ჩორთით გამომყენენ და დამტოვეს ქიხში, სადაც ერთი მარტოხელა დედაბერი ცხოვრობდა. ეს აღბათ ჩემი მომავალი მარჩენალი არის-მეთქი, გავიფიქრე, და ვთხოვე ღორი დაეკლა და შეეწვა, რადგან უკვე მაღაზე ვიყავი მოსული. „იტა იტა! ოი მათი... მათი ნუი“ (არა, არა, შენ ძალიან ავადა ხარ). — „შენ თვითონ ხარ მათი, შე ეშმაკის კერძო, — ვუთხარი მე, — მაჭამე რამე!“ მაგრამ არაფერი არ აღმოაჩნდა. დაღამდა, მე იძულებული ვავხდი დავრჩენილიყავი. კუთხეში მივიკუნჭე და შევეცადე დამეძინა, მაგრამ ამაოდ: ბებერ კუდიანს, ეტყობა, ანგინა თუ რაღაც ამის მსგავსი ჰქონდა და მთელ დამეს ისე ხროტილებდა, რომ ბოლოს და ბოლოს წამოეხტი და სიბნელეში მისკენ გავემართე; მაგრამ დედაბერი ავი სულივით კვანჭალ-კვანჭალით გაეარდა გარეთ და მის შემდეგ თვალით აღარ მინახავს. როგორც კი მზე ამოვიდა, მაშინვე აქეთ გამოვეშურე, და აი თქვენთან ვარ.

ექიმი აღარ წასულა ჩვენგან, აღარც შეტევა მოსვლია.

თ ა ვ ი 51

უილსონმა ჩვენზე უარი თქვა. ვივეოზე გამგზავრება

„ჯულიას“ გასვლიდან სამი კვირის შემდეგ საკმაოდ ცუდ ყოფაში ჩავვარდით. საშუალება აღარ გვქონდა, რომ ყოველდღიურად გვერჩინა თავი, რადგან ყურეში უკვე იშვიათად შემოდდიოდნენ გემები და, რაც კიდეც უარესი იყო, ყველა ადგილობრივ მკვიდრს, გარდა კეთილი მოხუცი კაპიტნის ბობისა, თანდათან უმძიმდა ჩვენი იქ ყოფნა. ეს გასაკვირი არც იყო; ჩვენ ხომ მათ ხარჯზე ვცხოვრობდით, მაშინ როცა თვითონაც არ ჰყოფნიდათ სარჩო. ამასთან შიმშილი ზოგჯერ მძარცველებად გვაქცევდა: ღორებს ვიპარავდით და ტყეში მწვადებს ვაშიშხინებდით, რაც სულაც არ სიამოვნებდათ მათ პატრონებს. ასეთ ვითარებაში გადავწყვიტეთ ყველანი ერთად

წავსულიყავით კონსულთან და, რაკი თვითონ ჩაგვაგლო ამ გასაჭირში, დახმარებაც მისთვის გვეთხოვა.

წასვლა რომ დავაპირეთ, კაპიტან ბობის ხელქვეითებმა საშინელი ყვირილი ატეხეს და ცდილობდნენ არ გავეშვით. მანამდე ყველგან დავეხეტებოდით, სადაც გვინდოდა, მაგრამ ახლა რომ ყველანი გავერთიანდით სპეციალურ ექსპედიციად, ეტყობა, ამან ააღელვა ისინი. ჩვენ ვარწმუნებდით, რომ სოფელზე თავდასხმა არ გვეკონდა განზრახული, ბოლოს, კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ ნება დაგვრთეს წავსულიყავით.

ავღექით და გავემართეთ პრიჩარდის რეზიდენციისაკენ, სადაც კონსული ცხოვრობდა. ეს სახლი, როგორც უკვე მოვიხსენიე, ძალიან მოხერხებულია, აქვს ვრცელი შუშაბანდი და კულტურული საცხოვრებლის სხვა ატრიბუტები. მღელღე აქა-იქ გუშაგებივით აღმართულან ტანწერწეტა პალმები. აქვე შემოღობილში დგას პატარა ცალკე შენობა. ეს კონსულის კანცელარიაა.

კანცელარია ღაკეტილი დაგვხვდა, მაგრამ საცხოვრებელი სახლის შუშაბანდში შევნიშნეთ ქალი, რომელიც თმას კრეჭდა თეთრპალსტუხიან დარბაისელ ხნიერ ჯენტლმენს; ასეთი მშვიდი ოჯახური სურათი არ მინახავს მას შემდეგ, რაც სამშობლო დავტოვე. მაგრამ მატროსებს სურდათ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ენახათ უილსონი. ამიტომ მათ მიაგზავნეს ექიმი, რომ თავაზიანად ეკითხა მისი ჯანმრთელობის ამბავი.

სანამ ახმახი სული უახლოვდებოდათ, პატივცემული ცოლქმარი კუშტად უყურებდა, მაგრამ იგი ოდნავადაც არ დაბნეულა, დინჯად მიესალმა და კონსული მოიკითხა.

რომ გვითხრეს, ზღვაზე წავიდაო, ჩვენც იქით გავწიეთ. ძალე ერთი კუნძულელი შეგვხვდა და გვითხრა, უილსონმა თქვენი მოსვლა რომ გაიგო, ეტყობა, შეხვედრას მოერიდაო. გადაწვევით როგორმე მოგვეძებნა, სოფელში გავიარეთ და უეცრად წავაწყდით: როგორც ჩანს, მიხვდა, რომ დამალვას ვერ მოახერხებდა.

— რა გინდათ, თქვე თაღლითებო, თქვენა? — შეჰყვირა უილსონმა. ასეთ სალამს კაი მაგარ-მაგარი სიტყვებით ვუპასუხეთ. ამგვარმა შესავალმა დააინტერესა ადგილობრივი მკვიდრნი, და მათ ჩვენს ირგვლივ შეგროვება იწყეს; რამდენიმე უცხოელიც მოვიდა. საეჭვო რეპუტაციის ადამიანებ-

თან ლაპარაკში რომ წაასწრეს, უიღოსნს მოუსვენრობა დაეტყო და სასწრაფოდ გაემართა კანცელარიისაკენ. ჩვენ უკან გავყევით. გაბრაზებული, მოვეიბრუნდა და წინადადება მოგვცა, თავი თუ არ მოგბეზრებიან, მომცილდით, თქვენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვსო; მერე ტაიტურად ჩაულაპარაკა რაღაც კაპიტან ბობს, სასწრაფოდ განაგრძო გზა და მანამდე არ გაჩერებულა, სანამ პრიჩარდის ჭიშკარი არ მოაჯახუნა.

ვეება კაბაში გამოწყობილი ჩვენი კეთილი მოხუცი გუშაგი, აღელვებული, მოუსვენრად დარბოდა და გვაფიცებდა კალაბუსაში დაებრუნებულიყავით. მცირე ხნის კამათის შემდეგ დავეთანხმეთ.

ეს შეხვედრა გადამწყვეტი გამოდგა. კონსული ხვდებოდა, რომ ჩვენდაში წამოყენებული ბრალდებები უსაფუძვლო იყო, მაგრამ ფორმალურად არ უნდოდა მათზე უარი ეთქვა, რათა ვინმეს ეჭვი არ აეღო, რომ მისი წაქეზების გამო გავიქეციით. სხუანაირად არ შეგვეძლო აგვეხსნა მისი საქციელი.

მაგრამ ზოგიერთმა ჩვენგანმა ჭეშმარიტად გმირული პრინციპულობით დაიფიცა, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, არასოდეს განშორებოდა კონსულს. პირადად მე უკვე ეოცნებობდი ცვლილებაზე; და რადგან გემზე მუშაობის დაწყების იმედი აღარ იყო, გადავწყვიტე რაიმე სხვა გამოსავალი მომეძებნა. მაგრამ უპირველეს ყოვლისა ამხანაგზე უნდა მეფიქრა; ცხადია, არჩევანი ექიმზე შევაჩერე. ჩვენ მაშინვე შევუდექით გემის შემუშავებას, რომელიც ჯერჯერობით დანარჩენებისათვის არ უნდა გაგვეზიარებინა.

რამდენიმე დღით ადრე მე შევხვდი ორ ახალგაზრდა იანკის, ტყუპებს; ისინი თავიანთი გემიდან გამოქცეულიყვნენ და გადასულიყვნენ კუნძულ ფანიგზე (ეს კუნძული უდაბურია, მაგრამ არაჩვეულებრივად მდიდარია ყოველგვარი ხილით), იქ კარგა ხანს ეცხოვრათ, შემდეგ კი ამხანაგობის კუნძულებზე დაუბეტებოდნენ თურმე. აქ ისინი მოვიდნენ ეიმეიდან — ტაიტის მასლობელი კუნძულიდან, სადაც მუშაობდნენ ორ უცხოელთან, რომლებსაც ამას წინათ დაეწყოთ პლანტაციის გაშენება. ჩემ თანამემამულეთა თქმით, ამ აღამიანებს მათთვის დაევალებინათ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, პაპეტედან მინდვრებში სამუშაოდ გამოეგზავნათ ორი თეთრკანიანი.

მიწის ჩიჩქნა აბა რა ჩვენი საქმე იყო, მაგრამ ტაიტიდან

წასვლის შემთხვევის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა. ჰოდა, ჩვენც ავდექით და მოვემზადეთ, რომ გავყოლოდით პლანტატორებს, რომლებიც რამდენიმე დღის შემდეგ თავისი კანჯოთი უნდა მოსულიყვნენ პაპეტიეში.

შეხვედრა შედგა, და ჩვენი თავი გააცნეს მათ როგორც პიტერი და პოლი. ისინი დათანხმდნენ, რომ პიტერისა და პოლისათვის თვეში გადაეხადათ თხუთმეტი დოლარი ვერცხლით; თუ სამუდამოდ დარჩებით ჩვენთან, კიდევ მოგიმატებთო, — დაგვიპირდნენ. მათ უნდოდათ მუდმივი მუშები ჰყოლოდათ. აღვიღობრივ მკვიდრებს რომ არ გადაეყროდით (მათ უმრავლესობას კარგად არ ესმოდა კონსულთან ჩვენი დამოკიდებულება და, თუ დანახავდნენ, რომ მივემგზავრებით, შეეძლოთ დავეჭირეთ), გასვლა შუაღამეს დაეთქვით.

განშორების ჟამი რომ მოახლოვდა, დანარჩენებსაც გავანდეთ ჩვენი განზრახვა. ზოგნი საყვედურებს მოჰყვნენ, რომ ვტოვებდით, ზოგიერთებმა შეგვაქეს და აღგვითქვეს, რომ როგორც კი დროს იხელთებდნენ, მაშინვე ჩვენს გზას დაადგებოდნენ. ბოლოს ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ამ სცენას ალბათ გულისტკივილით მოვიგონებდით, რადგან ველარასოდეს ვნახავდით ჩვენს ამხანაგებს, რომ მაკ-გის არ ჩაეფლავებინა საქმე: მოხვევნისას დასაკეცი დანა ამოაცალა ექიმს.

ფეხაკრეფით ჩავედით ზღვის ნაპირას, სადაც ჩრდილოვან ჭალაში გველოდებოდა კანჯო; ცოტა ხნის შემდეგ ნიჩბები მოეუსვით. რიფის მეორე მხარეს რომ გავედით, იალქანი ავუსვით და, ზურგქარს აყოლილნი, ნელ-ნელა გავემართეთ ეიმეოსაკენ.

მგზავრობა საამო იყო. ამოვიდა მთვარე. სახეზე თბილი ჰაერი გველამუნებოდა. მელოდიურად შხაპუნობდნენ ტალღები, თავზე კი გვეხურა ტროპიკული დამის იისფერი გუმბათი, მოჭედილი მოციმციმე ვარსკვლავებით.

სრუტე დაახლოებით ხუთი ლიგის სიგანისაა. ერთ მხარეს მოჩანს სამი მაღალი მწვერვალი, რომლებიც ამაყად დასცქერიან ქედებსა და ველებს. მეორე მხარეს ეიმეოს არანაკლებ თვალწარმტაცი მაღლობებია. მათ შორის განცალკევებით დგას ერთი მწვერვალი, რომლის მწვანე გვირგვინი ცას სწვდება. ამ მწვერვალს „დიდთავა ლურსიმანს“ ეძახდნენ ჩვენი თანამგზავრები.

პლანტატორები გულისხმიერი ადამიანები აღმოჩნდნენ. ისინი მეზღვურები იყვნენ და ამან, რა თქმა უნდა, დაგვაახლოვა ერთმანეთს. მეგობრობის განსამტკიცებლად უცებ ამოიღეს ერთი ბოთლი ღვინო, ფრანგი აღმირალის მებუფეტეს რომ მიეცა მათთვის; ამას წინათ პაპეეტეში ყოფილიყვნენ და მებუფეტისათვის კარგი სამსახური გაეწიათ, — მოსიყვარულე ფრანგისათვის ნაპირის ქალები გაეცნოთ. გარდა ამისა, ჩვენს ახალ მეგობრებს ჰქონდათ ხაპი, რომელიც სავსე იყო გარეული ღორის ხორციით, შემწვარი იამსით, ბატატითა და პურის ხის ნაყოფით. ამას მოჰყვა ჩიბუხები და თუთუნის; სანამ მშვილად ვაბოლებდით, ბევრი რამ გვიამბეს მეზობელი კუნძულების შესახებ.

ბოლოს მოისმა ეიმეოს რიფებზე მიხეთქებული ტალღების ხმაური. გასასვლელი გავიარეთ, შიდა ლაგუნა გადავსერეთ და ნაპირს მივადექით.

თ ა ვ ი 52

მარტაირის ველი

რამდენიმე ჭალა გავიარეთ და ტრიალ მინდორზე გავედით. ბამბუკის სახლიდან ლაპარაკის ხმა გამოდიოდა და სინათლე გამოკრთოდა. აქ ცხოვრობდნენ პლანტატორები. მათი არყოფნისას მეურნეობას რამდენიმე ქალიშვილი უძღვებოდა მოხუცი კუნძულების მეთვალყურეობით. ახლა ტაპაში გახვეული ბერიკაცი კუთხეში მიწოლილიყო და ჩიბუხს ეწეოდა.

სახელდახელოდ მოვამზადეთ საუზმე, მერე თვალის მოტყუება ვცადეთ, მაგრამ, რა დაგვაძინებდა, როცა უამრავი ქინქლი დაგვტრიალებდა თავს! ტაიტიზე ქინქლი არ იცის და აქ კი რამდენია. მაგრამ ქინქლებზე ქვემოთ მოგახსენებთ უფრო დაწვრილებით.

დილაადრიან ავდექით და გავიარ-გამოვარეთ, რომ იქაურობა დაგვეთვალეირებინა. ჩვენ ვიმყოფებოდით მარტაირის ველზე, რომელსაც ორივე მხარეს ბორცვები აკრავს. აქა-იქ მოჩანდა ფრიალო კლდეები, აყვავებულ ბუჩქებს რომ გადაეჭრელებინა ანდა მოყვავილე ვაზებით იყო დავლილი. ველი

ზღვისპირას საკმაოდ ფართოა, ხოლო რაც უფრო ვშორდებით ნაპირს, თანდათან უფრო ვიწროვდება; ნაპირიდან რამდენიმე მილის მოშორებით იგი მეტად უცნაურ მთავრეხილთან თავდება; მთების მწვერვალები ჰგავს ციხის ქონგურებს, რომლებიც ბუნქებსა და ტანაშოლტილ ხეებს დაუფარავს. თვით ველი წარმოადგენს უღრან ტყეს, რომელიც დასერილია ნაკადულებითა და ხშირ ფოთლებში გამაყალი ვიწრო ხილიკებით, გვირაბებს რომ წააგავს.

ამ მივარდნილ ადგილას, ნაპირიდან ოდნავ მოშორებით, განმარტოებით იდგა პლანტატორის სახლი; უახლოესი მეზობლები ცხოვრობდნენ ქოქოსის პალმების ჭალაში, რომელიც ზღვას ეკვროდა.

პრერიასავით მოსწორებული მიწის ზოლი ოცდაათილ აკრზე იყო გადაჭიმული. მის ნაწილს ამუშავებდნენ. პლანტაციას შემოვლებული ჰქონდა სარებითა და ხეების შტოებითა; გაკეთებული მაგარი მესერი. ღობე პლანტაციას იცავდა გარეული ხარებისა და ღორებისაგან, რომლებიც უამრავი იყო კუნძულზე.

დღემდე მთავარი კულტურა იყო ტუმბესური კარტოფილი¹, რომელსაც ძალიან ეტანებოდნენ პაპეეტეში შემოსული გემები. ეთესათ აგრეთვე ცოტაოდენი ტარო ანუ ინდური თაღამი, იამსი, ერთ ადგილას კი შაქრის ლერწამიც ჰქონდათ, რომელიც შემწიფების ხანაში იყო შესული.

შემოლობილის იმ ნაწილში, ზღვასთან ახლოს რომ იყო, იდგა ბამბუკის სახლი, რომელიც ახლახან აუშენებინათ აქაური სტილით. მთელი საოჯახო ინვენტარი შედგებოდა მატროსთა რამდენიმე სკივრისაგან, ძველი ყუთის, მცირერიცხოვანი სამზარეულო ნივთებისა და მიწის დასამუშავებელი იარაღების, აგრეთვე ნივინვებზე ჩამოკიდებული სამი სანადირო თიფისა და ლატანებზე გადაჭიმული ხარის ტყავისაგან დამზადებული ორი უზარმაზარი ჰამაკისაგან, მოპირდაპირე კუთხეებში რომ ეკიდა.

¹ ეტყობა, ბატატის ყველაზე საუკეთესო ჯიშია მსოფლიოში. ეს სახელი ეწოდა პერუს ერთ-ერთი ოლქის მისედეით, რომელიც მდებარეობს კაბო-ბლანკოს მასლობლად, სადაც მიხი მოყვანის პირობები მეტად ხელსაყრელია. და ბლომადც თესავენ. ასეთი ბატატის ბოლქვები ზოგჯერ კარგა მოზრდილი ნესვის ოდენაც კი არის.

პლანტაციას ყოველი მხრიდან ხშირი ტყე ეკვროდა, ხოლო სახლის ახლოს საგანგებოდ იყო დატოვებული რამდენიმე ჯუჯა „აოა“ (ბანანის სახეობა), რომლებსაც ძალზე უცნაურად გაეშალათ ტოტები ღობის თავზე და მეტად საამო ჩრდილი ჰქონდათ. ამ სასაცილო ხის ქვედა ტოტები კარგი ჩამოსაჯდომი იყო. ადგილობრივი მკვიდრნი ხშირად მოიკალათებდნენ ხილმე ხედ თავიანთი ტომის ჩვეულების თანახმად, ჩიბუხს აბოლებდნენ და საათობით მასლაათობდნენ.

საუზმედ მადიანად შევექცეთ თევზს (ადგილობრივმა მკვიდრებმა მზის ამოსვლამდე მოკლეს ბარჯით), ინდური თაღამის პუდინგს, შემწვარ ბანანსა და პურის ხის ნაყოფს.

საუზმობისას ჩვენი ახალი ნაცნობები ძალიან მეგობრულად და გულთბილად გვეპყრობოდნენ. გამოირკვა, რომ ისინი, ისევე როგორც პოლინეზიაში დასახლებული ყველა გაუნათლებელი უცხოელი, ოდესღაც გემიდან გამოქცეულიყვნენ; მათ ყური მოეკრათ, როგორ შეიძლება გამდიდრდეს კაცი ვეშაპსანადირო გემებისათვის საჭირო პროდუქტების მოყვანით და გადაეწყვიტათ ასეთი საწარმო თვითონაც გაეხსნათ. ამ განზრახვით მოიარეს სხვადასხვა ადგილი, ბოლოს მარტაირის ველამდე მოაღწიეს და, შესაფერისი ნიადაგი რომ ნახეს, შეუდგნენ საქმეს. პირველყოვლისა მოძებნეს იმ ნაკვეთის მფლობელი, რომელიც მოეწონათ, და შეეცადნენ, რათა იგი მათი „ტაიო“ გამხდარიყო.

მიწის მფლობელი აღმოჩნდა ტონიო, მეთევზეთა ბელადი — სწორედ ის კაცი, რომელმაც, სპირტიანი სასმელით აღგზნებულმა, წელზე შემოხვეული მოკლე ტაპა შემოიგლიჯა და მითხრა, რომ თვით დედოფალ პომარეს სისხლის ნათესავი იყო, რომ დედამისი ეკუთვნოდა ქურუმთა სახელოვან გვარს, რომ ამ გვარის ხელისუფლება, ბამბუკის კვერთხისა განსახიერებული, ძველ დროს ვრცელდებოდა მთელ კუნძულ ეიპოზე, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ წარმართული იყო. სამეფო და ჭეშმარიტად საპატიო გვარეულობაა! მაგრამ იმ დროს, რომელსაც მე აღვწერ, მუქკანიანი არისტოკრატი გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო და ამიტომ სიამოვნებათ დაუთმო ათიოდე აკრი მიწა, რომელიც თვითონ არ სჭირდებოდა. სამაგიეროდ უცხოელებმა მისცეს ორი თუ სამი ძველი რემატული თიფი, შალის რამდენიმე წითელი პერანგი; თანაც

დაჰპირდნენ, რომ, როცა მოხუცდებოდა, მასზე იზრუნებდნენ; პლანტატორები ხელს არ კრავდნენ და ყოველთვის შეიფარებდნენ.

მან მოინდომა, რომ სახლში სიმამრის სასურველი ადგილი სჭეროდა, და ყოველგვარი გადაკრული სიტყვების გარეშე შესთავაზა ცოლებად თავისი ორი ქალიშვილი, მაგრამ ამაზე ორივემ თავაზიანად უთხრა უარი; ჩვენს თავგადასავლის მაძიებლებს არშიყობაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ მატრიმონიალური კავშირით თავის შეზღუდვა არ სურდათ და ამიტომ ბრწყინვალე გვარეულობასაც არ დახარბდნენ.

ტონიოს ქვეშევრდომი მეთევზეები, რომლებიც ჭალაში ცხოვრობდნენ, საცოდავი ადამიანები იყვნენ. მისიონერთა მამობრივ მზრუნველობას მოშორებულნი, გაზარმაცდნენ და ათასგვარ მანკიერებას აჰყვნენ. დილით ტყის პირას რომ გაგველოთ, აუცილებლად წააწყდებოდით მათ; ზოგი ნაპირზე გამოტანილ პირაგუაში თვლემდა ბურქების ჩრდილში, ზოგიერთები ხის ძირას წამოწოლილიყვნენ და ჩიბუხს აბოლებდნენ, უფრო ხშირად კენჭაობდნენ, თუმცა ძნელი სათქმელია, მცირედი თამბაქოს გარდა, რის დადება შეეძლოთ ამ პრიმიტიული თამაშების დროს. სხვა უბრალო გასართობებიც ჰქონდათ, რომლებიც, ეტყობა, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდათ. რაც შეეხება თევზაობას, მას ძალიან ხშირად უმნიშვნელო დროს უთმობდნენ. საერთოდ ეს იყო სილატაკეში მცხოვრები მხიარული ხალხი.

ტონიო, ბებერი ცოდვილი, ყოველ დილით კენჭაობდა; წაქცეულ ქოქოსის პალმას მიეყრდნობოდა ხოლმე და ასე ეთამაშებოდა შულერს — ჭალარა ადგილობრივ მკვიდრს, რომელიც წარამარა ატყუებდა და მეგობარი პლანტატორების მიერ მიცემული თამბაქოს ნახევარს უკებდა. საღამო ხანს კვლავ პლანტატორთა სახლისაკენ გასწევდა ხოლმე, სადაც დილამდე ატარებდა დროს, — ხან ეწეოდა, ხან თვლემდა, ხან კი თავისი გვარის სიბერეზე გააბამდა ლაპარაკს. მაგრამ, სხვა უდარდელი, გამოჩენილი მონაწილისა არ იყოს, მასაც სავსებით აკმაყოფილებდა უზრუნველი ცხოვრება.

საერთოდ მარტიარის ველი იყო ყველაზე მყუდრო ადგილი, რომელიც კი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. ქინქლებისთვის რომ როგორმე თავი დაგვედწია, აგვისტოს იქ გატა-

რება ძალიან სასიამოვნო იქნებოდა. მაგრამ, როგორც მალე ნახავს მკითხველი, მე და ახმავ სულს არ გავვიმართლდა, და ჩვენ სულ სხვაგვარი რამ გველოდა.

მიწათმოქმედება კოლინეზიაში

პლანტატორები ორიენტი გულდია ყმაწვილები იყვნენ, მაგრამ სხვა დანარჩენი თვისებებით სრულიად არ ჰგავდნენ ერთმანეთს.

ერთი ტანმალალი ღონიერი იანკი გახლდათ, ფერმკრთალი, მოგრძო პირისახისა, დაბადებული იყო მენის შტატის მივარნილ ტყიან ადგილას, მეორე — ტანმორჩილი ღონდონელი, რომელმაც, სულ პირველად რომ აახილა თვალი, მონუმენტი¹ დაინახა თურმე.

ზიკი, იანკი, გაბზარული ვიოლასავით დუდღუნებდა, ხოლო ჯუჯა (ასე ეძახდა ამხანაგი) ნამდვილი კოკნივით² გამოთქვამდა სიტყვებს. თუმცა იგი მსოფლიოს ყველაზე მაღალ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ოცდახუთი წლის ლამაზი ჭაბუკი ნამდვილად იყო. ლოყები ვარდისფერად უღვიოდა, როგორც ანგლო-საქსებს აქვთ შეფაკლული, ოღონდ მოხეტიალე ცხოვრებას ეს ფერი კიდევ უფრო გაემუქებინა; იგი ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით შესცქეროდა ქვეყანას, თავს კი ხვეული ქერა თმა უმშვენებდა.

ზიკი სილამაზით არ გამოირჩეოდა. ამ შეუხედავ, მაგრამ ღონიერ ადამიანს შეეძლო ყოველგვარი ფიზიკური სამუშაოსთვის გაერთვა თავი. ეს იყო და ეს. თვალები იმისათვის კი არ ჰქონდა, რომ ეჭუყუნებინა, არამედ იმისათვის, რომ ეცქირა. ღონდონელთან შედარებით დინჯი და საკმაოდ სიტყვაძვირი ჩანდა, ისე კი ძველი ხუმარა იყო. დანარჩენ რამეებში იგი პირდაპირობით, გულკეთილობით, ჭკუით, ხასიათის სიმტკიცითა და, ჯუჯასი არ იყოს, უწიგნურობითაც გამოირჩეოდა.

¹ სეეტი, რომელიც აღმართულია ღონდონში 1666 წლის ხანძრის აღსანიშნავად.

² ღონდონის აღმოსავლეთ ნაწილის მკვიდრი.

ცოტა არ იყოს უცნაურ შეზამებას წარმოადგენდნენ, თუკაცა ერთმანეთთან ძალიან კარგად იყვნენ. მაგრამ რადგანაც არასოდეს არ ზღედა, რომ ორი ადამიანის საერთო საქმისათვის გაერთიანებისას ერთმა მეორეს არ აჯობოს, ამიტომ მეტწილად ზიკი უფროსობდა. მისი მუყაითობა ჯუჯასაც გადაელო და ისიც განიმსჭვალა შრომისმოყვარეობის უდრეკი სულით და ღმერთმა უწყის კიდევ რა იდეებით, რომლებიც მათი პლანტაციის მეშვეობით სიმღიდრის დაგროვებას ისახავდნენ მიზნად.

ეს ჩვენ ძალიან გვაშფოთებდა, რადგან მაინცდამაინც არ გვსიამოვნებდა იმის წინასწარ განცდა, თუ ჩვენი დამქარავებლები პირადი მაგალითით როგორ გვასწავლიდნენ თავდაუზოგავად შრომას. მაგრამ ახლა გვიანდა იყო თითზე კბენანი.

პირველ დღეს, მაღლობა ღმერთს, არაფერი გაგვიკეთებია. ჯერჯერობით სტუმრებად გვთვლიდნენ და უეჭველად ფიქრობდნენ, რომ, სანამ ჩვენს მოსვლას სათანადოდ არ ვიზვიმებდით, მანამდე მუშაობის შემოთავაზება არადელიკატური იქნებოდა. მაგრამ მეორე დღეს ორივე პლანტატორს საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა, და ჩვენც მუშაობას შევუდექით.

— აბა, ბიჭებო, — თქვა ზიკმა ნასაუზმევს და ჩიბუხი დაბერტყა, — შეეუდგეთ საქმეს. ჯუჯა, პიტერს (ექიმს) ერთი დიდი თოხი მიეცი, მეორე კი პოლმა გაიდოს მხარზე და წავიდეთ.

ჯუჯამ კუთხეში მიყუდებული სამი თოხი მოიტანა, მიუდგომლად განაწილა და თავის კომპანიონს გაჰყვა, რომელსაც ნაჯახის მსგავსი რაღაც მიჰქონდა.

წუთით მარტონი დავრჩით სახლში და შეშინებული თვალები მივაპყარით ერთმანეთს. ორივენი შეიარაღებული ვიყავით უხეშად გამოჩორკნილი დიდი კეტებით, რომლებსაც ბოლოში რკინის ბრტყელი ნაჭრები ეკეთა.

იარაღის ლითონის ნაწილი, რომელიც ყამირი მიწისათვის იყო განკუთვნილი, სიდნეიდან მოეტანათ, ხოლო ტარები აქვე დაემზადებინათ. ეგრეთ წოდებული თოხების ამბავი კი გვსმენოდა ადრე, გვენახა კიდევ, მაგრამ ისინი სავსებით უვნებელი იარაღები იყო იმათთან შედარებით, რომლებიც ახლა გვეჭირა.

— რა უნდა ვუყოთ ამათ? — ვკითხე პიტერს.

— უნდა ავწიოთ და დაეუშვათ, — მიპასუხა მან, — თუ

როგორღაც ვიქნით. პოლ, ჩვენ ხათაბალაში გავებით... გეს-
მის? გვეძახიან. — თოხები მხარზე გავიდეთ და გზას გაუღდე-
ქით.

ჩვენ გაეწიეთ პლანტაციის ბოლოსაკენ, სადაც მიწა ნაწი-
ლობრივ გაწმენდილი იყო, მაგრამ ჯერ არ გაეფხვიე-
რებინათ; ახლა ამ საქმეს ზიკმა და ჯუჯამ მოჰკიდეს ხელი.
როცა შეეჩერდით, ვკითხე, რატომ გუთნით არ ხნავთ, დაგე-
ჭირათ ერთი ველური ხარი, გაგესუღნათ და გუთნის ტარება
გესწავლებინათ—მეთქი.

ზიკმა მიპასუხა, რომ პოლინეზიაში ამ მიზნით არსად არ
იყენებენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს; რაც შეეხება მარ-
ტაირის ნიადაგს, მასში ბევრი დახლართული ფესვია და გუთა-
ნი ვერ გაიტანს; ამნაირი მიწისათვის მხოლოდ სიდნის მძიმე
თოხებია გამოსადეგი.

ამრიგად, მუშაობა გველოდა; მაგრამ სანამ შევეუღებოდით,
შე შევეცადე კვლავ განმეგრძო იანკისთან მეგობრული საუ-
ბარი, და ახლა სიტყვა ჩამოვუგდე ყამირი მიწების შესახებ,
კერძოდ მარტაირის ველის ნიადაგებზე. ასეთმა ეშმაკურმა
ფანდმა გამოაცოცხლა ახმახი სული, ახლოს მოიწია და სასა-
უბროდ მოემზადა. მაგრამ ყველაფერი, რის მოყოლაც საჭიროდ
ცნო მიწის დამუშავების თაობაზე, მხოლოდ იმ პლანტაციას
ეხებოდა, სადაც ვამყოფებოდით; მან საკმარისად განგვიმარტა
ეს საკითხი, ასე რომ, ჩვენ წარმატებით შეგვეძლო შევდგო-
მოდიტ მუშაობას, და თვითონაც მოჰკიდა ხელი საქმეს. ჯუჯან
უყურა ამხანაგს, უყურა და მერე თვითონაც მიბაძა.

ალაგ-ალაგ მიწიდან ამოწვერილიყვნენ განაკაფი ბუჩქების
ღეროები. ოდესღაც აქ ხშირი ბუჩქნარი იყო. ეტყობა, ეს
ღეროები განგებ დაეტოვებინათ, რომ ფესვების ამოძირკვის
დროს ხელი ჩაეკლოთ. იანკიმ გამაგრებული მიწა თოხის რამ-
დენიმე დაკვრით გააფხვიერა და ერთ-ერთი ფესვის ამოღე-
ბას შეუდგა; ხან აქეთ ატრიალა, ხან იქით, ქაჩა, შეაბრუნ-
შემოაბრუნა, მერე კი ჰორიზონტალური მიმართულებით მოს-
წია.

— რას უღგებხართ, მომესმარეთ! — მოგვაძახა ბოლოს.

ჩვენ მივირბინეთ და ოთხივემ ხელი ჩავეკიდეთ. ისე ვექა-
ჩებოდით, რომ მიწა ირყეოდა, მაგრამ ჯიუტი ფესვი მაინც არ
გვემორჩილებოდა.

— დასწყევლოს ღმერთმა! — შესძახა ზიკმა. — თოკი უნდა წამოგველო სახლიდან; ჯუჯა, გაიქე, ერთი, მოიტანე!

ფესვს თოკი ჩაეაბით, შორიშორ ჩავეკიდეთ ხელი და ისევ მოექაჩეთ.

— ჯუჯა, აბა, ერთი, სიმღერა წამოიწყე, — უთხრა ექიმმა, რომელმაც ძალიან ჩქარა იცოდა გაშინაურება.

მატროსებში მუშაობის გაიოლების ასეთი ხერხი, თუკი ის რაიმე სიძნელეს წარმოადგენს, მშვენიერ შედეგს იძლევა. ამიტომ ჯუჯამ, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა გუნება არ გაგეფუჭებოდა, წამოიწყო „დამბარტონში თუ ყოფილხართ ოღესმე?“ — გამამხნევებელი, მაგრამ ცოტა არ იყოს უწმაწური გუნდური სიმღერა, რომელსაც შპილზე მოსიარულე მატროსები ასრულებდნენ ხოლმე.

ბოლოს იანკიმ იმით გაანელა მისი ენთუზიაზმი, რომ გაჯავრებით დაიყვირა:

— ჯანდაბას შენი სიმღერა! გაჩუმდი და მოქაჩე.

ჩვენ ხმაჩაწყვეტილები ვეწეოდით თოკს; ბოლოს ისე მოექაჩეთ, რომ ძვლებმა ტკაცატკუცი დაგვიწყო. ფესვი მოვთხარეთ, ჩვენ კი მიწაზე მოვადინეთ ზღართანი. ღონემიხდილი ექიმი ისევ იწვა; მას ეგონა, რომ ასეთი გმირობის შემდეგ ნებას დაგვრთავდნენ სამუშაოსთვის თავი დაგვენებებინა. ამიტომ შლაპა მოიხადა და ქნევა დაიწყო.

— კაი მძიმე ძია იყო, ხომ, პიტერ? — წარმოთქვა ექიმთან მისულმა იანკიმ. — მაგრამ სულ ტყუილად ჯიუტობენ, ბიჭი არ ვიყო, თუ სუყველა მაღლა არ ამოვაბრძანოთ. ვაშა! ახლა მეორეს მივადგეთ!

— შეგვიბრალეთ, — შესძახა ექიმმა, ნელა წამოდგა და ჩემკენ მობრუნდა. — ნამდვილად დაგვბოცავს!

ისევ დავწვდით თოხებს. ხან რიგრიგობით ვმუშაობდით, ხან ერთად, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ვითარება იყო, „საშუაღლეო შესვენებამდე“ ვმუშაობდით. ასე ეძახდნენ პლანტატორები დროის იმ მონაკვეთს, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში გახურებულ წყნარ ველზე, სადაც პასატი არ ქროდა და მხოლოდ კუნძულის საქარე მიმართულებით იყო ღია, აუტანლად ცხელოდა და მზის გულზე მუშაობა არამც და არამც არ შეიძლებოდა. ჯუჯას

ჰიპერბოლას თუ მივმართავთ, „ისეთი სიცხე იყო, რომ სპი-
ლენძის მაიმუნსაც კი გაუდნებოდა ცხვირი“.

სახლში დაბრუნებულმა ჯუჯამ მოხუცი ტონოის დახმარე-
ბით მოამზადა სადილი და, როცა ყველამ მოეუწონეთ, ლონ-
დონელი და ზიკი ერთ-ერთ ჰამაკში ჩაწვენენ, ჩვენ კი შექოგე-
თაეაზეს მეორე დაგვეკაეებინა. მათი აზრი ჭკუაში დაგვიჯდა
და ასეც მოვიქცეთ. ქინქლებთან მცირე შეტაკების შემდეგ
ცოტა წაგვთვლიმა. რაც შეეხება პლანტატორებს, ისინი
„სასუადლეო შესვენებას“ ჩვენზე უფრო იყვნენ შეჩვეული;
ამიტომ ერთმანეთს ზურგი შეაქციეს და მალე ზვრინვა ამო-
უშვეს. ტონოი კუთხეში მიწოლილიყო ჭილოფზე და თელემდა.

ბოლოს ზიკის ხმამ გაგვადვიმა:

— ადექით, ბიჭებო, ადექით! აბა დროა საქმეს მოვკიდოთ
ხელი!

ექიმს შევხედე და მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც ხრიკი
ელო გულში.

მან მოლლილი ხმით უთხრა ზიკს, რომ უქეიფოდ იყო; ამ
ბოლო დროს რაღაც ვერა ვარ კარგად, თუმცა ცოტაოდენი
დასვენება ფეხზე დამაყენებსო. იანკის შეეშინდა, ამათ რომ
აზლავე დავაჯდე თავზე და გასაქანი არ მიეცე, ვაითუ სულ
ალარაფერში გამომადგნენო, და მაშინვე გვითხრა: თუ ჯერჯე-
რობით არ შეგიძლიათ მუშაობა, თავს ძალას ნუ დაატანთ, ნუ
გადაიღლებითო. ზიკმა ყური არ ათხოვა ჩემს ამხანაგს, რო-
მელმაც თქვა, მართლაც შეუძლოდ ვარო, და ურჩია, რახან
მალე დაიქანცე, საღამომდე ჰამაკში იწექიო. მე კი შემომთა-
ვაზა, თუ გსურს, ახლომახლო ბორცვებისაკენ გავისეირნოთ
და ხარებზე ვინადროთო. მე სიამოვნებით დავთანხმდი, თუმ-
ცა პიტერმა, რომელიც ნადირობის დიდი მოტრფიალე იყო,
ცხვირი ჩამოუშვა. სასწრაფოდ ჩამოვიდეთ თოფები და ტყეი-
წამალი; როცა ყველაფერი მზად იყო, ზიკმა დაიყვირა:

— ტონოი! წავიდეთ; არამაი (ადექი) შენ ლოცმანობა
უნდა გაგვიწიო. ჯუჯა, მეგობარო, თვალყური ადევნე აქაურო-
ბას. აბა, შენ იცი. თუ არ გეზარება, მინდორში კიდევ დარჩა
ფესვები ამოსაპირკვი.

ზიკმა ისე მოაგვარა საშინაო საქმეები, როგორც თვითონ
ესიამოვნებოდა, მაგრამ, მე მგონი, ისე არა, რომ ჯუჯასათვის
დიდი სიხარული მიენიჭებინა, მერე საპირწამლე გადაიკიდა

მხარზე, და გზას გაუდევით. ტონოი მაშინვე დაწინაურდა; პლანტაცია რომ გაიარა, მთებისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

ერთხანს სწრაფად მივლიოდით ბუნქებში, შემდეგ კი მზის სხივებით მოყვნილ მინდორზე გავედით, ზედ ბორცვების ძირას. ზიკმა შორეულ ფრიალო კლდეზე მიგვითითა, სადაც ქანდაკებასავით იდგა რქებგადაგრეხილი ხარი.

თ ა ვ ი 54

ზოგიერთი ცნობა პოლინეზიის ველურ სარეზვ

სანამ თხრობას გავაგრძელებდე, მოკლედ მოგიყვებით ამ ველური ხარების ამბავს და იმასაც, თუ როგორ მოხდნენ ისინი ეიმეოზე.

ორმოცდაათიოდე წლის წინათ ვანკუვერმა ამხანაგობის კუნძულებზე სხვადასხვა ადგილას დატოვა რამდენიმე სული მსხვილფეხა და წერილფეხა რქოსანი პირუტყვი. მან დაარიგა ადგილობრივი მკვიდრნი გულმოდგინედ ეზრუნათ ცხოველებზე და არავითარ შემთხვევაში არ მოეკლათ მანამდე, სანამ დიდ ჯოგად არ იქცეოდნენ.

ცხვრები, ეტყობა, მალე გადაშენდნენ, რადგან პოლინეზიაში ერთი ცხვარიც არსად მინახავს. შესაძლოა, დატოვებული წყვილი ცუდად იყო შერჩეული; ალბათ დედალსა და მამალ ცხვარს ერთმანეთისაკენ არ მიუწევდათ გული, ურთიერთს განშორდნენ და ისე დაიხოცნენ, რომ შთამომავლობა არ დაუტოვებიათ.

თხები ზოგჯერ გვხვდება. შავები არიან. მელანქოლიურად წიწკნიან სადღაც მთებში, ადამიანისათვის მიუწვდომელ ადგილას, მწირ ბალახს, რომელიც ველის რძიან ბალახზე უფრო მოსწონთ. თხები ცოტანი არიან.

ხარები, ნაყოფიერი წყვილის ნაშიერნი, კუნძულ ეიმეოზე დიდ ჯოგებად დადიან, ტაიტიზე კი იშვიათად გვხვდებიან. ეიმეოზე პირველმა წყვილმა ალბათ ქვეყნის შუაგულს მიაშურა, რადგან მათი შთამომავლობა ამჟამად მთელ კუნძულზეა მოდებული. ჯოგები დედოფალ პომარეს საკუთრებაა;

ჩვენს პლანტატორებს მისგან აქვთ მიღებული ნებართვა, რათა თავიანთი საჭიროებისათვის რამდენიც მოესურვებათ, იმდენი დახოცონ.

ადგილობრივ მკვიდრებს ძალაღებულ ეშინიათ ხარებისა; ამიტომ საშინლად ეჯავრებათ კუნძულის გავლა და ამჯობინებენ პირაგუებით გაცურაინ სოფლამდე, რომელიც გაღმა მდებარეობს.

ტონოს ბერი რამ გაეგონა ხარების შესახებ. ამბაუთა უმრავლესობა ზღაპრული ხასიათისა იყო. მე მხოლოდ ერთს მოგიყვებით.

ერთხელ ტონოიმ თავის აწ განსვენებულ ძმასთან ერთად გადაიარა ბორცვები. უცებ ტყიდან ბლავილით გამოქანდა უშველელელი ხარი. ძმებმა მოკურცხლეს. მოხუცი ბელადი ხეზე აძვრა; ხარი მის თანამგზავრს დაედევნა, რომელიც საპირისპირო მიმართულებით გაიქცა, დაეწია და, როცა ამ უკანასკნელმა ტოტს დაავლო ხელი, ფეხქვეშ მოიგდო და გათიქა. მერე რქები ამოჰკრა, მალე აიტაცა და გააქანა. ტონოი ცოცხალ-მკვდარი იცდიდა ხეზე, სანამ ყველაფერი არ გათავდა, მერე ძირს ჩამოძვრა და თავქუდმოგლეჯილმა მოუსვა შინისაკენ. რამდენიმე თოფით შეიარაღებული მეზობლები მაშინვე გაუდგნენ გზას, რათა როგორმე ეპოვნათ ტონოს უბედური ძმის გვამი, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს და შეღამებისას დაბრუნდნენ. დილით ტონოიმ თვითონ დაინახა ხარი; ციცაბო კლდეზე ჩამოდიოდა და რქებზე რაღაც გრძელი და შავი ჰქონდა წამოცმული.

გარდა ვანკუვერის ზემოთ მოხსენიებული ცდისა — სასარგებლო ოთხფეხი მოეშენებინა ამხანაგობის კუნძულებზე, შემოდგომა მოგიტხროთ აგრეთვე იმ წარმატებაზე, რასაც მან მიაღწია ჰავაიზე, პოლინეზიას ერთ ყველაზე დიდ კუნძულზე, რომლისგანაც წარმოიშვა ადგილობრივი სახელწოდება ცნობილი არქიპელაგისა, რომელსაც კუკმა ლორდ სანდვიჩის პატივსაცემად მისი სახელი უწოდა.

ჰავაის გარშემოწერილობა დაახლოებით ასი ლიგაა, ფართობი კი ოთხი ათას კვადრატულ მილს აღემატება. ამ ბოლო ხნებამდე კუნძულის შიდა ნაწილი თითქმის უცნობი იყო ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც კი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერიდებოდნენ იქ შესვლას რაღაც უცნაურ

ცრუ რწმენათა გამო. მათი წარმოდგენით, ეულკანების მუნაროასა და მუნა-კეას¹ საშინელი ღმერთი პელე იცავს ყველა ხეობას, რომლებიც ირგელივ მდებარე ვრცელი ველებისაკენ მიემართება. ადგილობრივი მკვიდრნი ერთმანეთს გადასცემენ ლეგენდებს იმის შესახებ, თუ როგორ განდევნა ქალღმერთმა ცეცხლის ნაკადებით ბიწიერი ჭაბუკები. ჰილოს მახლობლად გაჩვენებენ კუპრივით შავ კლდეს: მის კალთაზე თითქოს ახლაც მიედინება ზღვისაკენ მინისმაგვარი ნაკადი -- სწორედ ისე, როგორც გაქვავდა ერთ-ერთი საზარელი ამოფრქვევისას.

ამ შიდა ველებზე და მშვენიერი მცენარეულობით დაფარულ მთისწინეთის კალთებზე, რომლებიც მათ აკრავს, სულ მალე გადავიდნენ ვანკუვერის მიერ გადმოსხმული ძროხები და ხარები. იქ ისინი დიდხანს იყვნენ უშიშრად, გამრავლდნენ და მათი ნაშიერნი ახლაც ჯოგებად დადიან.

თორმეტი თუ თხუთმეტი წლის წინათ ადგილობრივმა მკვიდრებმა, რომლებმაც დაივიწყეს თავიანთი ცრუ რწმენანი და გაიგეს, რომ ხარის ტყავი ძვირად ფასობს, ნადირობა დაიწყეს მათ მფლობელებზე, მაგრამ რადგანაც ძალიან მხდალები იყვნენ და ახალწამოწყებული საქმე მაინცდამაინც არ ემარჯვებოდათ, დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ხარების ნამდვილი ხოცვა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც გამოინდა ჯგუფი ესპანელი მონადირეებისა, რომლებიც განუწყვეტლივ ვარჯიშობდნენ თავიანთ პროფესიაში კალიფორნიის დაბლობებზე.

ესპანელები კოხტად გამოწყობილი ბიჭები იყვნენ. თავისებური ღია ფერის ლაბადები ჰქონდათ მოსხმული, მაჩვზღარბის ეკლებით გაწყობილი კრაგები ეცვათ და ქუსლებზე მოწკრიალე დეზები ეკეთათ. გახედნალ ინდურ ცხენებზე ამხედრებული გმირები ცეცხლისმფრქვეველი მთების კალთე-

¹ ალბათ ყველაზე შესანიშნავი ეულკანები მსოფლიოში. მათს მწვერვლებზე (ჩვიდმეტი ათასი ფუტი ზღვის დონიდან) მოწყობილი სამი მამაცური ექსპედიციის ძალიან საინტერესო აღწერა შეგიძლიათ იხილოთ წიგნებში: ლორდ ბაირონის, „მისი ბრიტანეთის უდიდებულესობის გემის „ბლონდის“ მოგზაურობა“, ელისის „სანდვიჩის კუნძულების დათვალიერების საგზაო დღიური“ და უილკის „ამბავი ჩრდილო ამერიკის შტატების მიერ ახალი მიწების გამოსაკვლევად გაგზავნილი ექსპედიციისა“.

ბამდე მისდევდნენ მსხვერპლს, ხმამაღალი შეძახილებით არ-
ღვევდნენ მიყარდნილი ველების ღრმა მღუშარებას და თვით
ქალღმერთ პელეს ცხვირწინ ისროდნენ ქამანდს. ჰოლო,
წყლისპირა სოფელი, მათი დასასვენებელი ადგილი იყო. აქ
იყრიდნენ თავს არქიპელაგის ყველა კუნძულის თეთრკანიანი
მაწანწალები. ბევრი თავქარიანი ყმაწვილი უამრავ გამო-
სათხოვარ თასს გამოცლიდა ხოლმე და მარჯვე ესპანელებს
მიბაძვით კისრისტეხით გამოუდგებოდა ჯოგებს, მაგრამ უნა-
გირზე თავს ვერ იმაგრებდნენ და მიწამდე სულიც არ დაჰყე-
ბოდათ ხოლმე.

ეს მოხდა დაახლოებით 1835 წელს, როცა დღევანდელი
მეფე კამეამეა III ჭაბუკი იყო. მან ნამდვილი მეფური უსინ-
დისობით გამოაცხადა თავი მთელი რქოსანი პირუტყვის
მფლობელად და აღტაცებით ჩაებლაუჭა შესაძლებლობას, რათა
ხარის ტყავში გადახდილი ორი ვერცხლის დოლარიდან ერთი
თვითონ დაეტოვებინა. და აი აღამიანები, რომლებიც მომა-
ვალზე არ ზრუნავდნენ, კვლავ უგუნურად ანადგურებდნენ
ძროხებსა და ხარებს. სამი წლის განმავლობაში თვრამე-
ტი თასი სული დახოცეს, თანაც თითქმის სულ ჰავაის კუნ-
ძულზე.

როცა ჯოგები თითქმის მთლიანად ამოწყვეტეს, შიარს-
მჭერეტელმა ახალგაზრდა ხელმწიფემ ათი წლის ვადით დაა-
დო „ტაბუ“ იმ მცირეოდენ ძროხებსა და ხარებს, რომლებიც
ცოცხალი გადარჩნენ. ამ პერიოდში, რომელიც ჯერაც არ დამ-
თავრებულა, მეფემ აკრძალა ყოველგვარი ნადირობა, რომე-
ლიც მისგან ნებადართული არ იქნებოდა.

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან ერთად საბრალო თხე-
ბიც დახოცეს. ერთი წლის განმავლობაში ჰონოლულუელმა
ვაჭრებმა შეისყიდეს სამი ათასი თხის ტყავი, თითო ცალი
კვარტილიოდ¹ ან შილინგად.

ამ გადახვევის შემდეგ ღროა ტონოისა და იანკის გაყვეთ.

¹ ძველებური ესპანური მონეტა, რეალის მეოთხედი.

ნადირობა ზიკთან ერთად

მთის ციცაბო კალთას ბუჩქებით შემოქობილი ბილიკი მიჰყევებოდა, რომელიც კლდეებსა და ნაპრალებს უვლიდა. აქა-იქ მწვანე უფსკრულებს დაელოთ ხახა: გადაიხედავდით თუ არა, თავბრუ დაგეხვეოდათ. ბოლოს როგორც იქნა მივალწიეთ ტყიან თხემს; მის გასწვრივ ბილიკი ისე ხშირ ჩრდილში მიდიოდა, რომ დერეფანს მოაგონებდა კაცს.

ირგვლივ ყველაფერი მომხიბლავი იყო. ხეებში ნელი სიოდანაეარლობდა, ხოლო ქვემოთ, ველზე, ფოთლები შრიალებდნენ; ველს იქით ლურჯი და უშფოთველი ზღვა გადაშლილიყო. კუნძულის შუაგულისაკენ რელიეფი მაღლდებოდა. მთების იქით მთები მოჩანდნენ, მწვერვალებს იქით — მწვერვალები; და ყველაფერი ბანაობდა ტროპიკების ოცნების მომგვრელ მსუბუქ ნისლში. შორს, რამდენიმე მილის იქით, მთების ღრმა ჩრდილში გაწოლილიყვნენ მყუდრო ველები; ზოგან ჩანჩქერი გადმოქუხდა და სიჩუმეს არღვევდა. ხოლო სულ მაღლა, კუნძულის თავზე აღმართულიყო მწვერვალი დიდთავა ლურსმანი. მთების კალთებზე ხარების პატარა-პატარა ჯოგები შეფენილიყო; ზოგიერთები მშვიდად ძოვდნენ, ზოგნი კი ველებისაკენ ეშვებოდნენ.

თანდათან უფრო შორს მივდიოდით და მივემართებოდით ზორცვისაკენ, რომელიც ორიოდე მილის მანძილზე მდებარეობდა. ზორცვის კალთაზე მოჩანდნენ ხარები; ისინი შედარებით ახლოს იყვნენ.

ჩვენ ფრთხილად ვუახლოვდებოდით ხარებს ქარის საწინააღმდეგო მხრიდან, რადგან, სხვა ველურ ცხოველთა მსგავსად, მათაც განსაკუთრებული ყნოსვა და მახვილი სმენა აქვთ. თანაც, პირდაპირ რომ გაგვევლო ტყერში, შეიძლებოდა ტყის ბინადარნი დაგვეფრთხო, და ამიტომ ძალიან ფრთხილად ვეპარებოდით.

ვიმოქოვ ვარეული ღორები საოცრად მძვინვარენი არიან. და რადგან ისინი ხშირად ესხმიან თავს ადგილობრივ მკვიდრებს, ამიტომ, ტონოის მიბაძვით, დროდადრო ფოთლებში

ვიციკირებოდი და უკან ვიხედებოდი, უკან დასახვევი გზა ხომ არა მაქვს-მეთქი მოჭრილი.

ბუჩქებისათვის რომ უნდა შემოგვევლო, ფინხის ტაკუნ-ნას მსგავსმა ხმამ დაარღვია სინუმე. ტონობმ მაშინვე სტაცა ხელი ტოტს და ნახტომისათვის მოემზადა, ხოლო ზიკმა ჩახმახს დაადო თითი. კვლავ მოისმა ტაკუნნი. ახლა კი დროამეთქი, გავიფიქრე, და თოფი მხარზე მივიდე.

— ფრთხილად! — შესძახა იანკიმ, ცალ მუხლზე დაინოქა და ტოტები გასწი-გამოსწია. მაშინვე იჭყქა მისმა თოფმა. გამძკინვარებული შავი ტასი (ალუბლისფერი დრუნხიდან ორი ელვარე ეშვი გამოუჩნდა) ჭყვირილით გამოვარდა ბილიკსე და, სრულიად უვნებელი, ხმაურით მიიშალა ბუჩქებში. მეც დავდევენე თოფით საღამი, მაგრამ ჩემი თავაზიანობისათვის ყურიც არ უთხოვებია.

ამასობაში ტონოი, ეიმეოს ებისკოპოსთა ღირსეული შიამომავალი, მიწიდან ოცი ფუტის სიმაღლეზე ასულიყო.

— არამაი! ჩამოდი, სულელო მოხუცი! — შეუძახა იანკიმ. — საძაგელი პირუტყვი კუნძულის მეორე მხარესაა უკვე.

— მე მგონი, — განაგრძო მან, როცა თოფებს ხელახლავტენილით — სულ ტყუილად ვესროლეთ იმ სამგზის წყეულ ტახს; მთელი ნადირობა გავაფუჭეთ და ეგ არის. ხარებმა ხმაური გაიგონეს და ახლა კუდაბზეკილები გარბიან. ჩქარა, პოლ, მოდი იმ კლდეზე ავძვრეთ და გადავხედოთ, ყველანი გაიქცნენ თუ არა.

მაგრამ ხარები უკვე ისე შორს იყვნენ, რომ ჭიანჭველის ოდენები ჩანდნენ.

რადგან საღამოვდებოდა, ჩემმა თანამგზავრმა შემომთავაზა სახლში დაებრუნებულიყავით, კარგად გამოგვეძინა და სკადღილიდან საღამომდე გვენადირა პლანტაციის გაერთიანებული ძალებით.

ველზე მეორე ბილიკით დავეშვით და გადავჭერით მთის რამდენიმე კალთა, რომლებიც მშვენიერი ხეებით იყო დაფარული. განსაკუთრებით ერთმა ხემ მიიქცია ჩემი ყურადღება. სამოცდაათ ფუტზე მეტი სიმაღლის მსხვილ, ხავსით დაფარულ ხეს ქვემოთ არც ერთი ტოტი არ ჰქონდა და მხოლოდ კენწეროში გაეშალა პრიალა მუქი მწვანე ფოთლებით შემოსილი მსხვილი ტოტები. ხის ქვედა ნაწილის ირგვლივ გამო-

შეერილი იყო ქერქის თხელი, ნაგვერდულების მსგავსი, გლუვი საბრჯენები, რომლებიც ერთი წერტილიდან გამოდიოდნენ და ორი იარდით მაინც იყვნენ დაშორებული ხის ძირს. ეს ბუნებრივი საბრჯენები ზემოთ თანდათან ვიწროვდებოდა და ღეროდ იქცეოდა. ზოგი რამ მიგვანიშნებდა, რომ აქ ხარები იმალებოდნენ. როგორც ზიკმა თქვა, ამ ხეს ძველისძველად ტაიტის მეფეთა ფლოტილების ასაშენებლად იყენებდნენ. პირაგუების დასამზადებლად კი ახლაც გამოიყენება. მისი მერქანი ძალიან მტკიცეა და გამძლე, არც ჭია უჩნდება.

ნახევარი ბორცვი რომ ჩამოვიარეთ, ტყიდან გამოვედით და გვიმრიანში ამოვყავით თავი. აქა-იქ ეულად მდგარი რამდენიმე ხე, ჩამავალ მზეს რომ გაენათებინა, თავის გრძელ ჩრდილს ჰფენდა იქაურობას. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ასი კვადრატული ფუტი ფართობის მიწის ნაკვეთმა, რომელსაც ველური ბალახები და კვრინჩხი მოსდებოდა და ჩვენს ფეხქვეშ ყრუ ხმას გამოსცემდა; გარშემო დანგრეული კედელი ერტყა. ტონოიმ თქვა, რომ ეს იყო მივარდნილი და ყველასგან მივიწყებული სასაფლაო, სადაც აღარავის მარხავდნენ მას შემდეგ, რაც კუნძულელები გაქრისტიანდნენ. იქ ღრმა აკლამებში ბევრი წარმართის ნეშტი ესვენა.

მე მინდოდა შემემოწმებინა მოხუცის ნათქვამი და კატაკომბების დათვალიერება ვცადე, მაგრამ მცენარეულობას მათ თავზე ისეთი საფარველი შეექმნა, რომ ერთი ხვრელიც კი ვერ აღმოვაჩინე.

ველზე რომ გავდიოდით, ნაკადულს ჩავუარეთ. ნაკადულის ნაპირებზე ოდესღაც სოფელი იყო თურმე, რომელიც მის მკვიდრთ მიეტოვებინათ. აქ აღარაფერი დარჩენილიყო, ქვის კედლებისა და ნახევრად დანგრეული საძირკვლების გარდა. ახლა მათ შორის დიდი ხეები და ბუჩქები ხარობდა.

ტონოის კვითხე, რამდენი ხანია, რაც აქ არავინ ცხოვრობს-მეთქი.

— ჩემო ტამარი (ბიჭო), მარტაირი ბევრი კანაკი (ადამიანი) იყო, — მიპასუხა მან. — ახლა მარტო საცოდავი პეპე კანაკები (მეთევზეები) დარჩნენ. მე აქ დავიბადე.

ქვემოთ ველზე სხვადასხვაგვარი მცენარეები იყო და, მთებში რომ ვნახეთ, იმათ სულ არა ჰგავდა.

ვიმეოს დაბლობებში ხეებს შორის ყველაზე გავრცელებუ-

ლია „ატი“ — ძალიან მაღალი და მსხვილი ხე, რომელსაც დაუნის მსგავსი ფართო ფოთლები აქვს. მისი მერქანი საუცხოოა. ტაიტიზე მაჩვენებს მოპრიალებული ფიცარი, რომელიც ღირსი გახდა იმისა, რომ მისგან სამეფო ზარდახშა გაეკეთებინათ. ღეროს შუაგულისაგან დამზადებული ფიცარი მეწამულისფერი იყო და ალაგ-ალაგ ყვითელი ხაზები გასდევდა, ზოგან კი ნაცრისფერი დაჰკრავდა.

სამეფო „ატი“ გვერდით ნახავთ მშვენიერ ყვავილოვან ხეს „პოტუს“; მისი ბრწყინვალე ფოთლების პირამიდა ხალისიან ელფერს აძლევს უამრავ თეთრ ყვავილს.

თითქმის მთელი ველი ტყეს დაუფარავს, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ძალიან ცოტა ხე შემხვდა ისეთი, რომ კუნძულებისათვის რაიმე სარგებლობა მოჰქონდეს; ასში ერთი თუ იქნებოდა ქოქოსის პალმა ან პურის ხე.

მაგრამ ტონოიმ ესეც ამიხსნა. იმ სისხლისმღვრელი რელიგიური ომების შემდეგ, რომლებიც მოჰყვა პირველი პომარეს გაქრისტიანებას, ტაიტიდან მოსულმა სამხედრო რაზმმა განადგურა („შემოფისა“) მთელი რიგი ჭალები, სადაც ეს ძვირფასი ხეები იზრდებოდა. მერე დიდხანს იდგნენ მზისგულზე გამხმარი და ფოთოლგაცვენილი ხეები — სევდისმომგვრელი ძეგლები. განმასახიერებელი იმ ბედისა, რომელიც წილად ხვდათ ველის მცხოვრებთ.

თ ა ვ ი 56

ქ ი ნ ქ ლ ე ბ ი

ნადირობიდან დაბრუნების ღამეს მე და ახმახი სული მიუხედავად ქინქლებსაგან მამაცური თავდაცვისა, იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა სახლი.

ახლა გიამბობთ ადგილობრივ მკვიდრთა შორის ფართოდ გავრცელებულ ლეგენდას, თუ როგორ გაჩნდნენ ეს მწერები კუნძულზე.

რამდენიმე წლის წინათ მეზობელ ყურეში შემოსული ვეშაქსანადირო გემის კაპიტანი აქაურ მცხოვრებლებს შეეჯახა და ბოლოს საჩივრით მიმართა ადგილობრივ მკვიდრთა სასა-

მართლოს. მაგრამ რადგანაც ყური არაეინ ათხოვა, თავი შეუ-
რაცხყოფილად ჩათვალა და გადაწყვიტა შური ეძია. ერთ და-
მეს მან ნაპირზე გადაიტანა მტკნარი წყლისათვის განკუთვნი-
ლი ძველი კასრი და ტაროს გაოხრებულ ნათესებში დატოვა,
სადაც თბილი და ტენიანი ნიადაგი იყო. ჰოდა, ქინქლებიც
აქედან გაინდა.

რაც შემეძლო, ყველაფერი გაეაკეთე იმისათვის, რომ ამ
კაცის სახელი დამედგინა, და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია შთა-
ძმომავლობისათვის უკვდავეყო ეს სახელი. ის გახლდათ კოლ-
მანი, ნათან კოლმანი. გეში ნანტაკეტს¹ ეკუთვნოდა.

ქინქლები რომ არ მასვენებდნენ, ტანჯვის შესამსუბუქებ-
ლად სიტყვა „კოლმანს“ ვაორკეცებდი და ხმამაღლა წარმოვ-
თქვამდი.

ექიმმა ნაპირისაკენ გასეირნება შემომთავაზა. იქ იდგა ერთი
დაბალი, ნახევრად დანგრეული ფარდული, რომელშიც ქარი
დანავარდობდა, და რომელიც, მისი აზრით, ქინქლებისაგან
დავეიცავდა. ჩვენც იქით გავწიეთ.

ამ ნანგრევებში აღმოვაჩინეთ ძველთაძველი ძეგლი. რამ-
დენიმე დღის შემდეგ დიდი ინტიერესით დავათვალიერეთ. ეს
იყო ნახევრად დამპალი ძველი პირაგუა. იგი, ეტყობა, იმავე
უხეშ მორებზე იდგა, რომლებიც ბრჯენების მოვალეობას
ასრულებდნენ, როცა მრავალი წლის წინათ გამოთალეს, და
აღბათ არც არასდროს ეცურა.

გარედან პირაგუა თავდაპირველად მწვანედ უნდა ყოფი-
ლიყო შეღებილი, ახლა კი ალაგ-ალაგ მუქი წითელი გამხდა-
რიყო. ნავის ცხვირი მაღალი ბლაგვი შეკერილით ბოლოედე-
ბოდა; ქიმებს ჩუქურთიმები ამშვენებდა, სოლო კიჩოზე, ახმა-
ხი სულის აზრით, ჰომარეს სამეფო კარის გერბის მსგავსი
რამ იყო გამოსახული. ემსლემა მართლაც ჰგავდა ჰერალდი-
კურს — ორი ზვიგენი არწივის ბრჭყალებით ჩაბლაუჭებოდა
ტოტს, რომელიც საგანგებოდ იყო გამოშვერილი.

პირაგუა სიგრძით დაახლოებით ორმოცი ფუტი იყო, სიგა-
ნით — ორი ფუტი, სიღრმით კი ოთხი. ქიმების ზედა ნაწილი
(რომელიც მცენარეული ბოჭკოს ზონარებით შეკრული ვიწრო

¹ ქალაქი ამავე სახელწოდების კუნძულზე, რომელიც მდებარეობს ატ-
ლანტის ოკეანეში ახალი ინგლისის ნაპირებთან.

ფიცრებისაგან შედგებოდა) ბევრ ადგილას ძირს ჩამოვარდნილიყო და ღებოდა. დასაძინებელი ადგილი მაინც საკმარისი იყო; ჩვენ პირაგუაში ჩაეხტით. ექიმმა ცხვირთან მოიკალათა, მე — კიჩოსთან. მალე ჩამეძინა. უცებ უხერხული წოლით გამოწვეულმა სახსრების ტეხამ გამომადვიძა. ერთ წუთს ვიფიქრე, ალბათ ცოცხლად ჩამტენეს-მეთქი კუბოში.

ახმახ სულს თავაზიანად მივესალმე და მოვიკითხე, როგორ ხარ-მეთქი.

— საკმაოდ ცუდად, — მიპასუხა ექიმმა, რომელიც მოუსვენრად ტრიალებდა ათასნაირ ძველძეულზე, პირაგუის ფსკერზე რომ ეყარა. — ფუი! როგორყარს ეს ძველი ჭილოფები!

ერთხანს ისევ აღვზნებულად ლაპარაკობდა, მე აღარ გამოვპასუხებოდი. მათემატიკურ მაგალითებზე დავიწყე ფიქრი, რომ რაც შეიძლება ჩქარა დამძინებოდა. მაგრამ გამრავლების ტაბულამ რომ არ მიშველა, შევეცადე წარმომედგინა ქაოსის ბუნდოვანი სურათი რომელიღაც არამდგრადი სითხის სახით; და ის იყო ჩავთვლიძე, რომ გარკვევით მომესმა ზუზუნი. ჩემი წამების დრო ახლოვდებოდა. ქინკლი შიმშერის ლიფსიტასავით წუილით გამოქანდა პირაგუისაკენ, მე კი ნაიდან ამოვხტი.

ღია ცის ქვეშ დარჩენილმა საკვირველი სურათი დავინახე: ახმახი სული გაშმაგებით იქნევდა ძველ ნიჩაბს. ექიმი, რომელმაც წედან ნავის ცხვირთან მოიკალათა, ეს-ეს იყო გამოქცეოდა შეტევაზე გადასულ ქინკლების გუნდს.

ახლა ზღვისაგან მოველოდით ხსნას, და სასწრაფოდ ჩაუშვით წყალში მეთევზეთა პატარა ნავი, რომელიც ნაპირთან ახლოს იყო; კარგა მანძილზე გავცურეთ და შემდეგ გადავაგდეთ კუნძულელთა მოწყობილობა — მძიმე ქვა, რომელსაც ხის ქერქისაგან დაწნული თოკი ჰქონდა გამოზბული და ღუზის მაგივრობას სწევდა. კუნძულის ამ მხარესთან სულ ახლოს მდებარეობდა მისი გარემომცველი რიფა, და ზღვა მათ შორის ძალიან წყნარი და თხელი იყო.

ჩინებული აზრი მოგვივიდა თავში! მზის ამოსვლამდე მკვდარივით გვეძინა. განთიადისას ჩვენი მოცურავე საწოლის მოძრაობამ გამოგვაღვიძა. თვალი გავახილვე და დავინახე ზიკი, რომელიც ნაპირისაკენ მიახიჯებდა წყალში და თან წნული

თოკით მიგვათრევდა. მან რიფზე მიგვითითა და აგვიხსნა, რომ ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ასეც იყო. წყლის კაცებს მარეუჭიდან გამოიხსნათ ქვა, და ჩვენ თანდათან ეპორდებოდით ნაპირს.

თ ა მ ი 57

მეორე ნადირობა მთებში

მარტაირის ბორცვებზე მზიანი დილა თენდებოდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ კარგი ნადირობა გველოდა.

ყველაფერი წინა დღით მომზადდა და როცა სახლში შევედით, ჯუჯა მშვენიერი საუზმით გაგვიმასპინძლდა. მოხუცი ტონოი სასტუმროს პატრონივით ფუსფუსებდა. მისი ქვეშევრდომები ჩვენი წასვლის მოლოდინში იყვნენ, რომ ჩვენ გვხვდებოდნენ და თან ხაპებათ საჭმელები წამოეღოთ; თუ კარგად ვინადირებდით, აქეთობას ნანადირევის წამოღება მოუწევდათ.

ექიმა წინა საღამოს გაიგო, სანადიროდ წასვლას რომ ვაპირებდით, და ითხოვა თვითონაც მიეღო მონაწილეობა.

შემდგომმა ამბებმა დაგვაეჭვა, რომ მთელი ეს ექსპედიცია იანკის ეშმაკური ფანდი იყო.

აბა, რა პირით უნდა გვეთქვა უარი იმის შემდეგ, როცა ასეთი საამო გასეირნებიდან დავბრუნდებოდით? მერედა, რა კეთილშობილურად შემოგვთავაზა თავისუფალი დღე! არც იმის დაპირება დავიწყებია, რომ ვიმუშავებდით თუ გავერთობოდით, ხელფასს მაინც მივიღებდით.

ექიმის განკარგულებაში იყო ტონოის ძველებური თოფი, ძალიან მოკლე და მძიმე, უხეში საკეტითა და დაჭიმული ჩახმახით, რომლის გამოკვრა არც ისე იოლი იყო. ახმახმა სულმა თოფი გასინჯა, ნიშანში ისროლა, და კმაყოფილი დარჩა, რომ არ უმტყუნა: ტყვია იქით გავარდა, თვითონ აქეთ გადმოვარდა.

ამის შემდეგ ექიმი შეეცადა როგორმე დაეყოლიებინა ჯუჯა, რომ თოფი გაეცვალა, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა და ბოლოს, და ბოლოს ერთ-ერთ ადგილობრივ მკვიდრს გადასცა სათრევეად თავისი იარაღი.

რაზმი მოეწყო, და ჩვენ აღმართს შევუყევით. ზემოთ იწყებოდა ბილიკი, რომელიც მთაგრეხილისაკენ მიემართებოდა. ეს იყო ხარების საყვარელი თავშესაფარი.

უღელტეხილზე რომ ავედით, მცირე ხნის შემდეგ შორი-ახლოს დავინახეთ პატარა ჯოგი, რომელიც ტყეში შედიოდა. ფეხს ავუჩქარეთ და ჩვენც, ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფილნი, ოთხ სხვადასხვა ადგილას შევედით ტყეში. თითოეულ ჯგუფში თითო თეთრკანიანი და რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრი შედიოდა.

მალე ხშირ ბუჩქნარში ამოყავი თავი. მივიხედ-მოვიხედე და, ის იყო ტრიალ მინდორზე გავედი, რომ უეცრად გაეარდა თოფი. ტყვიამ კანი გააცალა იქვე ახლოს მდგარ ხეს. იმწამსვე გაისმა შლიგინი და ტოტების ტკაცატკუცი. ხეებში გამოჩნდა ხუთი ხარი, რომლებიც თითქმის ერთმანეთის გასწვრივ მობოდნენ, და პირდაპირ იქით გამოექანენ, სადაც მე და სამი კუნძულები ვიყავით.

ესენი იყვნენ ტანდაბალი მძვინვარე პირუტყვეები; შავი ბა-ლანი, მოკლე წვეტიანი რქები და წითელი ნესტოები ჰქონდათ, თვალები ნაღვერდლებივით უელავდათ. მუქი, ხშირბალ-ნიანი თავები დაეღუნათ და ისე გვიახლოვდებოდნენ.

ამასობაში ჩემი კუნძულები მხსნელები უკვე ხეებზე ჩამომსხდარიყვნენ. თოფი გადმოვიღე და წამით მოვავლე თვალი ირგვლივ, რათა მცოდნოდა, საით დამეხია უკან, თუკი ეს საჭირო იქნებოდა. ამ დროს ტევრიდან მოისმა ჯუჯას ხმა: „რქებს შუა დაუმიზნეთ, პოლ, რქებს შუა!“ თოფი მხარზე მივიღე, წინა ნიშა ხარს რქებს შუა დავუმიზნე. ვესროლე და გვერდზე გავხტი. როცა ისევ გავიხედე, ხუთმა ხარმა გვერდით ჩაიქროლა, თან სულ ბღღვირი დააყენეს.

ამ დროს გამოვარდა იანკი და ფლანგიდან დაახალა თოფი. ამის პასუხად მძვინვარე პატარა ნიშა ხარმა კუდი აბზიკა, ტლინკები აყარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუსვა, ტყვიამ ოდნავ გაკენწლა. რამდენიმე წამში ხარები თვალს მიეფარნენ; მხოლოდ ბუჩქები, რომლებშიც ისინი მიიმაღლნენ, ირხეოდნენ და ამით აღნიშნავდნენ მათ გზას.

როცა შეტაკება დამთავრდა, გამოჩნდა მძიმე არტილერია ანუ ექიმი, რომელსაც ხელთ ეპყრა თავისი სიათა.

— სად არიან? — შესძახა და სული ძლივს მოითქვა.

— ახლა უკვე ორ მიღსე იქნებიან, — მიუგო ლონღონელმა. — ეშმაკმა დალახეროს, პოლ! უნდა მოგერტყათ იმ პატარა შავი ხარისათვის.

მე რომ იმის დასაბუთებაში ვიყავი, თუ რატომ აუცდინე ხარს, უეტრად გამოვარდა ზიკი და შეჰყვირა:

— თუ ღმერთი გწამს! მანდ რას აკეთებთ, პიტერ?

პიტერმა, რომელიც წარუმატებლობას გაეშმაგებინა, და რომელიც ამ წარუმატებლობის მიზეზად ჩვენი კუნძულები თანაშემწეების სიმხდალე მიიჩნია, პირდაპირ მიმართა თოფი აკანკალებული საჭურველმტვირთველისაკენ, ხიდან რომ ჩამოდიოდა.

ექიმმა ჩახმახს გამოჰკრა, და ტყვიამ თავზე გადაუარა კუნძულელს; ამ უკანასკნელმა ხიდან ისკუპა, საზარლად შეჰყვირა და კისრისტეხით მოუსვა. დანარჩენები ამის შემდეგ სულ შიშის ფეთებით მოგვყებოდნენ უკან.

კვლავ მოვეწყვეთ სალაშქროდ და რამდენიმე საათს მივდიოდით წინ, მაგრამ არც ერთი ცხოველი არ შეგვხვედრია, რადგან სროლის ხმა დიდ მანძილზე ისმოდა. ბოლოს ერთ ციცაბო მთაზე ავედით, რომ იქაურობა მოგვეთვალეირებინა. მთადან ლაღინახეთ სამა ხარი, რომლებიც ქვემოთ, ტყეში ბალახს ძიუდნენ; მათ ყოველი მხრიდან ფარავდა ხეები.

ჯერ თოფები გავსინჯეთ. მერე ხაპებით მოტანილ საუზმეს შევექეცით და გზას გავუდექით. სანამ მთის კალთაზე ჩამოვდიოდით, ხარები კარგად ჩანდნენ; ტყეში რომ შევედით, ერთხანს თვალიდან დაგვეკარგენ, მაგრამ მივადექით თუ არა იმ ადგილს, სადაც ისინი ძოვდნენ, ისევე დავინახეთ.

ეს იყო ხარი, ძროხა და ხბო. ძროხა ტყის პირას წამოწოლილიყო ჩრდილში. ხბო მის წინ გაშხლართულიყო ბალახში და ტუჩებს ულოკავდა. ბებერი ხარი კი გვერდით იდგა, მამობრივი მზრუნველობით შესცქეროდა ამ ოჯახურ სურათს და თავმომწონე მეუღლის მსგავსად აეწია თავი.

სანამ ერთად არიან ეს საცოდავები, მანამდე უნდა ჩავიგლოთ ხელში.—წაიჩურჩულა ზიკმა.—აბა, ბიჭებო, მივზოხდეთ. გახსოვდეთ, ვისროლოთ ერთად და თანაც ჩემი ბრძანებით.

მინდვრის კიდემდე მივიპარეთ, ბუჩქებთან ჩაკეცილეთ, თოფები ტოტებში გავყავით და დავუმიზნეთ. გაისმა ფაჩუნი. ხარი მობრუნდა, თავი დალუნა, ბრაზიანად დაიბდავლა და ჰაერი დაყნოსა. ძროხამ წამოიჩოქა, შიშით წამოიწია და წამოდგა, ხბომ

კი ყურები ცქვიტა და დედას მუცელქვეშ შეუძვრა. სამივენი ერთად იღგნენ, თითქოს ეს-ეს არის გაიქცევიანო.

— მე ხარს ვესვრი, — წამოიძახა ჩვენმა მეთაურმა, — ცეცხლი ხბო მოცელილივით დაეცა ძირს; დედამისმა დაიბღაულა და ტევრში შევარდა, მაგრამ იმწამსვე მობრუნდა, შესაბრალისი ზმუილით მიუახლოვდა მკვდარ ხბოს და დაიწყო მის ირგვლივ სიარული, თან ქმინავდა და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ტოტების ტკაცატკუცსა და ბრღვეინვაზე მიეხვდით, თუ საით გარბოდა ხარი. მალე გაისმა კიდევ ერთი გასროლა, და ძროხაც დაეცა. ნანადირევს რამდენიმე მკვიდრი დაუყენეთ ყარაულად, ჩვენ კი ხარს დავედევნეთ; მისმა შემზარაჟმა ბლავილმა მიგვიყენა იმ ადგილამდე, სადაც ის იწვა. ბეჭებში დაჭრილი, შიშისა და ტკივილისაგან გაშმაგებული, ტევრში შევარდნილიყო, მაგრამ როცა მივედით, მწვანე ხევში იწვა, შავი დრუნჩი თავისი სისხლის გუბეში წაეყო. სისხლი ახლაც სდიოდა ჭრილობიდან და მთელი ტანი ამოსვროდა შიგ.

იანკიმ სადგარზე დააყენა თოფი და გაისროლა. მკვინვარე პირუტყვი ჰაერში შეხტა, მუხლები მოეკვეთა და უსულოდ დაეცა ძირს.

ჩვენი კუნძულები ამხანაგები გამხნევდნენ. სიმამაცე და თავგამოდება შეემატათ. მოხუცმა ტონოიმ ისიც კი გაბედა, რომ საცოდავი ხარისათვის რქებში ხელები ჩაეკლო და გაყინულ თვალებში ჩაეხედა.

იმწამსვე ვიძრეთ მატროსული დანები, მოკლული ცხოველები გაეატყავეთ, გამოვშიგნეთ და ხის ქერქისაგან დაწნული თოკით მალლა ტოტებზე ჩამოვკიდეთ. მერე ბუჩქებში ჩავუსაფრდით ტახებს, რომლებიც, ზიკის თქმით, მალე უნდა მოსულიყვნენ სისხლის სუნზე. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგონეთ, როგორ გვიახლოვდებოდნენ ორი თუ სამი მხრიდან; ერთი-ორი წამიც, და ისინი უკვე შიგნეულობას გლეჯდნენ.

რადგან ამ ცხოველებისათვის მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა გვესროლა, ამიტომ ჩახმახიც ერთდროულად გეინდოდა მოგვეწია; მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, რომ ექიმის თოფი სხვებზე ადრე გავარდა და ერთი ტახი წაიქცა. დანარჩენები ჯიქურ შევიდნენ ტევრში. ჩვენც, ექიმის გარდა, ყველანი გამოუედქით, გადაუწყვიტეთ, რაღაც არ უნდა დაგვეჯდომოდა, თითო ჩვენც გაგვესროლა.

ლონდონელი ბუჩქებში შევარდა, და რამდენიმე წამის შემდეგ მოგვესმა მისი თოფის გრიალი, რასაც მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყვირილი მოჰყვა. ამხანაგთან მავირბინეთ და დავინახეთ, რომ იგი ღინვში დაჭრილ კუპრივით შავ ტახს ებრძოდა; ტახი კი არა, ნამდვილი ქაჯი იყო. ჯუჯამ მაშინ ესროლა მხეცს, როცა იგი მთელი ძალით მოექანებოდა მისკენ, და ახლა მძვინვარე შეტევას იგერიებდა; ტახი ღრღნიდა თოფის კონდახს, რომელიც ჯუჯამ მოუქნია და თან ქამარში გარჭობილი დანა მოსინჯა. მე სხვებზე ახლოს აღმოვჩნდი, ცხოველს თავში დავახალე ტყვია და ამით მოვუღე ბოლო ამ ბრძოლას.

მოსაღამოვდა, და ჩვენ მებარგულების დასაქმებას შევუდექით. რქოსანი პირუტყვი იმდენად პატარა იყო, რომ ღონიერ ადგილობრივ მკვიდრს მისი მეოთხედის წამოღებაც კი შეეძლო ისე, რომ ადვილად გაეელო ტყერი და დაშვებულიყო კლდეებზე. ეს ჩვენთვის, თეთრკანიანებისათვის, მართალი ვითხრათ, არც ისე იოლი საქმე იყო. რაც შეეხება გარეულ ღორებს, ვერც ერთი კუნძულელი ვერ დავეითანხმეთ, რომ ჯუჯას მიერ მოკლული ტახი წამოედოთ, რადგან მისი შავი ფერი დაუძლეველ ცრუმორწმუნეობრივ შიშს ჰგვრიდა მათ. ამიტომ იძულებული გავხდით დავეტოვებინა. მეორე ტახი, ჭრელი რომელიც იყო, წნელებათ ჩამოვიკიდეთ ლატანზე და ორმა ახალგაზრდა კუნძულელმა წამოიღო.

ამრიგად მებარგულთა წინამძღოლობით დავიწყეთ ველზე ჩამოსვლა. ნახევარი ტყეც არ გავველო, რომ დაგვალამდა და ჩირაღდნები დაგვეჭირდა. ცოტა ხანს შევჩერდით, ჰალმის ხმელი ტოტებისაგან ჩირაღდნები გავაკეთეთ, წინ ორი ახალგაზრდა გავუშვით ფიჩხის მოსაგროვებლად, რომ ცეცხლი არ ჩაგვექრობოდა, და გზა განვაგრძეთ.

ეს იყო ფანტასტიკური სანახაობა. ჩვენს თავზე მოქანავე ჩირაღდნების ათინათი ციმციმებდა ხეთა შორის. იქ, სადაც გზა იძლეოდა ამის საშუალებას, კუნძულელები თითქმის გარბოდნენ, თუმცა ტვირთქვეშ იჭაჭებოდნენ. შიშველი ზურგი სისხლით მოთხვროდათ. ისინი წამდაუწუმ უსწრებდნენ ერთმანეთს და თან რაღაც ველური შეძახილები აღმოხდებოდათ ხოლმე, რასაც ბანს აძლევენ მთები.

მონადირული ნადიმი და აზრკვიტუს ყურის დათვალიერება

ხარი, ძროხა და ტახი! ერთი დღის პირობაზე ცუდი ნანადირევი როდია! ანთებული ჩირალდნებით შემოვედით პლანტაციის ტერიტორიაზე; ლატანზე ტახი ქანაობდა. ექიმი დილინებდა მონადირეების ძველ სიმღერას: „ეცი, ეცი!“, რასაც ადგილობრივ მკვიდრთა შემახილები ახშობდა.

გადაწყვიტეთ ღამის ნადიმი მოგვეწყო. სახლის ასლის დიდი კოცონი გავაჩაღეთ, ხბოს მეოთხედი ბანანის ტიტზე ჩამოვკიდეთ და თითოეულს ვუთხარით, რა ნაჭერიც უნდოდა ჩამოეთალა და შეეწვა. ჩვენი მასპინძლობის საპასუხოდ ადგილობრივმა მკვიდრებმა კალათებით მოიტანეს პურის ხის შემწვარი ნაყოფები, პუდინგები, ტარო, ბანანის კუნწულები და ქოქოსის ნორჩი კაკლები.

კოცონი გიზგიზებდა და ქინქლებს ახლოს არ უშვებდა. მის შუქზე პორტვინით სავსე თასებივით უბრწყინავდა ყველას სახე. ნადირის ზორციც ამას ჰქვია! საოცარმა მადამ ხელი შეგვიწყო, რომ კარგად ჩაგვეგემრიელებინა პირი. ზიკმა თავისი საიდუმლო მარაგიდან რამდენიმე ბოთლი ბრენდი აიღო და ჩამოარიგა.

ჩემს ახმახ მეგობარს დაუოკებელი მხიარულება დაეუფლა. ანეგლოტებისა და სიმღერების რეპერტუარი რომ შეასრულა, ზეზე წამოხტა, სანაპირო ჭალის მკვიდრ ქალიშვილს ხელი დააელო და დაიწყო მდელოზე მასთან ერთად ვალსის ციკვა. მაგრამ იმ ღამეს ექიმმა იმდენი ოინი ჩაიღინა, რომ ვერ ჩამოვთვლი. კუნძულებმა, რომლებსაც ზუმრობა ძალიან უყვარ ი, განაცხადეს, ჭეშმარიტი „მაიტაი“ არისო.

შუალამე გადასული იყო, რომ დავიშალეთ. როცა სხეებიც წავიდ-წამოვიდნენ, ზიკმა ნამდვილი იანკის ყაირათიანობით დაამარილა დარჩენილი ზორცი.

მეორე დღე კვირა იყო. ჩემი თხოვნის თანახმად ჯუჯა წამყვა აფრეკიტუსი — მეზობელ ყურეში, რომელიც თითქმის პაპეტეს პირდაპირ მდებარეობს. მის ნაპირას არის მისიონერთა დაბა დიდი ეკლესიითა და სკოლის შენობით, რომლებიც ძალი-

ან ძველია. თვალწარმტაც სერზე ერთი ლამაზი სახლი დგას, სრუტეს გადაჰყურებს. სახლს რომ გაუარე, თვალი მოვკარი ქალს, რომელსაც მშვენიერი ჩითის კაბა ეცვა. ქალი აივნიდან ოთახში შევიდა. აქ მისიონერის რეზიდენცია იყო.

ღუზაჩაშვებული კოხტა იალქნიანი კანჯო ირწეოდა ნაპირიდან რამდენიმე იარღის მოშორებით.

ახლომახლო დაბლობებში აქა-იქ ადგილობრივ მკვიდრთა ქოხები მოჩანდა. ისინი ულაზათო იყო, მაგრამ ტაიტილოთა ქოხების უმრავლესობას მაინც სჯობდა.

ეკლესიაში დავესწარით ღვთისმსახურებას. იქ მლოცველები ცოტა იყო. იმის შემდეგ, რაც პაპეუტეში დავათვალიერე, აქ არაფერი საინტერესო არ შემხვედრია. თუმცა, მლოცველებს რაღაც უცნაური, შემცბარი სახეები ჰქონდათ; ამის მიზეზს მანამდე ვერ მივხვდი, სანამ არ გავიგე, რომ ქადაგება თურმე მერვე მცნებას შეეხებოდა.

როგორც გამოირკვა, ამ რაიონში ცხოვრობდა ერთი ინგლისელი, რომელსაც ჩვენი მეგობარი პლანტატორების მსგავსად ბატატი მოჰყავდა და პაპეუტეში ყიდდა.

მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ადგილობრივი მკვიდრები გადაძვრებოდნენ ხოლმე მის შემოღობილ ნაკვეთში და ბატატს იპარავდნენ. ერთ ღამეს ინგლისელმა მარილითა და წიწკით გატენილი სანადირო თოფი ესრიალა მის სამფლობელოში შემოპარულ რამდენიმე ლანდს. მარილმა და წიწკამ, ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც იგივე შედეგი გამოიღო, მეორე დღეს კი იგი თავზე წაადგა ცულლუტებს, რომლებიც მის საკუთარ სამზარეულო ფარდულში წვაკდნენ ერთ კალას ბატატს. ბოლოს და ბოლოს ინგლისელმა მისიონერთან იჩივლა, ჰოდა, ამ უკანასკნელმა თავისი მრევლის საკეთილდღეოდ წარმოთქვა ქადაგება, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ.

მარტაირის ველზე ქურდები არ იყვნენ, მაგრამ მის მცხოვრებთა პატიოსნება გარკვეულ ფასად უჯდებოდათ პლანტატორებს. ნათსა და პლანტატორებს შორის არსებობდა მუდმივი საქმიანი შეთანხმება. რადგან მათ საკმარისად ჰქონდათ ბატატი, „რომელიც დათქმულ დროს ეძლეოდათ შესრულებული სამუშაოს საზღაურად“, ამიტომ მოპარვაზე თავს იკავებდნენ. ქურდობა იმანაც აღკვეთა, რომ მათი ბელადი ტონოი სულ პლანტაციამ იყო.

მარტაირში ნაშუადღევს დავბრუნდით. სახლში დაგვხვდნენ ექიმი და ზიკი, რომლებიც დიდებულად ატარებდნენ დროს. იანკი მიწაზე წამოწოლილიყო, ჩიბუხს ეწეოდა და თან უცქეროდა ექიმს, რომელიც ფეხმართხული იჯდა დიდ თუჯის ქვაბთან და შიგ ყრიდა დაჭრილ ბატატს, ინდურ თალგამსა და დაჩეხილ ძელებს; როგორც თვითონ თქვა, „ხარის ბულიონს“ ხარშავდა.

ჩემი ამხანაგი გასტრონომიული საქმის ნამდვილი ოსტატი იყო; რომ უფრო დახელოვნებულიყო, მთელ თავისუფალ დროს არაფერს აკეთებდა და, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტულ კულინარიაში ვარჯიშობდა მხოლოდ. პირდაპირ ნაკვერცხლებზე ან შამფურზე წვავდა ხორცს, სხვადასხვა საკმაზთან ერთად შუშავდა წვრილ-წვრილად დაჭრილ ხორცს და ათასნაირად ამუშავებდა ცეცხლზე. ახალი საქონლის ხორცი პირველად ვიგემეთ ვერაწელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში.

— ო, თქვენ მალე მომჯობინდებით, პიტერ, — შენიშნა ზიკმა საღამო ხანს, როცა ახმახი სული უშველებელ დაბეგვილ კატლეტს ატრიალებდა ნაკვერცხლებზე. — თქვენ რას იტყვიო, პოლ?

— მე მგონი, მალე მოიკეთებს, — მიუუგე მე. — საკმარისია ოდნავ შეუუარდისფერდეს ლოყები.

მართალი ვითხრათ, გამეხარდა, ექიმი რომ ავადმყოფის სახელს კარგავდა; ის ხომ ამ სახელით იოლ ცხოვრებას აპირებდა, თანაც, რაღა თქმა უნდა, ჩემს ხარჯზე.

თ ა ვ ი 59

ბ ა ტ ა ტ ი

დილით მზის ამოსვლის წინ ნაუში ვთვლემდით, როცა ზიკმა ნაპირიდან გამოგვძახა და გაგვალვიდა.

ნაპირს მივადექით თუ არა, გვაცნობეს, რომ წინა დღით, გვიან საღამოს პაპეეტედან მოსულიყო პირაგუა, რომელსაც იქ მდგარი გემისათვის ბატატის გადაგზავნის შეკვეთა მოეტანა;

რადგან შუადღემდე უნდა დაბრუნებულიყვნენ, ზიკს უნდოდა იალქნიან კანჯოში ბატატის გადატანაში მოეხმარებოდით.

ჩემი ამხანაგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ყოველ დილით მარცხენა ფეხზე ღებებიან და საუზმემდე უგუნებოდ არიან. ამიტომ იანკი ამაოდ იმიზეზებდა სასწრაფო საქმეს, რომელმაც აიძულა ასე ადრე გაველვიძებინეთ. ექიმი კიდევ უფრო მოიღუშა და არაფერი უპასუხა.

ბოლოს, ცოტაოდენი ენთუზიაზმი რომ გაელვიძებინა ჩვენში, იანკიმ სასწრაფოდ წამოიძახა:

— აბა რას იტყვით, ბიჭებო, შევუდგეთ საქმეს?

— ჯანდაბას, — წაიბურტყუნა ექიმმა, რომელიც ამ დროს კბენია კუს წააგავდა¹.

შინისკენ გავწიეთ. მიუხედავად უდიერი პასუხისა, ჩემი ამხანაგი ალბათ ფიქრობდა, რომ გუშინდელი გასტრონომიული საგმირო საქმეების შემდეგ მუშაობისაგან თავის დაძვრენა ცოტა არ იყოს უხერხული იყო. სახლში დაგვხვდა ჯუჯა, რომელსაც თოხები უკვე მოემზადებინა, და ყველანი ერთად გავემართეთ პლანტაციის ბოლოსაკენ, სადაც ბატატი უნდა ამოგვეთხარა.

ნოყიერი მურა ნიადაგი ზედგამოჭრილი იყო ბატატისათვის. უშველებელი ყვითელი ბოლქვები, როგორც კვერცხები ბუდიდან, ისე მოგორავდნენ გადაფარებული მიწიდან.

ჩემმა ამხანაგმა პირდაპირ გამაოცა, ისე გულმოდგინედ მოჰკიდა თოხს ხელი. რაც შემეხება მე, დილის ნიავეთ გახალისებული, დიდებულად ვმუშაობდი. ასეთმა გარჯამ, ეტყობა, უდიდესი სიამოვნება მოჰგვარა ზიკს და ლონდონელს.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი ბატატი ამოღებული იყო. ახლა უნდა გენახათ სანახავი: ბატატი მეოთხედ მილზე მაინც უნდა გადაგვეტანა. და რადგან კუნძულზე არც ხელურები იყო და არც ფორანი, ეს ყველაფერი ჩვენს მხრებსა და ზურგს უნდა შეეცვალა. ზიკს მშვენიერად ესმოდა, რომ ეს სამუშაო არავითარ სიამოვნებას არ მოგვანიჭებდა, და ამიტომ შეეცადა რაც შეიძლება მხნედ ყოფილიყო, გულის გატეხა აღარ გვაცალა და მხიარულად გვანიშნა მოწნულ გოდრებზე, რომლებიც იქვე

¹ Chejndra serpentina—კუს ერთ-ერთი სასეობა.

ენყო გამზადებული. ჩვენც ბერი აღარ გვიჯანჯლია, თითო გოდორი ავიღეთ და მალე ოთხივენი ტვირთქვეშ მოკაკულე-ბა გავუდექით გზას.

პირველ გზობაზე ნაპირამღე ერთდროულად მივედი. — ზიკის გამამხნეებელმა შეძახილებმა მეტად ძლიერი ზემოქმედება მოახდინეს. მაგრამ რამდენიმე გზობის შემდეგ მხრებმა ტეხა დამიწყო, მაღალ-მაღალი ექიმი კი აშკარად მოიხარა წელში.

მალე ორივემ მივატოვეთ გოდრები და განვაცხადეთ, რომ მეტიც ატანა აღარ შეგვეძლო. მაგრამ ჩვენმა დამპირაუებლებმა, რომლებსაც გადაეწყვიტათ ღუმლით ნამუსზე შევეყენებინეთ და იძულებული გავხადეთ, რომ გვემუშავა, ისეთი სახე მიიღეს, თითქოს არაფერი არ შეუმჩნევიათ, და გზა განაგრძეს. ეს ამას ნიშნავდა: „ხედავთ, ბიჭებო, უკვე სამი ღღუა მზამზარეულზე ცხოვრობთ ჩვენთან; გუშინ ჭამის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ; იდექით ახლა და გვიყურეთ, როგორ ვმუშაობთ, თუკი არ გრცხვენიათ“. ამრიგად, იძულებული გავხდით, ხელახლა შევდგომოდით საქმეს. მაგრამ, მიუხედავად ყველა ცდისა, მაინც ჩამოვრჩით ზიკსა და ჯუჯას, რომლებიც ოფლში გახვითქულე-ბი ქშინვით დაათრევდნენ ტვირთს და სულის მოსათქმელადაც არ ეცალათ. კინაღამ ბოროტი სურვილიც კი დამებადა, რომ ზედმეტ ბატატს, უკანასკნელი წველისა არ იყოს, წელში გავწყვიტა ისინი.

გოდორქვეშ სულს ძლივს ვითქვამდი, მაგრამ მაინც ვერ ვიკაეებდი სიცილს, ახმას სულს რომ ვუყურებდი. კისერი წაფრძელებინა, ხელები უკან წაეღო, რომ გოდორი შეემარებინა, გრძელი ფეხები კი წამდაუწუმ ეკაცებოდა, თითქოს მუსლის სახსრებიდან უვარდებო.

— კმარა! მეტი აღარ შემიძლია! — ყოველგვარი შესავლის გარეშე შესძახა მან და ბატატი კანჯოში ჩაყარა. სწორედ ამ დროს იანკი გროვად დაყრილ კარტოფილს ასწორებდა.

— იცი რას გეტყვი, — მკვირცხლად მითხრა ზიკმა, — მგონი, ჯობია შენ და პოლმა „კასრის მოწყობილობა“ სინჯოთ. წავიდე, ამ წუთში გასწავლით. — ამ სიტყვებით ნაპირზე გამოვიდა და სახლისაკენ გაეშურა, თან მე და ექიმს გვთხოვა გავყოლოდით.

ჩვენ საგონებელში ჩავეარდით. კულში მივეყვებოდით აან-

კის და თან ვფიქრობდით, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს „კას-რის მოწყობილობა“. გული კი კარგს არაფერს გეიგრძნობდა. სახლს რომ მივაღექით, დავინახეთ ჯინის მსგავსი რაღაც. ეს იყო ძველი კასრი, რომელიც მაგარი ნიჩბის შუაგულში იყო ჩამოკიდებული. ზიკს თვითონ გამოეგონებინა ეს გონებამახვილური ხელსაწყო და ახლაც არანაკლებ გონებამახვილურად აპირებდა ექიმისა და ჩემი მზრების გამოყენებას.

— ესეც ასე! — თქვა მან, როცა ყველაფერი მზად იყო — ახლა წელში აღარ გაწყდებით. გესმით, ამით თქვენ შეგიძლიათ სწორად იდგეთ; აბა, ერთხელ სინჯეთ. — და მან ჩემს ამხანაგებს თავაზიანად დაადო მარჯვენა მხარზე ნიჩბის წვერი, ტარი კი მე ჩამომადო, ასე რომ კასრი ჩვენს შუაში აღმოჩნდა.

— ზედგამოჭრილია, — დასძინა მან, გვერდზე გადგა და ჩვენი მშვენიერი შესახედაობით ტკბებოდა.

საშველი არსაით ჩანდა; გულდამძიმებულნი და წელში მოკაკულნი გავბრუნდით მინდორში. ექიმში სულ წყველა-კრულვაში იყო.

დატვირთული კასრით რამდენიმე ნაბიჯი საკმაოდ მსუბუქად გავიარეთ და ერთხანს ისიც ვიფიქრეთ, რომ იღუა ცუდი არ იყო, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ადგილზე გავქვავდით; უხეში ნიჩაბი აუტანლად გვაწვებოდა და მხარს გვიხეხავდა.

— ბოლოები შევიცვალეთ, — წამოიძახა ექიმმა, რომელსაც მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, ნიჩბის პირი მხარს რომ უჭრიდა. ბოლოს, მოკლე-მოკლე გადარბენითა და სვენებ-სვენებით, როგორც იქნა, მივალწიეთ ნაპირს. და გაბრაზებულებმა დავაგდეთ ტვირთი.

— კუნძულებს რატომ არ მოიხმართ? — ჰკითხა ახმახმა სულმა და მხარზე ხელი მოისვა.

— დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი! — თქვა იანკიმ. — ერთი თეთრკანიანი ოც კუნძულელს სჯობია. აქაუარი ჭაბუკები მუშაობისათვის არ არიან გაჩენილნი; ეს მათაც იციან. არც ერთს თავის დღეში თითი თითზე არ დაუკარებია.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი არასახარბიელო შეხედულებებისა, ბოლოს და ბოლოს ზიკი მაინც იძულებული გახდა სამუშაოდ მოეხმო ისინი.

— არამაი! (მოდით) — დაუძახა რამდენიმე მკვიდრს, რომლე-

ბიც ნაპირზე იწვნენ და იქიდან დაკვირვებით აღევნებდნენ თვალს ჩვენს მოქმედებას; განსაკუთრებული კმაყოფილებით უცქეროდნენ, როგორ ვმუშაობდით ჯინით.

იანკიმ უბრძანა მათ გოდრები აევსოთ, თვითონაც აავსო და შემდეგ წინ გაიგდო. ალბათ ოდესღაც უნახავს, როგორ ვრეკებოდნენ ცხენებზე ამხედრებული ინდიელები საპალნეაკიდებულის ჯორების ქარაუნებს კალიაოდან ლიმისაკენ მიმავალ შარაგზაზე.

ბოლოს კანჯო დატვირთეს, იანკიმ რამდენიმე მკვიდრი მიიხმო, იალქანი აუშვა და მათთან ერთად გაემართა პაპეიტეს სრუტით.

ღილით საუზმობისას მოხუცი ტონოი შემოვიარდა სახლში და გვითხრა, მგზავრები ბრუნდებიანო. ჩვენ ნაპირისაკენ გავეშურეთ და დავინახეთ, რომ კანჯო, რომლის საჭესთან მთელმხარე კუნძულელი იჯდა, ნელ-ნელა ახლოვდებოდა; ზიკი კი ნაღის ცხვირთან იდგა და ტვირთის საფასურად აღებული ვერცხლით საკვსე ქისას აჩხრიალვებდა.

თ ა ვ ი 60

რას ფიქრობდნენ მარტაირში ჩვენზე

მშვიდად ჩაიარა რამდენიმე დღემ. ჩვენ იმდენს ვშრომობდით, რამდენიც აუცილებელი იყო მადის მოსაყვანად ლმობიერი პლანტატორები ყოველგვარი მძიმე სამუშაოსაგან გვათავისუფლებდნენ.

თანდათან უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ისინი ცდილობდნენ როგორმე დავეტოვებინეთ, და ეს არც იყო გასაკვირი. გარდა იმისა, რომ თავიდანვე მიგვიჩინეს ამხანაგურ, გულითად ბიჭებად, რომლებთანაც შეიძლებოდა შინაურულად ყოფილიყვნენ, მათ ჩქარა გაიგეს, რა ძალიან განვსხეავდებოდით ჩვეულებრივი მაწანწალებისაგან და რამდენი საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი რამ შეიძლებოდა მიეცა ჩვენთან ურთიერთობას ამ ორი მართოხელა გაუნათლებელი ადამიანისათვის.

მალე ჩვენმა განსწავლულობამ მათი განცვიფრება და შურიც კი გამოიწვია; ექიმს ხომ პირდაპირ სასწაულად თვლიდნენ.

ლონდონელმა შეამჩნია, რომ მას (ექიმს) შეეძლო თავდაყირა დადებული წიგნი ისე წაეკითხა, რომ გრძელი სიტყვები წინასწარ არ დაემარცვლა; ხოლო როცა იანკიმ ექიმის მათემატიკური ცოდნის შემოწმების სახით რამდენიმე ციფრი დაასახელა, ექიმმა თვალისდახამხამებაში უთხრა მათი ჯამი.

გარდა ამისა, ადამიანებსა და მოვლენებზე ლაპარაკისას ჩემი ახმახი ამხანაგი ხშირად ისეთ ბრწყინვალე გამოთქმებს ხმარობდა, რომ ერთხელ პირდაპირ ქუდმოხდილი ისმენდნენ მის მსჯელობას.

მოკლედ, მათი შეხედულება ჩვენზე, განსაკუთრებით ახმახს სულზე, დღითი დღე იზრდებოდა. ისინი ათასნაირად ოცნებობდნენ იმ სარგებლობაზე, რომელიც შეეძლოთ ენახათ ესოდენ სწავლული მუშაკის მეშვეობით სხვებთან ერთად განვიხილეთ პროექტი მომცრო ორმოცტონიანი გემისა, რომელიც მეზობელ კუნძულებთან ვაჭრობას უნდა მომსახურებოდა. მერე ადგილობრივ ჯგუფთან ერთად რაზმს შევადგენდით და თანდათანობით შემოვიკვირდით წყნარი ოკეანის წყლებს, ხან ერთ კუნძულს მივადგებოდით და ხან მეორეს, თან შევიძენდით ისეთ რომანტიკულ საქონელს, როგორცაა ტრეპანგები, მარგალიტის ნიჟარები, არორუტი, ამბრი, სანდალის ხე, ქოქოსის ზეთი და სხვ.

სამხრეთის ზღვებში მოგზაურობაზე ფიქრი ფრთებს გვასხამდა. ექიმმა იმწამსვე განაცხადა, რომ მზად იყო მომავალი სანდალის მეთაურობა ეკისრა და ისე ეტარებინა იგი, რომ არავითარი მეჩივრებისა და რიფების შიში არ ჰქონოდათ. მისი კადნიერება თავსედობაზე მივიდა. გაუთავებლად ლაპარაკობდა სანაივაციო ხელოვნებაზე, გვიმასპინძლებოდა დისერტაციებით მერკატორის ლოციისა და აზიმუტ-კომპასის შესახებ, იძლეოდა გეოგრაფიული გრძედის უშეცდომო განსაზღვრის საკუთარი, სრულიად უგუნური ხერხის არაფრის განმმარტავ განმარტებებს.

ყოველთვის, როცა ჩემი ამხანაგი თავის მგზნებარე ფანტაზიას გასაქანს აძლევდა, მისი ლაპარაკის მოსმენას არაფერი სჯობდა; ამიტომ არასოდეს არ ვაწყვეტივარ, პლანტატორებთან ერთად ვიჯექი მის წინ და განცვიფრებისაგან ენაჩაყარდნილი ვუსმენდი. ჩემი მხრიდან ასეთი თავის დამცირება ჩვენი შეფარდებითი ღირსებების ჭეშმარიტი საზომი იყო: ჩემდა სამწუხაროდ, მალე შევნიშნე, რომ პლანტატორების თვალში

ახმაღი სული ჩემზე ბევრად უფრო მაღლა იდგა. რამდენადაც მივხვდი, ეტყობა, საიდუმლო გაანდო მათ, რომ „ჯულიაზე“ ჩვენ განსხვავებული მდგომარეობა გვექონდა; ანდა, შესაძლებელია, პლანტატორები მას თვლიდნენ რომელიღაც სახელგანთქმულ ადამიანად, რომელიც გამოუცნობი მიზეზების გამო ინკოგნიტოდ მოგზაურობდა. თუკი ეს ასე იყო, მუშაობისადმი დაუფარავი ზიზღიც საპატიო ხდებოდა; საქმის გაფართოების გეგმას რომ აღგენდნენ, მასზე როგორც მეცნიერზე უფრო ამყარებდნენ იმედს, ვიდრე — როგორც უბრალო მიწის მუშაზე.

ეშმაკ ექიმს არ შეეძლო უარი ეთქვა ესოდენ მაღალ და ხელსაყრელ შეხედულებაზე და ზოგჯერ ხუმრობით ქედმაღლურადაც კი მომმართავდა; ეს საკმაოდ სასაცილო იყო, მაგრამ ზოგჯერ მაბრაზებდა კიდევც.

რაღა დაგიმალოთ და, საქმე იქამდე მივიდა, გულწრფელად გავაფრთხილე, რომ ამნაირ რამეებს ვერ შეუურიგდებოდი; თუ ჯენტლმენად მოჰქონდა თავი, მეც მის მაგალითს მივბაძავდი, და მაშინ ყველაფერი სწრაფად დამთავრდებოდა.

აქ ჩემმა ამხანაგმა გულიანად გაიცინა, და მხიარული საუბრის შემდეგ გადაწყვიტეთ, როგორც კი დროს ვიხელთებდით, ზრდილობის წესების დაურღვევლად მიგვეტოვებინა მარტაირის ველი.

ამრიგად, იმავე საღამოს, ვახშობისას, ექიმმა ჩვენს განზრახვაზე გადაუკრა სიტყვა იანკის.

ზიკი გაოცდა და შეშფოთდა კიდევც, მაგრამ სახეზე ერთი კუნთიც არ შესტოკებია.

— პიტერ, — დინჯად წარმოთქვა ბოლოს კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, — მზარეულობას ხომ არ მოჰკიდებთ ხელს? იოლი სამუშაოა. სხვა არაფრის კეთება არ მოგიწევთ. პოლი უფრო ღონიერი; მინდორში იმუშაეებს, როცა მოესურვება. მალე უფრო სასიამოვნო რამეს გამოგინახავთ, ასე არ არის, ჯუჯა?

ჯუჯამ თავი დაუქნია.

ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ კარგად ჟღერდა: განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ექიმისათვის შეთავაზებული სინეკურა, მაგრამ ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი მაინცდამაინც არ მხიბლავდა—ისინი ძალიან გაურკვეველი იყო. თუმცა არავითარი საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია; ჩვენ გამოვთქვით სურვილი—მიგვეტოვებინა პლანტაცია, და ეს ჯერჯერობით

საკმარისად მიგვაჩნდა. მაგრამ, რადგან წასვლაზე არაფერი გვითქვამს, იანკიმ, ეტყობა, დაასკვნა, რომ ჩვენი დაყოლიება შეიძლებოდა. იგი გაორკეცებით ცდილობდა არაფერი მოგველლებოდა.

ასე იყო საქმე. ერთ დილას, სანამ ვისაუზმებდით, ბატატის გასამარგლად გაგვეზავნეს; რადგან პლანტატორები შინ რაღაცას აკეთებდნენ, ამიტომ ჩვენ მარტო ვიყავით.

თუმცა სარეველა მცენარეების ამოძირკვა ჩვენს დამქირაველებს იოლ სამუშაოდ მიაჩნდათ (იმიტომაც მოგვანდეს ჩვენ) და თუმცა მოყვარულებს საკმაოდ სასიამოვნო გართობად შეიძლება ეჩვენოთ, მაგრამ ეს საქმე დიდი ღოზით უკიდურესად დამქანცველი ხდება.

მიუხედავად ამისა, ერთხანს გულმოდგინედ ვშრომობდით: მაგრამ აი ექიმი, რომელსაც სიმაღლის გამო ძალიან მახვილი კუთხით უხდებოდა დახრა, უცებ გაიმართა, ცალი ხელი წელზე მიიღო და წამოიძახა:

— ოჰ, ერთი ხერხემლის მალეში ნახვრეტები გვექონდეს, რომ დროდადრო დავხეთოთ ხოლმე!

მართალია, ადამის მოდგმის შემოთავაზებული სრულყოფის იმედი ცოტა იყო, მაგრამ მე სავსებით დავეთანხმე ექიმს, რადგან ამ იდეას ჩემი ხერხემლის ყველა მალი თანაუგრძნობდა.

მალე მთებიდან მზე ამოიწვერა და თან მოიტანა დილის ის მომაკვდინებელი მოთენთილობა, რომელიც ცხელი ჰაერის პირობებში სიქას აცლის კაცს. მეტი აღარ შეგვეძლო, თოხები მხარზე გავიღეთ და შინისაკენ გავწიეთ; გადავწყვიტეთ ბოროტად არ გამოგვეყენებინა პლანტატორების გულითადობა და ერთ ზედმეტ წამსაც არ დავრჩენილიყავით ჩვენთვის ესოდენ შეუფერებელ სამუშაოზე.

ასეც ვუთხარით. ზიკი ძალიან შეწუხდა და ათასნარი მოსაზრებები მოიყვანა, რათა ჩვენთვის გადაწყვეტილება შეეცვლებინებინა. რომ დარწმუნდა ყველაფერი ამაო იყო, ნუ აჩქარდებითო, შემოგვთავაზა; შეგვეძლო სტუმრად დავრჩენილიყავით მასთან, სანამ თავისუფალ დროს კარგად არ მოვიფიქრებდით შემდგომ ნაბიჯებს.

ჩვენ სულით და გულით გადაუხადეთ მადლობა, მაგრამ მიუუგეთ, რომ ხვალ დილას უნდა დაგვეტოვებინა მარტაირის ბორცვები.

მოგზაურობისათვის მზადება

მთელ დარჩენილ დღეს უსაქმოდ დავეხეტებოდით და გეგმებს ვაწყობდით.

ექიმს ტამაის ნახვა ეწადა. ტამაი ერთი მივარდნილი სოფელია, რომელიც ქვეყნის შუაგულში მდებარეობს ამავე სახელწოდების დიდი ტბის პირას და ირგვლივ ჭალები აკრავს. აფრეპიტუდან იქ მოხვედრა შეიძლებოდა ბილიკით, რომელიც დელამიწის ზურგზე ყველაზე უდაბურ ადგილებში გადიოდა. ჩვენთვის ბევრი უამბიათ იმ ტბის შესახებ, სადაც ისე გემრიელი თევზი იცოდა, რომ უწინდელ დროს პაპეეტედანაც კი დადიოდნენ მეთევზეები.

გარდა ამისა, ტბის ნაპირებზე ხარობდა მთელ კუნძულზე განთქმული ხეხილი, რომლის ნაყოფი განსაკუთრებით გემრიელი იყო. „ვე“, ანუ ბრაზილიური ქლიავი იქ ფორთოხლის ოდენა იზრდებოდა, ხოლო ჩინებული „არქეა“, ანუ ტაიტური წითელი ვაშლი, ისე დაიბრაწებოდა ხოლმე, რომ მეზობელი სანაპიროს ვერც ერთი ველის ვაშლი ვერ შეედრებოდა.

ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ ტამაიში ცხოვრობდნენ ულამაზესი ქალები, რომლებსაც უფრო ნაკლებ შეხებოდათ ცივილიზაცია, ვიდრე ამხანაგობის კუნძულების სხვა ქალებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს სოფელი ისე შორს იყო ნაპირიდან და სხვა ადგილებთან შედარებით მასზე ისე მცირე გავლენა მოეხდინა ამასწინანდელ ცვლილებებს, რომ აქ ტაიტური ცხოვრება თითქმის ისეთივე დარჩენილიყო, როგორც ოდესღაც ნახა კუკმა ახალგაზრდა ატუს, მეფე-ბიჭის დროს.

ჩვენი დამქირავებლებისაგან საჭირო ცნობა რომ მივიღეთ, გადავწყვიტეთ სოფლამდე მიგვეღწია, იქ ერთხანს გვეცხოვრა, მერე სანაპიროზე დაებრუნებულიყავით, ნაპირს გავყოლოდით და ასე ჩავსულიყავით ტალუში, რომელიც კუნძულის საპირისპირო მხარეს მდებარეობდა.

მაშინვე შევუდექით სამგზავრო სამზადისს. ტაიტიდან წამოისვლისას შევნიშნე, რომ ჩემი გარდერობიდან გადამრჩენოდა ორი კოსტიუმი (თითოეული შედგებოდა ქურთუკისა და შარვისაგან), რომელთა ტარება თითქმის აღარ შეიძლებოდა, და

მატროსებში მიღებული ხერხით ერთი წყვილი მეორეს გამო-
ვაკერე. წითელი ქურთუკი ლურჯზე დავამყენი და ასე მივიღე
ტანისამოსის ჩინებული სახესხვაობა. ასეთი იყო ჩემი გარდე-
რობის მდგომარეობა. არც ექიმს ჰქონდა ჩემზე უკეთესად
საქმე. ზედმეტმა ხელგაშლილობამ ბოლოს და ბოლოს იქამდე
მიიყვანა, რომ მატროსის ტანისამოსილა შემორჩა; მაგრამ ამ
დროისათვის ბამბის ქურთუკი შემოაცვდა, სამაგიერო კი არა-
ფერი ჰქონდა. ჯუჯამ სულგრძელად შესთავაზა ახმახ სულს
შედარებით ნაკლებად დახეული ტანსაცმელი, მაგრამ ექიმმა
ამაყად თქვა უარი მოწყალებაზე, და ამჯობინა ძველებური ტაი-
ტური ტანისამოსი „რურა“ ჩაეცვა.

„რურა“, რომელიც ოდესღაც საზეიმო სამოსად იყო მიჩ-
ნეული, ახლა იშვიათად გვხვდება; მაგრამ კაპიტანი ბობი ხში-
რად გვაჩვენებდა ხოლმე ამ ტანისამოსს, რომელსაც როგორც
საოჯახო რელიკვიას, ისე ინახავდა. ეს იყო ყვითელი ტაპისა-
გან შეკერილი მოსასხამი თუ მანტია, რომელიც სამხრეთ ამე-
რიკის ესპანელთა „პონჩოს“ ჰგავს. შუაგულში აქვს ჭრილი; შიგ
თავს გაყოფენ და თავისუფალი ნაოჭებიანი მოსასხამი გადმოე-
ფინებათ ტანზე. ტონიომ სადღაც იშოვა ამგვარი მოკლე მანტიის
სამყოფი უხეში ყავისფერი ტაპის ნაჭერი და ხუთი წუთის შემ-
დეგ ექიმი უკვე გამოწყობილი იყო. ზიკმა დაკვირვებით შეათვა-
ლიერა მოსასხამი და მის მფლობელს ურჩია: მარტაირსა და
ტამაის შორის მდინარეების ფონით გასვლა და უფსკრულების
გადალახვა მოგიხდებათ და, თუ ქვედატანით იარო, კალთა
აიწიეო.

ერთ-ერთი სერიოზული უხერხულობა ის იყო, რომ ფეხსაც-
მელი სულ არ გვექონდა. წყნარი ოკეანის უკიდევანო სივრცეებ-
ში მატროსები იშვიათად ატარებენ ფეხსაცმელს; ჩემი ფეხსაც-
მელი იმ დღეს გადავაგდე გემიდან, როცა პასატი ამოვარდა,
და, თუ ნაპირზე რამდენიმე გასეირნებას არ ჩავთვლით, იქიდან
მოყოლებული, ფეხსაცმელი არ ვიცოდი რა იყო. მარტაირში
გამოგვადგებოდა, მაგრამ აბა სადღა ვიშოვიდით. ჩვენ მიერ
ჩაფიქრებული ექსპედიციისათვის კი აუცილებლად გვეჭირდებო-
და. ზიკმა, რომელსაც ნივინივაზე ხურჯინებივით ეკიდა წყვი-
ლი უშველებელი ძველი ფეხსაცმელი, ქარქაშიან დანაში
გაუცვალა ისინი ექიმს. ეს დანა იყო უკანასკნელი ფასიანი
ნივთი, ექიმს რომ შემორჩენოდა. რაც შემეხება მე, ხარის ტყა-

ვისაგან შევიკერე სანდლები, როგორსაც ინდიელები ატარებენ კალიფორნიასი. ეს სანდლები წუთში კეთდება; ფეხის ზომის ძირი მაგრდება ტყავის სამი თასმით, რომლებაც ფეხის ზურგზეა შემოვლებული.

რამდენიმე სიტყვა უნდა გითხრათ ჩვენს თავსაბურავებზე. ჩემს ამხანაგს ჰქონდა მშვენიერი ძველი პანამა, აბრეშუმის ძაფივით წვრილი ბალახისაგან მოქსოვილი და იმდენად მოქნილი, მუჭში რომ მოგექციათ და მერე გაგეშვათ, იმწამსვე გასწორდებოდა და წინანდელ მოყვანილობას მიიღებდა. თავის საუცხოო ესპანურ სომბრეროსა და „რურაში“ გამოწყობილი ექიმი ახმახი სული ღარიბ გრანდს მოგაგონებდათ.

არანაკლებ მიხდებოდა ჩემი აღმოსავლური ჩაღმა. იგი შემდეგი მიზეზის გამო მეხურა. პაპეეტეში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გემიდან შლაპა გადამივარდა და იძულებული შევიქენი რაღაც საოცარი ქუდი დამეხურა, რომელსაც მეზღვაურები შოტლანდურას ეძახიან. ყველამ იცის, რა მოქნილია მოქსოვილი შალი; ეს კალედონური ქუდი ისე მქონდა შემოტმასნილი თავზე, რომ უჭაერობა ჩემს კულულებზე ცუდად მოქმედებდა. ამაოდ ვცდილობდი ვენტილაციის მოწყობას; ჩემ მიერ გაკეთებული ყოველი ნაჩერეტი იმწამსვე ივსებოდა. რომ იცოდეთ, როგორ ხურდებოდა ჩემი ქუდი თაკარა მზის სხივებზე.

ჩემმა პატივცემულმა მეგობარმა კულომ რომ დაინახა, ქუდი არ მომწონდა, — მაჩუქე და მაჩუქეო, ჩამაცივდა. ასეც მოვიქეცი, თან ვასწავლე: თუ გამოზარშავ, თავდაპირველი პეწი დაუბრუნდება-მეთქი.

ჰოდა, იმ დღიდან დავიწყე ჩაღმის ტარება. ექიმს ახალი ჭრელი ჩითის პერანგი ჰქონდა; გამოვართვი და თავზე შემოვიხვიე, სახელოები კი ისე დავტოვე — მზის მოსაჩრდილად; მაგრამ წვიმაში ამ თავსაბურის მოხდა ჯობდა. ჩამოკიდებული სახელოები ეგზოტიკურ ეფექტს აძლიერებდნენ, და ექიმი ორთულიან ფაშას მეძახდა.

ასე მოვირთეთ და მოვიკაზმეთ და მზად ვიყავით ტამაიში გასამგზავრებლად. ვამედლოვნებდით, რომ მის მწვანე სალონებში მრავალ სენსაციას მოეახდენდით.

ტ ა მ ა ი

დილით მზის ამოსვლას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, რომ სანდლები ამოვისხნი. ექიმმაც სტუცა ფეხები ზიკის ფეხსაცმელში.

კლანტატორებმა იმედი გამოთქვეს, რომ ტალუში წასვლამდე ერთხელ კიდევ გენახავდნენ, მშვილობის მგზავრობა გვისურვეს და გამოთხოვებისას თითო გირვანქა ფილა თამბაქო გვიბომეს, თან გვირჩიეს, რომ წვრილ-წვრილად დაგვეჭრა, რადგან თამბაქო ფულის მთავარი ერთეულია კუნძულზე.

ტამაიმდე, როგორც გვითხრეს, სამ-ოთხ ლიგაზე მეტი მანძილი არ იყო; ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უდაბური ადგილები უნდა გაგვევლო და შუადღითაც რამდენიმე საათს უნდა დაგვესვენა, იმედი გვქონდა, რომ ტბის ნაპირს დაახლოებით მზის ჩასვლისას მივადგებოდით. ერთხანს ნელ-ნელა მივყვებოდით ტყეებსა და ხრამებს, გადავდიოდით ბორცვებზე, ჩავდიოდით უფსკრულებში, თან წამლაუწუმ ვისვენებდით. ძეხორციელი არ შეგვხვედრია, ველური ხარების ჯოგებს ვხედავდით იშვიათად, — ეს იყო და ეს. შუადღისას უკვე კუნძულის შუაგულში ვიყავით.

ფეხს აუუჩქარეთ და ბოლოს ამწვანებულ გრილ ხევში ჩავედით. აქეთ-იქით მთები აღმართულიყვნენ, ყოველი მხრიდან გადმორჩქეფდნენ ურიცხვი ნაკადულები. უზარმაზარი დიდებული ხეები, რომელთა ხავსმოდებულ ღეროებზე წყლის წვეთები ციმციმებდა, ხშირ ჩრდილს აფენდნენ ირგვლივ. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ აქ ველური რქოსანი პირუტყვი სულაც არ შეგვხვედრია. ჩამიჩუმიც არ ისმოდა, ჩიტიც კი არ ჩანდა, გარინდულ ჰაერში ფოთოლიც არ იძვროდა. სრული უდაბურება და სიჩუმე გულს გვიღონებდა; რამდენიმე წამს გავცქეროდი წყვილიადს, მაგრამ ჩამწკრივებული უძრავი ქუფრი ხეების გარდა რომ ვერაფერი დავინახეთ, ხევი სასწრაფოდ გადავიარეთ და მთის ციკაბო კალთას შევეყვით.

მწვერვალამდე ნახევარი გზა გვქონდა გაელილი, რომ იმ ადგილას გაჩერდით, სადაც პატარ-პატარა ბორცვები სამი პალმის ფესვებთან მოხერხებული დივანის მსგავს რაღაცას ქმნიდნენ. დავსხედით და იქიდან გადავხედეთ ხევს; ის ახლა

მუქ მწვანე ტუერად მოგვეჩვენა. მერე პატარა ხაპი ამოვიღეთ, რომელშიც იყო „პოი“ — ტონოის გამოსათხივარი საჩუქარა. რიგიანად ვისაუზმეთ, ორი ჯოხის საშუალებით ცეცხლი გავაჩაღეთ, წამოვწექით და გავაბოღეთ. ვგრძნობდით, თუ როგორ მიჰყვებოდა კვამლის ბოლქვებს ჩვენი დაღლილობა. ბოლოს ჩაგვეძინა და მხოლოდ მაშინ გავახილეთ თვალი, როცა მზე ისე დაბლა დაშვებულიყო, რომ ფოთლებში გამომკრთალი მისი სხივები გვხვდებოდა.

აღდექით და გზა განვაგრძეთ. მთის მწვერვალზე რომ ავედით, გაოცებული შევდექით, თვალწინ გადაგვეშალა ტბა და სოფელი ტამაი. ჩვენ კი გვეგონა, რომ ერთი ლიგა მაინც გვეკონდა გასავლელი. იმ ადგილის თავზე, სადაც ჩვენ ვიდექით, ჯერ კიდევ არ დაფერფლილიყო ყვითელი დაისი, მაგრამ დაბლა, ველზე უკვე წვებოდა გრძელი ჩრდილები, ხოლო ოდნავ აქიანრილ მწვანე ტბაში ზუსტად ისევე არეკლილიყო სახლები და ხეები, როგორც იღვწენ მის ნაპირას. აქა-იქ წყლიდან ამოწვერილ სვეტებზე მიბმული რამდენიმე პირაგუა ტალღებში ირწყვოდა; რომელიღაც ეული მეთევზე ბალახით დაფარული კონცხისაკენ მიცურავდა. სახლების წინ კუნძულები შეჯგუფულიყვნენ, ზოგნი მიწაზე წამოწოლილიყვნენ, ზოგნი კი ზანტად მიყრდნობოდნენ ბამბუკის კედლებს.

ყიჟინით დავეშვიტ ბორცვზე. მალე სოფლებიც გამოქანდნენ ჩვენკენ, რათა დაენახათ ვინ გამოეცხადათ ასე უეცრად. ახლოს რომ მივედით, გარს შემოგვერტყნენ, ერთი სული ჰქონდათ როდის გაიგებდნენ, რამ მოიყვანა „კარპოური“ მათს მშვიდობიან მხარეში. მას შემდეგ, რაც ექიმმა აუხსნა ჩვენი მისვლის მეგობრული მიზეზი, ნამდვილი ტაიტური სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს, თავიანთ სახლებზე მიგვითითეს და გვითხარეს, სანამდეც გასურთ, თქვენს განკარგულებაში იყოსო.

ჩვენ გაგვაცოცა ამ ადამიანების შესახედაობამ: მამაკაცებიც და ქალებიც გაცილებით ჯანმრთელები ჩანდნენ, ვიდრე ყურეებთან მცხოვრები კუნძულები. რაც შეეხება ქალიშვილებს, ისინი უფრო მოკრძალებული იყვნენ, უფრო ფაქიზად ეცვათ, ბევრად უფრო ქორფები და ლამაზები იყვნენ, ვიდრე ნაპირის ქალწულები. „რა დასანანია, რომ ეს მომხიბლავი ქმნილებანი ასე უმისწოდ ატარებენ ცხოვრებას ამ მიყრუებულ ველზე“, — ვფიქრობდი მე.

პირველი საღამო რარტუს, სტუმართმოყვარე მოხუცი ბელადის სახლში გავატარეთ. სახლი ტბას გადაჰყურებდა და ვახშობისას მოშრიალე ფოთლების მიღმა ვხედავდით ვარსკვლავებით განათებულ წყლის ზედაპირს.

მეორე დღეს გავისეირნეთ. გავეცანით პატარა ბედნიერ თემს, რომელმაც თითქმის არ იცოდა ის აურაცხელი სავალალო ბოროტებანი, კუნძულის დანარჩენ მოსახლეობას რომ ტანჯავდა. გარდა ამისა, ადამიანები აქ უფრო დასაქმებული იყვნენ. ჩემდა გასაოცრად, რამდენიმე სახლში ამზადებდნენ ტაპას. ევროპულ ჩითებს იშვიათად შეხვდებოდით, და საერთოდ უცხოური ნაწარმი ძალიან ცოტა იყო.

ტამაის მცხოვრებნი ფორმალურად ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ რადგანაც სასულიერო ხელისუფალთაგან შორს იყვნენ, ამიტომ რელიგია არცთუ ისე მძიმე ტვირთად აწევთ. ისიც კი გვიამბებს, რომ მათს ველზე ჩუმ-ჩუმად ჯერ კიდევ ერთობოდა ხალხი წარმართული თამაშობებითა და ცეკვებით.

ერთ-ერთი მიზეზი, რამაც აქ მოგვიყვანა, იყო იმედი, რომ ძველებურ „ჰევარს“ (ტაიტურ ცეკვას) ვნახავდით; ამიტომ, როცა შევნიშნეთ, რომ რარტუ ძალიან მკაცრად არ იცავდა თავის რელიგიურ შეხედულებებს, ჩვენი სურვილი გავანდეთ. ჯერ ყოყმანობდა, მხრებს იჩეჩდა, როგორც ფრანგებმა იციან, ამბობდა, ეს შეუძლებელია, ძალიან დიდ რისკთანაა დაკავშირებული და შეიძლება უსიამოვნება მიაყენოს მის მონაწილეებსო. მაგრამ ჩვენ ყველა საბუთი უარეყავით, დავარწმუნეთ, რომ ჩვენი განზრახვის შესრულება შეიძლებოდა, და „ჰევარი“, ნამდვილი წარმართული დღესასწაული, იმავე საღამოს იქნა დანიშნული.

თ ა ვ ი 63

ცეკვები ველზე

ეტყობა, ტამაიზე ცუდი ადამიანებიც ცხოვრობდნენ. ესენა იყვნენ დამსმენები, რომელთა გამო ცეკვებისათვის მზადება საიდუმლოებით იყო მოცული.

შუალამემდე ორიოდე საათით ადრე რარტუ სახლში შემოვიდა, ტაპის მოსასხამები მოგვახურა და გვითხრა, გარკვეულ

მანძილზე უკან გავყვარდით და სანამ სოფელს არ გავცდებოდით, სახე არ გამოგვეჩინა. ასეთი იდუმალებით შეპყრობილნი, იმწამსვე დავემორჩილეთ. ბოლოს დიდი კაუჭი გავაკეთეთ და ტბის შორეული ნაპირისაკენ გავწიეთ. სავესე მთვარე დანათოდა გაშლილ ცვარნამიან მდელს, სულ მთლად გვიმრით რომ იყო დაფარული. მდელი წყლის ნაპირამდე ჩადიოდა; პირდაპირ მოჩანდა ჭალებში ჩადგმული მოლაპლაპე სახლები.

მდელს განაპირას, ხეების ახლოს, ასი ფუტის მანძილზე გადაშლილიყო დანგრეული ქვის მოედანი, სადაც ოდესღაც ორის ტაძარი იდგა. ახლა იქ ველარაფერს ნახავდით, გარდა ერთი ქოხისა, რომელიც ქვედა ტერასაზე აეშენებინა ვილაცას. ის, ეტყობა, „ტაპა პერის“—აქაური ქსოვილის დასამზადებელი შენობის—მოვალეობას ასრულებდა.

ბაბუკის კედლიდან სინათლე გამოკრთოდა, რომელიც გრძელ ჩრდილოვან სვეტებად ეფინებოდა მიწას. ხმებიც მოისმოდა. ქოხისაკენ გავემართეთ, შიგ შევიხედეთ და დავინახეთ მოციკვავე ქალები, რომლებიც გამოსასვლელად ემზადებოდნენ. ოცამდე ქალიშვილი იქნებოდა; მათ იცავენქნ კუდიანი დედაბრები—ნამდვილი ღუენები. ახმახმა სულმა უთხრა, დედაბრები გავრეკოთო, მაგრამ რარტუმ უპასუხა არაფერი გამოვაო, და იძულებული გავხდით შევეგუებოდით მათ იქ ყოფნას.

დაჟინებით მოვითხოვდით, რომ ჩვენთვის გაეღოთ კარი, რომელსაც თურმე არასოდეს აღებდნენ; მაგრამ დაკეტილში მყოფ კუდიან დედაბერთან ხმამალალი კამათის შემდეგ ჩვენს გამცილებელს მოუსვენრობა დაეტყო და გვიჩინა, ხმაური შეწყვიტეთ, თორემ ყველაფერი წყალში ჩაიყრებაო. მერე შემოგვთავაზა წარმოდგენის მოლოდინში შორს ვყოფილიყავით, რადგან ქალიშვილებს არ უნდოდათ, რომ გვეცნო. უფრო მეტიც, მან პირობა ჩამოგვართვა—სანამ „ჰეკარი“ არ დამთავრდებოდა და მოციკვავეები არ გავიდოდნენ, მანამდე ფეხი არ მოგვეცვალა.

მოუთმენლად ველოდით. ბოლოს გამჩინდნენ. თეთრი ტაპის მოკლე ტუნიკები ეცვათ. თმებს ყვავილების გირლანდები უმშვენებდათ. მათ გამოჰყვენ ღუენებიც, რომლებიც სახლის გვერდით შექუჩდნენ, ქალიშვილებმა კი რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგეს წინ. ორი მათგანი, ყველაზე მალე, თვალისდახამხამებაში გაჩნდა წრეში, რომელიც დანარჩენმა ხელიხელჩაკიდებ-

ბულმა ქალიშვილებმა შეკრეს. ყველაფერი ეს სრულ სიჩუმეში გაკეთდა.

და აი, ორივე ქალიშვილმა თავს ზემოთ გადაიჭლო ხელემა და შეძახილებით—„აჰლუ! აჰლუ!“ — რიტმულად დაიწყეს ქნევა.

მოცეკვავენი ნელა უვლიან ფერხულს; ერთმანეთის მხარდამხარ მიდიან, ხელები ოდნავ დაუხრიათ. მოძრაობა თანდათან ჩქარდება და, ბოლოს, ქალიშვილები გრიგალივით დაქრიან; გულმკერდი მძიმედ აუღ-ჩაუღით, თმები ეშლებათ, ყვავილები უსკვივდებათ და ყველას თვალები უციმციმებს, თითქოს სინათლის ერთ მთლიან რგოლს ქმნიანო.

ამ დროს კი ფერხულის შუაგულში მყოფი ქალიშვილები შეუსვენებლივ ცეკვავენ; ხან უახლოვდებიან ერთმანეთს, ხან შორდებიან. ისინი ხან ერთ მხარეს იხრებიან და ხან მეორე მხარეს, თან გრძელ თმებს არხევენ. დროდადრო გაშლილი ხელებს წინ გაიშვერენ ხოლმე და ცალ ფეხზე მდგარნი ტრიალებენ მთვარის სხივებით განათებულ ზოლში.

— აჰლუ! აჰლუ! — კვლავ წამოიძახებს ცეკვის ორი დედოფალი, წრის შუაგულში ერთმანეთს უახლოვდებიან, კიდევ ერთხელ სწივენ ხელებს და ასე ქვაკვდებიან.

— აჰლუ! აჰლუ! — ფერხული იშლება, და ქალიშვილები, რომლებიც სულს ძლივს ითქვამენ, ჩერდებიან. რამდენიმე წამს მძიმედ და გახშირებით სუნთქავენ, მერე კი, როცა სიწითლე თანდათან გადაუვით, ნელ-ნელა იხვევენ უკან და წრეს აფართოებენ.

კვლავ რიტმულად ამოძრავებს ხელებს ორი მთავარი მოცეკვავე. დანარჩენები კი განცალკევებით გარინდულან და მთვარის მკრთალ შუქზე ზღაპრულ ფერიებს ჰგვანან. მაგრამ აი რაღაც უცნაური სიმღერა წამოიწყეს, ნარნარად ირხევიან და თანდათან უფრო სწრაფად მოძრაობენ; ბოლოს, გულაჩქროლებულნი და ლოყებანთებულნი რამდენიმე წამს ვნებიანად, თავდავიწყებით ცეკვავენ, ეტყობა, ველარაფერს ამჩნევენ ირგვლივ. მაგრამ მალე რიტმი კვლავ ნელდება, ადრინდელივით მინახებულნი ხდება, და ქალიშვილები ირინდებიან; მერე თვალებგაბრწყინებულნი გრიგალივით გაიჭრებიან წინ, ერთს გუნდად შეკვივლებენ და ერთმანეთს გადაეხვევიან.

ასეთია „ლორი-ლორი“, როგორც ეძახიან, მგონი, ტამაელ რჯულგანდგომილ ქალიშვილთა ცეკვას.

სანამ ისინი ცეკვავდნენ, ძლივს შევაკავეთ ექიმი, რომ წინ არ გადამხტარიყო და რომელიმე მოცეკვავისათვის ხელი არ ეტაცა.

იმ ღამეს მეტი აღარ უჩვენებიათ „ჰევარი“. რარტუმ თითქმის ძალისძალად მიგვიყვანა პირაგუასთან, რომელიც ნაპირზე გამოეთრიათ. ჩვენ უხალისოდ ჩავსხედით შიგ და სოფლისაკენ გავემართეთ; სოფელში საკმაოდ ჩქარა მივედით და მზის ამოსვლამდე კარგად გამოვიძინეთ.

ღილით ექიმი სოფელში დაბორილობდა და ცდილობდა წუხანდელი მოცეკვაულები მოეძებნა. იმედოვნებდა, რომ ისინი გვიან აღგებოდნენ და ამით იცნობდა.

მაგრამ მწარედ მოტყუვდა, რადგან, პირველად რომ გამოძერა სახლიდან, მთელ სოფელს ეძინა. და მის მკვიდრებს ერთდროულად, ოღონდ ერთი საათით გვიან გაეღვიძათ. მთელი ღლის განმავლობაში იგი შეხვდა რამდენიმე ქალიშვილს, რომლებსაც მაშინვე შეატყო, რომ „ჰევარში“ მონაწილეობდნენ. იქვე იღგნენ კობტად გამოწყობილი ჭაბუკები (აღბათ აფრეპიტუდან მოსულიყვნენ მშობლების სანახავად); ქალიშვილებს შემცბარი შესახედაობა ჰქონდათ, მაგრამ ძალიან მარჯვედ უარყოფდნენ წაყენებულ ბრალდებას.

ტამაელი ქალები გუგულებივით წყნარები არიან, მაგრამ მაინც არ არიან მოკლებული იმ თვისებას, რასაც საკმაოდ სასაცილო სახელი „აპილპილება“ შევარქვით. ეს ახლაც გამოამქლავნეს. როცა ექიმი აღარ მოეშვა ერთ ქალიშვილს, ეს უკანასკნელი უცებ მობრუნდა, სილა გააწნა და „ჰანრი პერარ!“ (გასწი აქედან) მიახალა.

თ ა 3 0 6 4

ი ღ უ მ ა ლ ი

ტამაიში ერთი გონჯი ბერიკაცი ცხოვრობდა. მხრებზე უხეში ტაპის მანტია ჰქონდა წამოსხმული და სიმღერითა და მანჭვა-გრეხით დადიოდა სოფელში. სადაც არ უნდა წავსულიყავით, ყველგან თან დაგვეყვებოდა, ხოლო როცა ახლომახლო არავინ იყო, ტანისამოსში ჩაგვაფრინდებოდა და იღუმალი ნიშნებით გთხოვდა, სადღაც წავეოლოდით და რაღაც გვენახა.

ვერა და ვერ მოვიშორეთ ბერიკაცი. საქმე იქამდე მივიდა, რომ კინწისკვრიტაც კი ვუმასპინძლებოდით; გაშმაგებით აყვირდებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც არ გვეშვებოდა. ბოლოს და ბოლოს კუნძულელებს შეევეხევეწეთ, როგორმე მოეშორებინათ ეს კაცი ჩვენთვის, მაგრამ ისინი მხოლოდ იცინოდნენ. სხვა გზა არ იყო, ბედს უნდა შევრიგებოდით.

მეოთხე დღე იყო, რაც ტამაიში ვიყავით. რამდენიმე სოფელს ვესტუმრეთ და საღამოს შინისკენ გამოვწიეთ. სიბნელეში ხეებს გვერდი ავუარეთ და უცებ ჩვენს ნაცნობ გნომს წავაწყვდით. როგორც ყოველთვის, ახლაც რაღაცას დუღუნებდა და ხელებს იქნევდა. ექიმმა შეიგინა და სწრაფად განაგრძო გზა, მაგრამ მე მასთან შეხვედრას არ მოვრიდებივარ, გადავწყვიტე გამეგო, რა უნდოდა ჩვენგან ამ ახირებულ კაცს. გაჩერებული რომ დამინახა, ფეხაკრეფით მომიახლოვდა და სახეში შემომხედდა, მერე კი გამშორდა და მანიშნა გავყოლოდი. ასეც მოვიქეცი.

რამდენიმე წუთის შემდეგ სოფელს გავცდით; ჩემს მეგზურს მივყევი და ერთი მალლობის კალთას მივადექი, საიდანაც ველის შორეული კიდე მოჩანდა. იქ ჩემი მეგზური დამელოდა, სანამ არ გავუსწორდი, მერე კი ღუმილით განვაგრძეთ გზა და ბორცვზე ავედით.

მალე მივადექით ერთ უბადრუკ ქოხს, რომელიც, ხეებში ჩაფლული, ძლივსღა ჩანდა. გნომმა მოწნული გასაწევი კარი გააღო და მანიშნა, შემოდით. შიგნით უკუნი სიბნელე იდგა, და მე მივახვედრე, სინათლე აენტო და პირველი შესულიყო. მას არაფერი უპასუხია და წყვილიაღში გაუჩინარდა; მესმოდა, როგორ მიდიოდა ხელის ფათურით. მერე ორი ჯოხის ხახუნის ხმა მოისმა, და მალე ნაპერწკალი გამოკრთა. აი აინთო აქაურ მკვიდრთა სანათი, მე დავიხზარე და ქოხში შევაბიჯე.

ეს იყო უბადრუკი ქოხმაზი. მიწის იატაკზე ეყარა ოთხი ძველი ჭილოფი, ქოქოსის კაკლის ნაჭურჭები და ხაპები; მალა, სახურავის ჭურჭრუტანებში ეარსკვლავებს მოვკარი თვალი. რამდენიმე ალაგას ლერწამი ჩამოწოლილიყო და კონებად ეკიდა. ბოლოს მან ხელი დაავლო შავად შეღებილ პირმოტეხილ ხაპს; ერთ მხარეს დიდი ნახვრეტი ჰქონდა. ეტყობა, ჭურჭელში რაღაც იყო ჩაჩხირული; გნომმა დიდის ვაივაგლახით გამოაძვრინა ხვრელიდან მატროსის ძველი, ობმოკიდებული შარვალი, გულმოდკინედ გაფერთხა და მკითხა, ამაში რამდენ თამბაქოს მომცემო.

მე არაფერი მიპასუხია და გარეთ გამოვეარდი; ბერიკაცმა სოფლამდე მდია ყვირილით, მაგრამ გავასწარი და შინისაკენ გავეშურე, თან გადავწყვიტე არავისთვის შეამბა ეს უსახელო თავგადასავალი.

დილით ამხანაგი მეხვეწებოდა — მომეთხრო, თუ რა გადამხდა წუხელ, მაგრამ ამაოდ. საიდუმლო არ გამიმხელია.

თუმცა, ამ შემთხვევამ დიდი სამსახური გამიწია; რაც ტამაში ვიყავი, მეძველმანეს აღარ შეუწუხებია; იგი არ შორდებოდა ექიმს, რომელიც ამაოდ ევედრებოდა ზენაარს როგორმე ეხსნა მისგან.

თ ა ვ ი 65

„პ ი ჯ რ ა“

— ყური მიგდეთ, ექიმო, — წამოვიძახე გნომთან შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ერთ დილას სახლის პატრონის შინ არყოფნის დროს ჭილოფებზე ვისხედით და ლერწმის ჩიბუხებს ვაბოლებდით — ტამაი მშვენიერი აღვილია; მოლით აქ დაესახლდეთ.

— კაი დაგემართოს, კარგი აზრი ეგ იყოს, პოლ! მაგრამ როგორ გგონიათ, აქ დარჩენის ნებას მოგვცემენ?

— რა თქმა უნდა; ისინი ბედნიერები იქნებიან, როცა გვერდით ორი „კარპოური“ ეყოლებათ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალი ხარ, ძმაო! ხა! ხა! მე ბანანის ფოთლის ფირნიშს გამოვაკრავ; ღონღონელი ექიმი. — წავიკითხავ ლექციებს პოლინეზიის სიძველეთა შესახებ. — ვასწავლი ინგლისურ ენას ხუთ გაკვეთილად; თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა იქნება ერთი საათი. — დავდგამ ტაპის დასამზადებელ მექანიკურ დაზგებს. — შუა სოფელში გავაშენებ საზოგადოებრივ პარკს. — დავაწესებ დღესასწაულებს კაპიტან კუკის პატივსაცემად!

— ყველაფერს ერთად ნუ იზამთ, ექიმო, შეჩერდით და ცოტა სუელი მოითქვით, — შევნიშნე მე.

¹ არაბული სიტყვაა, „გაქციევა“ ნიშნავს. მუჰამედის მექიდან შედინაში გაქცივის დღე (622 წლის 16 ივნისი) მუსულმანების წელთაღრიცხვის დასაწყისადა მიჩნეული.

ექიმის გეგმები უთუოდ ფანტასტიკური იყო. მაგრამ ჩვენ სერიოზულად ვფიქრობდით, რომ განუსაზღვრელი დროით დაკრ-ჩენილიყავით ველზე. მივიღეთ რა ასეთი გადაწყვეტილება, ათასნაირ გეგმებს ვაწყობდით, რომ რაც შეიძლება მზიარულად გაგვეტარებინა დრო, მაგრამ უეცრად რამდენიმე ქალი შემოვარ-და სახლში; სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ და გვეხვეწებოდნენ: „ჰერი! ჰერი!“ (გაქცევა) და რაღაცას ყვიროდნენ „მიკონარებზე“.

ჩვენ ვიფიქრეთ, რომ მაწანწალობასთან ბრძოლის შესახებ არსებული კანონის საფუძველზე დაპატიმრება გველოდა, და თავკუდმოგლეჯილი გამოვცვივდით გარეთ, ტბის პირას, ზედ კართან მდგარ პირაგუაში ჩავხტით და რაც ძალი და ღონე გვექონდა მოუხსვით გაღმა ნაპირისაკენ.

რარტუს სახლს უახლოვდებოდა დიდი ბრბო, რომელშიც გავარჩიეთ რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრი. ისინი სანახევ-როდ ევროპულად იყვნენ გამოწყობილი და, უეჭველია, ტაპაის მცხოვრებთ არ ეკუთვნოდნენ.

ჩვენ ტყეს შევაფარეთ თავი და ბედს ვუმაღლოდით, რომ ამ უკანასკნელ წუთებში გადავურჩით დაჭერასა და მცველების თანხლებით სანაპიროზე დაბრუნებას, რაც გამოიწვია ეჭვმა, რომ ჩვენ გემიდან ვიყავით გამოქცეული. ასეთი იყო — ყოველ შემთხვევაში ჩვენი აზრით — ის ხიფათი, რომელსაც თავი დაუდ-წიეთ.

სოფლიდან გაქცეულებს ფიქრიც კი არ შეგვეძლო იმაზე, რომ ერთხანს ახლომანლო გვეხეტილა, მერე კი დავბრუნებუ-ლიყავით; ასეთი მოქმედებით კვლავ საფრთხეში შეიძლებოდა ჩაგვეგდო ჩვენი თავისუფლება. ამიტომ გადავწყვიტეთ მარტა-ირზე დავბრუნებულიყავით, გზას გაუღდექით და შეღამეებისას მივალწიეთ პლანტატორების სახლს. ისინი გულთბილად შეგვხ-ვდნენ და გულუხვადაც გაგვიმასპინძლდნენ; გვიანობამდე ვისა-უბრეთ.

ახლა ტალუში გასამგზავრებლად დავიწყეთ მზადება. ტალუ აქედან ახლოს იყო; მაგრამ ჩვენ გვინდოდა კარგად გავცნობო-დით კუნძულს და ამიტომ ვამჯობინეთ ჯერ მარტიარს დავბრუ-ნებულიყავით, შემდეგ კი ნაპირს გავყოლოდით და ისე შემოგვევ-ლო კუნძულისათვის.

ტალუ, ეიმეოს ერთადერთი ნავსაყუდელი, რომელსაც გემე-ბი ადგებიან, მდებარეობს კუნძულის დასავლეთ მხარეს, თითქ-

მის მარტაირის პირდაპირ. ყურის ერთ ნაპირას არის სოფელი პარტუვაი, სადაც მისია იმყოფება. მეზობლად გადაშლილია შაქრის ლერწმის პლანტაცია (აღბათ ყველაზე საუკეთესო სამხრეთის ზღვებში), რომელიც ერთ სიდნეელს ეკუთვნის.

პომარეს მეუღლის მამული, ყოველმხრივ განსაცვიფრებელი კუთხე, პარტუვაი წინათ სამეფო კარის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. მაგრამ ამჟამად სამეფო კარის მუდმივ სამყოფელს წარმოადგენდა, რადგან დედოფალი ტაიტიდან აქეთ გამოიქცა.

პარტუვაი, როგორც წინასწარ გვითხრეს, ვერ შეეღრებოდა პაპეეტეს. გემები იშვიათად შემოდისდნენ, ხოლო ნაპირზე ძალიან ცოტა უცხოელი ცხოვრობდა. თუმცა ჩვენ გვაცნობეს, რომ ახლა ნავსადგურში ღუზა ჰქონდა ჩაშვებული ერთ ვეშაპსანადირო გემს, რომელიც შეშას და წყალს იმარაგებდა და, როგორც ამბობდნენ, მატროსები ესაჭიროებოდა.

გავითვალისწინე რა ეს გარემოებანი, იმ დასკვნამდე მივედი რომ ტალუ „მდიდარ შესაძლებლობებს“ გვპირდებოდა თავგადასავალთა ისეთ მოყვარულებს, როგორიც ვიყავით მე და ექიმი. გარდა იმისა, რომ ჩვენ გაურჯელად შეგვეძლო ვეშაპსანადირო გემით გავსულიყავით ზღვაში ანდა დღიურ მუშებად მოწყობილიყავით შაქრის ლერწმის პლანტაციაში, იმის იმედიც გვქონდა, რომ მის უდიდებულესობასთან რაიმე საპატიო და ხელსაყრელ თანამდებობას დავიკავებდით.

ეს მარტოოდენ დონკიხოტური ოცნება როდი იყო. მრავალი პოლინეზიელი მბრძანებლის ამაღლაში ხშირად გვხვდებიან თეთრკანიანი მაწანწალები; ისინი ხელმწიფურ სასმელ-საჭმელს მიირთმევენ, ტროპიკულ მზეზე თბებიან და საამურად ცხოვრობენ. კუნძულებზე, რომლებსაც იშვიათად ეწვევიან ხოლმე უცხოელები, პირველად დასახლებული მატროსი მთავარი ბელადის ან მეფის ოჯახის წევრი ხდება. იგი ხშირად ითავსებს მრავალ თანამდებობას, რომლებსაც ადრე ცალკეული პირები ასრულებდნენ. ასე, მაგალითად, როგორც ისტორიოგრაფი იგი აცნობს ადგილობრივ მკვიდრთ შორეულ ქვეყნებს; როგორც სხვადასხვა ხელოვნებასა და მეცნიერებას დაუფლებული ასწავლის მათ დასაკეცი დანის ხმარებას და რკინის საღტის შუბის წვერად გადაქცევის ყველაზე საუკეთესო ხერხს; როგორც მისი უდიდებულესობის თარჯიმანი აადვილებს უცხოელებთან ურთიერთობას, გარდა ამისა, ასწავლის ხალხს ყველაზე უფრო გავრცელებ-

ბულ გამოთქმებს — როგორც წესიერს, ისე უწმაწურს, მაგრამ ხშირად — უკანასკნელს.

ეს ადამიანები ანგარიშიან ქორწინებას ეტანებიან და ხშირად — ჰანამანუს ყურეში მცხოვრები ჰარდისა არ იყოს — მეფური სისხლის პრინციებს უკავშირებენ თავიანთ ბედს.

ზოგჯერ ისინი მეფის პირადი ადიუტანტის მოვალეობას ასრულებენ. ამბოიზე, ტონგის ერთ-ერთ კუნძულზე, უელსელი მაწანწალა, ღვინის მწლე, მისი კანიბალური უდიდებულესობის წინაშეა მუხლმოყრილი. იგი „არვის“ სადილო ულუფას უმზადებს და მუსლებზე დაჩოქილი მთავრთმევეს ქოქოსის კაკლის მდიდრულად მოჩუქურთმებული ფიალით. იმავე ჯგუფის სხვა კუნძულზე, რომელზედაც ჩვეულებრივ ძალიან ბევრს ზრუნავენ ვარცხნილობაზე, რაღაცნაირად ივარცხნიან და ჭერის ჩამოსაწმენდი ჯაგრისის მსგავსად იყენებენ თმას, სამხედრო გემის მოხუცი მატროსი დალაქად მსახურობს მეფესთან. მის უდიდებულესობას ცოტა არ იყოს სიფაქიზე აკლია და გაბურძენილი თმა ძალიან მჭიდროდ აქვს დასახლებული. ამიტომ ჯეკს, როცა მასზე მინდობილი თავის ვარცხნით არ არის დაკავებული, ხელში წინდის ჩხირის მსგავსი რაღაც უჭირავს და იმით ფხანს თავს. სანდვიჩის კუნძულებზეც კი მეფე კამეამეას გასართობად გზად შემოვლილი ვიგინდარების მთელ კომპანიას ინახავენ.

ბილი ლუნი, მხიარული პატარა ზანგი, გამწვანებული ბრინჯაოს დილებითა და გაცვეთილი სირმით გაწყობილ ჭუჭყიან ცისფერ ქურთუკში რომ გამოპრანჭულა, მეფის მედოლისა და დაირის დამკვრელის მოვალეობას ასრულებს. ჯოხისფეხა პორტუგალიელი, რომელმაც ვეშაპზე ნადირობისას დაკარგა ფეხი, მევიოლინედ მსახურობს; ხოლო დრუნჩა, როგორც მას ეძახიან, საშინელი უქნარა, აქეთ-იქით დასეირნობს, გულის ჯიბით ბილბოკებს დაატარებს და ათასნაირი ოინებით ართობს მეფესა და დიდებულებს. ეს ზარმაცი არამზადები გარკვეულ ხელფასს არ ღებულობენ და მთლიანად ბატონის შემთხვევით ხელგაშლილობაზე არიან დამოკიდებული. დროადრო ნისიად ქეიფობენ ჰონოლულუს საცეკვაო დარბაზებში, ხოლო შემდეგ სახელგანთქმული კამეამეა III ისტუმრებს მათ ვალებს.

რამდენიმე წლის წინათ კინალამ აუქციონისტიც შეემატა მის უდიდებულესობას. იგი უთუოდ პირველი წარმომადგენელი იყო ამ პროფესიისა, რომელსაც მოაფიქრდა სანდვიჩის კუნძუ-

ლებზე გამოეყენებინა იგი. გასაყიდ საქონელზე ფასების თანდა-
თანობით მომატების თამაშით განცვიფრებული მეფე აუქციონ-
ების ერთ-ერთი მუდმივი სტუმარი გახდა. ბოლოს და ბოლოს
მეფემ ხვეწნა დაუწყო მარჯვე საქმოსანს, ყველაფერი მიეტო-
ვებინა და მასთან სამუშაოდ გადასულიყო, თან ბრწყინვალე
პირობები აღუთქვა. მაგრამ აუქციონისტმა უარი უთხრა, და
სპილოს ძელის ჩაქუჩს წილად არ ხვდა ბედნიერება, რომ ხა-
ვერდის ბალიშზე დადებული მიერთმიათ პატრონისათვის, როცა
შემდეგ მეფის კურთხევის ჟამი დაჰკრავდა.

მაგრამ მოხეტიალე მსახიობებად ან გაურკვეველი მოვალე-
ობის ლაქიებად როდი ვაპირებდით მე და ექიმი უახლოეს ხანში
ტაიტიის დედოფლის კარზე მოხვედრას. პირიქით, როგორც აღ-
რე მოვიხსენიე, ვიმედოვნებდით, რომ ცივილური ფურცლის
მიხედვით გაღებულ იქნებოდა პურას ხის ნაყოფისა და ქოქო-
სის კაკლის დამატებითი ხარჯები, რათა მისი უდიდებულესო-
ბის ნებართვით რომელიმე საპატოო თანამდებობა დაგვეკავებინა.

ჩვენ ყური გვქონდა მოკრული, რომ დედოფალი ისწრაფო-
და საფრანგეთის უზურპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად
თავის გარშემო გაეერთიანებინა რაც შეიძლება მეტი უცხოელი.
მისი მიდრეკილება ინგლისელებისა და ამერიკელებისადმი
კარგად იყო ცნობილი, და ეს უფრო მეტ საფუძველს გვაძლევ-
და, რომ სასიკეთო შეხვედრის იმედი გვქონოდა. უფრო მეტიც,
ზიკმა გვიამბო, თითქოს მეფის მრჩეველები პარტუვაიში სერი-
ოზულად ფიქრობდნენ ომი დაეწყოთ პაპეტიში დამკვიდრებული
დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს რომ მართალი გამომდგარიყო,
როგორც ჩვენი ოპტიმიზმი გვიკარნახებდა, ექიმი ქირურგი
გახდებოდა, მე კა ლეიტენანტი.

ასეთი იყო ჩვენი პერსპექტივები და იმედები, როცა ტალუ-
საკენ გამგზავრებას ვაპირებდით, მაგრამ ასე დიდ მისწრაფე-
ბებთან ერთად არც იმ წერილმანებს ვივიწყებდით, რომლებიც
ჩვენს დაწინაურებას შეუწყობდნენ ხელს. ერთხელ ექიმმა მიაამ-
ბო, რომ მშვენივრად უკრავდა ვიოლინოზე. მე შევთავაზე,
როგორც კი პარტუვაიში ჩავალთ, ეგებ ვინმეს საკრავი გამო-
ართვა-მეთქი; თუ ვერ იშოვიდა, როგორმე თვითონ უნდა გაე-
კეთებინა და ვიოლინოთი ხელში გამოცხადებულიყო მეფის
კარზე და დედოფლისათვის აუდიენცია ეთხოვა. საყოველთაოდ
იყო ცნობილი, თუ როგორ იტაცებდა დედოფალს მუსიკა, და

სწორედ ეს უზრუნველყოფდა დაუყოვნებლივ მიღებას; ამგვარად მივალწევდით იმას, რომ იგი ყველაზე ხელსაყრელ ვითარებაში მოგვაპყრობდა ყურადღებას.

— ვინ იცის, — თქვა ჩემმა მზიარულმა ამხანაგმა, თავი უკან გადასწია, თითქოს რაღაც მელოდიას ასრულებსო, და ხელი ხელს გაუსვ-გამოუსვა, — ვინ იცის, ეგებ ჩემი ვიოლინოთი მისი უდიდებულესობის წყალობა დავიმსახურო და ტაიტის დედოფლის რიციო¹ გავხდე.

თ ა ზ 0 66

როგორ ვვიპრობდით ტალუმიდ მიღწევას

ტამაიდან ჩვენი რამდენადმე ნაადრევად წამოსვლის უსახელო გარემოებანი მომავლისადმი ათასგვარი შიშით გვივსებდნენ გულს მე და შორსმჭვრეტელ ექიმს.

ჩვენს საქმეში ადგილობრივ მკვიდრთა თავხედური ჩარევის საფრთხისაგან ზიკი გვიცავდა. მაგრამ კუნძულზე მარტოდმართო ხეტიალისას ხიფათი გველოდა: როგორც ლტოლვილებს შეგვიპყრობდნენ და ტაიტზე დაგვაბრუნებდნენ. გასამრჯელო, რომელსაც ჰპირდებოდნენ ადგილობრივ მკვიდრებს გემებიდან გამოქცეული მატროსების დაჭერისათვის, ზოგიერთ მათგანს აქეზებდა ეჭვის თვალით ეცქირა ყველა უცხოელისათვის.

ამიტომ სასურველი იყო პასპორტი გვექონოდა, მაგრამ ამნაირი რამის შესახებ ეიმეოზე არაფერი გაგვევონა. ბოლოს და ბოლოს ახმან სულს ასეთი ფიქრი მოუვიდა თავში: რადგან ჩვენს იანკის მთელ კუნძულზე იცნობდნენ და აფასებდნენ, მისგან როგორმე უნდა მიგველო რაიმე დოკუმენტი; რომელიც არა მარტო იმას დაადასტურებდა, რომ მასთან ვმუშაობდით, არამედ იმასაც, რომ ჩვენ არც ყაჩაღები ვიყავით, არც ბავშვების გამტაცებლები და არც ლტოლვილი მატროსები. ასეთი მოწმობა, თუნდაც ინგლისურად ყოფილიყო დაწერილი, ცხოვრების ყოველგვარ პირობებში გამოგვადგებოდა, რადგან წერა-კითხვის უცოდინარი ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებიც მოწინააღმდეგეობით

¹ დავიდ რიციო (1540—1566) — იტალიელი მუსიკოსი, დედოფალ მარია სტიუარტის ფაფორიტი.

ეპყრობოდნენ ყოველგვარ საბუთს, ვერ გაბედავდნენ უსიამოვნება მოეყენებინათ ჩვენთვის, სანამ მის შინაარსს არ გაეცნობოდნენ. რაც არ უნდა ცუდად წაგვსვლოდა საქმე, ჩვენ შეეძლებდით დახმარება გვეთხოვა უახლოესი მისიისათვის, იქ კი კუნძულელებს ყველაფერს განუმარტავდნენ.

როცა ზიკს საქმის არსი გავაცანიტ, ეტყობა, ძალიან ესიამოვნა ის შეხედულება, რომელიც შეგვექმნა ეიმეოზე მისი რეპუტაციის შესახებ, და აღგვიტქვა, რომ სამსახურს გავვიწვედა. ექიმმა მაშინვე შესთავაზა შავად შეედგინა საბუთი, მაგრამ ზიკი არ დაეთანხმა და უთხრა, მე თვითონ დავწერო. იგი მამლის ფრთით, სქელი ქაღალდითა და სიმამაცით აღიჭურვა და მუშაობას შეუდგა. აშკარად ეტყობოდა, რომ შეჩვეული არ იყო თხზვას, რადგან მისი თხზულება ისეთი ტანჯვა-წამებით იბადებოდა, რომ ექიმმა უკვე დაიწყო ფიქრი, რათა საკუთრო გაკვეთის მსგავსი რაღაც მოეხდინა.

ბოლოს ძვირფასი საბუთი მზად იყო. მერედა, რა საოცარი რამ გამოდგა! ძალიან სასეირო იყო იანკის განმარტება, თუ რატომ არ დასვა ქაღალდში თარიღები.

— აქ ისეთი წყეული ჰავაა, — შენიშნა მან, — რომ კაცი ვერ გაიგებს რა თვია, რადგან წელიწადის დროები ერთმანეთისაგან არ განირჩევა; ზამთარი და ზაფხული ერთმანეთს ჰკავს. ისეთი აუტანელი სიცხეა, რომ ყოველთვის ივლისი გეგონება.

საბუთი რომ ჩავიგდეთ ხელში, ახლა იმაზე დავიწყეთ ფიქრი, თუ როგორ მიგვეღწია ტალუმდე.

კუნძული ეიმეო თითქმის მთლიანად გარშემორტყმულია მარჯნის რიფებით, რომლებიც დაახლოებით ერთ მილზე მეტით არ იქნებიან დაშორებული ნაპირიდან და ნამდვილ ტალღის ძკვეთებს წარმოადგენენ. წყნარი შიდა არზი მიმოსვლის საუკეთესო საშუალებაა დაბებს შორის, რომლებიც ზღვის პირას მდებარეობენ, ტამაის გარდა. ეიმეოს მცხოვრებნი ისეთი ზარმაცები არიან, რომ უყოყმანოდ გაცურავენ პირაგუით კუნძულის ირგვლივ ოც-ოცდაათ მილს, რათა მიაღწიონ იმ ადგილს, რომელიც ხმელეთით ოთხჯერ უფრო ახლოა. თუმცა, როგორც მოვიხსენიეთ, ამაში გარკვეულ როლს ასრულებს აგრეთვე ხარების შიში.

ზღვით მოგზაურობა ძალიან დავიჯდა ჭკუაში, და ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყეთ გამოკითხვა, ხომ არ შეიძლებოდა,

ვინმესაგან პირაგუა გვენათხოვრებინა. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვარდა იმისა, რომ ქირას ვერ გადავიხდიდით, არც ნავის დროებით შოვნის იმედი შეიძლებოდა გექონოდა, რადგან მისი გულკეთილი პატრონი ფეხით უნდა გამოჰყოლოდა ნაპირს, თორემ სხვაგვარად უკან ვერ დაიბრუნებდა თავის საკუთრებას, როცა ის საჭირო აღარ იქნებოდა ჩვენთვის.

ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ მოგზაურობა ფეხით დაგვეწყო იმ იმედით, რომ გზაში წამოგვეწყოდა პირაგუა, რომელიც დანიშნულ ალაგას მიგვიყვანდა.

პლანტატორებისა არ იყოს, გაკვალული გზის იმედი კი არ უნდა გექონოდა, არამედ ნაპირის გასწვრივ უნდა გვევლო და არამც და არამც არ დაეშორებოდით მას, რაც არ უნდა თვალწარმტაცი ადგილი შეგვხვედროდა ქვეყნის შიგნით. ერთი სიტყვით, ყველაზე გრძელი წრიული გზა უმოკლესი მანძილი იყო ტალუმდე. ნაპირის გასწვრივ ერთმანეთისაგან მოშორებით იყო პატარ-პატარა სოფლები, აქა-იქ მეთევზეთა ცალკეული ქობმაზებიც მოჩანდა. ყველგან შეგვეძლო რამდენიც გვინდოდა, იმდენი საჭმელი გვეშოვნა, ასე რომ, სურსათ-სანოვაგის მარაგის ტარება არ მოგვიწევდა.

საღამოსვე დავემშვიდობეთ გულითად მასპინძლებს, რათა დილით მზის ამოსვლამდე გავდგომოდით გზას, როცა ყველაზე უფრო გრილოდა, შემდეგ ნაპირისაკენ გავემართეთ, იქ ჩაუშვით ჩვენი მოცურავე საწოლი და გათენებამდე უშფოთველად გვეძინა.

თ ა 3 0 6 7

მოგზაურობა ნაპირის გასწვრივ

„პიჯრის“, ანუ ტამიდან გაქცევის პირველი თვის მეოთხედზე დღე იყო (ახლა ასე ვითვლიდით დროს), როცა დილაადრეაან ავდექით და, სანამ მეთევზეები აფუსფუსდებოდნენ, მანამდე დავტოვეთ მარტაირის ველი.

რიჟრაჟი იყო. ტაიტის მთების მწვერვალებით გამსჭვალული მეწამული ღრუბლებიდან იჭვრიტებოდა დილა. ზანტად დგებოდა ტროპიკული აისი. დროდადრო აენთებოდა, მოვარდისფრო და რუხი ფერების ნათელ ქობას შემოავლებდა ღრუბ-

ლებს, მერე კი ისევ ქრებოდა. მაგრამ აი გამოჩნდა ფაქიზი მკრთალი სხივები, თანდათან გაკაშკაშდა და ბოლოს პორიზონტიდან ამოიწვერა ოქროსფერი ბურთი, სხივთა კონები მიმოაბნია, სულ უფრო მაღლა ატყორცნა და მთელ ცის თაღს მოჰფინა.

ზანტად დაბერა ტაიტის ჭალების სურნელით გაჟღენთილმა ნიაჟმა და თან ზღვის სიგრილევ წამოიყოლა; საამოდ ეფლობოდა ფეხი ნაპირის სველ ქვიშაში, რომელიც თითქოს ახლახან მიეტოვებინათ ტალღებს.

ექიმი შესანიშნავ გუნებაზე იყო. „რურა“ გაიხადა და თქაფათქუფით შევიდა წყალში. რამდენიმე იარღი გაცურა, კვლავ ნაპირზე გამოვიდა და დაიწყო ათასნაირი ოინების კეთება, თან არასოდეს ავიწყდებოდა, რომ იქით გადმომხტარიყო, საითაც ჩვენ მივიდიოდით.

რაც არ უნდა ილაპარაკონ დიდებულ დამოუკიდებლობაზე, რომელსაც განიცდის უნაგირზე მჯდომი კაცი, მე მაინც შენს სიამოვნებას ვამჯობინებ, აღრიან დილით მიმავალ მხიარულ ქვეითო მგზავრო!

გამხნეებულებმა განუაგრძეთ გზა. ისე ლაღად და უზრუნველად ვგრძნობდით თავს, როგორც არასდროს.

აქ კი არ შემძლია თავა შევიკავო და ხოტბა არ შევასხა იმ სასწაულებრივ შესაძლებლობებს, რომლებსაც სთავაზობს ტროპიკული ქვეყნების უმრავლესობა არა მარტო ჩვენისთანა მაწანწალებს, არამედ ყველა ღარიბ-ღატაკ ადამიანს. ამ თბილ ქვეყნებში დარჩენილი მოთხოვნილებანი, ბუნებრივია, მცირდება, ხოლო რაც რჩება, ადვილი დასაკმაყოფილებელია; უსათბობოდ, უბინაოდ, თუ გნებავთ, ტანის შეუმოსავადაც შეიძლება გაძლოს კაცმა.

სულ სხვაა ჩვენი მკაცრი ჩრდილოეთის განედები! კირჩხიბის ტროპიკიდან ოცი გრადუსის ჩრდილოეთით ღარიბი კაცი ჭკუშმარიტად უბედურია.

რამდენიმე ხნის შემდეგ სანაპირო ზოლი დავიწროვდა და ერთ იარღსაც აღარ აღემატებოდა, ხოლო ხშირა ბუჩქები თითქმის ზღვამდე ჩადიოდნენ. ამასთანავე წმინდა ქვიშის ნაცვლად მარჯნის წვეტიანი ნამსხვრევები გამოჩნდა, და მათზე სიარული ძალზე არასასიამოვნო იყო.

— ვაიმე, ფეხი! — შეჰყვირა ექიმმა, ხელი იტაცა და გასასინჯად მალლა ასწია.

წვეტიანი ნამსხვრევი ძირგამოხეულ ფეხსაცმელში შემძვრალიყო და ხორცში შესობოდა. ჩემი სანდლები ხომ უარეს მღვთმარობაში იყო, — მის ძირებზე ნამარხთა მსგავსად აღბეჭდებოდა ყველაფერი, რასაც ვაბიჯებდი. მოსახვევი რომ გავიარეთ, მშვენიერ ტრიალ მინდორზე გავედით; შორს ბორცვზე, რომლის კალთა ზღვისკენ ეშვებოდა, მეთევზის ქოხი იდგა.

ქოხი დაბალი და უხეშად ნაგები აღმოჩნდა; ეტყობა, ახლანახან დაეღათ, რადგან ბამბუკი ჯერ კიდევ ბალახივით მწვანე იყო, ხოლო ლერწამი მდელოს თივასავით ნორჩი და სურნელოვანი. სამი მხრიდან ქოხს კედელი არ ჰქონდა, და ახლოს რომ მივედით, რაც შიგ იყო, ყველაფერი დავინახეთ. ქოხში ჩამიჩუმი არ ისმოდა; არც არაფერი იყო შიგ, გარდა კუნძულელების ნახელავი ძველი სკივრისა, რამდენიმე ხაპისა, ტაპის ხვეულებისა, რომლებიც ბოძზე ეკიდა, და ბნელ კუნჭულში აჩხორილი რაღაც გროვისა. გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ ექიმმა შეამჩნია, რომ ეს იყო მოყვარული ცოლ-ქმარი, რომლებიც ერთმანეთს ჩახუტებოდნენ და თავზე ტაპის მოსასხამი წაეხურათ.

— ალო! ღერბი! — შესძახა მან და წვერებიან არსებას ფეხში მოჰქაჩა.

მაგრამ ღერბიმ ყური არ ათხოვა, თუმცა ჯოანი¹, დამჭკნარი დედაბერი, შეშინებული წამოხტა და ხმამალლა აყვირდა, რადგან არც ერთ ჩვენგანს არ უცდია ხმა ჩაეწყვეტინებინა მისთვის, იგი მალე დამშვიდდა; უცებ სახეში შემოგვაშტერდა და რამდენიმე უაზრო კითხვა დაგვისვა, მერე კი მძინარე ქმარს მოჰქაჩა და გაღვიძება დაუწყო.

რა მოუვიდა კაცს, ვერ გავიგეთ, გაღვიძებით კი ვერა და ვერ გაიღვიძა. არც მუჯღუგუნებმა გაჭრა, არც ჩქმეტამ, არც ძვირფასი ცოლის სხვა აღერსმა; იგი გულაღმა ეგდო და კავალერისტთა ბუკივით ახშიანებდა ცხვირს.

— კეთილო ქალო, — უთხრა ახმახმა სულმა, — აბა ერთი მე

¹ ღერბი და ჯოანი — მოყვარული ცოლ-ქმარი პენრი ვუდფოლის ბალადიდან „ბედნიერი მოხუცი ცოლ-ქმარი“.

ვცდი, — პაციენტს ცხვირში ხელი სტაცა, ერთი მაგრად მოქაჩა, წამოაჯინა და ასეთ მღვობარეობაში ჰყავდა, სანამ თვალს გაახელდა. დერბიმ გამოთაყვანებულვით მიიხედ-მოიხედა, მერე ფეხზე წამოხტა, კუთხეში მიიკუნჭა და იქიდან დაგვიწყო მოკრძალებით თვალიერება.

— ნება მომეცით, ძვირფასო დერბი, წარმოგიდგინოთ ჩემი პატივცემული მეგობარი და ამხანაგი პოლი, — უთხრა ექიმმა, თან წარმოუდგენელი მანჭვა-გრეხით ტრიალებდა ჩემს გარშემო.

დერბი თანდათან გონს მოვიდა, რამდენიმე ინგლისურა სიტყვა წარმოთქვა და ამით ცოტა არ იყოს გაგვაოცა. რამდენადაც გავიგე, იმის თქმა უნდოდა, რომ დიდი ხანია იცოდა ორი „კარპოურის“ მეზობლობის ამბავი, რომ ჩვენი ნახვა გაუხარდა და წამსვე მოგვართმევდა სასმელ-საჭმელს.

მალე გამოირკვა, თუ საიდან იცოდა ინგლისური ენა. მას რამდენიმე ხანს ეცხოვრა პაპეეტეში, სადაც კუნძულელები ლაპარაკში გამოურევენ ხოლმე კლასიკურ მატროსულ გამოთქმებს. ეტყობა, ბერიკაცი თავს იწონებდა იმით, რომ ტაიტიზე იყო ნამყოფა, და ამას ისევე მრავლისმეტყველად იგონებდა, როგორც პროვინციელი ჰყვება, თუ როგორ ცხოვრობდა ერთ დროს დედაქალაქში. დერბი ალბათ კარგა ხანს ილაქლაქებდა, მაგრამ ძალიან გეშიოდა და ვთხოვეთ რაც შეიძლება სწრაფად მოემზადებინა საუბრე, თან დავპირდით, რომ მერე მოვუსმენდით. ნამდკლად თავშესაქცევი იყო ის უჩვეულო ძველებური სინაზე, რომლითაც ეპყრობოდნენ ერთმანეთს მოხუცი კუნძულელები, რომლებიც ხაპებით ხელში დაფუსფუსებდნენ. უეჭველია, მათ ბაგეებს არ შორდებოდა სიტყვები: „ჰო, ჩემო საყვარელო“, „არა, ჩემო სიცოცხლე“, — როგორც ახალდაქორწინებულებმა იციან.

გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ, და სანამ ამა თუ იმ კერძის ქებაში ვიყავით, მოხუცები სულ იმას გვეუბნებოდნენ, რომ ამ მზრუნველობისათვის გასამრჯელოს არ მოითხოვდნენ. უფრო მეტი, ჩვენ შეგვეძლო რამდენ ხანსაც გვინდოდა დავრჩენილიყავით და მთელი იქ ყოფნის მანძილზე ეს სახლი და ქონება მათ კი არა, ჩვენ გვეკუთვნოდა; და კიდევ უფრო მეტი, თვითონაც ჩვენი მონები იყვნენ, თანაც მოხუცი ქალბატონი ყოველგვარი სამსახურისათვის მზად იყო. აი როგორია ტაიტელთა სტუმართმოყვარეობა! სტუმრის კეთილდღეობისთვის საკუთარი კერძის ქვანჯირებიც დებენ თავს.

უსაზღვროა პოლინეზიელთა სტუმართმოყვარეობა. ვააუ-
რარის, ტაიტის ყველაზე უფრო დასავლეთი ნაწილის მკვიდრა
პარტუვიაში, ეიმეოს უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეში რომ
მოხვდება, სრულიად უცხოც რომ იყოს, მცხოვრებნი ყოველი
მხრიდან ესალმებიან, კარის ზღურბლზე მდგარნი სახლში ეპა-
ტიყებიან. მაგრამ მგზავრი ჩაივლის, ყურადღებით ათვალიერებს
ქოხებს და მხოლოდ იმასთან შეჩერდება, რომელიც მოეწო-
ნება; „აჰ, ენა მაიტაი!“ (მგონი, ეს მირჩენია) — შესძახებს,
შინაურულად შევა ქოხში და ჭილოფზე წამოწვება; სავსებით
შესაძლებელია კაი ნორჩი ქოქოსის კაკალი და შებრაწული
პურის ხის ნაყოფიც მოითხოვოს.

უცნაურია, მაგრამ, თუ შემდგომ გამოირკვა, რომ ამ გაში-
ნაურებულ უცხოელს სამშობლოში საკუთარი სახლი არ გააჩ-
ნია, მას დიდი ხვეწნა-მუდარა დასჭირდება ღამის გასათევას
გამოსათხოვნად. „კარპორი“; ანუ თეთრკანიანი, გამონაკლისს
წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ზუსტად იგივე ხდება, რასაც
ეხვდებით ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც სახლ-კარისა და
ადგილმამულის პატრონ კაცს ნაცნობები თავს აბეზრებენ გაუ-
თავებელი პატიჟით, მაშინ როცა ღარიბი ჯენტლმენები, სერ-
თუკის ნაკერებს მელნით რომ იღებავენ, ამნაირ დაპატიჟებაზე
სიხარულით ცას ეწევიან, მაგრამ ვინ პატიჟებს! ძველ ტაიტელ-
თა სასახლოდ უნდა შევნიშნო, რომ ეს ლაქა, რომელიც შავად
აჩნია სტუმართმოყვარეობით განთქმულ ამ ხალხს, დიდი ხნის
არაა, ძველ დროს კი ვერსად შეხვდებოდით. ასე მითხრა კაპი-
ტანმა ბობმა.

პოლინეზიაში „უდიდეს ბედნიერებად“ ითვლება, თუ ქორ-
წინებისას კაცი ისეთ ოჯახში შევა, რომელიც თემის უმრავლესობას
ენათესავეება (ღმერთია მოწამე, რომ ჩვენში სულაც არ
არის ასე საქმე).

ამის მიზეზი ისაა, რომ მოგზაურობისას უფრო მეტი ოჯახი
გაუწევს სამსახურს.

მოხუცმა ღერბიმ და ჯოანმა მშობლიური გრძნობით დაგვი-
ლოცეს გზა, და ჩვენც იქაურობა დავტოვეთ. გადავწყვიტეთ სად-
მე ახლოს გაფრებულებიყავით, რომელი ადგილიც მოგვეწო-
ნებოდა.

დიდხანს არ გვივლია. ნიჟარებით მოფენილ ნაპირზე გავი-
სეირნეთ და აი გავედით ფართო მდელოზე, სადაც აქა-იქ ხე-

ბი იყო აღმართული; მდელი ეკვროდა წყალს, ქობად შემოივლებულ შამხნარს რომ არხევდა. იქვე ახლოს პაწია ყურე იყო, მარჯნის რიფები იფარავდა; იქ ტალღებზე ირწოდა პირაგუების ფლოტილაა, ცოტა მოშორებით ბუნებრივ ტერასაზე, ზღვის მხარეს, ადგილობრივკვიდრთა რამდენიმე ქოხი იდგა, რომლებიც ახლახან დაეხურათ ლერწმით და, ფოთლებში ჩაფლულნი, ტალღეებს ჰგავდნენ.

ახლოს რომ მივედით, ხმამაღალი ლაპარაკი შემოგვესა. მალე გამოჩნდა სამი მხიარული ქალიშვილი; მათ დანახვაზე სიხალისის, სიმხნისა და სიყმაწვილის სიომ დაჰბერა თითქოს. სიმკვირცხლისა და ეშმაკობის განსახიერებანი იყვნენ. ერთ მათგანს ღია ფერის ჩითის კაბა ეცვა, გრძელი შავი თმა ორ დიდ ნაწნავად ეკიდა უკან და ბოლოში ვაზის მწვანე ცეცებით ჰქონდა შეკრული. ქალიშვილი ისე თავდაჯერებულად და კადნიერად იცქირებოდა, რომ ვიფიქრე, პაპეეტედან მოვიდოდამეთქი სოფლელი ნათესავეების სანახავად. მისი თანამგზავრები. ბამბის უბრალო ბალახონით იყვნენ მოსილი; თმები გასწეწოდათ. ეს სანდომიანი ქალიშვილები თავშეკავებული და დარცხენილნი ჩანდნენ, როგორც პროვინციელებს სჩვეიათ.

პატარა ეშმაკუნამ (პირველად რომ ვახსენე) ჩემთან მოიბინა, გულთბილად მომესალმა ტაიტურ ენაზე და ისე დამაყარა კითხვები, რომ პასუხის გაცემას კი არა, გაგებასაც ვერ ვასწრებდი. თუმცა ის კი უეჭველი იყო, რომ ლუქულუში, როგორც ის უწოდებდა სოფელს, გულითადად მიგვიღებდნენ. ამასობაში ექიმმა ახმახმა სულმა გალანტურად შესთავაზა ხელი დანარჩენ ორ ქალიშვილს; თავდაპირველად არ ესმოდათ, თუ რას მოელოდნენ მათგან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ერთ-ერთ ხუმრობად ჩათვალეს და შეიფერეს კიდევც.

ქალიშვილებმა დაუყოვნებლივ გვითხრეს თავ-თავისი სახელები, რომლებიც ფრიად რომანტიკული იყო და მე არ შემიმძლია თავი შევიკავო და აქ არ მოვიყვანო. ამრიგად, ჩემს მეგობარს ცალ მკლავზე ღამე ეკიდა, მეორეზე კი დილა, ანუ ფარნოვარი — დღისით შობილი — და ფარნოპუ — ღამით შობილი. ნაწნავეებიანს ძალიან შეჰფეროდა თავისი სახელი მარჰარ-რარარ — მღვიძარა, ანუ ნათელთვალება.

ქოხებიდან გამოვიდნენ დანარჩენი ბინადარნი — რამდენიმე ბერიკაცი, დედაბერი და ვიღაც მოზრდილი ბიჭები, რომლებიც

თვალეხს იფშენეტდნენ და ამთქნარებდნენ. ყველანი შემოგვეხვივნენ და დაგვიწყეს გამოკითხვა, თუ საიდან ვიყავით მოსული, ზიკის ნაცნობები ყოფილანო, რომ გაიგეს, სიხარულით ცას ეწიენ; ერთმა ექიმის ფეხსაცმელიც კი იცნო.

— კიკი (ზიკი) მაიტაი, — შესძახეს მათ, — ნუი, ნუი ჰანა ჰანა პორტარტო (ბევრ ბატატს აკეთებს).

ახლა მეგობრული კინკლაობა დაიწყო იმაზე, თუ ვის ხედებოდა წილად უცხოელის სტუმრობის პატივი. ბოლოს მაღალმა მოხუცმა ჯენტლმენმა მარჰარვაიმ, თავმოტვლეპილმა და ჭადარაწვერიანმა, ხელი ჩაგვეკიდა და თავის სახლში წაგვიყვანა. შევედით თუ არა სახლში, მარჰარვაიმ ჯოხით მიგვანიშნა იქაურობაზე და ისეთი პირფერობით დაგვიწყო თხოვნა, ჩემი სახლი თქვენად იგულებო, რომ ექიმმა ახმახმა სულმა შესთავაზა ახლავე შევესო ნაჩუქრობის ბარათი.

შუადღემ მოატანა. პურის ხის შემწვარი ნაყოფით რომ წაუისაუზმეთ, ჩაბუხი გავაბოლეთ და ვიმუსაიფეთ, მასპინძელმა გვიჩინა წამოვწოლილიყავით და კარგად დაგვესვენა. ჩვენ უარი არ გვითქვამს და სულ მალე კაი მაგარი ზვრინვა ამოვუშვით.

თ ა 3 0 6 8

ფვეულუბა ეივეოზე

მშენიერ მხიარულ შუადღეს სასადილოდ შეგვიყვანეს პალმის ფოთლების ფანჩატურში, რომელიც ყოველი მხრიდან მოღიავებული იყო და თანაც ისეთი დაბალი, რომ შესვლისას უნდა დავხრილიყავით.

მიწაზე ნორჩი გვიმრა ეფინა, რომელსაც „ნაპის“ ეძახიან. ფეხით რომ გაქეკავდით, სურნელებას აკმევდა. ერთ მხარეს წითლად შეღებილი ხის ტყავისაგან დამზადებული ნახჭიანი ყვითელი ჭილოყები იყო გაფენილი. ფეხმორთხმული ვისხედით და ამწვანებული ნაპირისა და თვალუწვდენელი წყნარი ოკეანის ლურჯი ზედაპირის ცქერით ვტკებობდით. ისე შორს გაგაყოლეთ თვალი კუნძულის ნაპირს, რომ ტაიტი უკვე აღარ ჩანდა.

ჩვენს წინ გვიმრაზე რამდენიმე ფენად ეგო „პურუს“ ფართო

სქელი ფოთლები. ზემოდან ახლახან დაკრეფილი ბანანის ძალი-
ან ფართო ფოთლები ეწყო, სიგრძით ორი იარდი მანც იქნე-
ბოდა. ფოთლები რომ არ აპრეხილიყო, ყუნწები მოეწყვიტ-
თ.

მწვანე სუფრის ერთ მხარეს ჩამოერიგებინათ „პურუს“
ფოთლები, რომლებიც თეფშების მაგიერობას სწევდა; ყოველ
მათგანს მოდგმული ჰქონდა ქოქოსის კაკლის ნაჭუჭის ფიალა,
რომელშიც ესხა ზღვის წყალი. იქვე იღო ტაიტური ფუნთუშა,
ანუ პურის ხის ცეცხლზე შებრაწული პატარა ნაყოფი. შუაგულ-
ში იდგა ბრტყელი ხაპი. იგი პირთამდე იყო სავსე დანამული
ფოთლების უამრავი პაკეტით, რომლებსაც ოხშივარი ასდიოდა.
ყოველ ფოთოლში შეხვეული იყო კულინარული ხელოვნების
ყველა წესის დაცვით მიწაში შემწვარი თევზი. ამ გემრაველი
მთის ორივე მხარეს მოჩუქურთმებული ხაპები იდგა. ერთი სავ-
სე იყო ოქროსფერი „პოით“ ანუ პუდინგით, რომელიც დაემზა-
დებინათ წითელი პიზანგისაგან¹, მთაში რომ იზრდება, მეორე —
ინდური თაღგამის ტკბილღვეზელით, რომელსაც როდინში ნა-
ყვენ, ქოქოსის კაკლის რძეში ზელენ და ისე აცხობენ. სამი
ხაპის ირგვლივ ბლომად ყყარა დარჩეული ნორჩი ქოქოსის კაკა-
ლი. ისინი სათითაოდ დაეხვრიტათ, ასე რომ, ყოველი ნაყოფი
შესასმელად გამზადებულ თასს წარმოადგენდა.

ერთ კუთხეში დამატებითი სუფრის მსგავს რალაცაზე
ეწყო პრიალა ქერქიანი საუცხოო ბანანები, მწიფე წთელი
„აი“, გუაეები, რომელთა სიფრიფანა კანში შინდისფერი გუ-
ლი გამოსჭვიოდა, თითქოს აღმური მოსდებიათო; იყო აგრეთვე
ფორთოხლები, რომლებსაც ალაგ-ალაგ მუქი ყავისფერი დასდე-
ბოდა, უშველებელი ნესეები, სითქვირისაგან რომ თამთაჰქბდა.
რამდენი რამაა! აღისფერები, მწიფეები და მრგვალები — ტრაი-
პიკული ნიადაგის ცხოველმყოფელი ძალა ჩქეფს მათში, ნიადა-
ვისა, რომელზედაც გაიზარდნენ!

— ხილთა ქვეყანა! — წამოიძახა აღტაცებულმა ექიმმა და
იგემა ნაყოფი, რომელიც განსაკუთრებით უყვართ სანგვინი-
კური ტემპერამენტის ჯენლტმენებს, სხვანაირად რომ ეთქვათ,
მისს დღისათ დაბადებულის მწიფე ალუბლისფერ ტუჩებს დაე-
კონა (აქამდე ქალიშვილი გვერდით იდგა და აკვირდებოდა, რა
ხდებოდა ირგვლივ).

¹ ბანანის ჯიში.

მარკარავიმ ადგილებზე დასხა სტუმრები, და წვეულება დაიწყო. მე გადავწყვიტე მადლობა გადამეხადა გულითადი მიღებისათვის, ავდექი და მცენარეული ღვინით, ანუ ქოქოსის რძით დავლიე მისი საღლეგრძელო. ჩვენი მასპინძელი მიხვდა, რომ მას სცეს პატივი, რომელიც მიღებულია თეთრკანიანებში, გამიღიმა და ხელის თავაზიანი დაქნევით მანიშნა დავმჯდარიყავი. არა მგონია ქვეყნად იყვნენ ადამიანები, რაოდენ კარგადაც არ უნდა იყვნენ აღზრდილი, რომლებსაც ისეთი ძალდაუტანებელი და დახვეწილი ქცევა ჰქონდეთ, როგორც ეიმეოს მცხოვრებთ აქვთ.

ეჭიმი, რომელიც მასპინძლის გვერდით იდგა, მისი საგანგებო ყურადღებით სარგებლობდა. მარკარავიმ ფოთოლში შეხვეული თევზი დაუდო სტუმარს, გაუხსნა და, მიირთვით და მიირთვითო, დაუწყო ხვეწნა. მაგრამ ჩემი ამხანაგი იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, რომელთაც მაინცდამაინც ბევრი პატივი არ უყვართ. მან შეჭამა აურაცხელი „პეპი ლი ლი“ (წვრილი თევზი), პურის ხის ორი ნაყოფი (როგორც თავისი, ისე მეზობლის ულუფა) და წვეულებაზე სიარულს დაჩვეული ადამიანის ძალდაუტანებლობით შეექცეოდა ყველა კერძს.

— პოლ,—მითხრა მან ბოლოს, — თქვენ, მგონი, გულმოდგინედ არ მუშაობთ; რატომ არ უნდა გასინჯოთ, მაგალითად, წიწკაის სოუსი? — და მაგალითის საჩვენებლად მან ზღვის წყალში ჩააწო ნაჭერი.

მე დავეუჯერე და ვნახე, რომ საკმაოდ პიკანტური რამ გამოვიდა, თუმცა ცოტა არ იყოს მემწარა,—მოკლედ შესანიშნავად ცვლის მარილს. ეიმეოს მცხოვრებნი ჭამისას მუდამ ხმარობენ ზღვის წყალს და ეგემრიელებათ კიდევ; თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მათ კუნძულს სოუსის მთელი ოკეანე აკრავს, ეს ფუფუნება დიდად საზარალოდ არ ჩაითვლება.

თევზი ჩინებული გამოდგა; მიწაში შემწვარს, თავისი წვენი შეენარჩუნებინა და ძალიან გემრიელი იყო. პიზანგის პუდინგმა გული მოგვიმსუყა. ინდური თალგამის ტკბილ ღვეზელს არა უშავდა, პურის ხის შემწვარი ნაყოფები კი მოხრაკული პურით ჩავახრამუნეთ.

სადილობისას კუნძულელი ბიჭი ბამბუკის გრძელი ჯოხით ხელში ჩამოუვლიდა ხოლმე სტუმრებს, წამდაუწუმ აკაკუნებდა სუფრაზე ჯოხს და ყოველი სტუმრის გვერდით რაღაც თეთრ

გუნდებს ყრიდა, რომლებიც გემითი ოდნავ წააგავდა ხაჭოს. ეს იყო „ლოუნი“, ქოქოსის რძესა და ზღვის წყალში გაქნილი მწიფე ქოქოსის კაკლის გულისაგან დამზადებული დიდებული საკმაზი; მიღებულ მასას მაგრად თავდახურულს ინახავენ, სანამ არ დაშაქრდება და დუღილს არ დაიწყებს.

ნადიმს თან ახლდა კუნძულებების გაცხოველებული საუბარი; ისინი ჩვენზე ბევრად უფრო მოლაყებნი არიან, არც ქალიშვილები იყვნენ ნაკლები ენის პატრონები და მათაც საკმაო წვლილი შეჰქონდათ გამეფებულ მხიარულებაში.

ეს მკვირცხლი ნიმფები იმის ყურის გდებასაც ასწრებდნენ, რომ მონადიმებს გულმოდგინება არ განელებოდათ; როცა ექიმი კმაყოფილი სახით გადაწვა უკან, ისინი წამოხტდნენ და ფორთოხლები და გუაეები დააყარეს თავზე. ამით დამთავრდა წვეულება.

ჩემმა ახმახმა ამხანაგმა თავისი გაუთავებელი უცნაურობებით ყველას გული მოინადირა, და მათ გრძელი სასაცილო სახელი შეარქვეს, რომელიც მშვენიერად შეეფერებოდა მის გამკალტყავებულ სხეულსაც და „რურასაც“. სიტყვამ მოიტანა და — ეს უკანასკნელი ყველას ყურადღებას იპყრობდა, ვისაც კი ვხვდებოდით.

ტაიტისა და ეიმეოს მცხოვრებთ ძალიან უყვართ ადამიანებისათვის სახელის შერქმევა. ვერ შეხვდებით ვერც ერთ ადამიანს, თუნდაც უცხოელს, რომელთაც რაიმე უცნაურობა ჰქონდეთ ან გარეგნობაში, ან ხასიათში, რომ მათთვის სახელი არ შეერქმით.

ერთი სამხედრო გემის თავდაჭერილმა კაპიტანმა, როცა მეორედ ეწვია ტაიტის, გაიგო, რომ კუნძულებს მისთვის შეერქმიათ „ატი პოი“ — სიტყვასიტყვით „პოი-თავი, ანუ რეგენი. ადგილობრივ მკვიდრთა იერარქიაში ყველაზე მაღალ თანამდებობასაც კი არ შეუძლია ამ მხრივ ადამიანის დაცვა. ახლანდელი დედოფლის პირველ ქმარს „ლიპიანს“ ეძახდნენ. რა თქმა უნდა, ღიპი მისი პიროვნების მთავარ ნაწილს წარმოადგენდა, ღირსეულ გეორგ მეოთხისა არ იყოს, მაგრამ განა ეს მეტსახელი უფლისწულსა და დედოფლის მეუღლეს ეკადრება!

თვით „პომარე“, მეფეთა მემკვიდრეობითი სახელი, თავდაპირველად უბრალო მეტსახელი იყო. იგი სიტყვასიტყვით ნიშ-

ნავს „დუდუნას“. პირველი მონარქი, რომელსაც ეს სახელი შეარქვეს, სამხედრო ლაშქრობისას მთებში ატარებდა თურმე ღამეებს. ერთ დილას გაიღვიძა და ნახა, რომ სურდო შეჰყროდა; რომელიღაც კარის მასხარა იმდენად უტაქტო გამომდგარა, უგჳანო მეტსახელით უკვდაუყვია ეს ამბავი.

როგორ განსხვავდებიან თავქარიანი პოლინეზიელები ამ მხრივაც და სხვა მიმართებითაც დინჯი, თავდაჭერილი ჩრდილოამერიკელი ინდიელებისაგან! მაშინ როცა პირველები, რაიმე სასაცილო ან უღირსი თვისების მიხედვით არკმევენ ადამიანს მეტსახელს, უკანასკნელი ყველაზე ამალღებულსა და მამაცურ მეტსახელებს არჩევენ. ამიტომ წითელკანიანებში ვხვდებით ისეთ ჭეშმარიტად კეთილშობილურ სახელებს, როგორიცაა—„თეთრი არწივი“, „ახალგაზრდა მუხა“, „ცეცხლოვანი თვალი“, „მოზიდული მშვილდი“...

თ ა ვ ი 69

ქოქოსის პალმა

სანამ ექიმი და ადგილობრივი მკვიდრნი საჭმლის მონელებისათვის სასარგებლო სადილისშემდგომ ძილს მისცემოდნენ, მე წავედი სასეირნოდ და იმ ადგილების დასათვალიერებლად, რამაც შესაძლებელი გახადა ასეთი გულუხვი მასპინძლობა.

ჩემდა გასაოცრად, სოფლის მახლობლად მდებარე მიწის საკმაოდ დიდი ნაკვეთი, რომელსაც ზღვის მხრიდან ქოქოსის პალმებისა და პურის ხის ჭალა ეკრა, მშვენიერად იყო დამუშავებული. იქ იზრდებოდა ბატატი, ინდური თაღვამი და იამსი, აგრეთვე ნუსვი, რამდენიმე შირი ანანასი და სხვა ხეხილი. კიდევ უფრო ახარებდა თვალს მზრუნველი ხელით დარგული ნორჩი პურის ხეები და ქოქოსის პალმები; წინდაუხედავ პოლინეზიელებს თითქოს თავიანთი ჩვეულების საწინააღმდეგოდ გადაეწყვიტათ მომავალზე ზრუნვა. ეს იყო ადგილობრივ მკვიდრთა აყვავებული მეურნეობის ერთადერთი მაგალითი, რომელიც ოდესმე მინახავს. ტაიტიისა და ეიმეოზე ხეტიალისას ყველაზე მეტად ის მანცვიფრებდა, რომ ეს ხეები, რომლებიც აქ თითქოს ძალიან ბევრი უნდა ყოფილიყო, საკმაოდ იშვიათად მხადი-

ბოდა. მთელი რიგი ველები, მარტაირის ველის მსგავსად, ბედის-
ანაბარა იყო მიტოვებული და ველური მცენარეებით იფარებო-
და. ზღვის ნაპირას გაშლილ მონალექ დაბლობებს, მთის მდინა-
რეებით რომ ირწყვებოდა, უცხოელთა მიერ შემოიტანილი ველუ-
რი გუავის ბუჩქები მოსდებოდა და საშინელი სისწრაფით იზ-
რდებოდა. ადგალობრივი მკვიდრნი, რომლებიც ამის საწინააღ-
მდეგოდ არაერთარ ზომებს არ ღებულობდნენ, ვარაუდობდნენ,
რომ ახლო მომავალში გუაეა მთელ კუნძულს დაფარავდა. გაშ-
ლილი მდელოები, სადაც ძალზე იოლია ხეხილის ბაღების გაშე-
ნება, სრულიად უგულისყუროდ იყო მიტოვებული.

როცა ვფიქრობდი ტაიტის უნაყოფიერეს ნიადაგსა და შეუ-
ღარებელ ჰავაზე, რომლებსაც თითქმის უაზროდ იყენებდნენ,
არ შემეძლო არ განვცვიფრებულიყავი პაპეეტეს განაპირა ადგი-
ლების მოსახლეობით, რომელთა უმრავლესობა შიმშილით იხო-
ცებოდა თავის გავერანებულ ბაღებში. სხვა კუნძულებზე, რომ-
ლებიც ასევე ნაყოფიერი არიან და აღმოჩენის დროიდან არა-
ერთარი ცვლილება არ განუცდიათ, მსგავსი სურათი არ მინა-
ხავს.

ის მოწიწება, ტაიტისა და ეიმეოს მცხოვრებნი რომ იჩე-
ნონ მრავალი ხეხილის მიმართ, სილამაზე, რასაც ისინი ლანდ-
შაფტს ანიჭებენ, მრავალმხრივი სარგებლობა, მათ რომ მოაქვთ,
სისწრაფე მათი გავერცელებისა, — ეს ყველაფერი კიდევ უფრო
გაუგებარს ზღის ტაიტელების დაუდევრობას. ამის მაგალითად
გამოდგება ქოქოსის პალმა, რომელიც ტროპიკული ქვეყნების
მთავარ ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. განსაკუთრებით პო-
ლინეზიელებისათვის იგი ტუიასავითაა და მრავალმხრივი გამო-
ყენების თვალსაზრისით პურის ხესაც კი აღემატება.

ქოქოსის პალმა დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მის
უპირატესობას ადასტურებს სწორი მძლავრი შტამბი. იგი და-
ნარჩენ ხეებში ისე გამოიყურება, როგორც ადამიანი დაბალ
არსებასთან შედარებით.

სიკითხე, რომელიც ქოქოსის პალმას მოაქვს, აურაცხელია.
კუნძულები წლიდან წლამდე ისვენებს მის ჩრდილში. ჭამს და
სკამს მის ნაყოფს; მისი ფოთლებით ხურავს თავის ქოხს, ხო-
ლო ყლორტებიდან წნავს კალათებს სურსათ-სანოვაგის გადასა-
ჩანად; სიცხეში რომ მარაოს იქნევს, ეს მარაოც მისი ნორჩი
ფოთლებისაგანაა დამზადებული, მზისგან რომ შლაპა აფარავს,

ისიც მისი ფოთლებისაა; ზოგჯერ ტანს იმოსავს ქსოვილის მსგავსი ნივთიერებით, რომელიც ხის ძირს აკრავს; შეფოთლილი და მოკრიალებული მსხვილი კაკლის ნაჭუჭიდან ლამაზი თასი გამოდის, უფრო წვრილიდან კი ჩიბუხი; ხმელ ნაჭუჭებს ცეცხლში შეუკეთებს ზოლმე; ბოჭკოებისაგან ანკესღს მკედსა და პირაგუას ფიცრების შესაკრავ ზონარებს წნავს; ჭრილობებს იშუშებს მალამოთი, რომლის შემადგენელი ნაწილია ქოქოსის რძე, ხოლო კაკლის გულიდან გამოწურულ ზეთს მიცვალებულებს უსვამს.

თვით ხის შტამბი ძალიან ძვირფასია. მისგან ამოხერხილი მასალა სვეტებად უდგას კუნძულების სახლს; მისგან გამომწვარ ნახშირზე საჭმელს ამზადებს, ქვის ლოდებზე გადებული პალმებით კი ნათესებს ღობავს. პირაგუაში მჯდარი კუნძულები რომ ნიჩაბს უსვამს, ეს ნიჩაბი ქოქოსის პალმის მერქნისგანაა გაკეთებული. საღაშქროდ კომბლებითა და შუბებით რომ შეიარაღდება, ისინიც იმავე მაგარი მასალისგანაა დამზადებული.

ტაიტიზე წარმართულ ხანაში პალმის რტო მეფის ძალაუფლების სიმბოლო იყო. რტოს ტაძარში მიტანილ მსხვერპლს დაადებდნენ ხოლმე და ამით აკურთხებდნენ შესაწირავს. ამ რტოთი ქურუმები თრგუნავდნენ და განდევნიდნენ ავ სულებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ კუნძულებს. დიდი ოროს, ტაიტური მითოლოგიის უმაღლესი ღმერთის განსახიერება იყო პალმის მორი, საიდანაც მისი სახე იყო გამოჩორკნილი. ტონგის კუნძულზე დგას პალმა, რომელიც დვთაებადაა აღიარებული. სანდვიჩის კუნძულებზე ქოქოსის პალმა სავსებით ინარჩუნებს ძველ დიდებას, და ამ კუნძულის მცხოვრებნი ფიქრობენ, რომ იგი თავის ეროვნულ ემბლემად გაიხადონ.

ქოქოსის პალმას შემდეგნაირად რგავენ. შესაფერის ადგილს შეარჩევენ და მიწაში ჩადებენ კარგად დამწიფებულ კაკალს. რამდენიმე დღეში ნაჭუჭის უწვრილესი ნახვრეტიდან ამოიწვერება ყლორტი, წინგოს გახვრეტს და გაიკეთებს სამ ფერმკრთალ მწვანე ფოთოლს; ამასთანავე ორი ბოჭკოვანი ფესვი, რომლებიც განვითარებულია იმავე დაჩვრეტილი რბილი თეთრი მასისაგან, ახლა მთელ ნაჭუჭს რომ ავსებს, ნახვრეტების „საცობებს“ აწვება, საწინააღმდეგო მხარეს გადის და ვერტიკალურად ეშვება მიწაში. ერთი-ორი დღის შემდეგ ნაჭუჭი და წინააღმდეგობა

რომლებიც კაკლის დავარგების უკანასკნელ სტადიაში ისე მაგრდება, რომ დანა თითქმის ვერაფერს აკლებს, თავისთავად სკდება რაღაც შინაგანი ძალის მოქმედებით. აქედან მოყოლებული, გამძლე ნორჩი მცენარე სწრაფ ზრდას იწყებს და ისე, რომ არც მოვლა სჭირდება, არც გასხვლა, არც სხვა რამ ზრუნვა, სწრაფად შედის სიმწიფის ასაკში. ოთხ-ხუთ წელიწადში ხე მსხმოიარე ხდება, ორჯერ მეტი ხნის შემდეგ კი მისი კენწერო ჭალის მაღლა აიტყორცნება. პალმა თანდათან იკრებს ღონეს და თითქმის ას წელს ამაყად დგას.

ამრიგად, რომელიღაც მოგზაურისა არ იყოს, ის, ვინც ერთ კაკალს აგდებს მიწაში, იმოდენა სიკეთეს შერება თავისი თავისა და მომდევნო თაობებისთვისაც, როგორსაც უფრო რბილი ჰაერის პირობებში ვერ იზამდა მრავალი ადამიანი, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ეშრომა.

ქოქოსის პალმამ შესანიშნავი მოსაყალი იცის. სანამ ხარობს, განუწყვეტლავ იხამს. მასზე ერთდროულად დაინახავთ ორასამდე კაკალს და ამასთანავე აუარებელ თეთრ ყვავილს, რომელთაგან კიდევ ახალი ნაყოფები გამოინასკვება და თუმცა მთელი წელია საჭირო, რომ ყოველი მათგანი დამწიფდეს, მაგრამ ძნელად თუ ნახავთ ორ ნაყოფს, რომლებიც განვითარების ერთსა და იმავე სტადიაში იყოს.

ზღვასთან სიახლოვე ხელს უწყობს ამ ხის ზრდას. როვირც ჩანს, ყველაზე უფრო სრულყოფილი ეგზემპლარები გვხვდება თვით სანაპიროზე, სადაც პალმის ფესვებს გარს უვლის წყალი. მაგრამ ასეა მხოლოდ იმ კუნძულებზე, სადაც მარჯნის რიფების რკალი ზღვის მოქცევისაგან იცავს ნაპირს. ამ ადგილებში გაზრდილ კაკლებს სრულებით არა აქვს მლაშე გემო. თუმცა ქოქოსის პალმა ყველგან იძლევა ნაყოფს, მაღლობზეც, ვაკეზეც, მაგრამ ქვეყნის შუაგულში მაინც ვერ ხარობს, რომ უნდა ისე. ხშირად შემიმჩნევია, რომ ველების თავში მისი მაღალი ტანი ზღვისკენაა გადახრილი, თითქოს უფრო მაღლიან მხარეს ელტვისო.

საინტერესოა აღვნიშნოთ შემდეგი: ქოქოსის პალმას რომ კენწერო მოაწყვიტოთ, ხე მაშინვე დაილუპება; და თუ იგი ასე დატოვეს, ტანი, რომელიც სიცოცხლეში ისეთი მაგარი ქერქით იყო დაფარული, რომ ტყვიაც ვერაფერს დააკლებდა. დაიშლება და წარმოუდგენლად მოკლე ხანში ნაფხვენებად იქცევა.

შესაძლოა, ეს ნაწილობრივ ხის აგებულებით აიხსნას. იგი წარმოადგენს უბრალო ცილინდრს, რომელიც შედგება ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრული უწვრილესი მილაკებისაგან; მაგრამ თუ მათი მთლიანობა ზემოთ დაირღვა, ისინი წყალგამტარი ხდებიან და იწყება ღპობა, რომელიც მთელ ხეზე ვრცელდება.

რამდენადაც ვიცი, პალმის საუკეთესო ნარგავები, და ერთდერთი პლანტაცია, რომელიც ოდესმე მინახავს კუნძულებზე, გაშენებულია პაპუეტეს ყურის სამხრეთ ნაპირზე. ხეები დაურგავს პირველ პომარეს დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ, და რადგან ნიადაგი ზედმიწევნით შესაფერისი შეხვედრია, ახლა კეთილშობილი პალმები ქმნიან დიდებულ ჭაღას, რომელიც თითქმის ერთ მილზეა გადაჭიმული და არც ერთი სხვა ჯიშის ხე და ბუჩქი არ ურევია. წნორიანი გზა მთელ სიგრძეზე კვეთს მას.

შუადღისას ეს ჭაღა ყველაზე ლამაზი, ყველაზე თვალწარმტაცი ადგილია მთელ ქვეყანაზე. მაღლა რომ აიხედოთ, დაინახავთ მოშრიალე მწვანე თაღებს, საიდანაც ძლივს ატანს მზის სხივები. თითქოს დაუსრულებელ კოლონადებს შორის მიდინხართ; ყველგან გზვდებათ ხეივნები, ყველა მიმართულებით რაიმე კვეთენ ერთმანეთს. ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე სუფევს; მსუბუქი, თითქოს დაისისწინა გარინდება მოჭფენია ჰაერს.

მაგრამ აი დილის ხანგრძლივი სიწყნარე ზღვიდან მონაბერმა ნიავემა შეცვალა; ათასობით ხეს შეურხია კენწერო, და ხეებაც თავს აქნევენ. მაღლე ნიავეს ძალა მოემატა; გესმით, როგორ შარიშურობენ ფოთლები, როგორ ირხევიან ტანწერწეტა ხეები. საღამოს მთელი ჭაღა ღელავს, და წნორიან გზაზე მიმავალ მგზავრს წამდაუწუმ აკრთობს ხიდან ჩამოვარდნილი კაკალი. ნაყოფები ჟონგლიორის ბურთებივით სტვენით მოფრინავენ ჰაერში და ხტუნვა-ხტუნვით მიგორავენ ათობით ფუტ მანძილზე.

ცნობრება ლუკულუსი

ლუკულუს საზოგადოებაში ყოფნა დიდად გესიამოვნებდა (განსაკუთრებით მეგობრულად გვეპყრობოდნენ ქალიშვილები); რაც მთავარია, ძალიან გაგვიტკბა კერძები, რომლებითაც გვიმასპინძლებოდა მოხუცი მარჰარვაი, და ამიტომ უარი არ გვითქვამს, რომ კიდევ რამდენიმე დღეს დაერჩენილიყავით. მაშინ თქვენ შეძლებთ გაჰყვეთ რამდენიმე სოფელს, რომლებიც პირაგუით აპირებენ ლუკულუდან ორიოდე ლიგის მანძილზე გამგზავრებასო, გვარწმუნებდა იგი. ეს ადამიანები ისე ზარმაცები არიან, ოღონდ რამდენიმე მილი არ გაეცლოთ ფეხით და მზად იყვნენ შევეფერხებინეთ, თუნდაც საამისო საფუძველი არ ჰქონოდათ.

სოფლის მცხოვრებნი, როგორც მალე შევიტყვეთ, ნათესავეების ერთ მშვიდობიან თემს შეადგენდნენ; თურმე ამ თემის სათავეში იდგა ჩვენი მასპინძელი მარჰარვაი. იგი მათი ბელადი იყო და მეზობელი მიწებიც მას ეკუთვნოდა. მდიდრებს თითქმის ყოველთვის ბევრი ნათესავეები აღმოაჩნდებათ ხოლმე. და მარჰარვაისთან მოსვლაც არავის ერიდებოდა, — ალბათ იმიტომ, რომ ადგილობრივი ფეოდალივით იყო. კაპიტან ბობისა არ იყოს, ისიც ბევრ რამეში ძველის მიმდევარი და გასული წარმართული საუკუნის ტრადიციების ერთგული რჩებოდა.

ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებანი არსად ისე შეურყენელი არ არის, როგორც ეს ტამაიზუა. ტაიტელთა ტრადიციული ნადიმი, რომელიც მოსვლის დღეს გაგვიმართეს, შესანიშნავი მაგალითია ლუკულუს მკვიდრთა ჩვეულებრივი ცხოვრებისა.

ჩვენ დიდებულად ვატარებდით დროს. ექიმი თავისი საქმეებით იყო გართული, მე კი ჩემით. იგი რომელიმე სიმპათიურ თანამგზავრ ქალიშვილთან ერთად აწყობდა ექსკურსიებს ქვეყნის შიგნით, ვითომდა ბოტანიკური კოლექციის შესაგროვებლად, მაშინ როცა მე დღის მეტ ნაწილს ზღვის პირას ვატარებდი ანდა ქალიშვილებთან ერთად ვსეირნობდი პირაგუით.

ხშირად დაედლიოდით სათევზაოდ, ოღონდ სულელური ანკესებით ხელში კი არ ვთვლემდით. არამედ წყალში გადავეშვე-

ბოდით ხოლმე და ბარჯით დავედვით მსხვერპლს მარჯნის რიფებს შორის.

ბარჯით თევზების ხოცვა დიდებული გართობაა. ეიმეოს მცხოვრებნი მთელ კუნძულზე ამ ხერხით იჭერენ თევზს. რიფსა და ნაპირს შუა წყალმარჩხი ადგილები, ხოლო უკუქცევისას თვით რიფიც შესანიშნავია ამგვარი ჭერისათვის. თითქმის დღის ყოველ დროს, გარდა წმიდა შუადღის ჟამისა, შეიძლება ნახოთ თავიანთი საყვარელი საქმიანობით გართული მეთევზეები. ისინი ხმამაღალი შეძახილებით იქნევენ ბარჯებს და დგაფუნით მიმოდინა წყალში. ზოგი კუნძულელი მარტოდმარტო დაეხეტება მეჩენებზე და ბარჯმომარჯვებული უთვალთვალებს შორიდან თევზს.

მაგრამ ყველას რიფიდან ჩირაღდნის შუქზე თევზის ჭერა სჯობს. ამ გართობას ადგილობრივი მკვიდრი ისეთივე გატაცებით მისდევს, როგორც ინგლისელი ჯენტლმენი — ნადირობას, თანაც ნაკლებ სიამოვნებას როდი ჰგვრის ეს.

ჩირაღდანი სხვა არაფერია, თუ არა ხმელი ლერწმის კონა, ხოლო ბარჯი გახლავთ გრძელი მსუბუქი ლატანი, რომელსაც ცალ მხარეს დაკბილული რკინის ბოლო აქვს.

არასოდეს დამავიწყდება, როგორ გავემართეთ პირაგუით მოხუცი მარპარვაი და ჩვენ რიფისაკენ, როგორ გადავხვით მარჯნის შვერილზე ჩირაღდნებითა და ბარჯებით ხელში. ერთ მილზე მეტად ვიყავით დაშორებული ნაპირს; პირქუში ოკეანე გრუხუნით ეხეთქებოდა რიფის გარეთა მხარეს და პირისახეში გვემდა შხეფებს; კინაღამ ჩირაღდნები ჩაგვიქრო. შორს, სანამდეც თვალი სწვდებოდა, ცისა და წყლის სიბნელეს კვეთდა ქაფის გრძელი, ოღნავ შესამჩნევი ზოლი, რომელიც მარჯნის ზღუდეს შემოვლებოდა. მეთევზეები გატაცებით იქნევდნენ იარაღს და ქაჯებივით გაჰყვიროდნენ, რათა მსხვერპლი დაეფრთხოთ, კლდიდან კლდეზე ხტოდნენ და წამდაუწუმ უშვებდნენ ბარჯებს ფურთუნების შუაგულში.

მაგრამ ბარჯით თევზის ხოცვა ერთადერთი გასათობი როდი იყო ლუპულუში. ზღვის ნაპირას ერთი ბებერი ქოქოსის პალმა იდგა; ფესვები წყალს გამოერეცხა და ამიტომ იქით გადახნილიყო. კენწეროზე ეკიდა ხის ქერქისაგან დაწნული მაგარი თოკი; მისი ბოლო ნაპირიდან რამდენიმე იარღზე ეშვებოდა წყალში. ეს ტაიბური საქანელა იყო. კუნძულელი ჭაბუკი

თოკს ჩაეჭირებოდა ხოლმე და ნელ-ნელა ქანაობდა, მერე იქიდან გადმოხტებოდა და ორმოცდაათი თუ სამოცი ფუტის სიმაღლიდან რაკეტასავით გაფრინდებოდა ჰაერში. არა მგონია, რომ ჩვენმა რომელიმე აკრობატმა გაბელოს ასეთი რამის გაკეთება. პირადად მე ამის არც უნარი მქონდა და არც სურვილი, ამიტომაც ერთ ყმაწვილს ვთხოვე მეტი უსაფრთხოებისათვის კენწეროზე მეორე თოკი ჩამოეხა; ნეღლი ტოტებისაგან დიდი კალათი მოეწანი და ზედ დაკვიდე. ამ კალათით საათობით ვისხედით მე და ჩემი მეგობრები და ზღვასა და მიწას შუა ექანაობდით.

თ ა ვ ი 71

ჩვენ ტალუს მიკვებზავრები

ბრწყინვალე დილა იყო, ჩვენი თანამგზავრი ქალიშვილების დიმილზე უფრო ბრწყინვალე, როცა სტუმართმოყვარე მარჰარეისა და მის ვასალებს გამოეეხოვეთ და ხალვათ პირაგუაში მოვიკალათეთ. ჩვენ ნიჩბები მოუუსვით, მასპინძლები კი ნაპირზე იდგნენ, ხელს გვიქნევდნენ და მანამდე ყვიროდნენ „აროჰა! აროჰა!“ (მშვიდობით! მშვიდობით!), სანამ შეიძლებოდა გაგვეგონა.

მათთან განშორებამ გული დაგეწყვიტა, მაგრამ მაინც შეეცადეთ ჩვენს თანამგზავრებთან ყოფნით გაგვექარებინა დარდი. მათ შორის იყო ორი მოხუცი მანდილოსანი; თუმცა ისინი არ დაგვლაპარაკებინ და მოდი ნურც ჩვენ ვილაპარაკებთ მათზე, ისევე როგორც ბერიკაცებზე, რომლებიც პირაგუას მართავდნენ. იმ სამ ეშმაკ შავთვალა ჯადოქარზე კი, ძალდაუტანებელ პოზაში რომ ისხდნენ ჩვენი ძველებური პოლინეზიური გონდოლის კიჩოზე, ზოგ რამეს ვიამბობთ.

პირველი, იმიტომ, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო მარჰარარარი, ნათელთვალეა; მეორე, იმიტომ, რომ არც მას და არც მის დობილებს მანამდე არ გაუვლიათ გულში გამგზავრება, სანამ ექიმმა და მე არ გავამყლავნეთ ჩვენი განზრახვა; ჩვენთან ერთად მათი გამომგზავრება უგვანო ცელქობა იყო და მეტი არაფერი. მოკლედ რომ ვთქვათ, ესენი იყვნენ მხიარული, ანცი ქალიშვილები, რომლებსაც ბოროტი ხუმრობა უყვარდათ და მა-

შინეე მასხარად აგივდებდნენ, როგორც კი სენტიმენტალურ სახეს მიიღებდით, და საერთოდ თქვენთან ყოფნას მხოლოდ იმიტომ იტანდნენ, რომ თქვენს ხარჯზე თავი შეექციათ.

ისინი ყოველთვის პოულობდნენ ჩვენში რაიმე ისეთს, რაც გაამხიარულებდათ. ექიმი ამას თავის შესანიშნავ გარეგნობას მიაწერდა, თავს იმასხრებდა და ამით კიდევ უფრო აცინებდა ქალიშვილებს. მაგრამ მისი ჩაჩი და ეჭვნები მულამ ერთ ხმაზე ჟღარუნობდნენ, და მე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი თავს კი არ ისულელებდა მხოლოდ, არამედ ქარაფშუტა კაცის როლს ასრულებდა. ჩვენში მიჩნეულია, რომ ეპოლეტები ყველაზე მეტ შანსებს იძლევა არშიყობის დროს, მაგრამ პოლინეზიელებში უფრო მასხარის ტანისამოსით ჯობს ქალების დევნა.

გრილმა სიომ დაბერა; ჭილოფის იალქანი ავუშვით და ნელ-ნელა გავწიეთ წინ, თითქოს მდინარეს მივეყვებითო. ერთ მხარეს თეთრი რიფი გაწოლილიყო, მეორე მხარეს — მწვანე ნაპირი.

კონცხს რომ შემოვუარეთ, სულ მალე გამოჩნდა მეორე პირაგუა, რომელიც ჩვენკენ მოდიოდა; მეხოფეები რაც ძალი და ღონე ჰქონდათ უსვამდნენ ნიჩბებს. უცხო ადამიანები ერთმანეთს გასძახობდნენ, ხოლო ნავის ცხვირთან მდგარი მალალ-მალალი ჭაბუკი გიჟივით ხტოდა. ისარივით გაგვიქროლეს, თუმცა ჩვენი თანამგზავრები უყვიროდნენ, ნიჩაბს ნულარ მოუსვამთო.

აღვილობრივ მკვიდრთა თქმით, ეს იყო მეფის საფოსტო პირაგუის მსგავსი რამ, რომელსაც დედოფლის დანაბარები მიჰქონდა კუნძულის შორეულ ნაწილში მცხოვრებ ნათესავებთან.

ჩრდილში მდგარი და შესახედავად სტუმართმოყვარული რამდენიმე ქოხი რომ გავიარეთ, ზღვის ერთფეროვანი მოგზაურობით დაღლილებმა ვითხოვეთ ცოტა დაგვესვენა და ნაპირზე გავვესვირნა. ხმელეთზე გადავიდით, პირაგუა ნახევრად წყალში ჩაყუდებული დამძალი პალმის იქით ბუჩქებში მივათარიეთ და ჩვენი ხნიერი თანამგზავრები ჩრდილში ჩასათვლემად დავტოვეთ, ჩვენ კი დანარჩენებთან ერთად გავწიეთ ვაზითა და ხვიარა ბუჩქებით დავლილ ხეებში სასეირნოდ.

ნაშუადღევს მივუახლოვდით იმ ადგილს, საითაც ჩვენი თანამგზავრები გაემართნენ. ეს იყო განმარტოებით მდგარი

სახლი, რომელშიც ოთხი თუ ხუთი დედაბერი ცხოვრობდა; როცა შიგ შევედით, ჭილოფებს უსხდნენ და გაბზარული ხაპიდან „პოის“ მიირთმევდნენ. ჩვენი თანამგზავრი ქალიშვილების მისვლა აშკარად გაუხარდათ, მაგრამ როგორც კი მათ ჩვენი თავი გააცნეს, მაშინვე ცხვირი ჩამოუშვეს. უნდობლად გეიციკეროდნენ და თან ჩვენს ამბავს კითხულობდნენ. მიღებულმა პასუხმა ალბათ არ დააკმაყოფილა ისინი, რადგან ძალიან ცივად ეჭირათ თავი და, ეტყობა, ეწადათ, რომ ქალიშვილებისათვის ჩამოვეშორებინეთ. მე და ექიმს არ გვსურდა დაერჩინილიყავით იქ, სადაც ჩვენი ყოფნა არ სიამოვნებდათ, და გადაეწყვიტეთ უსმელ-უჭმელიც კი წამოვსულიყავით.

ეს რომ გაიგონეს, მარჰარ-რარარმა და მისმა დობილებმა საშინლად იწყინეს და ჩვენდამი წინანდელი მოპყრობა სულ გადაავიწყდათ; მათ ყური არ უთხოვებიათ დედაბრების შეგონებებისათვის და ერთი ვაიუშველებელი ატეხეს, რომლის გაძლების თავი არ გვექონდა. ამრიგად, დაეთანხმდით იქამდე დაერჩინილიყავით, სანამ შინისაკენ არ გაემგზავრებოდნენ, ეს კი უნდა მომხდარიყო „აპეჰარარის“, ჟამს, ჩვენებურად—მზიზ ჩასვლისას.

მაგრამ აი ეს დროც მოვიდა, და დიდი ხნის გამოთხოვების შემდეგ ქალიშვილები პირაგუაში ჩასხდნენ. როცა ნავის ცხვირი შებრუნდა, მათ ხელიდან გამოსტაცეს ბერიკაცებს ნიჩბები და დუმილით დაგვიქნიეს ჰაერში. ეს ნიშნავდა უკანასკნელ გულშიჩამწვდომ სიტყვას „მშვიდობით“, რადგან ნიჩაბს მხოლოდ მაშინ იქნევენ, როცა იმედი აღარა აქვთ ოდესმე შეხვედრისა.

ჩვენც განვაგრძეთ გზა. პლაჟს გავეყვით და სულ მალე მივადექით სწორსა და მალალ ნაპირს, რომელიც წყალს ჩამოსწოლოდა. ნაპირი ალაგ-ალაგ ხეებით იყო დაფარული; იგი ფართო რკალად შემოვლებოდა კუნძულის მნიშვნელოვან ნაწილს. ნაპირს მიჰყვებოდა შესანიშნავი ბილიკი, და ჩვენ ზშირად ეჩერდებოდით, რომ თვალწინ გადაშლილი სანახაობით დაემტკბარიყავით. საოცრად წყნარი და ნათელი სადამო იყო თვით აქაური განსაცვიფრებელი ჰავის პირობაზეც კი; ყველგან, სადამდეც თვალი მიგვიწვდებოდა, შეუმჩნევლად ერწყმოდნენ ერთმანეთს მტრედისფერი ცა და ოკეანე.

მედიოლით და რიფების რკალიც მოვედევდა, საითაც მიუზხვევდით, ისიც იქით უხვევდა. ზღვის მოქცევის ყრუ ხმაური

ჩანჩქერის განუწყვეტელი ქუხილივით ჩაგვესმოდა ყურში. აქაფებული ტალღები, რომლებიც უზსოვარი დროიდან აწყდებოდნენ მარჯნის ზღუდეებს, შორიდან ჰგავდნენ ყალყზე შემდგარ თეთრ ფაფარაყრილ ცხენებს, ლაგამს რომ კვნეტენ და პირიდან ქაფი გადმოსდით.

ეს უზარმაზარი ბუნებრივი ტალღისმკვეთები თითქოს ხმელეთის დასაცავადაა შექმნილი. ისინი ამხანაგობის მთელ კუნძულებს იცავენ. წყნარი ოკეანის ვეებერთელა ტალღები რომ პირდაპირ ნაპირს აწყდებოდნენ და მრავალ ადგილას მონალექ რბილ ნიადაგს წალეკავდნენ ხოლმე, ადგილობრივი მკვიდრნი მალე გამოეთხოვებოდნენ თავიანთ ყველაზე ნაყოფიერ მიწას. ახლა კი მტკიცე ნაპირები არც ერთ ნაკადულს არა აქვს.

მარჯნის ზღუდეები კიდევ ერთ როლს ასრულებენ. ისინი ქმნიან ამ არქიპელაგის ყველა ნავსადგურს, მათ შორის ოცდაოთხ ყურეს ტაიტის ნაპირებთან. საინტერესოა, რომ რიფებს შორის გასასვლელები, რომლებიც ერთადერთი გზაა საღუბეში გემების მოსახვედრად, როგორც წესი, მდინარის შესართავებთან მდებარეობს; ამ გარემოებას განსაკუთრებით აფასებენ მეზღვაურები, რომლებიც წყლის მარაგის შესავსებად მიაღებებიან ხოლმე ნაპირს.

ამტკიცებენ, თითქოს კუნძულების მტკნარი წყალი ხსნადი მარილების შემცველ ზღვის წყალთან შერევისას ხელს უშლას მარჯნის წარმოშობას; ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ რკალი ალაგ-ალაგ გარღვეულია. ზოგან გასასვლელების ნაპირებში გუშაგებივით დგანან ტანწერწეტა პალმებით დაფარული ზურმუხტისფერი პატარ-პატარა ზღაპრული კუნძულები. არაფერი არ განაცვიფრებს ისე ადამიანის გონებას, როგორც მიწის ეს პატარა ნაგლეჯები, რომლებსაც მოულოდნელი და მშვენიერი მრავალფეროვნება შეაქვთ ფურთუნების გრძელ ზოლში. პომარე II ზღვისადმი ჭეშმარიტი ტაიტური სიყვარულით აირჩია ერთ-ერთი ასეთი პატარა კუნძული მეფური მზრუნველობით დაღლის შემდეგ განსასვენებლად. ჩვენ მოგზაურობისას ვნახეთ ეს შესანიშნავი კუთხე.

მოდით ნუღარ შევიჩრდებით სხვა ამბებზე, რომლებიც ლუჰულულ მგობრებთან განშორების შემდეგ გადაგვხვდა, და ახლა მოგიყვებით, თუ რა მოხდა მცირე ხნით ადრე, სანამ დანიშნულ ადგილს მივალწევდით.

აპრკალული საკონალით მიკაჭრა

ათი დღე მაინც იქნებოდა გასული „მიჯრიდან“, როცა ვესტუმრეთ ვარვის, მოხუც კუნძულელ განდევილს, რომლის კარმიდამო ტალუდან ორიოდე ლიგის მოშორებით მდებარეობდა.

ნაპირიდან რამდენიმე ათეულ იარღზე ლარტაფის შუაგულში კუნძულივით აღმართულიყო ხავსით დაფარული კლდე; ორ ტოტად გაყოფილი პატარა ნაკადული ორივე მხრიდან ჩაუდიოდა და შემდეგ კვლავ ერთდებოდა. დაღრანკულ „აოას“ ფესვები შემოეხვია კლდისათვის და ხშირი ფოთლები გაეშალა; ტოტებზე დაკიდებული მოქნილი რტო-ფესვები ყოველ ნაპრალში იკიდებდნენ ფეხს და ტანისათვის დასაყრდენს ქმნიდნენ. ალაგ-ალაგ ამ დაკიდებულ რტოებს კლდემდე ჯერ ვერ მიეღწიათ, და მათი თავისუფალი ბოჭკოვანი ბოლოები მათრახებივით ქანაობდნენ ჰაერში.

ვარვის ქოხი, ბამბუკის უბრალო ხენაკი, კლდის ბრტყელ საფეხურზე იყო წამოსკუპებული. სახურავის კიცურა ერთი ბოლოთი „აოას“ განტოტებას ვერდნობოდა, მეორით კი ნაპრალში გამაგრებულ ორკაპა ტოტს.

ქოხს რომ ვუახლოვდებოდით, რამდენჯერმე დავიძახეთ, მაგრამ მოხუცმა განდევილმა მხოლოდ მაშინ მოგვაქცია ყურადღება, როცა ექიმი მივიდა და მხარზე ხელი დაადო. მოხუცი ამ დროს ქვაზე იყო დაჩოქილი და ნაკადულში თევზს წმენდა. იგი ფეხზე წამოხტა და გაკვირებით შემოგვაცქერდა, მაგრამ ხელის რაღაცნაირი მოჭრაობით მოგვესალმა მაშინვე და ასევე გაგვაგებინა, რომ ყრუ-მუნჯი იყო, შემდეგ კი ბინაში შეგვიძღვა.

ქოხში რომ შევედით, ძველ ჭილოფზე წამოვწექით და იქაურობა მოვათვალეირეთ. ჭუჭყიანი ბამბუკის კედლები და ხაპები გვეცა თვალში, და ექიმმა მითხრა, მოდი ახლავე წავიდეთ ტალუშიო, თუმცა მზის ჩასვლის დრო ახლოვდებოდა. მაგრამ ბოლოს გადავწყვიტეთ დაერჩენილიყავით.

მოხუცი საკმაოდ დიდხანს ფუსფუსებდა გარეთ ძველ ფარულში, სანამ ვახშამს მოგვართმევდა. ცალ ხელში მბჟუტავი სანათი ეჭირა, მეორეში — უშველებელი ხაპი, რომელშიც ცოტაოდენი საჭმელი იყო. იგი თვალებს აცეცებდა, ხან ჯერ ხაპს

შეხედავდა და მერე მზერას ჩვენზე გადმოიტანდა, ხან კი პირი-
ქით, თითქოს გვეუბნებოდა: „ჰა, ბიჭებო, რას იტყვით ამაზე?
ცული კერძი არ უნდა იყოს, ჰა?“ მაგრამ რადგანაც თევზი და
ინლური თაღგამი ბევრი ვერაფერი შეიღი იყო, სუფრაც საკ-
მაოდ დარიბული გამოვიდა. მოხუცი ათასნაირი ნიშნებით ცდი-
ლობდა გამოეხატა თავისი შეხედულება სუფრის შესახებ; ამ
ნიშანთა უმრავლესობა იმდენად კომიკურ შთაბეჭდილებას ტო-
ვებდა, რომ ჩვენ კინაღამ რომელიღაც მხიარულ პანტომიმად
მივიღეთ.

მასპინძელმა სუფრა აალაგა და წუთით დაგეტოვა. რომ
დაბრუნდა, ხელში ეჭირა მოლუნულყელიანი კარგა მოზრდილი
ხაპი, რომელსაც ხის საცობი ეხურა. ხაპს აქა-იქ მიწა ჰქონ-
და შერჩენილი და ეტყობოდა, რომ ეს-ეს იყო ამოეთხარათ.

ბერიკაცმა ათასნაირი მანჭვა-გრეხითა და საძაგელი ხით-
სითით, რომელიც ყრუ-მუნჯებს ახასიათებთ, გახსნა ხაპი; თან
ეჭვის თვალით გვიტყუროდა, ჭურჭელზე მიგვითითებდა და ცდი-
ლობდა გაეგებინებინა ჩვენთვის, რომ შიგ რაღაც ისეთი იყო,
რასაც „ტაბუ“ ჰქონდა დადებული.

როგორც ვიცოდით, სპირტიანი სასმელები სასტიკად ეკრ-
ძალებოდათ ადგილობრივ მკვიდრებს, ამიტომაც დიდი ინტე-
რესით ვუთვალთვალეზდით ჩვენს მასპინძელს. მან ქოქოსის
კაკლის ნაჭუჭი აავსო და გადაკრა; ისევე აავსო და მე მომაწოდა.
საზიზღარი სუნი ასდიოდა, და მეც დავიჭყანე. მოხუცი ძალიან
აღელდა, ისე ძალიან, რომ უეცრად სასწაული მოხდა. ფიალა
ხელიდან გამომტაცა და შეჰყვირა:

— ა, კარპოური საბი ლილი, ენა არვა ტი მაიტაი!—სხვა-
გვარად, „რა ყვეჩია ეს თეთრკანიანი! ეს ხომ ნამდვილი სასმე-
ლია!“

გომბეშო რომ გადმოეგლო პირიდან, ასე არ გაგვიკვირდებო-
და. წამით თვითონაც დაიბნა, მერე ტუჩებზე თითი მიიღო და
შეეცადა გაეგებინებინა ჩვენთვის, რომ ღროდაღრო ენა
ეპმებოდა.

ექიმს ეს ძალიან გაუკვირდა და სთხოვა პირი გაეღო, რომ
ყელში ჩაეხედა. მაგრამ მოხუცმა უარი უთხრა.

ამან ცოტა არ იყოს ეჭვი აღგვიძრა ჩვენი მასპინძლის
მიმართ. ვერც შემდგომ გავიგეთ, თუ რატომ იქცეოდა ასე; ერ-
თადერთი, რასაც მივხვდით, ის იყო, რომ მოგონილი სიმუნჯე

რალაცსაირად უწყობდა ხელს საძაგელ მაქინაციებში. რომ-
ლებსაც იგი აწყობდა. თუმცა, არც ეს ახსნა გვაკმაყოფილებდა.

მოხუცის გულის მოსაგებად როგორც იქნა გადაეკარით
„არვა ტი“, რომელიც მაინცდამაინც სუფთა არ იყო და თანაც
თავში აუეარდებოდა კაცს. ჩვენ გვინდოდა გავგვეო, თუ რისგან
იყო სასმელი დამზადებული, და ვკითხეთ კიდეც მასპინძელს;
კმაყოფილებით სახე გაებადრა, სანათს დასწვდა, ქოხიდან გავი-
და და ჩვენც გავვიყოლა.

ტყეს გავყევით, ცოტაოღენი მანძილი გავიარეთ და მივაღე-
ქით ტოტებისაგან გაკეთებულ ფარდულს, რომლის დანგრევას
ბევრი არაფერი აკლდა. შიგ მხოლოდ დამძალი ფოთლები და
მძიმე ქვისაგან გამოჩორკნილი პირფართო ქილა იყო, სხვა
არაფერი.

რამდენიმე წუთს მარტო ვიყავით; მოხუცმა ქილაში სანათი
ჩადგა, მერე წავიდა და სადღაციდან ბამბუკის გრძელი, მსხვი-
ლი ჯოხი და ორკაპა ტოტი მოიტანა. ეს ყველაფერი მიწაზე
დაყარა, ნაგვის გროვა გაქექა, იქიდან გახვრეტილი მორი გამო-
იღო და ქილაზე შემოდგა. მოხუცმა ორკაპა ტოტი ორი იარღის
მოშორებით ჩაასო მიწაში, ბამბუკის ერთი ბოლო კაპში ჩადო,
მეორე კი მორის ნახვრეტში მოათავსა. ყოველივე ამის შემდეგ
ბამბუკის შორეულ ბოლოს ძველი ხაპი შეუდგა.

ბოლოს ჩვენთან მოვიდა, ეშმაკურად შემოგვხედა, ალტაცე-
ბით მოგვეითთა თავის აპარატზე და წამოიძახა:

— ა, კარპოური, ენა ჰანა ჰანა არვა ტი! — რაც ალბათ ნაშ-
ნავდა: „აი როგორ კეთდება ეს“.

მისი ხელსაწყო სხვა არაფერი იყო, თუ არა თვითნაკეთი
აპარატი, რომლითაც აქაურ „არაყს“ ხდიდა. ეტყობა, განგებ
ჰქონდა ასე უწესრიგოდ შენახული, რომ მისი დანიშნულება
ვერავის გაეგო. სანამ ფარდულიდან გამოვიდოდით, გაქნილმა
არამზადამ აპარატი დაშალა და ნაწილ-ნაწილ წაიღო.

ის გარემოება, მოხუცმა რომ თავისი საიდუმლოება გავგან-
დო, დამახასიათებელი იყო „ტუტაი ოურისათვის“, ანუ ადგი-
ლობრივ მკვიდრთათვის, რომლებიც არად აგდებენ მისიო-
ნერთა მითითებებს; ისინი ფიქრობენ, რომ ყველა უცხოელი
უარყოფითად ეკიდება მისიონერთა ხელისუფლებას და ყოველ-
თვის სიამოვნებით აცნობენ „კარპოურის“ თავიანთ ოინებს,

როგორც კი შეძლებენ ხოლმე ჩუმაღ დაარღვიონ თავიანთ მმართველთა კანონები.

„ტი“, საიდანაც სპირტიან სასმელს ხდიან, წარმოადგენს მსხვილ ბოჭკოვან ბოლქვს, რომელიც იამსს წააგავს, მაგრამ მასზე უფრო პატარაა. უმი ბოლქვი საშინლად მწარეა, მოხარული ან შემწვარი კი ლერწმის შაქრის სიტკბოს ღებულობს. „ტის“ ცეცხლზე დაამუშავენ, გაწურავენ, დუღილის გარკვეულ სტადიამდე მიიყვანენ და წყალს დაასხამენ, რის შემდეგაც იგი მზად არის გამოსახდელად.

ქოხში რომ დავბრუნდით, სცენაზე გამოჩნდა ჩიბუხები, რამდენიმე ხნის შემდეგ ახმასმა სულმა, რომელსაც თავდაპირველად „არვა ტი“ ჩემზე უფრო არ მოსწონებია, ჩემდა გასაოცრად, სრულიად მშვიდად დაიწყო სმა ვარვისთან ერთად: ძაღვ ექიმი და ძველი ლოთი ლაზათიანად შეზარხოშდნენ.

თავშესაქცევი სანახაობა იყო. ყველასათვის ცნობილია რომ, სანამ სმა გრძელდება, სიმპათიისა და კეთილმოსურნეობის კავშირი აერთებს მთვრალ ადამიანებს. მერედა, რა სერიოზულად, რა ამაღლელებლად ცდილობენ თავიანთი საქმით გართული თანამეინახენი აუხსნან ერთმანეთს ყველაზე იდუმალი აზრები!

მაშ ასე, წარმოიდგინეთ ვარვი და ექიმი, რომლებიც ფილას ფიალაზე ცლიან და აღვსილნი არიან სურვილით, რომ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი; ექიმი თავაზიანად ცდილობს მასპინძლის ენაზე წარმართოს საუბარი, მოხუცი განდევილი კი დაჟინებით ცდილობს ინგლისურად ილაპარაკოს. საერთო ძაღვებით ხმოვნებისა და თანხმოვნების ისეთი ღომხალი გამოუვიდათ, რომ ვისაც არ უნდა გაეგონა, ჭკუაზე შეიშლებოდა.

დილით რომ გავიღვიძე, ვიღაცის სამარისეული ხმა შემომესმა. ეს იყო ექიმი, რომელმაც დიდის ამბით მაუწყა, რომ გარდაიცვალა. ხელები შუბლზე მიეჭირა და ისე იჯდა. სახეზე ფერის ნატამალი არ ჰქონდა.

— დამლუბა იმ ჯოჯოხეთურმა საწამლავმა! — შესძახა მან. — ღმერთო ჩემო! თავი ჭადრაკის მოთამაშე აუტომატივითა მაქვს გამოტენილი გორგოლაჭებითა და ზამბარებით! რა ვქნა, პოლ? მოწამლული ვარ.

მაგრამ ჩვენი მასპინძლის დამსადებელი ბალახის ნაყენი რომ დალია და ცოტა წაიხემსა, ჩემმა ამხანაგმა თავი უკეთ

იგრძნო, იმდენად უკეთ, რომ მოგზაურობის განგრძობის სურვილიც გამოთქვა.

წასვლა რომ დავაპირეთ, გამოირკვა, რომ იანკის ფეხსაცმელი დაკარგულიყო. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ექიმი საშინლად განრისხდა და განაცხადა, რომ ქურდობაში აშკარად ვარვის მიუძღოდა ბრალი; მისა მასპინძლობის მნახველს, ეს სრულიად დაუჯერებლად მეჩვენებოდა, თუმცა ვერც ის წარმომედგინა, რომ სხვა ვინმე მოიპარავდა. მაგრამ ექიმი იმ აზრისა იყო, რომ კაცი, რომელსაც შეუძლია უდანაშაულო მგზავრის „არვა ტის“ საწამლავი შეურიოს, ყველაფერს იკადრებს.

მაგრამ ექიმიც ამოდ ბობოქრობდა და მე და ვარვიც ტყუილად ვეძებდით; ფეხსაცმელი გაქრა.

ეს იღუმალი ამბავი რომ არ მომხდარიყო და არც ვარვის გამოხდილ არაყს ჰქონოდა ისე საძაგელი გემო, პარტუვისაკენ ნაპირის გაყოლებით მიმავალ ყველა მგზავრს ეურჩეოდა, რომ კლდესთან გაჩერებულიყო და მოხუცი ჯენტლმენი მოენახულებინა, — მით უმეტეს, რომ იგი უფასოდ მასპინძლობდა ხალხს.

თ ა ვ ი 73

როგორ შეგვისძენენ კარტუზაიში

გავუღეკით თუ არა, ბოლოს და ბოლოს, გზას, ჩემი გაცვეთილი სანდლები გადავყარე და ამით სოლიდარობა გამოუცხადე ექიმს, რომელიც ახლა იძულებული იყო ფეხშიშველა ეელო. იგი კვლავ კარგ გუნებაზე დადგა და განაცხადა, რომ ფეხსაცმელი ზედმეტი ბარგი იყო, და რომ მამაკაცს უმისობა უფრო შეშვენის.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს მაშინ თქვა, როცა ჩვენ მივდიოდით ზავერდოვან ბალახზე, რომელიც შუადღისას ოდნავ ნამიანიც კი იყო, რადგან გზა ხეების ჩრდილში გადაოდა.

ტყე რომ გავიარეთ, თავი ამოვყავით ერთ უდაბნო ადგილას. სადაც მზე ძლიერ აცხუნებდა; ფეხქვეშ ქვიშა ისე იყო გავარვარებული, თითქოს ცეცხლი უკიდიაო. ძნელია წარმოიდგინოს კაცმა, როგორ ვყვიროდით და ვბტოდით ყოველ ნახაჯ-

ზე. ჩვენ ვერ შევძლებდით ამ ადგილის გავლას, — ყოველ შემთხვევაში მზის ჩასვლამდე მაინც, — რომ აქა-იქ არ ყოფილიყო პატარ-პატარა გადამხმარი ბუნჩები, რომლებშიც წამდაუნწუმ ეყოფდით ფეხებს და ასე ვიგრილებდით. ბუნჩის ამორჩევისას ზუსტი გამოანგარიშება იყო საჭირო, რადგან მცირეოდენი წინდაუხედაობის გამო შეიძლებოდა ნახტომი გაგვეკეთებინა, მერე დავრწმუნებულიყავით, რომ შემდეგ ბუნჩამდე ვერ მივალწევდით, და კვლავ ძველ ადგალს დავბრუნებოდით.

ეს „საპარა“ თუ „ცეცხლოვანი უღაბო“ მშვიდობით რომ გავიარეთ, ნახევრად დამწვარი ფეხები მაღალბალახიან მდელოზე გასეირნებით დავიამეთ; მდელიც რომ უკან ჩამოვიტოვეთ, დაეინახეთ უწესრიგოდ აშენებული რამდენიმე სახლი, რომლებიც სოფელ პარტუეაის განაპირა ჩრდილოვან ჭალაში იყო შეყუჟული.

ჩემი ამხანაგი იმ აზრისა იყო, რომ პირველსავე სახლში შევსულიყავით; მაგრამ, როცა ახლოს მივედით და შენობები კარგად შევათვალიერეთ, მათმა პრეტენზიულმა შესახედაობამ, ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივ მკვიდრთა ბინის კვალობაზე, ცოტა არ იყოს შემაყვამანა. ვიფიქრე, ალბათ აქ უმაღლესი ბელადები ცხოვრობენ-მეთქი, მათგან კი მაინცდამაინც გულთბილი შეხვედრა არ იყო მოსალოდნელი.

ამ ყოყმანში რომ ვიყავით, უცებ მახლობელი სახლიდან გამოგვძახეს:

— არამაი! არამაი, კარპოური! (შემოდით, შემოდით, უცხოელებო!).

ჩვენ მაშინვე შევედით. ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ. მასპინძელი იყო არისტოკრატიული შესახედაობის კუნძულელი. ტილოს ფართო შარვალი და თხელი თეთრი პერანგი ეცეა, რომელზედაც ჩილიელი ესპანელების ყაიდაზე ჰქონდა შემორტყმული აბრეშუმის წითელი შარფი. ბუნებრივად, უბრალოდ ეჭირა თავი. მოგვიახლოვდა, გულზე ხელი დაირტყა და გავვეცნო: ერიმეარ პო-პო, ანუ, თუ ქრისტიანულ სახელს ინგლისურად გამოვთქვამთ, — ჯერიმაია პო-პო.

ამხანაგობის კუნძულების მცხოვრებთა სახელების ასეთი სასაცილო შესამება შემდეგი მიზეზით აიხსნება. ადგილობრივი მკვიდრის მონათვლისას მისიონერები, რომელთა ყურსაც მისი მამაპაპური სახელი ხშირად შეურაცხყოფლად ეჩვენება, დაჟი-

ნებით მოითხოვენ ხოლმე სახელის იმ ნაწილის შეცვლას, რომელიც მიუღებლად მიაჩნიათ. და აი, როცა ჯერიმაია ემბაზთან მივიდა და, ნარმო-ნანა მქეიაო, თქვა (რაც დაახლოებით ბნელში ქაჯებთან მებრძოლს ნიშნავს), პატივეცემულმა მღვდელმსახურმა განუცხადა, ასეთი წარმართული სახელი არავითარ შემთხვევაში არ გამოგადგებაო და აუცილებელია მისი ქაჯური ნაწილი მაინც შევცვალოთო. შემდეგ ეკლესიის წიაღში შესვლის მსურველს ამოსარჩევად შესთავაზეს ფრიად კეთილშესაფერი ქრისტიანული სახელები: ადამო (ადამი), ნოარ (ნოე), დავიდარ (დევიდ), ეარკობარ (ჯემს), ეორნა (ჯონ), პატურა (პიტერ), ერიმეარ (ჯერიმაია) და ა. შ. ჰოდა, მანაც ამოირჩია, და დაირქვა ჯერიმაია პო-პო, ანუ ჯერიმაია ბნელში.

ჩვენც ვუთხარით ჩვენი სახელები, რის შემდეგაც მასპინძელმა შემოგეთავაზა დავმჯდარიყავით, თვითონაც დაჯდა და ათასნაირი შეკითხვები მოგვაყარა შერეულ ინგლისურ-ტაიტურ კილოკავზე.

ღიასახლისმა, ორმოც წელს გადაცილებულმა სქელ-სქელმა გულკეთილმა ქალმა, ერთ ბერიკაცს დააეალა საჭმელი მოემზადებინა და ისიც გვერდით მოგვიჯდა. ჩვენი ჭუჭყიანი და მტკვრიანი სახე, ეტყობა, უხე საბაბს აძლევდა ამ გულკეთილ მანდილოსანს თანაგრძნობისათვის; იგი სიბრალულით შემოგვეცქეროდა და მალიმალ შეიცხადებდა ხოლმე.

თუმცა მარტო ჯერიმაია და მისი მეუღლე როდი ცხოვრობდნენ ამ სახლში.

კუთხეში, სვეტებზე შემდგარ აქაურ განიერ საწოლზე ნიძფა წამოწოლილიყო. ხშირსა და გრძელ თმებში სახე ძლივს მოუჩანდა; ახლალა აპირებდა სადილაო შორთვა-მოკაზმვას. ეს იყო პო-პოს ქალიშვილი, ძალიან ლამაზი თაფლისფერთვალეა გოგო; თოთხმეტ წელზე მეტისა არ იქნებოდა. მეტად მიმზიდველი რამ იყო. ოდნავ გაშლილ კოკობს ჰგავდა. მას ერქვა ლუ — მშვენიერი სახელი, რომელიც საესებით შეჰფეროდა, რადგან მასზე ლამაზი და კეთილშობილი ქალწული მთელ ეიმეოზე არ მოიძებნებოდა.

მაგრამ პატარა ლუ გულცივი და ქედმაღალი მზეთუნახავი გამოდგა, არასოდეს არ გვხდიდა თავისი ყურადღების ღირსად და მხოლოდ ხანდახან შეგვაუღებდა ხოლმე თვალს, რითაც ზანტ გულგრილობას გამოხატავდა. ასეთი აგდებული დამოკი-

დებულება ძალიან გვტკენდა გულს მე და ექიმს. ჩვენ ხომ ჯერაც არ შეგვეშრობოდა გულზე ცრემლები ლუპულუელი ქალიშვილებისა, რომლებიც მწარედ ტიროდნენ ჩვენთან გამოთხოვებისას.

როცა სახლში შევედით, პო-პო დილით დაგებულ გამხმარი გვიმრების ხალიჩას ასწორებდა; მომზადდა თუ არა საჭმელი, იგი პირდაპირ სურნელოვან იატაკზე დალაგებულ ბანანის ფოთლებზე გააწყვეს. ჩვენ მოხერხებულად დავსხედით და შემწვარი ღორის ხორცისა და პურის ხის ნაყოფების ჭამას შევუდექით; საჭმელი მოვვართვეს თიხის ჯამებით, მრავალი თვის განმავლობაში პირველად ვიხმარეთ ნამდვილი დანა-ჩანგალი.

ყველაფერმა ამან სიფაქიზის სხვა ნიშნებთან ერთად რამდენადმე შეამცირა ის გაკვირვება, რომელიც პატარა ლუს თავდაჭერილობამ გამოიწვია; მისი მშობლები უთუოდ პარტუეელი მაგნატები იყვნენ, თვითონ კი მდიდარი მემკვიდრე. სხვათა შორის შეენიშნეთ, რომ ჩვენი მისვლის მიზეზი ნავსაყუდელში მდგარი გემი იყო.

არფრეტიმ, პო-პოს ცოლმა გულკეთილმა ქალმა, გვიჩინა ჭამის შემდეგ დაგვეძინა, ხოლო როცა კარგად დასვენებულებს გაგვეღვიძა, კართან მიგვიყვანა და ქვემოთ ხეებისაკენ მიგვითითა, რომელთა მიღმა დავინახეთ წყლის მოელვარე ზედაპირი. ჩვენ ყველაფერს მივხვდით, იქით გავეშურეთ და, ხეებით დაჩრდილულ ღრმა ტბას რომ მივადექით, ვიბანავეთ და მერე შინისკენ გამოვიწიეთ. დიასახლისი გვერდით მოგვიჯდა, მან დიდი ინტერესით შეათვალიერა ექიმის მოსასხამი. მეასეჯერ შეახო ხელი ჩემს ჭუჭყიან დაგლეჯილ ტანისამოსს და თანაგრძნობით შესძახა: აჰ! ნუი, ნუი ოლი მანი! ოლი მანი! (აჰ, რა ძველია, ძალიან ძველია!).

არფრეტიმ, სანდომიანმა ქალმა, ამ სიტყვებით რომ მოვემართა, იფიქრა, რომ მშვენიერ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდა. სიტყვა „ნუი“ ისე კარგად არის ცნობილი მთელი პოლინეზიის უცხოელებისათვის და ისე ხშირად ხმარობენ ადგილობრივ მკვიდრებთან ლაპარაკში, რომ ეს უკანასკნელნი მთელ მსოფლიოში მიღებულ სიტყვად მიიჩნევენ. „ოლი მანი“, აქაურთა გამოთქმით, სხვა არაფერია, თუ არა „old man“¹. ამხანაგობის კუნძულების მცხოვრებნი, რომლებიც ინგლისურად ლაპარაკო-

¹ ბერიკაცი (ინგლ.).

ბენ, ამ სიტყვებით არა მარტო მოხუცებს აღნიშნავენ, არამედ ყოველგვარ ძველმანსაც.

არფრეტი სხვადასხვა ევროპული ტანისამოსით გამოტენილ სკივრთან მივიდა, იქიდან მატროსის ორი ქურთუკი და ორი შარვალი ამოიღო, ალერსიანი ღიმილით მოგვაწოდა, ჩითის ფარდასთან მიგვიყვანა და წავიდა. ჩვენ ზედმეტი წესიერების გარეშე გამოვიცვალეთ ტანისამოსი; ახლა მაძღარანი, გამოძინებულნი და დაბანილები სასიძოვებით წარვდექით მათ წინაშე.

მოსალამოვდა. სანათებს მოუკიდეს. ისინი განსაკუთრებული უბრალოებით გამოირჩეოდა: ნახევარ მწვანე ნესვში დაახლოებით მესამედამდე ესხა ქოქოსის ზეთი, რომლის ზედაპირზეც ტაპისაგან დაგრეხილი ფთილა ტივტივებდა. ღამის სანათად ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიგონებს კაცი; მქრქალი, ძილის მომგვრელი სინათლე გამოკრთოდა გამჭვირვალე ქერქიდან.

გავიდა ხანი, და სახლში თანდათან იწყეს თავის მოყრა დანარჩენმა ოჯახის წევრებმა, რომლებიც აქამდე არ გვენახა. გამოჩნდა კოხტად გამოწყობილი ტანადი ჭაბუკი, რომელსაც ღია ფერის ზოლიანი პერანგი ეცევა; წელზე შემოხვეული ჰქონდა ბარე ერთი საჟენი ღია ფერის ნაყშიანი ჩითი, რომელიც მიწამდე სწვდებოდა. შლაპაც ახალი ეხურა, ზედ სამი ლენტე ჰქონდა შემოვლებული: შავი, მწვანე და ვარდისფერი. ფეხსაცმელსა და წინდებს კი არ ატარებდა.

მოვიდა აგრეთვე ორი შავგვრემანი კოხტა გოგო. ტყუპები იყვნენ, მშვიდად მომზირალი თვალები და მშვენიერი თმები ჰქონდათ. ნახევრად შიშველნი, ქურციკებივით დანავარდობდნენ სახლში. მათ ჰყავდათ ოდნავ უმცროსი ძმა — მუქკანიანა ღამაზი ბიჭი, თვალები ქალისას რომ მიუგავდა. ყველანი ესენი პო-პოს კანონიერი შვილები იყვნენ.

მოვიდა ცოტა არ იყოს უცნაური შესახედაობის რამდენიმე დედაბერი, რომლებსაც გაცვეთილი ჭუჭყიანი ტილოს ლაბადები ისე მოჩაჩოდათ ტანზე, რომ მათი მფლობელნი მაშინვე მივაკუთვნე სარჩენად აკიდებულ ღარიბ ნათესაებს, რომლებიც მისი ბრწყინვალეობის, არფრეტის სამადლოდ ცხოვრობდნენ; ეს ნაღვლიანი, უწყინარი ბებრუცუნები ცოტას ლაპარაკობდნენ და კიდევ უფრო ცოტას ჭამდნენ; ან ისხდნენ და მიწას ჩაშტერებოდნენ, ანდა მოკრძალებით აღაპყრობდნენ თვალებს.

ისინი რომ ასეთები გახდნენ, ამაში, ეტყობა, კუნძულზე ცივილიზაციის შემოღწევას მიუძღოდა ბრალი.

კინალამ დამავეიწყდა მონი, ნიადაგ მოლიმარი ბერიკაცი, რომელიც საჭმელს გვიმზადებდა. მელოტი თავი მოლაპლაპე ბურთს მიუგავდა. პატარა მრგვალი ღიპი და კატისებრი ფეხები ჰქონდა. იგი სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს ასრულებდა— საჭმელს ამზადებდა, სუფრაზე გვემსახურებოდა და პურის ხეებსა და ქოქოსის პალმებზე დამერებოდა; ყველაფერ ამასთან ერთად თავის დიასახლისთან მეგობრობდა, საათობით ეჯდა გვერდით, თამბაქოს ეწეოდა და ლაყობდა.

ხშირად ნახავდით, თუ რა სწრაფად მუშაობდა დაუღალავი მონი. მერე, რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, უეცრად თავს დაანებებდა, სადმე შორიანხლო გაიქცეოდა, მყუდრო ადგილას მიწვებოდა და დაიძინებდა. რომ გამოიღვიძებდა, წამოხტებოდა და განახლებული ძალით განაგრძობდა მუშაობას.

პო-პოს და მისი ოჯახის წევრების ქცევაში ისეთი რაღაც შევამჩნიე, რამაც მაფიქრებინა, რომ იგი ეკლესიის ბურჯი იყო, თუმცა იმის საფუძველზე, რაც ტაიტიზე ვნახე, ძნელად თუ შეეუთავსებდი ამ ფიქრს მის ალალ, გულითად, ძალდაუტანელებელ ქცევას. არც შევმცდარვარ: პო-პოს, როგორც გამოირკვა, მნათის მაგვარი მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული. იგი მდიდარ კაცად ითვლებოდა და უმაღლესი ბელადის ახლო ნათესაეიც იყო.

სანამ დასაძინებლად დაწვებოდნენ, მთელი ოჯახის წევრები იატაკზე დასხდნენ და შუაგულში მდგარმა პო-პომ ხმამაღლა წაიკითხა ტაიტური ბიბლიის ერთი თავი. მერე სხვებთან ერთად დაიჩოქა და ლოცვა წარმოთქვა. ლოცვა რომ დაამთავრა, ყველანი დუმილით წავიდ-წამოვიდნენ. ასეთი საერთო ლოცვა მიმდინარეობდა ყოველ საღამოს და ყოველ დღით. ლოცვითვე იწყებოდა და მთავრდებოდა ამ ოჯახში ყოველი პურის ჭამა.

მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ ამ კუნძულებზე ნამდვილი კეთილსინდისიერება არავის გააჩნდა, იმან, რაც ჩვენი მასპინძლის სახლში ვნახე, ძალიან გამაკვირვა. მაგრამ პო-პო იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი — ერთადერთი, თუ არ ჩავთვლით არფრეტის, რომელსაც პირადად ვიცნობდი პოლინეზიის მკვიდრთა შორის.

საღაპური მოწყობილობა. ვეივი ღვთისმოსავი ხდება

ჩვენ დასაძინებლად მოგვაწყვეს.

პო-პოს საქორწინო სარეცლის ფეხებთან, მისდამი სწორი კუთხით იდგა „კოას“ ხისაგან გაკეთებული უფრო პატარა საწოლი. ქოქოსის კაკლის წენგოს ბოჭკოებისაგან დაწნულ მაგარ ბადეზე ეფინა ერთი თხელი ჭილოფი. ბალიშის მაგიერობას გამსმარი გვიმრის გროვა სწევდა, ზეწრად კი თეთრი ტაპის ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული. ეს საწოლი ჩემთვის იყო განკუთვნილი. ექიმს სხვა ადგილას გაუშალეს ლოგინი.

ლუს მარტოკას ეძინა დივანზე; იქვე ახლოს ლამპარი ენთო. მისი პეწენიკი ძმა მალლა მატროსულ საკიდ საწოლზე ირწვიოდა. ორი ქურციკი შორიახლო ჭილოფზე დაკუნტრუშობდა; მოხუც ნათესაეებს მონიმ თავისი ჩალის ლეიბი დაუგო კუზუსში, თვითონ კი ღია კართან დაწვა და ზვრინვა ამოუშვა. ყველანი რომ მოეწყვენენ მოსასვენებლად, პო-პომ მანათობელი ჩისვი შუა ოთახში დადგა. ასე გვეძინა დილაამდე.

როცა გამოძეღვიძა, მზის კაშკაშა სხივები ატანდა ბამბუკებს შორის ჭუჭრუტანებში. ჯერ ერთ-ერთი მძინარე ქალის მიმზიდველი პოზით ვტკბებოდი, მერე ყურადღება გადავიტანე ბინის საერთო ხელზე, რომელიც ძალიან დამახასიათებელი იყო ჩვენი მასპინძლის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის.

თვით სახლი აშენებული იყო უბრალო, მაგრამ მაღალი გემოვნების ადგილობრივ მკვიდრთა სტილით. იგი წარმოადგენდა ორმოცდაათიოდე ფუტის წაგრძელებულ სწორ ოვალს, რომელსაც ბამბუკისაგან დაწნული კედლები და პალმის ფოთლების სახურავი ჰქონდა. კიცურა ოცი ფუტით იქნებოდა დაშორებული მიწას. სახლს არავითარი საძირკველი არ ჰქონდა; მოტიტელებულ მიწის იატაკზე მხოლოდ გვიმრა ეფინა და მეტად არაფერი; ამგვარი ხალიჩა ძალიან კარგია, თუ მას ხშირად ცვლიან, წინააღმდეგ შემთხვევაში იმტეერება და პირაზიტების თავშესაფარი ხდება, როგორც ღარიბ კუნძულელთა ქოხებშია ხოლმე.

საწოლების გარდა, სახლში იდგა მატროსების სამი თუ ოთხი სკიფტი, რომლებშიც ინახებოდა მთელი ოჯახის ტანისამოსი: ბო-პოს სქელი ტილოს პერანგები, მისი ცოლ-შვილის ჩითის კაბები, აგრეთვე ყოველგვარი წვრილმანი ევროპული ნაწარმი: მძივების ასაცმელი ძაფები, ბაფთები, გერმანული სარკეები, დანები, იაფფასიანი ლითოგრაფიები, გასაღებები, ჭურჭლის ნამტვრევები და ღილები. ერთ-ერთ მათგანში არფრეტის შლაპები ჰქონდა შენახული; მასში ეწყო რამდენიმე ერთი და იმავე ფასონის ქუდი (ნახშირის ვედროები), ოღონდ სხვადასხვაფერი ბაფთებით გაწყობილი. არაფრით ისე არ იწონებდა თავს ჩვენი კარგი დიასახლისი, როგორც ამ ქუდებითა და თავისი კაბებით. კვირაობით იგი ბარე ათჯერ გამოდიოდა სახლიდან, და ყოველთვის დედოფალი ელისაბედივით იცვლიდა ტანისამოსს.

ბო-პომ რაღაც მოსაზრების გამო წესად შემოიღო, რომ ჩვენთვის ოჯახის სხვა წევრებზე ადრე მოერთმიათ საჭმელ; ექიმი, რომელიც მშვენივრად ერკვეოდა ამგვარ საქმეებში, ამტკიცებდა, თითქოს ჩვენ გაცილებით უკეთ გვკვებავდნენ, ვიდრე მათ. ყოველ შემთხვევაში ერიმეარის სტუმრებს რომ გამოტენილი ქისებით, ჩემოდნებითა და დედოფლისადმი მიწერილი სარეკომენდაციო წერილებით ემოგზაურათ, ამაზე უკეთ არ მოუვლიდა.

ჩვენი მოსვლის მეორე დღეს მოხუცმა მსახურმა მონიმ სადილად მიწაში შემწვარი გოჭი მოგვართა. მადის აღმძვრელი გოჭი ხის ფიცარზე იდო და გარშემო პურის ხის შემწვარი ნაყოფები ჰქონდა შემოწყობილი. მერე „პოით“ ანუ ტაროს პუდინგით საესე დიდი ხაპი მოიტანეს; ახალგაზრდა პეწენიკმა ჩვეული სიზარმაცე დაძლია და იქვე მდგარი ხიდან რამდენიმე ქოქოსის კაკალი ჩამოგვიგდო.

როცა ყველაფერი მზად იყო, ახმახმა სულმა ოჯახის წევრების დასანახად ღვთისმოსავივით დააწყო ხელები ჩასუქებულ ღორზე და ღმერთი ახსენა. ყველანი ნასიამოვნები დარჩნენ; ბო-პო ექიმთან მივიდა, ალერსიანად გამოეღაპარაკა, ხოლო არფრეტიმ დედობრივი სიყვარულით შეავლო თვალი და აღტაცებით შესძახა:

— აჰ! მიკონარი ტატა მაიტაი! — სხვაგვარად: „რა ღვთისმოსაში ახალგაზრდაა!“

ვისადილეთ თუ არა, დიასახლისმა მომიტანა ერთი იღლია ბალახი (რომლისგანაც მატროსები ტილოს ქუდის კარკასს აკეთებდნენ), ძაფგაყრილი ნემსი გამომიწოდა და მითხრა ახლავე შევდგომოდი საქმეს და შემეკერა შლაპა, რომელიც ძალიან მჭირდებოდა. ამგვარ სამუშაოში გაწაფული ვიყავი და წვნიც და კერვაც იმავე დღეს დაეამთავრე. არფრეტიმ სიბეჯითისათვის დამაჯილდოვა: თავისი შავგერემანი პატარა ხელებით აღისფერი ბაფთი შემომავლო ქუდზე და ასე მომირთო. მისი ორი გრძელი ბოლოს წყალობით, მატროსულ ყაიდაზე რომ მეკიდა უკან, მე შევინარჩუნე აღმოსავლური ტიტული, რომელიც ახმახმა სულმა მიბოძა.

თ ა ვ ი 75

გასეირნება ღაბაში

დილით საგულდაგულოდ გამოვეწყვეთ, სომბრეროები დაეიხურეთ და სასეირნოდ გამოვედით. ჩვენ არ გვინდოდა გაგვემხილა ჩვენი განზრახვა სამეფო კარის შესახებ და ამიტომ ძირითადად იმიტომ გავისეირნეთ, რომ გაგვეგო, შეიძლებოდა თუ არა ჰქონოდა თეთრკანიანს დედოფალთან რაიმე თანამდებობის მიღების იმედი. მართალია, ამის შესახებ პო-პოს ვკითხეთ, მაგრამ მაინცდამაინც საიმედო პასუხი ვერ მივიღეთ და გადავწყვიტეთ უფრო დაწვრილებითი ცნობები შეგვეგროვებინა.

მაგრამ მოდიტ ჯერ ზოგადად ავწეროთ სოფელი.

ღაბა პარტუეაში სულ რაღაც ოთხმოცი სახლია, რომლებიც გაფანტულია უზარმაზარ ჭალაში, სადაც ხეები ნაწილობრივ გაუჩნებავთ, ბუჩქნარი კი გაუნადგურებიათ. ჭალაში მდინარე მოედინება; იქ, სადაც მას მთავარი ქუჩა კვეთს, ქოქოსის პალმის ღეროების მოქანავე ხილია გადებული. ფართო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩა თავიდან ბოლომდე ჩრდილშია შეფარებული; დილის გასეირნებისათვის ეს ყველაზე მშვენიერი ადგილია, რაზედაც შეიძლება იოცნებოს მოხეტიალე კაცმა. ხეების მიღმა ორსავე მხარეს მოჩანს სახლები; ისინი ისეა აშენებული, რომ სრულიად არ შეესაბამება გზას; ზოგი პირდაპირ სახეშა შემოგყურებს, ზოგს ზურგი შეუქცევია და არც კი რცხენია.

ზოგჯერ ხის ქოხს წააწყდებით, ბამბუკის მესერი რომ აქვს შემოკლებული; ან კიდევ სახლს, რომელსაც კედელში ერთადერთი მასიური ფანჯარა ან ხისანჯამებიანი კარი აქვს დატანებული. ასეა თუ ისე, სახლები აშენებულია აქაური სტილით და რაც არ უნდა უბადრუკი და ჭუჭყიანი იყოს შიგნით ზოგიერთი მათგანი, გარედან საკმაოდ მიმზიდველი ჩანს.

ადამიანები, რომლებიც გზაში გვხვდებოდნენ, მზიარულად გვესალმებოდნენ და თავის სახლში გვეპატიუებოდნენ; ამგვარად ჩვენ ბევრგან ვიყავით დილის ხანმოკლე ვიზიტით. მაგრამ, ეტყობა, ასე აღრიანი სტუმრობა მიღებული არ იყო პარტუეაიში, რადგან ქალები ყოველთვის ნახევრად ჩაცმული გვხვდებოდნენ. თუმცა ისინი ძალიან გულთბილად გვეგებებოდნენ და განსაკუთრებული თავაზიანობით ეპყრობოდნენ ექიმს, ეალერსებოდნენ, ნაზად ეხვეოდნენ კისერზე; ისინი განცვიფრებული იყვნენ შარვათ, რომელიც ექიმს ყელზე ჰქონდა შემოხვეული (იგი გულკეთილმა არფრეტიმ აჩუქა დილით ღვთისმოსავ ჭაბუკს). ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პარტუეაის მკვიდრთა საერთო შესახედაობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე პაპეეტელი მცხოვრებლებისა; ეს გარემოება მხოლოდ იმას შეიძლება მიეწეროს, რომ ისინი უფრო იშვიათად ხვდებიან უცხოელებს.

კიდევ უფრო შორს რომ წავედით, მივაღექით მოსახვევს, სადაც ექიმი პირდაპირ შეკრთა განცვიფრებისაგან. ჰქონდა კიდევ მიზეზი. ჩვენს პირდაპირ ჭალაში ჩამწკრივებული იყო ორსართულიანი სწორკუთხა შეფიცრული სახლები, რომლებსაც კედლებში კარ-ფანჯრების სიოები ჰქონდა დატანებული. მივირბინეთ და დავინახეთ, რომ შენობები ინგრეოდა. ჩაშავებული კედლები ალაგ-ალაგ ხავსს დაეფარა; არც ფანჯრის ჩარჩოები ჰქონდა, არც კარები. ერთი მხრიდან ყველა შენობა თითქმის ფუტით იყო დაწეული. ნახევარსარდაფის მსგავს შენობაში რომ შევედით, ლამფაგაუკრავი კოჭებიდან დავინახეთ სახურავი; ჭუჭრუტანტში მზის სხივები ატანდა და ირგვლივ მოდებულ აბლაბუდას ანათებდა.

შიგნით ბნელოდა და შმორის სუნი იდგა. ერთ კუთხეში ძველ ჭილოფზე როგორც ბოშები ნანგრევებში, ისე მიკუნჭულიყო რამდენიმე უსახლკარო კუნძულელი. აქ იყო მათი მუდმივი ბინა.

ჩვენ დაინტერესდით, რომელ პარტუეაელს მოუყიდა თავში უმოძრაოდ შეენახა კაპიტალი, ვიკითხეთ და გავიგეთ, რომ სახლები რამდენიმე წლის წინათ აეშენებინა ვილაც ნამდვილ იანკის (ასეც ეფიქრობდით). პროფესიით ხუროს და ბუნებით მამაცსა და ფხიან ჭაბუკს.

ავადმყოფობის გამო მოეხსნათ გეშიდან; მაშინვე შესდგომოდა მუშაობას, გამოჯანმრთელების შემდეგ კი დაეწყო ნაჯახითა და რანდით ხელში აქეთ-იქით სიარული და ყველას რაღაცაში გამოსდგომოდა. ნათელი გონების დინჯმა კაცმა ბოლოს და ბოლოს რამდენიმე ბელადის ნღობა დაიმსახურა და მალე ჩაენერგა აზრები იმ სავალალო მდგომარეობის გამო, ა.ი. ეიმეოს მცხოვრებნი არ ზრუნავდნენ საერთო კეთილდღეობაზე. იგი დაჟინებით მიუთითებდა, თუ რა დამამცირებელი იყო მათთვის ბამბუკის საქათმეებში ცხოვრება, მაშინ როცა ფიცრებისაგან ბრწყინვალე სასახლეების აშენება ძალიან იოლი იყო.

საქმე იმით დამთავრდა, რომ მოხუცმა ბელადმა ყურად იღო ხუროს მოსაზრებანი და შესთავაზა რამდენიმე საუცხოო სასახლე აეშენებინა. ხუროს საკმაო ხალხი მისცეს, და ისიც შეუდგა მუშაობას: მთებში ხე-ტყის სახერხი გამართა, ხეების ჭრას მიჰყო ხელი და პაპეეტედან ლურსმნებიც მოატანინა.

მშენებლობა სწრაფად მიიწედა წინ; მაგრამ, საუბედუროდ, როგორც კი შენობა გადახურეს, იანკის მფარველი, რომელმაც ვერ შეაფასა თავისი შესაძლებლობა, სულ მთლად გაკოტრდა, თავისი ვალდებულებანი ვერ გაანაღდა და გირვანქაში თითო ფილა თამბაქოც კი ვერ გასცა. მისი გაკოტრება ხუროსაც დაეტყო, და იგი ნავსადგურში შემოსული პირველივე გემით გაექცა მევალეებს.

ადგილობრივი მკვიდრნი ზიზღით უყურებდნენ ფიცრებისაგან აშენებულ სასახლეს და, რამდენი გაუელიდნენ, იმდენი თავს აქნევდნენ და ხითხითებდნენ.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ დედოფლის რეზიდენცია დაბის განაპირას იყო. და აი, ეიოლინოს შოვნას არ დაველოდებივართ, უეცრად გადავწყვიტეთ იქ მივსულიყავით და გაგვეგო, ხომ არ მოიძებნებოდა საიდუმლო საბჭოს წევრთა ვაკანტური თანამდებობანი.

ჩემს ნაამბობში იმ იმედების შესახებ, რომ სამეფო კარზე კარგ თანამდებობას მივიღებდით, მხიარული ექიმის მონაწი-

მახი ბევრი სისულელეა, მაგრამ ნამდვილად ვიძელოვნებდით, რომ საქმე ჩვენს სასიკეთოდ შემობრუნდებოდა.

სასახლის არემარეს რომ მიუჯახლოვდით, თვალწინ უჩვეულო სანახაობა გადაგვეშალა. გათლილი მარჯნის ლოდების ფართო ყორე პირდაპირ ზღვაში ჩადიოდა. ყორეზე და მის მახლობელ ჭალაში იდგა ადგილობრივ მკვიდრთა ძალიან დიდი სახლი, რომელიც საუცხოო სტილით იყო ნაგები და ბამბუკის დაბალი მესერი ჰქონდა შემოვლებული, საკმაოდ ვრცელ ნაკვეთს რომ მიჯნავდა.

ამხანაგობის კუნძულებზე ბელადების რეზიდენცია მეტწილად ძალიან ახლოა ზღვასთან; ასეთი ადგილმდებარეობა საშუალებას იძლევა სავსებით დატკბეს კაცი გრილი ნიავეით, იქ მცხოვრებთაც ნაკლებად ტანჯავთ აბეზარი მწერები; გარდა ამისა, შეუძლიათ თავი შეაფარონ მეზობელ ჭალებს, რომლებიც წყლის პირას განსაკუთრებით არის ზოლმე გაფურჩქნილი.

შემოღობილში დავინახეთ კოხტად გამოწყობილი სამოცი თუ ოთხმოცი ადგილობრივი მკვიდრი, ქალები და კაცები; ზოგი სახლების ჩრდილში წამოწოლილიყო, ზოგი—ხეებქვეშ, რამდენიმეს ჩვენს პირდაპირ მოეყარა თავი ღობესთან და ლაპარაკობდნენ.

ახლოს მივედით და ჩვეულებრივი მისაღმების შემდეგ ბამბუკის მესერზე გადახტომა დავაპირეთ, მაგრამ ადგილობრივმა მკვიდრებმა გაჯაერებით გვითხრეს, შესვლა აკრძალულიაო. ჩვენ აუუხსენით, რომ გულით გვეწადა დედოფლის ნახვა, თან მივახვედრეთ, რომ მნიშვნელოვანი რამ გვინდოდა გვეცნობებინა. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, და ჩვენ იძულებული გავხდით იმედგაცრუებულნი დავბრუნებულიყავით პო-პოს სახლში.

თ ა მ ი 76

ეიფიოელი კაკლუცი. ჩვენ ვეწვიეთ გემს

სახლში რომ დავბრუნდით, გულახდილად ვუთხარით პო-პოს, თუ რატომ ვიყავით ტალუში, და მეგობრული რჩევა ვთხოვეთ. მან დამტვრეული ინგლისურით სიამოვნებით გვაცნობა, რაც გვჭირდებოდა.

მისი სიტყვით, დედოფალს მართლაც ჰქონდა განზრახული წინააღმდეგობა გაეწია ფრანგებისათვის; ამას წინათ ცნობილი გახდა თურმე, რომ ბორაბორის, ჰაუჭინეს, რაიატეისა და ტაპარის -- საქარე კუნძულების -- ზოგიერთი ბელადი სწორედ ახლა ეთათბირებოდა დედოფალს მთელ არქიპელაგზე აჯანყების მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ, რათა თავიდან აეცილებინათ დაპყრობთა შემდგომი შემოჭრა. თუ მართლა გადაწყვეიტეს საომარ ღონისძიებებს მიმართონ, მაშინ პომარე უთუოდ მოხარული იქნება შემოიკრიბოს ყველა უცხოელი, რომელსაც კი დაითანხმებს. მაგრამ ექიმისა და ჩემთვის რომ ოფიცრობა ებოძებინა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რადგან მეტმა წილმა ეკროპელებმა, რომლებსაც იგი იცნობდა, უკვე გამოთქვეს ოფიცრად გახდომის სურვილი. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ შევეშვიტ დედოფალთან, ასეთი შესაძლებლობა პო-პოს საეჭვოდ ეჩვენებოდა, რადგან ამ დროს იგი, ავადყოფი და გულდამძიმებული, განმარტოებით ცხოვრობდა და არავის ნახვა არ სურდა. თუმცა, სანამ უბედურება დაატყდებოდა თავს, არც ერთ ადამიანს, რაოდენ ხელმოკლევც არ უნდა ყოფილიყო, არასოდეს არ ეუბნებოდნენ უარს აუდიენციაზე; მეზღვაურებს იმის უფლებასაც კი აძლევდნენ, რომ მის სადილაო მორთვა-მოკაზმვას დასწრებოდნენ.

მაგრამ ჩვენ გულშიც არ გავგივლია, რომ ასე ადვილად აგველო ხელი ჩვენს გეგმებზე. გადაწყვეიტიტ მანამდე დაერჩენილიყავით პარტუვავიში, სანამ რაიმე ამბავი არ შექმნიდა მათი განხორციელების უფრო ხელსაყრელ პირობებს. იმავე დღეს გავისეირნეთ ნავსადგურისაკენ, სადაც ყურის სიღრმეში დახურულ რეიდზე ლუზა ჰქონდა ჩაშვებული გემს, რომელსაც დიდი ხანია გვინდოდა ვწვეოდით.

დაბალსა და გრძელ ფარდულს რომ ჩაუუარეთ, ვილაცამ გამოგეძახა: „ექვი, თეთრკანიანებო!“ — მივბრუნდით და დავინახეთ ვარდისფერლოყება ინგლისელი (მის ეროვნებას ერთი შეხედვით განსაზღვრავდით), რომელიც მუხლამდე ბურბუშელაში იდგა და რალაცას აშლაშინებდა დაზგაზე. გემიდან გამოქცეული ხურო გამოდგა; ახლახან მოსულიყო ტაიტიდან და ახლა სარფიან საქმეზე მუშაობდა: ბუფეტებსა და სხვა ავეჯს უკეთებდა მდიდარ ბელადებს, იშვიათად კი ზარდახშების დამზადებაშიც ცდიდა თავს. რამდენიმე თვე იყო, რაც დაბაში ცხოვრობდა და

უკვე სახლებისა და მიწის ნაკვეთების მფლობელი გამხდარიყო.

ყველაფერი ჰქონდა — სიმდიდრეც და ჯანმრთელობაც, ოღონდ ცოლი აკლდა, ეს იყო. ამ თემაზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, ინგლისელი მოიღუშა და ნაღვლიანად დაეყრდნო დაზვას.

— რა მძიმეა, — ამოიოხრა მან, — სამ გრძელ წელიწადს ლოდინი, მაშინ როცა ჩემი პატარა სატრფო ლული ამ ოხერი ტაპარელი ბელადის სახლში ცხოვრობს!

ჩვენ დავინტერესდით. ალბათ საწყალ ხუროს რომელიმე აქაური კეკლუცი შეუყვარდა და ეს უკანასკნელი ატყუებს?

მაგრამ თურმე სულაც არ იყო ასე. არსებობდა კანონი, რომელიც მძიმე სასჯელის მუქარით კრძალავდა ადგილობრივი მკვიდრისა და უცხოელის ქორწინებას, სანამ ეს უკანასკნელი დაბეჯითებით არ განაცხადებდა, რომ კუნძულზე სამი წლის ცხოვრების შემდეგ განზრახული ჰქონდა სამუდამოდ დარჩენილიყო.

ამგვარად, უილიამი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან გვითხრა, ეს წყეული კანონი რომ არა, კარგა ხნის წინათ შევირთავდი ცოლსო. თუმცა ამ ბოლო დროს ქალი ისე აღარ ეალერსებოდა და სხვებს ეკეკლუცებოდა, კერძოდ — ჩამოსულ ტაპარელებს. ეს გულში მოხვდა უილიამს, და გადაწყვიტა, რაც არ უნდა დასჯდომოდა, ცოლად შეერთო ქალიშვილი. მან ქალის ნათესაებს შესთავაზა ჯერჯერობით ნიშნობა გადაეხადათ მხოლოდ, მაგრამ მათ გაგონებაც არ სურდათ; თანაც, თუ გამჟღავნდებოდა, რომ უილიამი და ლული კანონის საწინააღმდეგოდ ერთად ცხოვრობდნენ. ორივეს დამამცირებელი სასჯელი ელოდა; მათ ქვიტკირის კედლების ასაშენებლად და დედოფლის გზების გასაყვანად გაგზავნიდნენ.

ექიმი ახმახი სული თანაგრძნობით აღივსო.

— ბილ, მეგობარო, — მთრთოლვარე ხმით უთხრა მან, — რა იქნება, რომ მივიდე და მოველაპარაკო?

მაგრამ ბილმა უარი თქვა ამ წინადადებაზე და ისიც კი არ გვითხრა, თუ სად ცხოვრობდა მისი ტურფა.

ჩვენ დავტოვეთ სასოწარკვეთილი უილიამი, რომელმაც კვლავ განაგრძო ახალზელანდიური ნამვის გაშალაშინება (ბეიოფ-აილენდსიდან რომ მოეტანა) და ლულიზე ოცნება, და გზა განვაგრძეო.

პო-პოს სახლიდან ტალუს ნავსადგურის საღუზისაკენ რომ

მიემართებით, ზღვას მანამ ვერ დაინახეთ, სანამ ხშირი ჭალი-
დან არ გახვალთ და მოულოდნელად ნაპირზე არ აღმოჩნდებით.
მაშინ თქვენს თვალწინ გადაიშლება ყურე, რომელიც ბევრ მოგ-
ზაურს ყველაზე ლამაზად მიაჩნია სამხრეთის ზღვებში. თითქოს
ღრმა მწვანე მდინარის პირას დგახართ, ხეობაში რომ მოედინ-
ება და ზღვას ერთვის. თქვენს პირდაპირ დიდებული კონცხი
ყოფს ამ ღრმა ყურეს მეორისაგან, რომელიც მისი აღმოჩენის
კაპიტან კუკის სახელითაა ცნობილი. კონცხის კალთა, ტალუსაკენ
რომ ეშვება, წარმოადგენს ერთ მთლიან მწვანე კედელს, რომ-
ლის ქვეშაც უძირო ზღვა გადაჭიმულა. მარცხნივ ოდნავ მოჩანს
მდინარის შესართავი, რომელიც თანდათან ფართოვდება; ესაა
რიფებს შორის გასასვლელი, რომლითაც გემები შემოდინან,
იმის იქით კი ვრცელი ოკეანეა. მარჯვნივ ყურე კონცხს შემო-
უვლის და ღრმად იჭრება ხმელეთში, სადაც მას ყოველი მხრი-
დან ებჯინებიან კონცხები, რომლებიც მუხლამდე ბალახს დაუ-
ფარავს და ზღაპრული მწვერვალებით ცას სწვდებიან. მხოლოდ
ერთ ადგილას ყურის სიღრმეში ბორცვებს შორის მდებარეობს
გაშლილი სივრცე; შორს იგი ბურუსით მოცულ ფართო ველში
გადადის, მთების ამფითეატრის ძირას რომ გადაჭიმულა. სწო-
რედ იქ არის შაქრის ლერწმის დიდი პლანტაცია, რომელიც
ადრე მოვიხსენიე. პირველი მთაგრეხილის იქით ხედავთ მწვერ-
ვლებს, ქვეყნის შუაგულს რომ დასცქერიან, და მათ შორის იმ
მდუმარე დიდთავა ლურსმანს, რომლის ცქერითაც ხშირად
ვტკბებოდით კუნძულის საპირისპირო მხარეს.

მარტოდმარტო იდგა ნავსადგურში დიდებული გემი „ლევია-
ათანი“. პირაგუაში ჩავსხედით და მისკენ გავეშურეთ. შუადღე
უკვე გადასული იყო, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა; გემზე
რომ ავედით, დავინახეთ რამდენიმე მატროსი, რომლებიც ბაკზე
ტენტქვეშ წამოწოლილიყვნენ. უცხვირაპიროდ შეგკვებდნენ; თუმ-
ცა საერთოდ კეთილი ადამიანები ჩანდნენ, მაგრამ ალბათ ჩვენი
მისვლა არ ესიამოვნათ, სახეზე უკმაყოფილება გამოეხატათ.
უნდოდათ გაეგოთ, ხომ არ ვაპირებდით „ლევიათანზე“ მუშაო-
ბის დაწყებას, და, როგორც მათი არაკეთილსასურველი შეჟა-
სების მიხედვით დავასკენით, ეტყობა, ცდილობდნენ ხელი შეე-
შალათ ამ საქმეში.

ჩვენ ვიკითხეთ, თუ სად იყვნენ ეკიპაჟის დანარჩენი წევრე-
ბი. პირქუშმა ხნიერმა მატროსმა გვიპასუხა:

— ერთი ველბოტის რაზმი ზღვის ფსკერზე განისვენებს სადღაც: წინა ნაოსნობისას ვეშაპს დაედევნენ და ჭირი მოგჭამეს. ღამით მთელი შტირბორტის გუშაგები გაიქცნენ და ახლა შვიპერი ცდილობს როგორმე ჩაავლოს.

— რაო, სამუშაოდ მოხვედით, ძვირფასებო? — წამოიძახა ბელფასტელმა პატარა თმახუჭუჭა მატროსმა და მოგვიანლოვდა.— აი თქვენ კი გაქრით, თქვენა!.. აბა, მოუსვით აქედან; ის ოხერი შვიპერი არც კი შეგეკითხებათ, ორივეს ისე გაგაქანებთ ზღვაში. აბა, გასწით, ძვირფასებო, და რაც შეიძლება ერიდეთ ამ საძაგელ მონურ გემს, სანამ ცოცხლები ხართ. ისინი ყოველ ცისმარე დღე გვაწამებენ და თან შიმშილით სულს გვხდიან. ეჰეი, დიკ, მეგობარო, ერთი ამ საცოდავების პირაგუა აქეთ მოიყვა, თქვენ კი მოუსვით, თუ თავი არ მოგებზრებიათ.

მაგრამ ჩვენ არ ვჩქარობდით, რადგან ვცდილობდით უფრო დაწვრილებით გამოგვერკვია, ღირდა თუ არა მუშაობა დაგვეწყო გემზე; ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ ვახშმად აქ დავრჩენილიყავით. არასოდეს ჩემი დანა არ ჩასობილა იმაზე უკეთეს კასახეში, რომელსაც ქვემო ბანზე ჩამოტანილ კასრში წავაწყვდით. ორცხობილებით გამოხუხული იყო და მინასავით იმსხვრეოდა. ერთსა და მეორესაც ბლომად იძლეოდნენ.

სანამ ქვემოთ ვიყავით, კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ ვიდაცა გამოიძახა გემბანზე. მისი ხმა მომეწონა. ეს ხმა სახის გამომეტყველებაზე ნაკლებ როდი ლაპარაკობდა ადამიანზე, თანაც იგი ნამდვილ მეზღვაურს ეკუთვნოდა და არა ზედამხედველს.

თვით „ლევიათანიც“ ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. დიდი და მყუდრო ვეშაპსანადირო გემების მსგავსად ისიც რაღაცნაირად ჩამოჰგავდა დედას: მასაც ისეთივე ფართო კორპუსი, მთლიანი გემბანები ჰქონდა და ქიმებზე ოთხი მუცელგამობერილი ველბოტი ეკიდა. იალქნები თავისუფლად იყო დამაგრებული ქანდარებზე, თითქოს დიდი ხნის წინათ დაუკიდიათო, და პირნათლად ასრულებდნენ თავის სამუშაოს; ოდნავ მოჭიმული ვანტები დაუდევრად ჩამოშვებულყო, ხოლო რაც შეეხება მოძრავ ტაკელაჟს, იგი მუდამ მსუბუქად მუშაობდა და სულაც არ ჰგავდა იმას, ზოგიერთ „პეწიან გემზე“ რომ გვენახა, სადაც ერთთავად იჭედება ხოლმე ჭოჭონაქების ბორბლებში, რომლებიც ჩინური ფეხსაცმლისა არ იყოს, ისე ვიწროა, რომ ხმარება შეუძლებელია; პირიქით, აქ გემსართავი ისე მსუბუქად მოძრაობდა,

თითქოს მრავალჯერ ეხმარათ და ყველაფერს ყოფილიყო შეკვეული.

როცა მოსალამოვდა, პირაგუაში ჩავსხედით და ნაპირისაკენ გავემართეთ სრულიად დარწმუნებულნი, რომ დიდებული ხომალდი არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებდა იმ სახელს, რომელიც მისთვის დაერქმიათ¹.

მ ა წ ა ნ წ ა ლ ე ბ ი ს ბ რ ბ ო . პ ა ტ ა რ ა ლ უ და ე ჟ ი მ ი

პარტუვიაში ცხოვრებისას ერთხელ გადავწყვდით ექვს გამოუსწორებელ მაწანწალას, რომლებიც ახლახან მოსულიყვნენ კუნძულის სხვა ნაწილიდან და ახლა დაბისა და ნავსადგურის ახლოს დაეხეტებოდნენ.

რამდენიმე დღის წინათ დაეტოვებინათ ვეშაპსანადირო გემი, რომელზედაც ექვს თვეს მუშაობდნენ იმ პირობით, რომ პირველსავე ნავსადგურში მისვლისას გაუსწორებდნენ ანგარიშს. რეწვა ძალიან იღბლიანი გამოდგა თურმე, მათ დოლარები ჩაიჯიბეს და ტაიტზე გადმოვიდნენ.

ნაპირზე ცხოვრება რომ მობეზრდათ, დარჩენილი ფულით საზიაროდ იყიდეს იალქნიანი კანჯო, — განზრახული ჰქონდათ რომელიღაც უკაცრიელი კუნძული მონებაზულებინათ. ამ კუნძულის აურაცხელ სიმდიდრეზე საარაკო ამბებს ჰყვებოდა ხალხი. რა თქმა უნდა, მათ არც კი უფიქრიათ ისე გასულიყვნენ ზღვაში, რომ სააფთიაქო ყუთში ჩაწყობილი სპირტით სავე ბოთლები არ წაეღოთ; არც იმავე სითხით სავესე პატარა კასრი დავიწყებიათ, — ეინიცობაა ყუთი დაცარიელდესო.

მათ საკუთარი ალაში აღმართეს, იალქნები აუშვეს, სამჯერ შესძახეს „ვაშა“ და ზურგქარს აყოლილებმა დატოვეს პაპეეტეს ყურე.

მოსალამოვდა. ჩვენმა გახალისებულმა მოგზაურებმა, რომლებსაც ძილი არ ეკარებოდათ, გადაწყვიტეს მთელ ღამეს ელოთათ. ასეც მოიქცნენ და ლაზათიანად გამოთვრნენ კიდევც.

¹ ლ ე ვ ი ა თ ა ნ ი — ბიბლიური გველეშაპი.

შუალამემ რომ მოატანა, ორივე ანბა ჩამოიქცა ხიმღერის პან-
გებქვეშ:

და ბარბარის ნაპირებს
მივადგებიო მალე...

საბედნიეროდ, ერთ-ერთმა მამაცმა მეზღვაურმა კიდეც შეძ-
ლო რუმპელთან დგომა, დანარჩენებმა მოახერხეს ფორთხვით
მისულიყვნენ საბაგირო ტალრეპებამდე, გადაეჭრათ და ასე გან-
თავისუფლებულიყვნენ ჩამოქცეული ანძებისაგან. ამ ავრალის
დროს ორმა მატროსმა მშვიდად გადააბიჯა გემიდან; მათ მოეჩ-
ვენათ, რომ ნავმისადგომზე გადადიოდნენ, საიდანაც უფრო მო-
ხერხებულად იმუშავებდნენ და პირდაპირ ფსკერისაკენ გასწიეს.

ამ დროს ამოვარდა საშინელი ქარიშხალი; კომოლორია,
რომელიც საჭესთან იდგა, ინსტინქტურად ქარის მიმართულე-
ბით წარმართავდა კანჯოს და ამით კუნძულ ეიმეოს პირდაპირ
შიაქანებდა. კანჯომ სრუტე გადასერა, რაღაც სასწაულით გაძ-
ვრა რიფებს შორის გასასვლელში და მარჯნის მარჩხობში შეი-
ჭრა, სადაც ძლიერა ღელვა არ იყო. იქ ნავი დალამდე იდგა,
სანამ ადგილობრივმა მკვიდრებმა არ მოაკითხეს პირაგუებათ.
ჩვენმა თავადასავლის მაძიებლებმა კუნძულელების დახმარე-
ბით სანდალი გვერდზე გადმოაბრუნეს; რომ დარწმუნდნენ ძი-
რი სულ მთლად დამსხვრეული ჰქონდა, ჩალის ფასად მიჰყი-
დეს ოლქის ბელადს, თვითონ ფეხით გასწიეს, თან სპირტი
საუსე ძვირფას კასრს მიაგორებდნენ. სპირტი სულ მალე აორ-
თქლდა, და ისინი პარტუვაიში გამოცხადდნენ.

ამ ადამიანებთან შეხვედრის მეორე დღეს მეზობელ ჭალებ-
ში დავეხეტებოდით; უეცრად დავინახეთ ადგილობრივი მკვიდ-
რთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც უხეში თოფებით, ჟანგიანი
ჩანჯლებითა და რაღაცნაირი კომბლებით იყვნენ შეიარაღებუ-
ლი. ისინი ბუჩქებს ურტყამდნენ კომბლებს და ყვიროდნენ,
იჭყობა, ვიღაცის დაფრთხობა უნდოდათ. კუნძულელები ეძებ-
დნენ უცხოელებს, რომლებმაც თურმე ერთ ღამეს ათასი უკა-
ნონო საქციელი ჩაიდინეს და ახლა გაქცევით უშველეს თავს.

დღისით პო-პოს სახლში შეიძლებოდა მშვენივრად დაგეს-
ვენათ; ამიტომ სეირნობისა და ღირსშესანიშნავი ადგილების
ლათეალიერების შემდეგ შინ ვბრუნდებოდით და იქ კარგა ხანს
ვრჩებოდით. ვსაუზმობდით გვიან, სადილს კი ორ საათზე მივირ-
თმევდით. ზოგჯერ გვიმრით მოფენილ იატაკზე ვიწექით, ვეწე-

ოდით თამბაქოს და ვეყვბოდით ანეკლოტებს, რომლებიც ექამმა თადარიგში გასულ არმიის კაპიტანზე ნაკლები როდი იცოდა, ზოგჯერ კი აღვილობრივ მკვიდრებთან ვლაცობდით. ერთხელ — რომ იცოდეთ, როგორ გაგვეხარდა — პო-პომ მოგვიტანა სმოლეტის¹ რომანების სამი ტომი, რომლებიც კუნძულზე რამდენიმე ხნის წინათ გარდაცვლილი მატროსის სკივრში ეპონა.

ამელია პერიგრინ! შენც, ემმაკური თავგადასაულების გმირო ფატომ! ეს რა მადლი გვიყავით!

არ ვიცი, ამ რომანების კითხვამ თუ სენტიმენტალური გართობის წადილმა წააქეზა ექიმი, როცა მან პატარა ლუს გულის მონადირება განიზრახა.

როგორც უკვე ვთქვი, პო-პოს ქალიშვილს ძალიან ცივად ეჭირა თავი და არასოდეს არ გვზღიდა ყურადღების ღირსად. ხშირად მივმართავდი მოწიწებით, მაგრამ ამოდ; იგი შავგვრემან ლამაზ ცხვირსაც კი არ მოაბრუნებდა ზოლმე ჩემკენ. აჰ! ყველაფერი ნათელია, ვფიქრობდი მე; ლუმ მშვენივრად იცის, რა ურცხვი ვაჟბატონებიც არიან მატროსები და არ სურს რაიმე საქმე ჰქონდეს ჩვენთან.

მაგრამ ჩემი ამხანაგი ასე როდი ფიქრობდა. მას უნდოდა, რომ ლუს უშფოთველ, ცივად მოციალე თვალებში გზნება ჩასდგომოდა.

ახმახმა სულმა განსაცვიფრებელი ტაქტით მოახერხა დაახლოება. იგი მეტისმეტად ფრთხილად შეუდგა საქმეს და სამი დღის განმავლობაში მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ ყოველი პურის ჭამის შემდეგ ხუთ წუთს ნაზად უყურებდა ნიშფას. მეოთხე დღეს რაღაცა ჰკითხა; მეხუთე დღეს ქალიშვილს მალამოიანი ნაჭუჭი გაუვარდა ხელიდან, ექიმმა აიღო და მიაწოდა; მეექვსე დღეს ახმახი სული მივიდა და სამიოდე იარღის მოშორებით დაჯდა დივანთან, რომელზედაც ლუ იწვა. ხოლო მეშვიდე დღის დაუვიწყარ დილას მან ყველა წესის დაცვით გახსნა ცეცხლი.

ქალიშვილი გვიმრით მოფენილ იატაკზე წამოწოლილიყო. ცალ ხელზე ლოყა ჩამოედო, მეორით კი ტაიტურ ბიბლიას ფურცლავდა. ექიმი მიუახლოვდა.

¹ ტობაიას სმოლეთი (1721—1771) — ცნობილი ინგლისელი მწერალი ამელია, პერიგრინი, ფატომი — მისი რომანის გმირები.

მთავარი დაბრკოლება, რომელსაც ახმახი სული წააწყდა, იმაში მდგომარეობდა, რომ მან სრულიად არ იცოდა კუნძულელთა სასიყვარულო ლექსიკონი. მაგრამ, როგორც ამბობენ, ფრანგი გრაფები მომხიბლავად ახერხებენ დამტკრეული ინგლისურით სიყვარულის ახსნას; ასე რომ, ექიმს არაფერი არ უშლიდა ხელს, იგივე გაეკეთებინა ხმატკბილ ტაიტურ ენაზე და აი მანაც დაიწყო.

— აჰ! — თქვა მან მომხიბლავი ღიმილით. — ოი მიკონარი? ოი ბიბლია კითხულობს?

არავითარი პასუხი, არც შემოხედვა.

— აჰ! მაიტაი! ძალიან კარგი კითხულობს ბიბლია მიკონარი.

ლუ არ განძრეულა, ოღონდ ხმამაღლა განაგრძო კითხვა.

— მიკონარი ბიბლია კითხულობს კარგი მაიტაი, — კვლავ წარმოთქვა ექიმმა და უკვე შესამედ გადააადგილა ოსტატურად სიტყვები.

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო; ლუ ყურადღებას არ აქცევდა.

სასოწარკვეთილი ექიმი გაჩუმდა; მაგრამ როგორ დაეხია უკან? იგი მის გვერდით წამოწვა, სიმხნევე მოიკრიბა და წიგნის ფურცვლა დაიწყო.

ლუ შეკრთა, ოღნავ შესამჩნევად შეკრთა, მერე რაღაცა დამალა მუჭში და კვლავ განაგრძო უძრავად წოლა. ექიმმა, რომელსაც საკუთარი თავხედობისა შეეშინდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო შემდეგ. ბოლოს მან ფრთხილად მოხვია ქალიშვილს წელზე ხელი და იმწამსვე ყვირილით წამოხტა. პატარა ეშმაკმა ეკალი შეურჭო, თვითონ კი კვლავ განაგრძო მშვიდად წოლა, თან წიგნს ფურცლავდა და ჩურჩულით კითხულობდა.

ჩემმა ახმახმა მეგობარმა მაშინვე მოხსნა ალყა და უწესრიგოდ დაიხია უკან იმ ადგილისაკენ, სადაც მე ვიწექი და თვალს ვადევნებდი, რა ხდებოდა.

ეჭვი არ მეპარება, რომ ლუმ ეს ამბავი უამბო თავის მამას, რომელიც სულ მალე შემოვიდა და ცოტა არ იყოს უცნაურად შეხედა ექიმს. მაგრამ პო-პოს არაფერი უთქვამს და ათი წუთის შემდეგ ისევე ალერსიანი იყო, როგორც ყოველთვის. რაც შეეხება ლუს, იგი ოღნავაც არ შეცვლილა და, რა თქმა უნდა, აღარც ექიმს უცდია რამე.

მისის ბელი

ერთ დღეს, ჩაფიქრებული რომ მივეყვებოდი ბილიკს ტალუს განაპირა ჩრდილოვან ჭალებში, უეცრად განცვიფრებული შევდექი მზიური სახეების წინაშე. ჩემკენ მსუბუქად მოათოხარი-კებდა თეთრ ფუჯა ცხენს ლამაზი, მიმზიდველად გამოწყობილი ახალგაზრდა ინგლისელი ქალი.

მივიხედ-მოვიხედე, რათა დავრწმუნებულიყავი, მართლა პოლინეზიაში ვიყავი თუ არა. ირგვლივ პალმები აღმართული-ყო; მაშ საიდან გაჩნდა ეს ლედი?

როცა სახება მომიახლოვდა, განზე გავდექი და თავაზიანად დაუუკარი თავი. ქალბატონმა თამამი სხივოსანი მზერა მესროლა, მერე თავის ცხენს კისერზე ხელი მოუთათუნა და მხიარულად შესძახა: „გაფრინდი, უილი!“... და ხეებს შორის გააჭენა. მე დავედვენებოდი მომხიბლავ მხედარს, მაგრამ უილის ფლოქეებს ისეთი თქარათქური გაჰქონდა ხმელ ფოთლებზე, რომ გამოკიდება ამო იყო.

პირდაპირ პო-პოს სახლისაკენ გავწიე და ექიმს ეუამბე ჩემი თავგადასავალი. მეორე დღეს კითხვა-კითხვით გავიგეთ, რომ უცნობი ქალი სიღნეიდან იყო მოსული, ორ წელიწადს ცხოვრობდა კუნძულზე და მისტერ ბელს (ბედნიერს!) ჰყავდა ცოლად. მისტერ ბელა გახლდათ მფლობელი შაქრის ჭარხლის პლანტაციისა, რომელიც ადრე მოვიხსენიე.

იმავე დღეს გავემართეთ პლანტაციისაკენ.

იქაურობა თვალწარმტაცი იყო: ამწვანებულ ტაფობს ბორცვების დამრეცი კალთები. შემოვლებოდა გარს. შაქრის ლერწმის პლანტაცია—სიმწიფის სხეადასხვა სტადიაში მყოფი ლერწმის ასამდე აკრზე იყო გადაჭიმული,—მართლაც რომ ყვავდა თუმცა მიწის დიდი ნაკვეთი, რომელსაც წინათ, ეტყობა, აშუშავენდნენ, ახლა მიეტოვებინათ.

შაქროვანი ნიეთიერების მიღება წარმოებდა ბამბუკის ვეებერთელა ფარდულში. იქ ჩვენ ვნახეთ ლერწმის დასაქუცმაცებელი რამდენიმე უხეში ხელსაწყო, აგრეთვე შაქრის გამოსახდელი დიდი ქვაბები. მაგრამ ამჟამად მუშაობა არ მიმდინარეობდა. ერთ-ერთ ქვაბში ორი-სამი კუნძულელი იჯდა და თამ-

ბაქოს სწევდნენ, ერთი კიდე „ლევიათანის“ სამ მატროსს ეთამაშებოდა ბანქოს.

ამ ყმაწვილებს რომ ველაპარაკებოდით, მოვიდა უცნობი კაცი—რომანტიული სახის, მზისაგან გარუჯული ევროპელი, რომელსაც ხატაურის განიერი კოსტიუმი ეცვა; წვრილი კისერი და გულმკერდი შიშველი ჰქონდა; თავზე გუაიაკილური ფართოფარფლებიანი კობტა ქული ეხურა, ჩინური ქოლგის მსგავსი. ეს იყო მისტერ ბელი. ძალიან თავაზიანად იქცეოდა. თავისი კარ-მიდამო დაგვათვალღიერებინა, მერე ფანჩატურში შეგვიყვანა და, ჩვენდა გასაოცრად, ღვინოზე მიგვიპატიჟა. ადამიანებმა ხშირად იციან მიპატიჟება, მაგრამ მისტერ ბელმა მართოდენ სიტყვები კი არ გვაკმარა, არამედ არომატული ხერესით სავსე ბოთლი შემოდგა სუფრაზე. ახლახან მოწყვეტილი და შუაზე გაჭრილი ღვინოსფერი ნესვებით დავლიეთ ღვინო. საუცხოო თასებია!

ხერესი ფრანგებისაგან ეყიდა ტაიტიზე.

მისტერ ბელი ზედმიწევნით გულთბილად შეგვხვდა, მაგრამ ჩვენ ხომ მისის ბელის ნახვა გვინდოდა. ვაი რომ იგი მართლაც სახება გამოდგა. ამ დილით ერთ-ერთი მისიონერის ცოლის სანახავად წასულიყო პაპეეტეში.

ძალიან დამწუხრებული დავბრუნდი უკან.

გულახდილად გითხრათ, ამ ქალბატონმა ძალიან დამაინტერესა. უწინარეს ყოვლისა იგი ყველაზე ლამაზი თეთრკანიანი ქალი იყო, რომელიც ოდესმე მენახა პოლინეზიაში. ეს კიდე არაფერი. მისი თვალები, ლოყისვარდი, უნაგირზე მჯდომარის ღვთაებრივი სახე — სიკვდილამდე მემახსოვრება ალბათ.

პლანტაციის მფლობელი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე და ლამაზი კაცი იყო. დაე გამრავლდნენ მისი პატარა მემკვიდრენი და განადიდონ კურთხეული ქვეყანა ეიმეო!

ტალუს ეკლესია

სასამართლოს სსდომა პოლინეზიაში

სამხრეთის ზღვებში ყველაზე საუკეთესო ეკლესია პარტუვაელებს აქვთ. იგი სასახლეების მსგავსად დგას ხელოვნურ მოლოზე, რომელიც ნახევარწრიულადაა შეჭრილი ყურეში.

ეკლესია აშენებულია მარჯნის თლილი ლოდებისაგან — მასა-ლისაგან, რომელიც თავდაპირველად მსხვრეველია, მაგრამ შემდეგ ატმოსფერული მოვლენების გამო თანდათანობით მტკიცე ხდება. სხვა ქვეყნის მკვიდრს ეს ლოდები ძალზე უცნაური ეჩვენება. მათ ზედაპირს ატყვია ნაჭდეუები, რომლებიც ადამის დროიდან შემონახულ უჩვეულო ნამარხთა ნაკვალევს ჰგავს. მარჯნები, როცა რიფიდან ამოჩეხავენ ხოლმე, თითქმის თეთრი ფერისაა, მაგრამ თანდათან მუქდება და ახლა ზოგ ეკლესიას პოლინეზიაში ისეთივე გაჭვარტლული და ძველი შესახედაობა აქვს, როგორც წმიდა პავლეს ცნობილ ტაძარს.

პარტუვიას ტაძარი რვაკუთხედის ფორმისაა და ყოველ კედელს აივანი აკრავს. ტაძარი ოთხასამდე კაცს იტევს. შიგნით ყველაფერი მოყავისფრო წითელ ფერადაა შეღებილი. რადგან სარკმლები ძალიან ცოტაა, ამიტომ მუქი სკამები და აივნები, აგრეთვე პირქუში აჩრდილივით აღმართული კათედრა, არცთუ ისე მხიარულ შთაბეჭდილებას ახდენს.

კვირაობით წირვა-ლოცვას ვესწრებოდით. პო-პოს ოჯახს გაყვებოდით ხოლმე და, რა თქმა უნდა, ყოველად წესიერად ვიქცეოდით; ამიტომაც სოფლის ხნიერ ხალხს სანიამუშო ახალგაზრდებად მივაჩნდით.

პო-პოს ოჯახის წევრთა ადგილი ყველაზე მყუდრო კუნჭულში იყო, სწორედ ერთ-ერთი პალმის ღეროსთან, აივანს რომ ჰქონდა შედგმული სვეტად, რომელსაც მე ვეყუდებოდი; პო-პო და მისი მეუღლე ერთ მხარეს ისხდნენ, ექიმი და პეწენიკი ბიჭი — მეორე მხარეს, დანარჩენი შეილები და ღარიბი ნათესაეები — უკან.

ლუ იმის მაგივრად, რომ დედ-მამის გვერდით დამჯდარიყო (როგორც წესი იყო), ყოველთვის აივანზე არბოდა და თავის კბილა ცერცეტა გოგოებს უერთდებოდა, რომლებიც ქადაგებისას არაფერს აკეთებდნენ, გარდა იმისა, რომ ზემოდან დაჰყურებდნენ მლოცველებს და ხითხითით იშვერდნენ ხელს სასაყილო მოზუცი ქალბატონებისაკენ, შეუფერებელი შლაპები რომ ეხურათ და მოკლე ბალახონები ეცვათ. მაგრამ თვითონ ლუ არასოდეს არ იქცეოდა ასე უწესოდ.

ზოგჯერ კვირის რომელიმე დღეს შუადღისას იმართებოდა წირვა-ლოცვა; ქადაგებას ამბობდნენ თვით კუნძულელები, რომლებსაც მართალი გითხრათ, ცოტა მსმენელი ჰყავდათ. მას

შემდეგ, რაც მისიონერი შესაველ ლოცვას წარმოთქვამდა და ფსალმუნსაც იგალობებდნენ, ორატორები წამოდგებოდნენ და ახლა წმინდა ტაიტურ ენაზე იწყებდნენ ქადაგებას ზედმიწევნით გამომეტყველი ინტონაციებითა და შესტებით. განსაკუთრებით უყვარდათ მნათე პო-პოს მოსმენა, თუმცა ყველაზე დიდხანს ლაპარაკობდა. ძალიან მენანებოდა, რომ ვერ ვგებულობდი მისი მგზნებარე მჭევრმეტყველების დიდებულ ნიმუშებს, როცა ხელებს იქნევდა, ფეხებს აბაკუნებდა, წარბებს მრისხანედ კმუხნიდა და თვალებს აბრიალებდა, სანამ შურისგების ანგელოზს არ დაემსგავსებოდა.

— გზაბნეული კაცია! — ამოოხვრით თქვა ექიმმა ერთ-ერთი ასეთი გამოსვლისას. — ვშიშობ, რომ იგი მეტიისმეტად ფანატიკურად ეკიდება საქმეს.

ერთი რამ უეჭველი იყო: როცა პო-პო ლაპარაკობდა, მას უფრო გულისყურით უსმენდნენ, ვიდრე დანარჩენებს. მე შევაპჩინიე, რომ სხვა კუნძულების ქადაგების დროს ზოგ მსმეიელს ეძინა, ზოგი წრიალებდა, ზოგი ამთქნარებდა; ერთი გულიციხი მოხუცი ჯენტლმენი, ქოქოსის პალმის ფოთლებისაგან მოწნული საღამური ჩაჩი რომ ეხურა, საშინლად აღელვებული გამოდიოდა ხოლმე ეკლესიიდან, ნერვულად უჭერდა ხელს ვრძელ ჯოხს და რაც შეეძლო ხმაურობდა, რომ თავისი უკმაყოფილება გამოეხატა.

ეკლესიის გვერდით იდგა ცალ მხარეს დაფერდებული ფანჯრებიანი და დარაბებიანი ვეებერთელა სახლი, რომელსაც პალმის ღეროებზე დაგებული ხის იატაკი თითქმის დამძალი ჰქონდა. კუნძულები ამ შენობას სკოლას ეძახდნენ, თუმცა არასოდეს გვინახავს, რომ დანიშნულების მიხედვით გამოეყენებინათ. სასამართლოს დარბაზად კი ხშირად იყენებდნენ. რამდენიმე სასამართლო განხილვას ჩვენც დავესწართ. სხვათა შორის განიხილებოდა ყოფილი საზღვაო ოფიცრისა და თოთხნეტი წლის ქალიშვილის საქმე; უკანასკნელს ბრალი ედებოდა ფრიად უწესო საქციელში, რასაც მოწმეთა ჩვენება ადასტურებდა, პირველს კი იმაში, რომ იგი იყო წამქეზებელი და სხვა დანაშაულებრივ მოქმედებათა თანამონაწილე.

უცხოელი იყო მხედრული გამართულობის მაღალ-მაღალი შავვერემანი და შავულვაშა ჭაბუკი. მისი თქმით, კოლონიის შიიარალებული ბრიგი, რომელსაც თვითონ მეთაურობდა, ახალი

ზელანდიის ნაპირებთან ჩაიძირა; იმ დღიდან იგი უდარდელ ცხოვრებას ეწეოდა წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

ექიმს უნდოდა გაეგო, თუ რატომ არ დაბრუნდა ჭაბუკი სამშობლოში და არ მოახსენა ბრიგის დაღუპვის ამბავი, მაგრამ „დასალუპავი“ კაპიტანი, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი ეძახდნენ, რატომღაც ასე არ მოიქცა; მას შეეძლო საათობით ელაპარაკა ამაზე, მაგრამ მიზეზი მაინც არ გამოიჩინებოდა. შესაძლოა, ფრთხილი კაცი იყო და საადმირალოს ღორღებთან შეხვედრას გაურბოდა.

ამ მეტისმეტად საეჭვო პიროვნებამ დაიწყო უკანონო ვაჭრობა ფრანგული ღვინოებით, რომლებსაც უპატიოსნო გზით შოულობდა სამხედრო გემზე, ამას წინათ რომ შემოვიდა ტაიტის ნავსადგურში. ყოფილ კაპიტანს საღუზის შორიახლო, ჭალაში პატარა ქოხი და ფანჩატური ჰქონდა. წყნარ დროს, როცა ტალუში ერთი გემიც არ იღვავა, ფანჩატურში ხანდახან შემოეხეტებოდა რომელიღაც კუნძულები, გამოთვრებოდა და აცაბაცა ნაბიჯებით გასწევდა შინისაკენ, თან გზაში ქოქოსის პალმებს ეჭიდებოდა. თვით კაპიტანი ცხელ დღეებში ხის ქვეშ წამოწვებოდა ხოლმე, ჩიბუხს აბოლებდა და ალბათ ძველ დროს იგონებდა, თან წამლაუწუმ მხრებზე ივლებდა ხელს, თითქოს ოდესღაც მათ დამამშვენებელ ეპოლეტებს ისინჯავსო.

მაგრამ აი შეძახილი „იალქანი!“ ამცნობს, რომ ყურეში გემა შემოდის. მალე იგი ღუზას ჩაუშვებს, მეორე დღეს კი „დასალუპავი“ კაპიტანი თავის ჭალაში ეგებება მატროსებს. მართლაც დიდებულად ატარებენ დროს—სვამენ და ჩხუბობენ, როგორც კი შეგობრებს ეკადრებათ.

ერთი ამგვარი ქეიფის დროს „ლეკიათანის“ რაზმმა ისეთი ყურისწამლები ხმაური ატეხა, რომ იქაური კანონების ფეხქვეშ გაქეღვით აღშფოთებულმა კუნძულებელმა გამბედაობა მოიკრიბეს და ასი კაცი ერთად დაესხნენ თავს მოჩხუბრებს. მატროსები ვეფხვებივით იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ მოერივნენ და ყველას ადგილობრივ სასამართლოში უკრეს თავი; კარგა ხნის დავის შემდეგ ყველანი გამოუშვეს, გარდა „დასალუპავი“ კაპიტნისა, რომელიც არეულობის მოთავედ ცნეს.

ამ ბრალდების საფუძველზე ციხეში ჩასვეს. იქ იჯდა შუაღამედ, რა დროისთვისაც სასამართლო იყო დანიშნული. სა-

ნამ პატივცემული მოსამართლის მობრძანებას ელოდნენ, ბრალდებულის სახელზე უამრავი დამატებითი საწივარი შემოვიდა (უმთავრესად დედაბრებისაგან), მათ შორის იმ დანაშაულის თაობაზე, რაშიც ახალგაზრდა პიროვნებასთან ერთად იყო გახვეული. ეტყობა, პოლინეზიაშიც, ისევე როგორც ყველგან, საკმარისია ადამიანს ერთი რამ დასდონ ბრალად, რომ ყველა მისი ცოდვა გამოაშკარავდეს.

სკოლის შენობისაკენ რომ მივიდიოდით სასამართლო განხილვაზე დასასწრებად, შორიდანვე მოგვესმა ყაყანი, ხოლო როცა შევედით, ყურები გამოგვეჭკადა. ორმოცდაათამდე ადგილობრივი მკვიდრი შეკრებილიყო; ყოველ მათგანს, ეტყობა, თავისი სათქმელი ჰქონდა და მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ ეთქვა. მისი აღმატებულება—ლამაზი, შესახედავად გულკეთილი მოხუცი — ფეხმორთხმით იჯდა პატარა ფიცარნაგზე და ქრისტინული მოთმინებით შერიგებოდა ხმაურს. ეს იყო კონსულის ამ ნაწილის მემკვიდრეობითი ბელადი და პარტუეაის ოლქის ნუღმვივი მოსამართლე.

რამდენიმე საქმე უნდა განეხილათ. მაგრამ პირველად გაასამართლეს კაპიტანი და კუნძულელი ქალიშვილი. მათ თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდათ ხალხთან; როგორც შემდეგ გამოირკვა, თითოეულს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, უფლება ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა, და ორივე ბრალდებული, რამდენადაც გაეიგეთ, თვითონ ღებულობდა მონაწილეობას თავიანთი საქმის გარჩევაში. ძნელი სათქმელია, მაინც რამომენტოდან დაიწყო სასამართლო გამოძიება. არც ფიცი დაუდებინებიათ, არც მოწმეები ყოფილან, არც ნაფიცი მსაჯულები¹. დროდადრო ვიღაცა წამოხტებოდა და რაღაცას წამოიძახებდა—აღბათ თავის, როგორც მოწმის ჩვენებებს; დანარჩენება ამ დროს გაუთავებლად ყაყანებდნენ. მალე თვით მოხუცი მოსამართლეს აღელდა, ზეზე წამოხტა და სირბილი დაიწყო ხალხში, თან სხვებზე ნაკლებად როდი ატარტარებდა ენას.

აურზაური ოციოდე წუთს გაგრძელდა; ბოლოს „დასადუჰავი“ კაპიტანი მოსამართლის ფიცარნაგზე ავიდა და იქიდან

¹ ასეთი უწესრიგობაა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ მისიონერები შეეცადნენ ინგლისურ ყაიდაზე მოეწყობათ ადგილობრივი მკვიდრთა სასამართლოები.

მშვიდად ადევნებდა თვალს გაცხოველებულ კამათს, რომლის დროსაც წყლებოდა მისი ბედი.

ამ სმაურს ის მოჰყვა, რომ ორივე, კაპიტანი და ქალიშვილი დამნაშავეებად ცნეს. უკანასკნელს სასჯელად გამოუტანეს, რომ დედოფლისათვის ექვსი ჭილოფი მოექსოვა, ხოლო პირველს, მხედველობაში მიიღეს რა მის დანაშაულთა სიმრავლე და ცნეს გამოუსწორებლად, კუნძულიდან სამუდამოდ განდევნა მიუსაჯეს. ორივე დადგენილება თითქოს საყოველთაო ღრიანცილში იშვა, მაგრამ მოსამართლე, როგორც ჩანს, ავტორიტეტით სარგებლობდა და სავსებით ცხადი იყო, რომ განაჩენმა მისი მოწონება დაიმსახურა.

ზემოხსენებული სასჯელები, ცხადია, თვითნებურად არ გამოუტანიათ. მისიონერებს სასამართლო პროცედურის შესამსუბუქებლად დასჯის ტარიფების მსგავსი რამ ჰქონდათ შემუშავებული. ხაპის წრუპვით მიღებული სიამოვნებისათვის ამდენ და ამდენ დღეს უნდა ემუშავათ წნორიან გზაზე; თოფის მოპარვისათვის — ამდენი საჟენი ქვიტკირის კედელი უნდა აეშენებინათ; და ასე შემდეგ, როგორც სიაში იყო აღნიშნული. თუ მოსამართლეს ყველაფერი ეს ეშმაკურად ექნებოდა აღნუსხული რვეულში, ძალიან დიდ დახმარებას გაუწევდა. მოვიყვან მაგალითს. ვთქვათ, დადასტურდა დანაშაული — ორცოლიანობა; გადავშლით რვეულს „ო“ ასოზე და ენახავთ: ორცოლიანობა — ორმოცი დღე წნორიან გზაზე და ოცი ჭილოფი დედოფლის სასარგებლოდ. პარაგრაფს ხმამაღლა კითხულობენ, და განაჩენი გამოტანილია.

მერე დაიწყეს სხვა დამნაშავეთა გასამართლება, იმათი, ვინც ახლანან ღებულობდა მონაწილეობას პირველი საქმის განხილვაში; ეტყობა, მსჯავრდადებულებსაც შეეძლოთ სხვა დამსწრეების თანაბრად გამოსულიყვნენ. ცოტა არ იყოს უცნაური სასამართლო წარმოებაა, მაგრამ იგი ზუსტად შეესაბამება ცნობილ ინგლისურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ყოველი ადამიანი მისმა თანასწორმა უნდა გაასამართლოს.

ყველა ბრალდებული დამნაშავედ ცნეს.

დედოფალი კომარე

სანამ ვინმეს გაეცნობოდე, ურიგო არ იქნება, თუ ცოტაოდენს გაიგებ მის შესახებ; ამიტომ ჩვენც მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას პომარესა და მის ოჯახზე.

ყველას, ვისაც კუკის მოგზაურობათა ამბავი წაუკითხავს, ალბათ ემახსოვრება ოტუ, რომელიც მისი მოგზაურობის დროს ტაიტიის ერთი ყველაზე დიდი ნახევარკუნძულის მეფე იყო. შემდეგ „ბაუნტის“ მეზღვაურთა თოფებმა შეაძლებინეს მთელ კუნძულს დაჰპატრონებოდა. სიკვდილის წინ ოტუმ დაირქვა პომარე, რომელიც მეფეთა საგვარეულო სახელად იქცა.

მისი მემკვიდრე იყო ვაჟიშვილი, პომარე II, ყველაზე სახელგანთქმული ხელმწიფე ტაიტიის ისტორიაში. თუმცა იგი საშინელი გარყვნილი და ლოთი იყო და არაბუნებრივ მანკიერებებშიც სდებდნენ ბრალს, მაგრამ ასე თუ ისე ახლო მეგობრობა ჰქონდა მისიონერებთან და ერთ-ერთი პირველი პროზელიტიც გახდა. რელიგიურ ომში, რომელიც ახალი რწმენის ერთგულების გამო წამოიწყო, დამარცხდა და კუნძულიდან განდევნეს. მცირე ხნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა ეიმეოდან; ამჯერად იგი სათავეში ედგა რვაასკაციან არმიას. ნარიის მახლობლად სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაანადგურა წარმართები და თავისი ხელი-სუფლება აღადგინა. ამრიგად, იარაღის ძალით ქრისტიანობამ საბოლოოდ გაიმარჯვა ტაიტიზე.

პომარე II გარდაიცვალა 1821 წელს. მას დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი, რომელიც პომარე III სახელით იყო ცნობილი. ასალგაზრდა ხელმწიფემ მამის სიკვდილის შემდეგ სულ ექვს წელიწადს იცოცხლა, და ქვეყნის მმართველობა გადავიდა მისი უფროსი დის, დღევანდელი დედოფლის აიმატეს ხელში, რომელსაც ჩვეულებრივ პომარე ვაჰინე I ანუ პირველ პომარე ქალს უწოდებენ. მისი უდიდებულებობა ახლა ოცდაათ წელზე მეტისაა. იგი მეორედ დაქორწინდა. მისი პირველი ქმარი იყო კუნძულ ტაჰარის მოზუცი მეფის ვაჟი, კუნძულისა, რომელიც ასი მილითაა დაშორებული ტაიტიის. ქორწინება უიღბლო გამოდგა, და შეუღლებულნი მალე გაშორდნენ ერთმანეთს. ამჟამად დედოფალს ეიმეოს ბელადი ჰყავს ქმრად.

პომარეს მაინცდამაინც კარგი სახელი არა აქვს. ის და დედამისი კარგა ხანს განკვეთილი იყვნენ ეკლესიისაგან; მისიონერებს, მგონი, აქამდე არ მიუტყევიანთ ეს დედოფლისათვის. სხვა ცოდვებთან ერთად მას ბრალად სდებენ მეუღლის ღალატს. სწორედ ეს იყო ეკლესიისაგან მისი განკვეთის მთავარი მიზეზი.

სანამ უბედურება დაატყდებოდა თავს, დედოფალი მეტ წილ დროს კუნძულიდან კუნძულზე მოგზაურობაში ატარებდა; თან ახლდა ამაღა, რომელიც ალვირახსნილობით გამოირჩეოდა. სადაც არ უნდა წასულიყო, მის პატივსაცემად ყველგან იმართებოდა ათასნაირი ზეიმი და გართობა-თამაშობანი.

პომარე მუდამ ამჟღავნებდა სიყვარულს ყოველგვარი მოჩვენებითი ამბებისადმი. მრავალი წლის განმავლობაში სამეფო ხაზინას მძიმე ტვირთად აწვა გვარდიის პოლკი. ყველა ნიშნისა და კალიბრის თოფებით შეიარაღებული ლეიბგვარდიელები უშარვლოდ დადიოდნენ. მათი ფორმა შედგებოდა ჩითის პერანგებისა და მუყაოს ქუდებისაგან. გვარდიას მეთაურობდა ჩამომდნარ-ჩამოფხაკებული მყვირალა ბელადი, რომელიც ალისფერი ქურთუკით ამყაად მიმოდინოდა. ეს გმირები ახლდნენ თავიანთ მბრძანებელს ყველა მოგზაურობაში.

რამდენიმე ხნის წინათ პომარემ თავისი უავგუსტესი დის, ინგლისის დედოფლის ვიქტორიასაგან ძღვენად მიიღო ძალიან ეფექტური, ოღონდ რამდენადმე მძიმე თავსამკაული — გვირგვინი, რომელიც ალბათ ღონდონელ მეთუნუქეს დაემზადებინა. მის უდიდებულესობას არც კი უფიქრია, რომ ესოდენ მოხდენილი თავსამკაული იშვიათი, საგანგებო დღესასწაულებისათვის შემოენახა და გვირგვინს მუდამ იღვამდა, როცა ხალხში გამოდიოდა; ხოლო ევროპული წეს-ჩვეულებების ცოდნა რომ დაემტკიცებინა, პომარე თავაზიანად მოიხდიდა ხოლმე გვირგვინს და ასე ესალმებოდა ყველა გაეღწევიან უცხოელს — ვეშაპსანადირო გემების კაპიტნებსა და სხვებს, რომლებიც საღამოს წნორიან გზაზე სეირნობისას ხვდებოდნენ.

დედოფლის მობრძანება-წაბრძანებას სასასლესში სალუტით აღნიშნავდა სამეფო კარის არტილერისტი — სქელ-სქელი ბერიკაცი, რომელიც მეტისმეტი სიჩქარით ოფლად იღვრებოდა და რაც შეეძლო სწრაფად ისროდა და ტენიდა სანადირო თოფებს.

ტაიტელი დედოფლის მეუღლეს მძიმე ცხოვრება ზედა წილად. საცოდავი! დედოფალზე დაქორწინებით იგი ჯოჯოხეთურ საწამებელში ჩავარდა. მიმართვისას მას საკმაოდ დამახასიათებლად უწოდებენ „პომარე ტანეს“ (პომარეს ქმარს). საერთოდ შესაფერისი ტიტულია მეუღლე უფლისწულისათვის.

არც ერთი მამაკაცი არასოდეს ისე არ დაუჯაბნია და დაუშინებია ცოლს, როგორც ჩვენი უფლისწული იყო დაჯაბნილ-დაშინებული. ერთხელ, როცა მის *caro sposa*¹-ს პაპეეტეში მღვარი გემების დეპუტაციის მიღება ჰქონდა, უფლისწულმა გახედა გამოეთქვა შენიშვნა, რომელიც ძალიან არ მოეწონა დედოფალს. იგი მიუბრუნდა, სილა გააწნა და უბრძანა, თუ ცხვირის ბზეკას არ მოიშლი, გირჩევნია შენს მათხოვრულ კუნძულ ეიმეოზე წაეთრეო.

საბრალო ტანე, გაღაბული და შეურაცხყოფილი, ბოთლში ან უფრო სწორად ზაპში ეძებდა შვებას. მსგავსად თავისი მეუღლისა და მბრძანებლისა, იგი ზომაზე მეტს სვამდა.

ექვსი-შვიდი წლის წინათ, როცა პაპეეტეში ამერიკის სამხედრო გემი იდგა, მთელი სოფელი მოიცვა მღელვარებამ იმის გამო, რომ მთვრალმა ტანემ თავისი მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა პომარეს წმიდა პიროვნებას.

ამ ამბავს კაპიტანი ბობი მომიყვია. იგი ცდილობდა რაც შეიძლება თვალსაჩინო გაეხადა თხრობა, აგრეთვე ინგლისური სიტყვების ნაკლებობაც შეევსო და ყველაფერი, რაც მოხდა, ჩვენი მონაწილეობით განასახიერა. პირადად მე ტაიტის დედოფლის როლი მერგო.

როგორც ჩანს, ეს ამბავი ასე მოხდა. ერთ კვირა დილას, მას შემდეგ, რაც დედოფალმა ტანე ზიზლით მოიშორა, ამ უკანასკნელს რამდენიმე მეგობარა და თანამესმური ეწვია; მეგობრებმა წუხილი დაიწყეს მის უბედურებაზე, მოჰყვნენ დედოფლის ლანძღვას და ბოლოს და ბოლოს წაიყვანეს მაგარი სასმელებით ფარულად მოვაჭრესთან, რომლის სახლშიც ლაზათიანად გამოთვრნენ. გაცეცხლებულნი, სულ პომარე ვაჰინე I-ზე ლაპარაკობდნენ. „დედოფალი კი არა, ძუენა ძაღლია“, — აზრი გამოთქვა ალბათ ერთმა. „ეს საზიზღრობაა“, — თქვა მეორემ. „მე შურს ეიძიებ“, — წამოიძახა მესამემ. „ასეც ვიზამ!“ — ამოასლოკინა

¹ ძვირფასი მეუღლე (იტალ.).

ტანემ და წავიდა. მან გაიგო, რომ დედოფალი ცხენით სასერი-
ნოდ წასულაო, თვითონაც მოახტა ცხენს და დაეღვენა.

დაბის განაპირას მეუღლე უფლისწულმა დაინახა ამხედრე-
ბული ქალები, რომლებიც მისკენ მოათხოვარიკებდნენ ცხენებს.
შუაში მოდიოდა ის ქალი, ვისზეც ასე გამმაგებული იყო. ტანემ
მათრახი გადაუჭირა ცხენს, კავალკადაში შეიჭრა და ძირს გად-
მოაგდო ერთი ქალი, რომელიც ბრძოლის ველზე დარჩა, დანარ-
ჩენები კი, პომარეს გარდა, სუყველა დაიფრინა. განრისხებულმა
დედოფალმა მარჯვედ მოთოკა ცხენი და ლანძღვა-განებით აიკ-
ლო ქმარი. გახელებული ტანე უნაგირიდან ვაღმობტა, კაბაში
ჩააფრინდა პომარეს, ძირს ჩამოაგდო, თმებში სწვდა და რამდენ-
ჯერმე გაარტყა სახეში. ალბათ მოახრობდა კიდევ, დაიფრთხა-
ლი ამაღის ყვირილი რომ არ გაეგონათ ადგილობრივ მკვიდრებს;
მათ მოსაშველებლად მოირბინეს და გულშეწუხებული დედო-
ფალი წაიყვანეს.

მაგრამ გაშმაგებული ტანე ამით არ დაკმაყოფილდა. იგი
სასახლისაქენ გაექანა და, სანამ ვინმე ხელს შეუშლიდა, დაამ-
სხვრია ძვირფასი სერვიზი, რომელიც ახლახან გამოეგზავნათ
საჩუქრად ევროპიდან. იგი ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, როცა
უკნიდან მისცვივდნენ, გააკავეს და წაათრიეს; პირიდან ღორბ-
ლებს ყრიდა და თვალებს აბრიალებდა.

ეს აშკარა მაგალითია იმისა, თუ სანამდე შეიძლება მივიდნენ
განრისხებული ტაიტელები. ჩვეულებრივ ისინი ყოვლად უწყი-
ნარი ადამიანები არიან და ძნელად კარგავენ მოთმინებას; მაგ-
რამ თუ გაცხარდნენ, ათასი ეშმაკი შეუჯდებათ თავში.

მეორე დღეს ტანე ჩუმად წაიყვანეს პირაგუით ეიმეოზე; იქ
ორ კვირას იყო გადასახლებაში, მერე კი ნება დართეს კვლავ
გაეყო უღელში თავი.

თუმცა პომარე ვაჰინე I პირადი ცხოვრებით იქნაბელს¹
წაავაგდა, მაგრამ მართვა-გამგეობის საქმეში, როგორც ამბო-
ბენ, ხშირად იჩენდა შემწყნარებლობასა და მოთმინებას. იგი
გონივრულ პოლიტიკას ახორციელებდა, რადგან მისი ოჯახი-
სადმი შუღლს გულში იმარხავდა ბევრი ძლიერი ბელადი, შთა-
მომავალნი ტაირაპუს ძველი მეფეებისა, რომლებიც პაპამისმა

¹ ბიბლიაში მოხსენიებული ისრაელთა დედოფალი, ცნობილი სისასტი-
კითა და ვარყენილებით.

ოტუმ ჩამოავლო ტახტიდან. ამ ბელადთაგან ყველაზე გაელენიანი და მათი ნამდვილი მეთაური იყო პუფაი, მამაცი, ნიჭიერი ადამიანი, რომელიც არ მალავდა მტრობას მისიონერებისა და მათი მთავრობისადმი. მაგრამ სანამ მომხდარი ამბები თითქოს ხელს უწყობდნენ უკმაყოფილო შფოთისთავთა იმედის განხორციელებას, ამასობაში გამოჩნდნენ ფრანგები, და საქმე სულ სხვაგვარად შემოტრიალდა.

ტაიტიზე ჩემი ყოფნის დროს ხმა დაირხა (როგორც გავიგე, ამ ხმას აერცვლებდა ეგრეთ წოდებული „მისიონერთა პარტია“), თითქოს პუფაი და რამდენიმე სხვა გავლენიანი ბელადი დაპირებებს დახარბდნენ და თანხმობა გამოთქვეს წინ არ აღდგომოდნენ მათი ქვეყნის დაპყრობას. მაგრამ მომდევნო ამბებმა უარყვეს ცილისმწამებლური მტკიცებანი. ზოგიერთი ამ ადამიანთაგანი ამას წინათ დაიღუპა ფრანგებთან ბრძოლაში.

პომარეს დინასტიის მეფობაში ტაიტელთა მთავარი ბელადები მეფე იოანეს ბარონებს წააგავდნენ. მათ შეინარჩუნეს სამემკვიდრეო ველებზე ფეოდალური ბატონობა, თავიანთი წარმომშობის წყალობით ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ და ამიტომ ხშირად ამცირებდნენ სამეფო შემოსავალს იმიტომ, რომ უარს ამბობდნენ ხარკზე, რომელიც უნდა გადაეხადათ როგორც ვასალებს.

საქმე ისაა, რომ მისიონერთა როლის გაძლიერებასთან ერთად მეფის ხელისუფლებამ თავისი დიდებისა და გავლენის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. წარმართულ ხანაში იგი უამრავი ძლევამოსილი ქურუმის მხარდაჭერით სარგებლობდა და ფორმალურად უკავშირდებოდა კერპთაყვანისმცემლობის მთელ ცრუმორწმუნეობრივ სისტემას, რომელიც ქვეყანაში იყო გაბატონებული. მეფე მიაჩნდათ ტარაროას, პოლინეზიური მითოლოგიის სატურნის, უკანონო შვილად და დანარჩენი ღმერთების ბიძაშვილად. მისი პიროვნება სამგზის წმიდანი იყო; თუ იგი ვინმეს სახლში შევიდოდა, თუნდაც ძალიან მცირე ხნით, სახლი მაშინვე უნდა გაენადგურებინათ, რადგან არც ერთი უბრალო მოკვდავი არ იყო ღირსი ამის შემდეგ იქ ცხოვრებისა.

— მე უფრო დიდი ადამიანი ვარ, ვიდრე მეფე გეორგი, — განუცხადა გამოუსწორებელმა ახალგაზრდა ოტუმ პირველ მისიონერებს, — იგი ცხენით დაიარება, მე კი ადამიანზე ამხედრებული დაედივარ.

ასეც იყო. ოტუ თავის სამფლობელოებში ფოსტის კაცებზე, ქვეშევრდომებზე შემჯდარი დაბრძანებოდა და ყველა ველზე მარქათები ელოდა.

ვაგლახ, როგორ იცვლება დრო, რა წარმატალია ადამიანის დიდება! რამდენიმე წლის წინათ პომარე ვაჰინე I, ამაყი ოტუს შვილიშვილმა, სამრეცხაო გახსნა და თავისი აგენტების მეშვეობით ყოველგვარი მორიდების გარეშე ცდილობს მიიღოს მის ნავსადგურში შემოსული გემების ოფიცრებისაგან თეთრეულის გარეცხვის შეკვეთა.

ღამახასიათებელი და აღნიშვნის ღირსია შემდეგი ფაქტი. მაშინ როცა ინგლისელ მისიონერთა გაელენა ტაიტიზე ხელს უწყობდა მეფის პრესტიჟის დაცემას, ამერიკელი მისიონერები სანდვიჩის კუნძულებზე ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ საწინააღმდეგო შედეგისათვის მიეღწიათ.

თ ა 8 0 8 1

სამეფო კარის მონასულება

„პიჯრის“ მეორე თვის შუა რიცხვებში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტუვაიში ჩვენი მოსვლიდან ხუთიოდე კვირის შექმდეგ, როგორც იქნა მოვხვდით დედოფლის რეზიდენციაში.

ეს ამბავი ასე მოხდა. პომარეს ამაღლაში იყო ერთი მარკიზის კუნძულების მკვიდრი, რომელიც დედოფლის შვილების ძიძის მოვალეობას ასრულებდა. ტაიტელთა წეს-ჩვეულებით. მეფის ნაშვიერს ხელით ატარებენ მაშინაც კი, როცა ამისათვის არაჩვეულებრივი ძალ-ღონეა საჭირო. მაგრამ მარბონას—ტან-მაღალ და ღონიერ, ანტიკურ ქანდაკებასავით ჩამოსხმულ კაცს, — სავსებით შეჰფეროდა ეს როლი; მკლავები გამზდარი ტაიტელის თეძოების სიმსხო მაინც ექნებოდა.

იგი მშობლიურ კუნძულზე მოეწყო მატროსად საფრანგეთის ვეშაპსანადირო გემზე, შემდეგ კი ტაიტზე გამოიქცა; იქ პომარემ ნახა და, აღტაცებულმა, სთხოვა მასთან დაეწყო სამსახური.

დედოფლის რეზიდენციის მესერს რომ აუველ-ჩაუუელიდით, ხშირად ვხვდავდით, როგორ მიმოდიოდა იგი ორი ღამაში ბიჭით

სკლში, რომლებიც კისერზე ეხვეოდნენ. მარბონას თვისტო-
თათვის ჩვეული, მაგრამ საერთოდ ძნელად მისახვედრი ტატუ-
თი დაფარული სახე სურათებიანი წიგნივით იზიდავდა პატარებს.
მათ სიამოვნებათ, როცა უცნაური ნახატების ირგვლივ
დაატარებდნენ თითებს.

შევხედე თუ არა მარკიზელს, მაშინვე მივხვდი, სადაურიც
იყო, და თავის ენაზე მივმართე. უცხოელი რომ მშობლიურ
კილოკავზე გამოელაპარაკა, გაკვირვებით მოიხედა. ნუკუპივის
ერთ-ერთი ველის, ტიორის მკვიდრი გამოდგა. მე ბევრჯერ
ვყოფილვარ იქ და ამიტომ ეიმეოზე ძველი მეგობრებივით შევ-
ხვდით ერთმანეთს.

ხშირად ველაპარაკებოდი ბამბუკის მესერს იქით მდგარ
მარბონას. იგი იყო ბუნებით ფილოსოფოსი, წარმართი, რომე-
ლიც კიცხავდა ტაიტიის ქრისტიანული სამეფო კარის მანკიერე-
ბასა და უგუნურებას, ველური, რომელსაც ჭირივით სძულდა
გადაშენების გზაზე დამდგარი ხალხი, რომელთან ცხოვრებაც
არგუნა ბედმა.

მე განმაცვიფრა ამ კაცის პატრიოტიზმმა. თავისი სამშობ-
ლოს გარეთ მოხვედრილ არც ერთ ევროპელს არ შეუძლია
ილაპარაკოს თავის ქვეყანაზე უფრო მეტი სიამაყით, როგორც
მარბონა ლაპარაკობდა. იგი მარწმუნებდა, რომ მოაგროვებდა თუ
არა ოცი თოფისა და ამდენივე სავსე საპირისწამლის ფულს,
მაშინვე დაუბრუნდებოდა მშობლიურ მხარეს, რომელსაც ეიმეო
ვერც შეედრებოდა.

სწორედ ამ მარბონამ რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემ-
დეგ როგორც იქნა მოახერხა ჩვენთვის ნება დაერთოთ გვენახა
დედოფლის რეზიდენცია. მოლოზე, სადაც უამრავი ხალხი ირე-
ოდა, მან მიგვიყვანა ერთ ბერიკატთან, რომელსაც უთხრა, ესენი
ჩემი ნაცნობი „კარჭოურები“ არიან და სასახლის ღირსშესა-
ნიშნობათა დათვალიერება სწადიათო. პატივცემულმა კამერ-
ჭერმა შეგვათვალიერა და თავი გააქნია; ექიმმა იფიქრა, ალბათ
ქრთამი უნდაო, და ხელში ფილა თამბაქო ჩაუდო, რაც მოწყა-
ლედ იქნა მიღებული, და ჩვენ გაგვატარეს. როცა ერთ-ერთ
სახლს ვუახლოვდებოდით, ყოველი მხრიდან მოისმა ძახილი.
მარბონას უხმობდნენ. იგი იძულებული შეიქნა მივეტოვებინეთ.

თავდაპირველად მარტო დავრჩით, და ჩემი თანამგზავრის
გულდაჯერებულობა ძალიან გამოგვადგა. მან პირდაპირ სახლი-

საკენ გასწია და მეც მივეყვი. იქ ბევრი ქალი იყო. იმის მაგვრად, რომ გოცება გამოეხატათ, როგორც მოველოდით, ისე გულითადად მიგვიღეს, თითქოს საგანგებოდ ყყავდით მიპატიუებული ფინჯან ჩაიზე. უწინარეს ყოვლისა თითო ხაპი „პოი“ და რამდენიმე შემწვარი ბანანი მოგვართვეს. მერე ჩიბუხი გაეაბოლეთ და ცხოველი საუბარი გაიბა.

სეფე ქალები განსაკუთრებული შესახედაობით არ იპყრობდნენ ყურადღებას, მაგრამ საოცრად თავისუფლად და ძალდაუტანებლად ეჭირათ თავი—სწორედ ისე, როგორც კარლოსის¹ სამეფო კარის ლამაზმანებს. პომარეს ერთ-ერთ ხაღუმს — ეშმაკ ახალგაზრდა არსებას — თავისუფლად შეეძლო ჩვენთან საუბარი, და ჩვენ შევეცადეთ მისი ყურადღება მიგვეპყრო, რადგან იმედა გვექონდა, რომ სათანადო სამსახურს გაგვიწევდა ჩინერონეს სახით.

ამ როლში მან, წარმოიდგინეთ, ჩვენს მოლოდინსაც გადააჭარბა. შესიტყვებას ვერაუინ უბედავდა, და ჩვენ უცერემონიოდ შევედიოდით შენობებში, ეხსნიდით ფარდებს, ვწევდით ჭილოფებს და ვათვალიერებდით ყველა კუთხე-კუნჭულს. შესაძლოა, ეს ქალიშვილი თავისი ქალბატონის ბეჭდის მტკველი იყო და ამიტომაც უღებდნენ ყველა კარს; ყოველ შემთხვევაში თვით მარბონა, რომელიც ინფანტებს დაატარებდა ხელით, იმის ნახევარ სამსახურსაც ვერ გაგვიწევდა, რაც ამ ქალმა გაგვიწია.

ჩვენ მიერ დათვალიერებულ სახლებში თავისი ზომითა და ლამაზი გარეგნობით გამოირჩეოდა ერთი ევროპელის, სავაჭრო გემის ყოფილი კაპიტნის, რეზიდენცია. იგი სახელით მონიბლულიყო და პომარეს დინასტიას დამოყვრებოდა. რადგან ამ კაცის მეუღლე დედოფლის ახლო ნათესავი იყო, იგი მისი უდიდებულესობის საოჯახო წრის მუდმივი წევრი გახდა. ეს ავანტიურისტი გვიან დგებოდა, თეატრალურად აცვამდა სხვადასხვა სამკაულებით მორთულ ჩითის ტანისამოსს, შეთვისებული ჰქონდა საუბრის მბრძანებლური კილი და, როგორც ჩანს, სავსებით კმაყოფილი იყო თავისი თავით.

როცა შევედით, ჭილოფზე იწვა და ლერწმის ჩიბუხს აბალებდა; იგი გარშემორტყმული იყო ბელადებითა და მანდილოს-

¹ იგულისხმება ინგლისის მეფე კარლოს II, რომლის კარი მეტისმეტი უზნეობით გამოირჩეოდა.

ნებით, რომლებიც ალტაცებით შეჰყურებდნენ. ჩვენი მიახლოება, რა თქმა უნდა, შეამჩნია, მაგრამ ნაცკლად იმისა, რომ ამდგარიყო და თავაზიანად შეგვხედროდა, ლაპარაკი და ჩიბუხის წვევა განაგრძო და შემოხედვის ღირსიც არ გაგვხადა.

— მისმა უმაღლესობამ ზომაზე მეტი „პოი“ მიირთვა—მკვახედ შენიშნა ექიმმა.

მას შემდეგ, რაც გამცილებელმა ჩვენი თავი გააცნო, საზოგადოებაც ჩვეულებრივად მოგვესალმა.

როცა დაჟინებით მოვითხოვეთ დედოფლის ნახვა, ჩვენ წავიყვანეს შენობისაკენ, რომელიც ბევრად აღემატებოდა მესერ-შემოვლელ დანარჩენ სახლებს. სიგრძით ას-ნახევარი ფუტი მაინც იქნებოდა, ძალიან განიერი იყო, დაბალბურთულებიანი. პანდანუსის ფოთლების მეტისმეტად ციცაბო სახურავი ჰქონდა. სახლს არც კარი გააჩნდა, არც ფანჯრები. ოთხივე მხარეს წერილი სვეტები იყო ჩამწკრივებული, რომლებსაც ნივნივები ეყრდნობოდა. სვეტებს შორის თხელი ჭილოფისა და ტაპის ფარდები შარიშურობდა; ზოგი მათგანი კუწუბებით ბოლოვდებოდა ან ოდნავ გადაწეული იყო, რომ სინათლე და ჰაერი შესულიყო და ცნობისმოყვარეებს ხანდახან შეეხედათ და დაენახათ, რა ხდებოდა იქ.

ჩვენ ერთ-ერთი ფარდა გადაწეით, შევედით და უზარმაზარ დარბაზში ამოყავით თავი; მიწიდან ბარე ორმოც ფუტზე გადაებული იყო გრძელი მსხვილი კიცურა; მასზე ეკიდა ჭილოფები და ფოჩები. ყველგან ერთიერთმანეთზე დაწყობილი ჭილოფებისაგან გაკეთებული დივნები იდგა. აქა-იქ მსუბუქი თეჯირები მიჯნავდნენ მყუდრო ადგილებს, სადაც სეფექალები წამოწოლილიყვნენ და სადილობდნენ.

როცა მივეუახლოვდით, მანდილოსნებმა ლაპარაკი შეწყვიტეს და მოუსმინეს ჩვენს თანმხლებ ქალიშვილს, რომელიც რაღაც იდუმალებით მოცულ სიტყვებს ეუბნებოდა, ეტყობა, ჩვენი მისვლის მიზეზს უხსნიდა.

უცნაური სანახაობა იყო; მაგრამ ყველაზე უფრო გაგვაოცა მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოტანილი ძალიან ძვირფასი ნივთების შეუსაბამო კოლექციამ. ისინი სრულიად უწესრიგოდ ელაგა აქაური უხეში ნაწარმის გვერდით. ვერცხლითა და სადაფით ინკრუსტირებული ვარდისფერი ხის დიდებული ზარდახ-შაბი, გათლილი შუშის სურები და ჭიქები, უამრავი ვერცხლის

ნაჭედი ჭურჭელი, მოოქრული ჭაღები, გლობუსებისა და საფარ-
გლეების კომპლექტები, უფაქიზესი ფაიფური, მდიდრულად
გაწყობილი ხმლები და სანადირო თოფები, მაქმანიანი შლა-
პები და ათასნაირი საუცხოო ტანისამოსი და სხვა მრავალი
ევროპული საქონელი — ეს ყველაფერი არეული იყო „პოით“
ნახევრამდე მოყრილ ხაპებსში, ძველი ტაპისა და ჭილოფების
ხვეულებში, ნიჩბებსში, ბარჯებსა და ტაიტური სახლებისათვის
ჩვეულ ავეჯში.

ეს ძვირფასი ნივთები უთუოდ უცხო ქვეყნის ხელმწიფეთა
ნაჩუქარი იყო. არც ერთი მათგანი არ გადარჩენილიყო უენე-
ბელი. სანადირო თოფებსა და ხმლებს ჟანგი მოსდებოდა, ხის
ნატიფი ნივთები დაფხაჭნილი იყო, ჰოგარტის¹ in folio გრა-
ვიურების ტომი გადაშლილი ეგდო, და რომელიღაც დაობებული
საჭმლით საესე ქოქოსის კაკლის ნაჭუჭი იდგა ბედოელათის
ნაირ-ნაირი ავეჯით გაწყობილი ოთახის შუაგულში, სადაც ამ
უგუნურ ჯენტლმენს ფრაკის ზომას უდებდნენ.

ინტერესით ვათვალიერებდით ამ კუნსტაკმერას. უცებ
ჩვენმა გამცილებელმა სახელოში მოგვექანა და წაიწურა:

— პომარე! პომარე! არამაი კოუ კოუ.

— ალბათ სავახშმოდ მოდის, — თქვა ექიმმა და იქით გაიხე-
და. — როგორ ფიქრობთ, პოლ, რა იქნება, რომ მივიდეთ?

სწორედ ამ დროს ჩვენს ახლოს ფარდა აიწია და რამდენი-
მე იარდის მოშორებით მდებარე პალატის მხრიდან შემოვიდა
დედოფალი, რომელსაც არავინ არ ახლდა.

ცისფერი აბრეშუმის ხალვათი კაბა ეცვა, მხრებზე ორი
საუცხოო შალი ჰქონდა მოსხმული — ერთი წითელი, მეორე
ყვითელი. მისი მეფური უდიდებულესობა ფეხშიშველა მო-
დიოდა.

თვალწინ წარმოგვიდგა შუატანის ქალი, საკმაოდ მსუქანი,
სახის არცთუ ისე ლამაზი ნაკეთებითა და ვნებიანი ტუჩებით.
დარდისაგან მობერებული ჩანდა, რაც ალბათ ამასწინანდელ
უბედურებას მიეწერებოდა. შესახედაუად ორმოცი წლისას ჰგაე-
და, მაგრამ სინამდვილეში უფრო ახალგაზრდა იყო.

¹ უილიამ ჰოგარტი (1697—1764) — ინგლისელი მხატვარი და
გრაფიკოსი. შემდგომ მოსხენიებული სატირიკული გრავეურა ეკუთვნის
სერიას, რომელსაც ჰქვია „ბედოელათის კარიერა“.

როგორც კი დედოფალი თიჯირებით შემოზღუდულ ადგილს მიუახლოვდა, მაშინვე გამოეგებნენ ახლობლები და გაასწორეს ჭილოფები, რომლებზედაც იგი დაბრძანდა. მალე მოვიდა ორი ქალიშვილი; მათ თავიანთ მბრძანებელს საჭმელი მოართვეს; თლილი მინითა და ფაიფურით, კანფეტებითა და სხვა ტკბილეულობით გარემოცული პომარე ვაჰინე I, ტაიტის ნომინალური დედოფალი, ხაპებიდან მიირთმევედა თევზსა და „პოის“, ისე რომ არც დანას ხმარობდა და არც კოვზს.

— მივიდეთ, — ჩამჩურჩულა ახმახმა სულმა, — ვცადოთ ახლავე მივიღოთ აუდიენცია.

იგი უკვე აპირებდა გასცნობოდა, მაგრამ ჩვენმა თანმხლებმა ქალიშვილმა, რომელსაც ძალიან შეეშინდა, აღარ გაუშვა და ხვეწნა დაუწყო, რათა გაჩუმებულიყო. სხვა ქალებიც მოვიდნენ და, რადგან ექიმი მაინც არ იშლიდა, ისეთი ხმაური ატეხეს, რომ პომარემ თავი ასწია და მხოლოდ ახლა დაგვიანა ჩვენ.

ეტყობა, გაოცებული და შეურაცხყოფილი იყო. მბრძანებლური კილოთი რაღაც განკარგულება გასცა თავის რამდენიმე სეფექალს და ხელის მოძრაობით გვანიშნა დაგვეტოვებინა შენობა. რაოდენ ლაკონიურიც არ უნდა ყოფილიყო ბრძანება, სამეფო კარის ეტიკეტი მოითხოვდა, რომ დავმორჩილებოდით. ჩვენც, სანამ ტაპის ფარდებს მივეფარებოდით, მდაბლად დაუკარით თავი და წავედით.

დედოფლის რეზიდენცია ისე დავტოვეთ, რომ მარბონა აღარ გვინახავს; სანამ ღობეზე გადავძვრებოდით, ჩვეულები-სანებრ გავუსწორდით ჩვენს სანდომიან გამცილებელს. როცა რამდენიმე წუთის შემდეგ უკან მოვიხედეთ, ქალიშვილი მიჰყავდა ორ მამაკაცს, რომლებიც, ეტყობა, მის წასაყვანად იყვნენ გამოგზავნილი. იმედია, საყვედურს დააჯერებდნენ.

მეორე დღეს პო-პომ შეგვატყობინა, რომ დედოფალს სასტიკი განკარგულება გაეცა არც ერთი უცხოელი არ შეეშვათ სასახლის ტერიტორიაზე.

რომლითაც მთავარდება წიგნი

სამეფო კარზე მოხვედრის იმედი რომ დაეკარგეთ, გადავწყვიტეთ ზღვაში გავსულიყავით. პო-პოს სტუმართმოყვარეობის ბოროტად გამოყენება მეტი აღარ შეიძლებოდა; თანაც, ისევე როგორც ყველა მატროსს, მეც მომწყინდა ეიმეოზე ცხოვრება და ახლა ტალღებზე ვოცნებობდი.

„ლევიათან“, თუ მის რაზმს დაუჯერებთ, ჩვენი შესაფერიისი გემი არ იყო. მაგრამ მე ვნახე და მომეწონა კაპიტანი. ეს გახლდათ უჩვეულოდ მაღალი და ჯან-ღონით სავსე კაცი. ნამზეურ ლოყებზე შევნიღოდა თითო მუქი წითელი ლაქა — მეზღვაურული ლოთობის ნაკვალევი. იგი იყო ვაინიარდელი¹ ანუ კუნძულ მარტას-ვაინიარდის² (ნანტაკების მახლობლად) მკვიდრი და — შემოდლია დაეიფიცო — ნამდვილი მეზღვაური და არა ტირანი.

ადრე გაეუბრბოდით ხოლმე „ლევიათანის“ მატროსებს, როცა ნაპირზე გადმოვიდოდნენ, მაგრამ ახლა განგებ ვხვდებოდით, რომ რაც შეიძლება ბევრი გაგვეგო მათი გემის შესახებ.

ჩვენ გავიცანით მესამე თანამემწე, ერიონებით პრუსიელი. და სავაჭრო ფლოტის ძველი მეზღვაური — სახელაჟდაჟა ხუმარა კაცი. იგი პო-პოსთან მივიყვანეთ სადილად, შემწვარი ღორის ხორცითა და პურის ხის ნაყოფით გაუმასპინძლდით და დესერტად ჩიბუხი გავაბოლებინეთ. ცნობები, რომლებიც მან მოგვაწოდა, ჩემს ვარაუდს დაემთხვა. იმაზე უკეთესი ძველი იალქნიანი გემი ჯერ არ ეტარებინათ ოკეანის ტალღებს, ხოლო კაპიტანი უშესანიშნავესი კაცი იყო ქვეყნად, საჭმელიც ბლომად ჰქონდათ: ზღვაში არაფერი არ იყო გასაკეთებელი, უნდა მჯდარიყავი შენთვის შილზე და გეცურა. გემის ერთადერთი ნაკლი შემდეგში მდგომარეობდა: რალაც უბედურ ვარსკვლავზე იყო ჩაშვებული წყალში და რეწვაში არ უმართლებდა. ველობტებს წარამარა უშვებდნენ, მებარჯეებიც ხშირად ახვედრებდნენ ვეშაპებს, მაგრამ ბარჯი და ჭვილთი არ უჩერდებოდა ფერდში

¹ სიტყვების თამაშია: Vineyard — ინგლისურად ვენახი.

² კუნძული ატლანტის ოკეანეში ახალი ინგლისის ნაპირებთან.

ვეშაპს და „ლევიათანის“ მატროსები თითქმის ვერასოდეს ვერ ახერხებდნენ ძვირფასი ნადავლის მოკვლასა და გემბანზე ამოთრევას. მერე რა მოხდა? ურჩხულებზე ნადირობის მთელ სიამოვნებას მივიღებთ, მაგრამ არ მოგვიხდება იმ საძაგელი სამუშაოს შესრულება, რომელიც მათ დაჭერას მოსდევს. მაშ, გაუმარჯოს იაპონიის ნაპირებს!

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იმ საზარელ ამბებზე, რომლებსაც მოგვიყვანენ, როცა პირველად ვიყავით „ლევიათანზე“. ყველაფერი მტკნარი სიცრუე იყო, რაც მატროსებმა იმისათვის მოიჩაბეს, რომ დავეშინებინეთ და კაპიტანი, რომელსაც ეკიპაჟის შევსება უნდოდა, იძულებული გაეხადათ რაც შეიძლება მეტ ხანს დარჩენილიყო ამ სასიამოვნო ნავსადგურში.

შემდეგში, როცა ვაინიარდელი ნაპირზე გამოჩნდა, ჩვენ სასწრაფოდ შევხვდით. რომ ვუთხარით, თქვენთან ნაოსნობა გვინდოდა, მონდომა გაეგო ვინ ვიყავით და სადაურები ვიყავით. ჩვენ ვუთხარით, რომ რამდენიმე ხნის წინათ ტაიტიზე ვეშაპსანადირო გემი მივატოვეთ და მას შემდეგ სანაქებოდ ვმუშაობდით. პლანტაციასში. რაც შეეხება ჩვენს სამშობლოს, მეზღვაურებს ზომ ეროვნება არა აქვთ, მაგრამ, რაკი ასეა საქმე, ორივენი ამერიკელები ვართ. უკანასკნელ მტკიცებას კაპიტანი ძალიან უნდობლად შეხვდა და გულახდილად გვითხრა, რომ, მისი ღრმა რწმენით, ორივენი სიღნეიდან ვიყავით.

მკითხველთა საყურადღებოდ, იმ გემების კაპიტნები, რომლებიც წყნარ ოკეანეში დაცურავენ, ცეცხლსავით გაურბინა სიღნეელ ვაჟბატონებს, ყველგან ცუდი სახელი რომ აქვთ გავარდნილი. თუ სამხრეთის ზღვებში რომელიმე გემზე ამბობება მოხდა, ასიდან ოთხმოცდაათ შემთხვევაში სიღნეელი მატროსი იქნება მოთავე. ეს ყმაწვილები ნაპირზეც ასეთივე შფოთისთავეები არიან.

სწორედ ამიტომ ვცდილობდით დაგვემალა, რომ ოდესღაც „ჯულის“ ეკიპაჟის წევრები ვიყავით, თუმცა ჩვენს საყვარელ გემზე ხელის აღება ზიზღს მგერიდა. ამავე მიზეზით ექიმმა არასწორად მიუთითა თავისი დაბადების ადგილი.

საუბედუროდ, ჩვენი ტანისამოსის ერთი ნაწილი — არფრუტის ნაჩუქარი ლურჯი ქურთუკები — ჩვენს საწინააღმდეგო არაპირდაპირ სამხილად იქნა ცნობილი, რადგან, რა უცნაურიც არ უნდა გეჩვენოთ ეს, ამერიკელ მეზღვაურს წითელი ქურ-

თუკით ცნობენ, ინგლისელს კი ლურჯით — ეროვნული აღმების ფერის საპირისპიროდ. კაპიტანმა მიგვითითა ამ გარემოებაზე, და ჩვენ სასწრაფოდ შევეცადეთ აგვეხსნა ამგვარი უცნაურობა. მაგრამ ამოდ; იგი, როგორც ჩანს, წინასწარ შეემზადებინათ ჩვენს საწინააღმდეგოდ და განსაკუთრებით ექიმის მიმართ იყო განწყობილი უნდობლად.

მე მინდოდა მეტი დასაბუთება მიმეცა ექიმის მტკიცებისათვის და ვითომდა სხვათა შორის ეთქვი, რომ კენტუკიში ძალიან ბევრი არიან ტანმალალი ადამიანები, მაგრამ ვაინიარდელმა უეცრად ზურგი მაქცია და აღარაფრის მოსმენა აღარ ისურვა. აშკარა იყო, რომ ახმახი სული განსაკუთრებით საეჭვო პიროვნებად მიაჩნდა.

ამიტომ ვიფიქრე, ხომ არ აჯობებს პირისპირ შევხვდე-მეთქი. და აი ერთ დღეს შევხვდი კაპიტანს; იგი ჩიბუხს აბოლებდა ერთი წარმოსადგეი მოხუცი კუნძულელის, ვინმე მაი-მაის სახლში. ეს კუნძულელი ხელმისაწვდომ ფასებში უმასპინძლდებოდა პარტუვაიურად წარჩინებულ უცხოელებს.

მისი სტუმარი ახლახან გამომძღარიყო შემწვარი ღორის ხორცითა და ტაროს პუდინგით; სუფრა ჯერ კიდევ არ აელაგებინათ. ჭილოფზე ეგდო აგრეთვე ორი გამოცლილი ბოთლი, რომლებსაც სპირტის სუნი ასდიოდა. ყოველივე ამას სასიკეთო პირი უჩანდა, რადგან კარგი სადილის შემდეგ ადამიანი თავს არხეინად გრძნობს და ადვილი დასაყოლიებელია. ასეთ გუნებაზე შევეუსწარი კეთილშობილ ვაინიარდელს.

თავდაპირველად ვუთხარი, თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ჩემი სადაურობის შესახებ მცდარი აზრი გაგიფანტოთ-მეთქი; მე, ღვთის მადლით, ამერიკელი ვარ და მინდა ეს დაგიმტკიცოთ-მეთქი.

კაპიტანი ერთხანს თვალეში მიყურებდა (აშკარად შევამჩნიე, რომ თვალს ვერ მისწორებდა), მერე კი მთხოვა ხელი გამეწოდებინა. მე შევასრულე მისი სურვილი, თან გამიკვირდა, ეს ყოვლად გამოსადეგი კიდური რა შუაშია-მეთქი.

მან რამდენიმე წამით მაჯაზე დამადო თითები, მერე ფეხზე წამოხტა და აღტაცებით თქვა, რომ მე ნამდვილი იანკის გული მიძგერდა!

— ეჭვი, მაი-მაი! — გასძახა მან, — ერთი ბოთლიც!

ბოთლი მოიტანეს. კაპიტანმა დანის ერთი ამოკვრით მოხა-

და თავი და მიბრძანა გამოძევალა. შემდეგ მითხრა, თუ სვალ დილას მომაკითხავ „ლევიათანზე“, სასომალლო ხელშეკრულება ჩემს მაგიდაზე იქნება კაიუტაშიო.

ყოლაფერი მშეენივრად ეწყობოდა, მაგრამ ექიმის საქმე როგორღა იქნებოდა?

მე დაუყოვნებლივ გადავუკარი სიტყვა ჩემი ახმახი მეგობრის შესახებ, მაგრამ ამოღ. ვაინიარდელი იფიცებოდა, რომ არ უნდოდა იმ კაცთან ჰქონოდა საქმე, რომ ის (ჩემი ახმახი მეგობარი) სიდნეელი „ჩიტი“ იყო, და რომ მას (ექვნიან კაცს) ვერაფერი შეაცვლევინებდა აზრს.

მე არ შემეძლო გულწრფელი კაპიტნისადმი სიმპათიით არ გაემსჭვალულიყავი, მაგრამ ყოვლად დაუსაბუთებულმა წინასწარმა განწყობამ ისე აღმაშფოთა, რომ მაშინვე წამოვედი.

როცა ექიმს შეხვედრის შედეგი ვუამბე, ბევრი იცინა და მითხრა, ვაინიარდელი გამჭრიახი კაცი ჩანსო. მერე დაიფინა, აუცილებლად უნდა გაჰყვე „ლევიათანს“, რადგან კარგად ვიცი, როგორ გინდა ეიმეოდან წასვლაო, მე კი, აბა, რა მეზღვაური ვარ; მართალია, ჩემისთანა „ხმელეთის ვირთაგვები“ ხშირად ეწყობიან ვეშაპსანადირო გემზე. მაგრამ პირადად მე მაინცდამაინც არ შემიფერის ასეთი უბრალო ადგილიო. მოკლედ, მას ერთხანს კიდევ უნდოდა ეიმეოზე ყოფნა.

მე ავწონ-დავწონე შექმნილი მდგომარეობა და ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე მიმეტოვებინა კუნძული. ზღვის ძახილი და იმედი, რომ ოდესმე მივაღწევდი სამშობლოს, იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერ შევძელი წინააღმდეგობა გამეწია მათთვის. განსაკუთრებით ის მხიბლავდა, რომ „ლევიათანი“ ასეთი მოხერხებული გემი იყო, რომ მას ვეშაპზე ნადირობის უკანასკნელი კამპანია ჰქონდა ჩასატარებელი და დაახლოებით ერთ წელიწადში შემოუვლიდა ჰორნის კონცხს.

თუმცა, მე არავინ მაიძულებდა მთელი ნაოსნობის მანძილზე სამუშაოდ მოვწყობილიყავი და ამით ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე შემებორკა თავი. მე შემეძლო მხოლოდ უახლოეს რეისზე გავყოლოდი და შემდგომ როგორც მინდოდა, ისე მოვეცეულიყავი. ვინ იცის, იქნებ განზრახვა შემეცვალა და სამშობლოში უფრო მოკლე და იოლი გზით ჩავსულიყავი?..

მეორე დღეს პირაგუით გავემართე გემისაკენ, ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე და ნაპირზე დავბრუნდი „ავანსით“ — თხუთ-

მეტი ესპანური დოლარით, რომელიც ყელსახვევში მქონდა გამო-
ნასკეული.

მე დავითანხმე ახმახი სული, რომ ნახევარი ფული აეღო.
რადგან დანარჩენიც არ მჭირდებოდა ძალიან, ამიტომ მინდოდა
პო-პოსთვის მიმეცა, რათა მცირედით მაინც აღმენიშნა მისი
სიკეთე; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ მონეტების ფასი
მშვენივრად იცოდა, ერთი დოლარიც არ გამოურთმევია.

სამი დღის შემდეგ პო-პოს სახლში შემოვიდა პრუსიელი და
შეგვატყობინა, რომ კაპიტანმა კიდევ რამდენიმე კუნძულელით
შეავსო თავისი რაზმი და ხვალ, განთიადისას, როგორც კი
ზღვისაკენ დაუბერავდა ნიავი, გზას გაუდგებოდა. ეს ცნობა
საღამოს ჟამს მივიღეთ: უცებ ექიმი გაქრა. იგი მალე დაბრუნ-
და და ქურთუკიდან ორი ბოთლი ღვინო ამოაძვრინა. მარკიზე-
ლის მეშვეობით ეყიდა ერთ-ერთი კარისკაცისაგან.

მე გამოსათხოვარი ფიალა დავალევიე პო-პოს; პატარა ლუ-
მაც კი მოსვა რამდენიმე ყლუპი, დანაღვლიანებულმა იმით, რომ
მისი ერთ-ერთი უიმედოდ შეყვარებული თაყვანისმცემელი
სამუდამოდ ტოვებდა პარტუეაის. რაც შეეხება გულკეთილ არ-
ფრეტის, მისი სეედა ხომ უსაზღვრო იყო. იგი მეხვეწებოდა,
ოღონდ ერთი ღამეც გაათიე ჩვენს ჭერქვეშ და დილით მე
თვითონ მიგიყვან გემამდეო.

მაგრამ მე არ შემეძლო დავთანხმებულიყავი. მაშინ ადგა
და თხელი ჭილოფი და ტაპის ნაჭერი მისახსოვრა. შემდეგ თბილ
განედებზე, საითაც ჩვენ გავეწიეთ, საწოლზე დაფენილი ეს საჩუ-
ქარი ძალიან გამომადგა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ტკბილ
მოგონებებზე, რომლებსაც მათი შეხედვა იწვევდა.

მზის ჩასვლისას გამოვეთხოვეთ დიდსულოვან ადამიანთა
ოჯახს და ნაპირისაკენ გავემურეთ.

მეზღვარებისათვის ეს იყო მზიარული ღამე: მათ გამოცა-
ლეს ღვინის მომცრო კასრი, რომელიც იმავე ხერხით იყო ნაშო-
ვნი, როგორც ექიმის ბოთლები.

ნაშუალამევის ორ საათზე ყველაფერი დაწყნარდა. მაგრამ
როცა მთებიდან განთიადის პირველი ათინათი გამოკრთა, ძახილ-
მა შეძრა გემბანი; გაიცა ბრძანება — ღუზა ამოეღოთ. ჩვენ ხალი-
სით შევეუდექით ღუზის ამოღებას, დავამაგრეთ იალქნები. ამო-
ვარდა თუ არა ტროპიკული ნიავი, რომელმაც მთების კალთე-
ბიდან სიგრილე და სურნელება მოიტანა, ნელ-ნელა დაეიძარით

ყურის გასასვლელისაკენ და რიფებს შორის გავძვერით. მალე დრეიფზე დავდექით, და გემს მოუახლოვდნენ პირაგუები, რათა ჩვენი გამცილებელი კუნძულები წაეყვანა. სანამ ექიმს გემიდან გადავიდოდა, ჩვენ მაგრად, მზურვალედ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. შემდეგ აღარასოდეს მინახავს იგი და არც რამე მსმენია მის შესახებ.

იალქნები ავუშვით, ქანდარები სწორად დავაყენეთ, და გრილმა ნიაემა მოგვაშორა მიწას. კვლავ ძველებურად ვირწოდი მატროსულ საწოლზე, კვლავ ძველებურად დავბაჯბაჯებდი გემბანზე.

შუადღისას კუნძული თვალს მიეფარა. ჩვენს წინ გადაშლილიყო უკიდევანო წყნარი ოკეანე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ტაიპი

თავი 1	5
თავი 2	12
თავი 3	20
თავი 4	28
თავი 5	38
თავი 6	46
თავი 7	53
თავი 8	62
თავი 9	71
თავი 10	81
თავი 11	89
თავი 12	95
თავი 13	105
ტობის ამბავი	115
მე-2 ინგლისური გამოცემის შენიშვნა ომუ	127
ავტორის წინასიტყვაობა	128
შესავალი	131
თავი 1	132
როგორ შეგვხედნენ გემზე	132
თავი 2	137
ზოგიერთი ცნობა გემის შესახებ	137
თავი 3	142
„ჯულიას“ შემდგომი აღწერა	142
თავი 4	145
ქეემო ბანზე მომსდარი ამბავი	145
თავი 5	149
რა მოხდა პაიტაიპუში	149
თავი 6	153
ჩვენ მივაღეკით კუნძულ ღომინაკას	153
თავი 7	156
რა მოხდა პანამანუში	156

თ ა ვ ი 8	ტატუს ოსტატები კუნძულ ღომინიკადან	160
თ ა ვ ი 9	კურსი დასაველეთისაკენ ავიღეთ. საქმის ვითარება	164
თ ა ვ ი 10	გემის სალონისა და მისი ზოგიერთი ბინადრის აღწერა	170
თ ა ვ ი 11	ექიმო ასმახის სული დიდი სუპარა ვინმეა. მისი ერთ-ერთი ოინი	174
თ ა ვ ი 12	ეკიაჟის ორი წევრის გარდაცვალება და დაკრძალვა	177
თ ა ვ ი 13	კურსი ვიცვალეთ	183
თ ა ვ ი 14	ბენძა	185
თ ა ვ ი 15	ბურბუშელა და საცობა	189
თ ა ვ ი 16	ქარიშხალი	191
თ ა ვ ი 17	მარჯნის კუნძულები	194
თ ა ვ ი 18	ტაიტი	199
თ ა ვ ი 19	მოულოდნელობა, კვლავ ბემბოს შესასებ	201
თ ა ვ ი 20	„რაუნდ-რობინი“ ანუ ნაპირიდან მოსული სტუმრები	208
თ ა ვ ი 21	რა ღონისძიება მიიღო კონსულმა	213
თ ა ვ ი 22	კონსულის წასვლა	219
თ ა ვ ი 23	მეორე დამე პაპეეტეს რეიდზე	221
თ ა ვ ი 24	აღშფოთება	227
თ ა ვ ი 25	ჯერმინი ძველ ამხანაგს შესვდა	229
თ ა ვ ი 26	ჩვენ შევდივართ ნავსადგურში. ლოცმანი ჯიმი	233
თ ა ვ ი 27	პაპეეტეს საერთო ხედი, ჩვენ ფრეგატზე გვგზავნიან	338
თ ა ვ ი 28	როგორ შეგვხვდნენ ფრანკები	242
თ ა ვ ი 29	ფრეგატი „დედოფალი ბლანში“	245

თ ა ვ ი 30	ჩვენ ნაპირზე გეგზაუნიან. რა მოხდა იქ	249
თ ა ვ ი 31	„კალაბუსა ბერეტანი“	253
თ ა ვ ი 32	ფრანგების მოქმედება ტაიტისე	259
თ ა ვ ი 33	ჩვენ სასტუმრო კალაბუსაში ეღებულობთ მნახველებს	264
თ ა ვ ი 34	ცსოვრება კალაბუსაში	269
თ ა ვ ი 35	ჩვენ ქველმა ნაცნობმა გვინახულა	272
თ ა ვ ი 36	კონსულისა და კაპიტნის წინაშე	277
თ ა ვ ი 37	ფრანგმა მღვდლებმა პატივი დაგედეს	281
თ ა ვ ი 38	„ჯულიეტა“ უჩვენოდ მიდის	285
თ ა ვ ი 39	ჯერმინმა დიდი სამსახური გაგვიწია. მეგობრობა პოლინეზიაში	291
თ ა ვ ი 40	ჩვენ მეგობრები შევიძინეთ	296
თ ა ვ ი 41	ჩვენ კონტრიბუციას ვასდევინებთ გემებს	298
თ ა ვ ი 42	მოტუ-ოტუ. ტაიტელი კაზუისტი	302
თ ა ვ ი 43	კაცს იმით აფასებენ, თუ ვისთან მეგობრობს	306
თ ა ვ ი 44	პაპოარეს ტაძარი. ქოქოსის პალმების ეკლესია	308
თ ა ვ ი 45	მისიონერის ქადაგება და ფიქრები მის შესახებ	312
თ ა ვ ი 46	ზოგი რამ „კანაკიურებზე“	318
თ ა ვ ი 47	ტაიტელების ტანისამოსი	323
თ ა ვ ი 48	ტაიტი შეულამაზებლად	326
თ ა ვ ი 49	წინას გაგრძელება	332
თ ა ვ ი 50	ამბავი, რომელიც ასმას სულს გადასდა	337
თ ა ვ ი 51	უილსონმა ჩვენზე უარი თქვა. ვიმეოზე გამგზავრება	341

თ ა ვ ი 52	მარტიარის ველი	345
თ ა ვ ი 53	მიწათმოქმედება პოლინესიაში	349
თ ა ვ ი 54	ზოგიერთი ცნობა პოლინესიის ველურ სარგებზე	354
თ ა ვ ი 55	ნადირობა ზიკთან ერთად	358
თ ა ვ ი 56	ქინკლები	361
თ ა ვ ი 57	მეორე ნადირობა მთებში	364
თ ა ვ ი 58	მონადირული ნადიმი და აფრეპიტუს ყურის დათვალიერება	369
თ ა ვ ი 59	ბატატი	371
თ ა ვ ი 60	რას ფიქრობდნენ მარტიარში ჩვენზე	375
თ ა ვ ი 61	მოგზაურობისათვის მზადება	379
თ ა ვ ი 62	ტამაი	382
თ ა ვ ი 63	ცეკვები ველზე	384
თ ა ვ ი 64	ილუმალი	387
თ ა ვ ი 65	„პიჯრა“	389
თ ა ვ ი 66	როგორ ვფიქრობდით ტალუმდე მიღწევას	394
თ ა ვ ი 67	მოგზაურობა ნაპირის გასწვრივ	396
თ ა ვ ი 68	წვეულება ვიმეოზე	402
თ ა ვ ი 69	ქოქოსის პალმა	406
თ ა ვ ი 70	ცხოვრება ლუკულუში	411
თ ა ვ ი 71	ჩვენ ტალუს მივემგზავრებით	413
თ ა ვ ი 72	აკრძალული საქონლით მოვაჭრე	417
თ ა ვ ი 73	როგორ შეგვხვდნენ პარტუვაიში	421

თ ა ვ ი 74	სალამური მოწყობილობა. ექიმო ჯეთისმოსავი ხდება	427
თ ა ვ ი 75	გასეირნება ღაბაში	429
თ ა ვ ი 76	ეიმეოელი კეკლუცი. ჩვენ ვეწვიეთ გემს	432
თ ა ვ ი 77	მაწანწალების ბრბო. პატარა ლუ და ექიმო	437
თ ა ვ ი 78	მისის ბელი	441
თ ა ვ ი 79	ტილუს ეკლესია. სასამართლოს სხდომა ბოლინეზიაში	442
თ ა ვ ი 80	დედოფალი პომარე	448
თ ა ვ ი 81	სამეფო კარის მონასულება	453
თ ა ვ ი 82	რომლითაც მთავრდება წიგნი	459

რედაქტორი მ. ერისთავი
მხატვარი ლ. ლენჯილია
მხატვრული რედაქტორი კ. ტუსაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფსაზაია
კორექტორი დ. ცინცაძე
გამომცემი მ. წიფწიაძე

ს. ბ. № 3001

გადაეცა წარმოებას 19. 01. 83 წ. სელმოწერილია დასაბეჭ-
დად 12.09.83 წ. საბეჭდი ქაღალდი № 2, 84X108¹/₃₂. პირო-
ბითი ნაბეჭდი თაბასი 24,78. პირ. საღ. გატ. 25,1. გარნიტური
ნაკადული. ბეჭდვა მაღალი. სააღრ.-საგამომც. თაბასი 22,36.
ტირაჟი 50.000. შეკვ. № 462.
ფასი 2 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

Мелвилл Герман

ТАИПИ. ОМУ

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1983

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ო. ჭავჭავაძის სას. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.